https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲧᲚᲝᲕᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲡ

ᲚᲘᲢᲕᲘᲜ ᲯᲘᲜᲒᲘ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ინგლისურიდან თარგმნა
ირაკლი სულაძემ

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შესავალი

სტივენ კინგი

როდესაც მეკითხებიან (და ეს საკმაოდ ხშირად ხდება), ჩემ მიერ დაწერილ რომელ წიგნს ვთვლი ყველაზე საშიშად, მარტივად და დაუფიქრებლად ვპასუხობ: *შინაური ცხოველების სასაფლა*. წერილებიდან გამომდინარე კი, ის ალბათ მკითხველთათვის ყველაზე საშიში წიგნი არ არის და, ვფიქრობ, ასეთი ალბათ „ნათებაა“, მაგრამ ძაღლის თავი სულ სხვა ადგილას, სხვა ადამიანებთანაა დამარხული. ერთი ის კი ვიცი, რომ *შინაური ცხოველების სასაფლა* იყო წიგნი, რომელიც კარადაში გადავდე იმ ფიქრით, რომ ამჯერად უკვე ზედმეტად ღრმად შევტოპე. დრომ აჩვენა, რომ ზედმეტი არ მომსვლია — ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების მოლოდინის გათვალისწინებით — მაგრამ, რაც შემეხება მე, ჩემი პირადი გრძნობების მხრივ, ნამდვილად მეტისმეტი მომივიდა. სათქმელად ისიც საკმარისია, რომ საკუთარმა ნაწერმა და ჩემ მიერ გამოტანილმა დასკვნებმა ერთიანად შემძრა. წიგნის დაწერის ისტორია აქამდეც მომიყოლია, მაგრამ ვფიქრობ, ამ ერთხელაც შევძლებ: ბოლო იყოს და სამართალი.

სამოცდაათიანების მიწურულს ერთი წლით ჩემს ალმა მატერში, მენის უნივერსიტეტში მიმიწვიეს, რათა იქ მეწერა და თან ფანტასტიკური ლიტერატურის მიმართულებით ლექციები (ამ სალექციო კურსის ჩანაწერები იქცა *„სიკვდილის ცეკვის“* ხერხემლად, რომელიც ერთი-ორი წლის შემდეგ წიგნად გამოიცა) წამეკითხა. მე და ჩემმა ცოლმა კამპუსიდან დაახლოებით თორმეტი მილის მოშორებით, ორინგტონში, სახლი ვიქირავეთ. შესანიშნავი სახლი იყო მენის შესანიშნავ ქალაქგარე რაიონში. ერთადერთი პრობლემა, რომელიც გვაწუხებდა, იყო ქუჩა, რომლის პირასაც ვცხოვრობდით და რომელზეც მუდმივად ქუჩის ბოლოს მდებარე ქიმიური ქარხნიდან მომავალი დიდი სატვირთოები მოძრაობდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხულიო დესანქტისმა, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს მდებარე მაღაზიის მეპატრონე იყო, მე და ჩემი ცოლი თავიდანვე გაგვაფრთხილა, რომ ყურადღება მიგვექცია ჩვენი ბავშვებისა და მათი შინაური ცხოველებისთვის. „ამ ქუჩას ბევრი ცხოველი ჰყავს შეწირული", — თქვა ხულიომ ფრაზა, რომელიც შემდგომ წიგნში გამოვიყენე. ქუჩის მიერ შეწირული ცხოველების დასტური კი ჩვენი ნაქირავები სახლის უკან, ტყეში მოიძებნებოდა. ტყეში ბილიკი შინაური ცხოველების პატარა სასაფლაომდე მიდიოდა. ოღონდ... ამ სასაფლაოს კოხტა, პატარა ხელნაკეთ აბრაზე ეწერა — **შინაური ცხოველების სასაფლაᲚ**. ამ გარემოებამ კი ბევრად დიდი საქმე გააკეთა, ვიდრე უბრალოდ წიგნში გამოყენებაა. ის წიგნის სათაურად იქცა. იქ დამარხული იყო ძაღლები და კატები, რამდენიმე ჩიტი და ერთი თხაც კი.

ჩვენს გოგონას, რომელიც მაშინ დაახლოებით რვა წლის იქნებოდა, ჰყავდა კატა, სახელად სმაკი, რომელიც ორინგტონის სახლში გადასვლიდან ცოტა ხანში ქუჩის მეორე მხარეს მდებარე სახლის გაზონზე მკვდარი ვიპოვე. როგორც ჩანს, მე-5 გზის ნადავლად ქცეული ბოლო ცხოველი ჩემი გოგონას საყვარელი კატა იყო. ჩვენ სმაკი შინაური ცხოველების სასაფლაᲚზე დავმარხეთ. ჩემმა გოგონამ საფლავის ქვაზე წააწერა: *სმაკი — დამჯერი კატა იყო* (თუმცა, ცხადია, დამჯერობისა სმაკის არაფერი ეცხო. ღვთის გულისათვის, ის ხომ კატა იყო).

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ერთ ღამეს ავტოფარეხიდან ძლიერი დარტყმების ხმა არ გავიგონე, რომელსაც მოჰყვა ქვითინი და იმგვარი ტკაცატკუცი, როგორიც პატარა ასაფეთქებლებს ახასიათებს ხოლმე. გარეთ გავედი, რომ მენახა, რა ხდებოდა და ავტოფარეხში მრისხანებითა და სიმწრით აღსავსე ჩემს მშვენიერ გოგონას შევეფეთე. ძირს ის რამდენიმე შესაფუთი ცელოფანი გაეშალა, რომელშიც მგზავრობის წინ ადვილად მსხვრევად ნივთებს ახვევენ ხოლმე, და მათზე მთელი ძალით ხტუნაობდა, თან ყვიროდა: „ის ჩემი კატა იყო! ღმერთმა თავისი კატა იყო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლიოს! სმაკი *ჩემი* კატა იყო!“ — ვფიქრობ, სწორედ ასეთია ყველაზე ჯანსაღი პირველი გამოვლინება იმ მწარე ნაღველისა, რომელსაც შეიძლება ადამიანი განიცდიდეს და მე ჩემი გოგონა ყოველთვის მიყვარდა ამ შემაღონებელი ტირილის გამო: *ღმერთმა თავისი კატა იყოლიოს!* სწორია, ლამაზო, სწორია.

ჩვენი უმცროსი ბიჭი მაშინ ორი წლისაც არ იქნებოდა და ის-ის იყო, სიარულს სწავლობდა, მაგრამ უკვე სირბილში ცდიდა ძალებს. სმაკის დაღუპვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მეზობელ ეზოში ფრანით ვერთობოდით, ჩვენმა პატარამ გადაწყვიტა, ქუჩისკენ გაქცეულიყო. უკან გავეკიდე და წყეულიმც ვიყო, თუ გამეგო მოახლოებული „შინბროს“ (წიგნში — „ორინკო“) სატვირთოს ხმა. ბავშვი ან მე დავიჭირე, ან ის თავად წაიქცა. დღემდე არ ვარ დარწმუნებული, რა მოხდა. როდესაც ძალიან გეშინია, მეხსიერება გებინდება. ერთადერთი, რაც დაზუსტებით ვიცი, არის ის, რომ ჩემი შვილი დღეს ზრდასრული კაცია და თავს მშვენივრად გრძნობს. მაგრამ ჩემი გონების რაღაც ნაწილი არასოდეს მიუტოვებია იმ საშინელ *„დავუშვათ და...“*-ს: დავუშვათ და ვერ დამეჭირა? ან, დავუშვათ და ქუჩის პირას კი არა, პირდაპირ ქუჩაზე წაქცეულიყო?

ვფიქრობ, კარგად ხვდებით, რატომ მიმაჩნია ასე მძიმედ წიგნი, რომელიც ამ ინციდენტის შემდეგ დაიწერა. უბრალოდ, არსებული ელემენტები შევაგროვე და ერთ საზარელ *„დავუშვათ და...“*-ში ჩავყარე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, გაუმხელელი ფიქრები არა მხოლოდ ჩემს თავში შევაგროვე, არამედ ფურცლებზეც გადავიტანე.

ორინგტონის სახლში თავისუფალი საწერი სივრცე არ გვქონდა, თუმცა ხულიოს მაღაზიაში მოიძებნებოდა ცარიელი ოთახი და სწორედ იქ დავწერე *შინაური ცხოველების სასაფლაო*. ყოველდღიური მუშაობით დიდ სიამოვნებას ვიღებდი და ვგრძნობდი, რომ რაღაც „მაგარს“ ვქმნიდი. ეს ისტორია მიპყრობდა და ვიცოდი, რომ მკითხველსაც დაიპყრობდა, თუმცა, როცა ყოველდღიურად მუშაობ, ვერ ამჩნევ ტყეს;

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მხოლოდ ცალკეულ ხეებს ითვლი. როდესაც დავასრულე, ჩვეულებისამებრ, ტექსტი ექვსი კვირით გვერდზე გადავდე, შემდეგ კი თავიდან ბოლომდე წავიკითხე. შედეგი იმდენად შემაძრწუნებელი და საზარელი აღმოჩნდა, რომ წიგნი კარადაში გადავდე და ვიფიქრე, რომ ის ჩემს სიცოცხლეში არც ერთ შემთხვევაში, არასოდეს გამოიცემოდა.

წიგნის გამოცემა რამდენიმე გარემოების შედეგი აღმოჩნდა. იმ პერიოდში ურთიერთობა გავწყვიტე „დაბლდეისთან" — ჩემი წინა წიგნების გამომცემელთან, მაგრამ ანგარიშების საბოლოოდ დახურვამდე მათთვის ერთი წიგნი მმართებდა. იმ დროისათვის მხოლოდ ერთი გამოუქვეყნელი წიგნი მქონდა და ეს წიგნი *შინაური ცხოველების სასაფლაO* იყო. საკითხი განვიხილე მეუღლესთან, რომელიც ჭოჭმანისას ჩემი საუკეთესო მრჩეველია და მან მითხრა, რომ წიგნი გამომეცა. ის ფიქრობდა, რომ წიგნი კარგი იყო. საშინელი, მაგრამ საკმარისად კარგი საიმისოდ, რათა წაეკითხათ.

იმ დროისთვის „დაბლდეიში" ჩემს წინა რედაქტორს, ბილ ტომპსონს, სამსახური შეეცვალა (სხვათა შორის, „ევერესტ ჰაუსში" გადავიდა და სწორედ ის იყო ადამიანი, რომელმაც პირველად მოიწონა, შემდეგ გაარედაქტირა და ბოლოს გამოსცა *„სიკვდილის ცეკვა"*), ამიტომ წიგნი სემ ვანს გავუგზავნე, რომელიც იმ პერიოდის ერთ-ერთ საგამომცემლო გიგანტად ითვლებოდა. სწორედ სემმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება. მას ამ წიგნის გამოცემა სურდა. თავად შეასწორა, გარკვეული ყურადღება დაუთმო წიგნის დასასრულს და მისი ძალისხმევით კარგი წიგნი კიდევ უფრო უკეთეს წიგნად იქცა. ყოველთვის ვემადლიერებოდი სემს მისი შთაგონებით აღსავსე ლურჯი ფანქრის გამო და ამ წიგნის გამოცემა არასოდეს მინანია, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ მიზეზთა გამო მას კვლავაც მძიმედ და პრობლემატურად მივიჩნევ.

კონკრეტულად კი, განსაკუთრებულ უხერხულობას ვგრძნობ ლუის კრიდის უფროსი მეზობლის, ჯადის მიერ ნათქვამი სიტყვების გამო: „ხანდახან სიკვდილი ჯობს, — მძიმედ წარმოთქვა ჯადმა". ვიმედოვნებ, რომ ეს სიმართლე არ არის,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიუხედავად იმისა, რომ, *შინაური ცხოველების სასაფლაოს* კოშმარისებრი შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ ასეა. შესაძლოა, ამაში არც არის პრობლემა. შესაძლოა, „ხანდახან სიკვდილი ჯობს“ მწარე ნაღველის ბოლო გაკვეთილია, რომელსაც მაშინ ვსწავლობთ, როცა საბოლოოდ ვიღლებით ცელოფანზე ხტუნაობით და ღმერთთან იმის ჩივილით, რომ მან თავისი კატა (ან თავისი შვილი) იყოლიოს, ჩვენებს კი თავი დაანებოს. ეს გაკვეთილი გვასწავლის, რომ საბოლოოდ ჩვენს ადამიანურ ყოფაში სიმშვიდეს მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ, როცა სამყაროს ამ ნებას შევეგუებით. შესაძლოა, ეს სულელურ, თანამედროვე ბოდვად ჟღერდეს, მაგრამ ალტერნატიულ ვარიანტად მხოლოდ წყვდიადი მესახება, რომელიც ზედმეტად საზარელია საიმისოდ, რათა ჩვენნაირმა მოკვდავმა არსებებმა გაუძლონ.

2000 წლის 20 სექტემბერი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირველი ნაწილი

შინაური ცხოველების სასაფლაო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს თქვა და შემდეგ უთხრა მათ იესომ: ლაზარემ, ჩვენმა მეგობარმა, მიიძინა; მაგრამ მივალ და გავაღვიძებ მას.

ხოლო მისმა მოწაფეებმა ერთმანეთს გადახედეს და ზოგმა გაიღიმა კიდეც, რადგან ვერ მიხვდნენ, რომ იესო ძილს არ გულისხმობდა — უფალო, თუ მიიძინა, მომჯობინდება.

მაშინ იესომ გარკვევით უთხრა მათ: ლაზარე მოკვდა, დიახ... მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მივიდეთ მასთან.

იოანეს სახარება (პერიფრაზი)

1

ლუის კრიდი, რომელმაც მამა სამი წლის ასაკში დაკარგა და რომელსაც ბაბუა არასოდეს უხილავს, არ მოელოდა, რომ მამას შუახნის ასაკში იპოვიდა, მაგრამ ყველაფერი სწორედ ასე მოხდა... მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცს მეგობარს უწოდებდა. სწორედ ასე იქცევა ნებისმიერი ზრდასრული კაცი მაშინ, როცა ცხოვრებაში დაგვიანებით პოულობს მამას. ის ამ კაცს შეხვდა იმ საღამოს, როდესაც ცოლთან და ორ ბავშვთან ერთად ლადლოუში, დიდ თეთრ სახლში საცხოვრებლად გადმოვიდა. მათთან ერთად გადმოვიდა უინსტონ ჩერჩილიც. ჩერჩი ლუისის გოგონას, ეილინის, კატა იყო.

უნივერსიტეტმა სახლის მოძიების პროცესი ნელი ნაბიჯებით წარმართა და ამიტომ ლუისს თავად მოუწია უნივერსიტეტთან ახლოს მდებარე სახლის პოვნამ. ამ ყველაფერმა დიდ გაწამაწიაში ჩაიარა და ბოლოს, როგორც იქნა, მიუახლოვდნენ სახლს, რომელიც, ლუისის თქმით, მათი მომავალი სამყოფელი უნდა გამხდარიყო. — *ყველა ორიენტირი სწორია... სწორედ ისე, როგორც ასტროლოგიური ნიშნები კეისრის მკვლელობის წინაღამეს,* — მძიმედ გაიფიქრა ლუისმა. ყველანი უკვე უსაზღვრო დაღლილობას გრძნობდნენ. გეიჯს კბილები ამოსდიოდა, თითქმის გაუჩერებლად ჭირვეულობდა და არ იძინებდა, მიუხედავად იმისა, თუ რას უმღერებდა მას რეიჩელი. ბოლოს ბავშვს ძუძუთი კვება შესთავაზა, თუმცა საამისოდ ჯერ ადრე იყო. გეიჯმა კი, დედის მსგავსად (ან იქნებ უკეთესადაც), ზუსტად იცოდა საკუთა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რი კვებითი რეჟიმი. ამიტომ ახლაც თავისი ახალი კბილები ჩაავლო და რეიჩელს, რომელიც ჯერაც არ იყო დარწმუნებული ჩიკაგოდან — სადაც მთელი ცხოვრება გაეტარებინა — მენში გადმოსვლის სისწორეში, ცრემლები წასკდა. ეილინიც მაშინვე შეუერთდა. ჩერჩი კი უკანა სავარძელზე ბოლთის ცემას განაგრძობდა, სწორედ ისე, როგორც ბოლო იმ სამი დღის განმავლობაში, რაც მათ ჩიკაგოდან აქ ჩამოსასვლელად დასჭირდათ. სანამ გალიაში ჰყავდათ, მისი კნავილი აუტანელი იყო, ამიტომ გალიიდან გამოუშვეს და მას მერე ასე მოუსვენრობდა, რაც, თითქმის შემაწუხებელი კნავილის მსგავსად, აუტანელი იყო.

ლუისიც გრძნობდა, რომ ტირილამდე ცოტა აკლდა და უეცრად დაებადა დიდებული, მაგრამ არცთუ მიმზიდველი აზრი: ოჯახის წევრებს შესთავაზებდა, ბანგორში წასახემსებლად წასულიყვნენ და მათი ნივთებით დატვირთულ ავტომანქანას იქ დალოდებოდნენ, შემდეგ კი, როდესაც ცხოვრების ეს სამი საჩუქარი მანქანიდან გადმოვიდოდა, ლუისი წამსვე აქსელერატორს დააჭერდა და უკანმოუხედავად გააქროლებდა მანქანას, რომლის ოთხცილინდრიანი ძრავაც ხარბად ჩაყლაპავდა ძვირად ღირებულ საწვავს. წავიდოდა სამხრეთით, ჩავიდოდა ფლორიდის შტატში, ორლანდოში, და იქ ახალი სახელით „დისნეი უორლდში“ ექიმად დაიწყებდა მუშაობას. თუმცა, მანამ, სანამ 95-ე გზის თანხის გადასახდელ ჯიხურთან მივიდოდა, მანქანას გზის პირას გააჩერებდა და ამ დედააფეთქებულ კატასაც მოიშორებდა.

და აი, როცა ბოლო მოსახვევშიც შევიდნენ, მათ დაინახეს სახლი, რომელიც აქამდე მხოლოდ ლუისს ენახა. ის წინასწარ ჩამოფრინდა და შეამოწმა შვიდივე სახლი, რომლებიც ფოტოებიდან შეერჩიათ მას შემდეგ, რაც მენის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება საბოლოოდ დაუდასტურეს. აარჩიეს ეს — დიდი, ძველი, ნიუინგლენდური კოლონიალური (თუმცა, ახლებური ფასადითა და იზოლაციით. გათბობის ფასი კი, რაც ჯერაც წარმოუდგენლად მაღალი იყო, ამ სახლის ზომებიდან გამომდინარე, მისაღებად ეჩვენა) სტილის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახლი. სამი დიდი ოთახი პირველ სართულზე, ოთხიც — მეორეზე, გრძელი ფარდული, რომლის საცხოვრებელ ოთახებად გადაკეთება შეიძლებოდა და ეს ყველაფერი შემოსაზღვრული ხშირი გაზონით, რომელიც, მიუხედავად აგვისტოს სიცხისა, ახლაც მწვანედ ხასხასებდა.

სახლის უკან დიდი სათამაშო მოედანი იყო ბავშვებისთვის, მოედნის მიღმა კი ტყე, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. — თქვენი ტერიტორია ესაზღვრება მიწებს, რომლებიც შტატის საკუთრებაშია, — განუმარტა მას უძრავი ქონების აგენტმა. მისივე თქმით, ამ მიზეზით ახლო მომავალში მეზობლად ახალი მშენებლობები მოსალოდნელი არ იყო. ინდიელების ტომ მიკმაკის შთამომავლებს კი პრეტენზია განუცხადებიათ დაახლოებით რვა ათას აკრ[1] ფართობზე ლადლოუში და ლადლოუს აღმოსავლეთით მდებარე მხარეებში. ეს პროცესი კი ისე გაწელილა, რომ მასში, შტატის მთავრობასთან ერთად, ფედერალურიც ჩართულა და ეს დავა, სავარაუდოდ, შემდეგ ასწლეულამდე არ დასრულდებოდა.

უეცრად რეიჩელმა ტირილი შეწყვიტა და სკამზე გაიმართა. — ეს...

— კი, ეგ არის, — უთხრა ლუისმა. გრძნობდა სიფრთხილეს, არა — შიშს. სინამდვილეში ერთიანად შეძრწუნებული იყო, რადგან ამ სახლის იპოთეკის სანაცვლოდ მათი ცხოვრების თორმეტი წელი ჩაედო და მას საბოლოოდ გამოისყიდდნენ თორმეტი წლის შემდეგ, მაშინ, როცა ეილინი ჩვიდმეტი წლის იქნებოდა.

ლუისმა ნერწყვი მძიმედ ჩაყლაპა.

— რას ფიქრობ?

— მგონი, ძალიან ლამაზია, — თქვა რეიჩელმა და ლუისს გულიდან უშველებელი სიმძიმის ქვა გადაგორდა. გრძნობდა, რეიჩელი გულწრფელი იყო. ახლა, როცა მოასფალტებულ გზაზე შეუხვიეს, რომელიც სახლს ფარდულის მხრი-

[1] *მიწის საზომი ერთეული. 1 აკრი = 4.047 კვ.მ*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დან გასდევდა, რეიჩელი აკვირდებოდა სახლის ცარიელ ფანჯრებს და ყურადღებას ამახვილებდა ისეთ დეტალებზე, როგორებიც იყო, მაგალითად, ის, რომ არ ჩანდა ფარდები, ჭურჭლის კარადებს არ ჰქონდა გადასაფარებლები, და კიდევ ღმერთმა იცის, რა.

— მამიკო! — გამოსძახა ეილიმ უკანა სავარძლიდან. ტირილი უკვე მასაც შეეწყვიტა. გეიჯიც აღარ ჭირვეულობდა. ლუისი ამ სიჩუმით ტკბებოდა.

— რაო, საყვარელო?

მისი მუქი ქერა თმის ქვეშ ყავისფრად ანთებული თვალებიც მანქანის უკანა ფანჯრიდან აკვირდებოდნენ სახლს, გაზონს, ოდნავ მარცხნივ მდებარე მეორე სახლის სახურავსა და ტყისკენ გადაჭიმულ დიდ მინდორს.

— ეს არის ჩვენი სახლი?

— კი, ჩვენი სახლია, ტკბილო, — უთხრა ლუისმა.

— ვაშაააა! — შესძახა ეილიმ ისეთი ხმით, რომ ლუისს კინაღამ ყურები გაუხვრიტა, მაგრამ ის, ვისაც გოგო ხანდახან ძალიან აღიზიანებდა, ახლა იმაზე დაფიქრდა, რომ მისი ცხოვრება ორლანდოს „დისნეი უორლდის“ გარეშეც მშვენიერი იყო.

მანქანა ფარდულთან გააჩერა და ძრავა გამორთო.

ძრავას ხმა მინელდა და სიჩუმეში, რომელიც ჩიკაგოს, შტატის გზებისა და წრიული მოსახვევების შემდეგ საოცრად მძლავრი ჩანდა, ჩიტების ტკბილი სიმღერა გაისმა.

— სახლი, — მშვიდად თქვა რეიჩელმა, რომელიც ჯერ ისევ შენობას უყურებდა.

— შახლი, — თავისთვის ჩაიდუდღუნა რეიჩელის კალთაში მჯდომმა გეიჯმა.

ლუისმა და რეიჩელმა ერთმანეთს გადახედეს. უკანა ხედვის სარკეში ეილინს თვალები გაუფართოვდა.

— შენ ახლა...

— მოიცა, მართლა...

— ეს...

სამივემ ერთად დაიწყო ლაპარაკი და მერე სამივეს გაეცინა. გეიჯს არაფერი შეუმჩნევია, ისევ ცერა თითის ლოკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვას განაგრძობდა. აქამდე ხანდახან ამბობდა ხოლმე „დე“-ს, აგერ ბოლო ერთი თვის განმავლობაში კი რაღაც ისეთსაც, რომელიც თითქოს „მა�ა“-ს წააგავდა, ან, უბრალოდ, ლუისს სურდა, რომ ასე ყოფილიყო, მაგრამ ახლა მან ყოველგვარი იმიტაციის გარეშე, სრულებით გარკვევით წარმოთქვა პირველი სრული სიტყვა — *სახლი.*

ლუისმა გეიჯი ცოლის კალთიდან აიყვანა და ჩაიხუტა.

ასე მოვიდნენ ისინი ლადლოუში.

2

ლუის კრიდის მეხსიერებაში ეს მომენტი სამუდამოდ მაგიურად დარჩა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ შესაძლოა, მართლაც იყო მასში რაღაც მაგიური და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ამ მომენტის შემდეგ მთელი საღამო საგიჟეთს ჰგავდა. სამი საათის განმავლობაში არც სიმშვიდე და არც მაგია ჩანდა სადმე.

ლუისს სახლის გასაღები საგულდაგულოდ შეენახა (საზოგადოდ, ლუის კრიდი აკურატული და მეთოდური კაცი გახლდათ) პატარა მანილას კონვერტში, რომელსაც ზემოდან ეწერა — „ლადლოუს სახლი — გასაღები მიღებულია 29 ივნისს“. გასაღები „ფეირლეინის“ ხელთათმნის უჯრაში შეენახა და ამაში სრულებით დარწმუნებული იყო, მაგრამ ახლა ვერსად პოულობდა.

სანამ ლუისი გასაღებზე ნადირობდა და ეს პროცესი უფრო და უფრო გამაღიზიანებელი ხდებოდა, რეიჩელმა გეიჯს ხელი ჩაჰკიდა და მინდვრისკენ გაემართა, სადაც, ხის ძირში, ეილინი თამაშობდა. ლუისი სავარძლების ქვეშ გასაღებს უკვე მესამედ ეძებდა, როცა მისმა გოგომ დაიკივლა და ტირილი დაიწყო.

— ლუის! — გამოსძახა რეიჩელმა, — ფეხი გაიჭრა!

ეილინი მანქანის საბურავისგან გაკეთებული საქანელადან ჩამოვარდნილიყო და მუხლი ქვისთვის დაერტყა. მცირედი ნაკაწრი ჰქონდა. *თუმცა ისე ტირის, გეგონება, ფეხი მოაჭრესო,* — ფიქრობდა ლუისი (არცთუ მთლად გულისხ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიერად). შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს მდგარ სახლს გახედა და მისაღები ოთახის ფანჯრებში სინათლე შენიშნა.

— საკმარისია, ეილინ! — დაიძახა ლუისმა, — გაჩუმდი, თორემ ხალხს ეგონება, ვიღაც მოკლესო.

— მტკივااااა!

ლუისმა თავი ხელში აიყვანა, გაჩუმდა და მანქანაში დაბრუნდა. გასაღები გამქრალიყო, მაგრამ პირველადი დახმარების ყუთი ადგილზე იყო. ლუისმა ყუთი აიღო და უკან გამობრუნდა. ამის დანახვაზე ეილინმა კიდევ უფრო ხმამაღლა მორთო ბღავილი.

— არა! არ მინდა, მამა! ამიწვავს, ამიწვავს, არაა...

— ეილინ, ეს უბრალოდ მერკუროქრომია. საერთოდ არ წვავს.

— დიდი გოგოსავით მოიქეცი, — უთხრა რეიჩელმა, — ეს, უბრალოდ...

— არა-არა-არა-არა...

— თუ არ გაჩერდები, ტაკო აგეწვება, — უთხრა ლუისმა.

— უბრალოდ, დაიღალა, ლუ, — დინჯად მიუგო რეიჩელმა.

— ჰო, ვიცი. მიდი, ფეხი დაუჭირე.

რეიჩელმა გეიჯი მიწაზე დასვა და ეილინის ფეხი დაიჭირა. ლუისმა კი, მიუხედავად ბავშვის ისტერიკული კივილისა, ნატკენის მერკუროქრომით დამუშავება დაიწყო.

— ქუჩის მეორე მხარეს სახლიდან ვიღაც გამოვიდა, — თქვა რეიჩელმა და ხელში აიყვანა გეიჯი, რომელიც უკვე ბალახზე მიბობღავდა.

— დიდებულია, — ჩაილაპარაკა ლუისმა.

— ლუი, ის...

— უბრალოდ, დაღლილია, ვიცი. — მერკუროქრომი ცოტა კიდევ წაუსვა და შვილს გაუღიმა, — ესეც ასე. ოდნავადაც არ გტკენია. ყურებს ნუ ჩამოყრი, ელი.

— მტკივა! მტკივა! მტკიიიი...

ლუისს ხელები ექავებოდა, ისე უნდოდა მისთვის მოერტყა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გასაღები იპოვე? — ჰკითხა რეიჩელმა.

— ჯერ არა, — თქვა ლუისმა, პირველადი დახმარების ყუთი ჩაკეტა და ფეხზე წამოდგა. — მე...

გეიჯმა კივილი დაიწყო. არც ტიროდა და არც ჭირვეულობდა. რეიჩელის მკლავებში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — *კიოდა*.

— რა სჭირს? — წამოიძახა რეიჩელმა და ლუისს ბავშვი ანგარიშმიუცემლად გადააწოდა. რეიჩელის აზრით, ექიმზე დაქორწინების ერთ-ერთი უპირატესობა ესეც იყო — ნებისმიერ დროს, როცა გეგონებოდა, ბავშვი კვდებაო, შეგეძლო ის ქმრისთვის მიგეწოდებინა. — ლუის! რა...

ბავშვი გაუჩერებლად იქავებდა კისერს და გიჟურად კიოდა. ლუისმა შემოაბრუნა და კეფაზე პატარა თეთრი შესივება შენიშნა. მისი კომბინეზონის ერთ-ერთ ღვედთან კი რაღაც ბუსუსებიანი დაინახა, რომელიც ოდნავ იგრიხებოდა.

ეილინი, რომელიც აქამდე გაჩუმებულიყო, ისევ აყვირდა.

— ფუტკარი! ფუტკარი! ფუტკარიიიიიიი! — უკან გადახტა, ფეხი ისევ იმ ქვას წამოჰკრა, რომელთანაც აქამდე უკვე ჰქონდა პრობლემები, უკანალით მაგრად დაეცა და ერთდროულად გაოცების, ტკივილისა და შიშისგან კივილი მორთო.

გავგიჟდები, — გაიფიქრა ლუისმა, — *ვაااااახ!*

— რამე იღონე, ლუის! არაფერი შეგიძლია?

— ნესტარი უნდა ამოიღოთ, — გაისმა ხმა ზურგს უკან, — ეს უშველის. ნესტარი ამოიღეთ და საფუარი დააყარეთ. შესივება მალე ჩაცხრება. — თუმცა, ეს იყო იმდენად მძიმე ხმა და თან აღმოსავლური აქცენტით იმდენად გაჯერებული, რომ ლუისის დაღლილმა და არეულმა გონებამ თავდაპირველად ვერც გაიაზრა. — ნესტუი ამუიღით დე საფუაი დააყუაეთ. შეშიება მაე ჩაცხება.

შემობრუნდა და დაინახა კაცი — დაახლოებით სამოცდაათი წლის, ჯანმრთელი და მკვრივი აღნაგობის ჭარმაგი მოხუცი, რომელიც მის წინ ბალახზე იდგა. კაცს კომბინე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზონის ქვეშ ლურჯი პერანგი მოუჩანდა, რომლის საყელოსთან ლუისი ხედავდა დაჭორფლილ და ნაკეცებიან კისერს. მზისგან გარუჯული სახე ჰქონდა და უფილტრო სიგარეტს ეწეოდა. როცა ლუისმა გახედა, მოხუცმა სიგარეტს ცერი და საჩვენებელი თითი მოუჭირა და ჯიბეში კოხტად ჩაიდო. კაცმა ხელი გამოუწოდა და ცალყბად გაულიმა. ლუისს მოეწონა, რადგან შეატყო, რომ არ ჰგავდა იმ კაცს, რომელიც ნაძალადევად გაიღიმებდა.

— თუმცა, თქუენი საქმისა თქუენ იცით, დოკ, — თქვა მან. აი, ასე შეხვდა პირველად ლუისი ჯადსონ კრენდოლს, კაცს, რომელიც შემდგომში მის მამად იქცა.

3

მოხუცი ქუჩის მეორე მხრიდან აკვირდებოდა, როგორ უმკლავდებოდნენ კრიდები „გართულებულ“ პრობლემას და ახლა იმისთვის მოსულიყო, რათა გაერკვია, ხომ არ შეეძლო მათ რაიმეთი დახმარებოდა.

კრენდოლი მიუახლოვდა ლუისს, რომელსაც ბავშვი მხარზე მიეხუტებინა და გეიჯს კისერზე დააკვირდა. შემდეგ ოდნავ მიუახლოვა თავისი ზორბა, დანაოჭებული ხელი და, სანამ რეიჩელი პირს გააღებდა, რათა შესწინააღმდეგებოდა, მოხუცმა, რომელსაც ლამის გეიჯის თავისოდენა ხელი ჰქონდა, თითების ერთი მოხდენილი მოძრაობით მალევე ყველაფერი დაასრულა და ბანქოს დამრიგებელი კრუპიეს, ან მონეტების გამქრობი ილუზიონისტის სისხარტით ნესტარი წამის უსწრაფესად ხელისგულზე დაიდო.

— ო, დიდი ბიჭია, — შენიშნა მოხუცმა, — მთლად საპრიზო ადგილზე ვერ გავიდოდა, მაგრამ რაღაც მედალს ნაღდუდ დაიმსუხურებდა, ალბუთ. — ამ სიტყვებზე ლუისს სიცილი წასკდა. კრენდოლმა ეშმაკურად გაულიმა და დაამატა, — აიუჰ, დიდ ჩათლახას წამოსდებია, არა?

— რა თქვა, დედიკო? — იკითხა ეილინმა და ამ სიტყვებზე რეიჩელსაც სიცილი აუტყდა. რა თქმა უნდა, ეს ყველა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფერი საშინლად უტაქტოდ ეჩვენებოდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი კარგად წავიდა.

კრენდოლმა „ჩესტერფილდ კინგზის“ შეკვრა ამოიღო, სიგარეტის ღერი პირის ერთ კუთხეში სიამოვნებით ჩაიდო და თავი დაუქნია ოჯახს, რომლის თითოეული წევრი — გეიჯიც კი, მიუხედავად ფუტკრის ნაკბენისა — მხიარულად იცინოდა. მოხუცმა ხის ასანთის ღერი ცერა თითის ფრჩხილის დახმარებით აანთო. — *ყველა მოხუცს თავისი ხრიკები აქვს,* — გაიფიქრა ლუისმა, — *პატარ-პატარები, მაგრამ ზოგი მათგანი ძალიან კარგია.*

სიცილი უცებ შეწყვიტა და მოხუცს ხელი გაუწოდა — არა ის, რომლითაც გეიჯის სველი უკანალი ეჭირა, არამედ მეორე. — სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა, მისტერ...

— ჯად კრენდოლი, — უთხრა კაცმა და ხელი ჩამოართვა. — როგორც მივხვდი, თქვენ ექიმი ბრძანდებით.

— დიახ. ლუის კრიდი. ეს კი ჩემი მეუღლეა, რეიჩელი, ჩვენი გოგონა, ეილი. დანესტრილს კი გეიჯი ჰქვია.

— ყველას გაცნობა ძალიან სასიამოვნოა.

— სიცილი არ მინდოდა. ეს... არც ერთს არ გვინდოდა, უბრალოდ... ყველანი ცოტათი დაღლილები ვართ... ხომ გესმით.

ამ განმარტებამ კიდევ ერთხელ გულიანად გააცინა და სირცხვილი იგრძნო.

კრენდოლმა თავი დაუქნია. — რა თქმა უნდა, ასეა, — ეს თქვა, მაგრამ გაიჟღერა, როგორც: ათქუა უა, ასეა. შემდეგ რეიჩელს გახედა. — არ გინდათ ცოტა ხნით გოგონა და პატარა ბიჭი ჩვენს სახლში გადაიყვანოთ, მისუს კრიდ? კარგი იქნება, შესივება ტილოზე დაყრილი სოდით რომ ჩავაცხროთ. ჩემს მეუღლესაც გაიცნობდით. ის გარეთ თითქმის არასოდეს გამოდის. ბოლო ორი-სამი წელია ართრიტმა ძალიან შეაწუხა.

რეიჩელმა ლუისს გადახედა. მან თავი დაუქნია.

— თქვენი მხრიდან ძალიან კეთილი საქციელია, მისტერ კრენდოლ.

— ოჰ, უბრალოდ ჯადი დამიძახეთ, — უთხრა მოხუცმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უეცრად ხმამაღალი საყვირის ხმა გაისმა, რასაც ძრავას გრუხუნიც მოჰყვა და მოსახვევში დიდი ლურჯი სატვირთო გამოჩნდა.

— ო, ღმერთო, მე კიდევ გასაღებს ვერ ვპოულობ, — თქვა ლუისმა.

— არა უშავს, — მიუგო კრენდოლმა, — გასაღებების ერთი ასხმა მისტერ და მისის კლივლენდებმა მოგვცეს. ისინი აქ თქვენამდე ცხოვრობდნენ და გასაღებები კარგა თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლის წინ გადმოგვცეს. აქ დიდხანს ცხოვრობდნენ. ჯონან კლივლენდი ჩემი ცოლის საუკეთესო მეგობარი იყო. ის ორი წლის წინ დაიღუპა. შემდეგ ბილი საცხოვრებლად მოხუცთა თავშესაფარში, ორინგტონში გადავიდა. გასაღებებს აუცილებლად მოგცემთ, ახლა ისინი თქვენ გეკუთვნით.

— ძალიან გულისხმიერი ბრძანდებით, მისტერ კრენდოლ, — უთხრა რეიჩელმა.

— ისეთი არაფერი, — თქვა კაცმა, — უბრალოდ, გაგვიხარდება, ამ მხარეში ახალგაზრდების ხმას თუ გავიგონებთ. — თუმცა, მისი ეგზოტიკური შუადასავლური აქცენტის დამსახურებით, მისი ნათქვამი ყურს უცხოური სიტყვების მსგავსად ხვდებოდა და ისმოდა სიტყვები, როგორიცაა მაგალითად — ახუგაზდუბის. — ოღონდ, ქუჩას ყურადღება მიაქციეთ, მისუს კრიდ. ამ გზაზე ბევრი სატვირთო დადის.

მანქანის კარის გაღების ხმა გაისმა და მძღოლი მათკენ დაიძრა.

ეილი, რომელიც ოდნავ გვერდით გაწეულიყო, დაინტერესდა, — მამიკო, ეს რა არის?

ლუისმა, რომელიც კაცის შესახვედრად დაიძრა, უკან გამოიხედა. მდელოს კიდესთან, სადაც გაზონი მთავრდებოდა და ზაფხულის წამოზრდილი ბალახი იწყებოდა, ოთხი ფუტი[1] სიგანის ბილიკი გაწოლილიყო. ბილიკი გორაკს მიუყვებოდა, ბუჩქებსა და არყის ხეებს შორის გადიოდა და ხედვის არიდან უჩინარდებოდა.

---

[1] *სიგრძის საზომი ერთეული. 1 ფუტი = 30.48 სმ*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ალბათ, რაღაც ბილიკი, — მიუგო ლუისმა.

— ოჰ, აიუჰ, — ღიმილით თქვა კრენდოლმა, — ოდესმე ამის შესახებ აუცილებლად მოგიყვები, მის. აბა, წავიდეთ ჩვენთან და შენი ძამიკო გამოვაცოცხლოთ.

— რა თქმა უნდა, — წამოიძახა და შემდეგ აშკარად იმედიანი ხმით დაამატა, — საფუარი ხომ არ წვავს?

4

კრენდოლმა გასაღებები მოიტანა, მაგრამ ამ დროისთვის ლუისმაც იპოვა თავისი ასხმა, რომელიც ხელთათმნის უჯრის კუთხეში, სადენებს უკან დამალულიყო. როცა ლუისმა მტვირთავები სახლში შეუშვა, კრენდოლმა გადასცა დამატებითი გასაღებებიც, რომლებიც ძველებურ, გახუნებულ რგოლზე იყო ასხმული. ლუისმა მას მადლობა გადაუხადა და ასხმა დაუფიქრებლად ჩაიდო ჯიბეში. იდგა და აკვირდებოდა, როგორ შეჰქონდათ მტვირთავებს ყუთები, კარადები და მერხები — ის ყველაფერი, რასაც კრიდები ათწლიანი თანაცხოვრების განმავლობაში თავს უყრიდნენ. ამ ყველაფრის ასეთი თვალით შეხედვის შემდეგ ლუისი ამ ნივთებს ყუთებში გადანაწილებულ ნაგვად აღიქვამდა. უეცრად თავი ძალიან დათრგუნულად იგრძნო და მიხვდა, რომ ალბათ სწორედ ეს იყო ის, რასაც ადამიანები ნოსტალგიას უწოდებენ.

— თითქოს ფესვებიანად ამოგგლიჯეს და გადაგრგეს, არა? — უეცრად მის გვერდით კრენდოლის ხმა ისე მოულოდნელად გაისმა, რომ ლუისი ადგილზე ოდნავ შეხტა.

— ეს, ალბათ თქვენც გიგრძნიათ, — უთხრა ლუისმა.

— სინამდვილეში, არა. — კრენდოლმა სიგარეტს მოუკიდა — ფცცც... აენთო ასანთი საღამოს პირველ ჩრდილებში. — მამაჩემმა გზის გადაღმა ეს სახლი თავად ააშენა და ცოლიც აქ მოიყვანა თავის შვილთან ერთად. ეს შვილი 1900 წელს იყო დაბადებული და ის მე გახლდით.

— ანუ, თქვენ...

— ოთხმოცდასამი წლის ვარ, — თქვა კრენდოლმა და ლუისს შინაგანად ესიამოვნა კიდეც, კრენდოლმა ამ სიტყ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვებს მისთვის საძულველი ფრაზა — „ჩემო ახალგაზრდა მეგობარო“ რომ არ დაამატა.

— ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებით.

კრენდოლმა მხრები აიჩეჩა. — ასეა თუ ისე, მთელი ცხოვრება აქ გავატარე. ომშიც ვიყავი გაწვეული, თუმცა ევროპისკენ მიმავალ გზაზე ჩემი უკანასკნელი გაჩერება ნიუ-ჯერსიში, ბეიონში იყო. საძაგელი ადგილია. 1917-შიც საძაგელი იყო. ძალიან გამიხარდა აქ დაბრუნება. მერე ნორმაზე დავქორწინდი და რკინიგზაზე მუშაობა დავიწყე. ასე მოვედით აქამდე. თუმცა, მიუხედავად ამისა, ლადლოუში ცხოვრების განმავლობაში უამრავი რამ მინახავს. კი, ნამდვილად ასეა.

მტვირთავები ფარდულის შესასვლელთან შეჩერდნენ. მათ ახლა ხელში დიდი ყუთი ეჭირათ, რომელშიც ორკაციანი ლოგინისთვის განკუთვნილი ლეიბი იდო. — ეს სად შევიტანოთ, მისტერ კრიდ?

— ზევით... ერთი წუთით, გაჩვენებთ. — ლუისი მათკენ დაიძრა, თუმცა მალევე შეჩერდა და კრენდოლს გამოხედა.

— მიდი, მიდი, — ღიმილით მიუგო კრენდოლმა, — შენებს მე მივხედავ. დალაგდით და კარგად მოეწყვეთ. ოჯახის წევრები ხელს არ შეგიშლიან. კარგად მესმის, რა სიტუაციაცაა. საღამოს კი, იცოდე, რომ, როგორც წესი, ვერანდაზე ვჯდები და ერთ-ორ ქილა ლუდს ვსვამ. კარგ ამინდში შემოღამების ყურება მიყვარს. ხანდახან ნორმაც მიერთდება. მოკლედ, თუ სურვილი გექნება, შემოიარე.

— კარგი, შეიძლება მოვიდე, — უთხრა ლუისმა, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ ასე არ მოიქცეოდა. ამას მოჰყვებოდა არაოფიციალური (და უფასო) დიაგნოზი ნორმას ართრიტთან დაკავშირებით. მართალია, კრენდოლი მოსწონდა, სიამოვნებდა მისი ეშმაკური ღიმილი, საუბრის თავისებური მანერა, იანკური აქცენტიც, რომელსაც, სიუხეშის ნაცვლად, სასიამოვნო, თითქმის დახვეწილი ჟღერადობა ჰქონდა და, საერთოდაც, ლუისის აზრით, ის კარგი კაცი იყო, მაგრამ, ზოგადად, ექიმები ადამიანების მიმართ იოლად ივსებოდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნენ ეჭვით და, სამწუხაროა, მაგრამ საუკეთესო მეგობარიც საბოლოოდ სამედიცინო რჩევისთვის მიმართავდა ხოლმე. მოხუცების შემთხვევაში კი ამ რჩევებს დაუსრულებელი ხასიათი ჰქონდა. — თუმცა, დიდხანს ნუ დამელოდებით... საშინლად მძიმე დღე გვქონდა.

— უბრალოდ, იცოდე, რომ ჩვენთან მოსასვლელად მოსაწვევი ბარათი საჭირო არ არის, — გასძახა კრენდოლმა იმგვარი ილინცური ღიმილით, რომ თითქოს ზუსტად იცოდა ლუისის ფიქრები.

მოხუცს კიდევ ცოტა ხანს აკვირდებოდა, შემდეგ კი მტვირთავებს შეუერთდა. კრენდოლი წელში გამართული, მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა და სამოცი წლის კაცს უფრო წაგავდა, ვიდრე ოთხმოცისას. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ლუისმა მის მიმართ რაღაც მშობლიური იგრძნო.

5

მტვირთავები ცხრა საათისკენ წავიდნენ. ეილის და გეიჯს, ორივეს, მისავათებულებს თავ-თავიანთ ახალ ოთახებში ეძინათ. გეიჯს აკვანში, ეილის კი იატაკზე გაშლილ ლეიბზე, რომელიც გარშემორტყმულიყო უამრავი ყუთით, ათასობით „კრაიოლას“ პასტელის ფანქრით, რომელთა უმეტესობაც დამსხვრეული და გახარჯული იყო, „სეზამ სტრიტის“ პოსტერებით, გასაფერადებლებით, ტანსაცმლითა და, ღმერთმა იცის, კიდევ რით. რა თქმა უნდა, აქვე ეძინა ჩერჩისაც, რომელიც სადღაც ყელის სიღრმეში ღუღუნებდა. ასეთი იყო ზორბა კატის ძილისმიერი კრუტუნი.

რეიჩელი, გეიჯისგან დასვენებული, სახლში დაბორიალებდა. ხელმეორედ ამოწმებდა ლუისის მიერ ნაჩვენებ ადგილებს, მტვირთავების მიერ დაწყობილ ნივთებს და ფიქრობდა, როგორ გადააადგილებდა ამ ყველაფერს, როგორ მოაწყობდა სახლს თავის ნებაზე. ლუისს ჩეკი არ დაუკარგავს, გულის ჯიბით ინახავდა და, როცა მტვირთავებმა წასვლა დააპირეს, ხუთ ათდოლარიან კუპიურასთან ერთად ჩეკიც მათ გადასცა, შემდეგ ქვითარზე ხელი მოუწერა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაზონზე დარჩა მანამ, სანამ დიდი სატვირთო მათ სახლს გასცილდებოდა. ბიჭები ალბათ ბანგორში შეჩერდებოდნენ და რამდენიმე ქილა ლუდს მოხსნიდნენ თავს. ორიოდე ქილა ლუდი ახლა არც ლუისს აწყენდა. ამ ფიქრებმა ისევ ჯად კრენდოლი გაახსენა.

ის და რეიჩელი სამზარეულოს მაგიდასთან დასხდნენ. ლუისმა ცოლის თვალებქვეშ მუქი წრეები შენიშნა. — მოდი, დაიძინე, — უთხრა მან.

— ეს ექიმის რჩევაა? — ოდნავი ღიმილით ჰკითხა რეიჩელმა.

— დიახ.

— კარგი, — თქვა რეიჩელმა და ფეხზე წამოდგა. — დავიღალე. ღამით ალბათ გეიჯს გაელვიძება. შენ არ მოდიხარ?

ლუისი თავს იკავებდა. — არა მგონია. მოხუცმა, ქუჩის გადაღმა რომ ცხოვრობს...

— გზის. აქ ქუჩები არ არსებობს. და თან, შენ რომ საერთოდაც ჯადსონ კრენდოლი იყო, ალბათ იტყოდი — „გუზის“.

— კარგი, გუზის მეორე მხარეს მცხოვრებმა მოხუცმა ლუდზე დამპატიჟა. ალბათ მივალ. დაღლილი ვარ, მაგრამ თან იმდენად აღტაცებული, რომ ძილი გამიჭირდება.

რეიჩელმა გაუღიმა. — ეს ყველაფერი კი დამთავრდება იმით, რომ ნორმა კრენდოლი მოგიყვება, თუ სად სტკივა და როგორ ლეიბზე სძინავს ღამით.

ლუისს გაეცინა და იმაზე დაფიქრდა, თუ რა სასაცილო იყო, წლების შემდეგ ცოლებს ქმრების ფიქრების წაკითხვა რომ შეეძლოთ.

— როცა გვჭირდებოდა, ის აქ იყო, — თქვა ლუისმა, — ვფიქრობ, შემიძლია მეც ასე მოვექცე.

— ბარტერი?

ლუისმა მხრები აიჩეჩა. ზუსტად არ იცოდა, როგორ გამოეხატა, რომ კრენდოლი ძალიან მარტივად მოეწონა. — მისი ცოლი როგორია?

— ძალიან საყვარელი, — უპასუხა რეიჩელმა, — გეიჯი მის კალთაში იჯდა. ძალიან გამიკვირდა, რადგან თან საში-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნელი დღე ჰქონდა, თან ხომ იცი, უცხოებთან კონტაქტი როგორ უჭირს. მოხუცს თოჯინაც ჰქონდა, რომლითაც ეილინი ათამაშა.

— მისი ართრიტის საქმე როგორაა?

— ძალიან ცუდად.

— ეტლში ზის?

— არა... მაგრამ ნელა მოძრაობს. თითები კი...

რეიჩელმა თავისი გამხდარი ხელი გამოსწია და თითები ბრჭყალების მსგავსად მოხარა. ლუისმა თავი დაუქნია. — ასეა თუ ისე, ძალიან ნუ დაიგვიანებ, ლუ. უცხო სახლში ღამის გათევისას ყოველთვის ვღელავ.

— მალე უცხო აღარ იქნება, — უთხრა ლუისმა და აკოცა.

6

ლუისი მოგვიანებით, ოდნავ დარცხვენილი დაბრუნდა. მისთვის ნორმა კრენდოლის გასინჯვა არავის უთხოვია. როცა ქუჩა (გუზა — შეუსწორა საკუთარ თავს ღიმილით) გადაკვეთა, ქალბატონს უკვე ეძინა. ჯადი კი მწერების საწინააღმდეგო ბადის მიღმა მკრთალ სილუეტად მოჩანდა. ისმოდა ძველ ლინოლეუმზე მოჭრიალე სარწეველა სავარძლის ხმა. ლუისი ვერანდას მიუახლოვდა და ბადეგადაკრულ ჩარჩოზე ფრთხილად დააკაკუნა. კრენდოლის სიგარეტი დიდი, მშვიდობისმოყვარე ციცინათელას მსგავსად, ზაფხულის სიბნელეში გადმოფრინდა. რადიოდან დაბალ ხმაზე „რედ სოქსის“ თამაშის კომენტარი ისმოდა, ლუის კრიდს კი უცნაური, შინ დაბრუნების მსგავსი გრძნობა დაუფლებოდა.

— დოკ, — უთხრა კრენდოლმა, — მივხვდი, რომ თქვენ იქნებოდით.

— იმედია, ლუდზე არ გიხუმრიათ, — უთხრა ლუისმა და ვერანდაზე შეაბიჯა.

— ო, ლუდზე არასოდეს ვხუმრობ, — უთხრა კრენდოლმა, — კაცი, რომელიც ლუდზე ხუმრობს, ბევრ მტერს იჩენს. დაჯექით, დოკ. ყოველი შემთხვევისთვის ყინულს დავამატებ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიწრო და გრძელი ვერანდა იყო, რომელზეც მოწნული სავარძლები და სკამები იდგა. ლუისი ერთ-ერთ მათგანში ჩაჯდა და მისმა მოხერხებულობამ გააკვირვა. მარცხნივ ყინულებით ამოვსებული ჯამი იდგა, რომელშიც რამდენიმე ქილა „ბლექ ლეიბლი“ ეწყო. ლუისმა ერთი ქილა აიღო.

— გმადლობთ, — თქვა და ქილა გახსნა. პირველი ყლუპები ნამდვილი ღვთის წყალობა იყო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — წარმოთქვა კრენდოლმა, — იმედია, აქ ბედნიერად იცხოვრებთ, დოკ.

— ამინ, — თქვა ლუისმა.

— ისე, თუ კრეკერი ან რამე გინდათ, შემიძლია მოგიტანოთ. კარგა გემრიელი სავირთხეც მაქვს.

— სავირთხე?

— ჰო, ვირთხების ყველი. — მხიარულად წარმოთქვა კრენდოლმა.

— მადლობა, ლუდს ვიკმარებ.

— მაშინ ლუდს დავჯერდეთ, — კმაყოფილად ამოაბოყინა მოხუცმა.

— თქვენი ცოლი უკვე დაწვა? — ჰკითხა ლუისმა და თან გაიფიქრა, ვინ აძალებდა ამის თქმას.

— აიუჰ. ხანდახან რჩება ხოლმე, ხანდახან არა.

— ართრიტი ძალიან მტკივნეულია?

— გინახავთ უმტკივნეულო ართრიტი? — ჰკითხა კრენდოლმა.

ლუისმა თავი გააქნია.

— თუმცა, ეგუება, — თქვა კრენდოლმა, — ბევრს არ წუწუნებს. კარგი მოხუცი გოგონაა ჩემი ნორმა. — ამ სიტყვებში დიდი და უბრალო სიყვარული იგრძნობოდა. უცებ მე-15 გზაზე იმხელა სატვირთო გამოჩნდა, რომ რამდენიმე წამით ლუისმა მოპირდაპირედ მდებარე თავისი სახლის დანახვაც ველარ შეძლო. მკრთალ ნათელში ოდნავ გაირჩეოდა წარწერა ავტომანქანაზე: **ორინკო**.

— ეს რამხელა სატვირთოა, — შენიშნა ლუისმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ორინკო ორინგტონთან მდებარეობს, — უთხრა კრენ-დოლმა, — ქიმიური ნარჩენების ქარხანაა. მიდიან და მო-დიან. ნავთობის გადამზიდი ცისტერნები, ნაგვის გამტანი მანქანები და მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც დილით ბანგორში ან ბრეუვერში მიდიან და ღამით უკან ბრუნდე-ბიან. — მოხუცმა თავი გააქნია, — ეს ერთადერთია, რაც ლადლოუში არ მომწონს. ეს წყეული გზა. მთელი დღე და ღამე მიდი-მოდიან. ხანდახან ნორმასაც აღვიძებენ. ჯან-დაბა, ხანდახან მეც კი მაღვიძებენ. არადა, რომ ჩამეძინება, მკვდარივით ვარ.

ლუისმა, რომელიც მენის ამ უცნაურ პეიზაჟებს ჩიგაკოს გრუხუნთან შედარებით საოცრად მშვიდად აღიქვამდა, პა-სუხად მხოლოდ თავი დაუქნია.

— მალე არაბები ნავთობის ბერკეტებს გადაკეტავენ და მაშინ ამ გზის ყვითელ ნაპირებს აფრიკული იები მოედება. — თქვა კრენდოლმა.

— შესაძლოა ასეც მოხდეს, — თქვა ლუისმა და ქილა ას-წია, რომელიც, მისდა გასაკვირად, ცარიელი აღმოჩნდა.

კრენდოლს გაეცინა. — შემდეგს დაავლეთ, დოკ.

ლუისმა ოდნავ თავი შეიკავა და თქვა, — კარგი, მაგრამ ეს ბოლოა. შინ დროზე უნდა დავბრუნდე.

— რა თქმა უნდა. დიდი თახსირი პროცესია გადმობარ-გება, არა?

— ეგრეა, — დაეთანხმა ლუისი. შემდეგ ცოტა ხნით ჩუ-მად იყვნენ. ისეთი სასიამოვნო სიჩუმე იდგა, თითქოს ერთ-მანეთი დიდი ხნის წინ გაეცნოთ. ეს იყო ის გრძნობა, რომ-ლის შესახებაც ლუისს წიგნებში წაეკითხა, თუმცა თავად არასოდეს გამოეცადა.

ახლა ლუისს უკვე რცხვენოდა იმ ფიქრების გამო, უფასო სამედიცინო შემოწმებას რომ ეხებოდა.

ქუჩაზე ყურისწამლები ღრიალით გამოჩნდა კიდევ ერთი სატვირთო, რომლის ფარებიც ვარსკვლავებივით ანათებდა.

— სწორია, ეს მთავარი გზაა, — ჩაფიქრებულმა, თითქოს თავისთვის წარმოთქვა კრენდოლმა და სახეზე უჩვეულო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღიმილი გამოესახა. შემდეგ „ჩესტერფილდი“ ტუჩის კუთხეში მოიქცია და ცერის ფრჩხილით ასანთის ღერი აანთო. — გახსოვს ის ბილიკი, რომელზეც შენმა გოგომ იკითხა?

რამდენიმე წამით ლუისი ვერაფერს მიხვდა. იმ დღეს ეილის ბევრი სისულელე ეთქვა, სანამ ღამით დასაძინებლად დაწვებოდა, თუმცა შემდეგ გაახსენდა კარგად შეჭრილი ფართო ბილიკი, რომელიც გორაკს მიუყვებოდა და ხეებში უჩინარდებოდა.

— კი, მახსოვს. დაჰპირდით, რომ მასზე ოდესმე მოუყვებოდით.

— დიახ. მოვუყვები, — თქვა კრენდოლმა, — ეგ ბილიკი ტყეში შედის დაახლოებით მილ-ნახევარზე[1]. იქ ხშირად დადიან ადგილობრივი ბავშვები, რომლებიც მე-15 გზასთან და ცენტრალურ ტრასასთან ცხოვრობენ. ბილიკი სულ მათი გათელილია. ბავშვები მოდიან და მიდიან... ახლა უფრო ხშირად იცვლიან სამყოფელს. ჩემს ბიჭობაში ხალხი ამდენს არ მოძრაობდა. საცხოვრებელ ადგილს ამოირჩევდი და სიცოცხლის ბოლომდე მიეჯაჭვებოდი. თუმცა, ახლაც შეთანხმებული არიან და ბილიკს ყოველ გაზაფხულზე მორიგეობით კრეჭენ ხოლმე. ამიტომ მთელი ზაფხული ბილიკი კარგ მდგომარეობაშია. ისე, არა მგონია, ქალაქში მისი არსებობის შესახებ ყველა უფროსმა იცოდეს. აი, ბავშვებმა კი, თავს დავდებ, ნამდვილად იციან, საით მიდის ეგ ბილიკი.

— და საით მიდის?

— შინაური ცხოველების სასაფლაოსკენ, — მიუგო კრენდოლმა.

— შინაური ცხოველების სასაფლაო. — ფიქრებში ჩაძირული ხმით გაიმეორა ლუისმა.

— ისეთი უჩვეულო არ არის, რამდენადაც ერთი მოსმენით ჟღერს, — თქვა კრენდოლმა, სიგარეტს მოჰქაჩა და ოდნავ გადაქანდა. — ყველაფერი ამ გზის ბრალია. ბევრი ცხოველი ჰყავს შეწირული. ძირითადად ძაღლები და კატე-

[1] *სიგრძის საზომი ერთეული. 1 მილი = 1.6 კმ*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი, თუმცა ერთხელ „ორინკოს“ დიდმა სატვირთომ გაიტანა ენოტი, რომელსაც რაიდერების ბავშვები ზრდიდნენ. ეს იყო — ღმერთო... შორეულ, ალბათ 73-ში. ან იქნებ უფრო ადრეც, სანამ ენოტებისა და მოშინაურებული სკუნსების სახლში ყოლა აიკრძალებოდა.

— და ეგ რატომ აკრძალეს?

— ცოფი, — თქვა კრენდოლმა, — დღეს მენში ცოფი ძალიან არის გავრცელებული. რამდენიმე წლის წინ აქედან ოდნავ მოშორებით ერთ დიდ სენბერნარს ცოფი შეეყარა და ოთხი ადამიანი მოკლა.[1] საშინელება იყო. არადა, იმ სულელ ხალხს დროულად რომ გაეკეთებინა ვაქცინა, ეს არასოდეს მოხდებოდა. სკუნსსა და ენოტს, თუნდაც წელიწადში ორჯერ აცრა, შეიძლება მაინც არ უშველოს. თუმცა, რაიდერების ენოტს ნამდვილად უშველა და ეს იყო, როგორც ძველები იტყოდნენ, „ტკბილი ენოტი“. პირდაპირ შენთან მოვიდოდა და (ღმერთო, თან ისეთი მსუქანა იყო!) სახეს ძაღლივით აგილოკავდა. რაიდერების მამამ ვეტერინარს ენოტის კასტრირებისა და ბრჭყალების დაჭრისთვის ფულიც კი გადაუხადა. ალბათ, რა დაუჯდებოდა!

— რაიდერი ბანგორში, IBM-ის ოფისში მუშაობდა. ისინი აქედან კოლორადოში ხუთი წლის წინ გადავიდნენ. ან ექვსის... სასაცილოა იმაზე ფიქრი, რომ იმ ბავშვებს უკვე მანქანის ტარება შეუძლიათ. ნაღვლობდნენ თუ არა ენოტის გამო? ვფიქრობ, კი. მეტი რაიდერი ისე ტიროდა, რომ დედამისს შეეშინდა და ექიმთან წაიყვანა. წესით, ამ დროისთვის ეგ ამბავი უკვე უნდა გადაეტანათ, მაგრამ დავიწყებით არასოდეს დაავიწყდებათ. როცა საყვარელ ცხოველს გზაზე გაიტანენ, ეს ბავშვს არასოდეს ავიწყდება.

ლუისს ამ მომენტში გაახსენდა ეილი, რომელიც ბოლოს ამ ღამით ნახა. ეილის მალევე ჩაეძინა, მის ლეიბთან კი, იატაკზე, ჩერჩი კრუტუნებდა.

---

[1] *სავარაუდოდ, იგულისხმება ამბავი, რომელიც მოთხრობილია სტივენ კინგის 1981 წელს გამოცემულ რომანში „ქუჯო“.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჩემს გოგოს კატა ჰყავს, — თქვა ლუისმა, — უინსტონ ჩერჩილი. შემოკლებით ჩერჩის ვეძახით.

— როცა დადის, ძირს ეთრევა?

— უკაცრავად? — ლუისი ვერაფრით მიხვდა, რას გულისხმობდა კრენდოლი.

— კვერცხები ისევ აქვს თუ მოაჭერით?

— არა, — უპასუხა ლუისმა, — კასტრირება არ გაგვიკეთებია.

სინამდვილეში ჩიკაგოში ყოფნისას ეს ოდნავ პრობლემური საკითხი აღმოჩნდა. რეიჩელს უნდოდა, რომ ჩერჩისთვის კასტრირება გაეკეთებინათ და ვეტერინართან შეხვედრაც უკვე ჩაენიშნა, მაგრამ ლუისმა გააუქმებინა. ბოლომდე ამის მიზეზს ახლაც ვერ ხვდებოდა. ეს არ ყოფილა სულელური მამაკაცური სოლიდარობა მისი გოგოს ხვადი კატის მიმართ და არც ის, რომ მეზობლად მცხოვრები მსუქანი ქალი ჩერჩის მიერ გადმოყრილი ნაგვის ურნების სახურავების სწორებით შეწუხებულიყო. ეს ყველაფერი მხოლოდ დამატებითი მიზეზები იყო, ყველაზე მეტად კი ლუისს აწუხებდა რაღაც ფარული, მაგრამ ძალიან ძლიერი გრძნობა იმისა, რომ ამ მოქმედებით ჩერჩიში გაანადგურებდა რაღაც ისეთს, რასაც თავად აფასებდა. რომ კასტრაციის შემდეგ კატის მწვანე თვალებში რაღაც ჯოჯოხეთურ მზერას დაინახავდა. საბოლოოდ რეიჩელი გადაარწმუნა, რადგან ახლა საცხოვრებლად სოფლური ტიპის სახლში გადადიოდნენ, ჩერჩი აქეთ-იქით ხეტიალით მეზობლებს აღარ შეაწუხებდა და პრობლემაც მოიხსნებოდა. ახლა კი უსმენდა ჯადსონ კრენდოლს, რომელიც უხსნიდა, რომ ლადლოუში ცხოვრების დიდი ნაწილი მე-15 გზასთან გამკლავებას მოიცავდა და ჩერჩის კასტრაციაზე კითხვებს უსვამდა. *ყველაფერს ოდნავ იუმორით შეხედეთ, დოქტორო კრიდ, თქვენთვისვე უმჯობესია.*

— მე მაგ ამბავს მივხედავდი, — თქვა კრენდოლმა, ცერსა და საჩვენებელ თითს შორის სიგარეტი ჩააქრო და დაამატა, — კასტრირებული კატა აქეთ-იქით იმდენს აღარ დადის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისე კი, ხშირი ბორიალით ერთხელაც იღბალი ზურგს შეაქცევს და რაიდერების ენოტივით დაამთავრებს. ან პატარა ტიმი დესლერის კოკერ სპანიელივით. ან მისუს ბრედლის გრძელკუდა თუთიყუშივით. არა, განა თუთიყუში ქუჩაზე გადადიოდა, მაგრამ, როგორ გითხრათ, ერთხელაც აღარ გაუმართლებს, რა.

— აუცილებლად გავითვალისწინებ, — თქვა ლუისმა.

— კარგი იქნება, — მიუგო კრენდოლმა და ფეხზე წამოდგა, — აბა, ლუდი როგორ წავიდა? მგონი, მაინც ჯობს ყველს ერთი-ორი ნაჭერი ჩამოვაჭრა.

— ლუდი გათავდა, — თქვა ლუისმა და ისიც წამოდგა, — უნდა წავიდე. ხვალ დიდი დღეა.

— უნივერსიტეტში მუშაობას იწყებთ?

ლუისმა თავი დაუქნია. — სწავლა კიდევ ორი კვირა არ დაიწყება, მაგრამ მანამდე რაღაც საქმეებია მისახედი, ხომ ხვდებით?

— რა თქმა უნდა. ყველაფერი რიგზე რომ იყოს, ამისთვის წინასწარვე უნდა მოემზადოთ. — კრენდოლმა ლუისს ხელი გაუწოდა და მანაც ამ შეხებით უეცრად იგრძნო, როგორ მარტივად შეეძლო ამ მოხუცი ძვლებისთვის ეტკინა. — ნებისმიერ საღამოს შეგიძლია მოხვიდე, — უთხრა კრენდოლმა, — ალბათ ნორმას გაცნობაც გინდა. ვფიქრობ, ძალიან მოგეწონება.

— აუცილებლად, — უთხრა ლუისმა, — სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ჯად.

— ჩემთვისაც, ჩემთვისაც. აბა, დასახლდით და იქნებ აქ დიდი ხნითაც გაჩერდეთ.

— იმედია, ასე იქნება.

ლუისი არათანაბრად მოკირწყლულ ბილიკს გაუყვა და გაჩერდა გზასთან, რომელზეც ერთმანეთის მიყოლებით ბაკსპორტისკენ მიმავალმა ხუთმა სატვირთომ გაიარა. შემდეგ დამშვიდობების ნიშნად ზურგს უკან ხელი ასწია და თავისი ახალი სახლისკენ ქუჩა (გუზა — შეახსენა თავს) გადაკვეთა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სრული სიჩუმე იდგა. ეილი გაუნძრევლად იწვა, გეიჯსაც ჩვეულ პოზაში — ზურგზე ეძინა, თუმცა იმგვარად, რომ რძიანი ბოთლი ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ლუისი ცოტა ხნით გაჩერდა და ბიჭს დააკვირდა. ამ მომენტში გული სიყვარულით ისე ძლიერ აევსო, რომ მცირედი საფრთხეც კი იგრძნო. საბოლოოდ იფიქრა, ეს მონატრების ბრალი იქნებაო. ენატრებოდა მისთვის მშობლიური ჩიკაგო, იქაური ადგილები და ხალხი, რომლებიც ახლა ათასობით მილით ისე დაშორებულიყვნენ, რომ შესაძლოა, აღარც არასოდეს შეხვედროდნენ. *ხალხი ამდენს არ მოძრაობდა. საცხოვრებელ ადგილს ამოირჩევდი და სიცოცხლის ბოლომდე მიეჯაჭვებოდი.* — ნამდვილად იყო ამ სიტყვებში რაღაც სიმართლე.

შემდეგ ბავშვს მიუახლოვდა და გამოიყენა მომენტი, როცა არავინ, მათ შორის, არც რეიჩელი, არ უყურებდა. დაიხარა, გეიჯს თითები დაუკოცნა, ოდნავ ხელი მოუჭირა და ლოყაზე მიეფერა.

გეიჯს ძილში გაეღიმა და გვერდზე გადაბრუნდა.

— ტკბილად იძინე, პატარა. — უთხრა ლუისმა.

ჩუმად გაიხადა და ლოგინში თავის ნაწილზე დაწვა. ჯერ-ჯერობით მათი ლოგინი იატაკზე გაშლილ ორ მატრასს წარმოადგენდა. ლუისი გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ იცლებოდა მთელი დღის დაძაბულობისგან. რეიჩელი არ ირხეოდა. ოთახში გახსნილი ყუთები მოჩვენებებივით იყურებოდნენ.

დაძინებამდე ლუისი ერთხელ კიდევ წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა, ცალ იდაყვს დაეყრდნო და გარეთ გაიხედა. მათი ოთახი სახლის წინა მხარეს მდებარეობდა და ახლა ლუისი აქედან ხედავდა კრენდოლების ბუდეს, რომელიც უმთვარო ღამეში ბნელ სილუეტად აღმართულიყო. თუმცა, შორიდანაც მოჩანდა ოდნავ მბჟუტავი სიგარეტი. *ისევ ფეხზეა,* — გაიფიქრა ლუისმა, — *შესაძლოა, კიდევ კარგა ხანს არ დაიძინოს. მოხუცებს ძნელად ეძინებათ. ალბათ იმიტომ, რომ გუშაგები არიან.*

რას გუშაგობენ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისს ამ ფიქრებში ჩაეძინა. დაესიზმრა „დისნეი უორლდი“. თეთრ სატვირთოს მართავდა, რომელსაც ცალ მხარეს წითელი ზოლი მიუყვებოდა. მის გვერდით გეიჯი იჯდა, რომელიც სიზმარში ათი წლის იყო. სატვირთოს სალონის წინა პანელზე იჯდა ჩერჩიც, რომელიც ლუისს თავისი ბრიალა მწვანე თვალებით შეჰყურებდა. გარეთ კი, 1890-იანების მატარებლების სადგურზე, მეინ სტრიტზე, იდგა მიკი მაუსი და გარშემოკრებილ ბავშვებს ხელს ართმევდა თავისი დიდი და თეთრი მულტიპლიკაციური ხელთათმანებით.

7

შემდეგი ორი კვირა მთელი ოჯახისთვის ძალიან დაკავებული გამოდგა. ლუისი თავის ახალ სამსახურს ნელ-ნელა შეეგუა (თუმცა, სემესტრის დასაწყისში ჯერ არ შეკრებილიყო ათი ათასამდე სტუდენტი, რომელთა დიდი ნაწილი გახლდათ ალკოჰოლიკი, ნარკომანი, სოციალური პათოლოგიებით დაავადებული, დაბალი ნიშნების გამო ნერვული აშლილობის მქონე, სახლის პირველად მიტოვების გამო — დეპრესიული, ბევრიც ანორექსიანი... და როცა ყველანი ერთად საუნივერსიტეტო კამპუსში შეიკრიბებოდნენ, ეს უკვე სულ სხვა ისტორია იქნებოდა). ლუისი ცდილობდა შეჰგუებოდა უნივერსიტეტის მთავარი ექიმის პორტფელს, რეიჩელმა კი სახლის მოწყობა დაიწყო.

გეიჯი ახალ გარემოსთან შეჩვევას ცდილობდა, რასაც თან ახლდა შეჯახებები, წაქცევები და პირველად ცხოვრებაში — ღამის რეჟიმის დარღვევა, თუმცა ლადლოუში მათი ყოფნის მეორე კვირიდან კვლავ ჩვეულ ძილს დაუბრუნდა. ერთადერთი ეილი იყო, რომელიც ახალ საბავშვო ბაღში მისვლას ეჭვის თვალით უყურებდა და ძალიანაც ღელავდა. ფეთქებად სიცილს ხშირად ცვლიდა დეპრესიული და გაღიზიანებით გამოწვეული მძიმე გამოვლინებები, თუმცა რეიჩელი ამბობდა, რომ, როცა ეილი ბაღში მივიდოდა, თავადვე ნახავდა, რომ იქაურობა არც ისეთი ჯოჯოხეთური იყო, როგორც ეს თავად ეგონა. ლუისიც ფიქრობდა, რომ რეიჩელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მართალს ამბობდა, რადგან უმეტესწილად ეილი საყვარელი ბავშვი იყო.

ჯად კრენდოლთან საღამოობით ლუდის სმა ლუისისთვის უკვე ტრადიციად იქცა. იმ დროიდან, რაც გეიჯი უკვე ჩვეულ ძილის რიტმს დაუბრუნდა, ლუისმა თავისი ექვსქილიანი შეკვრით ყოველ მეორე ან მესამე ღამეს ჯადთან გადასვლა დაიწყო. გაიცნო ნორმა კრენდოლიც, რომელიც სასიამოვნო ქალი აღმოჩნდა და რომელსაც რევმატოიდური ართრიტი აწუხებდა. სწორედ ის დამპალი ბებერი რევმატოიდური ართრიტი, ამდენ მოხუც ქალსა და კაცს რომ კლავს, რომელთაც სხვა მხრივ არაფერი აწუხებთ. თუმცა, ნორმა ავადმყოფობას არ ნებდებოდა. არ უშინდებოდა ტკივილს და თეთრ დროშებს არ აფრიალებდა. დაე, მორეოდა ავადმყოფობა, თუ ამას მოახერხებდა. ლუისი ფიქრობდა, რომ მოხუცს კარგა ხუთი, მეტიც — შვიდი წლის სიცოცხლის უნარი გააჩნდა და ეს იქნებოდა სრულყოფილი, თუმცა საშინლად არასასიამოვნო რამდენიმე წელი.

მის მიერვე საკუთარი თავის მიმართ დადგენილი ჩვეულებისგან განსხვავებით, ლუისმა ნორმას მდგომარეობა გამოიკვლია და პირადი ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტებსაც გაეცნო. ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა. ერთი ის იყო, რომ გული სწყდებოდა, რადგან თავად ვერაფრით დაეხმარებოდა, თუმცა დოქტორი უეიბრიჯი, რამდენადაც ეს ნორმა კრენდოლის შემთხვევაში იყო შესაძლებელი, სიტუაციას აკონტროლებდა. მოულოდნელი შეტევებისგან თავს ვერავინ დაიზღვევდა, მაგრამ აუცილებელი იყო ცხოვრების იმ ფორმით მიღება, როგორითაც წარმოგიდგებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, პატარა რბილ კედლებიან ოთახში აღმოჩნდებოდი და „კრაიოლას“ ფანქრებით შინ გასაგზავნ წერილებს დაწერდი.

ნორმა რეიჩელსაც მოსწონდა. თავიანთ მეგობრობას კი ორივე ასვამდა ბეჭედს რეცეპტების ისეთივე ფორმით გაცვლით, როგორითაც პატარა ბიჭები ცვლიან ხოლმე ბეისბოლის ბარათებს. ეს პროცესი დაიწყო ნორმას კარგად გამომ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხვარი ვაშლის ღვეზლით და გაგრძელდა რეიჩელის ბიფ-სტროგანოვით. ნორმას ძალიან უყვარდა კრიდების ორივე ბავშვი, განსაკუთრებით, ეილი, რომელსაც „ძველი დროების სილამაზის მქონეს“ უწოდებდა. — კიდევ კარგი, არ თქვა, ბავშვი პატარა ენოტივით საყვარელიაო, — უთხრა იმ ღამით ლოგინში ლუისმა რეიჩელს და ამ სიტყვებზე ორივემ იმდენ ხანს და ისე ხმამაღლა იცინეს, რომ გვერდზე ოთახში გეიჯი გააღვიძეს.

დადგა ბაღის პირველი დღეც. ლუისმა, რომელიც უკვე კარგად მოწყობილიყო ლაზარეთსა და პოლიკლინიკაში, ერთდღიანი დასვენება აიღო (თან, ლაზარეთი უკვე ცარიელდებოდა. ბოლო პაციენტი — საზაფხულო სწავლების სტუდენტი, რომელსაც სტუდენტთა კავშირის კიბეზე ფეხი მოეტეხა, ერთი კვირის წინ გაწერა). გაზონზე იდგა რეიჩელის გვერდით, რომელსაც ხელში გეიჯი ეჭირა და აკვირდებოდა დიდ ყვითელ ავტობუსს, რომელიც მიდლ დრაივიდან უხვევდა და მათი სახლის წინ ჩერდებოდა. ავტობუსის წინა კარი გაიღო და სექტემბრის სასიამოვნო ჰაერში ბავშვების ყიჟინა გაისმა. ეილი ავტობუსისკენ დაიძრა, ერთხელ უცნაურად და შეშფოთებით უკან გამოიხედა, თითქოს იმედი ჰქონდა შეუქცევადის თავიდან აცილებისა, მაგრამ მშობლების სახეების შემხედვარე მალევე დარწმუნდა, რომ ეს ისევე გარდაუვალი იყო, როგორც ნორმა კრენდოლის ართრიტის განვითარება. ეილიმ მათ ზურგი აქცია და ავტობუსის საფეხურებზე ააბიჯა. კარები დრაკონის სუნთქვის ხმაზე დაიხურა და ავტობუსი დაიძრა.

რეიჩელს ცრემლები წასკდა.

— ღვთის გულისათვის, არ გინდა, — უთხრა ლუისმა, რომელსაც ტირილამდე თავადაც ცოტა აკლდა, — მხოლოდ ნახევარი დღით წავიდა.

— ნახევარი დღე ბევრია, — ქსუტუნით უპასუხა რეიჩელმა და უფრო ძლიერად ატირდა. ლუისი ჩაეხუტა, კმაყოფილმა გეიჯმა კი ორივე მშობელს ხელები კისრებზე შემოხვია. როგორც წესი, რეიჩელთან ერთად გეიჯიც ტიროდა ხოლმე,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. *ახლა მარტო მისი ვართ,* — გაიფიქრა ლუისმა, — *და ეს თავადაც კარგად იცის.*

ასეთივე მღელვარებით ელოდნენ ეილის დაბრუნებას. ზედმეტად ბევრ ყავას სვამდნენ და იმაზე ფიქრობდნენ, თუ რა ხდებოდა ბავშვის თავს. ლუისი გავიდა უკანა ოთახში, რომლის კაბინეტად გადაკეთებასაც აპირებდა და რომელიც ახლა ძალიან არეული იყო. ფურცლები ერთ ადგილზე მიაწყო, თუმცა მეტი არაფერი გაუკეთებია. რეიჩელმა კი მეტისმეტად ადრე დაიწყო ლანჩის მირთმევა.

როცა თერთმეტის თხუთმეტ წუთზე ტელეფონმა დარეკა, რეიჩელი ყურმილს მივარდა და სანამ მეორე ზარი გაისმებოდა, სულმოუთქმელად უპასუხა. — დიახ?! — ლუისი უკანა ოთახსა და სამზარეულოს შორის იდგა და დარწმუნებული იყო, რომ რეკავდა ეილის მასწავლებელი, რომელიც შეატყობინებდათ, რომ ბავშვი მათ გარემოში ვერ ჩაჯდა. რომ სკოლისწინა განათლების კუჭმა მისი გადამუშავება ვერ მოახერხა და უკან ამოიღო. თუმცა ტელეფონზე რეკავდა ნორმა კრენდოლი, რომლის თქმითაც, ჯადს სიმინდის ბოლო მოსავალიც აეღო და კრიდებს მისი ნაწილის თავიანთთვის წაღება შეეძლოთ. ლუისი მათთან სავაჭრო ჩანთით მივიდა და ჯადს გაუბრაზდა, რადგან მან მოსავლის აღებაში დასახმარებლად არ დაუძახა.

— უმეტესობა მაინც მომჩვარულია,— უთხრა ჯადმა.

— თუ შეიძლება, ჩემთან ასეთ სიტყვებს ნუ ხმარობ, — უთხრა ქმარს ნორმამ, რომელმაც ვერანდაზე კოკა-კოლის რეკლამიანი ლანგრით ცივი ჩაი გამოიტანა.

— მაპატიე, ძალიან ვწუხვარ, საყვარელო.

— სულაც არ წუხს, — უთხრა ნორმამ ლუისს და მძიმედ ჩამოჯდა.

— დავინახე, ეილი რომ ავტობუსში ადიოდა, — თქვა ჯადმა და „ჩესტერფილდს“ მოუკიდა.

— კარგად იქნება, — თქვა ნორმამ,— თითქმის სულ ეგრეა ხოლმე. — *თითქმის,* — გაიფიქრა ლუისმა მოქუფრულად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ, ეილი მართლაც კარგად იყო. სახლში შუადღისთვის დაბრუნდა, სახეზე თბილი ღიმილი გამოსახოდა, ლურჯი ფერის „ბაღის პირველი დღის“ კაბა გადაყვლეფილ მუხლზე გრაციოზულად შემოხვეოდა, მუხლზე კი ახალშემხმარი სისხლი დასტყობოდა. ეილის ხელში ეჭირა ნახატი, რომელზეც ორი ბავშვი, ან, შესაძლოა, ორი ამწე იყო გამოსახული. ცალ ფეხსაცმელზე თასმა შეხსნოდა, თმის სამაგრი რეზინი აღარსად ჩანდა, და ხმამაღლა ყვიროდა: „მამიკო! დედიკო! ჩვენ „მოხუცი მაკდონალდი“ ვიმღერეთ! „მოხუცი მაკდონალდი“ ვიმღერეთ! ზუსტად ისე, როგორც კარსტეირზ სტრიტის ბაღში!“

რეიჩელმა თავი მიაბრუნა ლუისისკენ, რომელიც ფანჯარასთან სავარძელზე მიწოლილიყო და კალთაში გეიჯი ჩაესვა. პატარას თითქმის ჩასძინებოდა. რეიჩელის მზერაში იყო რაღაც სევდიანი, თუმცა გვერდზე გაიხედა და ლუისმა მეტი ვერაფერი შენიშნა. წამიერად პანიკა დაეუფლა. — *ჩვენ ყველანი ვბერდებით,* — გაიფიქრა მან, — *ეს სინამდვილეა. ჩვენთვის გამონაკლისს არავინ დაუშვებს. ბავშვი იზრდება... ჩვენ კი ვბერდებით.*

ეილი მამასთან მივარდა, თავისი ახალი ნახატი აჩვენა, თან „მოხუცი მაკდონალდისა“ და მისის ბერიმენის შესახებ ერთდროულად დაიწყო მოყოლა. ჩერჩი ფეხებში ებლანდებოდა და ხმამაღლა კრუტუნებდა. ეილი კინაღამ დაეცა.

— ჩშშ, — უთხრა გოგოს ლუისმა და აკოცა. გეიჯს უკვე ეძინა და სახეზე ინტერესი და აღტაცება არ ეტყობოდა. — მოდი, პატარას დავაძინებ და მერე მომიყევი.

გეიჯი მეორე სართულზე აიყვანა. ადიოდა სექტემბრის თბილი სხივებით განათებულ კიბეზე, ხოლო როცა კიბე აამთავრა, უეცრად ისეთმა შინაგანმა წყვდიადმა მოიცვა, რომ ერთიანად გააცია. შემდეგ ბავშვი მკერდზე კიდევ უფრო მაგრად მიიხუტა, ამის გამო გეიჯი ოდნავ შეიშმუშნა და ლუისს ორივე მკლავი და ზურგი ბუსუსებით დაეფარა.

რა ხდება? — ლუისი გაოცებული, დაბნეული და შეშინებული იყო. გული გამალებით უცემდა. თავის კანი უეცრად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაუცივდა და ქალას დასაფარად ზედმეტად პატარა ეჩვენა. თვალებში ადრენალინის მოზღვავებას გრძნობდა. იცოდა, რომ ძალიან ძლიერი შიშის დროს ადამიანის თვალები მართლა წინ გამოდიოდა ქალასშიდა და სისხლის წნევის ზემოქმედებით. *რა ჯანდაბაა? მოჩვენებები? ღმერთო, მართლა რაღაც მომეჩვენა. თითქოს აქვე დერეფანში ვილაცამ გაიარა. თითქმის დავინახე.*

ქვედა სართულზე კარის ჭრაჭუნის ხმა გაისმა.

ლუის კრიდი ადგილზე შეხტა, კინაღამ წამოიყვირა და შემდეგ გაიცინა. უეჭველია, ერთ-ერთი ფსიქოლოგიური შემოტევა ჰქონდა: შიშის მოზღვავება და მეტი არაფერი. წამიერი გათიშვა. ასეთი რაღაცებიც ხდებოდა. რას ეუბნებოდა სკრუჯი[1] ჯეიკობ მარლის მოჩვენებას? — იქნებ შენ სხვა არაფერი ხარ, თუ არა მოუხარშავი კარტოფილი და საფლავიდან კი არა, ღუმლიდან მეწვიეთო. ყველაფერი სწორი იყო — ფსიქოლოგიურადაც და ფიზიოლოგიურადაც. ჩარლზ დიკენსმა, სავარაუდოდ, ეს იცოდა. არ არსებობდნენ მოჩვენებები. ყოველ შემთხვევაში, ლუისს ამის გამოცდილება არ ჰქონია. მისი საექიმო პრაქტიკის განმავლობაში არაერთი გარდაცვლილი უხილავს, მაგრამ სულების სამყაროდან არც ერთი მათგანი არ დაბრუნებულა.

გეიჯი თავის ოთახში მიიყვანა და ლოგინში ჩააწვინა, თუმცა, როგორც კი პლედი გადააფარა, ზურგზე ისევ ის უცნაური თრთოლა იგრძნო და უეცრად ბიძია კარლის „პავილიონი“ გაახსენდა. იქ არც ახალი მანქანები და ახლებური ტექნოლოგიური მიღწევების მქონე ტელევიზორები იყო და არც მინისკარიანი სარეცხი მანქანები, რომლებშიც ქაფის მაგიური მოქმედებისთვის თვალის დევნება იყო შესაძლებელი. იქ მხოლოდ თავახდილი, საიმედოდ დაფარული ნათურებით განათებული კუბოები ელაგა. ლუისის ბიძას, მამის ძმას, დამკრძალავი ბიურო ჰქონდა.

---

[1] *ებინი ზერ სკრუჯი — ჩარლზ დიკენსის 1873 წლის ნაწარმოებ „საშობაო სიმღერის“ მთავარი გმირი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღმერთო ჩემო, საიდან მოდის ეს საშინელი ფიქრები? შეეშვი, რა! დაივიწყე!

შემდეგ შვილს აკოცა და დაბლა დაეშვა, რათა ეილის ბაღის პირველი დღის ამბები მოესმინა.

8

იმ შაბათს, მას შემდეგ, რაც ეილიმ ბაღის პირველი კვირა ჩაამთავრა, სტუდენტები კი კამპუსში დაბრუნდნენ, ჯად კრენდოლმა ქუჩა გადაკვეთა და კრიდების გაზონზე შეაბიჯა. ეილი ველოსიპედიდან ახალი ჩამოსული იყო და ახლა ჭიქით ცივ ჩაის სვამდა. გეიჯი ბალახებში დაბობღავდა და ხოჭოებს აკვირდებოდა. ვინ იცის, ერთი-ორი იქნებ შემოეჭამა კიდეც. გეიჯი საკვების წარმომავლობით დიდად არ ინტერესდებოდა ხოლმე.

— ჯად, — ფეხზე წამოდგა ლუისი, — სკამს მოგიტან.

— არ გინდა, — ჯადს ჯინსის შარვალი, ფართოყელიანი სამუშაო პერანგი და მწვანე ჩექმები ეცვა. ის ახლა ეილის უყურებდა. — კიდევ გინდა გაიგო, სად მიდის ის ბილიკი, ეილი?

— დიახ! — წამოიძახა ეილიმ და თვალებანთებული მაშინვე ფეხზე წამოხტა. — ბაღში ჯორჯ ბაკმა მითხრა, რომ იქ შინაური ცხოველების სასაფლაოა. დედასაც გავაგებინე, მაგრამ მითხრა, რომ თქვენთვის დაგვეცადა, რადგან თქვენ უფრო ზუსტად იცით.

— ო, ასეა, — მიუგო ჯადმა, — და თუ შენი მშობლები წინააღმდეგი არ იქნებიან, შეგვიძლია ახლავე წავიდეთ. ოღონდ, ჩექმები ჩაიცვი, თორემ რამდენიმე ადგილზე ჭაობიანი მიწაა.

ეილი სახლში შევარდა.

ჯადს მხიარული გამომეტყველება დასტყობოდა. — იქნებ შენც წამოხვიდე, ლუის?

— წამოვალ, — უპასუხა ლუისმა და რეიჩელს გახედა, — შენ არ გინდა, საყვარელო?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მერე გეიჯი? რამდენადაც მახსოვს, ერთი მილის გზა მაინც არის.

— ზურგჩანთაში ჩავისვამ.

რეიჩელს გაეცინა. — კარგი... მაინც შენი სატარებელია, მისტერ.

ათ წუთში გავიდნენ. გეიჯის გარდა, ყველას ჩექმები ეცვა. ის კი ზურგჩანთაში იჯდა და ლუისის მხარსმიღმა თვალებგაფაციცებით აქეთ-იქით იყურებოდა. ეილი გამუდმებით წინ გარბოდა, პეპლებს დასდევდა და ყვავილებს კრეფდა.

უკანა მინდორში ბალახი წელამდე აღწევდა. ახლა აქ უკვე ოქროწკეპლაც წამოზრდილიყო — გვიანი ზაფხულის ჭორიკანა მაცნე, რომელიც ყოველწლიურად შემოდგომის მოახლოებაზე ლაყბობდა. თუმცა, ამ დღეს შემოდგომა არ იგრძნობოდა. მზე ისევ ისე ანათებდა, როგორც აგვისტოში, თუმცა აგვისტო უკვე ორი კვირის გასული იყო. იმ დროისთვის, როცა პირველ გორაკს მიაღწიეს და გაკრეჭილ გაზონს კარგა გვარიანად დაშორდნენ, ლუისს იღლიებში ოფლის დიდი რგოლები გაუჩნდა.

ჯადი შეჩერდა. თავდაპირველად ლუისი ფიქრობდა, რომ ამის მიზეზი მოხუცის გადაღლილობა იყო, მას ახლა მცირე ხნით სულის მოთქმა სურდა, მაგრამ შემდეგ მის წინ გაშლილ ხედს დააკვირდა.

— მშვენიერი ადგილია, — თქვა ჯადმა და ტიმოთელას ბალახის ღერი კბილებს შორის ჩაიდო. ლუისმა გაიფიქრა, რომ ჯადმა ამ მომენტში იანკისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობა გამოიჩინა.

— დიდებულია, — სუნთქვას ამოაყოლა რეიჩელმა და ლუისისკენ თითქმის ბრალმდებლის მზერით შებრუნდა. — შენ კი ჩემთვის ამის შესახებ არაფერი გითქვამს.

— იმიტომ, რომ თავადაც არ ვიცოდი, — ოდნავ დარცხვენით უთხრა ლუისმა. უკვირდათ, სახლსუკან, ამ გორაკზე ამოსვლის დრო რატომ ვერ გამოენახათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეილი კარგა მოშორებით წასულიყო, თუმცა ახლა უკან ბრუნდებოდა და ხედს ისიც გულწრფელი გაოცებით აკვირდებოდა. ჩერჩი მის ფეხებთან დააბიჯებდა.

გორა არ იყო მაღალი, მაგრამ არც ამის საჭიროება იგრძნობოდა. აღმოსავლეთით ხედს ხშირი ტყე ფარავდა, დასავლეთით კი, ჰორიზონტის ბოლომდე, მდინარის ხეობა გადაშლილიყო, რომელიც გვიანი ზაფხულის ოქროსფერ ნათებას მოეცვა. ყველაფერი იყო მშვიდი, წყნარი და სასიამოვნო. დღის ამ დროს გზაზე მანქანებიც კი არ ჩანდნენ. არც ერთი სატვირთო, „ორინკოს“ არც ერთი ცისტერნა.

რა თქმა უნდა, ეს ხეობა მდინარე პინებსკოტს ეკუთვნოდა. სწორედ იმ მდინარეს, რომლის დახმარებითაც თავის დროზე მეტყევეები ხეტყეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ბანგორისა და დერის მიმართულებით ეზიდებოდნენ. თუმცა, ახლა კრიდები ბანგორიდან სამხრეთით და დერიდან ჩრდილოეთით იმყოფებოდნენ. მდინარე ფართოდ და მშვიდობიანად, თითქოს საკუთარ სიზმრებში ჩაფლული, მიედინებოდა. ლუისი შორს ჰემპდენს და უინტერპორტს ხედავდა. ვარაუდობდა, რომ მდინარის პარალელური შავი გველი მე-15 გზა უნდა ყოფილიყო, რომელიც ბაკსპორტისკენ მიიკლაკნებოდა. აკვირდებოდნენ მდინარეს, ხეებს, ჩრდილოეთ ლადლოუს ბაპტისტური ეკლესიის შპილს, რომელიც ბებერი თელტების თავზე აღმართულიყო, მისგან მარჯვნივ კი მოჩანდა ოთხკუთხა ფორმის მტკიცე აგურის შენობა — სკოლა, რომელშიც ეილი დადიოდა.

მათ თავზე გაცრეცილ ჯინსისფერ ცას დინჯი მოძრაობით მიუყვებოდნენ თეთრი ღრუბლები. ირგვლივ გადაჭიმულიყო მოწითალო-მოყავისფრო მინდვრები, რომლებიც, შემოდგომის მოახლოებასთან ერთად, ჯერ ბოლომდე არ გადამხმარიყვნენ.

— მართლაც დიდებულია. — თქვა ბოლოს ლუისმა.

— ძველ დროში ამ ადგილს საგუშაგო გორას ეძახდნენ, — თქვა ჯადმა და ტუჩის კუთხეში სიგარეტი ჩაიდო, მაგრამ არ მოუკიდა, — ზოგი ახლაც ეძახის, მაგრამ ქალაქში ბევ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რი ახალგაზრდა გადმოვიდა და მათ ამის შესახებ არაფერი იციან. ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ, რომ მისი სიმაღლის გამო თითქოს გორიდან არაფერი ჩანს, მაგრამ აგერ, ნახეთ... — ჯადმა ჰაერში ხელი გაშალა და გაჩუმდა.

— აქედან ყველაფერი ჩანს, — თქვა რეიჩელმა დაბალი ხმით და ლუისისკენ შებრუნდა, — საყვარელო, ეს მიწა ჩვენ გვეკუთვნის?

და სანამ ლუისი უპასუხებდა, ჯადმა დაასწრო, — ეს თქვენი ქონების ნაწილია, დიახ.

რაც ერთი და იგივე არ არის, — გაიფიქრა ლუისმა.

ტყეში ციოდა, დაახლოებით რვა-ცხრა გრადუსით[1] დაბალი ტემპერატურა იქნებოდა. საკმაოდ ფართო, გამომშრალი წიწვებით დაფარულ ბილიკს მიუყვებოდნენ, რომლის კიდეებზეც ქოთნებსა და ყავის ქილებში დარგული ყვავილები (უმეტესობა დამჭკნარი) იდგა. უკვე მეოთხედი მილი გაევლოთ და გორაკიდან დაბლა ეშვებოდნენ, როცა ჯადმა ეილის გასძახა.

— ეს პატარა გოგოსთვის საკმაოდ კარგი ადგილია, — თბილად წარმოთქვა მოხუცმა, — მაგრამ მინდა, დედას და მამას დაჰპირდე, რომ თუ აქ მოხვალ, ბილიკიდან არასოდეს გადაუხვევ.

— გპირდებით, — მაშინვე თქვა ეილიმ, — და რატომ?

ჯადმა ლუისს გახედა, რომელიც დასასვენებლად გაჩერებულიყო. ზურგჩანთაში მჯდარი გეიჯის ტარება, მიუხედავად ძველი ფიჭვებისა და ნაძვების ჩრდილისა, მაინც რთული იყო. — იცი, ახლა სად ვართ? — ჰკითხა ჯადმა ლუისს.

ლუისი დაფიქრდა და გულში ყველა შესაძლო პასუხი უარყო: ლადლოუ, ჩრდილოეთ ლადლოუ, ჩემი სახლის უკან, მე-15 გზასა და მიდლ დრაივს შორის.

ბოლოს უბრალოდ თავი გააქნია.

---

[1] *აქ და შემდგომშიც გრადუსების აღსანიშნავად გამოყენებულია ფარენჰაიტი. 1 ფარენჰაიტი = -17.2 ცელსიუსს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადმა ზურგს უკან ცერით მიანიშნა. — იქით ბევრი რამეა. აგერ ქალაქი, იქით კიდევ ორმოცდაათ თუ მეტ მილზე გადაჭიმული ტყე და მეტი არაფერი. მაგას აქ ჩრდილოეთ ლადლოუს ტყეს ეძახიან, თუმცა ის ორინგტონის კუთხეზეც გადის და ცოტათი როკფორდსაც ეკუთვნის. საბოლოოდ კი მიდის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ იმ მიწებამდე, რომელთა დაბრუნებასაც, ადრე მოგიყევი, ინდიელები მოითხოვენ. ვიცი, ცოტა სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ აგერ მთავარ ქუჩაზე მდებარე თქვენი ლამაზი სახლი ტელეფონით, ელექტრული განათებით და საკაბელო ტელევიზიით საბოლოოდ მაინც ცივილიზაციათა გზაგასაყარზეა. სასაცილოა, მაგრამ ასეა. — შემდეგ ისევ ეილის გახედა, — მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ტყეში არასოდეს არ უნდა იარო, თორემ შეიძლება ბილიკი დაკარგო და მერე, ღმერთმა იცის, სად აღმოჩნდები.

— არ ვივლი, მისტერ კრენდოლ, — ლუისი ამჩნევდა, რომ ჯადის სიტყვებს ეილი დაეინტერესებინა, მაგრამ არ შეეშინებინა. სამაგიეროდ, ჯადს უხერხულად უყურებდა რეიჩელი და თავად ლუისიც ვერ გრძნობდა თავს კარგად. ეს ალბათ ქალაქში გაზრდილების ტყისადმი არსებულ საზოგადო შიშს უკავშირდებოდა. ლუისს ბოისკაუტების პერიოდის შემდეგ ხელში კომპასიც კი არ სჭერია. ეს კი ოცი წლის წინ იყო. არც ის ახსოვდა, თუ როგორ გაეგნო გზა ჩრდილოეთის ვარსკვლავისა და ხეზე გაზრდილი ხავსის დახმარებით ან როგორ შეეკრა მეზღვაურის კვანძი. ჯადმა ლუისს გადახედა და ოდნავ გაუღიმა. — თუმცა, 1934 წლის შემდეგ ამ ტყეში არავინ დაგვკარგვია, — თქვა მან, — ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი. ბოლოს უილ ჯეპსონი დაიკარგა და დიდად არც არაფერი დაგვკლებია. სტენი ბუშარის შემდეგ ის ბაკსპორტის მხარეში ყველაზე დიდი ლოთი იყო.

— ამბობთ, არავინ ადგილობრივებიდანო, — შენიშნა რეიჩელმა ხმით, რომელიც მთლად შინაურულად არ ჟღერდა და ლუისმა მისი აზრების წაკითხვა შეძლო: *მაგრამ ჩვენ ხომ ადგილობრივები არ ვართ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადმა პაუზა აიღო და თავი დაუქნია. — ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ ერთი ტურისტი გვეკარგება, რომელსაც ჰგონია, რომ მთავარი გზიდან ასე ახლოს ტყეში დაკარგვა შეუძლებელია. თუმცა, უსაშუელოდ ჯერ არავინ დაგვკარგვია, მისუს. ნუ ღულავთ.

— აქ ლოსები არიან? — დაფეთებულმა იკითხა რეიჩელმა და ლუისს გაეღიმა. თუ რეიჩელს დაფეთება სურდა, საამისო მიზეზს ის ყოველთვის გამოძებნიდა ხოლმე.

— რა გითხრათ, შეიძლება ლოსიც შეგხვდეთ, — თქვა ჯადმა, — მაგრამ არაფერს დაგიშავებთ, რეიჩელ. შეჯვარების პერიოდში ცოტა უფრო გამაღიზიანებლები ხდებიან, მაგრამ სხვა მხრივ, მაქსიმუმ ერთხელ გამოგხედონ. ისე კი, მასაჩუსეტსელებს ნამდვილად ერჩიან. არ ვიცი, ასე რატომ ხდება, მაგრამ ფაქტია — ლუისს ეგონა, მოხუცი ხუმრობდა, მაგრამ ჯადი სრულებით სერიოზული იყო. — ზოგჯერ თავადვე მინახავს, როგორ იჯდა ხეზე ტიპი სოგესიდან, მილტონიდან ან უესტონიდან და მთელი ხმით იგინებოდა, ქვევით კი სამგზავრო მანქანისხელა ლოსების მთელი ჯოგი მდგარა. არ ვიცი, როგორღაც მასაჩუსეტსელების სუნს ცნობენ თუ, უბრალოდ, „ელ.ელ. ბინის“ ახალი ტანსაცმელი აღიზიანებთ, მაგრამ... არ ვიცი, საინტერესო იქნებოდა თქვენს რომელიმე სტუდენტს ამ თემაზე რაღაც კვლევა ჩაეტარებინა და სტატია დაეწერა, მაგრამ რუგუც ჩანს, მაგას არავინ აპირებს.

— შეჯვარების პერიოდი რას ნიშნავს? — იკითხა ეილიმ.

— ისეთს არაფერს, დაივიწყე, — მიუგო რეიჩელმა, — არ მინდა აქ უფროსების გარეშე იარო, ეილი. — ამ სიტყვებზე რეიჩელი ლუისს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ჯადს წუხილი დაეტყო. — თქვენი შეშინება არ მინდოდა. არც თქვენი, რეიჩელ, და არც თქვენი გოგოსი. ამ ტყეში საშიში არაფერია. ესეც მშვენიერი ბილიკია, მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულობით წვიმა ატალახებს და ფეხი სრიალებს ხოლმე, მაგრამ ეს არ ეხება 55 წელს, როდესაც ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მშრალი ზაფხული იდგა და ამიტომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის წელი კარგად მახსოვს. ისე კი, ეშმაკმა დალახვროს, აქ შხამიანი სურო, ან თუთუბოც კი არ ხარობს, როგორებიც ბლომადაა, მაგალითად, სკოლის უკანა ეზოში და, ეილი, იცოდე, მათგან თავი შორს უნდა დაიჭირო, თორემ მოგიწევს შენი ცხოვრების სამი კვირა სახამებლის აბაზანებში გაატარო.

ეილიმ პირზე ხელი მიიფარა და ჩაიხითხითა.

— ეს უსაფრთხო ბილიკია, — სერიოზული სახით მიუგო ჯადმა რეიჩელს, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩანდა ამაში დარწმუნებული. — მტკიცედ მჯერა, გეიჯიც კი უპრობლემოდ გაივლიდა. აკი გითხარით, ქალაქელი ბავშვები აქ ხშირად დადიან და ბილიკსაც კარგად უვლიან, რაც მათთვის არავის უსწავლებია. უბრალოდ, ასე იქცევიან. არ მინდა ეილის შთაბეჭდილებები გავუხუნო. ყველაფერს ასე უნდა მიუდგე, ეილი. ბილიკზე იარე და ყველაფერი კარგად იქნება. გადაუხვევ და მალევე აღმოაჩენ, რომ დაიკარგე, რასაც ძებნა და მთელი ამბები მოჰყვება.

გზას განაგრძობდნენ. ლუისი გეიჯის ტარებისგან ზურგზე დროდადრო ტკივილს გრძნობდა. ტკივილი ორჯერ უფრო აუტანელი ხდებოდა, როცა ბავშვი ლუისს თმას ქაჩავდა ან თირკმლებში გამეტებით ურტყამდა ფეხს. სახის წინ კი გამაღიზიანებლად ზუზუნებდნენ კოღოები და შიგადაშიგ ლუისს სახესა და კისერზე ასხდებოდნენ.

ბილიკმა მოუხვია და გზა ძველ ფიჭვებს შორის გაგრძელდა, შემდეგ უეცრად ხშირ ბუჩქნარში შევიდა. აქ უკვე რთული სასიარულო იყო და თან მიწასაც მეტი ნესტი ეტყობოდა. ლუისის ფეხქვეშ წყალი ჭყაპუნებდა, რაღაც მომენტში კი სქელი ბალახების დახმარებით ჭაობზე გადასვლამაც მოუწიათ. მაგრამ, ეს ამად ღირდა, ისევ ხეებშორის აღმოჩნდნენ, თუმცა ლუისს უკვე ეჩვენებოდა, რომ მგზავრობის განმავლობაში გეიჯს, რაღაც მაგიის დახმარებით, კარგა ათი ფუნტი[1] მოემატებინა და, ამავე მაგიის წყალობით, ტემ-

[1] *მასის საზომი ერთეული. 1 ფუნტი = 0.45 კგ*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პერატურა კიდევ ათი გრადუსით გაზრდილიყო. ლუისს სახეზე ოფლი სდიოდა.

— როგორ ხარ, საყვარელო? — ჰკითხა რეიჩელმა, — გინდა, ცოტა ხნით მე წამოვიყვანო?

— არა, კარგად ვარ, — მიუგო ლუისმა და ასეც იყო, თუმცა მკერდში გული ჩვეულებრივზე ჩქარა უცემდა. როგორც წესი, ფიზიკურ აქტივობებს უფრო მეტად თავის პაციენტებს ურჩევდა ხოლმე, თავად კი ამას იშვიათად ასრულებდა.

ჯადი ეილისთან ერთად მიდიოდა, გოგონას ლიმონისფერი შარვალი და წითელი კოფთა ამ მოყავისფრო-მომწვანო ფერებით დაბურულ ტყეში მხიარულად კაშკაშებდა.

— ლუ, იმან იცის, სად მივდივართ? — ჰკითხა რეიჩელმა ჩუმი, შეშფოთებული ხმით.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ლუისმა.

ჯადმა ზურგს უკან მხიარულად გამოსძახა: — ბევრი აღარ დაგვრჩა. აბა... ხომ არ ჩამოგვრჩი, ლუის?

ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა ლუისმა, — *ამ ოთხმოცს გადაცილებულ კაცს, მგონი, ჯერ ოფლიც არ მოსდენია.*

— კარგად ვარ, — ოდნავ აგრესიულად გასძახა ლუისმა. სიამაყე სხვაგვარი პასუხის გაცემის ნებას არ აძლევდა. შემდეგ მაგრად დაიღრიჯა, ზურგჩანთას ხელები ჩასჭიდა და გზა განაგრძო.

კიდევ ერთ გორაკზე ავიდნენ, დაბლა დაეშვნენ, ბუჩქები და წამოზრდილი ბალახები გაიარეს, მერე კვლავ ვიწრო ბილიკზე აღმოჩნდნენ და უეცრად ზუსტად მათ წინ ლუისმა შენიშნა, რომ ეილი და ჯადი რაღაც ძველი ხისგან შეკრული თაღის ქვეშ იდგნენ. თაღზე გაეკეთებინათ შავი წარწერა, რომლის ამოკითხვაც ძლივს ხერხდებოდა, თუმცა მაინც შესაძლებელი იყო გაგერჩია:

შინაური ცხოველების სასაფლაო

მან და რეიჩელმა მზერა გაცვალეს და თვითონაც თაღის ქვეშ გაჩერდნენ, შემდეგ ინსტინქტურად ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და საქორწილოდ გამზადებულ წყვილს დაემსგავსნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დილის შემდეგ ლუისი უკვე მეორედ იყო გაოცებული. აქ მიწა წიწვებით არ დაფარულიყო. შუა ტყეში თითქმის იდეალური წრე გაეკრიჭათ, რომლის დიამეტრიც, ალბათ, ორმოცი ფუტი[1] იქნებოდა. სამი მხრიდან ეს ადგილი ერთმანეთში გადახლართული ბუჩქნარით, მეოთხე მხრიდან კი ქარის მიერ წაწვენილი ხეებით შემოსაზღვრულიყო. ხეების ამგვარ განლაგებას ერთდროულად ავბედითი და სახიფათო შესახედაობა ჰქონდა. ლუისმა გაიფიქრა, რომ თუ ამ ხეებს შორის გაძრომას შეეცდებოდა, აუცილებლად ჯავშნის მორგება დასჭირდებოდა. მინდორი სავსე იყო იმპროვიზებული საფლავებით, რომლებიც, სავარაუდოდ, აქ მოსულ ბავშვებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით გაეკეთებინათ. ნახავდით ხის მორჩენილ ნაჭრებს, დაჭეჭყილ თუნუქის ქილებს და კიდევ ბევრ რამეს. მიუხედავად ასეთი სანახაობისა, თუ მინდორს დასაწყისიდან, ანუ იმ ადგილიდან დააკვირდებოდით, სადაც ბუჩქები და ხეები მზის სხივებისთვის იბრძოდნენ, გაგაოცებდათ იმის გააზრება, რომ მთელი ეს სანახაობა ადამიანის ხელით იყო შექმნილი. აქაურობა სანიმუშო სიმეტრიით გამოირჩეოდა, ყოველი დეტალი სიკოხტავესა და რაღაც სისტემურობას ანიჭებდა სასაფლაოს, რომელსაც გარშემორტყმული ტყე თავისებურ დამატებით თვისებას მატებდა, ოღონდ არა ქრისტიანულს, არამედ წარმართულს.

— რა საყვარელი ადგილია, — თქვა რეიჩელმა ისეთი ხმით, რომ ამას აშკარად სრული სერიოზულობით ამბობდა.

— ვაუ! — წამოიძახა ეილიმ.

ლუისმა გეიჯი მხრებიდან ჩამოსვა და ბავშვი ბალახებში საფოფხად მიუშვა. როგორც კი წონა შემსუბუქდა, ზურგზე დიდი ხნის სასურველი შვება იგრძნო.

ეილი ერთი საფლავიდან მეორესთან მირბოდა და ყველას დეტალურად აკვირდებოდა. ლუისიც მას დაჰყვებოდა, რეიჩელი კი პატარას აქცევდა ყურადღებას. ჯადი ფეხებგა-

[1] *სიგრძის საზომი ერთეული. 1 ფუტი = 30.48 სმ*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაჯვარედინებული იჯდა, ზურგით ამოშვერილ ქვას მიჰყუდებოდა და ეწეოდა.

ლუისმა შენიშნა, რომ სასაფლაოზე მართლაც მოქმედებდა რაღაც სისტემურობა და საფლავები არა უწესრიგოდ, არამედ მკაცრად კონცენტრირებულ წრეებად იყო განლაგებული.

კატუნა სმაკი — ეწერა ერთ-ერთ ყუთს, ბავშვური, მაგრამ ფრთხილად გამოყვანილი ასოებით. — *დამჯერი კატა იყო.* — ქვევით კი: *1971-1974.* ოდნავ მოშორებით, გარე წრეზე მოჩანდა ბუნებრივი შიფერი, რომელსაც მკრთალად, მაგრამ მაინც საკმაოდ გასარჩევ წითელ ფერად ეწერა: *ბიფერი.* ქვევით კი პატარა ლექსი: *ბიფერ, ბიფერ, ჩემო ბიფერ, კარგი ცუგა ხარო, მენატრება შენი ნახვა, კვლავ რომ გაგვახარო.*

— ბიფერი დესლერების კოკერ სპანიელი იყო. — თქვა ჯადმა. შემდეგ მიწაში ორმო გააკეთა და შიგნით ფერფლი ჩაყარა. — შარშან გზაზე ნაგვის მანქანამ გაიტანა. კარგი ლექსი დაუწერიათ, არა?

— ნამდვილად. — დაეთანხმა ლუისი.

ზოგიერთი საფლავი ყვავილებით მოერთოთ, ზოგი ახლით, ზოგიც ძველით — თითქმის ჩამომჭკნარით. წარწერების ნახევარზე მეტი იმდენად გადაცრეცილიყო, რომ ლუისი მათ ამოკითხვას ვერ ახერხებდა. ზოგ საფლავს თეთრად შესრულებული წარწერები ამშვენებდა, რაც, ლუისის აზრით, ცარცის ან პასტელის დამსახურება უნდა ყოფილიყო.

— დედა! — წამოიყვირა ეილიმ, — აქ ოქროს თევზია! მოდი, ნახე!

— მოდი, არ მინდა, — მიუგო რეიჩელმა და ლუისს გახედა. ის წრეებს მილმა იდგა, მაგრამ მაინც უსიამოვნოდ გამოიყურებოდა. საზოგადოდ, რეიჩელი სიკვდილ-სიცოცხლის თემას ძალიან მძიმედ აღიქვამდა (ანდა ვინ აღიქვამს მას მსუბუქად?), რაც, სავარაუდოდ, მისი დაღუპული დის გამო ხდებოდა. რეიჩელის და ძალიან ახალგაზრდა დაიღუპა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ამის შესახებ ლუისმა თანაცხოვრების პირველ ეტაპზევე შეიტყო. სიკვდილის მიზეზი სპინალური მენინგიტი აღმოჩნდა. სიცოცხლის განმავლობაში ამ ავადმყოფობას, სავარაუდოდ, საშინელი ტკივილი უნდა მიეყენებინა, რეიჩელი კი ამ დროს ყველაზე მოწყვლად ასაკში იყო და ამიტომ ლუისს არც უკვირდა, რომ მისი ცოლი ამ ამბის დავიწყებას ცდილობდა.

ლუისმა თვალები დაუხამხამა და მადლიერმა რეიჩელმაც გაუღიმა.

მაღლა აიხედა. ეს ბუნებრივი მინდორი იყო და ბალახიც ამიტომ ხარობდა ასე კარგად. მზე მთელ სივრცეს საკმარისად ანათებდა, თუმცა აქაურობას მაინც ეტყობოდა მორწყვის კვალი. როგორც ჩანს, ბავშვებს აქ წყალი ქილებით ან კიდევ უფრო დიდი, სარწყავი ავზებით მოჰქონდათ. ეს უკანასკნელი კი ზურგჩანთაში მჯდომ გეიჯზე მძიმე იქნებოდა. ლუისი იმაზე ფიქრობდა, რომ უცნაური იყო ბავშვების ასეთი ხანგრძლივი ენთუზიაზმი, რადგან თავად სულ სხვაგვარად აღიქვამდა ამ ყველაფერს საკუთარი ბავშვობის გამოცდილებიდან და ეილისთან ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელსაც ენთუზიაზმის მოულოდნელად აღძრული ნაპერწკალი მალევე უქრებოდა ხოლმე.

წინ მიიწევდა და უფრო ძველ საფლავებს აკვირდებოდა. უფრო და უფრო ცოტა ფრაზის წაკითხვა ხდებოდა შესაძლებელი, მაგრამ ყოველი მათგანი შორს, წარსულიდან იხედებოდა. *აგერ ტრიქსი — მოკლული გზატკეცილზე, 1968წ. 15 სექტ.* ამავე წრეზე მიწაში ღრმად ჩაფლულიყო თეთრი დაფა, რომლის წარწერის უმეტესობაც ყინვას და თოვლს წაეშალა, თუმცა ლუისმა მაინც შეძლო ამოეკითხა: *ჩვენი შინაური კურდღლის, მარტას სამახსოვროდ, რომელიც 1965 წლის 1 მარტს დაიღუპა.* ერთი რიგის შემდეგ კი იკითხებოდა: *გენერალი პატონი* (*ჩვენი კარგი ძაღლი!* — ყვიროდა წარწერა, — *რომელიც 1958 წელს მოკვდა.* პოლინეზიას (თუ ლუისი არ ცდებოდა, ეს თუთიყუში უნდა ყოფილიყო და მი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სი სახელი დოქტორ დულიტლს[1] უკავშირდებოდა) კი უკანასკნელად „პოლის კრეკერი უნდა“ 1953 წლის ზაფხულში წარმოუთქვამს. შემდეგ ორ რიგში აღარაფერი იკითხებოდა, ცენტრიდან კარგა მოშორებით კი ლუისმა დაინახა ქვიშაქვა მასზე ამოტვიფრული ფრაზით: *ჰანა — საუკეთესო ძაღლი, რომელსაც ოდესმე უცხოვრია. 1929-1939.* მიუხედავად იმისა, რომ ქვიშაქვას რბილი ზედაპირი ჰქონდა, ამდენი წლის შემდეგ წარწერის შემონახვა უსათუოდ მისი შემქმნელის დიდი ძალისხმევის დამსახურება იყო. ლუისი წარმოიდგენდა ბავშვს, რომელიც უამრავ საათს და ენერგიას ხარჯავდა ამ რამდენიმე სიტყვის ამოსატვიფრად. უცნაურია, ასეთი სიყვარულისა და მწუხარების გამოხატვა მშობლებისა და შვილებისადმიც კი იშვიათია.

— ოჰო, ეს, როგორც ჩანს, ძალიან დიდი ხნისაა, — უთხრა მან ჯადს, რომელმაც სიგარეტის მოწევა დაამთავრა და ლუისს მიუახლოვდა.

ჯადმა თავი დაუქნია. — აქეთ მოდი, ლუის, რაღაც მინდა გაჩვენო.

ცენტრიდან მესამე რიგთან მივიდნენ. წრიული განლაგება, რომელიც წინა რიგებში შემთხვევითობას უფრო ჰგავდა, აქედან უკვე მკაცრად განსაზღვრულ სახეს იღებდა. ჯადი პატარა, წაქცეულ შიფერთან შეჩერდა. მოხუცმა ჩაიმუხლა და შიფერი გაასწორა.

— აქ სიტყვებიც ეწერა, — თქვა მან, — ჩემი ხულით ამოვტუფრე, მაგრამ ახლა გამქრალია. აქ ჩემი პირველი ძაღლი დავკრძალე. სპოტი 1914 წელს სიბერით მოკვდა. იმ წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო.

იმ ფიქრით გახალისებულმა, რომ ახლა იმყოფებოდა სასაფლაოზე, რომელიც ბევრ ადამიანთა სასაფლაოზე დიდი ასაკის იყო, ლუისმა ცენტრისკენ დაიწყო მოძრაობა და კიდევ რამდენიმე წარწერა შეამოწმა. თითქმის არაფერი

---

[1] *1967 წლის ამერიკული მხატვრული ფილმი, რომლის მთავარ გმირს ექიმ ჯონ დულიტლსაც თავის პაციენტ ცხოველებთან საუბრის უნარი გააჩნდა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იკითხებოდა, დაფების უმეტესობა კი წაქცეულიყო. ლუისმა ერთ-ერთი დაფა, რომელიც უკვე მოზრდილ ბალახს დაეფარა, წამოაყენა და მიწასთან განშორებისას წინააღმდეგობრივი ჭრაჭუნი გაისმა. უკანა მხარეს დაფაზე ხოჭოები დახოხავდნენ. ლუისს ჟრუანტელმა დაუარა და გაიფიქრა, — *ცხოველების ბუთჰილი*[1]. *არა მგონია, აქ ყოფნა მომწონდეს.*

— რამდენი ხანია, რაც ეს ადგილი არსებობს?

— უჰ, რა ვიცი, — უპასუხა ჯადმა და ხელები ჯიბეებში ღრმად ჩაიყო, — როცა სპოტი მოკვდა, უკვე არსებობდა. მაშინ ბევრი მეგობარი მყავდა და მიწის ამოთხრაშიც ისინი დამეხმარნენ. ისე, საშინელი მიწაა, ძალიან ქვიანი და სქელი. ხომ ხვდები, ძნელად ითხრება. — შემდეგ დაკოჟრილი თითი ერთ-ერთი საფლავისკენ გაიშვირა, — იქით პიტ ლავასის ძაღლი მარხია, თუ სწორად მახსოვს, იქ, მარჯვენა რიგში, ალბიონ გროტლის სამივე კატა ერთად წევს. ბებერი ფრიჩი მტრედებს ზრდიდა. მე და ალ გროტლიმ და კიდევ კარლ ჰანამ მისი ძაღლი დავმარხეთ. ეგეც აქვეა. — ჯადმა პაუზა აიღო და ჩაფიქრდა. — მათგან უკანასკნელი მე ვარ. ბიჭები ყველანი მკვდრები არიან. ყველა წავიდა.

ლუისს აღარაფერი უთქვამს. უბრალოდ, იდგა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი შინაური ცხოველების საფლავებს აკვირდებოდა.

— ქვიანი მიწა, — გაიმეორა ჯადმა, — აქ გვამების მეტი მაინც არაფრის ჩარგვას არ აქვს აზრი. არაფერი მოდის.

მოშორებით გეიჯი აკრუსუნდა, რეიჩელმა ხელში აიყვანა და მიიხუტა. — მოშივდა, — თქვა და ლუისს გახედა მზერით — „გთხოვ, წავიდეთ, რა“ — ლუ, მგონი, წასვლის დროა, არა?

— რა თქმა უნდა, — თქვა ლუისმა, ზურგჩანთა მოიკიდა და რეიჩელისკენ ზურგით შებრუნდა, რათა მას გეიჯი მარტივად ჩაესვა. — ეილი, სად ხარ? ეილი!

---

[1] *Boot Hill — ჩექმების გორა (ინგ.) — ამერიკის დასავლეთში გავრცელებული სასაფლაოების კრებითი დასახელება. აქ მე-19 საუკუნეში ძირითადად დუელში დახოცილ ადამიანებს კრძალავდნენ.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— იქ არის, — თქვა რეიჩელმა და წაქცეული ხეების გორაზე მიანიშნა, რომელზეც ეილი ისევე დაცოცავდა, როგორც სასკოლო ტრენაჟორებზე.

— ო, ძვირფასო, ჩამოდი, — გასძახა შეშფოთებულმა ჯადმა, — თორემ რომელიმე ფუღუროში ფეხი ჩაგივარდება და მუხლს იტკენ.

ეილი მიწაზე ჩამოხტა. — ოუ! — წამოიძახა და თეძოზე ხელი დაისვა. არაფერი მოსტეხოდა, მაგრამ ერთ-ერთ ხმელ ტოტზე შარვალი გაეხია.

— აჰა, სწორედ ამას ვამბობ, — თქვა ჯადმა და ბავშვს თმა აუჩეჩა, — ასეთი ძველი წაქცეული ხეები ყოველთვის სახიფათოა. არ სცადო მათზე აცოცება და სიარული. წაქცეული ხე შრება და ლპება, ამიტომ ხანდახან იკბინება კიდეც.

— მართლა? — იკითხა ეილიმ.

— მართლა. აი, კბილებივით ტოტებს ხომ ხედავ. თუ ფეხს არასწორ ადგილზე დაადგამ, ჩატყდება და ჩაგიყოლებს.

ეილიმ ლუისს ახედა: — მართალია, მამიკო?

— მგონი, მართალია, საყვარელო.

— უუხ! — წამოიძახა ეილიმ და ზურგს უკან წაქცეულ ხეს გასძახა, — რად დამიხიეთ შარვალი, ბოროტო ტოტებო!

სამივე უფროსმა გაიცინა. თუმცა, არ გასცინებია მიწაზე დაწოლილ ხეს. იწვა თავისთვის, მზის გულზე, ისევე, როგორც ბოლო ათწლეულების განმავლობაში. ლუისს ის აგონებდა რომელიმე კეთილშობილი რაინდის მიერ დიდი ხნის წინ მოკლული მონსტრის ძვლებს. ნამდვილად. ახლა მის წინ დრაკონის ძვლების გროვა ეყარა.

ეჩვენებოდა, რომ ეს წაქცეული ხეების გორა უბრალო შემთხვევითობის გამო არ იწვა შინაური ცხოველების სასაფლაოსა და ტყის იმ ნაწილს შორის, რომელსაც ჯად კრენდოლი მოგვიანებით რამდენჯერმე, დაუფიქრებლად, „ინდიელების ტყეს“ უწოდებს. ეს ყველაფერი იმდენად ტოვებდა ხელოვნების დონეზე აყვანილი შემთხვევითობის შთაბეჭდილებას, რომ თავისთავად ჩნდებოდა ეჭვი მისი ბუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნებრიობის შესახებ. *ეს...* — ამ დროს გეიჯმა ლუისს ყურზე მხიარულად მოჰქაჩა და ფიქრები გაუფანტა. სასაფლაოს მოშორდნენ და ტყეს გაუყვნენ.

შინ დაბრუნების დრო იყო.

9

მეორე დღეს მასთან შეწუხებული ეილი მივიდა. ლუისი ამ დროისთვის თავის კაბინეტში 1917 წლის „როლს-როის სილვერ გოუსთის“ მოდელზე მუშაობდა, რომელსაც 680 მცირე ზომისა და, მათ შორის, 50-ზე მეტი მოძრავი დეტალი ჰქონდა. მოდელი თითქმის დაესრულებინა და უკვე ცხადად შეეძლო წარმოედგინა მანქანის საჭესთან მჯდომი, ლივრეაში გამოწყობილი მძღოლი — მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების ინგლისელი მეეტლის პირდაპირი შთამომავალი.

მოდელებზე ათი წლის ასაკიდან გიჟდებოდა. თავიდან ბიძამისის ნაჩუქარი პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ჩქაროსნული თვითმფრინავი ჰყავდა, შემდეგ გამოსცადა „რეველის“ ყველა თვითმფრინავი, თინეიჯერობის წლებში უფრო დიდ მოდელებზეც გადავიდა, ჰქონდა ბოთლის გემების სტადიაც და საბრძოლო მანქანებისაც, რასაც იარაღების ეტაპი მოჰყვა. ეს იარაღები კი — „კოლტები“, „ვინჩესტერები“ და „ლუგერები“ მართლაც ისეთი რეალისტური იყო, რომ ლუისს დაჯერებაც კი უჭირდა. სადღაც ხუთი წლის წინ უკვე დიდი საკრუიზო გემებით დაინტერესდა. ჰყავდა „ლუზიტანია“ და „ტიტანიკი“, რომლებიც თავისი საუნივერსიტეტო კაბინეტის თაროებზე შემოელაგებინა. „ანდრეა დორია“ კი, რომლის აწყობაც ლუისს ჩიკაგოდან წამოსვლის წინადღეს დაესრულებინა, ახლა მათი მისაღები ოთახის თაროზე ტივტივებდა. ამჟამად ლუისი კლასიკურ მანქანებზე გადართულიყო და თუ წარსულის გამოცდილებას გავითვალისწინებდით, ეს მიმართულება სადღაც ხუთ წლამდე გასტანდა, მერე კი რაღაც ახალს დაეტაკებოდა. რეიჩელი მის ერთადერთ ნამდვილ გატაცებას თანამეცხედრის გულისხმიერებით უდგებოდა და, მიუხედავად ყველაფ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რისა, ქორწინების ათი წლის შემდეგ ჯერ ისევ ჰქონდა იმედი, რომ ლუისი ამ მხრივ გაიზრდებოდა. შესაძლოა, ასეთი მიდგომა მამამისის დამსახურებაც იყო, რომელსაც ლუისის და რეიჩელის ქორწინებიდან დღემდე გულწრფელად სჯეროდა, რომ მისი სიძე ჩვეულებრივი ნაძირალა იყო.

შესაძლოა, — ფიქრობდა ლუისი, — *ერთ დღესაც, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში გამეღვიძოს, ყველა მოდელი სხვენში ავიტანო და პარაპლანით დავინტერესდე.*

ეილი იმ დღეს ძალიან სერიოზული იყო.

სადღაც შორს ისმოდა საკვირაო ზარების ხმა, რომლებიც მორწმუნეებს უხმობდნენ.

— გამარჯობა, მამიკო, — თქვა ეილიმ.

— გაგიმარჯოს, კნუტო, რა მოხდა?

— უჰ, არაფერი, — უპასუხა, მაგრამ მისი სახე საპირისპიროს ამტკიცებდა, თუმცა კონკრეტულად ვერაფერს გაიგებდით. ჯერ კიდევ სველი თმა მხრებზე დაჰფენოდა. ამ ასაკში ეილის თმა უკვე უმუქდებოდა, მაგრამ ახლა მზის სხივების ფონზე ისევ ძველებურად ქერა ჩანდა. ლუისმა შენიშნა, რომ ბავშვი ყოველ კვირას კაბას იცვამდა, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში არ დადიოდნენ. — რას აწყობ?

ლუისმა, რომელიც ტალახისგან დამცავ პანელს აწებებდა, ერთ-ერთი საბურავის დისკი აიღო და თქვა, — აი, შეხედე. ხედავ R-ს? ლამაზი დეტალია, არა? იცი, თუ აქედან მადლიერების დღისთვის ჩიკაგოში დავბრუნდებით და L-1011-ით ვიმგზავრებთ, მისი საბურავის დისკზეც ზუსტად ასეთივე ასო R-ს იხილავ.

— ერთი ასოა, რა, — უთხრა ეილიმ და დისკი უკან გაუწოდა.

— „ერთი ასოა, რა“ კი არა, ეს „როლს როისის ემბლემაა“ და თუ ოდესმე „როლს როისი“ გეყოლება, შეგეძლება მას საბურავის ხუფი უწოდო. თუ ისეთი მდიდარი იქნები, რომ „როლს როისს“ იყიდი, შეგეძლება ცოტა გაიბღინძო კიდეც. როცა მე ჩემს მეორე მილიონს ვიშოვი, „როლს როის კომიშს“ ვიყიდი. მერე კი, თუგინდ შიგნით გეიჯს გული აერიოს, ამას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბუნებრივ ტყავზე მაინც იზამს. — და, საერთოდ, რაზე ფიქრობ, ეილი?

თუმცა, ეილის შემთხვევაში ეს ასეთი მარტივი არ იყო. ყოველთვის ფრთხილად ავლენდა იმას, რაც გულში ჰქონდა და მისი ხასიათის ეს ნიშანი ლუისს ძალიან მოსწონდა.

— ჩვენ მდიდრები ვართ, მამიკო?

— არა, — უთხრა ლუისმა, — მაგრამ არც შიმშილი გვემუქრება.

— ბაღში მაიკლ ბარნსი ამბობს, რომ ყველა ექიმი მდიდარია.

— მაშინ ბაღში მაიკლ ბარნსს გადაეცი, რომ ექიმთა უმეტესობა გამდიდრებას, ასე, ოცი წლის შემდეგ იწყებს, თან უნივერსიტეტის ექიმობით დიდად ვერც გამდიდრდები. საამისოდ უფრო ვიწრო სპეციალობაა საჭირო. აი, გინეკოლოგები, ორთოპედები და ნევროლოგები უფრო სწრაფად მდიდრდებიან. მე კი — ზოგად პედიატრს — საამისოდ მეტი დრო მჭირდება.

— მაშინ ვიწრო სპეციალისტი რატომ არ ხარ, მამიკო?

ლუისი ისევ თავის მოდელებზე დაფიქრდა. თუ როგორ ჩათვალა ერთ დღეს, რომ საბრძოლო თვითმფრინავების აწყობა აღარ უნდოდა, ან როგორ გამოავლინა ასეთივე მიდგომა ტანკებისა და სანგრების მოდელების მიმართ. როგორ გაიფიქრა, რომ ბოთლებში გემების მშენებლობა სრული სისულელე იყო და წარმოიდგინა, თუ როგორი იქნებოდა, ერთ დღეს რომ გადაეწყვიტა მთელი ცხოვრების განმავლობაში ბავშვების ტერფების ჩაქუჩისებრი თითების შემოწმება, ან თხელი „ლატექსის“ ხელთათმნის წამოცმა და შეშუპებებისა და გამონაყარის პოვნის მიზნით ქალის ვაგინალური არხის ვიწრო სპეციალიზაციის მქონე თითებით გასინჯვა. — უბრალოდ, არ მომეწონებოდა, — უთხრა ლუისმა.

კაბინეტში ჩერჩი შემოვიდა, შეჩერდა და ოთახს თავისი ნათელი მწვანე თვალები მოავლო. შემდეგ ჩუმად შეხტა თაროზე და ძილისთვის მოემზადა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეილიმ კატას მოღუშულმა გახედა, რაც ლუისს განსაკუთრებით ეუცნაურა. როგორც წესი, ჩერჩის დანახვაზე თვალები სიყვარულით ევსებოდა, ახლა კი აშკარა ტკივილი ეტყობოდა. ეილიმ კაბინეტში სიარული დაიწყო, გადაათვალიერა მოდელები და შემდეგ თითქმის ოფიციალური ხმით თქვა, — უჰ, რამდენი საფლავი იყო იქ, არა?

აჰა, აი, თურმე რა. — გაიფიქრა ლუისმა, თუმცა თავისი მოდელიდან თავი არ აუღია. ინსტრუქციას ჩახედა და „როლსს“ ფარები მიამაგრა.

— იქ... — თქვა ლუისმა, — ალბათ, ასზე მეტი საფლავი იქნებოდა.

— მამიკო, ცხოველები ადამიანებივით დიდხანს რატომ არ ცხოვრობენ?

— ზოგი უფრო მეტსაც ცოცხლობს, — უპასუხა ლუისმა, — მაგალითად, სპილოები და კიდევ ოკეანის კუები, რომლებიც იმდენ ხანს ცოცხლობენ, რომ ადამიანებმა ზუსტად არც კი იციან. ან... ან იციან კიდეც, მაგრამ ამის არ სჯერათ.

ეილიმ ეს სიტყვები მარტივად უარყო. — სპილოები და ოკეანის კუები შინაური ცხოველები არ არიან. შინაური ცხოველები მაგდენ ხანს ვერ ცოცხლობენ. მაიკლ ბარნსი ამბობს, რომ ძაღლის ცხოვრების ერთი წელი ადამიანის ცხრა წელს უდრის.

— შვიდს, — მექანიკურად შეუსწორა ლუისმა, — ვხვდები, რისი თქმაც გინდა, საყვარელო, და მოდი, სიმართლეს გეტყვი. თორმეტი წლის ძაღლი უკვე მოხუცი ძაღლია. იცი, არსებობს ასეთი რამ — მას მეტაბოლიზმი ჰქვია. მეტაბოლიზმი განსაზღვრავს დროს. ძირითადად მისი ფუნქცია ნივთიერებათა ცვლას უკავშირდება. აი, მაგალითად, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბევრს ჭამენ და არ სუქდებიან, — მაგალითად, დედაშენი. ზოგიც, — მაგალითად, მე, როგორც კი ზედმეტს შევჭამ, მაშინვე ვსუქდები. ესეც მეტაბოლიზმის დამსახურებაა, თუმცა ის ძირითადად მაინც ჩვენი ორგანიზმის საათის ფუნქციას ასრულებს. ძაღლებს ბევრად სწრაფი მეტაბოლიზმი აქვთ, ადამიანებს კი — შენე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლებული. ამიტომ, ჩვენ საშუალოდ სამოცდათორმეტ წელს ვცოცხლობთ, რაც, დამიჯერე, საკმაოდ დიდი დროა.

ვინაიდან ეილი ძალიან შეშფოთებული ჩანდა, ლუისს იმედი ჰქონდა, რომ მისი სიტყვები უფრო გულწრფელად ჟღერდა, ვიდრე ამას თავად ფიქრობდა. ახლა ოცდათხუთმეტი წლის იყო და უკვე ეჩვენებოდა, რომ ეს წლები თვალის დახამხამებაში გაქცეულიყო. — იცი, კუების შემთხვევაში მეტაბოლიზმი კიდევ უფრო...

— და კატები? — ჰკითხა ეილიმ და ისევ ჩერჩის გახედა.

— კატები ძაღლებზე დიდხანს ცოცხლობენ, — მიუგო ლუისმა, — ძირითადად მაინც. — ტყუილი იყო და ლუისმა ეს თავადაც იცოდა. კატები სასტიკი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ხშირად სისხლში იხოცებოდნენ, რასაც, როგორც წესი, ადამიანები ვერ ხედავდნენ. აგერ, თუნდაც ჩერჩი ავიღოთ, რომელსაც ახლა მზის გულზე ეძინა (ან თავს იმძინარებდა) — მას მშვიდობიანად ეძინა ეილის ლოგინში ყოველ ღამით და ყოველთვის საყვარელი ფისო იყო, მაგრამ ლუისს ხომ თავადვე უნახავს, როგორი მტაცებლური ჟინითა და მწვანე თვალებში ანთებული დიდი *ინტერესით* უმზერდა ჩერჩი ჩიტებს. ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, მაგრამ ლუისს ის დღეც კარგად ახსოვს, როცა ჩერჩიმ სახლში დიდი მსუქანი ვირთხა მოათრია, რომელიც, სავარაუდოდ, მათსა და მეზობელ სახლს შორის არსებულ ხეივანში დაეჭირა. მსხვერპლისთვის ჩერჩის არაფერი დაუკლია, თავადაც სულ მთლად სისხლში იყო ამოსვრილი და ამის შემყურე რეიჩელმა, რომელიც მაშინ გეიჯზე ექვსი თვის ფეხმძიმე იყო, აბაზანამდე ძლივს მიასწრო. დიახ, სასტიკი ცხოვრება და სასტიკი სიკვდილი. კატებს ხოცავდნენ ძაღლები — განა უბრალოდ დასდევდნენ და აწვალებდნენ, როგორც სატელევიზიო მულტფილმებში, არამედ საშინელი მრისხანებით უსწორდებოდნენ. კატებს ხოცავდნენ აგრეთვე კატები, მოწამლული სატყუარები და ქუჩაზე გამვლელი მანქანები. არსებობდა უამრავი კატა, რომლებიც სიბერემდე საერთოდ ვერ აღწევდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა, ეს ალბათ ისეთი თემები იყო, მათ შესახებ რომ არაფერი უნდა ეთქვა ხუთი წლის ქალიშვილისთვის, რომელიც სიკვდილის არსებობის ფაქტს სიცოცხლეში პირველად იაზრებდა.

— იმას ვგულისხმობ, — თქვა ლუისმა, — რომ ჩერჩი ახლა სამი წლისაა, შენ კი ხუთის. ანუ, შეუძლია, რომ მაშინაც ცოცხალი იყოს, როცა შენ თხუთმეტი წლის იქნები და სკოლაში ივლი. ეს საკმაოდ დიდი დროა.

— მე დიდად არ მეჩვენება, — ათრთოლებული ხმით თქვა ეილიმ, — საერთოდ არ არის დიდი.

ლუისმა შეწყვიტა მოდელზე მუშაობის იმიტაცია და ეილი თავისკენ მიიხმო. გოგონა კალთაში ჩაუჯდა. უყურებდა ლუისი და კიდევ ერთხელ გაოცებული იყო მისი სილამაზით. ახლა, ნაწყენიც კი, თითქოს კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა. მუქი კანის ფერი ჰქონდა, თითქმის ისეთი, როგორიც ლევანტელებს. ტონი ბენტონი — ერთ-ერთი ექიმი, რომელიც ლუისსთან ერთად ჩიკაგოში მუშაობდა, მას ინდიელ პრინცესას ეძახდა.

— საყვარელო, — უთხრა ლუისმა, — ჩემი ნება რომ იყოს, ჩერჩის ას წელს ვაცოცხლებდი, მაგრამ ამას მე არ ვწყვეტ.

— აბა, ვინ წყვეტს? — ჰკითხა ეილიმ და შემდეგ ზიზღით აღსავსე ხმით დაამატა, — ალბათ, ღმერთი.

ლუისმა თავი შეიკავა, რომ არ გასცინებოდა. ყველაფერი ძალიან სერიოზულად ჟღერდა. — ღმერთი, ან ვინმე სხვა, — თქვა მან, — რას იზამ, საათი მუშაობს და რაღაც მომენტში ჩერდება. ამას წინასწარ ვერავინ იტყვის.

— არ მინდა, რომ ჩერჩი იმ მკვდარ ცხოველებს დაემსგავსოს! — წამოიყვირა ეილიმ და უეცრად მრისხანედ მორთო ტირილი. — არ მინდა, რომ ჩერჩი მოკვდეს! ის ჩემი კატაა და არა ღმერთის! მას თუ უნდა, თავისი კატა იყოლიოს და მოკლას! ჩერჩის თავი დაანებოს! ის ჩემია!

სამზარეულოდან ნაბიჯების ხმა გაისმა და კაბინეტში შეშფოთებულმა რეიჩელმა შემოიხედა. ეილი ლუისის მკერდთან ქვითინებდა. საშინელება სრული სიცხადით წარმომ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დგარიყო ეილის წინ და ახლა, როცა ველარაფერს შეცვლიდა, ერთადერთ გზად ტირილიღა რჩებოდა.

— ეილი, — შვილის დამშვიდებას ცდილობდა ლუისი, — ეილი, ეილი, ჩერჩი ხომ არ მომკვდარა. აი, აგერ წევს და სძინავს.

— მაგრამ შეიძლება, რომ მოკვდეს! — ამოიქვითინა ეილიმ, — შეიძლება... ნებისმიერ დროს, — მამა ისევ მის დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ თავადაც ხვდებოდა, რომ ბავშვს ახლა სიკვდილის გარდაუვალობის, მისი ულმობლობისა და დაუმორჩილებლობის ფაქტი ატირებდა. ის არ ნებდებოდა არც პატარა გოგოს ცრემლებს, რომელთაც ეილი მისი ბოროტული მოულოდნელობის გამო ღვრიდა. და ეილი ტიროდა ადამიანის იმ დიდებული და მომაკვდინებელი შესაძლებლობის გამო, რითაც მას სიმბოლოების დასკვნებად გარდაქმნის უნარი გააჩნდა, რაც კიდევ უფრო სილრმისეულად აძრწუნებდა და თუ ნებისმიერი ცხოველი შეიძლებოდა მომკვდარიყო და დამარხულიყო, მაშინ ჩერჩიც შეიძლებოდა

(ნებისმიერ დროს!)

მომკვდარიყო და დამარხულიყო. და თუ ეს შეიძლებოდა დამართოდა ჩერჩის, მაშინ შეიძლებოდა დამართოდა დედას, მამას და მის პატარა ძმასაც. თავად მასაც კი. სიკვდილი ბუნდოვანი განსაზღვრება იყო, მაგრამ სრულებით რეალური გახლდათ შინაური ცხოველების სასაფლაᲘ.

იმ გაცრეცილი წარწერების მიღმა აშკარად არსებობდა ჭეშმარიტება, რომელსაც ნებისმიერი პატარა ბავშვი გრძნობდა.

რაღაც მხრივ, მარტივი უნდა ყოფილიყო ეილისთვის სიკვდილზე ისეთივე ტყუილის თქმა, როგორიც ლუისმა ცოტა ხნის წინ კატების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უთხრა, მაგრამ ეს ტყუილი მას აუცილებლად დაამახსოვრდებოდა და იმ დოსიეში ჩაიწერდა, რომელსაც გონებაში ყველა ბავშვი ადგენს მშობლების შესახებ. თავად ლუისსაც ახსოვდა, როგორ მოატყუა ერთხელ დედამ, ბავშვები კომბოსტოდან ჩნდებიანო და, მიუხედავად ამ ტყუილის უმანკოებისა, ლუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისს არასოდეს უპატიებია დედისთვის ამის თქმა, საკუთარი თავისთვის კი — ამ ტყუილის დაჯერება.

— საყვარელო, — უთხრა ეილის, — ხდება ხოლმე. ეს სიცოცხლის ნაწილია.

— ჰოდა, ცუდი ნაწილია! — ტიროდა ეილი, — მართლა ცუდი ნაწილია!

ლუისს ამაზე პასუხი არ გააჩნდა. ბავშვი ქვითინს განაგრძობდა, თუმცა მისი ცრემლებიც შეშრებოდა. ეს პირველი აუცილებელი ნაბიჯი იყო იმ გზაზე, რასაც გარდაუვალ ჭეშმარიტებასთან უსიამოვნო შეგუების პროცესი ერქვა.

შვილი მაგრად მიეკრა და უსმენდა საკვირაო ზარების ხმას, რომელიც სექტემბრის მინდვრებზე იფანტებოდა. ცოტა ხანში, მას შემდეგ, რაც ეილიმ ტირილი შეწყვიტა, ლუისი მიხვდა, რომ ჩერჩის მსგავსად მასაც ჩასძინებოდა.

გოგო თავის ოთახში წაიყვანა, დააწვინა და ჩავიდა სამზარეულოში, სადაც რეიჩელი რაღაც განსაკუთრებული აგრესიით ზელდა ნამცხვრის ცომს. ლუისმა გაკვირვებით შენიშნა, რომ ეილის შუადღის ძილისთვის ჯერ ძალიან ადრე იყო.

— არა, — თქვა რეიჩელმა და ჯამი მკაცრი დგაფუნით მაგიდაზე ჩამოდგა, — ამაში გასაკვირი არაფერია. მგონი, წუხელ თითქმის არ სძინებია. მესმოდა, როგორ ფხაკუნობდა და მესმოდა ჩერჩის კრუტუნიც, რომელსაც ოთახიდან გამოსვლა უნდოდა. ოთახიდან გამოსვლა კი მხოლოდ მაშინ უნდა ხოლმე, როცა ეილი მოუსვენრობს.

— ხო, მაგრამ რატომ...

— ოჰ, ვითომ არ იცი! — ბრაზიანად შესძახა რეიჩელმა, — ყველაფერი იმ წყეული სასაფლაოს ბრალია! ძალიან დადარდიანდა, ლუ! ბავშვმა პირველად ნახა სასაფლაო და... დამწუხრდა. ამის გამო კი, ძალიან მეეჭვება შენს მეგობარ ჯად კრენდოლს სამადლობელი წერილი მივწერო!

აჰა, ახლა ჩემი მეგობარიც გახდა, — გაიფიქრა ლუისმა, ერთიანად დაბნეულმა და შეწუხებულმა.

— რეიჩელ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— და არ მინდა ეილი იქ კიდევ წავიდეს.

— რეიჩელ, ჯადმა ბილიკის შესახებ სრული სიმართლე გვითხრა.

— ბილიკზე არ ვლაპარაკობ და ეს შენც ძალიან კარგად იცი, — უთხრა რეიჩელმა. შემდეგ ჯამი ისევ ხელში აიღო და კიდევ უფრო სწრაფი მოძრაობით განაგრძო ცომის ზელა. — მთელი პრობლემა იმ წყეულ ადგილშია. ეს ჩვეულებრივი პათოლოგიაა. შინაური ცხოველების სასაფლაო, სადაც ბავშვები დადიან, საფლავებს და ბილიკებს უვლიან. ჩვეულებრივი, წყეული პათოლოგია! ჰოდა, არ ვიცი, რა ჯანდაბა სჭირთ ამ ქალაქის ბავშვებს, მაგრამ არ მინდა, რომ ის ჩემს ეილისაც გადასდონ!

ლუისმა რეიჩელს დაბნეული სახით გახედა. მას ყოველთვის სჯეროდა, რომ მაშინ, როდესაც მათ ირგვლივ მეგობრებისა და ნათესავების ოჯახები ერთმანეთის მიყოლებით ინგრეოდა, მისი და რეიჩელის ოჯახი სიმყარეს ერთი საიდუმლოების დამსახურებით ინარჩუნებდა. ეს საიდუმლოება კი უკავშირდებოდა გონივრულ, მაგრამ გაუთქმელ იდეას, რომლის მიღმაც არ არსებობდა არც ერთობა, არც ოჯახი და დგებოდა მომენტი, როცა ორი ადამიანი ცალ-ცალკე, თავიანთი აზრით, რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებდა. ეს იყო მთელი საიდუმლოების არსი. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგად იცნობ შენს პარტნიორს, რადგან შიგადაშიგ (მადლობა ღმერთს, რომ „შიგადაშიგ“) აუცილებლად დგება მომენტები, როცა პარტნიორის სრულებით უცხო გამოვლინებებს ეჯახები, ისეთს, რომლის არსებობის შესახებ აქამდე ეჭვიც არ გქონდა და მოექცევი ტურბულენტურ ზონაში, რომელსაც ვერსად გაექცევი და იძულებული ხდები ამ თითქმის ფსიქოპათურ (ყოველ შემთხვევაში, შენთვის) გამოვლინებებს უბრალოდ შეეგუო. და თუ პარტნიორთან კავშირს და საკუთარ ნერვულ სისტემას აფასებ, ასეთ მომენტებში აუცილებლად ძალიან ფრთხილად მოიქცევი და შეეცდები, ყოველ ჯერზე გაიხსენო, რომ ამგვარ გამოვლინებებზე ბრაზდებიან მხოლოდ ის სულელები, რომელთაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სჯერათ, თითქოს ერთ ადამიანს ოდესმე მეორის სრულად გაცნობა შეეძლოს.

— საყვარელო, ეს უბრალოდ შინაური ცხოველების სასაფლაოა, — უთხრა ლუისმა.

— ის, თუ როგორ ტიროდა ცოტა ხნის წინ ეილი, — თქვა რეიჩელმა და ცომიანი კოვზით ხელი კაბინეტისკენ გაიშვირა, — მაფიქრებინებს, რომ ეს მისთვის უბრალოდ შინაური ცხოველების სასაფლაო არ არის. ასე არ არის? ეს დიდი იარაა, ლუი. არა, არა, ის იქ აღარასოდეს მივა. ბილიკზე არ მაქვს ლაპარაკი, მთელი პრობლემა სასაფლაოშია. ახლა ბავშვს ჰგონია, რომ ჩერჩი მოკვდება.

რამდენიმე წამის განმავლობაში ლუისს გიჟური ფიქრით ეჩვენებოდა, რომ მის წინ ისევ ეილი იდგა. უბრალოდ, ოჩოფეხებზე შემდგარიყო, დედამისის ერთ-ერთი კაბა გადაეცვა და მოერგო რეიჩელის ძალიან რეალისტური ნიღაბი. გამომეტყველება და ათრთოლებული ტუჩებიც ზუსტად ისეთივე ჰქონდა, როგორიც ეილის.

ლუისი სათანადო სიტყვების პოვნას ცდილობდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ ეს ისეთი საკითხი იყო, რომლის შესახებაც უნდა ელაპარაკათ და რომელიც ვერ ექცეოდა ვერც იმ საიდუმლოების... და ვერც მარტო დარჩენის ფარგლებში. სიტყვებს ეძებდა, რადგან ხვდებოდა, რომ რეიჩელს რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი ავიწყდებოდა, რაც თავისი მნიშვნელობით მთელ სივრცეს ავსებდა და რომლის წინაშეც სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა თვალების დახუჭვა და შეგუება.

— რეიჩელ, — უთხრა ლუისმა, — ჩერჩი მოკვდება.

რეიჩელმა ბრაზიანად გახედა. — მთავარი ეგ არ არის, — უთხრა და სიტყვები თითქოს ძალიან ფრთხილად შეარჩია. თითქოს ახლა ბავშვს უხსნიდა რაღაცას. — ჩერჩი დღეს და ხვალ არ მოკვდება...

— მე ვცადე მისთვის ეს მეთქვა...

— და არც ზეგ ან მომავალ წელს...

— ძვირფასო, ზუსტად ვერ ვიტყვით, როდის...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— რა თქმა უნდა, ვიტყვით! — დაიყვირა რეიჩელმა, — კარგად მოვუვლით, მივხედავთ და არ მოკვდება. აქ არავინ მოკვდება! საერთოდ, რა საჭიროა პატარა გოგოსთვის გულის ტკენა ისეთი თემით, რომლის გასაგებადაც ჯერ ძალიან პატარაა?

— რეიჩელ, მომისმინე.

მაგრამ რეიჩელს მოსმენა არ სურდა. ძალიან ცხარობდა. — საკმარისია სიკვდილთან შეგუება მაშინ, როცა ის საყვარელ ცხოველს, მეგობარს ან ახლობელს წაგვართმევს. საკმარისია! არ არის აუცილებელი ამ ყველაფრის... წყეულ ტურისტულ ატრაქციონად ქცევა... მომინდომეს აქ... ცხო-ო-ოველების ფორესტ ლონი[1]... — რეიჩელს ლოყებზე ცრემლები სდიოდა.

— რეიჩელ, — უთხრა ლუისმა და სცადა მხრებზე ხელები მოეხვია, მაგრამ რეიჩელმა მაშინვე მოიშორა.

— თავი გამანებე, ოდნავი წარმოდგენაც კი არ გაქვს, რას ვლაპარაკობ.

ლუისმა ამოიხვნეშა. — ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ პატარა კარში გავედი და გიგანტურ მიქსერში ჩავვარდი, — ღიმილის იმედი ჰქონდა, რომელიც ვერ მიიღო. ლუისს საპასუხოდ მხოლოდ შავად ანთებული მრისხანე თვალები უყურებდნენ. *არა უბრალოდ მრისხანე,* — გაიაზრა ლუისმა, — *ან გაბრაზებული, არამედ სრულებით გაცოფებული. დიახ, გაცოფებული.* — რეიჩელ, — უთხრა უეცრად სავსებით გაუაზრებლად, — თავად როგორ გეძინა წუხელ?

— აჰა, ესეც ასე, — ცივად წამოიძახა რეიჩელმა და ლუისს ზურგი აქცია, თუმცა ქმარმა მაინც მოასწრო ცოლის თვალებში სევდის შემჩნევა. — დიდებული მიგნებაა, დიდებული! არასოდეს იცვლები, ლუის. როცა რაღაც რიგზე ვერ არის, ეს ყოველთვის რეიჩელის ბრალია, არა? რეიჩელის და

---

[1] *მემორიალ-პარკი კალიფორნიაში. სულ ექვსი ფორესტ ლონი არსებობს და ყოველი მათგანი სასაფლაოსთან ერთად ვეტერანთა და სხვა მსგავსი ღირსშესანიშნავი დღეების აღსანიშნავი ადგილია.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისი გაუწონასწორებელი ნერვული სისტემის. მისი ზედმეტი ემოციურობის.

— უსამართლოდ ლაპარაკობ.

— ხოო? — რეიჩელმა ჯამი ისევ აიღო და დახლზე ბრახუნით დაუშვა. შემდეგ ტუჩებმოკუმულმა ცომის ცხიმით აზელა დაიწყო.

ლუისი კი დინჯად განაგრძობდა, — არაფერია ცუდი იმაში, რომ ბავშვმა სიკვდილის არსებობის შესახებ შეიტყოს. ეს გარდაუვალი ფაქტია და ვიტყოდი, აუცილებელიც. ეილის რეაქცია — მისი ცრემლები — ეს სრულებით ბუნებრივია. ეს...

— ოჰ, ძალიან ბუნებრივად ჟღერდა, კი! — მიუგო თვალებანთებულმა რეიჩელმა, — ძალიან ბუნებრივია, როცა გესმის შენი პატარა გოგოს ქვითინი და საყვარელი კატის დატირება, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალია და თავს მშვენივრად გრძნობს.

— შეწყვიტე, — უთხრა ლუისმა, — ამ კამათში აზრს ვერ ვხედავ.

— ჰოდა, მორჩა, ამის შესახებ ჩემგან სიტყვას ველარ გაიგონებ.

— კი, მაგრამ საუბარი მაინც მოგვიწევს, — ბრაზიანად თქვა ახლა უკვე ლუისმა, — შენ შენი სათქმელი გადმოალაგე. ახლა ჩემი ჯერია.

— იქ აღარასოდეს წავა. მორჩა, თემა დახურულია.

— ეილიმ უკვე შარშან გაიგო, თუ საიდან ჩნდებიან ბავშვები, — დინჯად მიუგო ლუისმა. — მაიერსის წიგნი ვაჩვენეთ და ყველაფერზე ველაპარაკეთ. გახსოვს? ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ბავშვებმა უნდა იცოდნენ, თუ საიდან ჩნდებიან ისინი.

— ეგ არაფერ შუაშია იმასთან, რაც...

— ძალიანაც შუაშია, — მკაცრად უთხრა ლუისმა, — როცა ჩემს კაბინეტში ჩერჩიზე ველაპარაკებოდი, გამახსენდა დედაჩემი, რომელმაც კითხვაზე, თუ საიდან ჩნდებიან ბავშვები, კომბოსტოს შესახებ იაფფასიანი ტყუილით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიპასუხა. ეს ტყუილი დღემდე არ დამვიწყებია. არა მგონია, ბავშვებს ოდესმე მშობლების მიერ ნათქვამი ტყუილები ავიწყდებოდეთ.

— ის, თუ საიდან ჩნდებიან ბავშვები, ძალიან განსხვავდება იმ წყეული შინაური ცხოველების სასაფლაოსგან! — შეჰყვირა რეიჩელმა, მის თვალებში კი ლუისმა ამოიკითხა: *რამდენიც გინდა, იმდენი პარალელი გააბი, ლუის, დახარჯე ამაში მთელი დღე-ღამე მანამ, სანამ არ გალურჯდები, მაგრამ იცოდე, რომ შენს ნათქვამს მაინც არ დავთანხმდები.*

მიუხედავად ამისა, ლუისმა თავისი მაინც სცადა.

— მან უკვე იცის ბავშვების შესახებ. ხოლო იმ ადგილმა, ტყეში, უბრალოდ, ცხოვრების მეორე მთავარ საკითხზე დაიფიქრა. ეს სრულებით ბუნებრივია. მე თუ მკითხავ, სიკვდილი სამყაროში ყველაზე ბუნებრივი რამ არის და...

— შეწყვიტე ეგრე ლაპარაკი! — უეცრად დაიკივლა რეიჩელმა. ეს ნამდვილი კივილი იყო და ლუისიც შეცბუნებული უკან გახტა. ამ მოძრაობით იდაყვი დახლზე მდგარ თავგახსნილ ფქვილის პაკეტს გაჰკრა და ფქვილი თეთრ ღრუბლად ჰაერში აფრიალდა.

— ო, დიდებულია, — მძიმედ გამოცრა რეიჩელმა.

ზედა სართულზე გეიჯის ტირილი გაისმა.

— ძალიან კარგი, — თქვა თავადაც ატირებულმა რეიჩელმა, — ახლა პატარაც გააღვიძე. უღრმესი მადლობა მშვიდი და უშფოთველი კვირა დილისთვის, ლუის.

ლუისმა ცოლს ხელი ჩაავლო და მიუახლოვდა. — მოდი, რაღაცას გკითხავ. ვინაიდან ვიცი, რომ ცოცხალ ორგანიზმებს ყველაფერი — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ყველაფერი შეიძლება შეემთხვათ და, როგორც ექიმმა, ეს დანამდვილებით ვიცი, მაინტერესებს, რას ეტყვი შენს შვილს, როცა მის კატას ჭირი ან ლეიკემია დაემართება? — კატები ლეიკემიისადმი არიან მიდრეკილი, იცი? — ან თუ ქუჩაზე გადასვლისას მანქანა დაარტყამს? მაშინ აპირებ მისთვის ყველაფრის ახსნას, რეიჩელ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გამიშვი, — თითქმის კბილებს შორის წაისისინა რეიჩელმა. გაანჩხლებულს უაღრესად ბრაზიანი ხმა ჰქონდა, თუმცა ამ ხმას თვალებში აღძრული მრისხანება და ტერორი ფარავდა, რომლითაც იკითხებოდა — *ამაზე ლაპარაკი არ მინდა, ლუის, და ნუ მაიძულებ.* — გამიშვი, გეიჯს უნდა მივხედო, სანამ ლოგინიდან გადმოვა...

— იმიტომ, რომ შესაძლოა, სწორედ შენ მოგიწიოს იმ მომენტში ეილისთვის ყველაფრის ახსნა. ან, შეგიძლია უთხრა, რომ ჩვენ ამის შესახებ არ ვსაუბრობთ. კარგი ადამიანები სიკვდილის შესახებ არ საუბრობენ და ისინი, უბრალოდ, მარხავენ მიცვალებულებს — უუპს! თუმცა, არა, დამარხვა არ ახსენო, თორემ ბავშვს დააკომპლექსებ.

— მეზიზღები! — ქვითინით მიუგდო რეიჩელმა და მისგან გატრიალდა.

რა თქმა უნდა, ამას მოჰყვა ლუისის შინაგანი წუხილი ნათქვამი სიტყვების გამო, მაგრამ საამისოდ უკვე გვიანი იყო.

— რეიჩელ...

გაიქცა და ხმამაღლა ატირდა. — მარტო დამტოვე. კმარა, რაც ჩაიდინე. — სამზარეულოს კართან შეჩერდა და ცრემლებდასველებული ლოყებით შემობრუნდა. — ამის ეილისთან განხილვა არ მინდა, ლუი. სერიოზულად გეუბნები. სიკვდილში არაფერია ბუნებრივი. არაფერი. და შენ, როგორც ექიმმა, ეს ყველაზე კარგად უნდა იცოდე.

რეიჩელი შეტრიალდა და წავიდა. ლუისი მარტო დარჩა სამზარეულოში, სადაც ჯერ ისევ გუგუნებდა რეიჩელის ხმის ექო. ბოლოს ლუისმა საკუჭნაოდან ცოცხი აიღო და იატაკის მოგვას შეუდგა. გაოცებული იყო იმ პრინციპული განსხვავებით, რომელიც ამდენი წლის თანაცხოვრების შემდეგ მასსა და მის ცოლში არსებობდა. არადა, მას, როგორც ექიმს, სიკვდილი ყოველთვის ყველაზე ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა, რა თქმა უნდა, დაბადების შემდეგ. არაფერში არ იყო ასეთი დარწმუნებული. არც გადასახადებში, არც ადამიანთა შორის კონფლიქტებში, საზოგადოებრივ კონფლიქ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტებშიც კი. გარდაუვალი მხოლოდ ეს ორი რამ იყო. საბოლოოდ რჩებოდა მხოლოდ საათი — მანიშნებელი, რომელიც დროის სვლას განსაზღვრავდა და რომელიც აუცილებლად ჩერდებოდა. ოკეანის კუებიც კი ოდესმე ამ კანონზომიერების მსხვერპლნი ხდებოდნენ.

— ზელდა, — ხმამაღლა წარმოთქვა ლუისმა, — ღმერთო, რა საშინელების გამოვლა მოუწევდა.

ახლა მთავარი შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: ყველაფერი თავის ნებაზე მიეშვა თუ რაიმე მოემოქმედებინა?

ლუისმა აქანდაზი ნაგვის ურნის თავზე გადმოაპირქვავა, ფქვილი მშვიდი შრიალით ურნაში ჩაეშვა და გადაყრილი მუყაოს ნაჭრები და ქილები თეთრად დაფარა.

10

— იმედი მაქვს, ეილი ძალიან არ შეწუხდა, — თქვა ჯად კრენდოლმა და, აგერ უკვე მერამდენედ, ლუისმა გაიფიქრა, რომ ამ კაცს ჰქონდა რაღაც უცნაური და საკმაოდ არასასიამოვნო შესაძლებლობა იმისა, რომ თითი ყველაზე მტკივნეულ ადგილზე დაეჭირა.

ის და ჯადი ნორმა კრენდოლთან ერთად კრენდოლების ტერასაზე ისხდნენ და ამ გრილ საღამოს ლუდის ნაცვლად ცივ ჩაის სვამდნენ. მე-15 გზა მანქანებით დატვირთულიყო. ხალხი უქმეების შემდეგ შინ ბრუნდებოდა, რაც ლუისს აფიქრებინებდა, რომ ამ გვიანი ზაფხულის პერიოდში ყველა ერთხმად თანხმდებოდა — ყოველი მომდევნო უქმე დღე შესაძლოა უკანასკნელი ყოფილიყო. თავადაც მეორე დღეს მენის უნივერსიტეტში პირველი სერიოზულად დატვირთული სამუშაო დღე ელოდა. ბოლო ორი დღის განმავლობაში სტუდენტები ქალაქში ბრუნდებოდნენ, ზოგი ორონოს ბინებში სახლდებოდა, ზოგიც საუნივერსიტეტო დორმებსა და კამპუსებს ავსებდა. შლიდნენ ლოგინებს, სანაცნობოს აახლებდნენ, იწყებდნენ წუწუნს რვა საათზე სწავლის დაწყების და, რა თქმა უნდა, სკოლის სასადილოს საკვების გამო. რეიჩელი კი დილიდან ძალიან ცივად აჩვენებდა თავს. „ცივი“ ალბათ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კიდევ არ იყო სათანადო სიტყვა. ლუისმა თითქმის დაზუსტებით იცოდა, რომ, როცა ამ საღამოს შინ დაბრუნდებოდა, ის უკვე ლოგინში იწვებოდა და გეიჯიც აუცილებლად გვერდით ეყოლებოდა. დედა-შვილი ლოგინის უკიდურეს კიდეზე დახვდებოდა ისე, რომ გეიჯი გადავარდნის საშიშროების ქვეშ იქნებოდა, ლუისისთვის კი ორსაწოლიანი ლოგინის მთელი ორი-მესამედი იქნებოდა დარჩენილი, რომელიც თავისი ზომებით დიდ, უნაყოფო უდაბნოს მოაგონებდა.

— ვთქვი, რომ იმედი მაქვს...

— ბოდიში, — გააწყვეტინა ლუისმა, — ფიქრებში წავედი. კი, ცოტა გული დასწყდა. როგორ მიხვდით?

— იცი, აქ ბუვრი ბუვშვი გვინახავს, — ჯადმა თავაზიანად მოჰკიდა ცოლს მაჯაზე თითები და გაუღიმა, — ასე არ არის, ძვურფასუ?

— უჰ, რამდენიც გინდათ, — უპასუხა ნორმა კრენდოლმა, — ჩვენ... გვიყვარს ბავშვები.

— ხანდახან მათთვის შინაური ცხოველების სასაფლაო სიკვდილთან პირველად პირისპირ შეხვედრასთან ასოცირდება, — თქვა ჯადმა, — რა თქმა უნდა, ისინი ხედავენ ადამიანთა სიკვდილს ტელევიზორში, მაგრამ იციან, რომ ეს „ვითომ-ვითომ“ ხდება, ზუსტად ისე, როგორც ძველ ვესტერნებში, შაბათის ნაშუადღევს კინოთეატრებში რომ აჩვენებდნენ ხოლმე. კინოსა და ტელევიზორის ეკრანზე ადამიანები მუცელზე ან მკერდზე ხელს მიიბჯენენ და ეცემიან. ის ადგილი კი იმ გორაკზე — რეალურია. ბევრად უფრო რეალური, ვიდრე ნებისმიერი სცენა ტელევიზორსა თუ კინოთეატრში ნანახი. ასე არ არის?

ლუისმა თავი დაუქნია და გაიფიქრა: *ეგ ჩემს ცოლს უთხარი, რა.*

— ზოგ ბავშვზე ეს საერთოდ არ მოქმედებს. ან, უბრალოდ, არ ამჟღავნებენ და ამ ემოციასაც იმ სხვა ხარახურასთან ერთად ჯიბეებში ინახავენ, რომლებსაც მხოლოდ შინმისულები ამოიცარიელებენ. ზოგს მართლა არ აქვს პრობ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლემა, მაგრამ არიან ისეთებიც, როგორიც... აი, პატარა ბიჭი ჰოლოუეი გახსოვს, ნორმა?

ნორმამ თავი დაუქნია. მის ჭიქაში ყინულის კუბი აჩხარუნდა. მოხუცს მკერდზე ეკიდა სათვალე, რომელშიც ოდნავ აირეკლებოდა ქუჩაზე მიმავალი მანქანების შუქი. — ისეთი კოშმარები ესიზმრებოდა, — თქვა ნორმამ, — მიწიდან ამოსულ გვამებს ხედავდა და კიდევ რა ვიცი, რას აღარ. მერე ძაღლი მოუკვდა — მგონი, მოწამლული სატყუარა შეჭამა. მეტი ვერაფერი გაიგეს. ასე არ იყო, ჯად?

— ჰო, მოწამლული სატყუარა, — თავის დაქნევით მიუგო ჯადმა, — აიუჰ, უმეტესობა სწორედ ეგრე ფიქრობდა. ეს ამბავი 1925 წელს მოხდა. ბილი ჰოლოუეი, ალბათ, ათი წლის იქნებოდა. მერე შტატის სენატორობა უნდოდა, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამდე მიაღწია, მაგრამ ბოლოს წააგო. ეგ ზუსტად კორეის ომის წინ მოხდა.

— მან და მისმა მეგობრებმა ძაღლს ნამდვილი დაკრძალვა მოუწყვეს, — გაიხსენა ნორმამ, — ჩვეულებრივი, ქუჩის ძაღლი იყო, მაგრამ ძალიან უყვარდა. მახსოვს, რომ იმ კოშმარების გამო მისი მშობლები ამის წინააღმდეგები იყვნენ, მაგრამ დაკრძალვა მაინც შედგა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ორმა უფროსმა ბიჭმა თავად შეკრა კუბო. ასე არ იყო, ჯად?

ჯადმა თავი დაუქნია და ცივი ჩაი მოსვა. — ჰო, დინი და დენა ჰოლებმა, — თქვა მან, — და კიდევ ის, სახელი აღარ მახსოვს, ბილის მეგობარი რომ იყო. მგონი, ერთ-ერთი ბოუი. მიდლ დრაივზე რომ ბოუები ცხოვრობდნენ, ხომ გახსოვს, ნორმა, ძველ სახლში.

— კი! — აღტაცებით წამოიძახა ნორმამ ისე, თითქოს გუშინ მომხდარ ამბავს იხსენებსო... და შესაძლოა, მის გონებაში ასეც იყო. — ბოუი იყო! ალანი ან ბარტი.

— ან, შესაძლოა, კენდალი, — თქვა ჯადმა, — რა მნიშვნელობა აქვს. ძალიან კარგად მახსოვს, რომ გვარიანად იკამათეს, თუ ვინ წაიღებდა კუბოს. ძაღლი დიდი არ იყო და ორი კაციც თავს აუვიდოდა, მაგრამ ჰოლები ირწმუნე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდნენ, რომ ეს მისია მათ უნდა შეესრულებინათ, როგორც ტყუპს — ანუ, ერთნაირებს და კუბოს დამამზადებლებს. ბილი კი ამბობდა, რომ ბოუზერი — ასე ერქვა ძაღლს — მხოლოდ მას უნდა წაეყვანა, ვინც ძაღლს კარგად იცნობდა. — მამა ამბობს, რომ კუბო მხოლოდ ახლო მეგობრებს მიაქვთ ხოლმე, — ეს იყო მისი არგუმენტი, — და არა ვიღაც დურგლებს.

ამ სიტყვებზე ჯადს და ნორმას გულიანად გაეცინათ. გაეღიმა ლუისსაც.

— უკვე თითქმის ჩხუბამდე იყვნენ მისულები, როცა ბილის და — მენდი ჰოლოუეი სახლიდან გამოვიდა და ბრიტანიკას მეოთხე ტომი გამოიტანა, — თქვა ჯადმა, — მათი მამა სტივენ ჰოლოუეი მაშინ ბაკსპორტის ბანგორის მხარეში ერთადერთი ექიმი იყო, ლუის. ლადლოუში მაშინ ენციკლოპედიის ყიდვას სხვა ვერავინ გასწვდებოდა.

— ელექტროენერგიაც სახლში პირველად მაგათ შეიყვანეს, — ჩაერთო ნორმა.

— მოკლედ, მოიწევს მათკენ ეს რვა წლის მენდი აღტაცებით და კაბის ფრიალით და ხელში უშველებელი წიგნი უჭირავს. ბილი და ბოუის ბავშვი — მაინც მგონია, რომ კენდალი უნდა ყოფილიყო, რომელიც 1942-ის დასაწყისში პენსაკოლაში საბრძოლო თვითმფრინავების წვრთნის დროს ჩამოვარდა და დაიწვა — უკვე ჰოლების საცემად ემზადებოდნენ და ამ გზით აპირებდნენ კუბოს ტარების პრივილეგიის მოპოვებას.

ლუისმა ხითხითი დაიწყო, მალე უფრო ახმაურდა და ისევ რეიჩელის ისტერიკამდე მისული არგუმენტები გაახსენდა.

— ჰოდა, ეს გოგო ამბობს, — მოიცათ! მოიცათ! ამას შეხედეთ! და ბიჭები ყველანი ჩერდებიან. ჩერდებიან და ენციკლოპედიას უყურებენ, ამის დედაც!

— ჯად! — გამაფრთხილებლად შესძახა ნორმამ.

— მაპატიე, ძვირფასო, ხომ იცი, ხანდახან თავს ველარ ვიკავებ.

— ჰო, ვიცი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჰოდა, შლის ენციკლოპედიას სიტყვა „დაკრძალვა-ზე“ და ბიჭებს დედოფალ ვიქტორიას დაკრძალვის ფოტოს აჩვენებს, პროცესიას უამრავი ადამიანი მიჰყვება, ზოგიც, უბრალოდ, თავჩაღუნული დგას და ელოდება. მენდი კი ამ-ბობს: აქ წერია, რომ დაკრძალვის ცერემონიის დროს იმ-დენმა ადამიანმა შეიძლება ატაროს კუბო, რამდენსაც ამის სურვილი ექნება.

— და ასე შეთანხმდნენ? — იკითხა ლუისმა.

— გაგიკვირდება და კი. ბოლოს კუბოს სადღაც ოცამდე ბავშვი მიაცილებდა და რომ შეგეხედა, მართლა იმ ფოტოს ჰგავდნენ ენციკლოპედიიდან. ერთი ეგ არის, მაღალი ქუ-დები და ტანსაცმელზე ფუშფუშები აკლდათ. პროცესიას მენდი განაგებდა. ბავშვები რიგში ჩააყენა და თითოეულს თითო ყვავილი — ბაბუაწვერა, გვირილა, ან კიდევ რაღაც სხვა მისცა. ისე, სიმართლე გითხრა, სულ ვფიქრობდი, მენ-დი ჰოლოუეი კონგრესში რომ არ აირჩიეს, ამით ქვეყანამ ბევრი დაკარგა. — შემდეგ ჯადს მაგრად გაეცინა და თავი გადააქნია, — მოკლედ, ასე დასრულდა ბილის კოშმარები შინაური ცხოველების სასაფლაოს ირგვლივ. ძაღლი გამო-იგლოვა და ბედს შეეგუა. კაცმა რომ თქვას, ჩვენც, ყველანი, ასე არ ვიქცევით?

ლუისს ისევ რეიჩელი გაახსენდა.

— თქვენი ეილიც გადაიტანს, — თქვა ნორმამ და სკამ-ზე შესწორდა, — ალბათ ფიქრობთ, რომ აქ მე და ჯადი მხო-ლოდ სიკვდილზე ვლაპარაკობთ. კი, უკვე საკმაოდ მოხუ-ცები ვართ, მაგრამ არა მგონია იმ სტადიაში ვიყოთ, როცა მხოლოდ სიკვდილსა და საფლავებზე ლაპარაკობენ.

— არა, რა თქმა უნდა, არა, როგორ გეკადრებათ, — თქვა ლუისმა.

— მაგრამ, საზოგადოდ, სიკვდილზე საუბარი ცუდი არა მგონია. დღესდღეობით არ ვიცი... თითქოს, ამაზე ლაპარაკი აღარავის უნდა. ტელევიზორშიც კი აღარ აჩვენებენ, რად-გან თვლიან, რომ ბავშვებზე უარყოფითად მოქმედებს. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი კრძალავს ახლობელს და-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხურული კუბოთი, რათა მიცვალებულს აღარ შეხედონ და აღარ დაემშვიდობონ. თითქოს... თითქოს ხალხს სიკვდილის არსებობის დავიწყება უნდა.

— და ამის პარალელურად ყველგან გაიყვანეს საკაბელო ტელევიზია და ყველა ფილმში გვიჩვენებენ, — ჯადმა პაუზა აიღო და ნორმას გადახედა, შემდეგ ყელი ჩაიწმინდა, — გვიჩვენებენ, თუ რით არიან დაკავებული ადამიანები მაშინ, როცა ფანჯრებზე ფარდებს ჩამოაფარებენ. უცნაურია, როგორ იცვლება ყველაფერი თაობიდან თაობამდე, არა?

— დიახ, — თქვა ლუისმა, — ალბათ ასეა.

— რას იზამ, ახლა სხვა დროა, — თქვა ჯადმა და ეს თითქმის ბოდიშივით გამოუვიდა, — ჩვენს დროში სიკვდილთან უფრო ახლოს ვიყავით. მსოფლიო ომის შემდეგ გვქონდა ეპიდემიის შემთხვევები, ქალები მშობიარობისას იხოცებოდნენ, ბავშვებს კი ციებ-ცხელებები და ინფექციები ხოცავდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს დღევანდელ ექიმებს უკვე რაღაც მაგიური უნარები განუვითარდათ. მაშინ, მე და ნორმა რომ ახალგაზრდები ვიყავით, თუ კიბო გქონდა, ეს გარანტირებულ სიკვდილს ნიშნავდა. არანაირი რადიაციული მკურნალობა 1920-იან წლებში არ არსებობდა. ორი ომი, მკვლელობები, თვითმკვლელობები...

შემდეგ ისევ გაჩუმდა.

— ჩვენ სიკვდილს ვიცნობდით როგორც მეგობარს და როგორც მტერს, — თქვა ბოლოს ჯადმა, — ჩემი ძმა პიტი 1912 წელს აპენდიციტით მოკვდა. მაშინ პრეზიდენტი ტაფტი იყო. პიტი, ეს თოთხმეტი წლის ბიჭი, ბეისბოლს ქალაქში ყველაზე კარგად თამაშობდა. მაშინ კოლეჯებში სიკვდილის შესახებ არაფერი ისწავლებოდა და არც ამის საჭიროება არსებობდა. სიკვდილი, უბრალოდ, შენთან სახლში მოდიოდა, გესალმებოდა და ხანდახან შენთან ერთად ვახშმობდა. იყო შემთხვევები, როცა იმასაც ცხადად გრძნობდი, თუ როგორ გკბენდა ტრაკზე. — ამჯერად ნორმას მისთვის შენიშვნა არ მიუცია. ამის სანაცვლოდ მხოლოდ უსიტყვოდ დააქნია თავი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი წამოდგა, გაიზმორა. — უნდა წავიდე. ხვალ დიდი დღეა.

— ხო, აი, ნამდვილი ატრაქციონი ხვალიდან გეწყება, არა? — ჯადიც წამოდგა და როცა დაინახა, რომ ნორმაც წამოდგომას ცდილობდა, ხელი შეაშველა. ნორმა სახის დაღრეჯით წამოიმართა.

— ამაღამ ძალიან შეგაწუხათ? — ჰკითხა ლუისმა.

— ისე რა.

— როცა დაწვებით, რამე ცხელი დაიდეთ.

— კი, ყოველთვის ეგრე ვშვრები ხოლმე, — უპასუხა ნორმამ, — და ლუის... ეილის გამო არ შეშინდეთ. ახლა სხვა მრავალი შთაბეჭდილების ქვეშ მოექცევა, ახალ მეგობრებს გაიჩენს და სულ მალე დაავიწყდება ეგ ძველი ადგილი. შეიძლება ერთ დღეს თავის მეგობრებთან ერთადაც დაბრუნდეს იქ და ფიცრები შეასწოროს, ბალახები და ყვავილები მორწყას. ხშირად იქცევიან ხოლმე ბავშვები ასე. ეილიც შეეგუება და მიხვდება, რომ ამ ყველაფერში საშიში არაფერია.

ჩემს ცოლს ეგ ნაღდად არ მოეწონება.

— ხვალ საღამოს მოდი და მომიყევი, კოლეჯში პირველი დღე როგორ ჩაივლის. მერე თუ არ დაგეზარება, კრიბეჯშიც გაგანადგურებ.

— იქნებ მანამდე ჯერ კარგად დაგათრო და იქით გაგანადგურო?

— დოკ, — ღრმა გულწრფელობით მიმართა ჯადმა, — თუ ოდესმე მივხვდი, რომ კრიბეჯში ვინმე მანადგურებს, იმ დღესვე ვაღიარებ, რომ შენნაირ მოყვარულებთანაც კი აღარ მაქვს შანსი.

მოხუცებს სიცილი აუვარდათ, ლუისი კი კიბეზე დაეშვა და გვიანი ზაფხულის სიბნელეში თავისი სახლისკენ გაუყვა გზას.

რეიჩელს გეიჯთან ერთად ეძინა და ლოგინის თავის მხარეს ისე მოხრილიყო, თითქოს სამყაროსგან განცალკევებას ცდილობდა. ლუისს იმედი ჰქონდა, რომ რეიჩელი ამ წყენას მალე დაივიწყებდა. მათ აქამდეც ჰქონიათ კამათი და უთან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხმოებები, მაგრამ ეს — ეილის ცრემლებისა და მისი კითხვების გამო ატეხილი ჩხუბი — თითქოს ყველაზე მძიმე შემთხვევა იყო. თავად ლუისიც თავს ერთდროულად უბედურად და გაბრაზებულად გრძნობდა. ზუსტად ისიც კი არ იცოდა, შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი თავად უნდა გადაედგა თუ არა. ყველაფერი უაზროდ ეჩვენებოდა ამ გრიგალად ქცეული მცირედი ნიავის გამო. ლუისი უკვე შიშობდა, რომ რამდენიმე ასეთი გრიგალი სამომავლოდ საკმარისი იქნებოდა მათი ქორწინებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მისაყენებლად, რის შემდეგაც, ალბათ, მოხდებოდა ის, რის შესახებაც აქამდე ის და რეიჩელი მხოლოდ გაზეთებიდან ან მეგობრებისგან („იცი, მგონი ვიდრე სხვისგან გაიგებ, უმჯობესია, ეს ისევ მე გითხრა, ლუ, მე და მეგი დაშორებას ვაპირებთ...“) იგებდნენ.

ლუისმა ჩუმად გაიხადა, მაღვიძარა დილის ექვსზე დააყენა, შემდეგ შხაპი მიიღო, გაიპარსა და სანამ კბილებს გაიხეხავდა, ერთი აბი „როლეიდი“ მიიღო. როგორც ჩანს, ნორმას ცივმა ჩაიმ გულძმარვა გამოიწვია. თუმცა, შესაძლოა, ეს იმ სცენის ბრალიც იყო, რომელიც ლუისმა საძინებელში იხილა. რეიჩელი ლოგინის უკიდურეს კიდეზე იწვა ისე, რომ მაქსიმალურად მოსცილებოდა ლუისის ტერიტორიას. — *ყველაფერს ტერიტორია განსაზღვრავს,* — რაღაც ასეთი არ ასწავლეს კოლეჯში ისტორიის გაკვეთილებზე?

ყველაფერი გეგმის მიხედვით გააკეთა, უკვე ძილის დრო იყო და ლუისიც ლოგინში იწვა, მაგრამ არ ეძინებოდა. უბრალოდ, იწვა და რეიჩელის და გეიჯის ტანდემში სუნთქვას უსმენდა. გენერალი პატონი. ჰანა — საუკეთესო ძაღლი, რომელსაც ოდესმე უცხოვრია. ჩვენი შინაური კურდღელი მარტა... შემდეგ ეილი, მისი მრისხანება. — არ მინდა, რომ ჩერჩი მოკვდეს!.. ის ჩემი კატაა და არა ღმერთის! მას თუ უნდა, თავისი კატა იყოლიოს და მოკლას! — ამას მოჰყვა რეიჩელის ამავე დონის მრისხანების გახსენება. — შენ, როგორც ექიმმა, ეს ყველაზე კარგად უნდა იცოდე... ნორმა კრენდოლის სიტყვები იმის შესახებ, რომ თითქოს ადამიანებს სიკვდილის დავიწყება სურთ... და ჯადი, მისი საზარლად თავდაჯე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რებული საუბარი, რომელიც სხვა ეპოქიდან მოისმოდა და ხანდახან შენთან ერთად ვახშმობდა. იყო შემთხვევები, როცა იმასაც ცხადად გრძნობდი, თუ როგორ გკბენდა ტრაკზე.

ამ ხმებს შეერწყა დედამისის ხმა, რომელმაც ექვსი წლის ლუის კრიდს ბავშვების გაჩენის შესახებ ტყუილი უთხრა, სამაგიეროდ, სიმართლე გაანდო თორმეტი წლის ასაკში, როცა მისი ბიძაშვილი რუთი სულელურ ავარიაში დაიღუპა. მამამისის მანქანით მიდიოდა, როცა დაეჯახა ბავშვი, რომელსაც საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის ტრაქტორის გასაღები ეპოვა და ტრაქტორით გასეირნება გადაეწყვიტა, თუმცა გვიანლა მიმხვდარიყო, რომ არ იცოდა, როგორ დაემუხრუჭებინა. თავად ეს ბავშვი სულ ოდნავ დაშავდა, ბიძია კარლის „ფეარლაინი“ კი ერთიანად დაიჭეჭყა. — ის ვერ მოკვდებოდა, — პასუხობდა ლუისი დედის ნათქვამს. ესმოდა სიტყვები და წინადადებები, მაგრამ აზრს ვერ აყალიბებდა. — ანუ როგორ? რას ნიშნავს, მოკვდა? რას გულისხმობ? — მერე ამას ემატებოდა შემდეგი ფიქრი: *ვინ დაკრძალავს მას?* მართალია, რუთის მამას, ლუისის ბიძას, საკუთარი დამკრძალავი ბიურო ჰქონდა, მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი გოგოს დაკრძალვა? დაბნეულობას შიში ემატებოდა და ლუისის თავში პასუხგაუცემელ კითხვად ფორმირდებოდა. დაახლოებით ისეთად, როგორიც იყო, მაგალითად, თავსატეხი იმის შესახებ, თუ *ვინ სჭრის თმას ქალაქის დალაქს?*

— ალბათ მაგ საქმეს დონი დონაჰიუ მიხედავს, — უპასუხა დედამ. თვალები ტირილისგან ასწითლებოდა. ამ მომენტში მას თითქმის ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა. — ის ბიძაშენის საუკეთესო მეგობარია სამსახურში. მაგრამ, ოჰ, ლუის... საწყალი რუთი... მომხდარს ვერ ვიჯერებ. მოდი, ჩემთან ერთად ილოცე, ლუის! მოდი, რუთისთვის ილოცე. დამეხმარე.

შემდეგ ორივენი სამზარეულოს იატაკზე მუხლებზე დაეშვნენ და ლოცვა დაიწყეს. იმ დროს, როცა ლუისი მიხვდა, რომ დედა რუთ კრიდის სულის ცხონებისთვის ლოცულობ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, საბოლოოდ გაიაზრა, რომ გოგოს სხეული უკვე აღარ არსებობდა. შემდეგ კი თვალდახუჭულმა საზარელი სცენა წარმოიდგინა: რუთი მის მეცამეტე დაბადების დღის წვეულებაზე მოდის, ფოსოებიდან გადმოკარკლული თვალები ლოყებზე ეკიდება, თმაში კი ლურჯი მიწის კვალი აქვს შერჩენილი. ეს სცენა ლუისს შემზარავი საშინელებით და, ამავდროულად, სასტიკი, მომაკვდინებელი სიყვარულის გრძნობით ავსებს.

და ამ მომენტში ლუისმა ცხოვრებაში ყველაზე მძაფრი აგონიით წამოიყვირა, — ის ვერ მოკვდებოდა! დედა, ის ვერ მოკვდებოდა! მე ის მიყვარს!

დედის პასუხი კი გაისმა ყრუდ და მაინც აშკარა სურათებად: ნოემბრის ცის ქვეშ გაშლილ გადამხმარ მინდვრებად, გვერდებშემომჭკნარ და მიმოფანტულ ვარდის ფურცლებად, ხავსით და ჭუჭყით დაფარულ ცარიელ აუზებად.

— ის მოკვდა, ძვირფასო. მორჩა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ასეა. რუთი აღარ არის.

ლუისს გააჟრჟოლა და გაიფიქრა, — *მოკვდა, მორჩა, მეტი რა გითხრას?*

უეცრად ლუისი მიხვდა, თუ რატომ ვერ იძინებდა ახალ სახლში ახალი სამსახურის პირველი დღის წინ და რატომ ვერ იშორებდა თავიდან წარსულის აჩრდილებს.

ლოგინიდან წამოდგა, კიბისკენ დაიძრა, თუმცა უეცრად დერეფანს ეილის ოთახამდე გაუყვა. ბავშვს უშფოთველად, ოდნავ პირღიას ეძინა და ეცვა ლურჯი თოჯინებიანი პიჟამა, რომელიც უკვე ძლივსღა ეტეოდა. *ღმერთო, ეილი,* — გაიფიქრა ლუისმა, — *ყოველდღიურად იზრდები.* ჩერჩი მის კოჭებთან იწვა და მასაც მკვდარივით ეძინა.

ამ შედარებისთვის ბოდიშს ვიხდი.

ქვედა სართულზე, ტელეფონის გვერდით, გაკრული ჰქონდათ დაფა, რომელზეც ქვითრებს, ჩანაწერებს და წერილებს ტოვებდნენ ხოლმე. დაფის თავზე რეიჩელს კოხტა ხელწერით გაეკეთებინა წარწერა: *საქმეები, რომლებიც*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეძლებისდაგვარად უნდა გადავდოთ. ლუისმა სატელეფონო წიგნი აიღო, ნომერი მოძებნა და ჩანაწერების ფურცელზე გადმოიტანა. ნომრის ქვეშ კი წააწერა: *კვენტინ ლ. ჯოლენდერი. ვეტერინარი. დოქტორი. — ჩავწეროთ ჩერჩი ვეტერინართან.* თუ ჯოლენდერი არ აკეთებდა კასტრირებას, ვინმე სხვა ექიმს მაინც ურჩევდა.

ლუისმა ჩანაწერს დახედა და დაფიქრდა, უკვე დრო იყო თუ არა. თუმცა კი იცოდა, რომ ასე იყო. ამდენი გაუაზრებელი ფიქრებიდან რაღაც კონკრეტულ დასკვნამდე უნდა მისულიყო და მანაც რომელიღაც მომენტში, გუშინდელ დილასა და ამ ღამეს შორის, საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ აღარ უნდოდა ჩერჩის ქუჩაზე წინ და უკან ერბინა.

დაბრუნდა ის ძველი შეგრძნებაც, რის გამოც საშინლად უმძიმდა უემოციო, მოდუნებული მსუქანი ჩერჩის ხილვა, რომლის მთავარი ინტერესიც ჭამიდან ჭამამდე თბილ გამათბობელზე ჯდომა იქნებოდა. არ უნდოდა ასეთი ჩერჩი. ჩერჩი ისეთი მოსწონდა, როგორიც ახლა იყო, აქტიური და მოუსვენარი.

გარეთ, სიბნელეში, მე-15 გზაზე, დიდმა სატვირთომ ჩაიარა და ლუისს ეს ხმა გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარა. ჩანაწერი დაფაზე მიამაგრა და ლოგინში დაბრუნდა.

11

დილით ეილიმ ახალი წერილი დაინახა და საუზმეზე მის შესახებ იკითხა.

— ეს ნიშნავს, რომ ჩერჩის პატარა ოპერაციას გაუკეთებენ, — უთხრა ლუისმა, — ალბათ, ერთი ღამის საავადმყოფოში გატარებაც მოუწევს. მერე კი შინ დაბრუნდება, ეზოში დარჩება და აქეთ-იქით აღარ ირბენს.

— არც ქუჩაზე გადავა? — ჰკითხა ეილიმ.

შესაძლოა. ჯერ მხოლოდ ხუთი წლისაა, — გაიფიქრა ლუისმა, — *მაგრამ როგორი დაკვირვებულია.* — არც ქუჩაზე გადავა, — დაეთანხმა ლუისი.

— იეი! — წამოიყვირა ეილიმ და თემაც ამით დაიხურა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ბავშვის მხრიდან წინააღმდეგობის და ისტერიკული კამათის მოლოდინში იყო, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დარჩა. თუმცა, ამავდროულად, კიდევ უფრო ცხადად გაიაზრა, თუ როგორ ღელავდა ეილი. შინაური ცხოველების სასაფლაოს მასზე მართლა ძალიან დიდი ზეგავლენა მოეხდინა.

თავად რეიჩელმა კი, რომელიც გეიჯს კვერცხს აჭმევდა, ქმარს კმაყოფილმა გადახედა და ლუისმა იგრძნო, როგორ მოეშვა მკერდიდან სიმძიმე. ამ მზერით ხვდებოდა, რომ მათ შორის ყინული ლღობას იწყებდა და ის ბასრი ნაჯახიც მიწაში ღრმად ჩამარხულიყო. იმედია — სამუდამოდ.

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც დიდმა ყვითელმა ავტობუსმა ეილი ბაღში წაიყვანა, რეიჩელი ლუისს მიუახლოვდა, კისერზე მკლავები შემოხვია და ტუჩებში ნაზად აკოცა. — ძალიან კარგად გამოგივიდა, — უთხრა მან, — და ბოდიში, რომ ასე ქაჯურად მოვიქეცი.

ლუისმა კოცნა დაუბრუნა, თუმცა თავი მაინც უსიამოვნოდ იგრძნო. ეს „ბოდიში, რომ ასე ქაჯურად მოვიქეცი" მისგან ხშირად არ სმენია, მაგრამ ეს არც პირველი შემთხვევა იყო. ეჩვენებოდა, რომ ასეთ ფრაზებს რეიჩელი მხოლოდ მაშინ ამბობდა, როცა გამარჯვებას აღწევდა.

ამასობაში გეიჯი შემოსასვლელ კართან მიფოფხდა და ქვედა სარკმლიდან ცარიელ ქუჩას გახედა. — ავტობუში, — წარმოთქვა გულგრილად და ჩაჩაჩული საფენი შეისწორა. — ეილის ბუში.

— რა სწრაფად იზრდება, — თქვა ლუისმა.

რეიჩელმა თავი დაუქნია. — ჩემი აზრით, ზედმეტად სწრაფადაც კი.

— ცოტაც მოიცა, პამპერსების დრო წავა და დავისვენებთ, — უთხრა ლუისმა.

ქალს გაეცინა და ლუისისთვის ამით დადასტურდა, რომ ახლა ყველაფერი კარგად იყო.

რეიჩელმა უკან დაიხია, რამდენიმე წამი ჰალსტუხის შესწორებას დაუთმო და შემდეგ კრიტიკული მზერით გახედა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ვივარგებ, სერჟანტო? — ჰკითხა ლუისმა.

— მშვენივრად გამოიყურები.

— ჰო, ვიცი, მაგრამ კარდიოლოგს არ ვგავარ? აი, წელიწადში-ორასი-ათასიან კარდიოლოგს?

— არა, ისევ ძველებური ლუ კრიდი ხარ, — ხითხითით უთხრა რეიჩელმა, — როკ-ენ-როლ ცხოველი.

ლუისმა საათს დახედა. — მაგ როკ-ენ-როლ ცხოველს უკვე მაგრად აგვიანდება.

— ნერვიულობ?

— ჰო, ცოტას.

— არ ინერვიულო, — უთხრა რეიჩელმა, — წელიწადში სამოცდაშვიდი ათასიც მშვენიერი თანხაა რეზინის ხელთათმანების ჩამოცმის და იმ რეცეპტების სანაცვლოდ, რომლებსაც ძირითადად გაცივების, ნაბახუსევის ან გოგოებისთვის ჩასახვის საწინააღმდეგო აბებისათვის გამოწერ.

— ტილების საწინააღმდეგო წამლებს ნუ დამიჩაგრავ. — თქვა ლუისმა და ისევ გაეღიმა. როცა პირველად სკოლის კლინიკა დაათვალიერა, ძალიან გაოცდა პედიკულოზის[1] საწინააღმდეგო სამედიცინო საშუალებების სიმრავლით. ეს მარაგი ერთ კარგ საბრძოლო დანაყოფსაც კი ეყოფოდა, არათუ საშუალო ზომის საუნივერსიტეტო კამპუსს.

მაშინ ექთანმა, მის ჩარლტონმა, ცინიკურად გაუღიმა. — კამპუსის ოთახებს გარეთ სანიტარიულ ნორმებს დიდად არავინ იცავს. ამას თავადვე ნახავთ.

ლუისიც ფიქრობდა, რომ ნამდვილად ნახავდა.

— აბა, ბედნიერ დღეს გისურვებ, — უთხრა რეიჩელმა და ქმარს მგზნებარედ აკოცა. თუმცა, როცა მოსცილდა, სახე დაუსერიოზულდა. — და ღვთის გულისათვის, ნუ დაგავიწყდება, რომ მთავარი ექიმი ხარ და არა ინტერნი ან რეზიდენტი!

— დიახ, ექიმო, — მტკიცედ მიუგო ლუისმა და ისევ ორივეს გაეცინა. ამ მომენტში ლუისი ერთი შეკითხვის დასმაზე ფიქრობდა: *ეს ყველაფერი ზელდას გამო მოხდა, პატარავ,*

---

[1] *იგივე დატილიანება — ადამიანის სხეულზე წვრილი სისხლისმწოველი მწერის — ტილის პარაზიტობა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არა? ისევ არ გეშვება, ისევ გძაბავს მისი სიკვდილის გახსენება? — თუმცა, რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერი უკითხავს. ლუისმა, როგორც ექიმმა, კარგად იცოდა, რომ სიკვდილიც ისეთივე ბუნებრივი მოვლენა იყო, როგორიც ბავშვის დაბადება. თუმცა, არ ღირდა იმ ჭრილობის გახსნა, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში ხორცდებოდა.

სწორედ ამიტომ, რაიმეს თქმის ნაცვლად, ლუისმა ცოლს კიდევ ერთხელ აკოცა და სახლიდან გავიდა.

ეს იყო კარგი დღის კარგი დასაწყისი. მენი გვიანი ზაფხულის სამოსს იცვამდა. ლურჯი და უღრუბლო ცა იყო, ტემპერატურა კი მყარად გაჩერებულიყო სამოცდათორმეტ გრადუსზე. ლუისმა მთავარ გზაზე გასვლამდე მანქანების მოძრაობას გახედა. შენიშნა, რომ ამდენი მანქანა ქუჩაში აქამდე ჯერ არ ენახა, მაგრამ არა უშავს, მოიცდიდა.

შემდეგ მათი მეორე მანქანა — „ჰონდა სივიკი“ უნივერსიტეტის მიმართულებით გადაიყვანა და სიჩქარეს უმატა. ამ დილით რეიჩელი ვეტერინარს დაურეკავდა, შემდეგ ჩერჩის მიხედავდნენ და ლუისიც მალევე დაივიწყებდა იმ შინაური ცხოველების სასაფლაოს (უჩვეულო იყო, რომ ასეთი ფორმით დაბოლოება უფრო მოსწონდა), სიკვდილის შიშებს და იფიქრებდა მხოლოდ ამ დილის მსგავს სექტემბრის ლამაზ დილებზე.

ლუისმა რადიო ჩართო და რამდენიმე ტალღის მოსინჯვის შემდეგ „რემოუნზის“ „Rockaway Beach“-ს მიაგნო. ხმას აუწია და სიმღერ-სიმღერით — არა ზუსტი თანხვედრით, მაგრამ მაინც მხიარულად — გზა განაგრძო.

12

პირველი, რაც საუნივერსიტეტო ტერიტორიაზე შესულმა შენიშნა, იყო ის, თუ როგორ ერთიანად გამოცოცხლებულიყო მოძრაობა. გზები მანქანებით, ველოსიპედებითა და მორბენლებით გავსებულიყო. ლუისმა მანქანა გააჩერა, რათა არ დასჯახებოდა ორ მორბენალს, რომლებიც დან ჰოლიდან მორბოდნენ. დამუხრუჭება საკმაოდ მკვეთრი გამო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უვიდა, უსაფრთხოების ღვედი დაეჭიმა და საყვირზე ხელი ბოლომდე დააჭირა. მორბენლები (და ასეთივე გამაღიზიანებლები იყვნენ ველოსიპედისტებიც) ყოველთვის ნერვებს უშლიდნენ. ისე იქცეოდნენ, თითქოს სახლიდან გამოსვლის შემდეგ ყველა მოვალე იყო, მათთვის დაეთმო გზა. წარმოგიდგენიათ, ვარჯიშობდნენ! ახლაც, ერთ-ერთმა მორბენალმა ზურგს უკან ლუისს შუა თითი უჩვენა და სირბილი განაგრძო. ლუისმა ღრმად ამოისუნთქა და სიჩქარის პედალს ფეხი დააჭირა.

მეორე ფაქტი, რაც სამსახურში მისვლისთანავე შენიშნა, იყო ის, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა არ ჩანდა. როგორც წესი, ავადმყოფებს ლაზარეთშივე აწვენდნენ, სადაც ორი თხუთმეტსაწოლიანი განყოფილება ჰქონდათ, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა დაზიანება იმდენად სერიოზული იყო, რომ აუცილებელი ხდებოდა სტუდენტის საავადმყოფოში გადაყვანა. სწორედ ეს მანქანა მიაქანებდა ხოლმე დაზარალებულებს ისტერნ მენის სამედიცინო ცენტრში. სტივ მასტერტონმა — ექიმის თანაშემწემ — რომელმაც ლუისს ახალ სამსახურში პირველი ექსკურსია ჩაუტარა, სიამაყით აჩვენა ბოლო ორი წლის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ამ პერიოდში სასწრაფო მანქანის გამოყენების მხოლოდ ოცდათხუთმეტი შემთხვევა ფიქსირდებოდა. ეს კი საკმაოდ კარგი შედეგი გახლდათ უნივერსიტეტისთვის, რომლის ამ ბლოკშიც ათი ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა, მათი საერთო რაოდენობა კი თითქმის ჩვიდმეტი ათასს აღწევდა.

და აი, სამსახურის პირველ დღეს სასწრაფო დახმარების მანქანა უკვე გამოძახებაზე იყო.

ლუისმა მანქანა გააჩერა ახლად გაკეთებულ წარწერასთან — *დაჯავშნილია დოქტორი კრიდისთვის* და საჩქაროდ შენობაში შევიდა.

ჩარლტონი — ჭალარაშერეული, მაგრამ მკვირცხლი, დაახლოებით ორმოცდაათი წლის ქალბატონი — პირველ კვლევით ოთახში დაინახა. ის ტემპერატურას უზომავდა გოგონას, რომელსაც ჯინსის შარვალი და ბრეტელებიანი მოკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლე მაისური ეცვა. გოგონას გარუჯვა ზედმეტი მოსვლოდა და, როგორც ლუისმა შეამჩნია, დამწვარი კანი სძვრებოდა.

— დილა მშვიდობისა, ჯოან, — თქვა ლუისმა, — სასწრაფო დახმარების მანქანა სად არის?

— ო, დიდი ტრაგედია შეგვემთხვა. კარგი, საკმარისია, — თქვა ჩარლტონმა, სტუდენტის პირიდან თერმომეტრი გამოიღო და დახედა. — სტივ მასტერტონი ამ დილით შვიდზე სამსახურში მოვიდა და ძრავის ქვეშ, წინა ბორბლებთან, უშველებელი გუბე ნახა. რადიატორს ძირი გასძრობია. ჰოდა, მაშინვე შესაკეთებლად წაიყვანეს.

— დიდებულია, — თქვა ლუისმა და, მიუხედავად მოსმენილი ამბისა, დიდი სიმშვიდე იგრძნო. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ასცდა, რისიც თავიდან ეშინოდა. — და როდის დაგვიბრუნებენ?

ჯოან ჩარლტონს გაეცინა. — ჩვენი უნივერსიტეტის მექანიკოსების ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, ალბათ სადღაც თხუთმეტი დეკემბრისთვის საშობაო ლენტებით მორთულს მოგვიყვანენ. — შემდეგ სტუდენტს გახედა, — ცოტა სიცხე გაქვს. ორი აბი ასპირინი მიიღე, ბარებსა და ბნელ ქუჩებში სიარულს მოერიდე.

გოგონა წამოდგა, ლუისს ოდნავი შემფასებლური მზერით გახედა და ოთახიდან გავიდა.

— ჩვენი პირველი კლიენტი ახალ სემესტრში, — ცივად თქვა ჩარლტონმა და თერმომეტრი რამდენჯერმე დაიქნია.

— გეტყობათ, დიდად ვერ გაუხარებიხართ.

— ეგეთებს კარგად ვიცნობ, — თქვა ჯოანმა, — გვყავს კიდევ მეორე ტიპი — სპორტსმენები, რომლებიც, მცირედი დაზიანების მიუხედავად, მაინც განაგრძობენ თამაშს. აბა, მაჩო სათადარიგოთა სკამზე ხომ არ დაჯდება? ჰოდა, ამ სიშტერით მთელ თავიანთ სპორტულ კარიერას დიდი რისკის ქვეშ აყენებენ და ამას ვერც ხვდებიან. ასეთი გოგოები კი, — ამ მომენტში ხელი ფანჯრისკენ გაიქნია, სადაც ლუისი ხედავდა მზისგან აქერცლილ გოგოს, რომელიც საერთო საცხოვრებლების კომპლექსისკენ მიემართებოდა. კვლე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვით ოთახში მომაკვდავ გედს წააგავდა, ახლა კი აშკარად კმაყოფილი მიაბიჯებდა და გარშემო მყოფების ყურადღებით ტკბებოდა.

— კოლეჯის ჩვეულებრივი ჰიპოქონდრიკი, — ჩარლტონმა თერმომეტრი გაასტერილა. — წელს მაგ გოგოს კიდევ არაერთხელ შევხვდებით. მისი ვიზიტები განსაკუთრებით გახშირდება წინასწარი გამოცდების წინ. ფინალურ გამოცდებამდე ასე ორი კვირით ადრე კი დარწმუნებული იქნება, რომ მონონუკლეოზი ან პნევმონია სჭირს. სათადარიგო გეგმა ბრონქიტია. საბოლოოდ კი გაათავისუფლებენ ოთხი-ხუთი ტესტიდან იმ საგნებში, რომლებსაც კითხულობენ — როგორც მათ სტუდენტები უწოდებენ — დამფრთხალი ლექტორები და არ დაგავიწყდეთ, რომ თითოეულ შემთხვევაში ავადმყოფობა კიდევ უფრო მძიმე იქნება, თუ გამოცდა თავისუფალი ესეს ნაცვლად საკონტროლო ტესტის ფორმით ჩატარდება.

— ო, დღეს განსაკუთრებით ცინიკური ხართ, — თქვა ლუისმა, რომელიც თავს ოდნავ დაბნეულად გრძნობდა.

ქალმა თვალი ჩაუკრა, რაზეც ლუისს გაეღიმა. — უბრალოდ, გულთან ახლოს არ მიმაქვს, ექიმო. გირჩევთ, თქვენც ასე მოიქცეთ.

— სტივენი სად არის?

— თქვენს კაბინეტში, ელექტრონულ წერილებს პასუხობს და „ბლუ ქროს-ბლუ შილდის“ ბიუროკრატიულ სითაყვანეში გარკვევას ცდილობს.

ლუისი კაბინეტში შევიდა. მართალია, ჩარლტონი ცინიკოსი გახლდათ, მაგრამ მასთან მუშაობა მაინც სასიამოვნო და მოსახერხებელი იყო.

როდესაც ამ ყველაფერს ხელახლა გაიხსენებს — იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა საერთოდ ამაზე ფიქრს მოახერხებს — ლუისი გაიაზრებს, რომ ეს კოშმარი ფაქტობრივად დაიწყო მაშინ, როცა უნივერსიტეტში იმავე დილით, დაახლოებით ათი საათისთვის, მომაკვდავი ვიქტორ პასკოუ მოიყვანეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანამდე სამსახურში სიმშვიდე იყო. ცხრა საათზე, ლუისის მოსვლიდან ნახევარ საათში, ორი მედდა მოვიდა, რომლებიც ცვლაში ცხრიდან სამამდე მუშაობდნენ. ლუისი თითოეულს დონატით და ფინჯანი ყავით გაუმასპინძლდა და დაახლოებით თხუთმეტი წუთის განმავლობაში ელაპარაკა, მათი მოვალეობები და, სავარაუდოდ, ამაზე მნიშვნელოვანი, — მოვალეობებს მიღმა არსებული სიტუაცია განუმარტა. შემდეგ მათზე ჩარლტონი გადაერთო. ხოლო როცა მან გოგოები კაბინეტიდან გაიყვანა, ლუისმა მისი სიტყვები გაიგო, — რომელიმე თქვენგანს ჩასვრილზე ან ნარწყევზე ალერგია ხომ არ გაქვთ? იმიტომ გეკითხებით, რომ აქ ორივეს ხშირად შეხვდებით.

— ო, ღმერთო, — ჩაილაპარაკა ლუისმა და თვალებზე ხელები აიფარა, მაგრამ გაეღიმა. პრაქტიკული მედიცინის მთავარი ძალა ყოველთვის ჩარლტონის მსგავსი უხეში ბებრები იყვნენ.

შემდეგ სავალდებულო ფორმულარების შევსება დაიწყო, რომლებიც წამლის პრაქტიკულად ყველა დასახელების ჩაწერას მოითხოვდა (ყოველ წელს ერთი და იგივე, — ბუზღუნებდა სტივ მასტერტონი, — ყოველ წყეულ წელს ერთი და იგივე! მოდი რა, ლუის, გულის გადანერგვისთვის აუცილებელი აპარატურის სავარაუდო ჯამურ ღირებულებად რვა მილიონი დოლარი მიუთითე, რა. აუ, გარეკავენ!) და ამიტომ დიდი ენერგია მიჰქონდა. ლუისს სრულებით გადაავიწყდა გონების კუნჭულში აღძრული ფიქრი ყავის დალევის შესახებ. არადა, ახლა ყავა მისთვის მისწრება იქნებოდა. ამ მდგომარეობაში იყო ჩაფლული ლუისი, როცა მოსაცდელი ოთახიდან უეცრად მასტერტონის ყვირილის ხმა გაიგო, — ლუის! ჰეი, ლუის! აქ მოდი! სერიოზული ამბავია!

მასტერტონის პანიკური ხმის გაგონებაზე ლუისი ნაჩქარევად წამოხტა და ოთახიდან გავარდა, თუმცა სანამ მოსაცდელამდე მივიდოდა, ჯერ მასტერტონის გამყინავი, შუშის მსხვრევის მსგავსი ხმა გაიგონა, შემდეგ სილის გა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლაწუნებისა და მერე უკვე ჩარლტონის სიტყვები: „ახლავე შეწყვიტე! შეწყვიტე, ან აქედან დაახვიე! გაიგე?!“

პირველი, რაც მოსაცდელ ოთახში შესულმა ლუისმა დაინახა, იყო სისხლი — უფრო სწორად, სისხლის ზღვა. ერთ-ერთი ექთანი ქვითინებდა, მეორეს კი, ნაღების მსგავსად გათეთრებულს, მუშტები ტუჩის კუთხეებთან მიებჯინა და სახეზე ამრეზით სავსე გრიმასა გამოსახოდა. მასტერტონი ჩამუხლულიყო და იატაკზე გაშხლართული ბიჭისთვის თავის დაჭერას ცდილობდა.

სტივმა ლუისს ახედა. თვალები იმდენად ჰქონდა შიშით აღსავსე, რომ სიტყვის წარმოთქმასაც ვერ ახერხებდა. სცადა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

სტუდენტთა სამედიცინო ცენტრის დიდ მინებიან კარებთან ხალხი შეკრებილიყო, სახეებით მინებს მიჰკვროდნენ და შიგნით შემოხედვას ცდილობდნენ. ამ მომენტში უეცრად ლუისს თვალწინ წარმოუდგა ბავშვობის ერთი ცხადზე ცხადი ეპიზოდი: დაახლოებით ექვსი წლისაა, დედასთან ერთად მისაღებში ზის. დედა ჯერ სამსახურში არ წასულა და ტრადიციულად ტელევიზორს უყურებენ. ტელევიზორში ძველი გადაცემა „დღეს“ გადის, რომელიც დეივ გეროუს მიჰყავს. გარეთ მდგომი ხალხი კი პირდაღებული შეჰყურებს დეივს, ფრენკ ბლერს და ბებერ ჯიგარს, ჯეი ფრედ მაგსს. ლუისმა მიმოიხედა და ფანჯარასთანაც ადამიანები დაინახა. კარებს ვერაფერს მოუხერხებდა, მაგრამ... — ფარდები ჩამოაფარეთ, — შესძახა ერთ-ერთ მედდას, რომელმაც მის ხმაზე უნებურად წამოიკივლა.

მედდა გაშეშებული იდგა, ჩარლტონმა საჯდომზე ხელი მოარტყა, — მიდი, გოგო!

მედდა ამოძრავდა და რამდენიმე წამში ფანჯრებს მწვანე ფარდები ჩამოაფარა. ჩარლტონი და სტივ მასტერტონი ინსტინქტურად გადი-გამოდიოდნენ ძირს გაშხლართულ ბიჭს, ფანჯრებსა და კარებს შორის, ცდილობდნენ გაერკვიათ, რისი გაკეთება შეეძლოთ.

— ექიმო, საკაცე? — ჰკითხა ჩარლტონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— შეიძლება დაგვჭირდეს, მოიტანეთ, — უთხრა ლუისმა და მასტერტონის გვერდით ჩაიმუხლა. — ჯერ არც კი შემიხედავს, რა ხდება.

— მიდი, — შესძახა ჩარლტონმა მედდას, რომელმაც ფარდები ჩამოაფარა. გოგოს ტუჩებთან ისევ მუშტები მიეკრო და შეძრწუნებული კნაოდა. შემდეგ ჩარლტონს გახედა და ამოიგმინა, — ოჰ, ჰო...

— ოჰ, ჰოოო! სწორია! — შემდეგ ხელი მაგრად ჩაავლო და ეს თეთრ-წითელ ზოლებიან კაბაში გამოკვართული გოგო ადგილიდან დაძრა.

ლუისი დაიხარა პაციენტისკენ, რომელიც მისთვის პირველი აღმოჩნდა ორონოში, მენის უნივერსიტეტში. ახალგაზრდა, დაახლოებით ოცი წლის ბიჭი იყო. მისთვის ერთადერთი, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი დიაგნოზის დასასმელად ლუისს სამ წამზე ნაკლები დრო დასჭირდა. ბიჭი კვდებოდა. თავის ქალის ნახევარი დაჟეჟილი, კისერი კი მოტეხილი ჰქონდა. ცალი ლავიწი მარჯვენა მხრიდან ამოსტეხოდა, თავიდან სისხლი და კიდევ რაღაც ბინძური ყვითელი სითხე გადმოსდიოდა და ძირს ნოხზე ეწვეთებოდა. თავის ქალაში დატოვებული ნახვრეტიდან ლუისი ხედავდა ბიჭის ტვინს — მოთეთრო-მონაცრისფრო პულსირებად წარმონაქმნს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ღია ფანჯარაში იყურებოდა. დაახლოებით ხუთი სანტიმეტრის მქონე ხვრელი იყო. ამ ქალაში რომ ჩვილი ყოფილიყო, ზევსის მსგავსად, სავარაუდოდ, ისიც შეძლებდა დაბადებას. ლუისს უკვირდა, რომ ბიჭი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ამ მომენტში მას კიდევ ერთხელ გაახსენდა ჯად კრენდოლის სიტყვები — *იყო შემთხვევები, როცა იმასაც ცხადად გრძნობდი, თუ როგორ გკბენდა ტრაკზე.* — ამას მოჰყვა დედის სიტყვები — *ის მოკვდა, ძვირფასო. მორჩა.* — ლუისმა გიჟური სიცილის წყურვილი იგრძნო. *მოკვდა, მორჩა. მართლაც მეტი რა გითხრას, ძმობილო?*

— სასწრაფოს მანქანა მოამზადეთ, — უთხრა ლუისმა მასტერტონს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ლუის, სასწრაფო ხომ...

— ო, ღმერთო! — შუბლზე ხელი შემოირტყა ლუისმა და ჩარლტონს გახედა, — ჯოან, ასეთ დროს როგორ იქცევით ხოლმე? კამპუსის დაცვას ეძახით თუ პოლიციაში რეკავთ?

ჯოანი დაბნეული და შეშფოთებული ჩანდა, საკუთარ თავს საერთოდ არ ჰგავდა, თუმცა პასუხის გაცემა მაინც მოახერხა. — ექიმო, არ ვიცი. რაც ამ სამედიცინო ცენტრში ვმუშაობ, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

ლუისმა, რაც შეეძლო, დაძაბა გონება. — კარგი, კამპუსის დაცვას დაურეკეთ. პოლიციას ვერ დავუცდით. მერე იქნებ როგორღაც ბიჭი ბანგორში ჩაიყვანონ. ამისთვის სახანძროს მანქანაც გამოდგება. სირენები ხომ აქვს... მოკლედ, ჯოან, ამ საქმეს მიხედეთ!

ჯოანი კაბინეტიდან გავიდა, მაგრამ გასვლამდე ლუისს წამით მაინც გამოხედა. ორივენი ხვდებოდნენ, რომ ახლა ნოხზე მწოლიარე ახალგაზრდა, რომელსაც დაკუნთული სხეული საზაფხულო სამუშაოებზე სახლების მღებავს, საგზაო სამუშაოების მონაწილეს, ან ჩოგბურთის ინსტრუქტორს მიუგავდა, ვერანაირად ვერ გადარჩებოდა. იმ შემთხვევაშიც კი, სასწრაფო დახმარების მანქანა რომ ახლა ავტოსადგომზე ძრავდაქოქილი მდგარიყო, ბიჭი საავადმყოფომდე ვერ მიაღწევდა.

ის კი ყველას გასაკვირად ოდნავ ინძრეოდა. ჩასისხლიანებული ლურჯი თვალების გახელას ცდილობდა, მაგრამ აშკარად ვერაფერს ხედავდა. შემდეგ თავის გვერდზე გადაწევა სცადა, მაგრამ გატეხილი კისრის გამო ლუისმა ამის შესაძლებლობა არ მისცა და თავი დაუჭირა. ქალას დაზიანება ტკივილის შეგრძნებას არ გამორიცხავდა.

მას თავში ხვრელი აქვს. ო, ღმერთო. ხვრელი თავში.

— რა დაემართა? — ჰკითხა სტივს, თუმცა კი იცოდა, რომ გარემოებების გათვალისწინებით, ეს სრულიად სულელური და უაზრო შეკითხვა იყო. ხვრელი თავში ყველაფერს ადასტურებდა. ეს იყო მისი მოწმეც და თვითმხილველიც. — აქ პოლიციამ მოიყვანა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— პლედით მოიყვანეს ვიღაც სტუდენტებმა. მეტი არაფერი ვიცი.

ლუისმა იცოდა, რომ ამ ამბის შემდგომი მოქმედებებიც მის პასუხისმგებლობას განეკუთვნებოდა. — კარგი, ეგ სტუდენტები მომიყვანე, უნდა დაველაპარაკო, ოღონდ უკანა კარიდან. საკმარისია, რაც უკვე იხილეს.

მასტერტონი, რომელიც ამ სცენის დატოვების შესაძლებლობით აშკარად გახარებულიყო, კარს მივარდა და ლუისი მარტო დატოვა. ლუისს უკვე პოლიციის სირენის ხმა ესმოდა. კამპუსის დაცვის სამსახურიც უკვე მოსულიყო. უეცრად რაღაც საცოდავი შვება იგრძნო.

მომაკვდავი ხროტინებდა და ლაპარაკს ცდილობდა. ლუისს ესმოდა დამარცვლილი ბგერები, თუმცა სიტყვების აღქმას ვერ ახერხებდა. პირზე ხელი მიიფარა და ამოაბოყინა.

— კაااااა, — წარმოთქვა ბიჭმა, — გااااა...

ლუისმა მიმოიხედა და შეამჩნია, რომ მომაკვდავთან ერთი-ერთზე დარჩენილიყო. სადღაც შორიდან ბუნდოვნად ესმოდა ჯოან ჩარლტონის ხმა, რომელიც მედდებს უყვიროდა, საკაცე საკუჭნაოშიაო, მაგრამ ლუისს ძალიან ეეჭვებოდა, რომ ახლა მათ საკუჭნაოს რომელიმე სხვა ოთახისგან გარჩევა შესძლებოდათ. ბოლო-ბოლო, ეს ხომ სამსახურში მათი პირველი დღე იყო და პირველივე დღეს მედიცინის სამყაროს ასეთი საშინელი ფორმით ეცნობოდნენ. მთელ იატაკზე გაშლილ მწვანე ნოხს ახლა მწოლიარე ბიჭის თავქვეშ წრიული ფორმის მუქი იისფერი ლაქა დასტყობოდა. კიდევ კარგი, თავის ქალის შიდა სითხე მაინც აღარ იღვრებოდა.

— შინაური ცხოველების სასაფლაOზე, — წამოიხრიალა ბიჭმა... და დაიღრიჯა. ეს იყო ისტერიული, ყოველგვარ მხიარულებას მოკლებული ღიმილი, რომელიც ძალიან წააგავდა ფარდების ჩამომფარებელი მედდის ღიმილს.

ლუისმა ბიჭს დახედა, ყურებს არ უჯერებდა. ჩვეულებრივი სმენითი ჰალუცინაცია ეგონა. ბიჭმა რაღაც სიტყვები დანაწევრებით წარმოთქვა, მისმა გონებამ კი ისინი შეკრა ფრაზად, რომელზეც ამ ბოლო პერიოდში ყველაზე მეტს ფიქრობდა. საშინლად არასასიამოვნო გრძნობამ ლუისის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუცელში ტალღები ააგორა... მაგრამ ტვინი ამ მოსაზრების დაჯერებაზე უარს ამბობდა, რადგან ახლა ის ბიჭის მოლიმარ (და აშკარად რეალურ) სახეს უყურებდა. მაშინ ესეც ჰალუცინაციის ნაწილი უნდა ყოფილიყო, არა?

— რა თქვი? — ჩურჩულით ჰკითხა ლუისმა.

და წამიერად გაისმა ენაამოგლეჯილი თუთიყუშის ან ყვავის სრულიად აშკარად წარმოთქმული სიტყვები, — „ეს ჩვეულებრივი სასაფლაო არ არის", — სისხლით ამოვსებული გაყინული თვალები არაფერს უყურებდნენ. პირი ფართო, მომაკვდავი ღიმილის ფორმით დაეღო.

ლუისი საშინელებამ მონუსხა, მკერდში იგრძნო მხურვალება, ხელებში კი სიცივე. მოეჩვენა, რომ უფრო და უფრო პატარავდებოდა, შემდეგ კი კვლავ ამოძრავდა სისხლი ვენებში და ისევ ცხადად გაიაზრა, რომ ახლა ოთახში მომაკვდავს ელაპარაკებოდა. ლუისი დიდად რელიგიური კაცი არასოდეს ყოფილა და არც რაიმე ზებუნებრივი ან ოკულტისტური იზიდავდა. არა, ეს ყველაფერი... რაც უნდა ყოფილიყო, მისგან ძალიან შორს იდგა.

საკუთარ თავში არსებულ მთელ ენერგიას თავი მოუყარა და ძლივძლივობით გაიმეორა, — რა თქვი?

ისევ ღიმილი. ძალიან ცუდი ღიმილი.

— მიწა კაცის გულში კიდევ უფრო მკვრივია, ლუის, — ჩურჩულით თქვა მომაკვდავმა, — კაცი ზრდის, რაც შეუძლია და ყურადღებას აქცევს მას.

ლუის, — მეტი უკვე აღარაფერი გაუგია. — *ღმერთო, მან ჩემი სახელი თქვა.*

— ვინ ხარ? — აკანკალებული, მინავლებული ხმით ჰკითხა ლუისმა, — ვინ?

— ინდიელს ჩემთვის თევზი მოჰყავს.

— საიდან იცი... როგორ... რა მქვია?

— კაااა... — წამოიძახა ბიჭმა და ლუისმა იგრძნო, რომ სიკვდილის სუნი სცემდა. სიკვდილის, შინაგანი ლპობის, დარღვეული რიტმის, მარცხისა და... დასასრულის სუნი.

— რაა? — საოცარი სურვილი მოერია, მომაკვდავი მაგრად შეენჯღრია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გააااااااა.....

წითელშორტიანმა ბიჭმა მთელი სხეულით კანკალი დაიწყო. შემდეგ თითქოს ყველა კუნთი ერთბაშად გაეყინა, თვალებს უეცრად ფერი დაუბრუნდა და მათ ლუისის თვალები იპოვეს. შემდეგ ყველაფერი ერთიანად დასრულდა. სიმყრალის სუნი დადგა. ლუისს ეგონა, რომ ის კიდევ იტყოდა რაიმეს, მაგრამ თვალები ისევ ძველებური სიცარიელით ამოივსო... და სივრცეში გაშეშდა. ბიჭი მკვდარი იყო.

ლუისი უკან გადაჯდა, ბუნდოვნად გაიაზრა, რომ ტანსაცმელი ოფლიან სხეულზე მიჰკვროდა, წყვდიადს მოეცვა, თვალებს ძლივს ახელდა და სამყაროც თითქოს აქეთ-იქით ირხეოდა. როცა მიხვდა, თუ რა ხდებოდა, მიცვალებულს ოდნავ მოსცილდა, თავი მუხლებს შორის ჩარგო და ფრჩხილებით ძლიერად მიაწვა საკუთარ ღრძილებს. იმდენად ძლიერად, რომ ღრძილებიდან სისხლმა იფეთქა.

რამდენიმე წამში სამყარომ ისევ ჩვეული ფერები დაიბრუნა.

13

შემდეგ ოთახი აივსო ადამიანებით, რომლებიც ჰგავდნენ მსახიობებს, აქამდე თავიანთი გამოსვლის რიგს რომ მოელოდნენ. ამან ლუისის გრძნობები კიდევ უფრო არია და გააბუნდოვანა. ცხადად შეიცნო ის შეგრძნებები, რომელთა შესახებ ფსიქოლოგიის გაკვეთილებზე უყვებოდნენ, მაგრამ პირადად არასოდეს გამოუცდია. ეს ყველაფერი ძალიან აშინებდა და ფიქრობდა, რომ, სავარაუდოდ, სწორედ ასე გრძნობდნენ თავს ისინი, ვინც ელ-ეს-დეს გადამეტებულ დოზას იღებდა.

თითქოს ეს წარმოდგენა სპეციალურად ჩემთვის დაიდგა. თავდაპირველად სცენა ისე მოაწყვეს, რომ მომაკვდავ სიბილს[1] ჩემთვის რამდენიმე წინასწარმეტყველური ფრა-

---

[1] *ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, იგულისხმება სიბილ ვეინი — „დორიან გრეის პორტრეტის“ ერთ-ერთი გმირი, რომელიც მშრომელთა კლასისთვის განკუთვნილ თეატრებში შექსპირის პიესების დადგმებში მონაწილეობდა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზა ეთქვა, შემდეგ კი, როგორც კი ვითომ დაიღუპა, ყველანი ისევ თავ-თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ.

დაბნეულმა მედდებმა შემოიტანეს უხეში საკაცეები, რომლებსაც ხერხემლის ან კისრის მოტეხილობის შემთხვევაში იყენებდნენ. მედდებს მოჰყვებოდა ჯონან ჩარლტონიც, რომელიც ამბობდა, რომ კამპუსის პოლიცია უკვე გზაში იყო. როგორც აღმოჩნდა, ბიჭს სირბილის დროს მანქანა დასჯახებოდა. ამის გაგონებაზე ლუისს დილით თავისი მანქანის წინ მორბენალი ორი ახალგაზრდა გაახსენდა და გულში უსიამოვნო შეგრძნებამ დაუარა. ჩარლტონს მოჰყვა სტივ მასტერტონიც, რომელსაც თან კამპუსის დაცვის ორი წევრი ახლდა. — ლუის, ისინი, ვინც პასკოუ მოიყვანა, ახლა... — სიტყვა მკვეთრად გაუწყდა, — ლუის, კარგად ხარ?

— არა მიშავს, — მიუგო ლუისმა და იგრძნო, რომ მთელი სხეული ერთიანად დაუსუსტდა. შემდეგ ოდნავ გვერდით გადაიხარა. — მისი გვარი პასკოუა?

კამპუსის ერთ-ერთმა დარაჯმა უპასუხა, — ვიქტორ პასკოუ. ასე თქვა გოგომ, რომელიც მასთან ერთად დარბოდა.

ლუისმა საათს დახედა და ორი წუთით შეყოვნდა. იმ ოთახიდან, სადაც მასტერტონს პასკოუს მომყვანი ახალგაზრდები შეეკრიბა, გოგოს საზარელი გოდება მოესმოდა. *კეთილი იყოს სკოლაში შენი დაბრუნება, პატარა ქალბატონო,* — გაიფიქრა ლუისმა, — *წარმატებულ სემესტრს გისურვებ.* — მისტერ პასკოუ ათ საათსა და ცხრა წუთზე გარდაიცვალა, — თქვა მან.

ერთ-ერთმა პოლიციელმა მაჯის უკანა მხარე პირზე მიიფარა. მასტერტონმა კი იკითხა, — ლუის, მართლა კარგად ხარ? საშინლად გამოიყურები.

ლუისმა პასუხის გასაცემად პირი გააღო, როცა უეცრად ერთ-ერთმა ექთანმა საკაცის ერთ ბოლოს ხელი გაუშვა, გული პირდაპირ წინსაფარზე აერია და მაშინვე ოთახიდან გავარდა. გაისმა ტელეფონის ზარი. გოგო, რომელიც აქამდე ქვითინებდა, ახლა გულის შემაღონებლად კიოდა გარდაცვლილი ბიჭის სახელს, — ვიკ! ვიკ! ვიკ! — კიდევ და კიდევ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნამდვილი საგიჟეთი. გაურკვევლობა. შემდეგ ერთ-ერთმა პოლიციელმა ჩარლტონს ჰკითხა, მიცვალებულზე გადასაფარებლად პლედი თუ ჰქონდათ, ჩარლტონმა კი უპასუხა, რომ მას არ გააჩნდა უნივერსიტეტის ქონების განკარგვის უფლება. ამ მომენტში ლუისს გონებაში ამოუტივტივდა მორის სენდაკის ტაეპი: *იწყება გიჟური აურზაური!*

ისევ ჩაიხშო ხორხში საძაგელი ხითხითი. ნუთუ ამ პასკოუმ მართლა ახსენა შინაური ცხოველების სასაფლაო? ნუთუ ამ პასკოუმ მართლა ახსენა ლუისის სახელი? ეს კითხვები გონებას ურევდა და მომხდარს ფრაგმენტულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ახსენებდა. არა, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოეჩვენა. რა თქმა უნდა, მან რაღაც სხვა თქვა (თუ საერთოდ თქვა რაიმე) და უბედურებით აღძრულ შოკირებულ მომენტში ლუისის ტვინმა ნათქვამის ინტერპრეტაცია მოახდინა. პასკოუ კი მხოლოდ გაურკვეველ ბგერებს გამოსცემდა ისე, როგორც ეს ლუისმა თავიდან იფიქრა.

შემდეგ აზრზე მოსვლა სცადა. გაიხსენა ის შინაგანი თვისებები, რომელთა გამოც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ამ პოზიციაზე სხვა ორმოცდაცამეტ აპლიკანტს შორის აარჩია. აქ ყველა მას უცდიდა, მის გარეშე წინ ნაბიჯს არავინ გადადგამდა. ოთახი დაბნეული ხალხით იყო სავსე.

— სტივ, იმ გოგოს დამაწყნარებელი მიეცით, — თქვა აშკარად მტკიცე ხმით. ახლა თითქოს ძრავგამორთულ ხომალდში იმყოფებოდა და მიმართულების ხელახლა შერჩევის დრო იყო. რა თქმა უნდა, განშორებოდა იმ არარაციონალურ მომენტსაც, რომლის დროსაც მას პასკოუ ელაპარაკა. დიახ, ლუისი აქაურობის მისახედად დაიქირავეს და ახლა სწორედ ამას გააკეთებდა.

— ჯოან, პოლიციელს პლედი მიეცით.

— ექიმო, ჯერ ინვენტარიზაცია არ...

— არა უშავს, მიეცით. შემდეგ ნახეთ, როგორ არის ექთანი. — ლუისმა მეორე გოგოს გადახედა, რომელსაც ჯერ ისევ საკაცე ეჭირა და პასკოუს ნარჩენებს ჰიპნოტიზებულის გაოცებით დაჰყურებდა. — ექთანო! — მკაცრად შესძახა ლუისმა და გოგოს თვალები გვამს მოსცილდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— რ-რ-რ...

— რა ჰქვია მეორე გოგოს?

— ვ-ვ-ვის?

— იმას, გული რომ აერია, — აშკარად უხეში ხმით უპასუხა ლუისმა.

— ჯუ-ჯუ-ჯუ-უ-უდი. ჯუდი დელესიო.

— და შენი სახელი?

— კარლა. — ახლა გოგოს ოდნავ უფრო დალაგებული ხმა ჰქონდა.

— კარლა, წადი ჯუდი მოძებნე და პლედი მოიტანე. პლედს პირველი კვლევითი ოთახის პატარა სასაწყობო კომოდში იპოვი. მიდი, ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ, ამ ამბავს ცოტა პროფესიულად მივუდგეთ.

მართლაც ყველა ამოძრავდა, მალე გვერდით ოთახში კივილიც მინელდა. ტელეფონი, რომელიც აღარ რეკავდა, ახლა ისევ ახმაურდა. ლუისმა დაყოვნების ღილაკს თითი დააჭირა და სიტყვის უთქმელად ყურმილი ბუდიდან გადადო.

კამპუსის ასაკოვანი პოლიციელი შედარებით დალაგებული ჩანდა და ლუისმაც მას მიმართა. — ვის შევატყობინოთ? შეგიძლიათ სია მომცეთ?

პოლიციელმა თავი დაუქნია და უთხრა, — ასეთი შემთხვევა ბოლო ექვსი წელია არ გვქონია. სემესტრის საშინელი დასაწყისია.

— ნამდვილად, — მიუგო ლუისმა, შემდეგ ყურმილი აიღო და ღილაკსაც თითი აუშვა.

— ალო? ვინ... — წამოიწყო აღელვებულმა ხმამ, თუმცა ლუისმა გააწყვეტინა, ზარი გათიშა და თავად დაიწყო ნომრის აკრეფა.

14

სიტუაცია შედარებით დაწყნარდა დღის ოთხი საათისთვის, როდესაც ლუისმა და რიჩარდ ირვინგმა, კამპუსის დაცვის უფროსმა, პრესისთვის განცხადება გააკეთეს. ახალგაზრდა მამაკაცი, ვიქტორ პასკოუ, ორ მეგობართან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და საცოლესთან ერთად დარბოდა. ავტომობილს მართავდა ტრემონტ უიზერსი, ოცდასამი წლის, შტატ მენის ქალაქ ჰეივენიდან, რომელიც ლენგილის ქალთა გიმნაზიიდან კამპუსის ცენტრის მიმართულებით გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა. უიზერსის მანქანა პასკოუს დაეჯახა და ხეს შეანარცხა. პასკოუ უნივერსიტეტის კლინიკაში, პლედში გახვეული, მისმა მეგობრებმა და ორმა თვითმხილველმა მოიყვანეს. რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. უიზერსი დააკავეს და ბრალი წაუყენეს საგზაო წესების დარღვევის, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მოძრაობისა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის საფუძველზე.

კამპუსის გაზეთის რედაქტორმა ლუისს ჰკითხა, შეეძლო თუ არა გაზეთში მიეთითებინა, რომ პასკოუ თავის ქალის დაზიანებით გარდაიცვალა. ლუისმა კი, რომელიც იმ ღია ფანჯარაზე ფიქრობდა, საიდანაც პასკოუს ტვინს ხედავდა, უპასუხა, რომ უმჯობესი იყო, ჯერ პინებსკოტის მხარის გამომძიებელს სიკვდილის მიზეზი ოფიციალურად დაედასტურებინა. შემდეგ რედაქტორმა ჰკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ სიკვდილი დამდგარიყო იმ ოთხი ადამიანის დაუდევრობის გამო, რომელთაც პლედში გახვეული პასკოუ კლინიკაში მიიყვანეს.

— არა, — უპასუხა ლუისმა, — ცალსახად არა. სამწუხაროდ, მისტერ პასკოუ, ჩემი აზრით, სასიკვდილოდ შეტაკებისას დაზიანდა.

სხვა რამდენიმე კითხვაც დაისვა, მაგრამ ძირითადად კონფერენცია ამ კითხვაზე პასუხით დასრულდა. ახლა ლუისი თავის კაბინეტში მარტო იჯდა (სტივ მასტერტონი სახლში ერთი საათით ადრე, კონფერენციის დასრულებისთანავე წავიდა, რადგან, როგორც ლუისი ფიქრობდა, სურდა საღამოს ახალ ამბებში თავისი გამოსვლისთვის მიესწრო) და განვლილი დღის ფრაგმენტების გაერთიანებას ან, შესაძლოა, უბრალოდ, თავს გადახდენილი ამბების ყოველდღიური რუტინით გადაფარვას ცდილობდა. მან და ჩარლტონმა „წინა ხაზის“ სტუდენტების ფაილები გაიარეს. ეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის ახალგაზრდები იყვნენ, რომელთაც სხვადასხვა სახის მუდმივი ჯანმრთელობის პრობლემა აწუხებდათ. მათგან ოცდასამს დიაბეტი სჭირდა, თხუთმეტს ეპილეფსია, თოთხმეტს პარაპლეგია, გადანაწილებული იყო, ასევე, შემდეგი ავადმყოფობები: ლეიკემია, ცერებრალური დამბლა, სიბრმავე, კუნთოვანი დისტროფია, ჰყავდათ ორი უსინათლო და ერთიც ნამგლისებრი ანემიით დაავადებული სტუდენტი. ამ დაავადებას ლუისი აქამდე პრაქტიკაში არასოდეს შეხვედრია.

მთავარი ამბების შემდეგ ყველაზე უცნაური შემთხვევა კი, ალბათ, მაშინ მოხდა, როცა სტივი წავიდა და მალევე ჩარლტონმა ლუისს მაგიდაზე ვარდისფერი სანიშნე ფურცელი დაუდო. — *ბანგორიდან ხალიჩას ხვალ, დილის 9 საათზე მოიტანენ.*

— ხალიჩას? — იკითხა ლუისმა.

— დიახ, უნდა გამოვცვალოთ, — მობოდიშებით მიუგო ქალმა, — ძველს ვერაფრით გავწმენდთ, ექიმო.

რა თქმა უნდა, ვერ გაწმენდდნენ. ამის შემდეგ ლუისი დისპანსერში გავიდა და „ტუინალი“ შეიძინა. ეს ის წამალი იყო, რომელსაც სამედიცინო სკოლის სტუდენტობის პერიოდის მისი პირველი ოთახელი მომქოქავს ეძახდა. — აბა, მოვიქოქოთ, ლუის? — ამბობდა ხოლმე ის, — და თან „კრიდენსს“ ჩავრთავ. — როგორც ჩანს, ლუისი საბოლოოდ მართალი აღმოჩნდა, მოქოქვაზე ხშირად უარს რომ ამბობდა. სამაგიეროდ, მისი ოთახელი მესამე სემესტრიდან ქოქვა-ქოქვით გაუყვა გზას ვიეტნამისკენ, სადაც სამხედრო ექიმად გაამწესეს. ხანდახან ლუისი წარმოიდგენდა მას, ომის ორომტრიალში, როგორ უსმენდა „კრიდენსის“ კომპოზიციას „Run Through the Jungle“.

მაგრამ ახლა მას რაღაც სჭირდებოდა. ყოველ ჯერზე, როცა გვერდით გაიხედავდა, მზერას ისევ იმ ვარდისფერი ფურცლისკენ აბრუნებდა. ესე იგი, რაღაც სჭირდებოდა.

ასე რომ, ყველაფერი კარგად მიდიოდა იმ დროისთვისაც, როდესაც ღამის დამლაგებელმა მისის ბეილინგზმა კა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბინეტში შემოიხედა და ლუისს აცნობა, რომ მისი ცოლი პირველ ხაზზე რეკავდა.

ლუისმა საათს დახედა და მიხვდა, რომ სახლში წასვლის დროს უკვე ნახევარი საათით გადასცილებოდა. — კარგი, ნენსი. გმადლობ.

შემდეგ ტელეფონი თავისკენ მოსწია, ყურმილი აიღო და პირველ ხაზს დაუკავშირდა.

— მისმინე, ძვირფასო, უკვე მოვდივარ...

— ლუის, კარგად ხარ?

— კი, არაფერი მიჭირს.

— ყველაფერი ვიცი, ლუ. ახალ ამბებში მოვისმინე რადიოთი. ო, როგორ ვწუხვარ, — უცებ გაჩუმდა და შემდეგ განაგრძო, — შენც მოგისმინე. რაღაც კითხვაზე უპასუხე. თავი მშვენივრად გეჭირა, ყოჩაღ.

— მართლა? რა კარგია.

— ნამდვილად კარგად ხარ?

— კი, რეიჩელ.

— წამოდი სახლში, — უთხრა რეიჩელმა.

— უკვე მოვდივარ, — მიუგო ლუისმა.

შინ წასვლა ნამდვილად კარგი აზრი იყო.

15

რეიჩელი კარში შეხვდა და ლუისს მაშინვე ყბა ჩამოუვარდა. რეიჩელს მხოლოდ მისი საყვარელი მაქმანებიანი ბიუსტჰალტერი და ნახევრად გამჭვირვალე ტრუსი ეცვა.

— დიდებულად გამოიყურები, — უთხრა ლუისმა, — ბავშვები სად არიან?

— მისი დანდრიჯმა წაიყვანა. ცხრის ნახევრამდე მარტო ვართ. ანუ... ორსაათ-ნახევარი გვაქვს. მოდი, დროს ნუ დავკარგავთ.

შემდეგ მაგრად მიეკრა, ლუისმა მისი სასიამოვნო — ალბათ, ვარდის საპნის — არომატი შეიგრძნო და ხელები ჯერ წელზე მოხვია, შემდეგ კი თეძოებამდე ჩაუშვა. მისი ენა ეშმაკურად გაეთამაშა ტუჩებს, შემდეგ კი პირში ნაზად შეუყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა საბოლოოდ ერთმანეთს მოსცილდნენ, ლუისმა ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა, — არ ვივახშმებთ?

— მხოლოდ დესერტით. — რეიჩელი მუცლით ნელა გაეხახუნა, შემდეგ კი თეძოები შეარხია. — მაგრამ გპირდები, მოგეწონება.

ლუისმა თავისკენ მიიზიდა, მაგრამ რეიჩელი მკლავებიდან გაუსხლტა და ხელი მოჰკიდა. — ჯერ ზევით ავიდეთ.

რეიჩელმა ცხელი აბაზანა მოამზადა, ლუისი შიგნით ჩააწვინა, ნაზად გასაპნა და ზურგი უხეში ღრუბლით გაუხეხა. ლუისი გრძნობდა, როგორ ეხსნებოდა პირველი კოშმარული დღის დაძაბულობა. რეიჩელი თავადაც დასველდა, ტრუსი მეორე კანის მსგავსად შემოჰკვროდა. ლუისმა აბაზანიდან ამოსვლა სცადა, მაგრამ რეიჩელმა ნაზად დააბრუნა უკან.

— რა...

რეიჩელმა ღრუბელი დააჭირა — ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ — და ზევით-ქვევით ნელი მოძრაობა დაიწყო. ეს ერთდროულად სასიამოვნო და აუტანელი პროცესი იყო.

— რეიჩელ... — ლუისი მხურვალებამ მოიცვა და ეს მხოლოდ ცხელი წყლის ბრალი არ ყოფილა.

— ჩშშ...

ეს მთელი საუკუნე გაგრძელდა. პერიოდულად ლუისს ეჩვენებოდა, რომ ზღვარს უახლოვდებოდა, მაგრამ შემდეგ რეიჩელი მოძრაობას ანელებდა, თითქმის ჩერდებოდა, მაგრამ თითებს ისევ მაგრად უჭერდა, შემდეგ უშვებდა და ისევ უჭერდა მანამ, სანამ ლუისმა არ გაათავა და ეს ისეთი ძალით მოხდა, რომ ყურებში წუილი იგრძნო.

— ღმერთო, — აღმოხდა ლუისს, როცა მეტყველების უნარი დაუბრუნდა, — ეს სად ისწავლე?

— სკაუტების ბანაკში. — მტკიცე ხმით უპასუხა რეიჩელმა.

სანამ აბაზანაში იყვნენ, დაბალ ცეცხლზე ბიფსტროგანოვი მზადდებოდა. ლუისმა კი, რომელიც რამდენიმე საათის წინ დარწმუნებული იყო, რომ ჰელოუინამდე ჭამის სურვილი არ გაუჩნდებოდა, დამატებითი ულუფა მოითხოვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ რეიჩელმა ისევ ზევით აიყვანა. — ახლა კი მაჩვენე, შენ რა შეგიძლია ჩემთვის გააკეთო. — განვლილი დღის გათვალისწინებით, ლუისმა თავი ყველაფერს მშვენივრად გაართვა. შემდეგ რეიჩელმა თავისი ძველი ცისფერი პიჟამა ჩაიცვა, ლუისმა კი ფლანელის პერანგი და თითქმის უფორმო ველვეტის შარვალი — რომელსაც რეიჩელი ძონძს ეძახდა — ჩაიცვა და ბავშვების მოსაყვანად წავიდა.

მისი დანდრიჯმა მომხდარი ამბის შესახებ გამოჰკითხა. ლუისი სიღრმეებში აღარ შევიდა და იმაზე უფრო ცოტას მოუყვა, ვიდრე, სავარაუდოდ, შემდეგი დღის „დეილი ნიუსში“ წაიკითხავდა. მიუხედავად ამისა, თავს მაინც ბინძურ ჭორიკანად გრძნობდა, მაგრამ მისი დანდრიჯი ბავშვების დატოვებაში ფულს არ იღებდა და ლუისიც გარკვეულწილად თავს მოვალედ თვლიდა, თუნდაც მცირედი ინფორმაცია გაეღო იმ შესანიშნავი საღამოს სანაცვლოდ, რომელიც მან და რეიჩელმა მარტო გაატარეს.

გეიჯს შინ დაბრუნებამდე ჩაეძინა. არადა, მათ სახლამდე მხოლოდ ერთი მილი იყო გასავლელი. ეილიც ამთქნარებდა და თვალები ეხუჭებოდა. შინმისულმა ლუისმა გეიჯს საფენები გამოუცვალა, ღამის კომბინეზონი ჩააცვა და გისოსებიან ლოგინში ჩააწვინა. შემდეგ ეილის ზღაპარი წაუკითხა. გოგონას (თავადაც დამსახურებულ ველურს) ტრადიციულად „ველური სამყაროს“ ზღაპრები უნდოდა, მაგრამ ლუისმა დაარწმუნა, რომ „ქუდში მჯდომი კატა“ წაეკითხა. ეილის ხუთ წუთში ჩაეძინა მას შემდეგ, რაც ლუისმა და რეიჩელმა ლოგინში ჩააწვინეს.

დაბლა რომ ჩამოვიდა, რეიჩელი მისაღებ ოთახში იჯდა, წინ ჭიქით რძე დაედგა, კალთაზე კი დოროთი სეიერსის წიგნი გაეშალა.

— ლუის, კარგად ხარ?

— კარგად ვარ, საყვარელო, — უთხრა ლუისმა, — და ყველაფრისთვის დიდი მადლობა.

— მიგულეთ მუდამ თქვენს სამსახურში, — თეატრალურად და ოდნავ თავხედური ღიმილით უპასუხა რეიჩელმა, — ჯადთან ლუდზე არ მიდიხარ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა თავი გააქნია. — ამაღამ არა. ძალიან არეული ვარ.

— იმედია, ოდნავ მაინც დაგეხმარე.

— ნამდვილად ასეა.

— მაშინ ერთი ჭიქა რძე დალიეთ და ლოგინისკენ გავემართოთ, ექიმო.

ლუისს ეგონა, კარგა ხანს თვალს ვერ მოხუჭავდა, დაძაბული დღე არ მოასვენებდა, გონებას დაუფანტავდა, ძილს დაურღვევდა. ერთხელ სადღაც წაიკითხა, რომ ადამიანს ძილისთვის დაახლოებით შვიდი წუთი სჭირდება. შვიდი წუთი და ითიშები. ისეთი გარემო იქმნება, როგორიც გასართობი პარკის „დაწყევლილი სახლის“ ატრაქციონზეა. რაღაც ასეთივე შემაძრწუნებელი.

უკვე თითქმის ეძინა, როცა სადღაც შორიდან რეიჩელის სიტყვები მოესმა... — ზეგ.

— მმმმმ?

— იოლანდერი. ვეტერინარი. ჩერჩის ზეგ მივიყვან.

— ოჰ. — *ჩერჩი, ძმობილო. აბა, დაემშვიდობე შენს სიმდიდრეს.* — ეს გაიფიქრა და ჩაიძირა ღრმა და უსიზმრო ძილში.

16

რაღაც ბრახუნის ხმამ გააღვიძა. ჯერ ეგონა, რომ ეილი გადმოვარდა ლოგინიდან ან გეიჯის საწოლი წაიქცა. ღრუბლებს შორის მთვარის შუქი აღწევდა და ოთახს ცივ თეთრ ნათებას ჰფენდა. საძინებლის კართან ვიქტორ პასკოუ იდგა. ბრახუნიც მის მიერ კარის შემონგრევას გამოეწვია.

იდგა და მარცხენა საფეთქელთან ხვრელი ეტყობოდა. სახეზე სისხლი სდიოდა, ინდიელ მებრძოლს დამსგავსებოდა. თეთრი ლავიწი ამოსტეხოდა, სახეზე კი ღიმილი გამოსახოდა.

— წამოდით, ექიმო, — უთხრა პასკოუმ, — ერთ ადგილზე უნდა მივიდეთ.

ლუისმა მიმოიხედა. მის ცოლს ყვითელი საბნის ქვეშ მშვიდად ეძინა. მერე ისევ პასკოუს დააკვირდა, რომელიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მკვდარი იყო, მაგრამ როგორღაც არც იყო მკვდარი. თუმცა ლუისი შიშს არ გრძნობდა. ამის მიზეზს კი უეცრად მიხვდა.

ეს სიზმარია, — გაიფიქრა მან და მიხვდა, რომ სწორედ ამის გააზრება აშინებდა მას ყველაზე მეტად. მკვდრები არ ბრუნდებიან, ეს ფიზიკურად შეუძლებელია. ახლა ეს ახალგაზრდა ბანგორის მორგში წევს და ზედ პათოლოგისტის მიერ გაკეთებული Y აქვს გამოსახული. პათოლოგისტს, ალბათ, უკვე აეღო სინჯები ტვინიდან, ტვინი კი მკერდის არეში მოეთავსებინა. თავის ქალას ქაღალდებითაც გამოავსებდა. ეს ბევრად მოსახერხებელი იყო, ვიდრე ტვინის უკან, ქალაში დაბრუნება. ასეთი ხრიკების შესახებ ბიძია კარლი — უბედური რუთის მამა უყვებოდა ხოლმე. აწვდიდა სხვა ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც სიკვდილის ფობიით შეძრულ რეიჩელს, სავარაუდოდ, ჭკუაზე შეშლიდა. მაგრამ, პასკოუ ახლა აქ იყო. *არა, შეუძლებელია, მეგობარო. პასკოუ სამაცივრო საკანში უნდა იწვეს და ცერზე სანიშნე ჰქონდეს მობმული. მით უმეტეს, არ უნდა ეცვას ეს წითელი შორტი.*

და მაინც, ცდუნება დიდი იყო და ლუისიც წამოდგა. პასკოუ პირდაპირ მას უყურებდა. საბანი ძირს დააგდო, ტერფებზე იგრძნო დიდი ხნის წინ რეიჩელის ბებიის მიერ საქორწილოდ ნაჩუქარი ორნამენტებიანი ხალიჩის ცივი შეხება. სიზმარი საოცრად წააგავდა რეალობას. იმდენად რეალური იყო, რომ, როცა პასკოუ კიბისკენ დაიძრა, გადაწყვიტა არ გაჰყოლოდა. ცდუნება ძალიან დიდი იყო, მაგრამ არ სურდა, თუნდაც სიზმარში, რაიმე ფორმით გვამს შეხებოდა.

მაგრამ მიჰყვებოდა. პასკოუც მიდიოდა. სიბნელეში მისი შორტი ელავდა.

გაიარეს მისაღები, სასადილო და სამზარეულო. ლუისი ელოდა, რომ სამზარეულოდან საკუჭნაოში (საიდანაც გზა „სივიკის“ ფარეხამდე ჩადიოდა) გასასვლელ კარს პასკოუ სახელურით გამოაღებდა, მაგრამ ის უბრალოდ კარში გავიდა. ლუისი კი ამ სცენას სრული გაოცებით შეჰყურებდა. *აჰა, ანუ ეს ასე კეთდება. შესანიშნავია! ამას ხომ ყველა შეძლებს!* თავადაც სცადა, თუმცა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა შუბლით მყარ ხეს შეეჯახა. როგორც ჩანს, სიზმარშიც კი გამოუსწორებელ რეალისტად რჩებოდა. ლუისმა ავტომატურსაკეტიანი სახელური ჩამოსწია და შიგნით შევიდა. როცა ის და პასკოუ ავტოფარეხში ჩავიდნენ, ლუისს კიდევ ერთხელ გაუცრუვდა იმედები, რადგან უეცრად პასკოუ მისი ხედვის არიდან გაქრა. ამ მომენტში ეგონა, რომ პასკოუ უბრალოდ გაუჩინარდა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე სიზმრებში. ერთი ეპიზოდი მეორეს ენაცვლება და მონაწილე პერსონაჟებიც ქრებიან და ჩნდებიან. აგერ, შეიძლება სიზმრის ერთ ეპიზოდში საცურაო აუზთან იდგე სრულებით შიშველი და მაგრად აყენებულით, როჯერ და მისი დანდრიჯებთან პარტნიორების გაცვლაზე ფიქრობდე, რამდენიმე წამის შემდეგ კი აღმოჩნდე ჰავაის ერთ-ერთი ვულკანის კიდეზე. როგორც ჩანს, ახლა პასკოუც იმიტომ გაქრა, რომ მისი მოქმედება დასრულდა და ახლა შემდეგი მოქმედება იწყებოდა.

თუმცა, როცა ავტოფარეხი მოათვალიერა, ბიჭი მკრთალი მთვარის შუქის ქვეშ ისევ დაინახა. სახლიდან ოდნავ მოშორებით, ბილიკის მიმართულებით მიდიოდა.

ახლა უკვე იგრძნო შიში, თავიდან ოდნავ მსუბუქი, თუმცა სხეულის ყველა კუნჭულის ბინძური კვამლით ამომვსებელი. იქ წასვლა აღარ უნდოდა. ლუისი გაჩერდა.

პასკოუმ მხარსუკან გამოხედა, მთვარის შუქზე თვალები ვერცხლისფრად უელავდა. ლუისმა მუცელში საშინელების შეგრძნების უიმედო ჭრა იგრძნო. ოხ, ეს სისხლით დაფარული ამოჩრილი ძვალი. მაგრამ თვალებს მაინც ვერაფრით ეწინააღმდეგებოდა. როგორც ჩანს, ეს იყო სიზმარი ჰიპნოზის, დომინაციის შესახებ... როცა შენს ნებაზე ვერაფერს წყვეტ. ალბათ... ისევე, როგორც ვერაფერი შეცვალა პასკოუს სიკვდილის დროს. სამედიცინოზე თუგინდ ოცი წელი ისწავლე, თავში ხვრელდატანილ კაცს მაინც ვერაფერს უშველი. ასეთივე წარმატებით შეგიძლია შველა სთხოვო სანტექნიკოსს, მუცლით მეზღაპრეს, ან იმ კაცს — „გლედის“ სანაგვე პაკეტების რეკლამიდან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიუხედავად ამ ფიქრებისა, ლუისი მაინც ბილიკის მიმართულებით მიდიოდა და იმ შორტს მიჰყვებოდა, რომელსაც ისეთივე წითელი ფერი ჰქონდა, როგორიც სისხლს პასკოუს სახეზე.

არ მოსწონდა სიზმარი. ო, ღმერთო, საერთოდ არ მოსწონდა. მეტისმეტად რეალური იყო. ცივი შეხება ხალიჩაზე, კარში ვერგასვლა — თორემ სიზმრებში კარში გასვლა რა პრობლემა უნდა ყოფილიყო? ახლა კი... ნამის შეხება შიშველ ფეხებზე. ეს ღამისეული ნიავი და წინ მდგომი სხეული — თითქმის შიშველი, მხოლოდ შორტში. ლუისი მიდიოდა და ფეხქვეშ ფიჭვის წიწვების შეხებას გრძნობდა. აი... კიდევ ერთი ძალიან რეალისტური დეტალი. *არა უშავს, არა უშავს, ახლა ჩემს ლოგინში ვწევარ, ეს, უბრალოდ, სიზმარია და, მართალია, ძალიან აშკარა, მაგრამ დილით, ყველა სხვა სიზმრის მსგავსად, ესეც სისულელედ გამახსენდება. ჩემი გაღვიძებული გონება მარტივად შეიცნობს რეალობასთან შეუთავსებლობას.*

უეცრად ლუისს მკლავზე გამხმარი ხის ტოტი მოხვდა და ადგილზე შეხტა. მის წინ პასკოუ უკვე ჩრდილს წააგავდა და ახლა ლუისის ტერორი მის გონებაში ნათელ სკულპტურად კრისტალიზდებოდა: *მე ტყეში მიცვალებულს მივყვები, მე ტყეში მიცვალებულს მივყვები და შინაური ცხოველების სასაფლაოსკენ მივდივართ. და ეს სიზმარი არ არის. ღმერთო, მიშველე. ეს სიზმარი არ არის. ეს ნამდვილად ხდება.*

ხეებით დაფარულ გორაკს აუყვნენ, S-ის ფორმის ბილიკებით იარეს, გაიარეს გადაზრდილი ბუჩქები, ბალახები — ამჯერად ლუისს ჩექმები აღარ ეცვა, ფეხქვეშ კი ცივი ტალახი იგრძნობოდა. სიარული ძალიან უჭირდა, ესმოდა რაღაც საძაგელი ჭყაპუნის ხმებიც და გრძნობდა, როგორ ევსებოდა თითებშორის სივრცე ტალახით, რომლის მოშორებასაც გზადაგზა ცდილობდა.

პარალელურად კი უიმედოდ ეჭიდებოდა სიზმრის იდეას...

მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ მინდორზე გავიდნენ და მთვარემაც ღრუბლებს შორის გამოანათა. სასაფლაო უკვე მისი ნათებით გაცისკროვნებულიყო. ცხადად მოჩანდა დაფები, წარწერები, მამების ინსტრუმენტებით გადაჭრილი თუნუქის ქილები და უხეშად გამოყვანილი სხვა ფორმები. ცხადად, სამ განზომილებაში ხედავდა ყველა სილუეტს, რომლებიც სრულიად შავი ფერის ჩრდილებს ქმნიდნენ.

პასკოუ შეჩერდა წარწერასთან — *სმაკი — დამჯერი კატა იყო* — და ლუისისკენ შემობრუნდა. საშინელება, ტერორი, ყველაფერი ხელახლა იგრძნო. მთელი სხეული დაეძაბა. პასკოუ იღიმოდა. მისი სისხლიანი ტუჩები კბილებს სცილდებოდა. მთვარის მომაკვდინებელი ნათელის ფონზე მის გარუჯულ კანს იმ მიცვალებულის ფერი დასდებოდა, რომელსაც სადაცაა სუდარაში გაახვევენ.

პასკოუმ ხელი ასწია და გაიშვირა. ლუისმა ამ მიმართულებით გაიხედა და ამოიგმინა. თვალები გაუფართოვდა, თითები სახეზე მიიფარა და შეიგრძნო, რომ ლოყებზე სიცივის წყარო მათზე ჩამოღვრილი ცრემლები იყო.

ძირს დაწვენილი გამხმარი ხე, რომლიდან ჩამოსვლისკენაც ეილის შეშფოთებულმა ჯად კრენდოლმა მოუწოდა, ახლა ძვლების გროვად გადაქცეულიყო. და ეს ძვლები მოძრაობდნენ. ერთიანად იკრუნჩხებოდნენ და ჩხარუნობდნენ, ერთმანეთში ირეოდა ქვედა ყბის, ბარძაყის, იდაყვის ძვლები და საჭრელი კბილები. ლუისი ხედავდა ადამიანებისა და ცხოველების მოღიმარ თავის ქალებს. თითების სახსრები კრიახობდნენ, ფეხების ნარჩენები კი ფერმკრთალ გროვად მიმოფანტულიყვნენ.

ოჰ, — ის მოძრაობდა. პასკოუ ახლა მისკენ მოდიოდა, მთვარის შუქით განათებული მოღიმარი სახით უყურებდა, ლუისის გონებაში კი ახლებური ფიქრით აღვსილმა ხმამ დაიწყო ყვირილი: სასწრაფოდ უნდა იყვირო და გაიღვიძო! არ იფიქრო იმაზე, რომ გააღვიძებ რეიჩელს, ეილის, გეიჯს და მთელ სამეზობლოს. არა უშავს, მაინც უნდა იყვირო და გაიღვიძო! იყვიროდაგაიღვიძოიყვი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როდაგაიღვიძოიყვიროდაგაიღვიძო — თუმცა, მხოლოდ მცირედი მინავლებული ხმა აღმოხდა. ეს ხმა ეკუთვნოდა პატარა ბიჭს, რომელიც კიბის საფეხურზე იჯდა და ჩაფშტვენას ცდილობდა.

პასკოუ კიდევ უფრო მოუახლოვდა და ალაპარაკდა. — კარი არ უნდა გაიღოს, — თქვა მან. ლუისს ზემოდან დაჰყურებდა, რადგან ის ახლა მუხლებზე დამხობილიყო. პასკოუს მზერაში თანაგრძნობა არ ეტყობოდა. მხოლოდ მომაკვდინებელი მოთმინება. ხელი კი ისევ იმ ძვლების გროვისკენ გააშვირა. — ამას არ გასცდე, ექიმო. მიუხედავად იმისა, თუ რა ძლიერ იგრძნობ ამის სურვილს. ზღვარი იმისთვის არ დადებულა, რომ დაარღვიო. ეს კარგად დაიმახსოვრე: აქაურობა ბევრად დიდ ძალას ინახავს, ვიდრე შენ გგონია. ძველისძველი ძალა არ მოისვენებს. დაიმახსოვრე.

ლუისმა ყვირილი სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

— მე მოვედი როგორც მეგობარი, — უთხრა პასკოუმ, მაგრამ განა მართლა სიტყვა „მეგობარი“ თქვა? ლუისის აზრით, არა. თითქოს პასკოუ ახლა უცნობ ენაზე ელაპარაკებოდა, რომელიც მას რაღაც სიზმრისეული მაგიის დახმარებით ესმოდა... და... „მეგობარი“ იყო სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავდა იმას, რაც პასკოუმ სინამდვილეში იხმარა. ლუისის გონება მეტის ჩაწვდომას ვერ ახერხებდა. — შენი და მთელი შენი სიყვარულის განადგურების მომენტი ახლოვდება, ექიმო. — უკვე ისე ახლოს იყო, რომ ლუისი მისგან წამოსულ სიკვდილის სუნს გრძნობდა.

პასკოუმ ხელი მისკენ გაიწოდა.

ძვლების ოდნავი, გამაგიჟებელი ჩხარუნი.

ლუისმა ერთ ადგილზე წონასწორობის შეკავება და ამ ხელისთვის თავის არიდება სცადა. თავად კი ხელი უახლოეს საფლავის ქვას გაჰკრა და ძირს დაეცა. პასკოუ დაიხარა, ზეცა მისი სახით დაიფარა. — დაიმახსოვრეთ... ექიმო.

ლუისმა ყვირილი სცადა და ამ მომენტში სამყარო მისგან განცალკევდა, თუმცა ყურებში ჯერ ისევ ესმოდა მთვარის შუქზე ძვლების ჩხარუნი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

17

საშუალო სტატისტიკურ ადამიანს დასაძინებლად შვიდი წუთი სჭირდება, მაგრამ ჰენდის „ადამიანის ფიზიოლოგიის“ მიხედვით, იმავე საშუალო-სტატისტიკურ ადამიანს იმისათვის, რათა გაიღვიძოს, თხუთმეტიდან ოც წუთამდე ესაჭიროება. თითქოს ძილი აუზია, რომელში ჩაყვინთვაც უფრო ადვილია, ვიდრე ამოყვინთვა. როდესაც მძინარე იღვიძებს, ის რამდენიმე ეტაპს გადის. ღრმა ძილიდან ზედაპირული ძილის ეტაპზე გადადის, რომელსაც ხანდახან „მღვიძარე ძილს“ უწოდებენ, ანუ მდგომარეობას, რომლის დროსაც ადამიანს ესმის ხმები, რომლებსაც შესაძლოა მომავალში უპასუხოს კიდეც ისე, რომ მათი მოსმენის შესახებ არც ახსოვდეს. დაავიწყდეს ისე... როგორც ავიწყდება სიზმარი.

ლუისს ესმოდა ძვლების ჭახუნი და ჩხარუნი, მაგრამ უეცრად ეს ხმები შეიცვალა უფრო მკაფიო, უფრო მეტალისებრი ხმით. გაისმა ბრახუნიც. მოგვიანებით — ყვირილი. კიდევ უფრო მეტი მეტალისებრი ხმა... რაღაც მიგორავდა? — *რა თქმა უნდა* — დაეთანხმა გონება. გაგორდა ქვები...

გაიგო თავისი გოგონას ყვირილის ხმა, — დაიჭირე, გეიჯ! მიდი, დაიჭირე!

ამას მოჰყვა გეიჯის კმაყოფილი წამოძახილი. ხმა, რომელზეც ლუისმა თვალები გაახილა და თავისი საძინებლის ჭერს შეხედა.

სრულიად მშვიდად იწვა, ელოდებოდა რეალობას — კარგ რეალობას, დალოცვილ რეალობას, რომელიც შინ დააბრუნებდა.

ყველაფერი სიზმარი იყო. საოცრად საშინელი, მაგრამ სიზმარი. ქვეცნობიერის უცნაური წარმოდგენები.

ისევ გაისმა მეტალისებრი ხმა, რომელსაც დერეფანში მოგორიალე გეიჯის ერთ-ერთი სათამაშო მანქანა გამოსცემდა.

— დაიჭირე, გეიჯ!

— დაიწირე! — ყვიროდა გეიჯი, — დაიწირე! დაიწირე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტამპ-ტამპ-ტამპ. გეიჯი დერეფანში შიშველი ფეხებით დარბოდა. ის და ეილი ორივენი ხითხითებდნენ.

ლუისმა მარჯვნივ გაიხედა. ლოგინში რეიჩელის მხარე ცარიელი იყო, საბანი გადაგდებული. მზე უკვე საკმარისად ამოსულიყო. ლუისმა საათს გახედა და დაინახა, რომ უკვე რვა საათი სრულდებოდა. როგორც ჩანს, რეიჩელმა არ გააღვიძა და ძილი აცალა. ალბათ ეს სპეციალურად გააკეთა.

როგორც წესი, ამაზე გაღიზიანდებოდა, მაგრამ არა ამ დილით. ლუისმა ღრმად ჩაისუნთქა და ჰაერი ამოუშვა. მას ნამდვილად სჭირდებოდა, რომ ახლა აქ, რამდენიმე წუთი წოლილიყო მზის შუქზე, რომელიც ფანჯრებიდან აღწევდა და მთელ ოთახს სამყაროს შეუცდომელი რეალობით ავსებდა. მზის ნათელში მტვრის ნაწილაკები ცეკვავდნენ.

ქვემოდან რეიჩელმა დაიძახა. — ავტობუსი მალე მოვა, ჩამოდი, საჭმელი აიღე და გაემზადე, ელ!

— კარგი! — გაისმა მისი ფეხების კიდევ უფრო ხმამაღალი ტყაპატყუპი. — შენი მანქანა აიღე, გეიჯ. მე ბაღში უნდა წავიდე.

გეიჯმა აღშფოთებული ბურტყუნი წამოიწყო და, მართალია, რამდენიმე სიტყვის — გეიჯი, მანქანა, დაიჭი და ეილიბუსის — გარდა, ლუისმა ვერაფერი გაიგო, საერთო შინაარსი მაინც გასაგები იყო. გეიჯის აზრით, ეილი შინ უნდა დარჩენილიყო. დღეს ბაღში წასვლა აუცილებელი არ იყო.

ისევ რეიჩელის ხმა. — სანამ ჩამოხვალ მამაშენი შეაღვიძე, ეშმაკო ეილი!

ეილი საძინებელში შემოვიდა. თმა ცხენის კუდად შეეკრა და წითელი კაბა ჩაეცვა.

— მღვიძავს, პატარა, — უთხრა ლუისმა, — მიდი, ავტობუსზე არ დაგაგვიანდეს.

— კარგი, მამიკო. — ეილი მიუახლოვდა, მის გასაპარს ლოყას აკოცა და კიბისკენ გაიქცა. სიზმარი ნელ-ნელა ფერებს კარგავდა და რეალობას სწყდებოდა. *ძალიან კარგი, ამის დედაც.*

— გეიჯ! — დაუძახა ლუისმა, — მოდი, მამიკოს აკოცე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გეიჯმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და რაც შეეძლო სწრაფად კიბით ეილის ქვევით გაჰყვა. თან ბოლო ხმაზე ყვიროდა, — დაიწი! დაიწი! დაიწიიიი! — ლუისმა მის პატარა ბიჭს ზურგიდან მხოლოდ წამით მოჰკრა თვალი. გეიჯს საფენზე მხოლოდ ფართო ელასტიკური შორტი ეცვა.

ქვემოდან ისევ რეიჩელმა ამოსძახა. — ლუის, გაიღვიძე?

— ჰო, — თქვა ლუისმა და წამოჯდა.

— ხომ გითხარი! — დაიძახა ეილიმ, — აბა, წავედი, კარგად! — გაისმა კარის დახურვის ხმა, რასაც გეიჯის ნაწყენი შეძახილი მოჰყვა.

— კვერცხი — ერთი თუ ორი? — ისევ რეიჩელი.

ლუისმა საბანი გადასწია და ფეხები ხალიჩაზე ჩამოდგა. უკვე იმის დაძახებას აპირებდა, რომ ამ დილას კვერცხის გარეშე გადაატარებდა, მხოლოდ ბურბუშელით ისაუზმებდა და გაიქცეოდა, რომ ყველა სიტყვა უეცრად ყელში გაეჩხირა.

ტერფები ჭუჭყით და ფიჭვის წიწვებით ჰქონდა დაფარული.

გული ყუთში დამალული ზამბარიანი სათამაშოს მსგავსად ყელამდე ამოუვარდა. რიტმი აუჩქარდა, თვალები გაუფართოვდა, კბილები გაუაზრებლად დააჭირა ენას და საბანი მთელ სიგრძეზე გადაიძრო. ორივე ფეხი ტალახით და წიწვებით ჰქონდა დაფარული, ზეწარი კი, რომელზეც იწვა, საშინლად დასვრილიყო.

— ლუის?

კიდევ რამდენიმე წიწვი შენიშნა მუხლზე, შემდეგ კი უეცრად მარჯვენა მკლავზე დაიხედა. ბიცეფსზე გამხმარი ტოტის მიერ შერჩენილი ნაკაწრი ეტყობოდა.

სიზმარში.

ახლა მაგრად ვიყვირებ. ვგრძნობ.

და ალბათ ასეც მოიქცეოდა. შიში და აგონია შინაგანად ავსებდა, რეალური სამყარო მის თვალწინ ცახცახებდა. *რეალობა — ნამდვილი რეალობა,* — გაიფიქრა ლუისმა, — *ეს წიწვები და ჭუჭყია. ჩემს ზეწარზე. და სისხლიანი ნაკაწრი მკლავზე.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრად ვიყვირებ და მერე ჭკუაზე შევიშლები. ამით დამთავრდება ჩემი დარდები.

— ლუის? — რეიჩელი უკვე კიბეზე ამოდიოდა. — ლუის, ძილი შეიბრუნე?

მისი გონება მორევში ტრიალებდა. სადღაც სილრმეში, ამ ყველაფრისგან ძალიან შორს, საკუთარ თავს უსვამდა შეკითხვას: იქნებ ეს არარაციონალურობა ყოველთვის მის გვერდით არსებობდა. იქნებ სხვებიც ასე იყვნენ?

— კვერცხი — ერთი თუ ორი? — რეიჩელი მეორე თუ მესამე საფეხურზე გაჩერდა. *მადლობა ღმერთს.*

— ორი, — გასძახა ლუისმა ძლივს გასაგონად. — გათქვეფილი.

— ძალიან კარგი, — თქვა რეიჩელმა და ისევ ქვევით დაეშვა.

ლუისმა რამდენიმე წამით თვალები დახუჭა, მაგრამ სიბნელეში პასკოუს ვერცხლისფერი თვალები დაინახა. ისევ გაახილა და ახლა სიტუაციაში სხარტად გარკვევა დაიწყო. პირველ რიგში, დასვრილი ზეწარი უნდა გამოეცვალა. საბნებს არა უშავდა, არ დასვრილიყო. ლუისმა ზეწარი სასწრაფოდ ლოგინს ააძრო და სარეცხის მილში ჩააგდო. შემდეგ თითქმის სირბილით შევარდა აბაზანაში და, მიუხედავად მდუღარე წყლისა, შხაპის ქვეშ დადგა. ლუისმა ფეხებიდან ჭუჭყი ჩაიწმინდა და თავი ცოტა უკეთ იგრძნო. უკვე რაღაცას აკონტროლებდა. მერე იმაზე დაფიქრდა, რომ ახლა ხვდებოდა, როგორ გრძნობენ თავს დამნაშავეები, რომლებიც მტკიცებულებების მოშორებას ცდილობენ და სჯერათ, რომ უკვე ყველაფერი მოიშორეს. ამ ფიქრებმა ლუისს სიმძიმე და, ამავდროულად, სიცილი მოჰგვარა. უკვე გაუჩერებლად იცინოდა.

— ჰეი, მანდ, ზევით! — ამოსძახა რეიჩელმა, — რაზე გეცინება?

— რაღაც გამახსენდა, — ჩასძახა ლუისმა სიცილით. ეშინოდა, მაგრამ არც შიში აჩერებდა, ისევ იცინოდა. მუცელში უკვე ქვების სიმძიმეს გრძნობდა. ფიქრობდა, რომ სამრეცხაო მილში ზეწრის ჩაგდება საუკეთესო გადაწყვეტი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლება იყო, რადგან მისი დანდრიჯი მათთან კვირაში ხუთჯერ მოდიოდა, მტვერსასრუტს უსვამდა, ალაგებდა, სარეცხსაც რეცხავდა. შესაბამისად, დასვრილ ზეწრებს რეიჩელი არ ნახავდა, დანდრიჯი კი, დიდი ალბათობით, მასთან არაფერს იტყოდა. ალბათ მაქსიმუმ თავის ქმარს გადაუჩურჩულებდა კრიდების უცნაური სასიყვარულო თამაშის შესახებ, რომელშიც ისინი თურმე სხეულის საღებავების ნაცვლად ტალახსა და ფიჭვის წიწვებს იყენებდნენ.

ამ ფიქრებმა ლუისი კიდევ უფრო ძლიერად გააცინა.

ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდა, ჩაიცვა და უკვე ცხადად გაიაზრა, რომ თავს უკეთ გრძნობდა. ვერ ხვდებოდა, რატომ და როგორ, მაგრამ აშკარად ასე იყო. ოთახსაც არაფერი ეტყობოდა. ერთადერთ უცნაურობას ის ქმნიდა, რომ ლოგინზე ზეწარი არ ეფინა, მაგრამ ამას არა უშავდა, მთავარი იყო, რომ შხამი უკვე მოეშორებინა. აქ ალბათ „მტკიცებულება“ უფრო სწორი ტერმინი იქნებოდა, მაგრამ რატომღაც ლუისს სურდა, რომ სიტყვა „შხამი“ ეხმარა.

ალბათ სწორედ ასე იქცევიან ადამიანები ამოუხსნელის პირისპირ. ამას აკეთებენ მაშინ, როცა რაღაც არარაციონალურს ეჯახებიან და მას ვერაფრით ხსნიან, ვერაფრით უქვემდებარებენ დასავლური სამყაროს წესებს. ასე ეგუებოდა გონება იმ ორომტრიალს, რომელიც ერთ დილას ყანის თავზე მფრინავი თეფშის გამოჩენას, ბაყაყების წვიმას, ან ღამით ლოგინის ქვეშიდან შენს შიშველ ფეხზე უცნობის ხელის ჩავლებას გამოეწვია. ეს ადამიანებიც იცინოდნენ, მაგრამ რადგან მომხდარს ვერაფრით ხსნიდნენ, უბრალოდ, ტერორისთვის თავის არიდებას ცდილობდნენ. იშორებდნენ, როგორც კენჭს თირკმლიდან.

გეიჯი თავის სკამში იჯდა, შოკოლადის ბურბუშელა „კოკოა ბიერზს“ ჭამდა, ნაწილით მაგიდას რთავდა, დანარჩენს კი თმაში იზელდა.

რეიჩელი სამზარეულოდან კვერცხითა და ფინჯანი ყავით გამოვიდა. — ასე რაზე გეცინებოდა, ლუ? ისე ხარხარებდი, ცოტა შემეშინდა კიდეც.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა რაღაცის სათქმელად პირი გააღო, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა. შემდეგ გაახსენდა ერთი კვირით ადრე ქუჩის კუთხეში, მაღაზიაში მოსმენილი ანეკდოტი ებრაელ მკერავზე, რომელმაც თუთიყუში იყიდა, თუთიყუშმა კი მხოლოდ ერთი ფრაზა იცოდა — „არიელ შერონი ანძრევს“.

ანეკდოტის მოყოლას რომ მორჩა, რეიჩელი უკვე იცინოდა. იცინოდა გეიჯიც.

კარგი. ჩვენმა გმირმა მტკიცებულებები გადამალა, ჭუჭყიან ზეწარსაც თავისი ადგილი მიუჩინა, შემდეგ მხიარული სიცილის ფონზე შხაპი მიიღო, ახლა კი ჩვენი გმირი დილის გაზეთს აიღებს და წაიკითხავს, ან იმიტაციას შექმნის, რომ კითხულობს და დღევანდელი დილის ნორმალურობას ამით დაუსვამს ბეჭედს.

ამ ფიქრებში ლუისმა გაზეთი გაშალა.

აი, სწორედ ასე უნდა მოიქცე — გაიფიქრა შვებით. — *თირკმლებიდან კენჭი უნდა განდევნო და ამით ყველაფერი დაასრულო. იქამდე მაინც, სანამ მეგობრებთან ერთად კოცონთან ამ ისტორიას ხელახლა არ გაიხსენებ. იმიტომ, რომ როცა კოცონთან სხედხართ და ქარი უბერავს, ათას სისულელეზე შეიძლება ლაპარაკი.*

კვერცხი შეჭამა, რეიჩელს და გეიჯს აკოცა და გამოსვლამდე სამრეცხაო განყოფილებაში დაკუჭულ თეთრ ზეწარს გახედა. ყველაფერი რიგზე იყო. კიდევ ერთი იდეალური დილა გათენებულიყო. გარემოს ყოველ დეტალს გვიანი ზაფხულის კვალი ეტყობოდა და თითოეული მათგანი კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ ყველაფერი მშვენივრად იყო. ლუისს წარბიც კი არ შეუხრია. კენჭმა თირკმელი დატოვა.

ყველაფერი კარგად იყო მანამ, სანამ ათ მილს არ გაივლიდა და შემდეგ თავი იმდენად შეუძლოდ იგრძნო, რომ იძულებული გახდა, გზიდან პირდაპირ „სინგის“ ჩინური რესტორნის დაცარიელებულ ავტოსადგომზე გადაეხვია, რომელიც ისტერნ მენის სამედიცინო კლინიკის სიახლოვეს მდებარეობდა. სწორედ აქ წაიღეს წინადღეს პასკოუს სხეული. უფრო სწორად, ამ სამედიცინო კლინიკასთან მდებარე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მორგში. ჩინური რესტორნის შემყურე ლუისს კი თავში მოსდიოდა აზრი, რომ საწყალი პასკოუ ველარასოდეს შეუკვეთდა ამ რესტორანში მუ-გუ-გაი-პანს. ჰა-ჰა...

თრთოლამ მთელი სხეული მოიცვა. ლუისი შეძრწუნებული და სასოწარკვეთილი იყო, თუმცა ამის მიზეზი გახლდათ არა რაღაც ამოუცნობი და არაბუნებრივი, არამედ დილის ნათელი და, ამასთან ერთად, ფიქრი იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა ჭკუაზე შეშლილიყო. თითქოს უჩინარმა ხელმა თავზე თოკი შემოუჭირა.

— არა, საკმარისია, — თქვა მან, — გთხოვ, საკმარისია, რა.

შემდეგ რადიო ჩართო. ჯოან ბაეზი ბრილიანტებისა და ჟანგის[1] შესახებ მღეროდა. მისი ტკბილი და სასიამოვნოდ გრილი ხმა ლუისს მალამოდ მოედო და როცა სიმღერა დასრულდა, გზა განაგრძო.

როცა სამედიცინო ცენტრში მივიდა, ჩარლტონს მიესალმა და თავი პირდაპირ აბაზანაში დურთა, რადგან ეგონა, საზიზღრად გამოიყურებოდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ თვალებთან მხოლოდ შავი ჩაღრმავებები ეტყობოდა, რომლებიც რეიჩელსაც კი არ შეუმჩნევია. ლუისმა სახეზე ცივი წყალი შეისხა, გაიმშრალა, თმა დაივარცხნა და კაბინეტში დაბრუნდა.

კაბინეტში სტივ მასტერტონი და ინდიელი ექიმი სარენდრა ჰარდუ ისხდნენ, ყავას სვამდნენ და დოკუმენტებს ამოწმებდნენ.

— დილა მშვიდობისა, ლუ, — უთხრა სტივმა.

— დილა მშვიდობისა.

— იმედია, წინანდელზე მშვიდობიანი მაინც იქნება. — თქვა ჰარდუმ.

— სწორია. იცი, შენ მთელი სანახაობა გამოტოვე.

— დამიჯერე, წუხელ სარენდრას თავადაც მაგარი სანახაობა გადახდა, — ღიმილით თქვა მასტერტონმა, — მიდი, სარენდრა, მოუყევი.

---

[1] *იგულისხმება ჯოან ბაეზის მიერ 1974 წელს დაწერილი სიმღერა — Diamonds & Rust.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარდუმ სათვალის მინები გაწმინდა და გაიღიმა. — ორმა ბიჭმა სიმთვრალით გათიშული მეგობარი გოგო მოიყვანეს. სადღაც ღამის პირველი საათი იქნებოდა. უნივერსიტეტის დაწყება აღუნიშნავთ, ხომ ხვდებით. და ამ სიმთვრალეში ბარძაყი როგორღაც მაგრად გასჭრია. ვუთხარი, ნაიარევი რომ არ დაგრჩეს, ოთხი ნაკერი მაინც უნდა დაგადოთ-მეთქი. გოგომ მითხრა, გაკერეო, ჰოდა, მეც ასე დავიხარე და...

ჰარდუმ აჩვენა, თუ როგორ იხრებოდა გოგოს ბარძაყთან და ამ მოძრაობამ ლუისს ღიმილი მოჰგვარა. ამბის შინაარსს უკვე ხვდებოდა.

— ჰოდა, კერვა დავიწყე და უცებ თავზე არ დამარწყია?!

მასტერტონს სიცილი წასკდა, ლუისიც აჰყვა, ჰარდუმ მშვიდი სახით გაიღიმა ისე, თითქოს ასეთი მოვლენა ჩვეული ყოველდღიურობა ყოფილიყოს.

— სარენდრა, რამდენი ხანია, რაც მორიგეობ? — ჰკითხა ლუისმა, როცა სიცილი ჩაწყნარდა.

— შუალამის მერე, — უპასუხა ჰარდუმ, — უკვე მივდივარ, უბრალოდ, თქვენთან შეხვედრა და მოსალმება მინდოდა.

— ჰოდა, გაგიმარჯოს, — უთხრა ლუისმა და მის პატარა ყავისფერ ხელს ხელი ჩასჭიდა, — ახლა შინ წადი და დაიძინე.

— ძირითად ფაილებს თითქმის მოვრჩით, — თქვა მასტერტონმა, — ალილუია, სარენდრა.

— მაგ შეძახილზე უარს ვამბობ, — თქვა ჰარდუმ ღიმილით, — მე ქრისტიანი არ ვარ.

— მაშინ კარმას სადიდებელი შესძახე, ან რამე.

— გასხივოსნებულ იყავით ორივე. — თქვა ჰარდუმ ისევ ღიმილით და კარში გავიდა.

ლუისმა და სტივ მასტერტონმა უსიტყვოდ გააყოლეს თვალი. ერთმანეთს გადახედეს და ორივეს ერთდროულად აუვარდა სიცილი. ლუისისთვის სიცილი ჯერ არ ყოფილა ასეთი კარგი... ასეთი ნორმალური.

— როგორც კი ფაილებს მოვრჩებით, — თქვა სტივმა, — ნარკოდილერებთან გვიწევს შეხვედრა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა თავი დაუქნია. წამლების გამყიდველების პირველი ჯგუფი ათზე მოვიდოდა. სტივი თავისებურ მეტსახელებს იყენებდა. ოთხშაბათს პრინცი სპაგეტის[1] დღეს უწოდებდა. აი, სამშაბათს კი დ-ს დღე ეწოდებოდა. „დ“, რა თქმა უნდა, ყველასთვის საყვარელ „დარვონს“ აღნიშნავდა.

— ერთ კარგ რჩევას მოგცემთ, ო, დიდო ბოსო, — უთხრა სტივმა, — არ ვიცი, ჩიკაგოში რა ხდებოდა, მაგრამ აქ წამლების გამყიდველები ისეთი გიჟები არიან, მზად არიან სანაცვლოდ ნებისმიერი რამ შემოგთავაზონ. უფასო ნადირობის ტურებიდან დაწყებული, ალაგაშით გაგრძელებული და შემოდგომაზე ბანგორში უფასო ბოულინგით დამთავრებული. ერთხელ ტიპმა კინაღამ გასაბერი ქალი შემომტენა. მე! მაშინ, როცა მე მხოლოდ პირადი ასისტენტი ვარ! დამიჯერე, წამლები თუ ვერ მოგყიდეს, მსუბუქი ფორმის ფსიქოზს მაინც აგკიდებენ.

— გასაბერი ქალი უნდა აგელო.

— არა, წითური იყო. ჩემგან შორს.

— მაშინ სარენდრას დავეთანხმები. იმედია, დღევანდელი დღე გუშინდელზე მშვიდობიანი იქნება.

18

როცა კომპანია „აფჯონის“ წარმომადგენელი ზუსტად ათზე არ მოვიდა, ლუისმა მაშინვე სარეგისტრაციო ოფისში დარეკა და მისის სტეპლტონს ელაპარაკა, რომელმაც უთხრა, რომ ვიქტორ პასკოუს დოკუმენტებს დაუყოვნებლივ მიუტანდა. როცა ლუისმა ყურმილი დაკიდა, „აფჯონის“ კაციც მოვიდა, თუმცა მას ლუისისთვის არაფრის მიყიდვა არ უცდია, მხოლოდ ის ჰკითხა, დაინტერესებული იყო თუ არა პატრიოტების თამაშების ერთწლიანი აბონემენტის ფასდაკლებით შეძენით.

— არა. — მიუგო ლუისმა.

---

[1] *მინიშნებაა 1969 წელს სატელევიზიო ეთერით გასულ სპაგეტის რეკლამაზე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ოთხშაბათი პრინცი სპაგეტის დღეა“.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ასეც ვფიქრობდი. — თქვა „აფჯონის“ კაცმა დანანებით და წავიდა.

შუადღით ლუისი „ბიერზ დენში“ გავიდა, ტუნას სენდვიჩი და კოლა იყიდა და უკან, კაბინეტში დაბრუნდა. გადაწყვიტა, აქვე ესადილა და თან პასკოუს დოკუმენტები გადაეთვალიერებინა, რათა იქნებ რაიმე კავშირი ეპოვა მასსა და პასკოუს ან ჩრდილოეთ ლადლოუს შორის, სადაც შინაური ცხოველების სასაფლაო მდებარეობდა. ლუისი ცდილობდა, როგორღაც მიეგნო მომხდარი მოვლენების რაციონალური ახსნისთვის და იქნებ... იქნებ ბიჭი ლადლოუში გაიზარდა, იქნებ საყვარელი ძაღლი ან კატა მასაც დაემარხა იმ სასაფლაოზე.

თუმცა, ვერანაირ კავშირს ვერ მიაგნო. პასკოუ ნიუ-ჯერსის ქალაქ ბერგენფილდიდან იყო და აქ უნივერსიტეტში ელექტრულ ინჟინერიას სწავლობდა. იმ რამდენიმე ნაბეჭდ ფურცელში ვერანაირ ხელმოსაჭიდს ვერ მიაგნო. ყველაფერი ისევ უაზრო სიზმრისეულ ამბად რჩებოდა.

ლუისმა თითები მაგიდაზე აათამაშა, მხრები აიჩეჩა და მერე ისევ ყურმილი აიღო. პოლიციის განყოფილებაში დარეკა და მორგთან დაკავშირება ითხოვა.

მას შემდეგ, რაც პათოლოგისტ კლერკს დააკავშირეს, ლუისმა თავი წარუდგინა და ჰკითხა: — მანდ უნდა გყავდეთ ერთი სტუდენტი, სახელად ვიქტორ პასკოუ...

— უკვე აღარ, — უთხრა ხმამ მეორე ბოლოდან, — აქ აღარ არის.

ლუისს ყელი გაუშრა. ბოლოს, როგორც იქნა, იკითხა, — რა?

— ავტოფსია გუშინ შუადღით ჩაუტარდა, — ფურცლების ქექვის ხმა, — სადღაც ოთხის ოც წუთზე, დოქტორ რინზვიკის მიერ. შემდეგ მამამისმა ყველაფერი მოაგვარა და ღამის ორისკენ სხეული უკვე ნიუ-არკისკენ გაუშვეს.

— აჰა. ანუ...

— თუ, რა თქმა უნდა, გადამზიდავებმა რამე არ აურიეს და სხვაგან არ წაიყვანეს, — თქვა პათოლოგისტმა მხი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არულად, — იცით, ერთხელ უკვე დაგვემართა ასეთი რამ, ოლონდ მაშინ „დელტა“ არ მიფრინავდა. ეგენი საკმაოდ კარგად მუშაობენ. ერთი ბიჭი გვყავდა, ერუსტუკის მხარეში დაიღუპა. ერთი პატარა ქალაქია, რუკაზეც კი არ არის დატანილი. ბიჭს ლუდის ქილის გამხსნელი თუნუქის პატარა დეტალი გადაეყლაპა და დაიხრჩო. მის მეგობრებს იმ სოროდან გამოსაძრომად ორი დღე დასჭირდათ. ამდენი დროის შემდეგ კი უკვე დაზუსტებით ველარ იტყვი, როგორ იმოქმედებს ბალზამი, ხომ ხვდებით. მოკლედ, ყველანაირი ბალზამი ჩაასხეს, რასაც კი მიაგნეს და ბოლოს რომელიღაც ავიალაინერით გაუშვეს. მერე თვითმფრინავში რაღაც აერიათ და გვამი ჯერ გრანდ ფოლზში, მინესოტაში ჩაიტანეს, შემდეგ, მაიამიში, დე-მოინში და ბოლოს ჩრდილოეთ დაკოტაში, ფარგოში. როგორც ჩანს, ვიღაც მიხვდა, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო, მაგრამ უკვე სამი დღე გასულიყო და ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. ბალზამს აღარანაირი ეფექტი აღარ ჰქონდა, ისეთივე წარმატებით შეეძლოთ მის სხეულში ლიმონათი ჩაესხათ. მოკლედ, გვამი სულ მთლად გაშავდა და გაფუჭებული შემწვარი ღორის ხორცის სუნი აუვიდა. მართალი გითხრათ, მე იქ არ ვყოფილვარ, გადმოცემით ვიცი. თურმე ისეთი სუნი იდგა, ექვსი მტვირთავი ცუდად გამხდარა.

ყურმილის მეორე მხარეს კაცი გულიანად იცინოდა.

ლუისმა თვალები დახუჭა და თქვა: — დიდი მადლობა...

— შემიძლია დოქტორ რინზვიკის სახლის ნომერი მოგცეთ, დოქტორო, მაგრამ დილაობით, როგორც წესი, ორონოში გოლფს თამაშობს ხოლმე.

— არ არის საჭირო, გმადლობთ. — უთხრა ლუისმა.

ყურმილი დაკიდა. *მოდი, აქ დავამთავროთ,* — გაიფიქრა ლუისმა, — *როცა შენ ის სიზმარი თუ რაღაც ჯანდაბა გესიზმრა, პასკოუს სხეული უკვე ბერგენფილდის დამკრძალავ ბიუროში ესვენა. ამით ყველაფერი გარკვეულია. მორჩა, წერტილი დაუსვი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შუადღით, როცა შინ ბრუნდებოდა, თავში საბოლოოდ დაარტყა აზრმა, რომელიც ყველაზე ლოგიკურად ეჩვენებოდა და რომელსაც ნელ-ნელა უკვე იჯერებდა. მისი შეფასებით, ეს ყველაფერი ჰგავდა მოულოდნელ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ მთვარეულის ამბავს. ყველაფერი გასაგები ხდებოდა. ამას ემატებოდა სიზმრის ძალიან რეალური დეტალები — ვინაიდან ისინი ნამდვილად რეალური იყო, მათ შორის, ხალიჩის ცივი შეხება, კარში მის გაუღებლად ვერგასვლა და ლუისს უკვე თვალწინ ედგა სურათი სამზარეულოში: რეიჩელი საძინებლიდან ჩამოდის და უყურებს ლუისს, რომელიც საკუჭნაოს კარს შუბლით ეტაკება და მასში გასვლას ცდილობს. ალბათ, მაშინვე ჭკუაზე შეიშლებოდა. რა თქმა უნდა.

მთვარეულის ჰიპოთეზის ჩამოყალიბებასთან ერთად ლუისი სიზმრის მიზეზებსაც ხვდებოდა. როგორც ჩანს, ის ნამდვილად მივიდა შინაური ცხოველების სასაფლაოზე — ადგილზე, რომელიც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში უდიდეს სტრესთან — ცოლთან გამართულ სერიოზულ კამათთან იყო ასოცირებული. და კიდევ... მისი გოგონას მიერ სიკვდილის პირველ გააზრებასთან. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მის ქვეცნობიერში დაილექა და საბოლოოდ სიზმრის სახით ჩამოყალიბდა.

კიდევ კარგი, შინ მშვიდობით დავბრუნდი, — ეგ ნაწილი არც კი მახსოვს. როგორც ჩანს, ავტოპილოტით ვმოძრაობდი.

ეს უკვე კარგი იყო, ამ დილით კუსტარულად მოწყობილ საფლავებს შორის რომ არ გაელვიძა, სადმე კატა სმაკის გვერდით — დაბნეულს და ისეთივე ჭკუაზე შეშლილს, როგორიც რეიჩელი იქნებოდა, სამზარეულოში რომ მართლა ენახა.

მაგრამ, ეს ყველაფერი ახლა უკვე დამთავრებული იყო.

მორჩა, დაუსვი წერტილი, — გაიფიქრა ლუისმა და მშვიდად ამოისუნთქა. — *ხო, მაგრამ იმ სიტყვებს რალას ვუშვრებით, პასკოუმ რომ სიკვდილის წინ წარმოთქვა?* — *ალბათ მისი ქვეცნობიერის რაღაც ბოროტი ხრიკი იყო.* ლუისმა ეს ფიქრებიც მალევე გაფანტა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმ საღამოს, როცა რეიჩელი აუთოებდა, ეილი და გეიჯი კი ერთ სკამში ისხდნენ და გაფართოებული თვალებით „მაპეტის შოუს“ უყურებდნენ, ლუისმა რეიჩელს უთხრა, რომ სურდა გარეთ გაესეირნა და სუფთა ჰაერი ჩაეყლაპა.

— მაგრამ, გეიჯის ძილის დროისთვის ხომ დაბრუნდები? — ჰკითხა რეიჩელმა უთოდან თავაუღებლად, — ხომ იცი, როცა აქ ხარ, უფრო იოლად იძინებს.

— რა თქმა უნდა.

— სად მიდიხარ, მამიკო? — ჰკითხა ეილიმ ისე, რომ ტელევიზორისთვის თვალები არ მოუშორებია. იქ ბაყაყ კერმიტს სადაცაა თვალში მოსდებდა მის პიგი.

— უბრალოდ, ცოტა ხნით გავისეირნებ, საყვარელო.

ლუისი გარეთ გავიდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ის უკვე შინაური ცხოველების სასაფლაოზე იდგა და აქეთ-იქით ძლიერი დეჟავიუს ფონზე ინტერესით იყურებოდა. აშკარა იყო: წინა ღამით ის აქ მოვიდა და აი, სმაკის დაფაც მას წაექცია, როდესაც წარმოსახვითი პასკოუ მიუახლოვდა. ლუისი საფლავს გასცდა და ხეების გორისკენ დაიძრა.

ეს გორა ძალიან არ მოსწონდა. მისი გამომშრალი ტოტები იმ ძვლებს ახსენებდა, რომელთა წარმოდგენაც ჯერ ისევ სხეულს უციებდა. ახლა თავს ძალა დაატანა, ხელი წინ გასწია და ერთ-ერთ ტოტს შეეხო, ოდნავ დაქაჩა და გამხმარი ტოტიც მაშინვე მოსწყდა ხეს. ლუისი უკან გადახტა, რათა ტოტი მის ფეხსაცმელს არ შეხებოდა.

შემდეგ ერთ-ერთ წაქცეულ ხეს შემოუარა. ჯერ მარცხნიდან, შემდეგ მარჯვნიდან. ორივე მხრიდან ბალახებით ისე იყო გარშემორტყმული, რომ მასთან თავისუფლად მიახლოება თითქმის შეუძლებელი ჩანდა. *ამ ბუჩქებს ასე მარტივად ვერ გაივლი,* — გაიფიქრა ლუისმა, — *თუ, რა თქმა უნდა, იდიოტი არ ხარ.* მიწაზე ხედავდა შხამიან სუროს (ბევრჯერ სმენია ადამიანთა შესახებ, რომლებიც თავმომწონედ ირწმუნებოდნენ, რომ შხამიანი სურო მათ ვერაფერს ავნებდა, თუმცა ლუისმა კარგად იცოდა, რომ ასეთი რამ პრაქტიკუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლად შეუძლებელი იყო), ოდნავ ზევით კი ყველაზე დიდ და წვეტიან ეკლებს, რომლებიც კი ოდესმე უნახავს.

ისევ უკან დაიხია და ხეს დააკვირდა. ხელები ჯინსის შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო.

მასზე ასვლას არ შეეცდები, ხომ?

არა, ბოს. ეგეთი სისულელე რატომ უნდა ჩავიდინო?

დიდებულია. რა ვიცი, რაღაც მომენტში მაინც შევშინდი, ლუ. ეს ხომ იმას ნიშნავს, პირდაპირ საკუთარ კლინიკაში მოგათავსონ მუხლის მოტეხილობით.

აბა, როგორ! თან, უკვე ღამდება.

და ასე, საკუთარ თავთან სრული თანხმობით, ლუისმა გამხმარი ხეების გროვაზე ასვლა დაიწყო.

უკვე თითქმის ბოლომდე იყო ასული, როცა ტერფქვეშ ზედაპირის სისუსტე იგრძნო და ტეხის ხმა გაიგონა.

ძვლები ხმაურობენ, დოკ.

როცა კიდევ ერთი ჭახანის ხმა გაისმა, ლუისი მიწაზე დაბრუნდა. პერანგი შარვლიდან ამოეჩაჩა.

მყარ მიწას ზედმეტი ინციდენტის გარეშე დაუბრუნდა და ხელებიდან ხის ჭუჭყი მოიშორა. შემდეგ ისევ ბილიკისკენ წავიდა, რომლის ბოლოშიც ელოდა სახლი — შვილები და ზღაპარი ძილის წინ, ჩერჩი, რომელიც მდედრთა გულთამპყრობელობის ბოლო წუთებს ითვლიდა და ჩაი მეუღლესთან ერთად, ბავშვების დაძინების შემდეგ.

წასვლამდე ერთხელ კიდევ დააკვირდა ამ მწვანე სიჩუმეს. ნისლი ნელ-ნელა უკვე მოსდებოდა მიწის ზედაპირს, მსუბუქი ნიავიც უბერავდა და ლუისის ყურადღებას ისევ ეს კონცენტრული წრეები იპყრობდა. თითქოს... თითქოს გაუაზრებლად ჩრდილოეთ ლადლოუს ბავშვების რამდენიმე თაობას აქ თავისებური, მცირე ზომის სტოუნჰენჯი აეგო.

მაგრამ, ლუის, ყველაფერი ხომ დასრულდა?

მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ კიდევ წამით გახედა მიწაზე გაწოლილ გამხმარ ხეს და საკმაოდ ანერვიულდა კიდეც, რადგან მის მიღმა, თითქოს ტყეში, კიდევ ერთი ბილიკი შენიშნა, ლუისმა მაინც შინ დაბრუნება არჩია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს შენი საქმე აღარ არის, ლუის. უნდა შეეშვა.

კარგი, ბოს.

ლუისი შინისკენ გაუყვა ბილიკს.

იმ ღამით, მას შემდეგ, რაც რეიჩელი დაწვა, კარგა ხანს არ იძინებდა, ისევ კაბინეტში იჯდა და ათასჯერ გადაკითხულ სამედიცინო ჩანაწერებს კიდევ ერთხელ კითხულობდა. არ აღიარებდა, თუმცა ხვდებოდა, რომ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა რაც შეიძლებოდა გვიან დაეძინა, რადგან ძილის წარმოდგენაც კი მასში შფოთვას იწვევდა. აქამდე ძილში არასოდეს უვლია, თუმცა არ არსებობდა მიზეზი, რის გამოც შეეძლო ჩაეთვალა, რომ ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო.

გაიგო, როგორ წამოდგა რეიჩელი ლოგინიდან და ჩამოსძახა, — ლუ? საყვარელო, არ მოდიხარ?

— მოვდივარ, — გასცა პასუხი, შემდეგ მაგიდაზე სანათი ჩააქრო და წამოდგა.

* * *

იმ ღამით დასაძინებლად აშკარად შვიდ წუთზე მეტი დასჭირდა. თვალები მექანიკურად დაეხუჭა და მის გვერდით, ღრმა ძილში მყოფი რეიჩელის მშვიდ სუნთქვას ისმენდა. ვიქტორ პასკოუს სტუმრობა უკვე შედარებით ნაკლებად ჰგავდა სიზმარს. რამდენჯერაც ლუისმა თვალები დახუჭა, იმდენჯერ ცხადად წარმოიდგინა, როგორ აღებდა კარს ჩვენი გადაცემის სპეციალური სტუმარი — ვიქტორ პასკოუ და იქ ზაფხულის რუჯმოდებული, წითელ შორტში იდგა, გატეხილი ლავიწის ძვალი კი კვლავინდებურად შიშვლად ამოსჩროდა.

შემდეგ ლუისი წარმოიდგენდა, როგორი იქნებოდა ახლა შინაური ცხოველების სასაფლაოზე წოლა მთვარით განათებულ იმ ცივ წრეებს შორის. ფიქრობდა ტყეში გამავალ ბილიკებზე და ისევ ეღვიძებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საბოლოოდ მხოლოდ შუალამის შემდეგ ჩაეძინა. არაფერი დასიზმრებია, დილით კი, ზუსტად რვის ნახევარზე, ფანჯრის მინებზე შემოდგომის წვიმის წკაპუნმა გააღვიძა. საბანი გადაიწია, დააკვირდა, უნაკლოდ სუფთა იყო, შემდეგ ფეხებს დახედა და, მართალია, ამ დაკოჟრილ ტერფებს მხოლოდ უნამუსო თუ უწოდებდა უნაკლოს, მაგრამ ჭუჭყის კვალი არც მათ ეტყობოდა.

ლუისმა უნებლიეთ შენიშნა, რომ შხაპის მიღების დროს გაუჩერებლად უსტვენდა.

19

მისი დანდრიჯი გეიჯთან დარჩა, სანამ რეიჩელს უინსტონ ჩერჩილი ვეტერინართან ჰყავდა წაყვანილი. იმ ღამით ეილიმ მხოლოდ თერთმეტის შემდეგ დაიძინა. ჭირვეულობდა, ჩერჩის გარეშე დაწოლა არ უნდოდა და გამუდმებით წყლის დალევას მოითხოვდა. ბოლოს ლუისმა წყალზე უარი უთხრა, რადგან შეეშინდა, ბავშვს ძილში არ ჩაეფსა. ამაზე ისეთი ღნავილი მორთო, რომ ლუისმა და რეიჩელმა ერთმანეთს დაბნეულებმა გადახედეს.

— ჩერჩის გამო ტირის, — თქვა რეიჩელმა, — უნდა დაიცალოს, ლუ.

— დიდხანს მაინც არ გაგრძელდება. დაიღლება და გაჩუმდება. იმედია.

ლუისი მართალი აღმოჩნდა. ეილის ქვითინი მალე მინელდა, კრუსუნად იქცა და ბოლოს გაჩუმდა. როცა ლუისმა ეილი შეამოწმა, მას უკვე ეძინა, ხელი კი კატის ლოგინისთვის გადაეხვია, რომელში ძილზეც ჩერჩისაც არაერთხელ გამოუხატავს უკმაყოფილება. ლუისმა ჩერჩის ლოგინი ფრთხილად აიღო, გვერდზე გადადო და გოგონას აკოცა. შემდეგ გავიდა პატარა ოთახში, რომელიც რეიჩელის კაბინეტის ფუნქციას ასრულებდა, ჩანაწერების ფურცელზე დიდი შავი ასოებით დაწერა: *„მალე დავბრუნდები, მიყვარხარ. ჩერჩი“* და ფურცელი კატის ლოგინზე დადო. შემდეგ თავის საძინებელში დაბრუნდა, სადაც უკვე რეიჩელი ელოდა. იმ ღამით ისიყვარულეს და ერთმანეთის მკლავებში ჩაეძინათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩერჩი შინ პარასკევს, ლუისის პირველი სამუშაო კვირის ბოლოს დაბრუნდა. ეილიმ დიდად გაიხარა, ჯიბის ფული კი მთლიანად ერთ დიდ შეკვრა კატის საჭმელში დახარჯა. შემდეგ, როცა გეიჯმა კატასთან მიახლოება სცადა, ეილიმ კინაღამ ხელი გაარტყა, რაზეც გეიჯმა აქამდე გაუგონარი ტირილი მორთო. მისთვის ხომ ეილის რისხვა ღვთის რისხვის ტოლფასი იყო.

ჩერჩის შემყურე ლუისი კი თავს სევდიანად გრძნობდა. წარმოუდგენლად შეცვლილიყო მისი ემოციები. აღარ არსებობდა მოუსვენარი, მტაცებლის თვალებით მოარული ჩერჩი. ახლა ძალიან ნელა, სრულიად გულგრილად დააბიჯებდა, ეილის ხელიდან ჭამდა და გარეთ გასვლის სურვილს საერთოდ არ გამოხატავდა. ავტოფარეხში ჩასვლაც კი აღარ უნდოდა. ძალიან შეიცვალა და ალბათ ეს უკეთესიც იყო.

არც რეიჩელს და არც ეილის ეს ცვლილებები არ შეუმჩნევიათ.

20

ინდიელების ზაფხული[1] ისე წავიდა, როგორც მოვიდა. ხეებს სპილენძისფერი დაედო, უეცრად აჯანყდნენ და შემდეგ მალევე მიჩუმდნენ. შუა ოქტომბრის ერთი ცივი და უხვი წვიმის შემდეგ ფოთლებმა ცვენა დაიწყო. ეილიმ ბაღიდან ჰელოუინისთვის დამზადებული დეკორაციების მოტანა, გეიჯისთვის კი უთავო მხედარზე ამბების მოყოლა დაიწყო. ერთი საღამო გეიჯმა ვინმე იჩიბოდ ბრეინის[2] სახელის მხიარულად ხსენებაში გაატარა. რეიჩელიც ხითხითებდა. საერთოდ ადრიანი შემოდგომა მთელი ოჯახისთვის კარგი პერიოდი გამოდგა.

---

[1] *ასე უწოდებენ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არაბუნებრივად თბილ და მშრალ ამინდს შემოდგომაზე ან გაზაფხულზე.*

[2] *ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, გეიჯი არასწორად გამოთქვამს იკაბოდ კრეინის სახელს, რომელიც ამერიკული ფოლკლორის ერთ-ერთი ცნობილი პერსონაჟია. ის უთავო მხედართან ერთად მთავარი გმირია ვაშინგტონ ირვინგის მოთხრობისა — „ლეგენდა მძინარე ხეობაზე“.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უნივერსიტეტში მუშაობა ლუისისთვის სასიამოვნო რუტინად იქცა. ხვდებოდა პაციენტებს, ესწრებოდა კოლეჯის საბჭოს სხდომებს, წერდა სავალდებულო სტატიებს სტუდენტური გაზეთისთვის, სადაც უთითებდა აივ-ინფექციით დაავადებულთა მკურნალობასთან დაკავშირებულ სავალდებულო კონფიდენციალურობის დაცვასა და გრიპის საწინააღმდეგო აცრებზე, ვინაიდან ზამთრიდან ვირუსების გავრცელების საფრთხე გაიზრდებოდა. ასევე, უძღვებოდა სხდომებს და ოქტომბრის მეორე კვირაში პროვიდენსშიც წავიდა, სადაც ნიუ-ინგლენდის უნივერსიტეტების სამედიცინო მიმართულების თანამშრომლებისთვის გამართულ კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით სტუდენტთა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული იურიდიული ნიუანსების შესახებ. მოხსენებაში ვიქტორ პასკოუ მოხსენიებულ იქნა გამოგონილი სახელით — „ჰენრი მონტეზი". მოხსენებამ მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ ლუისმა მომავალი სასწავლო წლისთვის ლაზარეთის ბიუჯეტის შედგენა დაიწყო.

რუტინად იქცა მისი საღამოებიც: ვახშმის შემდეგ ბავშვებთან თამაში, მოგვიანებით კი ერთი-ორი კათხა ლუდი ჯად კრენდოლთან ერთად. ხანდახან მას რეიჩელიც მიჰყვებოდა, ბავშვებთან კი ერთი საათით დანდრიჯი რჩებოდა. იყო შემთხვევები, როცა მათთან ერთად ვერანდაზე ნორმაც ჯდებოდა. ლუისი ხვდებოდა, რომ მოხუც კრენდოლთან ურთიერთობა მისთვის სახლის ფლოსტებივით კომფორტული იყო. მან პრაქტიკულად ყველაფერი იცოდა ლადლოუს ისტორიიდან და შეეძლო სამასი წლის წინანდელი ამბები ისე მოეყოლა, თითქოს იმ დროში თავად ეცხოვრა. ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ ლუისს თავს არასოდეს აბეზრებდა, თავს არასოდეს აწყენდა. რეიჩელი კი, არაერთხელ შეუმჩნევია ლუისს, როგორ ცდილობდა პირზე მიფარებული ხელით დაემალა მთქნარება.

სახლისკენ მიმავალ გზას თითქმის ყოველ საღამოს ათ საათამდე კვეთდა ხოლმე. ასევე, თითქმის ყოველ საღამოს მას და რეიჩელს სექსი ჰქონდათ. ასეთი აქტიური სიყვარუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი ქორწინების პირველი წლის შემდეგ აღარ ჰქონიათ. არც ასეთი წარმატებული და სასიამოვნო. ამ ყველაფერს რეიჩელი არტეზიულ წყალს, ლუისი კი მენის ჰაერს აბრალებდა.

სემესტრის პირველ დღეს მომხდარი ვიქტორ პასკოუს საძაგელი სიკვდილის ფაქტი დავიწყებას მიეცა. რა თქმა უნდა, ჯერ ისევ დარდობდა მისი ოჯახი, მაგრამ სტუდენტებს და თავად ლუისსაც ნელ-ნელა ყველაფერი ავიწყდებოდათ. მხოლოდ ერთხელ ელაპარაკა ის პასკოუს მამას ტელეფონზე და მაშინაც, კაცს, როგორც ჩანს, უბრალოდ იმაში დარწმუნება სურდა, რომ ლუისმა მისი შვილის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთა. ლუისმა ეს დაუდასტურა, თუმცა აღარაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ პასკოუს გადარჩენა, მას შემდეგ, რაც ის ლაზარეთში მიიყვანეს, უკვე შეუძლებელი იყო. არც ხალიჩაზე დაღვრილი სისხლის შესახებ უთქვამს რამე. მისი აზრით, ეს ისეთი ფაქტები იყო, რომლებსაც თავად არასოდეს დაივიწყებდა, მაგრამ მამისთვის მათი გამხელის აუცილებლობა არ არსებობდა. ისევ ახსოვდა ის სიზმარი და მთვარეულის შემთხვევა, მაგრამ უკვე ისე, თითქოს ეს ამბავი ვილაც სხვას შემთხვეოდა, ან მის შესახებ ტელევიზორიდან გაეგო. ეს დაახლოებით ჰგავდა იმ ერთადერთ შემთხვევას, როცა ექვსი წლის წინ ჩიკაგოში ერთ მეძავს ეწვია. ზუსტად ასეთივე უმნიშვნელო, გაუაზრებელ და არაფრის მომცემ ამბად იქცა.

აღარც იმაზე უფიქრია, რაც მომაკვდავმა პასკოუმ თქვა... თუ არ თქვა.

ჰელოუინის ღამით მაგრად ციოდა. ლუისი და ეილი კრენდოლებთან მისულიყვნენ. ეილი კმაყოფილი შემოაჯდა ცოცხს და ნორმას სამზარეულოში ალქაჯივით დაიწყო სირბილი. — ყველაზე საყვარელი ჯადოქარია, ვინც კი ოდესმე მინახავს. ასე არ არის, ჯად? — თქვა ნორმამ. ჯადი დაეთანხმა და სიგარეტს მოუკიდა. — გეიჯი სად არის, ლუის? მეგონა კოსტიუმი მასაც ჩააცვით.

ასეც იყო. ნამდვილად აპირებდნენ გეიჯის წამოყვანას. რეიჩელი ამისთვის წინასწარ ემზადებოდა. მან და მისი დან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დრიჯმა პატარისთვის სპეციალური ხოჭოს კოსტიუმიც შეაკერვინეს, რომელსაც პიჯაკის საკიდებით საცეცები დაუმაგრეს, თუმცა გეიჯი გაცივდა და მას შემდეგ, რაც ლუისმა სიცხე გაუზომა (გეიჯს ექვს საათზე ჯერ მხოლოდ ორმოცი გრადუსი ჰქონდა) და ფილტვებს მოუსმინა, დაასკვნა, რომ გეიჯის გარეთ გაყვანა არ შეიძლებოდა. იმედგაცრუებულ რეიჩელს სხვა გზა არ ჰქონდა და დაეთანხმა.

ეილი გეიჯს კანფეტების მოტანას დაჰპირდა, თუმცა მისი გადამეტებული აღტაცება ლუისს აეჭვებდა, რომ მას, ცოტა არ იყოს, უხაროდა კიდეც, გეიჯი რომ ჰელოუინზე არ მოჰყავდათ. ეილის ახლა არავინ შეანელებდა და ყურადღების ცენტრშიც მხოლოდ ის იქნებოდა.

— საწყალი გეიჯი, — თქვა ეილიმ იმ შემცოდებელი ხმით, რომელსაც, როგორც წესი, ავადმყოფობისას იყენებდა ხოლმე. გეიჯი კი, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რისი გამოტოვება უწევდა, ტელევიზორთან იჯდა და „ზუმს“[1] უყურებდა. მის წინ ჩერჩი ფრუტუნებდა.

— ეილი-ჯადოქარი, — მიუგო გეიჯმა დას უემოციოდ და კვლავ ტელევიზორის ყურება განაგრძო.

— საწყალი გეიჯი, — ისევ თქვა ეილიმ და ამოიხვნეშა. ლუისი ნიანგის ცრემლებზე დაფიქრდა და გაეცინა. ეილიმ ხელი ჩასჭიდა და კარისკენ წაიყვანა. — წამოდი, მამიკო. წავიდეთ... წავიდე-ე-ეთ!

— გეიჯი ხველებამ შეაწუხა, — უთხრა ახლა ლუისმა ჯადს.

— რა სამწუხაროა, — თქვა ნორმამ, — არა უშავს, სამაგიეროდ, მომავალ წელს უფრო გაუხარდება. აბა, შენი აბგა გაშალე, ეილი... უუუპს!

ნორმამ ვაშლი და პატარა „სნიკერსი“ მაგიდაზე მდგარი ჯამიდან ამოიღო, მაგრამ ორივე ხელიდან გაუვარდა. ლუისს ბრჭყალს დამსგავსებული ნორმას ხელის შეხედვაზე გული შეუტოკდა. დაიხარა და იატაკზე დავარდნილი ვაშლი აიღო. სნიკერსი ჯადმა აიღო და ეილის აბგაში ჩაუგდო.

---

[1] *1972 წელს ამერიკაში გამოსული საბავშვო შემეცნებითი გადაცემა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— უი, მოდი, სხვა ვაშლი მოგცე, საყვარელო, — თქვა ნორმამ, — ეგ ერთ ადგილზე გაფუჭებულია.

— არა უშავს, მაინც კარგია. — თქვა ლუისმა და ვაშლის აბგაში ჩადება სცადა, მაგრამ ეილიმ უკან დაიხია და აბგას თავი მაგრად მოუკრა.

— დამპალი ვაშლი არ მინდა, მამიკო, — უთხრა და მამამისს ისე შეხედა, თითქოს ის ჭკუაზე შეშლილიყო. — ყავისფერი წერტილები... ფუჰ!

— ეილი, ზრდილობიანად მოიქეცი!

— ბავშვს იმისთვის ნუ გაუწყრები, რაშიც მართალია, ლუის, — თქვა ნორმამ, — ბავშვები ყოველთვის სიმართლეს ამბობენ. ყავისფერი ლაქებიც ნამდვილად ფუჰ არის.

— გმადლობთ, მისის კრენდოლ, — თქვა ეილიმ და მამას მკაცრი მზერით გახედა.

— არაფერს, საყვარელო. — უთხრა ნორმამ.

ჯადი ლუისთან ერთად ვერანდაზე გავიდა. სახლს ორი პატარა მოჩვენება მოუახლოვდა, რომლებშიც ეილიმ თავისი ბაღელები შეიცნო. შემდეგ მათთან ერთად სამზარეულოში გავიდა და ლუისი და ჯადიც მარტონი დარჩნენ.

— მისი ართრიტი გაუარესდა. — თქვა ლუისმა.

ჯადმა თავი დაუქნია და სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო. — ჰო. შემოდგომაზე და ზამთარში ყოველთვის უარესდება ხოლმე.

— ექიმი რას ამბობს?

— რას იტყვის, არაფერს. ექიმთან არ მიდის და...

— რა? რატომ?

ჯადმა ლუისს ავტომანქანების შუქის ფონზე გახედა. რაღაც განსაკუთრებულად მოუსვენრად ჩანდა. — იცი, უკეთეს დროს ვაპირებდი მეთხოვა, მაგრამ რადგან მაინც ჩვენი მეგობრობით ბოროტად სარგებლობას ვაპირებ, რა მნიშვნელობა აქვს, როდის გკითხავ. შეგიძლია, გასინჯო?

სამზარეულოდან მოისმოდა ორი მოჩვენების „ბუუუუ“ და ეილის კრიახი, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში ავარჯიშებდა. როგორც ჩანს, ვარჯიშს შედეგი გამოელო და ახლა ეილის საკმაოდ ჰელოუინისებრი ხმა ჰქონდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ნორმას კიდევ რაღაც აწუხებს? — ჰკითხა ლუისმა, — რამის ეშინია, ჯად?

— ბოლო პერიოდია მკერდი სტკივა, — თქვა ჯადმა ჩუმი ხმით, — დოქტორი უეიბრიჯის ნახვა აღარ უნდა. ცოტა არ იყოს, ვღელავ.

— და ნორმა?

ჯადმა პაუზა აიღო, შემდეგ უპასუხა, — მგონია, რომ ძალიან არის შეშინებული. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ არ უნდა ექიმთან მისვლა. მისი ერთ-ერთი ძველი მეგობარი, ბეტი ქოსლოუ წინა კვირას ისტ მენის სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა. კიბო ჰქონდა. ის და ნორმა ერთი ასაკისანი იყვნენ. ძალიან ეშინია.

— დიდი სიამოვნებით გავსინჯავ, — თქვა ლუისმა, — რა პრობლემაა.

— გმადლობ, ლუის, — მადლიერება გამოხატა ჯადმა, — ერთ ღამეს, როცა ჩვენთან იქნები, მაშინ...

ჯადს სიტყვა გაუწყდა, თავი გვერდზე მოაბრუნა და ლუისის მზერას შეეჩეხა.

ლუისს შემდეგ უკვე აღარ ახსოვდა, როგორ აირია ერთმანეთში ემოციები. ამაზე დაფიქრებაც კი თავბრუსხვევას ჰგვრიდა. მხოლოდ იმას იხსენებდა, რომ ცხადად მიხვდა — რაღაც ძალიან ცუდი მომხდარიყო. მისი თვალები ჯადისას შეხვდა. ორივეს დაუცველი მზერა ჰქონდა.

— ჰუუუუუუ-ჰუუუუუუუ, — დაიძახეს მოჩვენებებმა სამზარეულოდან, — ჰუუუ-ჰუუუუუ. — შემდეგი „ჰუუუუუ“ უეცრად უფრო ხმამაღალი და შეშინებული უუუუუუუ-თი გაგრძელდა. მერე ორივე მოჩვენებამ ყვირილი მორთო.

— მამიკო! — ეილის გააფთრებული, შფოთვით სავსე ხმა ჰქონდა. — მამიკო! მისის კრენდოლი დაეცა!

— ო, ღმერთო! — აღმოხდა ჯადს.

ეილი ვერანდაზე გამოვარდა. შავი კაბა უფრიალებდა, ხელი კი ცოცხისთვის მაგრად ჩაეჭიდა. მწვანედ შეღებილი სახე ახლა ისეთი საშინელებით ჰქონდა სავსე, რომ ალკოჰო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლით მოწამლულ ქონდრისკაცს დამსგავსებოდა. მას ტირილით მოჰყვებოდა ორი პატარა მოჩვენებაც.

ჯადი კარს ეცა და ოთხმოცი წლის კაცისთვის გასაოცარი სისხარტით — არა, ეს სისხარტეზე მეტი იყო — სამზარეულოში შევარდა. თან ცოლის სახელს გაიძახოდა.

ლუისმა ხელები ეილის მხრებზე დაადო. — აქ დარჩი, ეილი. გესმის?

— მეშინია, მამიკო. — ჩურჩულით უთხრა ბავშვმა.

მოჩვენებები კანფეტების აბგების ფრიალითა და ხმამაღალი ყვირილით ქუჩისკენ გარბოდნენ.

ლუისიც სამზარეულოში შევარდა, ყურადღება აღარ მიაქცია ეილის, რომელიც დაბრუნებისკენ მოუწოდებდა და ლინოლეუმზე ვაშლებსა და სნიკერსებს შორის გაშხლართული ნორმა დაინახა. როგორც ჩანს, ვარდნისას ხელი ჩამოერტყა მცირე ზომის მფრინავი თეფშის მსგავსი ლარნაკისთვის, რომელიც მაგიდაზე იდო და გადმოებრუნებინა. გავეშებული სახის მქონე ჯადს მისი ერთი მაჯა ხელში ეჭირა.

— მიშველე, ლუის, — თქვა მან, — ნორმას უშველე, მგონი კვდება.

— გვერდზე გაიწი, — უთხრა ლუისმა და ჩაიმუხლა. იგრძნო, როგორ გაჭყლიტა ტერფით ვაშლი და ოთახში სიდრის სუნი დადგა.

აჰა, ისევ პასკოუ. — გაიფიქრა ლუისმა და ამ ფიქრის გასაფანტად უმალ თავი გააქნია.

პირველ რიგში, პულსი გაუზომა. სუსტად ცემდა, მერე უცებ უჩქარდებოდა, თუმცა იგრძნობოდა არა ფეთქვის, არამედ უფრო სპაზმის ფორმით. ექსტრემალური არითმია, რომელსაც აუცილებლად მოჰყვებოდა გულის გაჩერება. *არ გინდა, ახლა ელვის პრესლობის დრო არ არის, ნორმა.* — გაიფიქრა ლუისმა.

კაბა გაუხსნა, მოკრემისფრო ყვითელი აბრეშუმის საცვლები გამოუაშკარავა, ნორმას თავი გვერდზე გადაუწია და მკერდის მასაჟი დაიწყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მისმინე, ჯად, — თქვა ლუისმა. *მარცხენა ხელის ერთ მესამედს ვადებთ მკერდის ძვლიდან ოდნავ მარცხნივ, მახვილისებრი მორჩიდან ოთხი სანტიმეტრით ზემოთ. მარჯვენა ხელს ვკიდებთ მარცხენა მაჯაზე, ვემზადებით და ფრთხილად ვიწყებთ დაწოლას. დაანექი მტკიცედ, მაგრამ არა უხეშად, ისე, რომ ბებერი ნეკნები არ დაუზიანო. და კიდევ: ახლა პანიკის დრო არ არის. ჰო, და ღვთის გულისათვის, ფილტვებსაც გაუფრთხილდი.*

— აქ ვარ, — უთხრა ჯადმა.

— ეილი წაიყვანე, — უთხრა ლუისმა, — ქუჩა გადაჭერით, ოღონდ ფრთხილად, მანქანამ არ გაგიტანოთ და რეიჩელს უთხარი, რომ ჩემი ჩანთა მოგცეს. ოღონდ, კაბინეტში რომ მაქვს, ის კი არა, აბაზანაში, ზედა თაროზე რომ დევს. მიხვდება თვითონ. ასევე, უთხარი, რომ ბანგორის კლინიკაში დარეკოს და სასწრაფო გამოიძახოს.

— ბაკსპორტი უფრო ახლოსაა, — თქვა ჯადმა.

— ბანგორი უფრო მალე მოვა. წადი და შენ არ დარეკო, რეიჩელს აცადე. პირველ რიგში, ჩემი ჩანთა მჭირდება. *და თან, აქ რომ მოვიდეს, არა მგონია, ამ სცენას გაუძლოს.* — გაიფიქრა ლუისმა.

ჯადი წავიდა. ლუისმა კარის გაჯახუნების ხმაც გაიგონა. ახლა მარტო იყო ნორმა კრენდოლთან და ვაშლის სურნელთან ერთად. მისაღებიდან საათის მშვიდი წიკწიკი ისმოდა.

უეცრად ნორმამ ღრმად, ხვრინვის მსგავსად ამოისუნთქა და ქუთუთოები შეუთამაშდა. წამიერად ლუისს ცივი და საზარელი აზრი ეწვია.

ახლა თვალებს გაახელს... ო, ღმერთო, თვალებს გაახელს და შინაური ცხოველების სასაფლაოზე დაიწყებს ლაპარაკს.

მაგრამ ნორმა შეჰყურებდა აშკარად გონზე მყოფი თვალებით, რომლებიც მალევე დახუჭა. ლუისს საკუთარი სულელური შიშის შერცხვა კიდეც. ამავდროულად, იგრძნო შვება და იმედიც. მართალია, ნორმას თვალებში ტკივილი და აგონია იყო აღბეჭდილი, მაგრამ ფატალური მოლოდინი არ გამართლდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა ლუისი დაღლილობისგან მძიმედ სუნთქავდა და ოფლი სდიოდა. მკერდის მასაჟი მარტივად მხოლოდ ტელესერიალების ექიმებს გამოსდიოდათ. სინამდვილეში კი კარგა ბლომად კალორია იწვებოდა და ლუისი უკვე გრძნობდა, მეორე დღეს როგორ ეტკიებოდა მკლავები და მხრები.

— შემიძლია რამე გავაკეთო?

ლუისმა უკან მოიხედა. ვიწრო შარვალსა და ყავისფერ სვიტერში გამოწყობილი ქალი ზღურბლთან ჭოჭმანობდა, ცალი ხელი კი მუშტად შეეკრა და მკერდზე მიებჯინა. *მოჩვენებების დედა.* — გაიფიქრა ლუისმა.

— არა, — თქვა და დაამატა, — კი. სველი ტილო, თუ შეიძლება. მაგრად გაწურეთ და შუბლზე დაადეთ.

ქალი თხოვნის შესასრულებლად დაიძრა. ლუისმა დაიხედა, ნორმას თვალები ისევ გაეხილა.

— ლუის, დავეცი, — თქვა ჩურჩულით, — მგონი, გული წამივიდა.

— გულის შეტევა გადაიტანეთ, — უთხრა ლუისმა, — თუმცა სერიოზული არ უნდა იყოს. ახლა დამშვიდდით და ნუ ილაპარაკებთ, ნორმა.

ცოტა ხნით დაისვენა და შემდეგ ისევ პულსი შეუმოწმა. ზედმეტად ჩქარი რიტმი ჰქონდა, პულსისცემა მორზეს კოდივით ისმოდა. გული ჯერ ჩვეულებრივად ცემდა, შემდეგ უეცრად აჩქარებულ სერიას მიაყრიდა, რომლის დაფიქსირებაც თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, მერე კი ისევ ნორმას უბრუნდებოდა. ტუკ-ტუკ-ტუკ, ტკ-ტკ-ტკ-ტკ, ტუკ-ტუკ-ტუკ. კარგი არ იყო, მაგრამ ცოტა ხნის წინანდელ არითმიას მაინც სჯობდა.

ქალი სამზარეულოში დაბრუნდა და სველი ტილო ნორმას შუბლზე დაადო. შემდეგ უეცრად უკან დაიხია და ამასობაში ჩანთიანი ჯადიც დაბრუნდა.

— ლუის?

— კარგად იქნება, — უთხრა ლუისმა და ჯადს ახედა, თუმცა რეალურად ნორმას ელაპარაკებოდა. — სასწრაფო მოდის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— შენი ცოლი ახლა ურეკავს, — მიუგო ჯადმა, — იქ აღარ დავრჩი.

— საავადმყოფო... არაა საჭირო, — ჩურჩულით თქვა ნორმამ.

— არა, საჭიროა, — უთხრა ლუისმა, — ხუთდღიანი დაკვირვება, შემდეგ მედიკამენტები და მალე შინ დაბრუნდებით, ჩვენო ქალბატონო ნორმა. იცოდეთ, თუ არ დამიჯერებთ, გაიძულებთ ყველა ეს ვაშლი შეჭამოთ თავის ნაფცქვენებიანად.

ნორმამ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა და ისევ თვალები დახუჭა.

ლუისმა ჩანთა გახსნა, შიგნით ხელი მოავლო და „ისოდილს“ მიაგნო, ამოიღო ერთ-ერთი აბი — ისეთი პატარა, რომ ფრჩხილის მთვარეზეც დაეტეოდა — და ფლაკონი უკან, ჩანთაში ჩააბრუნა.

— ჩემი გესმით, ნორმა?

— კი.

— მინდა, პირი გააღოთ. თქვენი ხრიკი დასრულდა, ახლა საჩუქრის ჯერია. ამ აბს ჩასაწუწნად ენის ქვეშ დაიდებთ, ძალიან პატარა აბია და, მართალია, მწარე გემო აქვს, მაგრამ ცოტა უნდა გაუძლოთ. კარგი?

ნორმამ პირი გააღო, ლუისმა პროთეზის მძაღე სუნი იგრძნო და მტკივნეულად დაფიქრდა ამ მოხუც ქალზე, რომელიც ახლა მის წინ იატაკზე ვაშლებსა და ჰელოუინის ტკბილეულს შორის გაწოლილიყო. ქალზე, რომელიც ერთხელ ჩვიდმეტი წლის იყო და რომელსაც ახალგაზრდა მეზობელი ბიჭები ჩუმად მკერდზეც უმზერდნენ. მაშინ მას საკუთარი კბილები ჰქონდა, გული კი საათივით უმუშავებდა.

ნორმამ აბს ენა გადააფარა და ოდნავ დაიღრიჯა. წამალს მართლა მწარე გემო ჰქონდა, მაგრამ არა უშავდა, ახლა მისი გემო არ შეიცვლებოდა. თუმცა, ლუისმა იცოდა, რომ ნორმა ვიქტორ პასკოუ არ იყო და ის ჯერ კიდევ იბრძოლებდა სიცოცხლისათვის. ნორმამ ფრთხილად ასწია ხელი და ჯადმა მას თავისი ხელი შეაშველა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი წამოდგა, გადმობრუნებულ ჯამს მისწვდა და დაყრილი ძღვენის აკრეფას მოჰყვა. ამაში მიეხმარა ქალი, რომელიც თურმე მეზობლად ცხოვრობდა და რომელიც მას მისის ბადინგერის სახელით გაეცნო. შემდეგ კი თქვა, რომ, ალბათ, უმჯობესი იყო მანქანაში დაბრუნებულიყო, რადგან მის ბიჭებს ძალიან ეშინოდათ.

— დახმარებისთვის გმადლობთ, მისის ბადინგერ, — უთხრა ლუისმა.

— ისეთი არაფერი გამიკეთებია, — მოუჭრა უცებ, — ამაღამ აუცილებლად მუხლებზე დავემხობი და უფალს მადლობას შევწირავ იმისათვის, რომ დღეს აქ თქვენ აღმოჩნდით, დოქტორო კრიდ.

— მეც იმავეს ვაპირებ, — თქვა ჯადმა და თვალებით ლუისი იპოვა. მშვიდი თვალები ჰქონდა, თავს ისევ აკონტროლებდა. წამიერი დაბნეულობა და შიში უკვე გაჰქრობოდა, — შენთან ვალში ვარ, ლუის.

— კარგი რა, დაივიწყე, — ლუისმა მისის ბადინგერისკენ ღიმილით თითი გაიშვირა და მანაც წასვლის წინ ხელი დაუქნია. შემდეგ ლუისმა ვაშლი აიღო და ჭამა დაიწყო. ისეთი ტკბილი იყო, რომ მომენტალურად სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. მთელი ამ ღამის ამბების შემდეგ ვაშლი ძალიან სიამოვნებდა. თან გრძნობდა, რომ უკვე საკმაოდ მოშივებოდა.

— არა, მართლა ეგრეა, — თქვა ჯადმა, — იცოდე, თუ რამე დაგჭირდა, პირველს მე მითხარი.

— კარგი, — მიუგო ლუისმა, — ეგრე ვიზამ.

ბანგორის კლინიკიდან სასწრაფო დახმარების მანქანა ოც წუთში მოვიდა. სანამ ლუისი ექიმებს ნორმას მანქანაში შეყვანაში ეხმარებოდა, შორიდან თავისი სახლის მისაღების ფანჯარასთან რეიჩელი დაინახა, რომელსაც ხელი დაუქნია და მანაც უპასუხა. როცა მანქანა სირენების და ციმციმების ფონზე ადგილიდან დაიძრა, ის და ჯადი მარტონი დარჩნენ.

— ალბათ ახლა საავადმყოფოში უნდა წავიდე, — თქვა ჯადმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ამაღამ მაინც არ შეგიშვებენ, ჯად. ჯერ კარდიოგრამას გადაუღებენ, შემდეგ ყველა საჭირო მკურნალობას მიმართავენ. პირველი თორმეტი საათის განმავლობაში მნახველები არ დაიშვებიან.

— კარგად იქნება, ლუის? მართლა მითხარი.

ლუისმა მხრები აიჩეჩა. — ამის გარანტიას ვერავინ მოგცემს. ეს გულის შეტევა იყო, მაგრამ რამდენადაც შემიძლია ვთქვა, ვფიქრობ, კარგად იქნება. შესაძლოა, წინანდელზე უკეთაც, რადგან მკურნალობას გაივლის.

— აიუჰ, — დაეთანხმა ჯადი და „ჩესტერფილდს“ მოუკიდა.

ლუისმა გაუღიმა და საათს დახედა. გაოცებული დარჩა, როცა აღმოაჩინა, რომ ჯერ მხოლოდ რვას ათი წუთი აკლდა.

— ჯად, მოდი, მე წავალ. მე და ეილი ჯერ კიდევ მოვასწრებთ ხრიკებს და ძღვენებს.

— ჰო, რა თქმა უნდა. ეილის გადაეცი, რაც შეიძლება ბევრი ძღვენი მოაგროვოს. ემოციები ამ საღამოსთვის საკმარისია.

— აუცილებლად გადავცემ. — დაჰპირდა ლუისი.

* * *

როცა ლუისი შინ დაბრუნდა, ეილის ჯერ ისევ თავისი ჯადოქრის კოსტიუმი ეცვა. რეიჩელმა მისთვის საღამურის ჩაცმა სცადა, მაგრამ ეილი წინააღმდეგობას უწევდა და ვარაუდობდა, რომ გულის შეტევის გამო დროებით შეჩერებული თამაში გაგრძელდებოდა. როცა ლუისმა უთხრა, გამომყევიო, აღტაცებულმა გოგონამ ტაში შემოჰკრა. — მისთვის უკვე ძალიან გვიანია, ლუის. — უთხრა რეიჩელმა.

— არა უშავს, მანქანით ვივლით. კარგი რა, რეიჩელ, ამ დღეს ერთი თვეა ელოდება.

— რა გაეწყობა... — გაიღიმა და ამის შემყურე ეილიმ ისევ შეჰყვირა. შემდეგ ქურთუკების კარადისკენ გაიქცა. — ნორმა კარგად არის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მგონი კი, — თავს მშვენივრად გრძნობდა. დაღლილად, მაგრამ მშვენივრად. — სერიოზული არ ყოფილა. ფრთხილად უნდა იყოს, მაგრამ როცა უკვე სამოცდათხუთმეტის ხარ, უნდა აღიარო, რომ პატარა გოგო აღარ ხარ.

— როგორ გაუმართლა, იქ რომ იყავი. ნამდვილი ღვთის წყალობაა.

— გამართლება კი ნამდვილად გვჭირდება, — თქვა ლუისმა და ეილის გაულიმა, — აბა, მზად ხარ, ჯადოქარო?

— მზად ვარ, — შესძახა ეილიმ, — წავედით, წავედით, წავედით!

ერთი საათის შემდეგ, როცა უკვე ნახევრად სავსე აბგით შინისკენ ბრუნდებოდნენ (მამამ რომ უთხრა, შინ წასვლის დროაო, მართალია, ეილიმ პროტესტი გამოხატა, მაგრამ ისეთი დაღლილი იყო, რომ დიდად წინააღმდეგობა არ გაუწევია), ეილიმ მამა თავისი შეკითხვით გააოცა: „მისის კრენდოლის გულის შეტევა ჩემი ბრალია, მამიკო? ლაქებიანი ვაშლი რომ არ გამოვართვი?“

ლუისმა გაოცებით შეხედა. საიდან მოსდიოდათ ბავშვებს ასეთი სასაცილო, ცრურწმენანარევი იდეები? ფილებს შორის ნაპრალს ფეხს დააბიჯებ, დედას ხერხემალს დაუზიანებ, შუაღამით გაგეღიმება, მამიკო მოკვდება, ვუყვარვარარვუყვარვარ. ამ ფიქრებს ლუისი ისევ შინაური ცხოველების სასაფლაოზე მიჰყავდა და იქაური წრიული განლაგება ახსენდებოდა. ახლა სურდა თავისთვის ჩაეღიმა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— არა, საყვარელო, — უთხრა ეილის, — როცა შენ და ის ორი მოჩვენება...

— ეგენი მოჩვენებები კი არა, ბადინგერების ტყუპები იყვნენ.

— როცა შეხვედით და ჩვენ მარტო დავრჩით, მისტერ კრენდოლმა მითხრა, რომ ნორმას მკერდის ტკივილები აწუხებდა. საბოლოოდ, როცა შეტევა დაემართა, მის გვერდით აღმოვჩნდი, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შენ ჰელოუინის ტკბილეულს აგროვებდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაოცება ეილისაც გადაედო.

ლუისმა თავი დაუქნია. — ხო, მას ექიმი სჭირდებოდა, საყვარელო. მე კიდევ ექიმი ვარ და ამ ღამით იქ იმიტომ აღმოვჩნდი, რომ ჰელოუინზე შენ გამოგყევი.

ეილი მის სიტყვებს კარგა ხანს ხარშავდა, შემდეგ თავი დაუქნია. — ხო, მაგრამ მაინც მალე მოკვდება, — თქვა სასხვათაშორისოდ, — გულის შეტევის შემდეგ ადამიანები, როგორც წესი, კვდებიან. თუ არ კვდებიან, ცოტა ხანს ცოცხლობენ, მერე ისევ შეტევა ემართებათ, მერე ისევ და... ბახ!

— შეიძლება გავიგო, სად მოისმინე ეს სიბრძნე? — ეილიმ მხრები აიჩეჩა და ეს ძალიან ჰგავდა ლუისის მხრების აჩეჩას. ლუისმა ეს მსგავსება ნასიამოვნებმა შენიშნა. ეილიმ მამას თავისი ტკბილეულის აბგის სახლში შეტანის ნება დართო. ლუისი კი მის სიტყვებზე ჩაფიქრებულიყო. გოგომ თითქმის ისტერიკულად აღიქვა ჩერჩის სიკვდილის იდეა, ბებიის ტოლი ნორმა კრენდოლის სიკვდილზე კი ისე მშვიდად ლაპარაკობდა, თითქოს ამაზე ბუნებრივი ცხოვრებაში არაფერი უთქვამს. როგორ თქვა? — „ცოტა ხანს ცოცხლობენ, მერე ისევ შეტევა ემართებათ, მერე ისევ და ბახ!“

სამზარეულოში არავინ იყო, თუმცა ლუისს მეორე სართულზე რეიჩელის ფეხის ხმა ესმოდა. კანფეტების აბგა მაგიდაზე დადო და თქვა, — ყოველთვის ასე არ ხდება, ეილი. ნორმას მსუბუქი ფორმის გულის შეტევა ჰქონდა და მე დროულად შევძელი მისი დახმარება. არა მგონია, მისი გული საერთოდ დაზიანებულიყო.

— ჰო, ვიცი, — თქვა ეილიმ თითქმის მხიარული ხმით, — მაგრამ ის მოხუცია და მაინც მალე მოკვდება. ისევე, როგორც მისტერ კრენდოლი. მამიკო, შეიძლება ძილის წინ ვაშლი ვჭამო?

— არა, — ჩაფიქრებულმა უპასუხა ლუისმა, — ზევით ადი და კბილები გაიხეხე, პატარა.

ვინმეს ჰგონია, რომ ბავშვების ბოლომდე ესმის? — გაიფიქრა ლუისმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა საბოლოოდ დალაგდნენ და ის და რეიჩელიც თავიანთ ლოგინში ჩაწვნენ, ლუისს ცოლმა ჩუმი ხმით ჰკითხა, — ეილიმ ნორმას ამბავი ძნელად გადაიტანა? ძალიან იდარდა, ლუ?

არა, — გაიფიქრა ლუისმა, — *იცის, რომ მოხუცები პერიოდულად იხოცებიან. ეს ისევე ცხადად ესმის, როგორც ის, რომ, როცა კალია დააფურთხებს, ხელი უნდა გაუშვას, ან მეცამეტე ნომერი რომ უნდა გამოტოვოს, თორემ მეგობარი მოუკვდება და... და როგორც შინაური ცხოველების სასაფლაოზე საფლავების წრიულად განლაგების პრინციპი.* — *არა,* — თქვა ლუისმა, — საკმაოდ ყოჩაღად გადაიტანა. მოდი, დავიძინოთ, რეიჩელ, კარგი?

იმ ღამით, როცა მათ თავიანთ სახლში ეძინათ, ჯადი კი თვალებგახელილი იწვა, საშინელი სიცივე დაიჭირა. დილით ქარიც ამოვარდა და შეთხელებულ ხეებს გაყვითლებული ფოთლები მოსწყვიტა. ქარმა ლუისი გააღვიძა და მანაც, შეცბუნებულმა, ნახევრად მძინარემ, იდაყვებზე წამოიწია. კიბეზე ნაბიჯის ხმა ისმოდა. ნელი და მძიმე ნაბიჯის. *პასკოუ დაბრუნდა. ახლალა, ორი თვის შემდეგ,* — გაიფიქრა ლუისმა, — *შემდეგ კარი ჭრაჭუნით გაიღება და მე ვიხილავ ტალახით დასვრილ, აქა-იქ გახრწნილ მის სხეულს. თუმცა, ცოცხალი ექნება თვალები... ცოცხალი და კაშკაშა. პასკოუ ამჯერად არაფერს მეტყვის, გავიგებ მხოლოდ მისი ხრწნისგან წარმოქმნილ ბგერებს. მაგრამ მისი თვალები... მიმიზიდავენ და წამიყვანენ.*

— *არა.* — სუნთქვას ამოაყოლა ლუისმა და ნაბიჯების ხმა მინელდა.

ლოგინიდან წამოდგა, კართან მივიდა და შეშინებულმა ფართოდ გამოაღო. ახლა იქ მკლავებგაშლილი პასკოუ დახვდება და „ვალპურგის ღამის“[1] პირველი ტაქტის მომასწავებელ ბგერებს გამოსცემს.

---

[1] *წმ. ვალპურგისის დღესასწაულის (პირველი მაისის) წინა ღამე, როდესაც ძველი გერმანული ხალხური ცრურწმენით ჰარცის მთის უმაღლეს მწვერვალ ბროკენზე იმართება კუდიანებისა და ჯადოქრების დღესასწაული, ღრეობა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა, როგორც ჯადი იტყოდა, მსგავსი არაფერი. სრული სიჩუმე და სიცარიელე. აღარც ქარის ხმა ისმოდა. ლუისიც ლოგინში დაბრუნდა და ძილი განაგრძო.

21

მეორე დღეს ლუისმა აღმოსავლეთ მენის სამედიცინო ცენტრის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დარეკა, საიდანაც უთხრეს, რომ ნორმას მდგომარეობა ჯერ ისევ კრიტიკული იყო, თუმცა სტანდარტულად ყოველთვის ამ პასუხს იძლეოდნენ ხოლმე გულის შეტევიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში. შემდეგ ლუისმა გამამხნევებელი განმარტება მოისმინა უეიბრიჯისგან. — მიკროინფარქტსაც კი ვერ ვუწოდებ, — თქვა მან, — საშიში არაფერია, თუმცა თქვენგან დიდად არის დავალებული, დოქტორო კრიდ.

იმავე კვირას, ოდნავ მოგვიანებით, ლუისი ავტომატურად გაჩერდა საავადმყოფოსთან, ყვავილების თაიგული შეიძინა და გაარკვია, რომ ნორმა უკვე ქვედა, ნახევრად ინდივიდუალურ ოთახში გადაეყვანათ, რაც ძალიან კარგის ნიშანი იყო. მასთან ერთად პალატაში ჯადიც დახვდა.

ნორმა ყვავილებმა ძალიან გაახარა და ექთანს ლარნაკის მოტანა სთხოვა. შემდეგ ჯადს უთხრა, ყვავილები წყლიან ლარნაკში ჩაეწყო და კუთხეში მიედგა.

— დღეს ქალბატონი აშკარად უკეთ გრძნობს თავს, — მშრალად თქვა ჯადმა, როცა ნორმას მითითებების შესრულებას მორჩა.

— ნუ ეშმაკობ, ჯადსონ. — უთხრა ნორმამ.

— არამც და არამც, მე-ემ.

ბოლოს ნორმამ ლუისს გახედა. — მინდა, რაც გააკეთე, იმისთვის დიდი მადლობა გითხრა, — თქვა ოდნავ მორცხვად, რის გამოც მისი სიტყვები კიდევ უფრო მგრძნობიარედ ჟღერდა. — როგორც ჯადი ამბობს, სიკვდილისგან მიხსენი.

დარცხვენილმა ლუისმა მიუგო, — ჯადი აჭარბებს.

— არაფერსაც არ აჭარბებს, ამის დედაც, — თქვა ჯადმა და სულ ოდნავი ღიმილით ლუისს გახედა, — დედაშენს არ უსწავლებია, რომ მადლობაზე უარი არ უნდა თქვა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამის შესახებ ლუისისთვის დედას არაფერი უთქვამს. ყოველ შემთხვევაში, ვერ იხსენებდა, მაგრამ მისგან ის კი ახსოვდა, რომ ყალბი მორიდება თითქმის ამპარტავნობის ცოდვას უტოლდებოდა.

— ნორმა, — თქვა მან, — თუ რამით შემიძლია, სიამოვნებით დაგეხმარებით.

პირველი თოვლი მადლიერების დღემდე ერთი კვირით ადრე მოვიდა. ოცდაორი ნოემბრისთვის თოვლის სიმაღლე უკვე ოთხ დუიმს აღწევდა, მაგრამ თავად დღესასწაულზე დარი დაემთხვა, თუმცა უკვე კარგად ციოდა. ლუისმა ოჯახი ბანგორის საერთაშორისო აეროპორტში წაიყვანა და ჩიკაგოსკენ გააცილა, სადაც დღესასწაულის აღსანიშნავად რეიჩელის მშობლებთან მიდიოდნენ.

— ეს სწორი არ არის, — თქვა რეიჩელმა ალბათ უკვე მეოცედ მას შემდეგ, რაც ერთი თვის წინ ამ საკითხზე პირველად ჩამოაგდეს სიტყვა, — არ მომწონს, მადლიერების დღეს სხვაგან რომ უნდა იყო. ეს ოჯახური დღესასწაულია, ლუის.

ლუისმა გეიჯი მეორე მხარზე შემოისვა. მისი დიდრონი თვალები ლუისს აფიქრებდა, რომ ბავშვი უკვე საკმაოდ გაზრდილიყო. ეილი ერთ-ერთ დიდ ფანჯარასთან იჯდა და ჰაერში საჰაერო ძალების ვერტმფრენს აკვირდებოდა.

— ეს ხომ ჩვეულებრივი ლუდის სმა არ იქნება, — თქვა ლუისმა, — ჯადი და ნორმა ინდაურს და მთელ ამბებს აპირებენ. უჰ, აბა, მე მკითხე, როგორ ვგრძნობ თავს. ხომ იცი, როგორ არ მიყვარს ეს ოჯახური დღესასწაულები. სმას იწყებ შუადღით, ფეხბურთის რომელიმე მატჩის დაწყებასთან ერთად, და შვიდისკენ უკვე გეძინება. მეორე დღეს კი გგონია, რომ თავში დალასელი კოვგერლები ცეკვავენ და ბულაბულას დასძახიან. თან არც შენი ბავშვებთან მარტო გაშვება მსიამოვნებს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— არაფერი მიჭირს, პირველი კლასით მივფრინავ და თავი პრინცესა მგონია. გეიჯიც, ალბათ, ლოგანიდან ო'ჰარამდე[1] მანძილს ძილში გაატარებს.

— ჰო, იოცნებე, — თქვა ლუისმა და ორივეს გაეცინა.

ამასობაში მათი რეისიც გამოაცხადეს და ეილიმ შეჰყვირა, — ჩვენია, დედიკო, წამო, წამო, თორემ უჩვენოდ გაფრინდებიაააან!

— არ გაფრინდებიან, — უთხრა რეიჩელმა, რომელსაც ხელში სამი ვარდისფერი ჩასასხდომი ბილეთი ეჭირა. ახლა მას თავისი ქურქი ეცვა — რაღაც ხელოვნური ბეწვით გაფორმებული, რომელიც ვითომ მდიდრულად გამოიყურებოდა... ალბათ, შემქმნელებს სურდათ ონდატრის ბეწვისთვის მიემსგავსებინათ, — გაიფიქრა ლუისმა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ქურქში რეიჩელი სრულებით მშვენიერი ჩანდა.

როგორც ჩანს, ლუისის განწყობა მის თვალებში რეიჩელმაც ამოიცნო, უეცრად ხელები გაშალა და ისე, რომ გეიჯი მათ შორის მოექცა, ქმარს მაგრად ჩაეხუტა. გეიჯი მომხდარით უკმაყოფილო არ ჩანდა.

— მიყვარხარ, ლუის კრიდ. — უთხრა რეიჩელმა.

— დეეე-დიიიკოოო, — თქვა ეილიმ ისევ მოუთმენელი ხმით, — წაამო, რა.

— ოჰ, კარგი. აბა, თავს მიხედე, ლუის.

— მივხედავ, — მიუგო ლუისმა ღიმილით, — შენები მომიკითხე, რეიჩელ.

— ოხ, ლუის, — უთხრა რეიჩელმა და ქმარს დაემანჭა. რა თქმა უნდა, არ მოტყუებულა, ძალიან კარგად იცოდა, რატომაც არ მიჰყვებოდა ლუისი.

ის კი იდგა იმ დიდ ფანჯარასთან, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ ეილი იყურებოდა და კიბეზე მიმავალ თავისებს აკვირდებოდა, რომლებიც ერთ კვირაში დაბრუნდებოდნენ. ლუისი უკვე გრძნობდა მათ და მათთან ერთად სახლის მო-

---

[1] *იგულისხმება ედვარდ ო'ჰარას და ედვარდ ლორენს ლოგანის სახელობის ბოსტონისა და ჩიკაგოს აეროპორტები.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნატრებასაც. შემდეგ ფანჯრისკენ შებრუნდა და გარეთ მომუშავე მტვირთავებს დააკვირდა.

ჭეშმარიტება ძალიან მარტივი იყო. თავიდანვე, არც მისტერ და არც მისის გოლდმენებს ლეიკ ფორესტიდან ლუისი გულზე არ ეხატებოდათ. ის სხვა წრიდან იყო და რაღაც პერიოდი იმის იმედიც ჰქონდა, რომ გოლდმენების ქალიშვილი მის ფინანსურ უზრუნველყოფას შეძლებდა მანამ, სანამ ლუისი სამედიცინო კოლეჯში ისწავლიდა, საიდანაც, სავარაუდოდ, დაბალი ქულების გამო მალე გარიცხავდნენ.

ლუისს შეეძლო ამ ყველაფრისთვის გაეძლო და საბოლოოდ ასეც ხდებოდა, თუმცა მერე იყო ერთი ამბავი, რომლის შესახებაც რეიჩელმა არაფერი იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებდა. ყოველ შემთხვევაში, ლუისისგან არა. ერთხელ ირვინ გოლდმენმა ლუისს მისი სამედიცინო კოლეჯში სწავლების დარჩენილი გადასახადის ანაზღაურება შესთავაზა. ამ „სტიპენდიის“ (ასე უწოდა გოლდმენმა) სანაცვლოდ კი ლუისი რეიჩელს სამუდამოდ უნდა ჩამოშორებოდა. ამ დროს ლუის კრიდი იმ ასაკში არ იყო, ასეთ შემოთავაზებაზე (ან გნებავთ ქრთამზე) ადეკვატური პასუხი გაეცა. თუმცა, ამ ასაკს ადამიანები, ალბათ, ოთხმოცდახუთი წლისთვის აღწევენ. თან მაშინ ლუისი უკვე ძალიან იყო დაღლილი. კვირაში თვრამეტ საათს აუდიტორიებში ატარებდა, ოცი საათის განმავლობაში წიგნებში იქექებოდა, დარჩენილ დროს კი უაითჰოლ ჰოტელის უბანში პიცის ტარებას ახმარდა. ამ ყველაფერთან ერთად გამუდმებით ნერვიულობდა. იმ საღამოს, როცა მისტერ გოლდმენმა თავის კაბინეტში სიგარის მოსაწევად გაიყვანა, მისი თბილი მანერები ჩვეულ ქცევასთან შედარებით ლუისს უცნაურად ეჩვენა. თან, კაბინეტში გასვლამდე, შენიშნა, რომ გოლდმენმა ცოლს წამით გახედა და ამ ყველაფრის გამო მოგვიანებით — დიდი ხნის შემდეგ, როცა უკვე ამ მოვლენებს სხვა თვალით შეხედა — ლუისმა გაიფიქრა, ალბათ ასევე გრძნობენ თავს ველური

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხენები, როდესაც პრერიაში[1] ხანძრის სუნს იგრძნობენო. იმ საღამოს ლუისი პრაქტიკულად დარწმუნებული იყო, რომ გოლდმენი პირდაპირ გამოუცხადებდა, ჩემთვის ყველაფერი ცნობილია და ვიცი, ჩემს გოგოსთან რომ წევხარო.

როცა ამის ნაცვლად გოლდმენმა წარმოუდგენელი რამ შესთავაზა და ჯიბიდან ნოელ ქოვარდის[2] სახით ჩეკების წიგნაკი ამოიღო, ლუისი აფეთქდა და გოლდმენს პირდაპირ მიახალა, შენი შვილი მუზეუმის ექსპონატი ხომ არ გგონიაო, ამავე დროს, უწოდა ამპარტავანი და უგუნური ნაბიჭვარი. თავად კი მხოლოდ წლების შემდეგ გაიაზრა, რომ მრისხანებასთან ერთად ამ მომენტში შვებაც იგრძნო.

ირვინ გოლდმენის ამგვარი ხასიათი, ბუნებრივია, შეუძლებელს ხდიდა საუბრის გაგრძელებას. ამის შემდეგ ნოელ ქოვარდთან არსებული ყოველგვარი მსგავსება გაქრა, დიალოგის ყოველი შემდეგი ნაწილი კი ვულგარული ბრალდებების ნაკრებად იქცა. გოლდმენმა უთხრა, რომ თუ კიდევ ერთხელ მაინც იხილავდა მისი სახლის ზღურბლთან მდგომ ლუისს, მაშინვე ცოფიანი ძაღლივით მოკლავდა. ლუისმა უპასუხა, შეგიძლიათ ჩეკების წიგნაკი ტრაკში გაიკეთოთო, რაზეც გოლდმენმა უთხრა, რომ ნებისმიერ მაწანწალას ბევრად მეტი პოტენციალი ჰქონდა, ვიდრე ლუის კრიდს. ლუისმა კი მოუწოდა, ის წყეული „ბანკ ამერიკისა“ და „ამერიკან ექსპრესის“ ბარათებიც იმავე ადგილას შეეტენა, სადაც ჩეკების წიგნაკს მოათავსებდა.

არც ერთი ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ბედნიერი სიძესიმამრობის საწინდარი არ იყო.

ბოლოს ისინი ისევ რეიჩელმა შეარიგა, მას შემდეგ, რაც ორივე დამშვიდდა და საკუთარი ნათქვამი ინანეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთმანეთზე აზრი არც ერთს არ შეუცვლია. არ ყოფილა არც მელოდრამა ან დრამატული დღეიდან-მე-

---

[1] *ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ვრცელი ველი, სადაც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო კულტურები.*

[2] *ნოელ ქოვარდი (1899-1973 წწ.) — ინგლისელი დრამატურგი, კომპოზიტორი, რეჟისორი, მსახიობი და მომღერალი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შვილი-აღარ-მყავს განცხადებები. ალბათ გოლდმენი შვილზე უარს მხოლოდ იმ შემთხვევაში იტყოდა, თუ რეიჩელი ცოლად შავი ლაგუნის ურჩხულს[1] გაჰყვებოდა. მიუხედავად ამისა, საქორწილო ცერემონიაზე ის სამგლოვიარო შავი სამოსით გამოცხადდა და ახალდაქორწინებულებს ფაიფურის ექვსკაციანი ჭურჭლის ნაკრები აჩუქა. არანაირი ფული. სახე კი მთელი ცერემონიის განმავლობაში ეგვიპტური სარკოფაგის ექსპონატს მიუგავდა. ამის შემდეგ, სანამ ლუისი მედიცინას სწავლობდა, რეიჩელი ქალების ტანსაცმლის მაღაზიაში კონსულტანტად მუშაობდა და მას შემდეგ იმ აზრით ცხოვრობდა, რომ ლუისს და მის მშობლებს — კონკრეტულად კი მამას — შორის უბრალოდ რაღაც „უთანხმოება" არსებობდა და მეტი არაფერი.

რა თქმა უნდა, ლუისს შეეძლო ოჯახთან ერთად ჩიკაგოში წასულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში სამსახურის გამო მათზე ორი დღით ადრე უკან დაბრუნება დასჭირდებოდა. ამასაც აიტანდა, თუმცა, მეორე მხრივ, ოთხი დღე იმჰოტეპისა და მისი ცოლის ატანა შეუძლებლად ეჩვენებოდა. ბავშვებმა მასსა და გოლდმენს შორის ურთიერთობა დაათბეს. ლუისიც ფიქრობდა, რომ თუ კაბინეტში მომხდარ ამბავს არ გაიხსენებდა, სიტუაციასთან შეგუებას თავადაც შეძლებდა. ასე იყო თუ ისე, ათმა წელმა ასე გაიარა და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი დრო გასულიყო, ლუისს მაინც არ ავიწყდებოდა კაბინეტში ყოფნის დროს ნაგრძნობი მძაღე გემო, გოლდმენის კაბინეტი, ბრენდის ჭიქები, მისი იდიოტური ქურთუკი, რომლის ჯიბიდანაც ჩეკების წიგნაკი ამოიღო და დიახ, ამ ყველაფერთან ერთად შვებასაც გრძნობდა, გოლდმენმა იმ ხუთი ღამის შესახებ ხომ არაფერი იცოდა, რომელიც მას რეიჩელთან ერთად თავის მოცუცქნულ ბინაში გაეტარებინა, მაგრამ გაოცება და ზიზღი მაინც იმდენად ძლიერი იყო, რომ ყოველგვარ შვებას ჯაბნიდა.

---

[1] *იგულისხმება 1954 წელს გამოსული ამერიკული შავ-თეთრი საშინელებათა ფილმის „შავი ლაგუნის მონსტრის" მთავარი გმირი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასე რომ, მართალია, შეეძლო თავადაც ჩიკაგოში წასულიყო, მაგრამ მაინც ერჩივნა სიმამრთან მისი შვილი, შვილიშვილები და მოკითხვა გაეგზავნა.

„დელტა 727“ ბილიკიდან აფრინდა და ერთ-ერთი წინა ფანჯრიდან ეილიმ მამას ხელი დაუქნია. პასუხად მოღიმარმა ლუისმაც ხელის დაქნევითვე უპასუხა. ასევე მოიქცა გეიჯი, თუმცა ლუისი დარწმუნებული არ იყო, რომ ის რამეს ხედავდა. ალბათ, უბრალოდ, ეილის მოძრაობას იმეორებდა.

— ჩემები მშვიდობით ამგზავრე, — ჩაილაპარაკა ლუისმა და ავტოსადგომისკენ დაიძრა. გარეთ ისეთი ქარი იყო, რომ კეპის ხელით დაჭერამ მოუწია. გასაღები კლიტეს მოარგო, მანქანაში ჩაჯდა და დაძრა იმ მომენტში, როცა თვითმფრინავი ტერმინალების შენობებს გასცდა, მისი ტურბინების გრუხუნი კი ნელ-ნელა მუქი ლურჯი ცის ფონზე მინელდა.

ახლა თავს მართლაც ძალიან მარტოსულად გრძნობდა. იმდენად მძიმედ იყო, რომ ტირილი უნდოდა. ლუისმა ისევ ხელი დააქნია.

თავს კვლავ ეულად გრძნობდა, როცა იმ საღამოს ჯადთან და ნორმასთან ერთად რამდენიმე ქილა ლუდის დალევის შემდეგ მე-15 გზა გადაკვეთა. ნორმამ ერთი ჭიქა ღვინო დალია, რაც დოქტორ უეიბრიჯს არ აეკრძალა, პირიქით, რეკომენდებულიც კი იყო. იმ საღამოს, ამინდის გამო, სამივენი სამზარეულოში შეყუჟულიყვნენ.

ჯადმა პატარა „მარეკის“ ღუმელი დაანთო, ცივი ლუდით ირგვლივ შემოუსხდნენ და ჯადი მათ მოუყვა ისტორიას ორასი წლის წინ მიკმაკელი ინდიელების მიერ მაჩისზე ბრიტანელების განდევნის შესახებ. — იმ დროისთვის მიკმაკების ყველას ეშინოდა, — თქვა ჯადმა და მერე დაამატა, რომ დღემდე ასე იყო ზოგიერთი ფედერალური და შტატის იურისტიც.

საბოლოო ჯამში, მშვენიერი საღამო გამოვიდა, მაგრამ ლუისს მაინც ძალიან უმძიმდა ცარიელ სახლში დაბრუნება და ამას გრძნობდა, როცა კრენდოლების გაზონზე გადადიოდა და ფეხქვეშ ყინულის ფხაკუნს გრძნობდა. ცოტა ხანში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტელეფონმა დარეკა, ლუისი წარმოუდგენელი სიჩქარით გავარდა მის ასაღებად მისაღებიდან სამზარეულოს მიმართულებით და გზად ჟურნალების სტენდიც წააქცია. ყინულმოდებული ფეხსაცმელები ლინოლეუმზე სრიალებდა. ლუისმა ყურმილი აიღო. — ალო?

— ლუის? — რეიჩელის ხმა. ოდნავ შორეული, მაგრამ სრულებით უშფოთველი. — უკვე აქ ვართ. უპრობლემოდ ჩამოვედით.

— მშვენიერია! — თქვა ლუისმა და ცოლთან სალაპარაკოდ ჩამოჯდა. თან ფიქრობდა, — *ო, ღმერთო, როგორ მინდა, რომ აქ იყოთ.*

22

ჯადმა და ნორმამ მადლიერების დღისთვის დიდებული სუფრა გაშალეს. როცა მაძღარი და ძილმორეული ლუისი შინ დაბრუნდა, მეორე სართულზე, საძინებელში ავიდა, ტუფლები გაიხადა და პირდაპირ ლოგინზე გაწვა. ჯერ მხოლოდ ოთხის წუთები იყო, გარეთ ცივი ზამთრის სხივები ანათებდა.

მხოლოდ ცოტას წავთვლემ, — გაიფიქრა და მალევე ჩაეძინა.

საძინებლის ტელეფონის ხმამ გააღვიძა. ჯერ ისევ ნამძინარევი ლუისი ყურმილს მისწვდა. გარეთ ბნელოდა და ცივი ქარი უბერავდა, მას კი დროის აღქმა უჭირდა.

— ალო, — თქვა სავსებით დარწმუნებულმა, რომ ახლა მას ჩიკაგოდან ურეკავდნენ. მადლიერების დღეს ჯერ რეიჩელი მიულოცავდა, შემდეგ ყურმილს ეილის გადააწვდიდა, ახლა ის დაელაპარაკებოდა, შემდეგ კი ყურმილს გეიჯსაც მისცემდნენ, რომელიც თავისებურად იბურტყუნებდა და შესაძლოა, ლუისს მისი სიტყვებიც კი გაეგონა. — *რა ჯანდაბამ დააძინა შუადღით, განა ფეხბურთის ყურებას არ აპირებდა?*

თუმცა, რეიჩელი არ რეკავდა. ეს ჯადი იყო.

— ლუის? — ოდნავ დაბნეული ხმით თქვა მოხუცმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი ლოგინიდან გადმოვიდა, ძილის კვალის გაფანტვა სცადა და უპასუხა, — ჯად? რა მოხდა?

— ვშიშობ, შენთვის ცუდი ამბავი მაქვს, ლუის. ჩემს გაზონზე მკვდარი კატა წევს. მგონი, შენი გოგოსია.

— ჩერჩი? — იკითხა ლუისმა და უეცრად მუცელში ჭრამ დაუარა. — დარწმუნებული ხარ, ჯად?

— არა, ასი პროცენტით დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ძალიან ჰგავს.

— ო, ამის დედაც. ახლავე მოვალ, ჯად.

— კარგი, ლუის.

ყურმილი დაკიდა. ცოტა ხანს სიჩუმეში იჯდა, შემდეგ ტუალეტში გავიდა, ფეხსაცმელები ჩაიცვა და კიბეზე ჩავიდა.

იქნებ ჩერჩი არც არის. ჯადმაც ხომ თქვა, ასი პროცენტით დარწმუნებული არ ვარო. ღმერთო, ეს კატა დახმარების გარეშე ფეხზე ძლივს დგებოდა და ქუჩაზე რა უნდოდა?

თუმცა, ლუისი გულისგულში გრძნობდა, რომ ეს ჩერჩი იყო. და თუ ამ საღამოს რეიჩელი დარეკავდა... და ეს აუცილებლად მოხდებოდა, რას ეტყოდა?

ლუისს ახლა რეიჩელისთვის ნათქვამი თავისივე სიტყვები ახსენდებოდა: *ყველაფერი შეიძლება შეემთხვათ და, როგორც ექიმმა, ეს დანამდვილებით ვიცი, მაინტერესებს, რას ეტყვი შენს შვილს, კატას ქუჩაზე მანქანამ რომ დაარტყას?* — ხო, მაგრამ სინამდვილეში ხომ თავადაც არ სჯეროდა, რომ ჩერჩის ასეთი რამ შეიძლებოდა დამართოდა? ხომ ასეა?

ლუისს გაახსენდა ერთი ბიჭი, უიკს სალივანი, რომელთან ერთადაც პოკერს თამაშობდა. სალივანმა ერთხელ ჰკითხა, როგორ ხდებოდა, რომ ის აღეგზნებოდა საკუთარ ცოლზე, მისი პაციენტი შიშველი ქალების მიმართ კი არაფერს განიცდიდა. ლუისი ცდილობდა აეხსნა, რომ ექიმთან ქალები ადამიანთა ფანტაზიების მსგავსად არ მოდიოდნენ პაპ-ტესტის ასაღებად და არც იმის გაგება სურდათ, როგორ შეემოწმებინათ საკუთარი მკერდის მდგომარეობა, შემდეგ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი უეცრად ზეწარი უვარდებოდათ და ექიმის წინ ნიჟარიდან ამოსული ვენერას მსგავსად შიშვლდებოდნენ. სინამდვილეში კი უყურებდი მკერდს, ვულვას, თეძოს, სხვა ყველაფერი კი დაფარული იყო. სანდოობისთვის ასეთ დროს ოთახში ყოველთვის იყო ექთანიც. თუმცა, ლუისის ამ განმარტებებისა უიკისს მაინც არ სჯეროდა. — ძუძუ ძუძუა, — ამტკიცებდა ის, — და ფუჩურიც ფუჩურია, რა მნიშვნელობა აქვს, პაციენტისაა თუ ცოლის. ან ყველა უნდა აღგაგზნებდეს, ან არავინ. ლუისი კი მხოლოდ იმას პასუხობდა, რომ ცოლის ძუძუ ყველა სხვისგან განსხვავდებოდა.

ისევე, როგორც განსხვავდებოდა ოჯახი. ჩერჩი არ უნდა მომკვდარიყო, რადგან ის ლუისის ოჯახის წევრი იყო და ისიც ამ ოჯახის დამცავი მაგიური წრით იყო შემოფარგლული. მაშინ უიკი ვერ ხვდებოდა, რომ ექიმები, ისევე, როგორც სხვა პროფესიონალები, ერთმანეთისგან განაცალკევებენ პირად და პროფესიულ ცხოვრებას. შესაბამისად, ძუძუ იქცევა ძუძუდ მხოლოდ მაშინ, როცა ის შენს ცოლს ეკუთვნის. ასეთივე მიდგომით, მარტივად შეიძლება იმსჯელო ბავშვთა შორის ლეიკემიის შესახებ, თუმცა სულ სხვაა შემთხვევა, როცა ეს შენს საკუთარ შვილს ემართება. ლეიკემია? ჩემს შვილს? თუნდაც ჩემი შვილის კატას? ოჰ, ექიმო, თქვენ ალბათ ხუმრობთ.

კარგი, მაგაზე ნუ იფიქრებ.

მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო. განსაკუთრებით ეილის ისტერიკების გახსენებაზე იმ მომენტში, როცა მან გაიაზრა, რომ შეიძლებოდა ოდესმე ჩერჩიც მომკვდარიყო.

სულელი, კრეტინი კატა. საერთოდ, რა ჯანდაბად გვინდოდა? ო, რა სიამოვნებით დავუჟეჟავდი კვერცხებს!

მაგრამ, მოიცა, კვერცხები ხომ ამოვჭერით. სიკვდილის საფრთხისგან სწორედ ამას უნდა დაეცვა.

— ჩერჩი? — დაიძახა ლუისმა, თუმცა სახლში მხოლოდ ღუმლის ხმა ისმოდა, რომელიც ჩუმ-ჩუმად ღუღუნებდა და დოლარებს წვავდა. მისაღების სავარძელი, რომელშიც ბოლო დროს ჩერჩი ყველაზე ხშირად იჯდა ხოლმე, ცარიელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღმოჩნდა. შემდეგ ლუისმა კატის ჯამი გაახმაურა, რაც ავტომატურად ნიშნავდა, რომ თუ ჩერჩის ხმა ესმოდა, აუცილებლად სირბილით მოვიდოდა, თუმცა კატა არც ამ ხმაზე გამოჩენილა. და ლუი ფიქრობდა, რომ არც არასოდეს გამოჩნდებოდა. შემდეგ ქურთუკი ჩაიცვა და გასასვლელი კარისკენ დაიძრა. მერე უკან შემობრუნდა, გულმა რაღაც ანიშნა და ნიჟარის ქვეშ კარადა გამოაღო. იქ ნაგვის პაკეტებს ინახავდნენ — პატარებსა და თეთრებს სახლისთვის, დიდებსა და მწვანეებს კი გარეთ მდგარი ნაგვის ურნებისთვის. ლუისმა დიდი პოლიეთილენის პაკეტი აიღო. კასტრაციის შემდეგ ჩერჩის წონაში საგრძნობლად მოემატებინა. პაკეტი ქურთუკის ჯიბეში ჩაიტენა და თითებქვეშ პოლიეთილენის შეხება იგრძნო. შემდეგ გარეთ გავიდა და ჯადის სახლისკენ დაიძრა.

დაახლოებით ექვსის ნახევარი იყო, უკვე ბინდდებოდა, ირგვლივ ყველაფერი ჩამკვდარიყო. მზის ნათელის ნარჩენი ფორთოხლისფერ ზოლად გასდევდა ჰორიზონტს. როცა მე-15 გზას მიუახლოვდა, ლუისმა გზის მეორე მხარეს დიდ მწვანე ქურთუკში მდგარი ჯადი შენიშნა, რომელსაც სახეს კაპიუშონი უფარავდა და საერთოდ ისეთი შესახედაობა ჰქონდა, რომ ძეგლს დამსგავსებოდა. ამ პეიზაჟის კიდევ ერთი მკვდარი პერსონაჟი, პეიზაჟისა, სადაც არც ერთი ჩიტის ხმა არ ისმოდა. საკმაოდ ციოდა, ლუისის პირიდან გამოსული ორთქლი მის წინ ღრუბლად იკვრებოდა, ლუისი კი კანკალებდა, მაგრამ არა სიცივის, არამედ საშინლად ცხადად შეცნობილი მარტოობის გამო. უსახო, თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ მაინც ძალიან მძიმე მარტოობის გამო. ქუჩაზე გადასვლა რომ დაიწყო, ლუისმა შენიშნა, როგორ დაუქნია ხელი ჯადმა და სასწრაფოდ უკან დახევისკენ მოუწოდა. ლუისმაც რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა. საშინელი ქარი უბერავდა, თუმცა ლუისი უეცრად მიხვდა, რომ ქარის მიზეზი სულ სხვა რამ იყო. წამში მის თვალწინ საშინელი სისწრაფით ჩაიქროლა „ორინკოს“ სატვირთომ და ლუისს ქურთუკი აუფრიალა. — *ღმერთო, კინაღამ არ დამეჯახა!*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეორე ჯერზე უკვე გზის ორივე მხარეს გაიხედა და ისე გადავიდა. სადღაც შორს, ბინდში, მხოლოდ სატვირთოს მცირედი განათებები მოჩანდა.

— ეგ ორინკო კინაღამ დაგეჯახა, — უთხრა ჯადმა, — ფრთხილად იყავი, ლუის. — მიუხედავად იმისა, რომ ახლა მასთან კიდევ უფრო ახლოს იყო, ლუისი ჯადის სახეს მაინც ვერ ხედავდა და შინაგანად გრძნობდა დაუოკებელ კარნახს, რომ შესაძლოა მის წინ ახლა ნებისმიერი ვინმე მდგარიყო.

— ნორმა სად არის? — იკითხა ისე, რომ ჯერაც არ დაეხედა დაბლა, ჯადის ფეხებთან დაგდებული ბეწვიანი სილუეტისთვის.

— მადლიერების დღის წირვაზე წავიდა, — თქვა ჯადმა, — და ვახშმადაც იქ დარჩება, ალბათ. თუმცა, არაფერს შეჭამს და შინ მშიერი დაბრუნდება. — ქარმა დაუბერა და მოხუცს კაპიუშონი გადახადა. ლუისი დაწმუნდა, რომ ეს ნამდვილად ჯადი იყო. *მოიცა, აბა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?* — მე ხომ ვიცი, რომ ეს ვახშამი გოგუცების შეკრების მიზეზია და მეტი არაფერი, — თქვა ჯადმა, — შუადღის ტრაპეზის შემდეგ სენდვიჩების მეტს მაინც არაფერს ჭამენ. ალბათ რვისთვის დაბრუნდება.

ლუისი დაიხარა და კატას დახედა. ოღონდ ჩერჩი არ იყოს, — ისურვა უეცრად, შემდეგ კატას კისერზე ხელი მოჰკიდა და ხელთათმნიანი თითებით თავი ფრთხილად შემოუბრუნა, — სხვისი კატა იყოს, რა იქნება, ნეტავ ჯადი შემცდარიყო.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ჩერჩი იყო. არანაირი ეჭვი არ არსებობდა. ლუისი ამ ამბის მიზეზს ვერ ხვდებოდა, ბოლო პერიოდში ჩერჩის რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც კი ეზარებოდა და მე-15 გზაზე რამ მოიყვანა (ან ამ მადლიერების დღეს „ორინკოს“ სატვირთოს აქ რა უნდოდა? — გაიფიქრა ლუისმა)? ჩერჩის ნახევრად ღია, მწვანედ მოელვარე თვალები ჰქონდა, დაღებული პირიდან კი მცირე ნაკადად სისხლი სდიოდა, ბევრი არა, მაგრამ საკმარისი საიმისოდ, რომ ჩერჩის მკერდზე წითელი ლაქა დაეტოვებინა.

— შენია, ლუის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჩემია, — დაეთანხმა ლუისი და ამოიხვნეშა.

ამ მომენტში ლუისმა პირველად გაიაზრა, რომ მასაც ძალიან უყვარდა ჩერჩი. არა ისე მხურვალედ, როგორც ეილის, მაგრამ მაინც ძალიან უყვარდა. კასტრაციის შემდეგ ჩერჩი შეიცვალა, გასუქდა და გახდა უფრო ნელი. მისი ყოველდღიურობა ეილის ლოგინით, სავარძლითა და საჭმლის ჯამით შემოიფარგლებოდა, გარეთ თითქმის არ გადიოდა. ახლა კი, როცა ლუისი მკვდარ კატას დაჰყურებდა, მასში ძველ ჩერჩის ხედავდა. პატარა, სისხლიან პირს, ნემსივით ბასრი კბილებით, გაყინული მზერითა და მტაცებლური თვალებით. ლუისს ეჩვენებოდა, რომ ჩერჩი სიკვდილით თავის ნამდვილ ბუნებას დაჰბრუნებოდა.

— ჰო, ეს ჩერჩია, — თქვა მან, — უნამუსო ვიყო, თუ ვიცოდე, ეილის ამის შესახებ როგორ ვუთხრა.

უეცრად თავში ერთი აზრი მოუვიდა. წაიყვანდა ჩერჩის, ყოველგვარი ფიცრებისა და წარწერის გარეშე ჩუმად დამარხავდა, საღამოს კი ეილისთან საუბარში ამაზე არაფერს იტყოდა. ხვალ შეაპარებდა, რომ ჩერჩის რაღაც ველარ ხედავდა, ამას მოჰყვებოდა კატის გაუჩინარების კიდევ რამდენიმე დღე და ყველა იფიქრებდა, რომ ჩერჩი სახლიდან წავიდა. რას იზამ, კატები ხშირად მიდიან სახლიდან. ეილის გული დასწყდებოდა, მაგრამ არა ისე, როგორც მისი სიკვდილის გაგების შემთხვევაში. სავარაუდოდ, აღარც რეიჩელისგან მოისმენდა მტკიცებულებებს სიკვდილის არაბუნებრიობის შესახებ.

ოხ, რა მხდალი ხარ. — უთხრა გონებამ.

ჰო... ვერ შეგედავები. სხვა რა გზაა?

— პატარას კატა ძალიან უყვარს, არა? — ჰკითხა ჯადმა.

— კი. — მაშინვე მიუგო ლუისმა და ისევ ჩერჩის თავს მიუბრუნდა. გვამი ერთიანად დაძაბულიყო, მაგრამ თავი მაინც მარტივად მოძრაობდა. ალბათ კისერი ჰქონდა მოტეხილი. ლუისმა გონებაში მომხდარი სურათის აღდგენა სცადა. კი, ნამდვილად ასე იქნებოდა. ჩერჩი ქუჩაზე გადადიოდა — ღმერთმა იცის, რატომ — და ამ დროს მსუბუქმა მანქანამ ან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სატვირთომ დაარტყა, კისერი მოსტეხა და ჯად კრენდოლის გაზონზე მოისროლა. ან კისერი გაყინულ მიწაზე დაცემის შემდეგ მოსტყდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა. არც ერთ შემთხვევაში შედეგი არ იცვლებოდა.

ჩერჩი მკვდარი იყო.

შემდეგ ჯადს შეხედა, ის-ის იყო, გადაწყვეტილება უნდა გაენდო, რომ წამსვე გადაიფიქრა, რადგან ჯადი ახლა სადღაც შორს, სივრცეში გაჰყურებდა ფორთოხლისფერ ჰორიზონტს.

ლუისმა ჯიბიდან ნაგვის მწვანე პაკეტი ამოიღო, ქარში წვალებით გახსნა და, როგორც ჩანს, სწორედ ქარზე აშრიალებული პაკეტის ხმამ გამოაფხიზლა ჯადიც. — ჰო, ნამდვილად ძალიან უყვარს. — თქვა მან. კატაზე აწმყოში საუბარი, ცოტა არ იყოს, არაბუნებრივად მოეჩვენა... მთელი ეს დადგმა, მინავლებული ნათელი, სიცივე, ქარი — სრულიად შემაძრწუნებელ და გოტიკურ ატმოსფეროს ქმნიდა.

აი, ჰიტკლიფიც[1] *უდაბური ჭაობიდან,* — გაიფიქრა ლუისმა და სიცივისგან სახე დაელრიჯა. შემდეგ პაკეტი გაშალა, რათა შიგ კატა ჩაესვა. ესეც ასეეე...

ჩერჩის ხელი კუდზე მოჰკიდა, პაკეტს თავი გაუხსნა და კატა მიწიდან ნელ-ნელა ასწია. მიწიდან მოშორებას საძაგელი წკაპუნი მოჰყვა. ლუისმა სახე დამანჭა, კატა წარმოუდგენლად მძიმე იყო, თითქოს სიკვდილს მისთვის წონა მოემატებინა. *ღმერთო, სილით სავსე სათლივით არ არის!*

ჯადმა პაკეტი გაუწია და ლუისმა — ამ უცნაური და არასასიამოვნო სიმძიმის მოშორებით კმაყოფილმა — კატა შიგნით ჩააგდო.

— ახლა რას უპირებ? — ჰკითხა ჯადმა.

— ალბათ ავტოფარეხში დავდებ, — უპასუხა ლუისმა, — დილით კი დავმარხავ.

— შინაური ცხოველების სასაფლაოზე?

ლუისმა მხრები აიჩეჩა. — ალბათ.

---

[1] *სავარაუდოდ, იგულისხმება პერსონაჟი ემილი ბრონტეს რომანისა „ქარიშხლიანი უღელტეხილი“.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ეილის ეტყვი?

— არ... არ ვიცი, ჯერ კარგად უნდა დავფიქრდე.

ჯადი გაჩუმდა, რაღაცაზე ჩაფიქრდა, შემდეგ კი თქვა, — ერთი-ორი წუთით აქ დამიცადე, ლუის.

ჯადი გაბრუნდა და ისე, რომ არც კი უფიქრია, იქნებ ლუისს არც სურდა კიდევ რამდენიმე წუთით ამ ცივ ღამეში გარეთ დგომა, სახლისკენ დაიძრა. ლუისი კი უკნიდან აკვირდებოდა მის ასაკთან შეუსაბამოდ კოხტა და ენერგიულ მოძრაობებს და ხვდებოდა, რომ ვერ ეწინააღმდეგებოდა. ამასთანავე, გრძნობდა რაღაც უცნაურ კმაყოფილებას. როცა პაკეტს ხელი მაგრად ჩასჭიდა და ფეხზე ჩერჩის სხეულის შეხება იგრძნო, კმაყოფილებით აივსო. დიახ, ნამდვილად კმაყოფილი იყო. პირველად, მენში გადმოსვლის შემდეგ, თავს შინ გრძნობდა. მიუხედავად იმისა, რომ იდგა გარეთ, ცივ ქარში, ტრაგიკული ამბით დაღონებული, პირველად, ბავშვობის შემდეგ, ცხადად შეიგრძნობდა საკუთარი თავის მთლიანობას და კმაყოფილების განცდით ივსებოდა.

ახლა რაღაც მოხდება, ჯიგარო. რაღაც ძალიან უცნაური. ეგრე მგონია.

მაღლა აიხედა და ზამბახისფერ ცაზე ზამთრის ვარსკვლავებს დააკვირდა. არ იცოდა, რამდენ ხანს იდგა ასე. გარკვეული წამებისა თუ წუთების შემდეგ ჯადი ისევ გამოჩნდა, ლუისს მოუახლოვდა და ნაბიჯი შეანელა. ცალ ხელში ფანარი ეჭირა, მეორეში — რაღაც დიდი X-ს ფორმის საგანი...

წერაქვი და ნიჩაბი იყო. ნიჩაბი ლუისს გადააწოდა და მანაც ინსტრუმენტი თავისუფალი ხელით გამოართვა.

— ჯად, რა ჯანდაბა ხდება? ამაღამ ხომ არ დავმარხავთ?!

— კი, ზუსტად მაგას ვიზამთ. — ფანრის წრიული განათების ფონზე ჯადის სახე დაკარგულიყო.

— ბნელა, ჯად, უკვე გვიანია, ცივა და...

— წამოდი, — უთხრა ჯადმა, — საქმეს მივხედოთ.

ლუისმა თავი გააქნია და კიდევ ერთხელ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ვერც ერთი სიტყვა ვერ წარმოთქვა, რითაც ჯადს შეეწინააღმდეგებო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. ახლა ისინი ვარსკვლავებით დაფარული შავი ცის ქვეშ საოცრად უსუსურები ჩანდნენ.

— შემიძლია ხვალამდე მოვიცადო. მანამდე...

— შენს შვილს კატა ძალიან უყვარს?

— კი, მაგრამ...

ჯადს მშვიდი და როგორღაც ლოგიკური ხმა ჰქონდა. — და შენ გიყვარს?

— რა თქმა უნდა, ის ჩემი გოგოს...

— მაშინ წამოდი.

ლუისიც გაჰყვა.

იმ ღამით ორჯერ, შესაძლოა სამჯერაც, ლუისმა შინაური ცხოველების სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე ჯადთან დალაპარაკება სცადა, მაგრამ ჯადს პასუხი არ გაუცია. ბოლოს ლუისი დანებდა. კმაყოფილების გრძნობა კი, თითქოს კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ეს გრძნობა ყოველმხრივ მოიცავდა და მყარ ფაქტად წარმოდგებოდა. გზას განაგრძობდნენ. მომაკვდინებლად ცივი ქარი უბერავდა და ჩერჩის სიმძიმით ლუისს კუნთები უფრო და უფრო სტკიოდა. ტყეში თოვლი თითქმის საერთოდ არ იდო. ლუისი კი გრძნობდა, რომ აქაურობა სრულად მოეცვა რაღაც საიდუმლოს, ყოვლისმომცველ ბნელ საიდუმლოს.

შემდეგ ბინდი გაიფანტა და თოვლით დაფარული მინდორი გამოჩნდა.

— აქ დავისვენოთ. — თქვა ჯადმა. ლუისმაც პაკეტი მიწაზე დადო და შუბლიდან ოფლი ხელით მოიწმინდა. *დავისვენოთ? ჩვენ ხომ უკვე მოვედით.*— დაღლის კვალს ჯადსაც ატყობდა. გაოფლილი მოხუცი ნელ-ნელა დაჯდა თხელი თოვლის ფენით დაფარულ მიწაზე და სახე მკლავებში ჩარგო.

— ჯად, კარგად ხარ?

— კარგად ვარ. ოდნავ სულს მოვითქვამ.

ლუისიც გვერდით მიუჯდა და რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— იცი, — თქვა მან, — ასე კარგად, ალბათ, ექვსი წელია, თავი არ მიგრძნია. ვიცი, გიჟურად ჟღერს, როცა ამას შენი გოგოს კატის დაკრძალვის წინ ამბობ, მაგრამ ეს სრული სიმართლეა. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ჯად.

ერთი-ორჯერ ჯადმაც ღრმად ამოისუნთქა და უთხრა. — ჰო, ვიცი. ხდება ხოლმე. ვერ განსაზღვრავ, კარგად როდის იყო და თან ეს ადგილიც თავისას შვრება. თუმცა, მას მაინც არ უნდა ენდო. ასევე ემართებათ ნარკომანებს, რომლებიც ვენებში ნარკოტიკის შეშვების დროს თავს ძალიან კარგად გრძნობენ, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმს იწამლავენ. ორგანიზმსაც და აზროვნებასაც. ეს ადგილიც ასეთივეა, ლუის, არ დაგავიწყდეს. ღმერთს შევთხოვ, სწორად ვიქცეოდე, მაგრამ დარწმუნებული ვერ ვიქნები. ხანდახან თავში სრული ქაოსი მაქვს. როგორც ჩანს, სიბერე თავისას შვრება.

— ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობ.

— ამ ადგილს აქვს ძალა, ლუის. აქ კი არა, სადაც მივდივართ, იმ ადგილს.

— ჯად...

— წამოდი. — უთხრა ჯადმა და ფეხზე წამოდგა. ფანრის შუქი მიწაზე დაწოლილ გამხმარი ხეების გროვას დაჰნათოდა. ჯადი მისკენ მიდიოდა და უეცრად ლუისს გაახსენდა ეპიზოდი თავისი სიზმრიდან. რას ამბობდა პასკოუ, როცა ამ ადგილას იდგნენ?

ამას არ გასცდე, ექიმო. მიუხედავად იმისა, თუ რა ძლიერ იგრძნობთ, რომ ასე უნდა მოიქცეთ. ზღვარი იმისთვის არ დადებულა, რომ დაირღვეს.

მაგრამ ახლა ეს სიზმარი — თუ რაც იყო — საოცრად შორეულ, ძნელად გასახსენებელ ამბად ეჩვენებოდა. ეს ყველაფერი კი მართლაც ძალიან ჰგავდა სიზმარს.

ჯადი მისკენ შემობრუნდა. სიბნელე ისევ სახეს უფარავდა და ლუისს ექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ჯადი სადღაც გამქრალიყო, და ახლა მის წინ კაპიუშონში ვილაც სხვა იდგა, რომელსაც ფანარს თუ მიანათებდი, ბეწვით დაფარულ მოღიმარ თავის ქალას დაინახავდი. ამ ფიქრებში შიშმა ცივი წყალივით უსიამოვნოდ დაუარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჯად, — თქვა მან, — არ გადააბიჯო, თორემ ფეხებს მოვიმტვრევთ და ალბათ, სანამ წამოდგომას მოვახერხებთ, ადგილზე გავიყინებით.

— უბრალოდ, მომყევი, — უთხრა ჯადმა, — მომყევი და დაბლა არ დაიხედო. არ გაჩერდე და დაბლა არ დაიხედო. გზა კარგად ვიცი, ყველაფერი მალე უნდა დასრულდეს.

ლუისი უკვე ფიქრობდა, რომ ახლაც სიზმარში იყო. უბრალოდ, შუადღის წაძინების შემდეგ ჯერ არ გაუღვიძია. *აბა, ფხიზელი რომ ვიყო,* — გაიფიქრა ლუისმა, — *იმ ხეზე გადაბიჯებას სიმთვრალეში პარაშუტით გადმოხტომას ვამჯობინებდი. მაგრამ მაინც წინ მივიწევ. როგორც ჩანს, ამის გაკეთებას ვაპირებ. ანუ მესიზმრება.*

ჯადმა ოდნავ მარცხნივ გაიწია, ხის ცენტრს მოსცილდა და ამ მომენტში მისი ფანრის შუქმა აშკარად გამოაჩინა

(ძვლები),

წაქცეული ხეები და ხმელი ტოტები. ჯადი არ შეჩერებულა, ოდნავი პაუზაც კი არ აუღია, ისე დაიწყო ამ ხმელ გროვაზე ასვლა. დასახმარებლად არ იყენებდა ტოტებს, არც წინ იხრებოდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ქვიანი ან ქვიშიანი ზედაპირის მქონე ალმართზე ასვლისას ხდება ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ჯადმა დაზუსტებით იცოდა, სად მიდიოდა.

ლუისიც გაჰყვა.

დასაბიჯებელი ადგილის მოსაძებნად დაბლა არ იხედებოდა. წარმოუდგენელია, მაგრამ დარწმუნებით სჯეროდა, რომ ეს ხმელი ხე მათ ვერაფერს ავნებდა. ეს ჰგავდა ისეთივე სულელურ თავდაჯერებას, როგორსაც იძლევა, მაგალითად, წმინდა კრისტოფერის გამოსახულებიანი მედალიონი, რომელიც, გგონია, ავტოსაგზაო შემთხვევას აგაცილებს — თუნდაც საჭესთან ნასვამი იჯდე.

თუმცა, ამ ხმელ ტოტებთან შეხება მაინც სულ სხვაგვარ ემოციას ქმნიდა. ლუისი წინ მიდიოდა თავისი ფეხსაცმელებით (პრიალა ძირი ჰქონდა — ხმელ ხეებზე სასიარულოდ იდეალური) და თავი თამამად ეჭირა. ფანრის შუქი აქა-იქ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანათებდა მათ წინ მდებარე ხეებს და ბუჩქებს, რომლებიც ზღვარს მიღმა ჩანდა. დიახ, ეს ხმელი ხეების გორა ნამდვილად ზღვარი იყო. თავს ველარ მოიტყუებდი.

ჯადი უკვე ქვევითკენ ეშვებოდა, ლუისი კი იდგა ამ ხმელი გროვის უმაღლეს წერტილზე. რამდენიმე წამით შეჩერდა, დაფიქრდა, როგორ ჩავიდოდა დაახლოებით ოცდათხუთმეტი გრადუსის დაქანების მქონე ხმელ ტოტებზე. დაბლა არც ამჯერად დაუხედავს. შემდეგ ჩერჩის სხეული მარჯვენადან მარცხენა ხელში გადაიტანა, მსუბუქი ნიჩაბი კი — პირიქით. თავი მაღლა ასწია, სახესა და თმაზე ქარის შეხება იგრძნო. ოხ, როგორ ციოდა... და თავს როგორ სუფთად... როგორ კმაყოფილად გრძნობდა.

ქვევითკენ დინჯი ნაბიჯით დაეშვა. მის ფეხქვეშ ტოტმა ჭახანი გაიღო, მაგრამ ამას დიდად არ შეუწუხებია. მტკიცედ მიიწევდა წინ და ფიქრობდა, რომ ამ დროს უკვე ხვდებოდა, როგორ მოძრაობდნენ პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცები მიწათხრილებზე და თან სტვენით ტიპერერის[1] ღიღინებდნენ. ეს გიჟური ფიქრები ლუისს კიდევ უფრო მეტი აღტაცებით ავსებდა.

დაბლა ჩავიდა და წინ ჯადის ფანრის შუქს გახედა. მოხუცი უკვე ელოდა და, როცა საბოლოოდ ლუისიც მიწაზე აღმოჩნდა, რაღაც წარმოუდგენლად საზეიმო შეგრძნებით აივსო. — ჩვენ ეს შევძელით, ჯად!

— გეგონა, ვერ შევძლებდით?

ლუისმა პირი გააღო, რათა ეთქვა: „შენ რა, სხვაგვარად გეგონა? სასწაულებრივად გაგვიმართლა, ცოცხლები რომ გადავრჩით“. თუმცა, ენას კბილი დააჭირა და მიხვდა, რომ ჯადს არც მანამდე და არც შემდგომში, უკან დაბრუნებისას, ოდნავი ეჭვიც კი არ გასჩენია.

— მგონი, ჰო, — თქვა ლუისმა.

---

[1] *იგულისხმება ჯეკ ჯაჯის მიერ დაწერილი სიმღერა „დიდი გზაა ტიპერერიმდე“ (It's a Long Way to Tipperary), რომელიც განსაკუთრებით პოპულარული გახდა პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცებს შორის.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— წამოდი, ჯერ კიდევ სამ მილზე მეტი გვაქვს გასავლელი.

წავიდნენ. ბილიკიც გრძელდებოდა. ადგილ-ადგილ ფართოვდებოდა და ფანრის შუქიც უფრო კარგად ვრცელდებოდა. ისეთი გარემო იყო, თითქოს ბილიკის ირგვლივ ხეები უკან გადახრილიყვნენ. რამდენჯერმე ლუისმა ზევით აიხედა და ტოტებს შორის ვარსკვლავები დაინახა. ამ დროს ბილიკზე რაღაცამ გადაირბინა. მის კვალს ფანრის შუქიც მიჰყვა, მაგრამ მხოლოდ წამიერად გამოჩნდა მწვანე თვალები. ცხოველი მაშინვე გაუჩინარდა.

ზოგჯერ ბილიკი ისე ვიწროვდებოდა, ლუისს ტოტები მხრებზე ეხახუნებოდა. პაკეტსა და ნიჩაბს ხელიდან ხელში ხშირ-ხშირად ცვლიდა, სიარულის რიტმმა ისე აიყოლია, თითქოს ჰიპნოზით იყო მონუსხული. აქ ნამდვილად იგრძნობოდა რაღაც ძალა. ლუისს გაახსენდა ახალგაზრდობა, სკოლაში სწავლის ბოლო პერიოდი. ის და მისი შეყვარებული, ნაცნობ წყვილთან ერთად, ტყეში წავიდნენ, სადაც ბევრი ხეტიალის შემდეგ თავი ამოჰყვეს რაღაც გაურკვეველ ადგილზე, ელექტროსადგურის სიახლოვეს. იქ ცოტა ხანს დაჰყვეს, შემდეგ კი ლუისის გოგომ გამოაცხადა, შინ წავიდეთ ან აქაურობას მაინც მოვშორდეთ, ყველა კბილი (ყოველ შემთხვევაში, მგრძნობელობის მქონე, რაც, როგორც აღმოჩნდა, მისი კბილების უმრავლესობას შეადგენდა) მტკივაო. იმ ადგილის დატოვება ლუისსაც გაუხარდა, რადგან ელექტროსადგურის გვერდით თავს რაღაც ნერვიულად და ძალიან ფხიზლად გრძნობდა. ახლაც ასეთივე გრძნობა ეუფლებოდა, თუმცა ეს უფრო ძლიერი იყო. ძლიერი, მაგრამ არა უსიამოვნო. ეს... — უეცრად ჯადი გრძელი დაღმართის პირას შეჩერდა და ლუისმაც მასთან მიირბინა.

მოხუცი მისკენ შემობრუნდა. — თითქმის მივედით დანიშნულების ადგილზე, — მშვიდად თქვა მან, — ახლაც, როგორც ხეების გორასთან, მტკიცედ და მშვიდად უნდა იარო. გამომყევი და დაბლა არ დაიხედო. ხომ გრძნობ, რომ დაღმართზე ვეშვებით?

— კი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ამ ადგილს მიკმაკები ვირთევზას ჭაობს, ბეწვეულით მოვაჭრეები კი მკვდარი კაცის ჭაობს უწოდებდნენ.

— იქ მცოცავი ქვიშებია?

— ოჰ, აიუჰ! ნამდვილად მცოცავი ქვიშებია! მიწისქვეშა წყლები ზედაპირზე აღწევს და კვარცის ფენებს შორის მიედინება. ამიტომ, აქაურები ამ ადგილს კვარცის ქვიშებს ვუწოდებთ, მაგრამ, ალბათ, რაღაც სხვა ზუსტი სახელიც ექნება.

ჯადმა გამოხედა და ლუისს მოეჩვენა, რომ მოხუცის თვალებში სასიამოვნო მზერა შენიშნა.

შემდეგ ჯადმა ფანარი დაბლა დაუშვა და ეს შეგრძნებაც გაქრა.

— აქ ბევრი რამ არის განსხვავებული. ჰაერი უფრო მძიმეა... უფრო ელექტრული... თუ რაღაც...

უეცრად ლუისი დაფეთებული შეჩერდა.

— რა მოხდა?

— არაფერი, — თქვა და ის ღამე გაახსენდა — ელექტროსადგურთან.

— აქ შეიძლება წმინდა ელმის ცეცხლიც[1] იხილო, რომელსაც მეზღვაურები მოჩვენებების ცეცხლს უწოდებენ. უცნაურ ფორმებს იღებს, მაგრამ არ შეგაწუხებს. შეიძლება ასევე გაიგო რაღაც ხმები, მაგრამ იცოდე, გადამფრენი ღორიხვები ჭყივიან. სასაცილო ხმები აქვთ.

— ღორიხვები? ამ დროს? — დაეჭვებით იკითხა ლუისმა.

— ოჰ, აიუჰ, — ისევ გაიმეორა ჯადმა, რომელსაც საოცრად შორეული და ძნელად გასარჩევი ხმა ჰქონდა. ლუისმა უიმედოდ ისურვა, კიდევ ერთხელ ეხილა მოხუცის სახე. ის გამოხედვა... — სად მივდივართ, ჯად? საერთოდ, რა ჯანდაბას ვაკეთებთ აქ?

---

[1] *მეზღვაურების მფარველი წმინდანის, წმინდა ერაზმუსის (იმავე წმინდა ელმის) სახელობის ბუნებრივი ფენომენი, რომლის დროსაც ძლიერი ელექტრული ველის არსებობის შემთხვევაში ბასრი ან წვეტიანი საგნების მიერ კორონარული განმუხტვის გზით წარმოიქმნება ოპტიკური პლაზმა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გეტყვი, როცა მივალთ, — ჯადი გაბრუნდა, — ბურცობებთან ფრთხილად იყავი.

ისევ წინ წავიდნენ. ბურცობსა და ბურცობს შორის აბიჯებდა, მაგრამ ლუისი მათ ვერ ამჩნევდა. ფეხები გზას ავტომატურად აგნებდნენ. მხოლოდ ერთხელ წაბორძიკდა, როცა ყინულის თხელი ფენა ჩაუტყდა და რაღაც სითხეში ჩადგა ფეხი, თუმცა მალევე ამოდგა და გზა განაგრძო. წინ ჯადი და მისი ფანრის შუქი მოჩანდა. ეს შუქი, ბნელ ტყეში მისი მოძრაობა ლუისს ბავშვობაში წაკითხულ მეკობრეების ისტორიებს ახსენებდა. სავარაუდოდ, ამ ისტორიაშიც მთვარის შუქზე ბოროტი კაცები მონაპოვარ ოქროს მიწაში ჩამარხავდნენ, შემდეგ კი რომელიმე გორაკის თავზე ერთერთ მათგანს აუცილებლად მოხვდებოდა მკერდში ტყვია, რათა მის სულს ოქრო დაეცვა.

ოღონდ ახლა ლუისი და ჯადი ოქროს კი არა, კასტრირებული კატის დამარხვას აპირებდნენ.

ლუისმა შინაგანად მხეცური სიცილის მოზღვავება იგრძნო, მაგრამ თავი შეიკავა.

არ ესმოდა არანაირი „ხმები“, ვერც წმინდა ელმის ცეცხლს ხედავდა სადმე. უამრავი ბურცობის გადაბიჯების შემდეგ ლუისმა დაბლა დაიხედა და შენიშნა, რომ ფეხები მუხლებამდე სქელ და თეთრ ნისლში გახვეოდა. თითქოს სამყაროს ყველაზე მსუბუქ თოვლში მიაბიჯებდა.

თითქოს ჰაერიც შეიცვალა და ახლა ის უფრო თბილი იყო. ლუისს დარწმუნებით შეეძლო ამის თქმა. მის წინ კი მიდიოდა ჯადი, რომელსაც მხარზე წერაქვი გაედო და ეს ოქროს მიწაში დამარხვის სიუჟეტს კიდევ უფრო რეალურს ხდიდა.

არ შორდებოდა ის გიჟური მხიარულების შეგრძნება და ფიქრი იმაზე, რომ შეიძლებოდა ახლა რეიჩელი ურეკავდა. იქ, უკან, სახლში, გამუდმებით რეკავდა ტელეფონი. ეს ზარი სადღაც შორიდან მოესმოდა. ხედვით კი ხედავდა მის წინ მიმავალ მოხუცს, რომელიც რაღაც მომენტში ბილიკის შუაში შეჩერდა და დაძაბული სახით თავი ოდნავ გადახარა.

— ჯად? რა...

— ჩშშ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი გაჩუმდა, დაბნეულად მიმოიხედა. მიწაზე გაფენილი ნისლი აქ უფრო თხელი იყო, მაგრამ ფეხსაცმელებს მაინც უფარავდა. შემდეგ ტოტების მსხვრევის ხმა გაისმა და სადღაც შორიახლოს რაღაც დიდი ამოძრავდა.

პირი გააღო, რათა ჯადისთვის ეკითხა, ლოსი ხომ არ იყო (თუმცა, რეალურად გონებაში დათვზე ფიქრობდა), მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. როგორც ჯადი ამბობდა — „ენა გაგყიდის"...ჯადის მსგავსად, ლუისმაც გვერდზე გაიხედა, ყური მიუგდო ხმას, რომელიც ჯერ შორეული იყო, შემდეგ უეცრად ძალიან მოახლოვდა, ბოლოს კი პირდაპირ მათკენ დაიძრა. ლუისმა შუბლზე ოფლის სისველე იგრძნო. ოფლი უკვე ლოყებზე წვეთავდა. ჩერჩის სხეული ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა. ხელისგული დასველებოდა, მწვანე პაკეტიც თითქოს თითებიდან გაძრომას ცდილობდა. ახლა ის რაღაც, რაც სიბნელეში ხმას გამოსცემდა, იმდენად ახლოს უნდა ყოფილიყო, რომ ლუისი ყოველ წამს მისი სილუეტის გამოჩენას ელოდა.

ოთხფეხა ორ კიდურზე დგებოდა და ტლანქ სხეულს მაღლა ეზიდებოდა.

კი, ნამდვილად დათვი იყო.

ლუისმა უკვე აღარ იცოდა, რა ეფიქრა.

უეცრად ის რაღაც გასცდათ და გაუჩინარდა.

ლუისმა ისევ პირი გააღო. რა უნდა ეთქვა? სიტყვები ენის წვერზე ადგა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა. სადღაც შორიდან ცივი, ავადმყოფური სიცილი მოისმოდა და ბნელ სიცივეს ავსებდა. ლუისს ეჩვენებოდა, რომ მისი სხეულის ყოველი ნაწილი გაყინულიყო და როგორღაც დამძიმებულიყო. თან იმდენად, რომ ახლა თუნდაც შებრუნებულიყო და გაქცეულიყო, ამ ჭაობიან ადგილს თავს მაინც ვერ დააღწევდა.

სიცილი გაძლიერდა, გადაიქცა ცივ კრიახად და მთელ არემარეს მოედო. ლუისს გააჟრჟოლა და კანი ბუსუსებით დაეფარა. ჰო, ნამდვილად ასე იყო.

სადღაც ზევიდან წყლის წვეთები წამოვიდა. ქარის მონოტონური ზუზუნი არ წყდებოდა. სხვა მხრივ, ეს ჭაობიანი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღვთისგან მივიწყებული ადგილი სიჩუმეს მოეცვა. ლუისს ტანში ზარავდა, ფეხები უკანკალებდა და პირი უშრებოდა. ენა სულ მთლად გახევებოდა, მაგრამ მაინც, მთვარეულივით გარინდებულს, შინაგანი სიხარულის შეგრძნება არას დიდებით არ შორდებოდა.

— ღვთის გულისათვის, ეს რა ჯანდაბის ხმებია?

ჯადი მისკენ შებრუნდა და ფანრის შუქზე ლუისს მოეჩვენა, რომ მოხუცი ას ოცი წლისა იყო. მის თვალებში იმ უცნაური, მოთამაშე ცეცხლის კვალიც კი აღარ ჩანდა. ღრმად ჩაძირული, მტკიცე ტერორით მოცული მზერა ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკის დროს სიმტკიცეს სრულად ინარჩუნებდა. — უბრალოდ, ღორიხვაა, — თქვა მან, — წამოდი, თითქმის მივედით.

გზა განაგრძეს, ფეხქვეშ ისევ მყარი მიწა იგრძნეს, რაღაც მომენტში ლუისმა ისევ ღია სივრცე აღიქვა, თუმცა ეს შეგრძნებაც მალე გაქრა და ახლა ჯადთან უკვე სამ ნაბიჯში იყო. ფეხქვეშ მიწას მოდებული ყინულის თხელი ფენა ყოველ ნაბიჯზე იმსხვრეოდა. ლუისი და ჯადი ახლა ისევ ხეებით დაფარულ წიწვნარში შედიოდნენ. ლუისი გრძნობდა ფიჭვის სუნსა და ნემსის მსგავსი წიწვების შეხებას. უეცრად რაღაც ტოტის ნაგლეჯი გატეხა.

ლუისმა დროისა და სივრცის აღქმის უნარი დაკარგა. უკვე აღარ იცოდა, საით მიდიოდა, როდესაც მის წინ ჯადი შეჩერდა. — აქ საფეხურებია, — უთხრა მან, — ქვაში გამოყვანილი საფეხურები. ორმოცდაორი თუ ორმოცდაოთხი საფეხურია. ზუსტად აღარ მახსოვს. წამოდი, ბოლომდე ავივლით და ეგ არის.

ჯადმა კიბეზე ასვლა დაიწყო და ლუისიც მიჰყვა.

საკმაოდ ფართო ქვის საფეხურები იყო, მაგრამ ფეხქვეშ მიწის გამოცლას მაინც უცნაური შეგრძნება სდევდა თან. აქა-იქ ლუისი ლანჩებქვეშ ქვების ნატეხებსა და კენჭებს გრძნობდა.

თორმეტი... ცამეტი... თოთხმეტი.

ქარი გაძლიერდა, გახდა უფრო ცივი და ლუისს სახე გაუყინა. *ნუთუ ხეების თავზე ვართ?* — გაიფიქრა თავისთვის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ცაში მილიარდობით ვარსკვლავს, წყვდიადის მანათობელ ცივ ნათელს ახედა. ცხოვრებაში არასოდეს უგრძნია ვარსკვლავთა გამო თავი ასე ცეროდენად, ასე უსუსურად. თავს ისევ ერთ ძველ კითხვას უსვამდა — „არსებობს კი სიცოცხლე იქ, ზევით?" — ამ კითხვაზე ფიქრი ცხოვრებაში პირველად აგრძნობინებდა ცივ, შემაძრწუნებელ ემოციას. ეს ისეთივე შეგრძნება იყო, როგორიც ალბათ დაკლაკნილი ხოჭოების მუჭით ჭამა.

ოცდაექვსი... ოცდაშვიდი... ოცდარვა.

ვინ გამოკვეთა ეს საფეხურები? ინდიელებმა? მიკმაკებმა? ისინი „ინსტრუმენტების მქონე" ინდიელები იყვნენ? ჯადს *უნდა ვკითხო.* „ინსტრუმენტების მქონე ინდიელებზე" ლუისს „ბალნიანი ცხოველები" გაახსენდა, რასაც იმ უცნობ არსებაზე ფიქრი მოჰყვა, რომელიც ტყეში შეხვდათ. უეცრად ლუისმა წონასწორობა დაკარგა და თავის შესამაგრებლად მისგან მარცხნივ კლდის ზედაპირს მიეყრდნო. ძალიან ძველი და მშრალი კლდე ჩანდა. ისეთივე მშრალი, როგორიც ცოცხალ-მკვდრის კანი.

— კარგად ხარ, ლუის? — ჩაიბურტყუნა ჯადმა.

— არა მიშავს, — უპასუხა ლუისმა, თუმცა პაკეტში ჩერჩის სიმძიმისგან კუნთები უკვე ისე დასჭიმოდა, რომ სუნთქვა უჭირდა.

ორმოცდაორი... ორმოცდასამი... ორმოცდაოთხი.

— ორმოცდახუთი, — თქვა ჯადმა, — უჰ, დამვიწყებია. ალბათ თორმეტი წელია, აქ არ ვყოფილვარ. აღარც მეგონა, თუ კიდევ ამოვიდოდი. აბა, ცოტაც და გავჩერდებით.

შემდეგ ლუისს მკლავში ხელი ჩასჭიდა და ბოლო საფეხურზე ასვლაში დაეხმარა.

— მოვედით. — თქვა ჯადმა.

ლუისმა მიმოიხედა. ვარსკვლავების შუქი საკმარისად ანათებდა გარემოს. ახლა რაღაც ქვიან, პლატოს მსგავს მასივზე იდგნენ, რომელიც თავისი ფორმებით მიწიდან ამოჩრილ უზარმაზარ შავ ენას წააგავდა. როცა სხვა მხარეს გაიხედა, დაინახა იმ წიწვოვანი ხეების კენწეროები, რომლებიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცოტა ხნის წინ გამოიარეს. როგორც ჩანს, რაღაც უცნაურ, ბრტყელზედაპირიან გორაზე ასულიყვნენ, რომელიც უფრო არიზონაში ან ნიუ-მექსიკოში უნდა ყოფილიყო, ვიდრე აქ. ასე იყო თუ ისე, ამ ადგილზე მდგომი შიშველი ხეებიდან მზეს თოვლი უკვე ჩამოედნო. ახლა, როცა ჯადისკენ მიბრუნდა, ლუისმა დაინახა ქარის მიერ წაწვენილი მშრალი ბალახი. ქარი კი პირდაპირ სახეში სცემდა. ლუისი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნამდვილად გორაკზე იდგნენ და არა რაღაც იზოლირებულ ამონაზარდზე. ამ ადგილსაც ტყისებრი ფენა ფარავდა, მაგრამ ის, სადაც ახლა იდგნენ, მაინც უჩვეულოდ მოსწორებული იყო, რაც ნიუ-ინგლენდისთვის დამახასიათებელი რელიეფისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. *ინდიელებს ინსტრუმენტები ჰქონდათ,* — კარნახობდა გონება.

— წამოდი, — უთხრა ჯადმა და ხეების მიმართულებით კიდევ ოცდახუთი იარდი[1] ატარა. აქ ქარი კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ ჰაერიც უფრო გასუფთავდა. ლუისი ხედავდა ჩრდილში ჩაძირულ სილუეტებს, მათ გვერდით კი ალბათ ყველაზე მაღალ და ყველაზე ბებერ ნაძვებს, რაც კი ოდესმე ენახა. მთლიანობაში იქმნებოდა სიცარიელის და ამ სიცარიელის ვიბრირების უცნაური შეგრძნება.

ბნელი სილუეტები ქვის სვეტები აღმოჩნდა.

— მიკმაკებმა გორის ეს ზედაპირი მოასწორეს, — თქვა ჯადმა, — არავინ იცის, როგორ. ისევე, როგორც არავინ იცის, როგორ ააგეს პირამიდები მაიას ხალხმა. ეს ყველაფერი თავად მიკმაკებსაც აღარ ახსოვთ.

— რატომ? რაში სჭირდებოდათ?

— ამ ადგილს სასაფლაოდ იყენებდნენ, — უთხრა ჯადმა, — აქ იმისთვის მოგიყვანე, რომ ეილის კატა დამარხო. მიკმაკები არ განასხვავებდნენ, ერთად მარხავდნენ ადამიანებსაც და შინაურ ცხოველებსაც.

ამ სიტყვებმა ლუისს გაახსენა ეგვიპტელები, რომლებიც სამეფო ოჯახის წევრების სიკვდილის შემდეგ შინაურ ცხო-

[1] *სიგრძის საზომი ერთეული. ერთი იარდი = 0.9 მეტრს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ველებს ხოცავდნენ და მათთან ერთად მარხავდნენ, რათა პატრონებს სულეთში გაჰყოლოდნენ. გაახსენდა ერთი ფარაონის ქალიშვილის სიკვდილის ამბავიც, რომლის შემდეგაც ათი ათასამდე შინაური ცხოველი დახოცეს, მათ შორის, ექვსასი ღორი და ორი ათასი ფარშავანგი. ყელის გამოჭრამდე კი ღორები გარდაცვლილისთვის საყვარელი სუნამოთი — ვარდის ზეთით გაპოხეს.

და აგებდნენ პირამიდებს. ზუსტად არავინ იცის, რისთვის შენდებოდა მაიას პირამიდები. ზოგი ამბობს, ციურ სხეულებზე დასაკვირვებლად იყენებდნენო, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაურკვეველია. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით, რომ ეგვიპტელები პირამიდებს სამარხებად იყენებდნენ და ასე ქმნიდნენ მსოფლიოში ყველაზე დიდ საფლავის ქვებს. *აქ წევს რამზეს მეორე — დამჯერი კატა იყო.* ამის გაფიქრებაზე ლუისმა თავი ვერ შეიკავა და სულელურად ჩაიხითხითა.

ჯადმა შეხედა, თუმცა არ გაჰკვირვებია.

— მიდი, დამარხე შენი ცხოველი, — უთხრა მოხუცმა, — მანამდე მოვწევ. დაგეხმარებოდი, მაგრამ შენი გასაკეთებელია. სხვა გზა არ არის.

— ჯად, რატომ ვაკეთებთ ამას? რატომ მომიყვანე?

— იმიტომ, რომ ნორმა გადამირჩინე, — უთხრა ჯადმა და ეს იმდენად გულწრფელად გამოუვიდა, რომ ლუისმაც დაიჯერა — ჯადი სრული პატიოსნებით მოქმედებდა, თუმცა არსებობდა იმის ალბათობაც, რომ მოხუცი იტყუებოდა, უბრალოდ, ამის შესახებ თვითონაც არაფერი იცოდა და თავის დროზე ისიც ვიღაცას მოეტყუებინა. ლუისს ახსოვდა ის მზერა ჯადის თვალებში, გზად რომ იხილა.

თუმცა, ახლა სულერთი იყო. მნიშვნელობა უფრო ქარს ჰქონდა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და ლუისს თმას უწეწავდა.

ჯადი ჩამოჯდა და ზურგით ხეს მიეყუდა, თითები ასანთის კოლოფს შემოხვია და „ჩესტერფილდს“ მოუკიდა. — სანამ დაიწყებ, ცოტას ხომ არ დაისვენებდი?

— არა, კარგად ვარ, — უთხრა ლუისმა. უნდოდა შეკითხვები დაესვა, მაგრამ ხვდებოდა, რომ არაფერი გამოვიდოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყოყმანობდა. ბოლოს გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე შეკითხვები საკმარისი იყო. არსებობდა მხოლოდ ერთი რამ, რისი გარკვევაც ახლა სურდა. — შევძლებ კი აქ საფლავის გათხრას? ძალიან თხელი ნიადაგია. — ლუისმა საფეხურების ზედაპირისკენ თავი გააქნია.

ჯადმა ნელა დაუკრა თავი. — აიუჰ, — თქვა მან, — თხელია, მაგრამ, როგორც ხედავ, საკმარისია ბალახის გასაზრდელად. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ თხრა გაგიადვილდება.

ასეც აღმოჩნდა. ქვიანი და ძალიან უხეში მიწა იყო. ლუისი მალევე დარწმუნდა, რომ მხოლოდ ნიჩბით ვერაფერს გახდებოდა. იძულებული იყო მიწა ჯერ წერაქვით ეჩიჩქნა და შემდეგ ნიჩბით ამოესუფთავებინა. სამაგიეროდ, ნელ-ნელა გახურდა და პროცესმა ისე შეიყოლია, რომ ძველებურად, როგორც გაკერვის დროს სჩვეოდა, ღიღინი დაიწყო. ლუისს ხელისგულებზე ბებერები ეზრდებოდა, მაგრამ ამაზე არ ღელავდა, თუმცა, როგორც ექიმს, მოეთხოვებოდა ხელებს გაფრთხილებოდა.

ლუისს ესმოდა ქვების ერთმანეთზე დაწყობის ხმა. ზურგს უკან მოიხედა და დაინახა ჯადი, რომელიც მის მიერ ამოთხრილ დიდი ზომის ქვებს აგროვებდა. ქარი თავის მელოდიას განაგრძობდა. ლუისმა ჯადს გაკვირვებულმა შეხედა.

— ქვებს პირამიდისთვის ვაგროვებ, — მიუგო ჯადმა, როცა მისი მზერა იგრძნო.

— ოჰ, — ამოიოხრა ლუისმა და საქმეს მიუბრუნდა.

დაახლოებით ორი ფუტი სიგანისა და სამი ფუტი სიგრძის საფლავი ამოთხარა. — *ამ წყეულ კატას მაგარ კომფორტში მოუწევს ჩაწოლა,* — გაიფიქრა ლუისმა და როცა სილრმემ ოცდაათ დუიმს[1] მიაღწია, წერაქვმა კი ყოველ დარტყმაზე ნაპერწკლების ყრა დაიწყო, ლუისი ჯადს მიუბრუნდა და ჰკითხა, საკმარისი იყო თუ არა ამ ზომის საფლავი.

ჯადი წამოდგა და გამომცდელად გახედა. — მგონი, კარგია, — თქვა მან, — თუმცა, მაინც შენი გადასაწყვეტია.

---

[1] *სიმაღლის საზომი ერთეული. ერთი დუიმი = 2.54 სმ-ს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ახლა მაინც არ მეტყვი, რა ხდება?

ჯადმა ოდნავ გაულიმა. — მიკმაკებს სჯეროდათ, რომ ეს მაგიური გორაკი იყო. სჯეროდათ, რომ მაგიური იყო მთელი ეს ტყე და ჭაობი — ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. შემდეგ ეს ადგილი მოასწორეს და აქ, ყველაფრისგან მოშორებით, მიცვალებულების დასაფლავება დაიწყეს. აქაურობას სხვა ტომები ძალიან უფრთხოდნენ. პინებსკოტები ამბობდნენ, რომ ტყე მოჩვენებებით იყო სავსე. მოგვიანებით მონადირეებმაც მსგავსი რაღაცების მტკიცება დაიწყეს. ვფიქრობ, მათმა ნაწილმა ტბის პირას ცეცხლი შენიშნა და ეს მოჩვენებებად შერაცხეს.

ჯადმა გაიღიმა და ამ მომენტში ლუისმა გაიფიქრა, — *ეს ის არ არის, რასაც შენ ფიქრობ.*

— მოგვიანებით აქ თავად მიკმაკებიც აღარ მოდიოდნენ. ერთ-ერთი მათგანი ირწმუნებოდა, რომ აქ ვენდიგო[1] ენახა. ამის გამო თურმე მათ რაღაც შამანური გამოლოცვა ჩაუტარებიათ. ყოველ შემთხვევაში, ასე მიყვებოდა ჩემს ახალგაზრდობაში ბებერი ლოთი სტენი ბი, რომელსაც ყველანი სტენლი ბუშარს ვეძახდით. თან სტენის ტყუილების თქმა უყვარდა.

ლუისმა, რომელმაც მხოლოდ ის იცოდა, რომ ვენდიგო ჩრდილოეთის მხარეში მიჩნეული სული იყო, თქვა, — მგონი, ეს მიწა წაბილწულია.

ჯადმა გაულიმა — უფრო სწორად, სულ ოდნავ შეხსნა ტუჩები. — ვფიქრობ, ეს სახიფათო ადგილია, — თქვა მშვიდად, — მაგრამ არა კატების, ძაღლებისა და ზღვის გოჭებისთვის. მიდი, დამარხე შენი ცხოველი, ლუის.

ლუისმა ფრთხილად ჩაუშვა პაკეტი ორმოში. ახლა უკვე ძალიან დაღლილი იყო და სციოდა. მიწის დაყრისას პოლიეთილენის პაკეტი უცნაურ ხმას გამოსცემდა, თუმცა ეს ხმა

---

[1] *ჩრდილოამერიკული ფოლკლორის პერსონაჟი. ვენდიგო, იგივე ვინდიგო, მითური კანიბალი მონსტრია, რომელიც ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ სანაპიროს ტყეებში და ამერიკისა და კანადის დიდი ტბების სიახლოვეს ბუდობს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაყრილი მიწის მატებასთან ერთად ნელ-ნელა ქრებოდა. ბოლოს უკანასკნელი მიწის ნაწილიც ორმოს დააყარა და უეცრად სადღაც ათასი წლის წინ ბიძამისის (რომელიც დამკრძალავი ბიუროს მეპატრონე გახლდათ) ნათქვამი სიტყვები გაახსენდა: — „ამოთხრილი მიწა მისი უკან ჩაბრუნებისას საკმარისი არასოდეს არის. — შემდეგ ჯადისკენ მიბრუნდა“.

— ახლა პირამიდის ჯერია, — უთხრა ჯადმა.

— მისმინე, ჯად. ძალიან დავიღალე და...

— ეს ეილის კატაა, — ჯადს მშვიდი, მაგრამ ულმობელი ხმა ჰქონდა, — მას ენდომებოდა, რომ ყველაფერი წესისამებრ გააკეთო.

ლუისმა ამოიხვნეშა. — ჰო, ალბათ ეგრეა.

ქვების დასალაგებლად კიდევ ათი წუთი დასჭირდა. ერთიმეორის მიყოლებით ალაგებდა და ბოლოს, როგორც იქნა, შექმნა ჩერჩის საფლავის პირამიდა. ლუისმა ოდნავი, დაღლის თანმხლები სიამოვნება იგრძნო. თითქოს, ეს ყველაფერი ძალიან სწორი იყო. ირგვლივ სხვა საფლავების ქვებიც მოჩანდა და ლუისმა იცოდა, რომ ეილი ამ ადგილს არასოდეს ნახავდა, რეიჩელი მისი აქ წამოყვანის ხსენებაზეც კი ჭკუიდან შეიშლებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრძნობდა, რომ ყველაფერი სწორად გაკეთდა.

— სხვა პირამიდების უმეტესობის ქვები გადაყრილია, — შენიშნა ჯადმა, რომელიც მუხლებზე შარვალს იბერტყავდა. ახლა ყველაფერი უფრო აშკარად ჩანდა, ლუისი კარგად ხედავდა სხვა საფლავებიდან გადმოყრილ ქვებს, თუმცა ჯადმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ჩერჩის პირამიდა მხოლოდ იმ ქვებით აგებულიყო, რომლებიც ლუისმა მიწიდან ამოთხარა.

— აიუჰ, — უთხრა ჯადმა, — ხომ გითხარი, ძველი ადგილია-მეთქი.

— მოვრჩით?

— აიუჰ, — თქვა და ლუისს მხარზე ხელი დასცხო, — კარგად გამოგივიდა, ლუის. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ახლა შინ დავბრუნდეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჯად, — ისევ წამოიწყო, მაგრამ ჯადმა წერაქვი აიღო და საფეხურებისკენ გაემართა. ლუისმა ნიჩაბს დაავლო ხელი და უკან გაჰყვა, თუმცა არ გაქცეულა, სუნთქვის შენარჩუნების მიზნით, უბრალოდ, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. უკან მხოლოდ ერთხელ მიიხედა. მისი გოგონას კატის — უინსტონ ჩერჩილის საფლავი უკვე ბინდში ჩაძირულიყო და თითქმის აღარც მოჩანდა. *ჩვენ უბრალოდ ფირი უკან დავატრიალეთ,* — გაიფიქრა ლუისმა დაღლილი ფიქრით და ტყიდან მინდორზე გავიდა, რომელიც უკვე მის სახლს გადაჰყურებდა. ლუისს არ ახსოვდა, როგორ გამოიარა უკანა გზა, ან რა დრო გავიდა, თუმცა იცოდა, რომ მალე საკუთარ სახლში დაბრუნდებოდა, რომელშიც, შესაძლოა, ახლაც შუადღის ძილით ეძინა. ლუისი ვერ იხსენებდა, როდის იგრძნო ბოლოს ასეთი დაღლა. ალბათ სკოლაში, საზაფხულო არდადეგების დროს ჩიკაგოს ქუჩებში ნაგვის გამტან მანქანაზე რომ მუშაობდა. ეს კი კარგა თექვსმეტი ან ჩვიდმეტი წლის წინ იყო.

უკან იმავე გზით დაბრუნდნენ. ეს გზა კი ლუისს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ახსენდებოდა. ახსოვდა, რომ ავიდა წაქცეული ხეების გორაზე, ახსოვდა, როგორ გაახსენდა პიტერ პენი და თავში გაუელვა, ღმერთო, ახლა ბედნიერი ფიქრები მიმატოვებს და მეც დაბლა ჩავვარდებიო, მაგრამ მშველელად ჯადის ხელი მოევლინა. შემდეგ კი მივიდნენ იმ ადგილზე, სადაც არა მხოლოდ ჯადთან ერთად, არამედ თავის დროზე, ცოლ-შვილთან ერთად იმყოფებოდა. ჩაუარეს სმაკის, ტრიქსის და მარტას — შინაურ კურდღელს.

კიდევ ახსოვდა, რომ გზაში ვიქტორ პასკოუს სიზმარზე ფიქრობდა. როგორ მოვიდა ამ ადგილებში მასთან ერთად, თუმცა იმ სიზმარსა და ამ მოგზაურობას შორის ლუისი ვერანაირ კავშირს ვერ პოულობდა. ახსოვდა ისიც, რომ მთელი ეს მოგზაურობა ნამდვილად სახიფათო იყო. არა ისე მელოდრამატული გაგებით, როგორც უილკი კოლინზის რომანებშია, არამედ მართლა სახიფათო. იმას, რომ ამ მოგზაურობისას ხელები საშინლად გაიფუჭა, კიდევ არაფერი უჭირდა. ხომ შეიძლებოდა, ხმელი ხეების გროვაზე ასვლი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სას ის და ჯადი სულაც დახოცილიყვნენ? ძნელი იყო ამ ამ-ბისთვის ფხიზლად შეგეხედა. ლუისი ერთიანად მოეცვა სა-სოწარკვეთას, დაბნეულობასა და ოჯახის საყვარელი ცხო-ველის სიკვდილით გამოწვეულ იმედგაცრუებას.

ისინი უკვე შინ იყვნენ.

ერთად მიდიოდნენ. ხმას არ იღებდნენ. ლუისის სახლის წინ შეჩერდნენ. ქარი ზმუოდა და ყმუოდა. ლუისმა ჯადს უსიტყვოდ დაუბრუნა წერაქვი.

— საათი ხომ არ გაქვს? — ჰკითხა ლუისმა და დაფიქრ-და, დაბრუნებული იქნებოდა თუ არა ამ დროისთვის ნორმა. მისი ვარაუდით, შუაღამე უკვე გადასული უნდა ყოფილიყო.

— ოჰ, აიუჰ, — მიუგო ჯადმა, — მუდამ თან დავატარებ, — შემდეგ ჯიბიდან საათი ამოიღო და ხუფი ახადა, — ახლა ცხრის ნახევარია, — თქვა და საათი ისევ დაკეტა.

— ცხრის ნახევარი? — სულელურად გაიმეორა ლუისმა, — მეტი არა?

— მაშ, შენი აზრით, რომელია? — ჰკითხა ჯადმა.

— უფრო გვიანი.

— კარგი, ხვალ შევხვდებით, ლუის, — უთხრა ჯადმა და წასასვლელად მოემზადა.

— ამ ღამით რა მოხდა, ჯად? — ჰკითხა ლუისმა. ჯადი შემობრუნდა.

— რა? შენი გოგონას კატა დავმარხეთ.

— მეტი არაფერი გვიქნია?

— მხოლოდ ეგ, — უთხრა ჯადმა, — კარგი კაცი ხარ, ლუ-ის, მაგრამ ძალიან ბევრ შეკითხვას სვამ. ხანდახან ადამია-ნები ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ამას საჭიროდ თვლიან, რასაც გული ეუბნებათ. და თუ მაინც გრძნობენ, რომ ყვე-ლაფერი რიგზე არ არის, შეკითხვები უჩნდებათ და უჩნ-დებათ მოუნელებლობის შეგრძნება — ოღონდ არა კუჭში, არამედ თავში. ისინი ფიქრობენ, რომ შეცდომა დაუშვეს. ხვდები, რას ვამბობ?

— კი, — მიუგო ლუისმა და გაიფიქრა, ალბათ, სანამ ტყი-დან მოვდიოდით, ჯადი ჩემს აზრებს კითხულობდაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ამ დროს აზრადაც არ მოსდით, რომ იქნებ უმჯობესია, შეკითხვები დაუსვან თავიანთ ეჭვებს და არა გულებს, — უთხრა ჯადმა და მოსაუბრეს მიუახლოვდა, — აბა, რას ფიქრობ, ლუის?

— ვფიქრობ, — ფრთხილად თქვა ლუისმა, — რომ, ალბათ, მართალი ხარ.

— და არასოდეს არის კარგი იმაზე ლაპარაკი, რაც გულში გაქვს. ასეა?

— რა გითხრა...

— არა, — შეაწყვეტინა ჯადმა, თითქოს ლუისი მაშინვე დათანხმდა, — ასეა. — შემდეგ დინჯი და შეურიგებელი ხმით, რის გამოც ლუისს მთელ სხეულში სიცივემ დაუარა, დაამატა, — არსებობს საიდუმლოებები. თითქოს ამ საიდუმლოებების შესახებ ქალებმა უნდა იცოდნენ და როცა ასეა, მათ მცირე ნაწილს არ ამხელენ კიდეც, მაგრამ არსებობს ისეთები, რომლებიც მათაც არ იციან. რაც უნდა ბევრი რამ იცოდეს ქალმა, ის მაინც იტყვის, რომ წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება კაცის გულში. ის ქვის ზედაპირითაა დაფარული — როგორც იქ, იმ სასაფლაოზე — და არავინ უწყის, რა ხდება მის სიღრმეში. კაცი, რაც შეუძლია, იმას ზრდის. მეტი არაფერი.

— ჯად...

— ნურაფერს მკითხავ, ლუის. უბრალოდ, მიიღე ის, რაც მოხდა და შენს გულს მოუსმინე.

— მაგრამ...

— არავითარი მაგრამ. მიიღე მომხდარი და გულს მოუსმინე. ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც სწორი იყო ამ ეტაპზე. იმედი მაქვს, ასეა. შესაძლოა, სხვა დროს შევმცდარიყავით. ო, თან რა საშინლად შევმცდარიყავით.

— ერთ შეკითხვაზე მაინც მიპასუხებ?

— აბა, გისმენ და ვნახოთ...

— იმ ადგილის შესახებ საიდან გაიგე? — მთელი გზის განმავლობაში აწუხებდა ლუისს ეს შეკითხვა. ამას ემატებოდა ეჭვიც იმის შესახებ, რომ ჯადიც მიკმაკების წევრი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაფრით ჰგავდა და, საერთოდაც, ისეთი იერი ჰქონდა, იფიქრებდით, რომ მისი ყველა წინაპარი ასი პროცენტით თეთრკანიანი ამერიკელი იქნებოდაო.

— საიდან და სტენი ბისგან. — უთხრა მოხუცმა გაკვირვებით.

— ასე უბრალოდ გითხრა?

— არა, — თქვა ჯადმა, — ასეთ რამეებზე ასე უბრალოდ არ ლაპარაკობენ. მე რომ იქ ჩემი ძაღლი დავკრძალე, ათი წლის ვიყავი. კურდღელს მისდევდა და შემთხვევით ჟანგიან მავთულხლართს წამოედო. ჭრილობებში ინფექცია შეეჭრა და მოკვდა.

ამ ყველაფერში უცნაური არაფერი იყო, მაგრამ ლუისი ფიქრობდა, რომ აქამდე მოსმენილის ლოგიკაში რაღაც მაინც ვერ ჯდებოდა. თუმცა, ჯადს მეტი არაფერი უთქვამს. უბრალოდ იდგა და მოხუცის ჩაძირული თვალებით უცქერდა.

— ღამე მშვიდობისა, ჯად, — უთხრა ლუისმა.

— ღამე მშვიდობისა.

მოხუცმა წერაქვითა და ნიჩბით გზა გადაკვეთა.

— გმადლობ! — დაუფიქრებლად გასძახა ლუისმა.

ჯადი არ შემობრუნებულა. მხოლოდ ხელი ასწია იმის ნიშნად, რომ გაიგონა.

უცებ სახლში ტელეფონმა დარეკა. ლუისი გაიქცა, მიუხედავად მთელი სხეულის ტკივილისა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სამზარეულოში შევარდა. ამასობაში ტელეფონმა ექვსჯერ თუ შვიდჯერ დარეკა და ზუსტად მაშინ გაჩუმდა, როცა ლუისმა ყურმილი აიღო, თუმცა მოასწრო და „ალო“ ერთხელ მაინც ჩასძახა. საპასუხოდ გაბმული ზარი გაისმა.

რეიჩელი იქნებოდა, — გაიფიქრა ლუისმა, — *დავურეკავ.*

თუმცა, მიხვდა, რომ ახლა მთლად დიდი სურვილი არ ჰქონდა აეკრიფა ნომერი, ელლაბუცა სიდედრთან — ან კიდევ უარესი — გენიალური ჩეკების წიგნაკის მქონე სიმამრთან. შემდეგ ყურმილს რეიჩელს გადასცემდნენ... მერე ეი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლის. მას ჯერ არ ეძინებოდა, ჩიკაგო ერთი საათით უკან იყო. ეილი კი ჰკითხავდა, როგორ იყო ჩერჩი.

დიდებულად, არაფერი უჭირს. დღეს „ორინკოს“ სატვირთომ დაარტყა. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ „ორინკო“ იქნებოდა. სხვა შემთხვევაში ასეთი დრამატული დასასრული არ გვექნებოდა. ვერ ხვდები, ხომ, რას ვგულისხმობ? მაშ, კარგი. მოკლედ, სატვირთომ მოკლა, მაგრამ ძალიან არ დაუჟეჟია. მე და ჯადმა ის ძველი მიკმაკების სასაფლაოზე დავკრძალეთ. ეს რაღაც იმ შინაური ცხოველების სასაფლაოს დანართივითაა, რომელზეც ჩვენ ერთად ვიყავით. ხვდები, რასაც ვამბობ. ძალიან საინტერესო გზა გავიარეთ. ოდესმე აუცილებლად წაგიყვან. როცა მიწა გალღვება და დათვები ზამთრის ძილს მიეცემიან, წავალთ და ჩერჩის საფლავზე — უკაცრავად, პირამიდაზე — ყვავილებს დავაწყობთ.

ლუისმა ყურმილი თავის ადგილზე დააბრუნა, შემდეგ ნიჟარა ცხელი წყლით აავსო, შიგნით მაისური ჩააგდო და გარეცხა. მიუხედავად სიცივისა, ღორივით გაოფლილიყო და შესაბამისი სუნიც ასდიოდა.

მაცივარში ხორცის რულეტის ნარჩენს მიაგნო, სქელ ნაჭრებად დაჭრა და ნაჭრები „რომან მილის“ ტოსტის პურზე დადო. შემდეგ ხახვის ორი დიდი ნაჭერიც დაამატა, ოდნავ დაფიქრდა, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც დაფარა კეტჩუპით და მეორე ნაჭერი პურიც თავზე დაადო. ახლა რომ რეიჩელსა და ეილის მისთვის ეყურებინათ, უეჭველად ამრეზით იტყოდნენ — ფუუ, საძაგლობა!

მაგრამ, ვერ იტყვით, ქალბატონებო, — გაიფიქრა ლუისმა დაუცხრომელი კმაყოფილებით და სენდვიჩს ხელი დაავლო. დიდებული გემო ჰქონდა. *როგორც კონფუცი ამბობდა, ის, ვინც ყარს ღორივით, ჭამს მგელივით,* — გაიფიქრა ლუისმა და გაიღიმა. სენდვიჩს რძის რამდენიმე დიდი ყლუპი დააყოლა პირდაპირ პაკეტიდან. რეიჩელი ამ ჩვეულების გამოც უბღვერდა. შემდეგ მეორე სართულზე ავიდა, ტანსაცმელი გაიხადა და კბილების გახეხვის გარეშე ლოგინზე დაწ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვა. მთელ სხეულში მოზღვავებული დაღლა სასიამოვნოდ იფანტებოდა და ლუისიც თავს თითქმის კომფორტულად გრძნობდა.

საათი იქვე ედო, გახედა და შეამჩნია, რომ ჯერ მხოლოდ ათის ათი წუთი იყო.

წარმოუდგენელია.

შემდეგ შუქი გამორთო, გვერდზე გადაბრუნდა და დაიძინა.

ღამით, სადღაც ოთხის ნახევრისკენ, გაეღვიძა, სააბაზანოში გაფრატუნდა და სანამ შარდავდა, ფლუორესცენციული თეთრი განათების ქვეშ უეცრად გონებაში დაარტყა იმან, რაც შინ დაბრუნებულს აწუხებდა. თვალები გაუფართოვდა და მიხვდა მიზეზს, თუ რატომ ფიქრობდა, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო.

ამ ღამით ჯადმა უთხრა, ძაღლი მაშინ მომიკვდა, როცა ათი წლისა ვიყავიო. მიზეზად ჟანგიანი მავთულისგან შეყრილი ინფექცია დაასახელა. თუმცა, გვიანი ზაფხულის იმ დღეს, როდესაც ლუისი ოჯახთან და ჯადთან ერთად შინაური ცხოველების სასაფლაოზე იყო, ჯადმა უთხრა, რომ მისი ძაღლი სიბერით მოკვდა და მიანიშნა საფლავზე, რომლის წარწერაც სიძველისგან გაცრეცილიყო.

ლუისმა წყალი ჩარეცხა, შუქი ჩააქრო და ლოგინში დაბრუნდა. რაღაც რიგზე ვერ იყო, რადგან ჯადი მეოცე საუკუნესთან ერთად დაბადებულიყო, იმ დღეს კი, სასაფლაოზე, ლუისს გაანდო, რომ მისი ძაღლი დიდი ომის დაწყების წელს მოკვდა. ანუ, ამ დროისთვის ჯადი თოთხმეტი წლის უნდა ყოფილიყო, თუ ევროპაში აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყებას გულისხმობდა. ხოლო თუ ათვლის წერტილად ამერიკის ომში ჩაბმას მოიაზრებდა, მაშინ — ჩვიდმეტის.

მაგრამ, ამ ღამით თქვა, რომ სპოტის სიკვდილის მომენტში ათი წლისა იყო. შეიძლება ფაქტები უბრალოდ მოხუცებულობის გამო აურია. თავად ლუისსაც ხომ ავიწყდებოდა სახელები და მისამართები. მართალია, ჯადს, თავის ასაკთან შედარებით, პრობლემები ნაკლებად ჰქონდა, მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გულმავიწყობა მაინც ბუნებრივი იყო. შესაბამისად, არც ლუისს უნდა გაჰკვირვებოდა, თუ მოხუც ჯადს სამოცდაათი წლის წინ დაღუპული ძაღლის ამბის ყველა დეტალი ზუსტად არ ახსოვდა. *მორჩა, დაივიწყე, ლუის.*

თუმცა ძილი მაინც გაუტყდა. იწვა მარტო ცარიელ სახლში და გარეთ მქროლავი ქარის ხმას უსმენდა.

რაღაც მომენტში ჩაეძინა და თითქოს ის-ის იყო ზღვრისთვის უნდა გადაებიჯებინა, რომ წამიერად გამოფხიზლდა და კიბეზე ამომავალი ფრთხილი ნაბიჯების ხმა მოესმა. *თავი დამანებე, პასკოუ, დამტოვე მარტო,* — გაიფიქრა ლუისმა, — *რაც მოხდა, მოხდა. მოკვდი, მორჩა. აღარ ხარ.* — და ნაბიჯის ხმაც გაქრა.

მიუხედავად იმისა, რომ იმ წელს კიდევ ბევრი ბნელი და ამოუცნობი რამ მოხდა, ლუისი ვიქტორ პასკოუს სულს აღარასოდეს შეუწუხებია, არც სიზმარში და არც ცხადში.

23

დილის ცხრა საათზე გაეღვიძა. საძინებელში, აღმოსავლეთის ფანჯრებიდან, ნათელი მზის სხივები შემოდიოდა და ტელეფონის ზარის ხმა ისმოდა. ლუისი ყურმილს გადასწვდა და უპასუხა, — ალო?

— ჰეი! — თქვა რეიჩელმა, — გაგაღვიძე? იმედი მაქვს ასეა.

— კი, გამაღვიძე, დამპალო, — თქვა ლუისმა და გაიღიმა.

— ოოოო, როგორ ილანძღები, შე ბებერო დათვო, — უთხრა რეიჩელმა, — წუხელ გირეკავდი. ჯადთან იყავი?

ლუისმა პასუხის გაცემისგან მხოლოდ რამდენიმე წამით შეიკავა თავი. — ჰო, ცოტა ლუდი დავლიეთ. ნორმას შესანიშნავი ვახშამი ჰქონდა მადლიერების დღისთვის. შინ რომ დავბრუნდი, შენთან დარეკვას ვაპირებდი, მაგრამ ხომ ხვდები...

კიდევ ცოტა ხანს ილაპარაკეს. რეიჩელი ოჯახის ამბებს მოუყვა. ამ ყველაფრით ლუისი ნაკლებად იყო დაინტერესებული, თუმცა მცირედი სიამოვნება მაინც იგრძნო იმ ამბის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაგებით, რომ რეიჩელის მამის სიმელოტე სწრაფი ტემპებით მიიწევდა წინ.

— გინდა, გეიჯს ელაპარაკო? — ჰკითხა რეიჩელმა.

ლუისს გაეცინა. — ჰო, მინდა, ოღონდ წინანდელივით არ გაათიშვინო ტელეფონი.

მეორე მხრიდან ფხაკუნი გაისმა და მერე რეიჩელის ხმა, თუ როგორ ცდილობდა ბავშვისთვის „ჰეი, მამიკო“ ეთქმევინებინა.

ბოლოს გეიჯმა თქვა, — ეი, მამიოო.

— ჰეი, გეიჯ! — მხიარულად მიუგო ლუისმა, — როგორ ხარ? რა ხდება შენს ცხოვრებაში? ბაბუას საკოლექციო ჩიბუხები ისევ მიყარ-მოყარე? დიდი იმედი მაქვს, რომ ასეა. იქნებ ამჯერად მისი მარკების კოლექციას მისდგე?

გეიჯი სადღაც ოცდაათი წამის განმავლობაში მხიარულად ხითხითებდა, შიგადაშიგ თავისი ლექსიკონის ნაცნობ სიტყვებსაც წარმოთქვამდა — დედა, ეილი, ბაბუ, ბებო, მანქანა (ტრადიციული იანკური გამოთქმით — მაქაა. ამის შენიშვნამ ლუისს სიამოვნება მოჰგვარა) და კიდევ რაღაცები.

ბოლოს რეიჩელმა გეიჯს ყურმილი გამოართვა და, მართალია, ეს ბავშვმა აშკარად გააპროტესტა, ლუისს მაინც გაუხარდა. გიჟდებოდა თავის პატარაზე, მაგრამ ის ჯერ ორი წლისაც არ იყო და ახლა მასთან ტელეფონზე ლაპარაკს იგივე შედეგი ჰქონდა, რაც ჭკუაზე შეშლილთან კრიბეჯის თამაშს. ყველაფერი აქეთ-იქით კარტების სროლითა და სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვით მთავრდებოდა.

— აბა, მანდ რა ხდება? — ჰკითხა რეიჩელმა.

— ისეთი არაფერი, სიმშვიდეა, — ოდნავი სიფრთხილით უპასუხა ლუისმა, თუმცა იცოდა, რომ წუხელ ჯადთან ერთად ლუდის დალევის ხსენებით ზღვრისთვის უკვე გადაებიჯებინა. შემდეგ ჯად კრენდოლის სიტყვები გაახსენდა — „ის ქვის ზედაპირითაა დაფარული — როგორც იქ, იმ სასაფლაოზე — და არავინ უწყის, რა ხდება მის სილრმეში. კაცი, რაც შეუძლია, იმას ზრდის. მეტი არაფერი“. — ცოტა მოვიწყინე. სიმართლე გითხრა, მომენატრეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გინდა მითხრა, რომ მთელი ამ ცირკისგან რომ ისვენებ, არ გიხარია?

— მიყვარს სიჩუმე, — აღიარა ლუისმა, — რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ეგ სიჩუმეც ოცდაოთხი საათის შემდეგ უკვე მოსაწყენია.

— შეიძლება მამიკოს მეც ველაპარაკო? — ეს უკვე ეილის ხმა იყო.

— ლუის? აქ ეილია.

— რა თქმა უნდა, მიეცი ყურმილი.

ეილი სადღაც ხუთ წუთს ელაპარაკა. ბებოს მიერ ნაჩუქარი თოჯინის შესახებ მოუყვა და ისიც უთხრა, რომ ბაბუსთან ერთად ცხოველების აუქციონზე წასულა (ვაი, იქ ისეთი სიმყრალე იყო, მამიკო — უთხრა ეილიმ, ლუისმა კი გაიფიქრა, — *ახლა, არც ბაბუაშენს ასდის მთლად ვარდის სუნი, საყვარელო)*, პურის გამოცხობაში მიუღია მონაწილეობა, გეიჯი კი, სანამ დედა აცმევდა, რეიჩელს ხელიდან გასხლტომია, გაქცეულა და დერეფანში პირდაპირ ბაბუს კართან ჩაუსვრია (*აი, ყოჩაღ, გეიჯ!* — გაიფიქრა ლუისმა და სახეზე ღიმილმა გადაუარა).

უკვე ფიქრობდა, რომ გამოძვრა — მინიმუმ შემდეგ დილამდე — და აპირებდა ეილისთვის ეთქვა, ყურმილი ისევ დედას გადააწოდეო, რომ უეცრად გოგონამ იკითხა, — ჩერჩი როგორ არის, მამიკო? მოვენატრე?

ლუისს ნაძალადევად გაეცინა, მაგრამ უნაკლო სიმტკიცით და მშვიდი ხმით უპასუხა, — მგონი, არაფერი უჭირს. წუხელ საქონლის რაგუს ნარჩენები ვაჭამე. დღეს კი ჯერ არ მინახავს, ეს-ესაა გავიღვიძე.

ოჰო, შენგან დიდებული მკვლელი დადგებოდა — ცივი და შეურყეველი. დოქტორო კრიდ, როდის იხილეთ ბოლოს დაზარალებული? ის ვახშმად მეწვია და ერთი თეფში საქონლის რაგუ შეჭამა. მას შემდეგ აღარ მინახავს.

— ჩემგან აკოცე.

— ფუფ, ძიდი და შენ თვითონ აკოცე შენს კატას, — უთხრა ლუისმა და ეილიმ ჩაიხითხითა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ისევ გინდა, რომ დედიკოს ელაპარაკო?

— კი, მიეცი ყურმილი.

ამით ყველაფერი დამთავრდა. რეიჩელთან კიდევ რამდენიმე წუთს ილაპარაკა, მაგრამ ჩერჩი აღარც ერთს არ უხსენებია. ბოლოს ცოლ-ქმარმა „მიყვარხარ"-ები გაცვალეს და ლუისმაც ყურმილი დაკიდა.

— ესეც ასე, — ჩაილაპარაკა ცარიელ, მზიან ოთახში და რაც ყველაზე მეტად ეუცნაურა, იყო ის, რომ სრულიად არ გრძნობდა სინდისის ქენჯნას.

24

ათის ნახევრისთვის სტივ მასტერტონმა დაურეკა და ჰკითხა, ხომ არ სურდა უნივერსიტეტის დარბაზში რეკეტბოლის თამაში. მასტერტონმა სიამოვნებით შენიშნა, რომ ახლა სპორტდარბაზი ცარიელი იყო, მაშინ, როცა სწავლის პერიოდში ხანდახან მისი რამდენიმე დღით ადრე დაჯავშნა იყო საჭირო.

ლუისს მისი მხიარულების კარგად ესმოდა, მაგრამ მაინც უარი უთხრა, დღეს უნივერსიტეტის სამედიცინო ჟურნალისთვის სტატიაზე უნდა ვიმუშაოო.

— დარწმუნებული ხარ? — ჰკითხა სტივმა, — ხანდახან ყველას სჭირდება დასვენება.

— მოდი, მოგვიანებით დამირეკე, — უთხრა ლუისმა, — იქნებ გადავიფიქრო.

სტივმა უთხრა, რომ დაურეკავდა. ამჯერად ლუისმა ნახევრად ტყუილი თქვა, რადგან სტატიაზე (საოჯახო პირობებში იმგვარი გადამდები ავადმყოფობების მკურნალობის შესახებ, როგორებიცაა მონონუკლეოზი და ჩუტყვავილა) მუშაობას ნამდვილად აპირებდა, აი, რეკეტბოლს კი, იმდენად სტკიოდა მთელი სხეული, ვერაფრით ითამაშებდა. ეს მაშინვე აღმოაჩინა, როგორც კი რეიჩელთან საუბარს მორჩა და სააბაზანოში კბილების გასახეხად შევიდა. ზურგის კუნთები ტკაცუნობდა, მხრები კი იმ წყეული პაკეტის თრევისგან საშინლად ასტკივებოდა. დაჭიმული ჰქონდა მყესებიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფეხებზე და ეჩვენებოდა, რომ ისინი ბოლომდე დაქაჩულ გიტარის სიმებს დამსგავსებოდა. *ღმერთო,* — გაიფიქრა ლუისმა თავისი მდგომარეობის წარმოდგენისას. ალბათ, ახლა რომ სტივთან ერთად რეკეტბოლის სათამაშოდ დარბაზში შესულიყო, ართრიტიანი მოხუცივით აქეთ-იქით იბანცალებდა.

„მოხუცმა" ლუისს ჯადი და წუხანდელი მოგზაურობა გაახსენა. საინტერესო იყო, როგორ გრძნობდა თავს ამ დილით ოთხმოცდახუთ წელს მიღწეული ეს კაცი.

სტატიაზე ნახევარი საათი იმუშავა, თუმცა აზრებისთვის თავის მოყრა ძალიან უჭირდა. სახლში დამკვიდრებული სიჩუმეც უკვე ნერვებს უშლიდა. ბოლოს ჯონ ჰოპკინსისთვის შეკვეთილი საუნივერსიტეტო ყვითელი სანიშნებლები და ბლოკნოტი უჯრაში ჩააწყო, თბილი ქურთუკი ჩაიცვა, გარეთ გავიდა და გზა გადაკვეთა.

ჯადი და ნორმა შინ არ დახვდნენ, თუმცა დახვდა ეზოს კარში დატოვებული კონვერტი, რომელსაც ლუისის სახელი ეწერა. ლუისმა კონვერტი აიღო და ცერის დახმარებით გახსნა.

ლუის,

მე და ჩემი ქალბატონი ბაკსპორტში წავედით საყიდლებზე და „იმპორიუმ გალორიუმში" სამზარეულოს ერთი კომოდის სანახავად, რომელზეც ნორმას, მგონი ასი წელია, თვალი აქვს დადგმული. ალბათ, „მაკლეოდთან" ვისადილებთ და შინ საღამოსკენ დავბრუნდებით. თუ გინდა, ღამით ერთორ ქილა ლუდზე გადმოდი.

შენი ოჯახი შენი ოჯახია და, რა თქმა უნდა, მეტიჩრობას არ დავიწყებ, მაგრამ ეილი რომ ჩემი შვილი ყოფილიყო, საყვარელი კატის შუა გზაზე მოკვლის ამბავს ჯერ არ გავუმხელდი. მოდი, პატარას დღესასწაულს ნუ ჩაუშხამებ, კარგი?

სხვათა შორის, ლუის, გუშინდლის შესახებ არსად არაფერი თქვა. განსაკუთრებით ჩრდილოეთ ლადლოუში. აქ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხოვრობენ ადამიანები, რომლებმაც მიკმაკების ძველი სასაფლაოს შესახებ იციან და ზოგ მათგანს იქ თავისი ცხოველიც დაუკრძალავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს შინაური ცხოველების სასაფლაოს კიდევ ერთი ნაწილია. გინდ დაიჯერე, გინდ არა, მაგრამ ერთხელ მანდ ხარიც კი დამარხეს! ბებერმა ზაკ მაკგოვერნმა, რომელიც სტეკ პოულ როუდზე ცხოვრობდა, თავისი მედალოსანი ხარი ჰენრეტი მიკმაკების სასაფლაოზე დამარხა 1967 თუ 68 წელს. ჰა, ჰა, ჰა! მითხრა, რომ თურმე ბიჭები ძლივს მიათრევდნენ ხარს და ამ ამბავზე იმდენი ვიცინე, კინაღამ ცუდად გავხდი! ასეა, მაგრამ აქაურები ამის შესახებ არავის უყვებიან. განსაკუთრებით „უცხოებს", რომლებიც, მათი აზრით, მათ რწმენებს ვერ გაიგებენ და დასცინებენ. ზოგიერთ ამ რწმენას კარგა სამასწლოვანი ისტორიაც აქვს და ამიტომ საიდუმლოებებს კიდევ უფრო უფრთხილდებიან. გესმის მათი, არა? მოკლედ, რაც უნდა მოხდეს, მოდი, მოხუცს პატივი დასდე და ამის შესახებ ნურავის მოუყვები, კარგი? ალბათ, როცა ჩვენთან გადმოხვალ და ვილაპარაკებთ, ყველაფერს უკეთ მიხვდები. მანამდე კი მინდა გითხრა, რომ შენით ძალიან ვამაყობ. ვიცოდი შეძლებდი.

ჯადი

P.S. ამის შესახებ არც ნორმამ იცის. რაღაც მოვიგონე და ის ვუთხარი. იცი, ამ ორმოცდათვრამეტწლიანი თანაცხოვრების განმავლობაში მისთვის არაერთი ტყუილი მითქვამს და ალბათ კაცების უმეტესობა ასეც იქცევა, მაგრამ ამ ტყუილებზე ღვთის წინაშე ვარ პასუხისმგებელი და არ ვნანობ.

მოკლედ, საღამოს გელოდები. ცოტა ჩავისხათ.

ჯ.

ლუისი ჯადის და ნორმას გაზონის წინ, პატარა კიბის ბოლო საფეხურზე იდგა. აქაურობა, სრულიად შიშველი, მორიგ გაზაფხულს ელოდა. ლუისი კი წერილს დაჰყურებდა. არ ეთქვა ეილისთვის კატის სიკვდილის ამბავი? — არც უთქვამს. იქ სხვა ცხოველებიც მარხია? სამასწლოვანი რწმენა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა ჩვენთან გადმოხვალ და ვილაპარაკებთ, ყველაფერს უკეთ მიხვდები.

ამ წინადადებას ლუისი ფრთხილად შეეხო თითით და პირველად დართო საკუთარ გონებას ნება, რომ წუხანდელი ღამე გაეხსენებინა. ყველაფერი მის მოგონებებში დამარხულიყო. სიზმრისეული, ბამბის ნაყინის მსგავსი ფენით შეფუთულიყო და მსუბუქი ნარკოტიკის მოქმედების ეფექტით შეზავებულიყო. ახსენდებოდა წაქცეული ხეების გორაზე ასვლა, შემდეგ უცნაურად ნათელი ტბა, სითბო, რომელიც იმ ადგილზე უფრო შესამჩნევი იყო, ვიდრე სხვაგან და, საერთოდ, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა ანესთეზიოლოგთან გამართულ საუბარს მანამ, სანამ წამალი მოქმედებას დაიწყებს და გონებას დაკარგავ.

მისთვის არაერთი ტყუილი მითქვამს და ალბათ, კაცების უმეტესობა ასეც იქცევა...

ჰო, ატყუებენ ცოლებს... და შვილებს, — გაიფიქრა ლუისმა, მაგრამ ჯადის წერილი ისეთი უცნაური იყო... თითქოს მოხუცმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ყველაფერი ამდილანდელი სატელეფონო საუბრების და ლუისის ფიქრების შესახებ.

ძალიან ფრთხილად დაკეცა წერილი, რომელიც საბავშვო ჩანაწერების წიგნაკის — „ბლუ ჰორსის“ ფურცელზე იყო ნაწერი და კონვერტში ჩააბრუნა, კონვერტი კი ფრთხილად მოათავსა თავის ჯიბეში და ისევ გადაკვეთა გზა.

25

იმავე დღეს, სადღაც შუადღის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჩერჩი უკან დაბრუნდა ზუსტად ისე, როგორც ერთ საბავშვო ლექსშია. ამ დროს ლუისი ავტოფარეხში იყო და იმავე თაროებს უკირკიტებდა, რომლებზეც ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში მუშაობდა. უნდოდა თაროები კედელზე დაეკიდა და მათზე მოეთავსებინა ისეთი ნივთები, როგორებიცაა საქარე მინის საწმენდი ხსნარისა და ანტიფრიზის ბოთლები, ბასრი იარაღები და ბევრი სხვა რამ, რომელსაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გეიჯი ვერ მისწვდებოდა. როცა ჩერჩიმ ავტოფარეხში შემოაბიჯა, ლუისი ლურსმანს აჭედებდა. კატის დანახვაზე მას ჩაქუჩი ცერში არ ჩაურტყამს, არც გული ამოვარდნია — არა, ოდნავ კი შეუტოკდა, მაგრამ არ ამოვარდნია. მუცელშიც რაღაც ნაპერწკალი გაღვივდა, თუმცა მაშინვე ჩაქრა და არ აალდა. თითქოს მთელი ის მზიანი დილა, მადლიერების დღის მეორე დღეს, ჩერჩის ლოდინში გაეტარებინოს. თითქოს, სადღაც სილრმეში დარწმუნებით იცოდა, რომ მიკმაკების სასაფლაოზე ჩერჩის დამარხვა სწორედ ამას გამოიწვევდა. ჩაქუჩი ფრთხილად დასწია, პირიდან ლურსმნები გამოიღო და სამუშაო წინსაფრის ჯიბეებში გადაინაწილა, შემდეგ ჩერჩის მიუახლოვდა და ხელში აიყვანა.

ცოცხალი წონა ჰქონდა. ძველებურად მძიმე იყო, მაგრამ იმაზე აშკარად მსუბუქი, ვიდრე მწვანე პაკეტში. დიახ, მკვდარი ჩერჩი უფრო მეტს იწონიდა. ამჯერად ლუისს გული ნამდვილად აუჩქარდა. ნელი ნაბიჯით გავიდა ავტოფარეხიდან და კიბეზე ჩამოჯდა. ჩერჩიმ გათავისუფლება სცადა, მაგრამ ლუისმა მუხლებთან მიიხუტა და კატას მზის შუქზე დააკვირდა. ლუისის გული კი, როგორც ჩანს, ჩვეულ რიტმს უბრუნდებოდა.

ფრთხილად მოჰკიდა ხელი ჩერჩის კისერს და წინა ღამის იგივე მოძრაობა გაახსენდა. კუნთის მსგავსს ვერაფერს გრძნობდა, მაგრამ ჩერჩი თავს აშკარად თავისუფლად ამოძრავებდა. შემდეგ მის სახეს შეხედა და ლუისმა იგრძნო, როგორ დატრიალდა მის ირგვლივ მთელი სამყარო, როგორ დაეხვა თავბრუ და შინაგანად ისეთი მძაღე შეგრძნება დაეუფლა, რომ კინაღამ გული აერია.

ჩერჩის ცხვირზე შემხმარი სისხლი შერჩენოდა, ულვაშებზე კი ნაგვის მწვანე პაკეტის ნაგლეჯები ეტყობოდა.

როცა ჩვენთან გადმოხვალ და ვილაპარაკებთ, ყველაფერს უკეთ მიხვდები.

ო, ღმერთო, ლუისი ნამდვილად ხვდებოდა რაღაცებს თავისით. *ცოტა დრო მომეცი,* — გაიფიქრა ლუისმა, — *და უახლოეს საგიჟეთში ყველაფერს ჩემით მივხვდები.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ ჩერჩი შინ შეუშვა, მისი ლურჯი ჯამი გამოიღო და კატისთვის განკუთვნილი ტუნას და ღვიძლის საჭმელი გახსნა. ნაცრისფერ-ყავისფერი მასა ქილიდან გადმოიღო და ჯამში ჩააგდო. ამასობაში კი ჩერჩი ლუისის კოჭებთან წინ და უკან მიმოდიოდა. ამ შეხებაზე ლუისს მთელ სხეულში ჟრუანტელი უვლიდა და იძულებული იყო კბილები ერთმანეთზე მაგრად დაეჭირა, კატა რომ აქედან არ გაეგდო. კატის ბეწვით დაფარული თეძოები რაღაც ძალიან მოშვებული, ძალიან დონდლო — ერთი სიტყვით, ძალიან ამაზრზენი იყო. ლუისი მიხვდა, რომ, სავარაუდოდ, აღარასოდეს მოუნდებოდა ამ კატას შეხებოდა.

როცა დაიხარა და საჭმელი იატაკზე დადო, ჩერჩი მისკენ გაიწია და ამ მომენტში ლუისს შეეძლო დაეფიცა, რომ ჩერჩის მიწის სუნი ასდიოდა. თითქოს მისი ბეწვის სილრმეებში ჯერაც მიწა იყო ჩარჩენილი.

უკან დაიხია და დააკვირდა, როგორ ჭამდა კატა. ესმოდა, რომ შიგადაშიგ ჩერჩი ჭამის დროს წკლაპუნის ხმებს გამოსცემდა. ასეთი რამ მანამდე არ უქნია. ასე იყო თუ ისე, ეს საოცრად საზიზღარი ხმა იყო. *ფუფ!* — ასე იტყოდა ეილი.

ლუისი დაუფიქრებლად ავიდა მეორე სართულზე, გამოიცვალა და, მიუხედავად იმისა, რომ დილით უკვე ებანავა, აბაზანა წარმოუდგენლად ცხელი წყლით აავსო, ისედაც სუფთა ტანსაცმელი სარეცხების ყუთში მოისროლა და ცხელ წყალში ჩაწვა.

მის ირგვლივ ყველაფერი ორთქლით დაიფარა და ლუისმა იგრძნო, როგორ მოადუნა წყალმა მისი კუნთები. აბაზანა გონებასაც აშკარად უხსნიდა და იმ დროისთვის, როცა წყალი უკვე გაგრილდა, ლუისი თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა.

კატა დაბრუნდა. ზუსტად ისე, როგორც იმ საბავშვო ლექსში. მერე რა მოხდა? *როგორც ჩანს, შემეშალა. გუშინ საღამოს კარგად ვერ შევამოწმე. როგორც ჩანს, მანქანის დარტყმის შემდეგ კატა არ მომკვდარა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავად დაფიქრდი რამდენი ცხოველი გინახავს ქუჩაზე გაჭყლეტილი და როგორი სანახავია თითოეული მათგანი. „ფერთა ნაზავი“ — როგორც ლაუდონ უეინრაიტი ამბობს თავის სიმღერაში მკვდარი სკუნსის შესახებ.

ახლა ყველაფერი აშკარა იყო. ჩერჩის მანქანამ დაარტყა და გათიშა. ლუისმა და ჯადმა კი მიკმაკების სასაფლაოზე დამარხეს კატა, რომელიც ჯერ მკვდარი არ იყო. თანაც, ხომ ამბობენ, კატებს ცხრა სიცოცხლე აქვთო? მადლობა ღმერთს, ეილისთვის არაფერი უთქვამს. ამ ამბავს ბავშვი ნამდვილად ვერ გაიგებდა.

სისხლი მის ცხვირზე და... როგორ მოძრაობდა მისი კისერი.

ის ექიმი იყო და არა ვეტერინარი. მცდარი დიაგნოზიც გასაგები იყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ სიბნელეს, ოცგრადუსიან სიცივესა და ლუისის თათმანიან ხელებს. ეს ყველაფერი... — უეცრად აბაზანის კედელზე წამოზრდილი ჩრდილი გამოჩნდა, რომელიც ძალიან ჰგავდა პატარა დრაკონის თავს, ან რაღაც მონსტრისებრ გველს. შემდეგ ლუისის შიშველ მხარს რაღაც შეეხო. ლუისი შეკრთა, წყალი ააშხეფა და უკან დაიწია. შემდეგ შემობრუნდა და შეეფეთა კატის მოყვითალო-მომწვანო თვალებს. ჩერჩი უნიტაზზე ჩამომჯდარიყო.

კატა მთვრალივით წინ და უკან ირხეოდა. ლუისი მისი სხეულის მოძრაობას აკვირდებოდა და მაგრად დაჭდობილი კბილებით კივილს ძლივს იკავებდა. ჩერჩი არასოდეს ყოფილა ასეთი. ის არასოდეს ირხეოდა, არ ჰგვანებია ნადავლის დაჰიპნოზების სურვილით შეპყრობილ გველს. არც კასტრაციამდე და არც მის შემდეგ. ამ მომენტში ლუისმა პირველად და უკანასკნელად გაიფიქრა, რომ ეს სხვა კატა იყო, რომელიც, უბრალოდ, ძალიან ჰგავდა ჩერჩის და რომელიც ავტოფარეხში შემთხვევით შემობორიალდა.

ნამდვილი ჩერჩი კი ისევ იქ, ტყეში, პირამიდის ქვეშ ესვენა. მაგრამ, ამ კატასაც რომ იგივე ნიშნები ჰქონდა? არათანაბარი ყურები... და ერთი სასაცილო, თითქოს დაღეჭილი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კლანჭი? ჯერ კიდევ კნუტობის პერიოდში ეილიმ ეს ბრჭყალი ჩერჩის მათი პატარა გარეუბნის სახლის უკანა კარში მოაყოლა.

კარგი, ეს ნამდვილად ჩერჩი იყო.

— წადი აქედან, — ჩურჩულით, მაგრამ მკაცრად უთხრა ლუისმა.

ჩერჩი ცოტა ხანს უყურებდა. ღმერთო, როგორ შესცვლოდა თვალები. სრულიად გადასხვაფერებოდა. კატამ უნიტაზიდან ისკუპა და იატაკზე დახტა, თუმცა არა კატური მოხერხებით, არამედ უხეშად, ტლანქად. შემდეგ ნელი მოძრაობით შებრუნდა და სააბაზანოდან გაბანცალდა.

ის — გაიფიქრა ლუისმა, — *ის არ არის. ასეთი ტლანქი არასოდეს ყოფილა.*

ლუისი სასწრაფოდ გადმოვიდა აბაზანიდან, სხეული გაიმშრალა, წვერი გაიპარსა და ის-ის იყო ტანსაცმელიც უნდა ჩაეცვა, რომ ცარიელი სახლი კვლავ ტელეფონის ზარმა აახმაურა. ამ ხმაზე ლუისს უეცრად თვალები გაუფართოვდა და ხელები მაღლა ასწია. შემდეგ ნელა ჩამოუშვა. მიხვდა, რომ გული ასჩქარებოდა, კუნთები კი ადრენალინით ჰქონდა სავსე.

ამჯერად სტივ მასტერტონი რეკავდა და ისევ რეკეტბოლის თაობაზე კითხულობდა. ლუისმა უთხრა, ერთ საათში სპორტდარბაზში ვიქნებიო. ახლა არაფრის თამაშის თავი არ ჰქონდა, მაგრამ ყველაზე მეტად სახლიდან გასვლა და გულის გადაყოლება სჭირდებოდა. ოღონდ ამ უცნაური კატისთვის არ ეყურებინა. ამიტომ, დაუყოვნებლივ ჩაიცვა პერანგი და შარვალი, ელვაშესაკრავიან ჩანთაში შორტი, მაისური და პირსახოცი ჩააგდო და კიბეზე დაეშვა.

ჩერჩი ქვემოდან მეოთხე საფეხურზე იჯდა. ლუისმა უეცრად ფეხი წამოსდო და კინაღამ დაეცა, მაგრამ მოაჯირს დროულად ჩასჭიდა ხელი და გადარჩა.

კიბის ძირას იდგა და მძიმედ სუნთქავდა. გული გიჟურად უცემდა, მთელ სხეულში ადრენალინის მოზღვავებას გრძნობდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩერჩი ადგა, გაიზმორა... და თითქოს გაუცინა.

ლუისი სახლიდან გავიდა. იცოდა, რომ კატა გარეთ უნდა გაეყვანა, მაგრამ ახლა ამას ვერავითარი ძალა ვეღარ აიძულებდა.

26

ჯადმა ძველებურ, ხის ასანთის ღერს მოუკიდა, სიგარეტი აანთო და ღერი თუნუქის პატარა საფერფლეში მოისროლა, რომელსაც ძირში ოდნავ გასარჩევად შერჩენოდა წარწერა „ჯიმ ბიმი“.

— აიუჰ, მაგ ადგილის შესახებ სტენლი ბუშარმა მიამბო. — პაუზა აიღო და ჩაფიქრდა.

მაგიდის კუბოკრულ გადასაფარებელზე თითქმის ხელუხლებელი ლუდის ჭიქები იდგა. მათ უკან კედელზე დაკიდებულმა ნავთქურამ სამჯერ დაიფრუტუნა და გაჩუმდა. ლუისმა სტივთან ერთად იმ საღამოს თითქმის დაცარიელებულ „ბიერზ დენში“ სენდვიჩებით ივახშმა. იქ მიხვდა, რომ თუ მენში „ჰოუგის“ ან „გრინდერს“ მოითხოვდი, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. აი, გეხსენებინა „უოპ-ბურგერი“ და უკვე თემაში იყავი. დანაყრებასთან ერთად ლუისმა ჩერჩის დაბრუნების ფაქტის შედარებით მსუბუქად აღქმა დაიწყო. მართალია, თავს უკეთ გრძნობდა, მაგრამ იმ ცარიელ სახლში დაბრუნების სურვილი მაინც არ ჰქონდა. სახლში, სადაც ის კატა — მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ძმებო — ნებისმიერ დროს შეიძლებოდა საიდანღაც გამომხტარიყო.

ნორმა მათთან ერთად ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, ტელევიზორს უყურებდა და თან ქარგავდა სურათს, რომელზეც რომელიღაც სოფლური სახლის ფონზე ჩამავალი მზე იყო გამოსახული. სახლის სახურავი ჩამავალი მზის სხივებქვეშ შავ სილუეტად მოჩანდა. ნორმას თქმით, ეს ნამუშევარი შობამდე ერთი კვირით ადრე საქველმოქმედო საეკლესიო ბაზრობისთვის იყო განკუთვნილი. ეს კი ყოველთვის დიდ მოვლენად მიიჩნეოდა. ლუისი აკვირდებოდა, რომ იმ საღამოს ნორმას თითები საკმაოდ მოხერხებულად იყენებდნენ ნემსს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხის წრეზე გადაჭიმულ ნაჭერზე. ართრიტი თითქმის არ შეიმჩნეოდა. ამის მიზეზად ლუისს ამინდი მიაჩნდა — ცივი, მაგრამ მაინც ძალიან მშრალი. გულის შეტევის შემდეგ თავს აშკარად უკეთ გრძნობდა. იმ ღამით კი, სასიკვდილო გულის შეტევამდე ათი კვირით ადრე, ლუისი ნორმაში ხედავდა იმ ახალგაზრდა გოგოს, როგორიც ის ერთ დროს იყო. ათს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ნორმა დასაწოლად წავიდა და ჯადი და ლუისი მარტო დატოვა. ჯადი ჩუმად იჯდა და ისე გაოცებით აკვირდებოდა სიგარეტის კვამლს, როგორც პატარა ბავშვი სადალაქოს ჭრელ ძელს, როცა ვერ ხვდება, სად ქრება ზემოთ ასული ზოლები.

— სტენი ბი, — თავაზიანად შეახსენა ლუისმა.

ჯადმა თვალები დაახამხამა და გამოფხიზლდა. — ოჰ, აიუჰ, — თქვა მან, — ყველანი ლადლოუში, ბაკსპორტში, პროსპექტსა და ორინგტონშიც, უბრალოდ, სტენი ბის ეძახდნენ. ჩემი ძაღლი 1910 წელს მოკვდა. ანუ, მაშინ მოკვდა პირველად. სტენი მაგ დროისთვის უკვე მოხუცი და ცოტა ჭკუაზე შერყეულიც იყო. სხვებმაც იცოდნენ მიკმაკების სასაფლაოს შესახებ, მაგრამ მე სტენი ბისგან გავიგე. მას ეს ამბავი მამამისმა უთხრა, მამამისს მამამისმა და ასე... კანუკების[1] ოჯახი იყო.

ჯადს გაეცინა და ლუდი მოსვა. — ახლაც კი ყურში ჩამესმის მისი გატეხილი ინგლისური. ცხენების სადგომთან მნახა. ეს სადგომი მაშინ მე-15 გზაზე მდებარეობდა, თუმცა, მას უბრალოდ, ბანგორ-ბაკსპორტის გზას ვეძახდით. აი, „ორინკოს“ ქარხანა რომ არის, ზუსტად იმ ადგილზე ვიდექი. სპოტი ჯერ კიდევ ცოცხლებში ეწერა, მაგრამ ძალიან მძიმედ იყო. მამაჩემმა იმ დღეს ბებერ იორკისთან წიწილების საკვების საყიდლად გამიშვა. მაშინ ამ საკვების ყიდვის არანაირი საჭიროება არ გვქონდა, თუმცა კარგად ვხვდებოდი მამაჩემის საქციელის მიზანს.

— ძაღლის მოკვლას აპირებდა?

---

[1] *ტერმინი, რომლითაც ამერიკელები კანადელებს მოიხსენიებენ.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— იცოდა, რა ძლიერ მიყვარდა სპოტი. არ სურდა, ამ სცენას შევსწრებოდი. ჰოდა, როცა ბებერ იორკისთან მივედი, უკანა ეზოში გავედი და გულამოსკვნილი ავტირდი.

ჯადმა ფრთხილად გააქნია თავი და ოდნავ გაიღიმა.

— ჰოდა, ამ დროს მოდის ბებერი სტენი ბი, — თქვა ჯადმა, — ქალაქის ნახევარი მას უდრტვინველ შეშლილად თვლიდა, ნახევარი კი როგორც ხიფათს, ისე უყურებდა. ბაბუამისი დიდი ბეწვეულით მოვაჭრე იყო 1800-იანებში და ზღვისპირეთიდან ბანგორამდე და დერიმდე დადიოდა. ხანდახან ტყავის საყიდლად შორეული სამხრეთით სკაუ-ჰიგენამდეც ჩასულა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცოდი. დადიოდა დიდი ეტლით, რომელზეც ჯვრები იყო გამოსახული. მეთოდისტი ქრისტიანი გახლდათ და როცა თვრებოდა, ქრისტეს აღდგომის შესახებ ქადაგებების კითხვას იწყებდა. ეს ყველაფერი სტენი ბისგან ვიცი. უყვარდა ბაბუის ამბების მოყოლა. თუმცა, იმ ეტლზე ჯვრებთან ერთად წარმართული, ინდიელების სიმბოლოებიც იყო გამოსახული, რადგან მას სჯეროდა, რომ ინდიელები, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ტომს მიეკუთვნებოდნენ, საბოლოო ჯამში, ერთი წინაპრის შვილები იყვნენ და ბიბლიურ დაკარგულ ისრაელიტებს წარმოადგენდნენ. ამბობდა, რომ ყველა ინდიელი ჯოჯოხეთისთვის იყო განწირული, მაგრამ მათი მაგია კვლავ მოქმედებდა, რადგან ისინი მაინც ქრისტიანები იყვნენ.

— სტენის ბაბუა მიკმაკებთანაც ვაჭრობდა და საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაშინ, როცა სხვა ვაჭრები დასავლეთით სიარულს საერთოდ შეეშვნენ, რადგან სტენის ბაბუა სამართლიან ფასში ვაჭრობდა, თან ბიბლია სულ ზეპირად იცოდა და მიკმაკებსაც სიამოვნებდათ მისიონერების მიერ მონათხრობი ძველი ამბები მანამ, სანამ ამ ადგილებში ვაჭრები და ტყის მჭრელები მოვიდოდნენ.

ჯადი გაჩუმდა. ლუისი უცდიდა.

— მიკმაკებმა სტენი ბის ბაბუას უთხრეს, რომ სასაფლაოს აღარ იყენებდნენ, რადგან იქაური მიწა ვენდიგოს წაებილწა. უამბეს იმ ჭაობიანი ადგილის, ყინულით და-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფარული მიწისა და ქვის საფეხურების შესახებაც. ახლა ვენდიგოს შესახებ ამბები ჩრდილოეთის ქალაქებისთვის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს ისეთივე ჩვეულებრივ ამბებად აღიქმებოდა, როგორც ჩვენი ქრისტიანული მონათხრობები. ამ სიტყვებისთვის ნორმა, ალბათ დამწყევლიდა, მაგრამ ეგრე იყო და რა ვქნა. იცი, ხანდახან, როცა ზამთარი ძალიან გაჭიანურდებოდა, ყინავდა და საჭმელი აღარ იშოვებოდა, ჩრდილოელი ინდიელები ხელსაყრელი ადგილის ძიებას იწყებდნენ და იქამდე დადიოდნენ, სანამ შიმშილით სიკვდილის საფრთხე არ შეექმნებოდათ. შემდეგ კი იძულებული ხდებოდნენ რადიკალური ზომებისთვის მიემართათ.

— კანიბალიზმი?

ჯადმა მხრები აიჩეჩა. — შესაძლოა. ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე მოხუცს აარჩევდნენ და მერე ცოტა ხანს კიდევ გაძლებდნენ. ამის შემდეგ კი იგონებდნენ ისტორიებს ვენდიგოს შესახებ, რომელმაც მოხეტიალე ინდიელებს მიაგნო და მძინარეებს შეეხო. ვენდიგოს შეხება კი, როგორც ცნობილია, მსხვერპლს თავისნაირის ხორცის ჭამის სურვილს აღუძრავს.

ლუისმა თავი დაუქნია. — და ამბობდნენ, ეს ბოროტმა ძალამ გააკეთებინათო.

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, მიკმაკების ნაწილი სწორედ ასე იქცეოდა. შემდეგ კი მორჩენილ ძვლებს და სხვა ნაწილებს მიწაში მარხავდნენ.

— და მერე გადაწყვიტეს, რომ ეს მიწა წაიბილწა. — ჩაილაპარაკა ლუისმა.

— ჰოდა, მოდის ჩემთან სტენი ბი, რომელიც იქ ალბათ ჩუმად გასაყიდი სასმლისთვის იყო მოსული, — თქვა ჯადმა ოდნავ ჩაფიქრებით, — როგორც ამბობდნენ, ბაბუამისმა სიკვდილის შემდეგ მილიონობით დოლარი დატოვა, მაგრამ სტენი ბი ერთი ჩვეულებრივი ადგილობრივი მაწანწალა იყო. როცა მკითხა, რა მაწუხებდა, ყველაფერს მოვუყევი. ხედავდა, რომ გული მისკდებოდა და მითხრა, ამის გამოსწორება

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემიძლიაო. თუ საკმარისად მამაცი ვიქნებოდი და ძალიან მოვინდომებდი, ამას შევძლებდი.

— მე ვუპასუხე, რომ ყველაფერზე ვიყავი წამსვლელი, ოღონდ სპოტი ისევ ცოცხალი ყოფილიყო და ვკითხე, კარგი ვეტერინარი ხომ არ იცი-მეთქი. — ვეტერინარის არაფერი ვიცი, — მითხრა სტენიმ, — მაგრამ ვიცი, შენს ძაღლს როგორ ვუშველო, ბიჭიკო. ახლა სახლში წადი და მამაშენს უთხარი, რომ ძაღლი მარცვლეულის ტომარაში ჩასვას, შემდეგ კი წაიყვან და დამარხავ. წახვალ შინაური ცხოველების სასაფლაოზე და ტომარას გამხმარი ხეების გროვის გადაღმა გადადებ. მერე შინ დაბრუნდები და იტყვი, რაც საჭირო იყო, ყველაფერი გავაკეთეო.

— ვკითხე, ეს რას მიშველის-მეთქი, მაგრამ სტენიმ მითხრა, იმ ღამით არ დამეძინა, რადგან ის შუაღამისას მოვიდოდა და ფანჯარაზე კენჭების სროლით გამაღვიძებდა. — ასე რომ, იცოდე, თუ დაიძინებ და სტენი ბის დაივიწყებ, შენი საყვარელი ძაღლი პირდაპირ ჯოჯოხეთში ჩაეშვებაო!

ჯადმა ლუისს შეხედა და მორიგ ღერს მოუკიდა.

— ყველაფერი ისე წავიდა, როგორც სტენიმ დაგეგმა. შინ რომ დავბრუნდი, მამამ მითხრა, ძაღლი რევოლვერით უნდა მოვკლა, რადგან მისი ტანჯვის ყურება არ შემიძლიაო. შემდეგ, ისე, რომ არაფრის თქმა არ დამჭირვებია, თავად მირჩია გვამი შინაური ცხოველების სასაფლაოზე წამეღო. მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ძაღლი მწვანე ტომრით სასაფლაოზე წავიყვანე. მანამდე მამამ მკითხა, დახმარება ხომ არ გჭირდებაო, მაგრამ ვიუარე. სტენი ბის სიტყვები კარგად მახსოვდა.

— მთელი ღამე ფხიზლად გავატარე და მეჩვენებოდა, რომ შუაღამემდე საუკუნე გავიდა. განა სულ ასე არ ხდება, როცა ბავშვობაში რაღაცას ძალიან მოელი. ლოდინით დაღლილს მეგონა, დილის ათამდე ან თერთმეტამდე ფხიზლად ვიქნებოდი. რამდენჯერმე წამით ჩამთვლიმა კიდეც, მაგრამ ყოველ ჯერზე დაუყოვნებლივ ვიღვიძებდი ისე, თითქოს ვიღაც მაგრად მანჯღრევდა. — გაიღვიძე, ჯად! გაიღვიძე! — მესმოდა შინაგანი ხმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ სიტყვებზე ლუისმა წარბები მაღლა ასწია, ჯადმა კი მხრები აიჩეჩა.

როცა ქვედა სართულზე საათმა თორმეტჯერ დარეკა, ფანჯრიდან შემოსულ მთვარის შუქზე წამოვდექი, ლოგინი გავასწორე და მერე, მახსოვს, კიდევ ნახევარ საათს ვიცადე, ბოლის პირველიც გახდა, სტენი ბი კი არ ჩანდა. ვიფიქრე, სულელ ფრანგს დავავიწყდი-მეთქი და ის-ის იყო, უკვე ტანსაცმლის გახდას ვაპირებდი, რომ უეცრად ფანჯრის მინას რამდენიმე კენჭი მოხვდა. საკმაოდ ძლიერად ისროდა, ერთმა კენჭმა მინაც კი გაბზარა, თუმცა ეს შემდეგ დილამდე არ შემიმჩნევია. დედამ კი კარგა ხნის შემდეგ, ზამთარში შეამჩნია და ყველაფერი ყინვას დააბრალა.

ფანჯარა ავწიე. მეგონა, ეს ხმა მთელ ქალაქში გაისმა, თუმცა, ალბათ ყოველთვის ასე ხდება, როცა ათი წლის ხარ და შუაღამით ჩუმად სახლიდან გაქცევას ცდილობ. — ლუისს გაეცინა, ვერ გაიხსენა, ათი წლისას სიბნელეში სახლიდან გაქცევის სურვილი გასჩენია თუ არა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ნებისმიერი ფანჯარა, რომელიც დღის განმავლობაში არანაირ ხმას არ გამოსცემდა, ღამით ასეთ მომენტში აუცილებლად იჭრიალებდა.

— ვიფიქრე, ჩემს მშობლებს ეგონებოდათ, რომ სახლში მძარცველები შემოიჭრნენ, მაგრამ ჯერ ისევ მესმოდა პირველ სართულზე მამაჩემის ხვრინვა. გავიხედე და სახლის წინ მდგომი სტენი ბი დავინახე, რომელიც ისე ირხეოდა, გეგონებოდა, გრიგალს ებრძვისო, არადა, იმ ღამით ოდნავი სიოც კი არ იძვროდა. ნამდვილად არ მეგონა, თუ მოვიდოდა, ლუის. რომ შევხედე, მაშინვე მივხვდი, თრობის იმ სტადიისთვის მიეღწია, როცა თვალებგაფართოებული დააბოტებ, შინაგანად დიარეას ებრძვი და დედამიწის ზურგზე არაფერი გაინტერესებს. ის კი იდგა და მიყვიროდა, — ე, ჩამო, ბიჭო! თუ გინდა, რომ მოვიდე და ჩამოგიყვანო?

— ჩშშ! — ვთხოვე, გაჩუმებულიყო, რადგან ჩემების გაღვიძების სიკვდილივით მეშინოდა. ეს ავტომატურად ჩემი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახალგაზრდა სიცოცხლის დასასრულის მომასწავებელი იქნებოდა.

— რა თქვი? — მიყვირის სტენი კიდევ უფრო ხმამაღლა და, კიდევ კარგი, მაშინ ჩემი მშობლები, ახლა რომ მე და ნორმას გვძინავს, იმ საძინებელში იწვნენ, მდინარის მხარეს, თორემ აუცილებლად გაელვიძებოდათ.

— კიბეზე ალბათ თავქუდმოგლეჯილი დაეშვი, არა?! — უთხრა ლუისმა, — კიდევ ერთი ლუდი გექნება, ჯად. — უკვე ორი ქილით გადაეჭარბებინა ჩვეული ლიმიტისათვის, მაგრამ ამაღამ არა უშავდა. ამაღამ დალევა აუცილებელიც კი იყო.

— მაქვს და იცი, სადაც დევს. — უპასუხა ჯადმა და მორიგ ღერს მოუკიდა. ლუისის მოსვლას დაელოდა და შემდეგ განაგრძო, — არა, კიბით ჩასვლას ვერ გავბედავდი. ამ შემთხვევაში ჩემების საძინებლის წინ უნდა გამევლო. ფანჯრიდან სუროს ჩავყევი. რაც შემეძლო, სწრაფად ჩავდიოდი, მაგრამ გული საგულეს აღარ მქონდა, რაღა დასამალია, მგონი, მამაჩემის უფრო მეშინოდა, ვიდრე სტენი ბისთან ერთად შინაური ცხოველების სასაფლაოზე წასვლისა.

ჯადმა სიგარეტი ჩააქრო.

— მოკლედ, წავედით ჩვენ ორნი. გზაში სტენი ბი ოთხ-ხუთჯერ კინაღამ წაიქცა. ერთხელ ისე ცუდად წაიფორხილა, კინაღამ გადატეხილ ტოტზე წამოეგო. გაბრუჟებულს ისეთი ოხშივარი ასდიოდა, გეგონება, სიმინდის ნახარშში ჩავარდნილაო. თუმცა, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, წერაქვი და ნიჩაბი არ დავიწყებოდა. როცა შინაური ცხოველების სასაფლაოზე მივედით, მე, ასე ვთქვათ, მოველოდი, რომ ამ ინსტრუმენტებით სტენი საფლავის გათხრას დაიწყებდა, თუმცა შევცდი. ახლა ის თითქოს უფრო ფხიზელიც ჩანდა. გამხმარი ხეების გროვას მიუახლოვდა და მითხრა, ახლა ამას გადავაბიჯებთ და ტყეში კიდევ რამდენიმე მილს გავივლითო. შეშფოთებულმა ვუთხარი, მანდ ნუ ასვალ, სტენი ბი, კისერი არ მოიტეხო-მეთქი.

მან კი მიპასუხა, — არც მე და არც შენ კისერს არ მოვიტეხთ. მე სიარულს შევძლებ, შენ კი შენი ძაღლის წამოყ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვანასო. — მართალი აღმოჩნდა. ხეების გროვას მსუბუქად გადაევლო, მეც სპოტის ტომარას ხელი ჩავჭიდე და უკან მივყევი. თუ არ ვცდები, სპოტი კარგა ოცდათხუთმეტ ფუნტამდე იწონიდა, მე კი თავად მხოლოდ ოთხმოცდაათის ვიყავი. სხვათა შორის, მეორე დღეს მთელი სხეული მტკიოდა. ლუის, შენ როგორ ხარ?

ლუისს არ უპასუხია. მხოლოდ თავი დაუქნია.

— მივდიოდით და მივდიოდით, — განაგრძო ჯადმა, — მეგონა, გზა უსასრულოდ გაგრძელდებოდა. მაშინ ტყე კიდევ უფრო ხშირი იყო. ხეებიდან უფრო მეტი ჩიტის ხმა ისმოდა და უმეტესობას ვერც ვცნობდი. აქა-იქ ცხოველები დადიოდნენ. ძირითადად ირმები, მაგრამ მაშინ ლოსები, დათვები და ფოცხვერებიც ბლომად იყვნენ. სპოტს მძიმედ მივათრევდი. რაღაც მომენტში თავში გიჟური აზრი გამიჩნდა — ვითომ სტენი ბი სადღაც გაქრა და ახლა ძველ ინდიელს მივყვებოდი. ინდიელს, რომელიც კარგა ხნის შემდეგ შემობრუნდებოდა და ჩაშავებულ თვალებს შემომანათებდა. სახე კი იმ საძაგლობით ექნებოდა მოსვრილი, რომელსაც დათვის ცხიმისგან ამზადებდნენ ხოლმე, ხელში ეჭირებოდა ტომაჰავკი — ტყავით ერთმანეთზე გადაჭერილი ბასრი ქვა და ხის ტარი. ქეჩოში ხელს ჩამავლებდა და თავის ქალიდან თმასა და კანს ამაცლიდა. ვატყობდი, სტენი აღარ ბანცალებდა, გამართული მიიწევდა წინ, მხრები მტკიცედ ეჭირა, თავი კი მაღლა აეწია და ეს ყველაფერი ჩემს წარმოდგენებს კიდევ უფრო რეალურს ხდიდა. შემდეგ, როცა ჭაობს მიუახლოვდა, ჩემკენ შემობრუნდა და მივხვდი, რატომ აღარ ბანცალებდა. სტენი სრულიად ფხიზელი იყო.

— და მან მითხრა იგივე, რაც მე გითხარი გუშინ ღორიხვებისა და წმინდა ელმის ცეცხლის შესახებ. რომ ყურადღება არ უნდა მიმექცია არაფრისთვის, რასაც დავინახავდი ან გავიგონებდი. ყველაზე მეტად კი ამ ამბის საიდუმლოდ შენახვაზე უნდა მეფიქრა. შემდეგ ჭაობის გასწვრივ დავიწყეთ მოძრაობა და რაღაც დავინახე. ვერ გეტყვი, რა. მაშინ ათი წლის ვიყავი და მას შემდეგ იქ კიდევ ალბათ ხუთჯერ მაინც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიქნებოდი, მაგრამ ეს აღარასოდეს განმეორებულა. მინდა გითხრა, რომ არც აღარასოდეს დავინახავ, რადგან იმ ადგილზე გუშინ ჩემს ცხოვრებაში უკანასკნელად ვიყავი, ლუის.

მე ხომ ამ ზღაპრების არ მჯერა? — ჰკითხა ლუისმა საკუთარ თავს, — *სამი ბოთლი ლუდის შემდეგ საკუთარ თავთან საუბარიც მისაღებია. არა, მე არ მჯერა ისტორიების მოხუცი ფრანგების, ინდიელების სასაფლაოების, ვენდიგოებისა და მკვდრეთით აღმდგარი ცხოველების შესახებ. არ მჯერა, ხომ? ღვთის გულისათვის, ჩემი კატა, უბრალოდ გაითიშა, მანქანამ რომ დაარტყა... გაითიშა, რა. დიდი ამბავი. მოხუცის ზღაპრები კი, უბრალოდ, მოხუცის ზღაპრებია.*

თუმცა, საქმე ის იყო, რომ ლუისს ამ ყველაფრის სჯეროდა და ისიც კარგად იცოდა, რომ სამი ლუდი ოცდაცამეტი არ იყო, გონება რომ არეოდა.

ჯერ ერთი, ჩერჩი მოკვდა. მერე მეორე, ის ახლა ცოცხალია და თან სავსებით განსხვავებული. მას ყველაფერი რიგზე ვერ აქვს. აშკარად რაღაც მოხდა. ჯადმა ვალი მოიხადა მის წინაშე, მაგრამ თავიდანვე იცოდა, რომ შეიძლება მიკმაკების სასაფლაო სულაც არ იყო უებარი წამალი. ეს ჯადის თვალებში იკითხებოდა და ლუისმა იცოდა, რომ წინა ღამითაც შენიშნა ეს თვალები, რომლებიც რაღაც სახიფათოს ასხივებდნენ. გაახსენდა, როგორ გაიფიქრა, რომ ლუისისა და ეილის კატის სასაფლაოზე წაყვანით მთლად კმაყოფილი არ ჩანდა და თითქოს ეს ბოლომდე მისი გადაწყვეტილებაც არ იყო.

თუ მისი არა, აბა, ვისი? — ჰკითხა ლუისს გონებამ. ლუისმა ეს უსიამოვნო შეკითხვა მაშინვე უკუაგდო.

— სპოტი დავმარხე და პირამიდაც ავაშენე, — განაგრძო ჯადმა უემოციოდ, — და როცა დავამთავრე, სტენი ბის უკვე ეძინა. კარგა ხანს ვანჯღრიე და, როგორც იქნა, გამოვაფხიზლე, თუმცა როცა უკანა გზას დავადექით და ის ორმოცდაოთხი...

— ორმოცდახუთი, — ჩაილაპარაკა ლუისმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადმა თავი დაუქნია. — ჰო, ორმოცდახუთი. ეგრეა, არა? ორმოცდახუთი. როცა ორმოცდახუთი საფეხური ჩავიარეთ, ის კვლავ გამოფხიზლებულიყო. მერე გავიარეთ ტყე, გადავიარეთ წაქცეული ხეების გორა და საბოლოოდ ჩემს სახლთანაც დავბრუნდით. მეგონა, ათი საათი მაინც იქნებოდა გასული, სინამდვილეში ბევრი არაფერი, გათენებამდე ჯერ შორი იყო.

— ახლა რა მოხდება? — ვკითხე სტენი ბის.

— ახლა დაიცდი და ნახავ, რა მოხდება, — მეუბნება სტენი, ბრუნდება და ისევ ბანცალ-ბანცალით მიდის. ჩემი აზრით, იმ ღამით თავლის უკან ეძინა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ ჩემმა სპოტმა მასზე ორი წლით მეტხანს იცოცხლა. სტენის ღვიძლი დაეშალა და 1912 წლის 4 ივლისს ორმა პატარა ბავშვმა ის გზაზე გაცივებული იპოვა.

— მე კი იმ ღამეს ისევ სუროს დახმარებით ავცოცდი, ოთახში შევედი და, როგორც კი თავით ბალიშს შევეხე, საღათას ძილით ჩამეძინა.

— დილის ცხრა საათამდე ფეხი არ გამიქნევია და მაშინაც დედაჩემის ძახილმა დამიფრთხო ძილი. მამა რკინიგზაზე მუშაობდა და სამსახურში ექვს საათზე მიდიოდა. — ამ სიტყვებზე ჯადმა პაუზა აიღო და ჩაფიქრდა. — დედაჩემი კი უბრალოდ კი არ მეძახდა, ლუის, არამედ მთელ ხმაზე კიოდა.

ჯადი მაცივართან მივიდა, ერთი ბოთლი „მილერი“ გამოიღო და საპურისა და ტოსტერის ქვემოთ მდებარე უჯრის სახელურზე გახსნა. სახეზე ნიკოტინის ყვითელი ფერი დასდებოდა. ერთ მოყუდებაზე მოხუცმა ნახევარი ბოთლი დაცალა, ზარბაზანივით ამოაბოყინა და იმ ოთახისკენ გაიხედა, სადაც ნორმას ეძინა. შემდეგ ისევ ლუისს მოუბრუნდა.

— ძალიან მიმძიმს ამაზე ლაპარკი, — თქვა მან, — წლების განმავლობაში ვფიქრობდი ამ ამბავზე, მაგრამ არავისთვის გამიმხელია. მომხდარის შესახებ სხვებმაც იციან, მაგრამ არავინ არასოდეს ლაპარაკობს. ეს სექსზე ლაპარაკივითაა. მაგრამ შენ იმიტომ გეუბნები, ლუის, რომ შენი კა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტა ახლა სხვანაირია. არა უცილობლად სახიფათო ან რამე, მაგრამ... განსხვავებული. ასე არ არის?

ლუისს გაახსენდა, რა მოუქნელად ჩამოხტა ჩერჩი უნიტაზიდან და როგორ ირწეოდა აქეთ-იქით. თვალები კი არაფრისმთქმელი მზერით ამოვსებოდა.

ბოლოს ლუისმა თავი დაუქნია.

— როცა ქვევით ჩავედი, დავინახე, რომ დედა ჩვენს საყინულესა და ერთ-ერთ დახლს შორის, კუთხეში მიყუჟულიყო. იქვე მოჩანდა რაღაც თეთრი გროვა, როგორც ჩანს, ფარდა, რომლის დაკიდებასაც ფიქრობდა, შემოსასვლელში კი იდგა სპოტი — ჩემი ძაღლი, მტვერში ამოგანგლული. ჭუჭყიანი ჰქონდა მუცლის ბეწვიც. სულ მთლად დაკაწრული და აჩეჩილი იყო. ასე უბრალოდ იდგა. არც იღრინებოდა და არც არაფერი. უბრალოდ იდგა, მაგრამ დედაჩემისთვის ესეც საკმარისი იყო საიმისოდ, რომ თავზარდაცემული კუთხეს აჰკვროდა. შენი არ ვიცი, ლუის, მაგრამ მე ჩემები ძალიან მიყვარდა და ამიტომ არც ის მსიამოვნებდა, დედა სპოტის გამო რომ ასე შეშინებულიყო. თან უცნაური ის იყო, რომ მისი დაბრუნება თითქოს არც მიკვირდა.

— ვიცი ეგ გრძნობა, — უთხრა ლუისმა, — როცა ამ დილით ჩერჩი დავინახე, მე უბრალოდ... თითქოს... — გაჩუმდა. *ბუნებრივი?* თავში სწორედ ეს სიტყვა უტრიალებდა, მაგრამ კიდევ უფრო შესაფერისს ეძებდა. — თითქოს სწორედ ასე უნდა მომხდარიყო.

— ჰო, — თქვა ჯადმა და სიგარეტის ახალ ღერს მოუკიდა. ხელები ოდნავ უკანკალებდა. — და როცა დედაჩემმა საცვლიანი დამინახა, ახლა უკვე მე მიყვირა, — შენს ძაღლს აჭამე, ჯად! შია! და გაიყვანე აქედან, სანამ ფარდა დაუსვრია!

— ჰოდა, მეც მოვძებნე სპოტის საჭმელი და დავუძახე. თავიდან არ იმჩნევდა, თითქოს საკუთარ სახელს ვერ ცნობდა. ვიფიქრე, ალბათ სხვა ძაღლია-მეთქი...

— ზუსტად! — წამოიძახა ლუისმა.

ჯადმა თავი დაუქნია. — ჰო, მაგრამ მეორე და მესამე ჯერზე უკვე გამომყვა. უფრო სწორად, ჩემკენ გამობან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცალდა. გაზონზე გავიყვანე. წყეული ძაღლი ჩვეულებისა-მებრ კი არ გამორბოდა, ზანტად მოაბიჯებდა. თუმცა, შიშის პირველი ეტაპი უკვე გადალახული მქონდა და ნელ-ნელა ვხვდებოდი, რა ხდებოდა. მუხლებზე დავეშვი და სპოტს ჩა-ვეხუტე. ძალიან მიხაროდა მისი ნახვა. მანაც სახის ალოკვა დამიწყო, თუმცა...

ჯადს გააჟრჟოლა და ლუდის ბოთლი მოიყუდა.

— ლუის, საშინლად ცივი ენა ჰქონდა. როგორი იყო, იცი? როგორც მკვდარი კობრი.

ცოტა ხანს ჯადს კრინტი არ დაუძრავს, შემდეგ ისევ ლუ-ისმა უთხრა, — განაგრძე.

— სპოტმა საჭმელი ჭამა და როცა მორჩა, მისთვის გან-კუთვნილი, უკანა ეზოში შენახული ძველი აბაზანა გამო-ვათრიე. სპოტს მე და მამა ვბანდით. ძაღლს ეჯავრებოდა ეს პროცესი. დაბანის შემდეგ მამა-შვილი ოფლში ვცურავდით, ის კი რაღაც დარცხვენილად გვიყურებდა ხოლმე. კი, ძაღ-ლებს ეს შეუძლიათ. მერე აუცილებლად გავარდებოდა, უახ-ლოეს ჭუჭყში ამოიგანგლებოდა და დედაჩემის გაფენილ სარეცხთან იბერტყავდა მტვერს. ამ დროს დედა აყვირდე-ბოდა და დაგვემუქრებოდა, იცოდეთ, ამ ძაღლს არ ვაცოცხ-ლებ, ვილაცას მოვაკვლევინებო.

— მაგრამ იმ დღეს სპოტი არც კი განძრეულა. მორჩი-ლად იდგა, სანამ დავბანდი. ძალიან არ მომეწონა. თითქოს... თითქოს ხორცს ვრეცხავდი. როცა მოვრჩი, ძველი პირსახო-ცი ავიღე და გავამშრალე. მის სხეულზე, რამდენიმე ადგი-ლას, პატარა ნასვრეტებად მავთულის კვალი შევნიშნე, თა-ვის ქალაზე კი, ყურთან, უფრო მოზრდილი ხვრელი ბეწვით დაფარულიყო.

— ეს ის ადგილი იყო, სადაც მამაშენმა ესროლა, არა? — ჰკითხა ლუისმა.

ჯადმა თავი დაუქნია.

— თავში ტყვიის სროლა ავტომატურად ადამიანის ან ცხოველის სიკვდილს არ ნიშნავს, ჯად. არსებობს შემთხ-ვევები, როცა თვითმკვლელობის მსურველი თავში ტყვიის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სროლის შემდეგაც გადარჩენილა. ამ დროს ტყვია ნახევარ-
რკალს აკეთებს და ტვინს სცდება. თავადაც მინახავს ერთი
ტიპი, რომელმაც მარჯვენა ყურს ზემოთ მოირტყა, სიკვ-
დილის მიზეზი კი ტყვიის რკალისებრი მოძრაობა გახდა,
რითაც მან თავის მეორე მხარეს კისრის ვენები დააზიანა.
ტყვიის მოძრაობა სოფლის შარას წააგავდა.

ჯადმა გაულიმა და თავი დაუქნია. — ჰო, რაღაც ეგეთი,
მახსოვს, ნორმას ერთ-ერთ გაზეთშიც წამიკითხავს, „სტარ-
ში“ ან „ინქუაიერში“, მაგრამ თუ მამამ თქვა, რომ სპოტი
მოკვდა, ესე იგი, მოკვდა.

— კარგი, — დაეთანხმა ლუისი, — თუ ამბობ, რომ ასე
იყო, ესე იგი, ასე იყო.

— შენი გოგონას კატა მოკვდა?

— ნამდვილად მეგონა, რომ ასე იყო.

— გეგონა — არა. შენ ექიმი ხარ, ზუსტად უნდა იცოდე.

— კარგი რა, ისე ამბობ, თითქოს ექიმი კი არა, ღმერთი
ვიყო. არ ვარ ღმერთი. იქ ბნელოდა და...

— ჰო, რა თქმა უნდა, ბნელოდა, მაგრამ კატას თავი ისე
უტრიალებდა, თითქოს კისერი ბურთულა-საკისარზე ჰქონ-
და დამაგრებული. და როცა მიწიდან ასწიე, ყინულზე აფხ-
რეწვის ისეთი ხმა გაისმა, გეგონებოდა, კონვერტს მარკა
ააძვრესო. ცოცხალი არსებები ასეთ ხმას არ გამოსცემენ,
მათ ქვეშ ყინული ლღვება.

გვერდით ოთახში საათმა თერთმეტის ნახევარი უჩვენა.

— მამაშენმა რა თქვა, როცა ძაღლი დაინახა? — იკითხა
ლუისმა.

— სახლის წინ ვიდექი და გუბურაში კენჭებს ვისროდი.
მას ველოდებოდი. ვფიქრობდი, ძაღლის დაბრუნების გა-
მო გავილახებოდი. მამაჩემი ჭიშკრის ბოძთან დაახლოებით
რვა საათისთვის გამოჩნდა. კომბინეზონი ეცვა და ჭრელი
კეპი ეხურა. გახსოვს ეგ უნიფორმა?

ლუისმა თავი დაუქნია და მთქნარების დასამალად პირზე
მაჯის უკანა მხარე მიიფარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჰო, უკვე გვიანია, — თქვა ჯადმა, — მოდი, დავამთავროთ.

— არა, არ არის გვიანი. უბრალოდ, ჩვეულებრივზე მეტი ლუდი დავლიე. მიდი, ჯად, არ იჩქარო. ყველაფრის მოსმენა მინდა.

— მამას ლანჩი ძველი თუნუქის ქილით დაჰქონდა. ახლაც ამ ქილის ქანაობით შემოვიდა ღია ჭიშკარში და თან რაღაცას ფშტვენა-ფშტვენით ღიღინებდა. უკვე ბინდდებოდა, თუმცა მაინც შემამჩნია და დამიძახა, — ჰეი, ჯადკინს! — ასე მეძახდა ხოლმე, — სადაა შენი...

— მომიახლოვდა და სწორედ ამ დროს გამოვიდა სიბნელიდან სპოტი. ჩვეულებისამებრ კი არ გამოიქცა, როგორც მამაჩემის დანახვისას იცოდა ხოლმე. არა, უბრალოდ, გამოვიდა ნელი მოძრაობით. არანაირი კუდის ქიცინი. მამა კი გარინდებული იდგა და ძაღლს უყურებდა. სპოტი მისკენ დაიძრა, მამამ ნელი ნაბიჯით დაიხია უკან და ღობეს ზურგით აეკრა. და როცა სპოტი შეახტა, თათები ისე დაუჭირა, როგორც ქალბატონს გამოცეკვებისას და რამდენიმე წამი ასე უყურებდა. ბოლოს მითხრა, — დასაბანია, ჯად. იმ მიწის სუნი ასდის, რომელშიც დამარხე. — ამ სიტყვების შემდეგ მამა შინ შევიდა.

— და რა გააკეთე? — ჰკითხა ლუისმა.

— ხელმეორედ ვაბანავეთ. არც ამჯერად გაუწევია წინააღმდეგობა. შინ რომ შევედით, დედას უკვე ეძინა, თუმცა ჯერ ცხრაც არ იყო. მამამ მითხრა, — სალაპარაკო გვაქვს, ჯადკინს. — დავსხედით და ცხოვრებაში პირველად ვილაპარაკეთ კაცურად. იცი, მთელი ბავშვობა ველოდი, როდის დამელაპარაკებოდა როგორც ზრდასრულს. მახსოვს, იმ ღამით გზის მეორე მხრიდან — სადაც ახლა შენი სახლია — ცხრატყავას სუნი მოდიოდა, ჩვენთან კი ველური ვარდის სუნი იდგა.

ჯად კრენდოლმა ამოიხვნეშა. — ყოველთვის მეგონა, რომ „ზრდასრული“ საუბარი კარგი იქნებოდა, მაგრამ ასეთი არ გამოდგა. ოდნავადაც არ მიგრძნია თავი კარგად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთელი ეს ღამეც, ლუის, რაც მე ამ ამბებს გიყვები, მეჩვენება, რომ ჩემ წინ სარკე დგას, მის პირდაპირ კიდევ მეორე სარკე და ვხედავ, როგორ ვირეკლები უთვალავ სარკეში. ნეტავ რამდენი ხანია, რაც ეს ამბები ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა და ამის შესახებ არავინ იცის? მართლა სექსზე საუბარივით გამოდის, არა?

— მამაშენმა ყველაფერი იცოდა.

— აიუჰ. — იქ ვინ წაგიყვანა, ჯად? — მკითხა მამამ და მეც ყველაფერს მოვუყევი. როგორც ჩანს, მოელოდა, რომ ასე მოხდებოდა. შემდეგ გავიგე, რომ თურმე სასაფლაოს ამბავი ლადლოუში ექვსმა თუ რვა კაცმა იცოდა, თუმცა, როგორც ჩანს, მამა ხვდებოდა, რომ სტენი ბი იყო ერთადერთი შეშლილი, რომელსაც ამის გაკეთება შეეძლო.

— არ ჰკითხე, თავად რატომ არ წაგიყვანა იქ?

— ვკითხე, — მიუგო ჯადმა, — იმ გრძელი საუბრის რაღაც ეტაპზე ეგეც ვკითხე და მიპასუხა, რომ ეს ცუდი ადგილი იყო. ის ხშირ შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებდა იქ დამარხულ ცხოველებსა და მათ პატრონებზე. — ახლა შენ მოგწონს, როგორია სპოტი? — მკითხა მან. ამ ყველაფრის შენთვის თქმა მნიშვნელოვანია, რადგან ადრე თუ გვიან შენც აუცილებლად გაგიჩნდება შეკითხვა — რატომ წაგიყვანე შენი გოგოს კატასთან ერთად იქ. ასე არ არის?

ლუისმა თავი დაუქნია. რას იფიქრებდა ეილი, როცა შინ დაბრუნდებოდა? — ამის შესახებ სტივ მასტერტონთან ერთად შუადღით რეკეტბოლის თამაშის დროს ბევრს ფიქრობდა.

— ეს, ალბათ, იმიტომ გავაკეთე, რომ ბავშვებმა უნდა იცოდნენ — ხანდახან სიკვდილი ჯობს, — მძიმედ წარმოთქვა ჯადმა, — ეს შენმა ეილიმ არ იცის და რატომღაც მგონია, ამის მიზეზი შენი ცოლია, რომელმაც ეს, ასევე, არ იცის. ახლა გისმენ, მითხარი, თუ ვცდები და მოვრჩეთ ლაპარაკს.

ლუისმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

ჯადმა ლაპარაკი განაგრძო. ამჯერად ძალიან დინჯად ლაპარაკობდა, თითოეულ სიტყვას წონიდა. ისე საუბრობ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, გეგონება, ჭაობში ამოზრდილი ბორცვიდან ბორცვზე აბიჯებსო. — წლებია ვუყურებ ამ ამბებს. მგონი, ლესტერ მორგანის შესახებ მოგიყევი, მედალოსანი შავი ხარი რომ დამარხა. ჰენრეტი[1]. რა სულელური სახელია ხარისთვის, არა? რაღაც შინაგანი წყლულებით მოკვდა. ლესტერმაც ათრია, ათრია და იმ ხმელი ხეების გორაზეც კი გადაიყვანა. წარმოდგენა არ მაქვს, ეს როგორ მოახერხა, მაგრამ ხომ იცი, რაღაც ძალიან რომ გინდა, გამოგდის. ბოლოს ხარი დამარხა და, რა თქმა უნდა, ჰენრეტიც დაბრუნდა, მაგრამ ლესტერმა ორ კვირაში იარაღით მიაკლა. ხარი საშინლად გაბოროტებულიყო, თუმცა ეს, რაც მე ვიცი, ერთადერთი ასეთი შემთხვევა იყო. ძირითადად ცხოველები ხდებიან ოდნავ სულელები... ოდნავ ზანტები... ტლანქები და...

— ოდნავ მკვდრები?

— ჰო, — თქვა ჯადმა, — ოდნავ მკვდრები. თითქოს... ისინი სადღაც იყვნენ და... და დაბრუნდნენ, მაგრამ... ბოლომდე ვერა. თუმცა, ამის შესახებ შენი გოგო ვერაფერს გაიგებს. ვერც იმას, რომ მის კატას მანქანამ დაარტყა და მოკლა, ვერც მისი უკან დაბრუნების ამბავს. ბავშვს მანამ ვერ ასწავლი გაკვეთილს, სანამ თავად არ მიხვდება, რომ ეს გაკვეთილი უნდა ისწავლოს. თუმცა...

— თუმცა ხანდახან შეიძლება ნაადრევადაც ასწავლო, — უფრო თავის თავს უთხრა ლუისმა, ვიდრე ჯადს.

— ჰო, — დაეთანხმა ჯადი, — ხანდახან შეგიძლია. ალბათ რაღაც მომენტში სიკვდილის არსსაც ამოიცნობს და სწორედ მაშინ შეწყდება ტკივილი და გაჩნდება კარგი მოგონებები. დასრულდება არა სიცოცხლე, არამედ ტკივი-

---

[1] *ირლანდიური გვარი ჰენრეტი შემოკლებული ანგლიკანური ვერსიაა ირლანდიური „Ó hInreachtaigh"-ისა. ეს უკანასკნელი კი „Ionrachtach"-ის შთამომავალია, რაც „შემტევს" ნიშნავს. თუმცა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ჯად კრენდოლს მხედველობაში აქვს ჯეიმს ჰენრეტი — ასევე ცნობილი როგორც მკვლელი 6, ბრიტანელი დამნაშავე, რომელიც იყო ერთი-ერთი იმ უკანასკნელ რვა დამნაშავეთაგან, რომელთა მიმართაც სიკვდილით დასჯა ბოლოჯერ იქნა გამოყენებული. ის 1962 წელს ჩამოახრჩვეს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი. ოღონდ, ამ ყველაფერს თავად გაარკვევს. შენ არაფერი უთხრა.

— და თუ ოდნავ მაინც მგავს, მას აუცილებლად ეყვარება თავისი ცხოველი. ამ მხრივ არაფერი შეიცვლება... თუმცა, დიდ შვებას იგრძნობს, როცა... როცა ის საბოლოოდ მოკვდება.

— მეც ამიტომ წამიყვანე. — თქვა ლუისმა და თავი ახლა ბევრად უკეთ იგრძნო. ამ ყველაფრისთვის უკვე რაღაც ახსნა მოეძებნებოდა. სრულიად ალოგიკური და დამაბნეველი, რაციონალურ საზღვრებს მიღმა არსებული, მაგრამ მაინც ახსნა. გრძნობდა, რომ ამაზეც თანახმა იყო და ახლა რწმუნდებოდა, რომ უკვე შეიძლებოდა იმ ღამით ჯადის თვალებში შემჩნეული ბნელი ელვარების დავიწყება. — კარგი, ანუ...

უეცრად, შოკისმომგვრელად, ჯადმა სახეზე ხელები აიფარა. ლუისს ეგონა, რომ მოხუცი მოულოდნელად რაღაც ძლიერმა ტკივილმა შეაწუხა და მაშინვე მაგიდიდან წამოხტა, თუმცა ჯადის მკერდის მოძრაობაზე მიხვდა, რომ ის, უბრალოდ, ტიროდა.

— კი, ამიტომაც, მაგრამ არა მხოლოდ. — ქვითინით, ათრთოლებული ხმით წარმოთქვა ჯადმა, — იქ იმავე მიზეზით წაგიყვანე, რატომაც სტენი ბიმ წამიყვანა მე. რატომაც ლესტერ მორგანმა წაიყვანა ლინდა ლევესკი, როცა მისი ძაღლი გზაზე გაიტანეს. წაიყვანა უკვე მას შემდეგ, რაც მოკვდა მისი წყეული ხარი, რომელიც საძოვარზე ბავშვებს გავეშებული დასდევდა. თუმცა მაინც წაიყვანა, ლუის, — ამოიგმინა ჯადმა, — ღვთის გულისათვის, ეს რამ გააკეთებინა, ხვდები?

— რაზე ლაპარაკობ, ჯად? — შეშფოთებულმა იკითხა ლუისმა.

— ყველანი, ლესტერიც, სტენიც და მეც, ასე ერთი მიზეზით მოვიქეცით. ის არ გეშვება. საიდუმლო ადგილია და მუდამ გიბიძგებს, საიდუმლო სხვასაც გაანდო. ეს საკმარისია, რომ... — ჯადმა სახიდან ხელები ჩამოიღო და ლუისმა მის თვალებში წარმოუდგენელი სიბერე, წარმოუდგენელი დაღ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლა იხილა. — შემდეგ კი მხოლოდ მიზეზებს ეძებ... ოღონდ უკან დაბრუნდე... და ყველა მიზეზზე თანახმა ხარ... ძირითადად კი იქ ყოველთვის საკუთარი სურვილის დასაკმაყოფილებლად მიდიხარ. ან, უბრალოდ, ასე გინდა და მორჩა. მამაჩემმა სასაფლაოს შესახებ იცოდა, მაგრამ იქ ნამყოფი არ იყო. სტენი ბი კი ნამყოფი იყო და ამიტომაც წამიყვანა. აგერ, მეც... ჩვიდმეტი წლის შემდეგ... მერე კი... ყველაფერი...

ჯადმა თავი გააქნია და მუჭში მშრალად ჩაახველა.

— მისმინე, — თქვა ჯადმა, — მისმინე, ლუის. ლესტერების ხარი ერთადერთი ავბედითი შემთხვევა იყო, როცა უკან დაბრუნებული მართლა გაბოროტდა. ყოველ შემთხვევაში, რაც მე ვიცი, თორემ მისის ლევესკის ჩიხუახუამაც თურმე ერთხელ ფოსტალიონს უკბინა და კიდევ რამდენიმე შემთხვევაც ყოფილა, როცა ცხოველები... ფუჭდებოდნენ, მაგრამ სპოტი ყოველთვის კარგი ძაღლი იყო. იმ ამბის შემდეგ სულ მიწის სუნი ასდიოდა და დედაჩემი ერთხელაც აღარ მიჰკარებია. არაფერს აშავებდა. ძველებურად კარგი ძაღლი იყო. მაგრამ, თუ შენს კატას ამაღამვე მოკლავ, ხმას არ ამოვიღებ.

— ის ადგილი... ერთიანად გიზიდავს... და იქ დაბრუნების ნებისმიერ მიზეზს თანხმდები... მაგრამ, შეიძლება შევცდი, ლუის. მხოლოდ ამას ვამბობ. შეიძლება ლესტერი და სტენი ბიც შეცდნენ. ეშმაკმაც დალახვროს, არც მე ვარ ღმერთი. მაგრამ მკვდრისთვის სიცოცხლის დაბრუნება... ეს რაღაც ღმერთის როლის მორგებას ჰგავს, არა?

ლუისმა ისევ შეიკავა თავი. რაც უნდა ეთქვა, არასწორი იქნებოდა. არასწორი და უკეთური, — ჯად, მე ეს გზა იმისთვის არ გამივლია, რომ მერე წყეული კატა ისევ მომეკლა.

ჯადმა ლუდი დაცალა და ფრთხილად მიდგა დანარჩენი ცარიელი ბოთლების გვერდით. — მგონი ეგ არის, — თქვა მან, — ყველაფერი ვთქვი.

— შეიძლება რაღაც გკითხო?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მგონი, ჰო, — უპასუხა ჯადმა.

— იქ ვინმეს ადამიანი არ დაუკრძალავს? — უეცრად ჯადმა მხარი აიქნია და ლუდის ორი ბოთლი მაგიდიდან გადაცვივდა. ერთი გატყდა.

— ღმერთო დიდებულო! — შესძახა ჯადმა, — არა! ეგ ვის უნდა ექნა? ასეთი რამ არ გაიმეორო, ლუის!

— უბრალოდ, დავინტერესდი, — უხერხულად თქვა ლუისმა.

— ზოგიერთი რამის მიმართ საერთოდ არ ღირს ინტერესი, — თქვა ჯად კრენდოლმა და ამ დროს ის პირველად ეჩვენა ლუის კრიდს დაბერებულად და დასუსტებულად. თითქოს, თავადაც ცალი ფეხი საფლავში ჰქონოდა.

და მოგვიანებით, შინ დაბრუნებულმა გაიხსენა, რომ ამ მომენტში ჯადს რაღაც უცნაური მზერა ჰქონდა.

თითქოს ცრუობდა.

27

სანამ ავტოფარეხს არ მიუახლოვდა, ლუისი ვერ მიხვდა, რომ მთვრალი იყო.

გარეთ ვარსკვლავების შუქი მთვარის ცივ ნათებას ერწყმოდა, თუმცა სილუეტების ცხადად შესამჩნევად ეს საკმარისი მაინც არ იყო. ავტოფარეხში სრული წკვარამი იდგა. აქ სადღაც შუქის ასანთები უნდა ყოფილიყო. ნამდვილად ახსოვდა, ამის დედაც! ლუისი ფრთხილად დააბიჯებდა, მუხლები დასუსტებოდა, თავში ყველაფერი ამღვრეოდა. თან ეშინოდა, სადმე გეიჯის სათამაშოსთვის არ წამოედო ფეხი და არ წაქცეულიყო. აქ სადღაც ეილის პატარა „შვინიც“[1] იდგებოდა და გეიჯის ოთხთვლიანი მანქანაც. და სად იყო კატა? აქ არ დატოვა? რაღაც მომენტში ლუისი კედელს დაეჯახა და პირზე ხელისგულმიფარებულმა წამოიძახა, — ამის

[1] *იგულისხმება გერმანიაში დაბადებული ამერიკელის, მექანიკოსისა და ინჟინრის, იგნას შვინის მიერ დაარსებული „შვინ ბაისიქლ კომპანის“ მიერ წარმოებული ერთ-ერთი ველოსიპედი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დედაც! — თუმცა მიხვდა, რომ სიბნელეში ახლა მის ხმას მრისხანების არაფერი ეტყობოდა. ახლა უკვე არა მხოლოდ ჩასართველს ვერ პოულობდა, სართოდ არ ჰქონდა წარმოდგენა, სად ჯანდაბაში იყო. სამზარეულოს კარიც აღარ ახსოვდა, სად იყო. დადიოდა, ხელებს აცეცებდა და ახსენდებოდა სტივ ვანდერის კონცერტი, რომელსაც ის და რეიჩელი დაესწრნენ. როდის იყო? ექვსი წლის წინ? მაშინ რეიჩელი ეილიზე იყო ფეხმძიმედ. სინთეზატორთან ვანდერი ორმა ბიჭმა მიიყვანა. ეხმარებოდნენ, რომ სადენებზე არ წაქცეულიყო, მოგვიანებით ბექვოკალისტ ქალებამდე ფრთხილად მიიყვანეს და მანაც სცენის თავისუფალ ნაწილზე მათთან ერთად იცეკვა. ლუისს ახსოვდა, რომ ვანდერი საკმაოდ კარგად ცეკვავდა, თუმცა ამას დახმარების გარეშე მაინც ვერ შეძლებდა.

ახლა დახმარება არც ლუისს აწყენდა. ვინმეს რომ ამ სიბნელეში ხელი გამოეწვდინა და სამზარეულოს კარამდე მიეყვანა... ამის გაფიქრებაზე ლუისს გააჟრჟოლა.

ახლა რომ აქ ვინმეს ხელი შეხებოდა, ალბათ მაშინვე იყვირებდა... იყვირებდა და იყვირებდა.

ამიტომ ერთ ადგილზე გაჩერდა. გული მძიმედ უცემდა. *მიდი,* — ეუბნებოდა საკუთარ თავს, — *გაბედე, ამის დედაც!*

ნეტავ, ის წყეული კატა სად იყო?

ისევ რაღაცას დაეტაკა. ალბათ მანქანის ბამპერს. ტკივილმა მთელ სხეულში დაუარა, თვალები მოუწყლიანდა და ნატკენი ფეხი მოისრისა. ძალიან შეწუხდა, მაგრამ ახლა ის მაინც იცოდა, სად იყო. ავტოფარეხის გეოგრაფია ცხადად წარმოუდგა თვალწინ და ამას სიბნელესთან თვალის შეგუებაც დაემატა. გაახსენდა ისიც, რომ კატა დღეს შინ დატოვა, რადგან მის ბეწვიან სხეულთან შეხება ვერ გაბედა.

და სწორედ ამ დროს მოულოდნელად ლუისს კოჭზე ჩერჩის ბეწვიანი კუდი შეეხო წყლის ჭავლივით, ბარძაყზე გველივით შემოეხვია და ლუისმაც წამოიყვირა. პირი ფართოდ გააღო და წამოიყვირა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

28

— მამიკო! — წამოიძახა ეილიმ და მისკენ გაიქცა. ჩამოსულ მგზავრებს შორის ხელების ქნევით მორბოდა და, ცოტა არ იყოს, ლუისს სინდისი ქენჯნიდა, თან იმასაც გრძნობდა, რომ ეილის დანახვაზე სახე სულელური ღიმილით დაჰფარვოდა.

რეიჩელს გეიჯი ხელში აყვანილი მოჰყავდა და ლუისი მაშინ შეამჩნია, როცა ეილიმ დაიყვირა. — მაااااა! — წამოიყვირა გეიჯმაც და რეიჩელის ხელებში აფართხალდა. რეიჩელმაც გაიღიმა (როგორც ლუისმა შენიშნა, ოდნავ დაღლილი სახით) და ბავშვი ძირს დასვა. გეიჯიც ეილის კვალად გაიქცა. ფეხებს ატყაპუნებდა და გაიძახოდა, — მა�ა! მااااა!

ლუისმა შენიშნა, რომ გეიჯს ახალი ჯემპრი ეცვა, რაც ბაბუის მიერ ლუისისთვის გამოგზავნილ გზავნილს წააგავდა. ეილის ხელები მოხვია და ისიც მამას, როგორც ხეს, ისე ააცოცდა.

— გამარჯობა, მამიკო! — წამოიძახა ეილიმ და ლუისს ლოყაზე გულიანად აკოცა.

— გამარჯობა, ტკბილო, — თქვა ლუისმა და ახლა გეიჯისკენ დაიხარა, ისიც დაიჭირა, ჩაიხუტა და ორივე შვილი მაღლა ასწია. — რა კარგია, რომ დაბრუნდით.

მათ უკან რეიჩელი მოდიოდა. ცალ ხელში სამგზავრო ჩანთა და ჯიბის წიგნი ეჭირა, მეორეში კი გეიჯის საფენების ჩანთა წარწერით „მალე დიდი ბიჭი ვიქნები“, რომელიც ალბათ მშობლების გასამხნევებლად უფრო იყო გაკეთებული, ვიდრე საფენების მომხმარებლის წასახალისებლად. რეიჩელი დიდი და დამღლელი მივლინებიდან დაბრუნებულ პროფესიონალ ფოტოგრაფს ჰგავდა.

ლუისი მიუახლოვდა, ბავშვებს შორის თავი გაყო და რეიჩელს ტუჩებში აკოცა. — გამარჯობა!

— ჰეი, დოკ! — უთხრა რეიჩელმა და გაუღიმა.

— დაღლილი ჩანხარ.

— ვარ კიდეც. ბოსტონამდე უპრობლემოდ ჩავფრინდით, გადაჯდომა და აფრენაც ნორმალური იყო, მაგრამ როცა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვითმფრინავი ქალაქის თავზე წრეს უვლიდა, გეიჯმა ფანჯარაში გაიხედა, წამოიძახა, — „ლანაზია, ლანაზი!“, — და გული აერია, ზედ ტანსაცმელზე ჩამოირწყია.

— ო, ღმერთო.

— თვითმფრინავის ტუალეტში გამოვუცვალე. არა მგონია ვირუსი იყოს. ალბათ, უბრალოდ, ფრენის ბრალია.

— წავიდეთ, — თქვა ლუისმა, — ქურაზე ჩილი მაქვს შედგმული.

— ჩილი! ჩილი! — წამოიყვირა ეილიმ ლუისის ყურთან სიხარულით და აღტაცებით.

— ჩივი! ჩივი! — დაიყვირა გეიჯმაც და ლუისს დაგუბებული ყურები გაეხსნა.

— წამოდით, ბარგი ავიღოთ და აქედან მოვუსვათ.

— ჩერჩი როგორ არის, მამიკო? — ჰკითხა ეილიმ, როცა ლუისმა ძირს დასვა. რა თქმა უნდა, ამ შეკითხვას ელოდა, მაგრამ არ ელოდა ეილის ასეთ შეშფოთებულ სახეს. მუქ ლურჯ თვალებს შორის ღრმა ღარები დასტყობოდა. ლუისი მოიღუშა და რეიჩელს გახედა.

— ამ უქმეებზე, ერთ ღამეს, კივილით გამოელვიძა, — ჩუმად უთხრა რეიჩელმა, — კოშმარი ნახა.

— დამესიზმრა, რომ ჩერჩი მანქანამ გაიტანა, — თქვა ეილიმ.

— ეს ზედმეტად ბევრი ინდაურის სენდვიჩის ბრალია, — თქვა რეიჩელმა, — დიარეამაც კი შეაწუხა. მოდი, ბავშვი დაამშვიდე და აეროპორტიდან წავიდეთ, რა. ბოლო ერთ კვირაში იმდენ აეროპორტში ვიყავი, რომ მომავალი ხუთი წლის მარაგი შევივსე.

— ჩერჩი მშვენივრად არის, საყვარელო, — დინჯად მიუგო ლუისმა.

ჰო, მშვენივრად. მთელი დღე წევს და თავისი უცნაური, ბინძური თვალებით გაურკვეველი მიმართულებით იყურება. თითქოს სადღაც ისეთ ადგილზე ყოფილა, რომელსაც მისთვის მთელი გონება — თუკი კატას ტვინის ნატამალი გააჩნია — ბოლომდე გამოუცლია. ჰო, უბრალოდ, დიდებუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლადაა. ღამღამობით გარეთ ცოცხით გამყავს, რადგან არ მინდა შევეხო. ცოცხს მოვუცაცუნებ და თავისით გადის. იმ დღეს შევდივარ და რას ვხედავ — თაგვი! უფრო სწორად, ის, რაც თაგვისგან დარჩენილიყო. ჩერჩის საუზმედ მისი შიგნეულობა მიურთმევია. ჰო, საუზმეზე გამახსენდა. დილით არაფერი მიჭამია. სხვა მხრივ... — არა მიშავს.

— ოჰ, — წარმოთქვა ეილიმ და სახიდან შეშფოთებამ გადაუარა, — ძალიან კარგი. როცა სიზმარი ვნახე, დარწმუნებული ვიყავი, რომ მოკვდა.

— მართლა? — ჰკითხა ლუისმა და გაუღიმა, — ხანდახან რა სასაცილო სიზმრებს ვნახულობთ, არა?

— სიზმეებს! — წამოიყვირა გეიჯმა. ის ახლა თუთიყუშობის იმ პერიოდში შედიოდა, რომელიც, ეილის მაგალითზე, ლუისს კარგად ახსოვდა. — სიზმეეეეებს! — ისევ თქვა და ლუისს ყურზე გემრიელად მოქაჩა.

— აბა, ყაჩაღებო, წავედით, — თქვა ლუისმა და ბარგის მისაღებად გაეშურა.

ის იყო ავტოსადგომზე გავიდნენ, რომ გეიჯმა წამოიძახა — „ლანაზია, ლანაზი!“ და გული ამჯერად ლუისის შარვალზე აერია. ლუისს მაინცდამაინც დღეს ჩაეცვა საგარეო შარვალი. როგორც ჩანს, გეიჯს თავისებური კოდური სიტყვა ჰქონდა „ლანაზის“ სახით, რომელიც სინამდვილეში ნიშნავდა: „აბა, ბიჭებო, განზე გაიწით, რწყევა იწყება!“

და მაინც, როგორც ჩანდა, ვირუსი შეჰყროდა.

ამასობაში, სანამ ბანგორის აეროპორტიდან ლადლოუმდე, შინ მისვლამდე, ჩვიდმეტი მილი გაიარეს, გეიჯს სიცხემ აუწია და უსიამოვნოდ დაიწყო თვლემა. ლუისმა მანქანა ავტოფარეხში შეიყვანა. ცერად გახედა კედელთან ატუზულ ჩერჩის, რომელიც მანქანას თავისი უცნაური თვალებით შეჰყურებდა. კატა უცებ გაუჩინარდა. იქვე, ზაფხულის საბურავებთან, თაგვი ეგდო. რეიჩელისა და ბავშვების არყოფნაში ლუისმა მანქანას ზამთრის საბურავები დაუყენა. მანქანიდან აშკარად ჩანდა თაგვის ვარდისფერი შიგნეულობა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან და განგებ დაეჯახა ერთმანეთზე დაწყობილ საბურავებს, რათა საზიზღარი სანახაობა გაექრო. ორი საბურავი მართლაც დაეცა მკვდარ თაგვს. — უუუპს. — თქვა ლუისმა.

— რა ბოთე ხარ, მამიკო, — ნიშნის მოგებით უთხრა ეილიმ.

— ნამდვილად. — ლუისმა იგრძნო მძაღე სუნი და წარმოიდგინა, როგორ იტყოდა, „ლანაზია, ლანაზი" და იქვე, კუთხეში, გულს აირევდა. კარგად ახსოვდა, ჩერჩის მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ვირთხა მოკლული. ერთი-ორჯერ თაგვიც დაუჭერია და უწვალებია, თუმცა ლუისს, ეილის ან რეიჩელს მანამდე მიუსწრიათ, სანამ რამე სერიოზულს დაუშავებდა. კასტრაციის შემდეგ კი, ისევე, როგორც ყველა კარგად ნაკვები კატა, თაგვებით აღარ დაინტერესებულა.

— ეგრე იდგები და იოცნებებ თუ მომეხმარები? — ჰკითხა რეიჩელმა, — პლანეტა მონგოდან დაბრუნდით, დოქტორო კრიდ. დედამიწელებს სჭირდებით. — რეიჩელს დაღლილი და გაღიზიანებული ხმა ჰქონდა.

— ვწუხვარ, პატარა, — უთხრა ლუისმა და შემობრუნდა, რათა ხელში აეყვანა გეიჯი, რომელიც უკვე ნაკვერჩხალივით ხურდა.

ასე რომ, ლუისის ცნობილი სამხრეთული ჩილი იმ ღამით მხოლოდ სამმა მიირთვა. გეიჯი მისაღების სავარძელზე უხალისოდ მიწოლილიყო, საწოვარადან თბილ ქათმის წვნიანს სვამდა და ტელევიზორში რაღაც მულტფილმს უყურებდა.

სადილის შემდეგ ეილი ავტოფარეხის კართან მივიდა და ჩერჩის დაუძახა. ლუისს, რომელიც, სანამ რეიჩელი მეორე სართულზე ბარგს ალაგებდა, ჭურჭელს რეცხავდა, იმედი ჰქონდა, რომ კატა არ მოვიდოდა, მაგრამ ჩერჩი მოვიდა. თავისი ნელი მოძრაობით მიუახლოვდა გოგოს ისე, თითქოს იქვე იმალებოდა და მხოლოდ სახელის გაგონებას ელოდა.

— ჩერჩი! — წამოიძახა ეილიმ, — ჰეი, ჩერჩი! — კატა ხელში აიყვანა და ჩაეხუტა. ლუისი ამ სცენას ცალი თვალით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უყურებდა, ხელები ნიჟარის ძირზე, საჭმლის ნარჩენებზე დაეწყო და არ ინძრეოდა. შემდეგ შენიშნა, როგორ შეიცვალა ეილის მხიარული სახე მცირედი დაბნეულობით. ჩერჩი ისევ უჩუმრად იწვა მის მკლავებში და ეილის თვალებში შეჰყურებდა.

კარგა ხნის შემდეგ — ლუისს ეს დრო ძალიან დიდად ეჩვენა — ეილიმ ჩერჩი ძირს დასვა. კატა სასადილო ოთახისკენ უკან მოუხედავად გაბარტყუნდა. *ოხ, შე პატარა თაგვების ჯალათო,* — გაიფიქრა უეცრად ლუისმა, — *ღმერთო, რა ჩავიდინეთ იმ ღამით?* გულწრფელად ცდილობდა ამის გახსენებას, მაგრამ უკვე ძალიან შორეულ და დაბურულ ამბად ახსენდებოდა, ისევე, როგორც ვიქტორ პასკოუს ლაზარეთის იატაკზე გარდაცვალების ფაქტი. ახსენდებოდა ქარიანი გზები და ბნელი ცის ქვეშ, ტყეში გაშლილი თოვლის თეთრი ელვარებით დაფარული შავი მინდორი. ეს იყო და ეს.

— მამიკო? — უთხრა ეილიმ ჩუმი, შესუსტებული ხმით.

— რაო, ეილი?

— ჩერჩის უცნაური სუნი ასდის.

— მართლა? — ფრთხილად შეარჩია ხმის ნეიტრალური ტემბრი ლუისმა.

— ჰო! — ახლა უფრო მძიმედ წარმოთქვა ეილიმ, — ჰო, ეგრეა! ასეთი უცნაური სუნი არასოდეს ჰქონია! მას... მას კუკების სუნი ასდის!

— შეიძლება რაღაც ცუდში იგორავა, საყვარელო, — უთხრა ლუისმა, — რისიც უნდა იყოს, სუნს აუცილებლად მოიშორებს.

— იმედი მაქვს, — კომიკური ტრაგიზმით წარმოთქვა ეილიმ და ოთახიდან გავიდა.

ლუისმა ბოლო ჩანგალიც იპოვა, გარეცხა და სადინარის პლომბი ამოიღო. ნიჟარასთან იდგა და გარეთ ღამეში იყურებოდა, სანამ საპნიანი წყალი სადინარში ხმაურიანი ბუყბუყით ჩადიოდა. წყალი რომ ჩაიცალა, ლუისს გარედან ქარის მწივანა, საშინელი ხმა შემოესმა. ქარი ჩრდილოეთიდან მოდიოდა და თან ზამთარი მოჰყავდა. ამ მომენტში ლუისი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიხვდა, რომ ეშინოდა. ეშინოდა ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა მზეს უეცრად შავი ღრუბელი დაფარავს, სადღაც შორიდან კი წკაპუნის გამოუცნობი ხმა ისმის.

— ას სამი? — თქვა რეიჩელმა, — ღმერთო, ლუ! დარწმუნებული ხარ?

— ვირუსია, — უთხრა ლუისმა. ცდილობდა რეიჩელის საყვედურნარევი ხმა არ შეემჩნია. დღეს ის ძალიან დაღლილიყო. დილიდან მგზავრობდა და თითქმის ნახევარი ქვეყანა გადაკვეთა ორ პატარა ბავშვთან ერთად. ახლა კი უკვე თერთმეტი საათი იყო და ეს დღე ჯერ კიდევ არ მთავრდებოდა. ეილის ღრმად ეძინა თავის ოთახში, გეიჯი კი, ნახევრად ფხიზელ მდგომარეობაში, მშობლების ლოგინზე იწვა.

ერთი საათის წინ ლუისმა „ლიკვიპრინი" მისცა. — „ასპირინი" დილამდე სიცხეს დაუწევს, საყვარელო.

ლუისმა მოთმინებით მიუგო, — გაცივებული რომ იყოს, ან რაიმე ინფექცია ჰქონდეს, დავალევინებდი, მაგრამ ეს უბრალო ვირუსია და მძიმე წამლები საჭირო არ არის. დეჰიდრირებას კიდევ უფრო მოუმატებს.

— დარწმუნებული ხარ, რომ ვირუსია?

— მგონი, მე მაინც ექიმი მქვია, არა? — გამოცრა ლუისმა.

— ნუ მიყვირი! — შესძახა რეიჩელმა.

— არ გიყვირი! — ყვირილითვე უპასუხა ლუისმა.

— არა, მიყვირი, — წამოიწყო რეიჩელმა, — მი-მი-ი-ი-იყვირი... — და ტუჩები აუკანკალდა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. ლუისმა მის თვალებთან მუქი რგოლები შენიშნა და საკუთარი თავის შერცხვა.

— ვწუხვარ, — უთხრა ლუისმა და გვერდით მიუჯდა, — ღმერთო, არ ვიცი, რა დამემართა. მაპატიე, რეიჩელ.

— არასოდეს ითხოვო პატიება, არასოდეს ახსნა რაიმე, — დამფრთხალი ღიმილით თქვა რეიჩელმა, — ერთხელ შენ თვითონ არ მითხარი? ო, რა საძაგელი მოგზაურობა იყო. იცი, მეშინია, გეიჯის გარდერობში შეხედვისას თავი ჭერს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ მიარტყა. ალბათ ჯობს, სანამ პატიებას მთხოვ, ყველაფერი ახლავე გითხრა.

— რაო?

ისევ ის ღიმილი. — ჩემმა მშობლებმა გეიჯს ათი ახალი ტანსაცმელი უყიდეს. ერთ-ერთი დღესაც ეცვა.

— ჰო, ჯემპრი შევნიშნე. — მოკლედ უპასუხა ლუისმა.

— მეც შევნიშნე, რომ შენიშნე. — თქვა რეიჩელმა და ჩაიცინა, თუმცა სიცილის გუნებაზე სულაც არ იყო, — და ექვსი ახალი კაბა ეილისთვის.

— ექვსი კაბა! — თითქმის ბოლო ხმაზე წამოიყვირა ლუისმა და უეცრად უსაზღვრო მრისხანება და ტკივილი იგრძნო. — რატომ, რეიჩელ? რატომ მიეცი ამის უფლება? ჩვენ არ გვჭირდება... ჩვენითაც შეგვიძლია ვიყიდოთ...

ლუისი გაჩუმდა. მრისხანებამ დააბნია და უეცრად ისევ გაახსენდა, როგორ მიჰყავდა ეილის მკვდარი კატა ტყეში პოლიეთილენის მწვანე პაკეტით. ამ დროს კი ირვინ გოლდმენი — ბინძური ნაძირალა ლეიკ ფორესტიდან — ლუისის გოგონას თავისი საქვეყნოდ ცნობილი კალმით ხელმოწერილი ჩეკებით ხიბლავდა.

ლუისს შიგნიდან მოაწვა დაუოკებელი სურვილი, ხმამაღლა ეყვირა: *მან ექვსი კაბა უყიდა, მე კი მისი წყეული კატა მკვდრეთით აღვადგინე. აბა, ვის უფრო მეტად უყვარს ეილი?*

ლუისმა ეს სიტყვები თავის თავში ჩაკლა. მათ არასოდეს წარმოთქვამდა. არასოდეს. რეიჩელი კისერზე ფრთხილად შეეხო. — ლუის, — თქვა მან, — ეს საჩუქრები ორივემ უძღვნა. გთხოვ, მათიც გაიგე. ბავშვები ძალიან უყვართ, იშვიათად ნახულობენ და თან უკვე ბერდებიან. იცი, რომ გენახა, მამას ველარ იცნობდი, ლუის.

— ვიცნობდი, — ჩაიდუდღუნა ლუისმა.

— გთხოვ, საყვარელო. გემუდარები, გამოიჩინე გულკეთილობა. არაფერს გავნებს.

ლუისი კარგა ხანს უყურებდა. — ვერაფერს ვიზამ, მაინც მვნებს. შესაძლოა ეს არასწორია, მაგრამ ასეა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეიჩელმა პასუხის გასაცემად პირი გააღო, რომ უეცრად თავისი ოთახიდან ეილიმ დაიძახა: — მამიკო! დედიკო! ვინ-მეეე!

რეიჩელმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ლუისმა გააჩერა, — გეიჯთან დარჩი, მე მივალ, — თითქოს დარწმუნებული იყო, რა აყვირებდა ეილის. მაგრამ კატა ხომ გარეთ გასვა, ამის დედაც! სამზარეულოში ნახა, დალასლასებდა და მაშინვე გარეთ გაუძახა. არ უნდოდა, ღამით ეილისთან ერთად ყოფილიყო. უკვე აღარ. ამ უცნაურ ფიქრებზე ბიძია კარლის დამკრძალავი ბიურო გაახსენდა. ერთად დაძინებული ეილი და ჩერჩი რომ წარმოიდგინა, მაშინვე თვალწინ დაუდგა ის ავადსახსენებელი დაწესებულება.

აუცილებლად მიხვდება, რომ რაღაც რიგზე ვერ არის. ჩერჩი ადრე უკეთესი იყო.

გარეთ გასვა, თორემ ახლა ეილის ლოგინზე იქნებოდა წამოსკუპებული. ძილის დროს ჩამოუჯდებოდა და ბავშვს თავის ანთებულ თვალებს არ მოაცილებდა.

— მამიკო, გასვი გარეთ! — თითქმის მუდარით წამოიყვირა ეილიმ, — საზიზღრად ყარს.

— ჩშშ, ეილი, დაიძინე, — უთხრა ლუისმა და საკუთარ თავს საოცარი სიმშვიდე შეატყო. გაახსენდა ის დილა, პასკოუს სიკვდილის შემდეგ, როდესაც სამსახურში მისული დარწმუნებული იყო, რომ სახე საშინელ მდგომარეობაში ექნებოდა, მაგრამ როცა სარკეში ჩაიხედა, მიხვდა, რომ სრულებით არაფერი ეტყობოდა. მართლაც, რამდენი ავბედითი საიდუმლოს მატარებელი იყო ადამიანთა მშვიდი სახეები.

მაგრამ ეს საიდუმლო არ არის. ჯანდაბა! უბრალოდ, კატაა!

ეილი მართალი აღმოჩნდა. მართლა საშინლად ყარდა.

ლუისმა კატა ხელში აიყვანა და ქვევით ჩაიყვანა. გზად პირით სუნთქვას ცდილობდა. არსებობდა უარესი სუნიც — მაგალითად, განავლის. აგერ, ერთი თვის წინ არ იყო, ლუისმა პაფერს და მის ბიჭებს კანალიზაცია რომ ამოასუფთავებინა? — ნაღდი „შანელი ხუთია“, არა? — შენიშნა მაშინ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადმა. ეს იყო ისეთივე განგრენისებრი სუნი, როგორსაც სამედიცინო კოლეჯში ექიმი ბრეისერმანი „ცხელი ხორცისას“ უწოდებდა. ახლა ლუისი კიდევ უფრო უარეს სუნს გრძნობდა. ის აღემატებოდა დიდი ხნით ავტოფარეხში მდგომი „სივიკის“ კატალიზატორსაც.

მაგრამ როგორ მოხვდა სახლში, როცა თვითონვე გაიყვანა? ფრთხილად, ცოცხის დახმარებით, სანამ მისი ოჯახის სამივე წევრი მეორე სართულზე იყო. ამ მომენტში ლუისმა გაიაზრა, რომ თითქმის ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მან ჩერჩი ხელში აიყვანა. ეს იყო საოცრად მხურვალე, რაღაც ავადმყოფური შეხება და ლუისი ვერაფრით ხვდებოდა... — ოხ, სად ჯანდაბიდან შემოძვერი, ნაბიჭვარო?

უეცრად ლუისს გაახსენდა სიზმარი და პასკოუ, რომელიც დაკეტილ კარში სამზარეულოდან ავტოფარეხში უპრობლემოდ გავიდა.

შესაძლოა, არსადაც არ იყო ნაპრალი და ჩერჩიც სახლში პირდაპირ კარიდან შემოვიდა, როგორც მოჩვენება.

— ისევ პაკეტში ხომ არ გინდა, ა? — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ლუისმა ოდნავ ხრინწიანი ხმით.

ლუისს ეგონა, რომ ჩერჩი მის მკლავებში ფართხალსა და ბრჭყალებით კაწვრას მოჰყვებოდა, მაგრამ კატა მშვიდად იყო და მხოლოდ თავის რადიაციულ მხურვალებასა და სიმყრალეს გამოსცემდა. თან ლუისს თვალებში შეჰყურებდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მის აზრებს კითხულობდა.

კარი გააღო და კატა ავტოფარეხში — შესაძლოა ცოტა ძლიერად — გადააგდო და მიაძახა: — მიდი, დაიჭირე თაგვი ან რამე ეგეთი.

ჩერჩი უხერხულად დაეცა, თითქოს ქვედა კიდურები მოეღვენთა და ლუისსაც თავისი მწვანე, ამაზრზენი სიძულვილით სავსე თვალებით ამოხედა, მაგრამ მალევე გაიმართა და მთვრალივით, ბანცალ-ბანცალით წავიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღმერთო, ჯად, ნეტავ საერთოდ ხმა არ ამოგელო, — ლუისი ნიჟარასთან მივიდა და ხელები მაგრად დაიბანა. — *ეს იმიტომ გააკეთე, რომ სხვაგვარად არ შეგეძლო. იმ ადგილმა დაგიჭირა... შენ მიზეზები გამოიგონე... და ისინი კარგ მიზეზებად გეჩვენა... მაგრამ ძირითადად ეს იმიტომ მოხდა, რომ შენ იქ უკვე ნამყოფი იყავი და სხვაგვარად არ შეგეძლო... შენ იმ ადგილს ეკუთვნი... და შენ სამყაროში ყველაზე ტკბილი არომატის მქონე მიზეზებს იგონებ.*

არა, ჯადს ვერ დაადანაშაულებდა. იქ თავისი ნებით წავიდა, ჯადს ბრალი არ მიუძღოდა.

ონკანი დაკეტა და ხელები გაიმშრალა. თვალი კი სიბნელისკენ გაუშტერდა. *ნუთუ ეს ნიშნავს, რომ ახლა ის ჩემი ადგილიცაა? ჩემიც?*

არა. არ იქნება, თუ მე ეს არ მინდა.

პირსახოცი საკიდზე დაკიდა და მეორე სართულზე ავიდა.

რეიჩელი ლოგინში იწვა, საბანი ნიკაპამდე აეწია, გვერდით კი ფრთხილად მოეწვინა გეიჯი. ის ახლა ლუისს ბოდიშის გამომხატველი მზერით უყურებდა. — წინააღმდეგი ხომ არ იქნები, საყვარელო, ამაღამ რომ აქ დარჩეს? ძალიან ხურს.

— არა, — უპასუხა ლუისმა, — არა უშავს. ლოგინს ქვევით, დივანზე გავშლი.

— მართლა არა უშავს?

— ჰო. გეიჯს აქ დარჩენით არაფერი დაუშავდება და თან შენც უკეთ იგრძნობ თავს, — შემდეგ პაუზა აიღო და გაიღიმა, — თუმცა, ალბათ უეჭველად გადაგედება მისი ვირუსი, მაგრამ არა მგონია, ამან აზრი შეგაცვლევინოს.

რეიჩელმაც გაუღიმა და თავი გააქნია. — ეილის რა აწუხებდა?

— ჩერჩი. უნდოდა, რომ ჩერჩი გამეყვანა.

— ჩერჩი გაგეყვანა? აი, მოულოდნელობა.

— ჰო, ეგრეა, — დაეთანხმა ლუისი და დაამატა, — მითხრა, ჩერჩის ცუდი სუნი ასდისო. მგონი, ცოტათი მართლა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყარდა. ალბათ რაღაც სიბინძურეში ამოიგანგლა, ან რამე ეგეთი.

— უი, რა ცუდია, — თქვა რეიჩელმა და გვერდზე გადაწვა, — არადა, მეგონა, ჩერჩიც ისევე ენატრებოდა, როგორც შენ.

— ჰმ, — თქვა ლუისმა, დაიხარა და ცოლს ტუჩებში ნაზად აკოცა. — დაიძინე, რეიჩელ.

— მიყვარხარ, ლუ. მიხარია, რომ შინ დავბრუნდი. დივნის გამო ვწუხვარ.

— არა უშავს. — თქვა ლუისმა და შუქი ჩააქრო.

დაბლა ჩასულმა ლუისმა დივანზე პლედები გაშალა და წინასწარვე მოემზადა უხეშ მატრასზე ძილისთვის. კიდევ კარგი, დასაფენი მაინც ჰქონდა რამე. შემდეგ გახდა დაიწყო, მაგრამ შეჩერდა.

გგონია, ეს ისევ ჩერჩია? კარგი. გადი და შეამოწმე. როგორც რეიჩელს უთხარი, არა უშავს. შეიძლება ეს დაგეხმაროს კიდეც. შეამოწმე, რომ ყველა კარი და ფანჯარა იმდენად საიმედოდაა დაკეტილი, რომ შიგნით ვირუსიც კი ვერ შემოვა.

სწორედ ამიტომ, ლუისმა ადგილ-ადგილ მოიარა პირველი სართული, საკეტებიც შეამოწმა, თუმცა ჩერჩის კვალს ვერსად მიაგნო. — აჰა, — თქვა ლუისმა,— აბა, ვნახოთ, ამაღამაც თუ შემოხვალ, სულელო კატავ. — და ლუისი გონებრივად გაჰყვა სურვილს, ჩერჩის მოჰყინვოდა კვერცხები, რომლებიც ისედაც უკვე აღარ ჰქონდა.

შუქი ჩააქრო და ჩაწვა. ძილი თითქმის მაშინვე მოერია და ლუისიც ნელ-ნელა ჩაიძირა. არაკომფორტულად ეძინა, თუმცა როცა გამოეღვიძა, ის უკვე... *შინაური ცხოველების სასაფლაოს მიღმა, მიკმაკების მიწაზე იყო. ამჯერად მარტო. ახლა ჩერჩი უკვე თავად მოეკლა და მეორედ აცოცხლებდა. ღმერთმა იცის, რატომ. არც ლუისმა იცოდა. ამჯერად ჩერჩი უფრო ღრმად ჩაემარხა, თუმცა მიწის სიღრმიდან მაინც მოისმოდა მისი კნავილი. თან ეს კნავილი საოცრად ჰგავდა ბავშვის ტირილს. ეს ხმა მიწის შრეებს, ქვის ფენებს შორის*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღწევდა. ლუისი გრძნობდა საოცრად ლპობად, ბინძურ სუნს, მძიმედ სუნთქავდა და ეჩვენებოდა, რომ მკერდზე სიმძიმე ედო.

ეს ტირილი... ტირილი.

ტირილი გრძელდებოდა...

და მკერდზე ისევ სიმძიმე აწვებოდა.

— ლუის! — ეს რეიჩელის შეშფოთებული ხმა იყო, — ლუის, ვერ ამოხვალ? — არა, ეს შეშფოთებაზე მეტი იყო. ტირილი და ხველება კი გეიჯს ეკუთვნოდა.

ლუისმა თვალები გაახილა და მაშინვე ჩერჩის მომწვანო-მოყვითალოდ მოელვარე თვალებს შეეფეთა სულ ახლოს, ოთხი დუიმიც არ იქნებოდა. კატა ლუისს მკერდზე ეჯდა და ძალიან ჰგავდა ძველ ისტორიებში ნახსენებ კატას, რომელიც მსხვერპლს სუნთქვას ჰპარავდა.

გაოცებულმა ლუისმა ზიზღით წამოიყვირა და ჩერჩი ხელის აქნევით მოიშორა. კატა დივნიდან გადახტა, გვერდზე დაეცა და ოთახიდან ბანცალით გავიდა.

— ღმერთო! ღმერთო! ეს რა იყო... გულზე მეჯდა!

ეს ისეთივე საძაგლობა იყო, როგორიც, მაგალითად, ის, რომ პირში ობობა ჩაგიძვრეს. ლუისს ეგონა, გული აერეოდა.

— ლუის!

ლუისმა პლედები გადაყარა და კიბისკენ გაიქცა. საძინებლიდან მცირედი შუქი აღწევდა. რეიჩელს ღამის ხალათი ეცვა და კიბის თავთან იდგა.

— ლუის, ისევ გული ერევა... და ახველებს... ძალიან მეშინია.

— აქ ვარ, — უთხრა ლუისმა და გაიფიქრა: *როგორღაც შიგნით შემოვიდა. ალბათ სარდაფიდან. ეტყობა, იქ ფანჯარაა გატეხილი. ხვალვე გამოვცვლი სამსახურში წასვლამდე. მე...* — გეიჯმა ტირილი შეწყვიტა და რაღაც საძაგელი ხროტინის ხმა გამოსცა.

— ლუის! — წამოიყვირა რეიჩელმა.

ლუისმა ნაბიჯს უმატა, საძინებელში შევარდა და დაინახა მხარზე წამოწოლილი გეიჯი, რომელსაც პირიდან ნარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წყევი სდიოდა და რეიჩელის მიერ გაშლილ ძველ პირსახოცზე იღვრებოდა. ჰო, გული ერეოდა, მაგრამ საკმარისად — არა. მასის უმეტესობა ჯერ ისევ მის სხეულში იყო. გეიჯი იხრჩობოდა.

ლუისმა დოქტორ დენტონის კომბინეზონში გამოწყობილი ბავშვი ამოიიღლიავა და მხარზე გადაიკიდა. შემდეგ გეიჯის სხეულს მკლავები მოუჭირა და დაბლა დაქაჩა. ბავშვმა ოდნავ ამოაღებინა, თუმცა პირიდან მხოლოდ სქელი, თითქმის მყარი ნახველის მასა გადმოღვარა და იატაკი და კომოდი დასვარა. შემდეგ ტირილი მორთო, მაგრამ ეს ხმა ლუისს სიმღერის მსგავსად ჩაესმა. ასეთ ტირილს მხოლოდ ფილტვებში არსებული ულიმიტო ჰაერით თუ მოახერხებდით.

რეიჩელს მუხლები მოეკეცა და ლოგინზე დაეცა. თავზე ხელები წაიფარა და მთელი სხეულით აკანკალდა. — კინაღამ დაიხრჩო. კინაღამ... ლუის! ოჰ... ოჰ... ო, ღმერთო... — ლუისი ოთახში მიმოდიოდა, ხელში გეიჯი ეჭირა და აწყნარებდა. ტირილიც ნელ-ნელა ჩუმ სლუკუნში გადადიოდა და გეიჯს ეძინებოდა.

— ერთი თხუთმეტთან იყო შანსი იმისა, რომ გეიჯი დამხრჩვალიყო. უბრალოდ, ოდნავ წავეხმარე, რეიჩელ.

— მაგრამ, ძალიან ახლოს იყო... — თქვა და ლუისს გაფართოებული, გაოცებით სავსე თვალებით შეხედა. — ის ისე ახლოს იყო, ლუის...

უეცრად ლუისს გაახსენდა მზიან სამზარეულოში რეიჩელის მიერ ნათქვამი სიტყვები: *არ მოკვდება. აქ არავინ მოკვდება!*

— საყვარელო, — უთხრა ლუისმა, — ჩვენ ნებისმიერ დროს შეიძლება ახლოს ვიყოთ...

როგორც გაირკვა, გეიჯის თითქმის დახრჩობის მიზეზი რძე ყოფილა. რეიჩელმა თქვა, რომ მას შუალამით გაეღვიძა ლუისის დასაძინებლად წასვლიდან დაახლოებით ერთ საათში. ტიროდა. ეს „შიმშილის ტირილი“ იყო და ამიტომ რეიჩელმა მას რძიანი ბოთლი მიაწოდა. სანამ გეიჯი რძეს სვამდა, რეიჩელს ჩაეძინა, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კი ისევ ხველების ხმამ გააღვიძა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— აღარანაირი რძე. — თქვა ლუისმა და რეიჩელიც უსიტყვოდ დაეთანხმა. — აღარანაირი რძე.

შემდეგ ლუისი ქვევით ჩავიდა და დაახლოებით თხუთმეტი-ოცი წუთი კატას ეძებდა. ამ დროს აღმოაჩინა, რომ სამზარეულოსა და სარდაფს შორის კარი — როგორც მოელოდა — ოდნავ შეხსნილი იყო. ლუისს გაახსენდა დედამისის მიერ მოყოლილი ერთი კატის ამბავი, რომელმაც ბრჭყალებით ძველებური კარის გაღება ისწავლა. სარდაფის კარი კი სწორედ ასეთი იყო. — ალბათ, ის უბრალოდ კარის კიდეზე ფოფხდებოდა, — თქვა დედამ, — მერე კი მანამდე უქნევდა სახელურს თათს, სანამ კარს არ გააღებდა. *მშვენიერი ხერხია*, — გაიფიქრა ლუისმა, მაგრამ დიდად არ სურდა, ეს ხრიკი ჩერჩის ხშირად გაემეორებინა. ბოლო-ბოლო, ამ კარს თავისი საკეტი ჰქონდა. ლუისმა ჩერჩი ღუმელის ქვეშ იპოვა. იქიდან უცერემონიოდ გამოიყვანა და გარეთ გააგდო. დაწოლამდე კი კიდევ ერთხელ დაკეტა სარდაფის კარი.

ოლონდ ამჯერად ურდულიც გაუყარა.

29

დილით გეიჯს უკვე თითქმის ნორმალური ტემპერატურა ჰქონდა. ლოყები ისევ შესწითლებოდა, მაგრამ სხვა მხრივ არაფერი სჭირდა და თან მშვენიერ გუნებაზე იყო. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში კი, როგორც ჩანს, მისი უაზრო ტიტინი გასარჩევ სიტყვებად ქცეულიყო. ახლა ეილი ცდილობდა მისთვის „კუკების“ თქმა ესწავლებინა.

— თქვი კუკები, გეიჯ, — შვრიის ფაფის მეორე მხრიდან უთხრა ეილიმ.

— კუკები-გეიჯ, — უპასუხა გეიჯმა, რომელსაც წინ თავისი ფაფა ედგა. ლუისი დათანხმდა, რომ მას ამგვარად ესაუზმა, თუმცა ფაფას მინიმალური შაქარი უნდა ჰქონოდა. გეიჯი კი, როგორც წესი, საჭმლის მცირე ნაწილს ჭამდა, დანარჩენს კი თმასა და სახეზე იზელდა.

ეილიმ კისკისი დაიწყო. — თქვი კუილი, გეიჯ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გუილი-გეიჯ, — თქვა გეიჯმა და ფაფით გამოტენილი პირით ფართოდ გაიღიმა, — გუილი და კუკები.

ეილისა და ლუისს სიცილი აუტყდათ, რეიჩელმა კი მკაცრი სახით გახედათ. — მგონი, ამ დილისთვის ცუდი სიტყვები საკმარისია, — თქვა და ლუისს შემწვარი კვერცხი მიაწოდა.

— გუილი და კუკები, გუილი და კუკები, — მხიარულად დაიწყო სიმღერა გეიჯმა და ეილიმ ახლა ხელებში სახეჩარგულმა დაიწყო ხითხითი. რეიჩელს ტუჩები ოდნავ შეეხსნა და ლუისი მიხვდა, რომ ის ახლა თავს ბევრად უკეთ გრძნობდა. მართალია, თვალებს ირგვლივ უძილობის მუქი რგოლები ეტყობოდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ გულიდან დიდი ნაღველი მოსცილებოდა. გეიჯი უკეთ ჰყავდა და უკვე შინ იყო.

— მაგას ნუ ამბობ, გეიჯ, — უთხრა რეიჩელმა.

— ლანაზია, — თქვა გეიჯმა და ნაჭამი ფაფა პირიდან თეფშშივე ჩააბრუნა.

— უუუი მე! — წამოიყვირა ეილიმ და მაგიდას მოსცილდა.

ლუისს სიცილი აუტყდა. თავს ვერაფრით იკავებდა, ცრემლებამდე იცინა. შემდეგ გაჩერდა და ხელმეორედ დაიწყო. რეიჩელი და გეიჯი როგორც გიჟს, ისე უყურებდნენ.

არა, — შეეძლო ლუისს მათთვის ეთქვა, — არა, არ გავგიჟებულვარ, თავს მშვენივრად ვგრძნობო. არ იცოდა, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ ასე იყო.

ჯერჯერობით მაინც.

30

გეიჯს ვირუსმა ერთ კვირაში გაუარა, თუმცა შემდეგი ერთი კვირის თავზე უკვე ბრონქიტმა შემოუტია. მერე ეილისა და რეიჩელსაც გადასდო, სამივენი ძაღლებივით ახველებდნენ და ახლა ოჯახში შობის წინა დღეებში ჯანმრთელად მხოლოდ ლუისი დარჩენილიყო.

ისტერიკული აღმოჩნდა ბოლო კვირა უნივერსიტეტში ლუისის, სტივისა და ჩარლტონისათვის. გრიპის ეპიდემია არ იყო გავრცელებული — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბით, მაგრამ ბლომად იყო ბრონქიტის შემთხვევები, რამდენიმე მონონუკლეოზი და პნევმონია. ორი დღით ადრე, სანამ სტუდენტები საშობაო არდადეგებზე წავიდოდნენ, კლინიკაში მეგობრებმა ექვსი წყალში ჩაცვენილი მთვრალი მეგობარი მოიყვანეს. ტირილისა და გოდების ხმებმა ლუისს პასკოუს შემთხვევა გაახსენა, თუმცა ამჯერად აღმოჩნდა, რომ ექვს გენიოსს ერთ ტობოგანზე დასხდომა მოსურვებია. მეექვსე ბოლოში მჯდარს მხრებზე შესჯდომია, სრიალის დროს ტობოგანს სიჩქარე აუკრეფია და პირველი მსოფლიო ომისდროინდელ ზარბაზანს შესჯახებია. შედეგად მივიღეთ ორი მოტეხილი მხარი, მოტეხილი მაჯა, ჯამში — შვიდი მოტეხილი ნეკნი, ტვინის შერყევა და კიდევ მრავალი მცირედი დაზიანება, რომელთა ჩამოთვლაც არ ღირს. დაზიანებას მხოლოდ ის ბიჭი გადაურჩა, რომელიც მეგობარს მხრებზე ეჯდა. როცა ტობოგანი ზარბაზანს შეეჯახა, ეს იღბლიანი ციგიდან გადაფრინდა და პირდაპირ თოვლში ჩავარდა. ეს ყველაფერი სულაც არ იყო სასაცილო და არც ლუისი მორიდებია ბიჭებისთვის იმის პირდაპირ თქმას, რასაც მათზე ფიქრობდა მაშინ, როცა მათ ნაკერებს და სახვევებს ადებდა. მაგრამ შემდეგ იგივე ისტორია შინ რეიჩელს მოუყვა და იმდენი იცინა, რეიჩელი გაკვირვებული უყურებდა. ლუისი ვერაფრით ხსნიდა სიცილის მიზეზს. ბიჭები სრულიად სულელურად დაშავდნენ, მაგრამ ყველანი გადარჩნენ და ამიტომ სიცილიც შეიძლებოდა. ლუისისთვის ეს იყო ერთდროულად ტრიუმფისა და შვების გამოვლინება. მოკლედ, ეს ლუისის დღე იყო.

მათი ოჯახი ბრონქიტმა დაახლოებით 16 დეკემბრისთვის დატოვა, როცა ეილი საშობაოდ დაითხოვეს და ოთხივე საშობაო დღეების ოჯახურად, ძველებურად და სოფლურად გასატარებლად მოემზადა. ნორს ლადლოუში მდებარე სახლი, რომელიც ასე უცხო ეჩვენათ აგვისტოში, აქ მოსვლის პირველ დღეს (უცხო და თან სახიფათოც — ეილის ნატკენი ფეხის და გეიჯისთვის ფუტკრის კბენის გამო), ახლა მათთვის საოცრად ახლობელი გამხდარიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა საშობაო ღამეს ბავშვებმა საბოლოოდ დაიძინეს, ლუისი და რეიჩელი სხვენიდან ნაძვის ხესთან ქურდებივით ფეხაკრეფით ჩავიდნენ და საჩუქრების ფერადი ყუთების დალაგება დაიწყეს. აქ იყო გეიჯისთვის (რომელსაც მანქანებისადმი სიყვარული ცოტა ხნის წინ აღმოეჩინა) განკუთვნილი სარბოლო მანქანები, ბარბი და კენის თოჯინები — ეილისთვის, ასევე, საბავშვო პედლებიანი მანქანა, თოჯინების ტანსაცმელი, სათამაშო გაზქურა შიგნით დამონტაჟებული ნათურით და კიდევ მრავალი რამ.

ლუისი და რეიჩელი ნაძვის ხის ნათების ქვეშ დასხდნენ და ერთმანეთს მიეკვრნენ. რეიჩელს აბრეშუმის პიჟამა, ლუისს კი ხალათი ეცვა. ეს იყო ყველაზე სასიამოვნო საღამო მათ ცხოვრებაში. ბუხარში ცეცხლი ენთო, შიგადაშიგ კი რომელიმე დგებოდა და ცეცხლს შეშას ამატებდა.

ნაძვის ხესთან ჩერჩიმ ჩაიარა და ლუისს ფეხზე გაედო. ლუისმა კატა მაშინვე გააგდო და ამის მიზეზი ახლაც მისი საძაგელი სუნი იყო. შემდეგ ჩერჩი რეიჩელს მიუახლოვდა, მანაც ხელით გასწია შეძახილით, — ციც! — და ხელი ისე შეიწმინდა პიჟამაზე, თითქოს რაღაცისგან ძალიან დასვროდა. ლუისმა კი შენიშნა, რომ რეიჩელი ამ მოძრაობას თითქმის ვერ იაზრებდა.

ჩერჩიმ ბუხართან გადაინაცვლა და იატაკზე მოწყვეტით დაეშვა. კატას სრულებით დაეკარგა ძველებური გრაციოზულობა. გარდა ამისა, ლუისი ხვდებოდა, რომ მას კიდევ რაღაც დაეკარგა, მაგრამ ლუისი ახლაღა მიხვდა — რა. ჩერჩი აღარ კრუტუნებდა. ადრე კი ამ მხრივ ყოველთვის გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ძილში. ხანდახან ისე ხმაურობდა, რომ ლუისი ლოგინიდან დგებოდა და ეილის საძინებლის კარს კეტავდა. სხვაგვარად ვერ იძინებდა. ახლა კი კატა აღარ კრუტუნებდა. მკვდარივით ეძინა ხოლმე.

— არა, — შეახსენა საკუთარ თავს და ერთი გამონაკლისი გაახსენდა. იმ ღამით, რომელიც მან პირველ სართულზე, დივანზე გაატარა და რომლის დროსაც ჩერჩის მის მკერდზე ეძინა, კატა აშკარად კრუტუნებდა. ყოველ შემთხვევაში, რაღაც ხმას აშკარად გამოსცემდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა, როგორც ჯად კრენდოლი ამბობდა — *ყველაფერი არც ისე ცუდად იყო.* ლუისმა სარდაფში გატეხილი ფანჯარა შეაკეთა და ამით სახლის გათბობისთვის დასახარჯი საწვავი საგრძნობლად შეამცირა. ჩერჩი რომ არა, ის ფანჯარა თვეობით არ გაახსენდებოდა. ასე რომ, კატის მადლიერიც უნდა ყოფილიყო.

ეილის ჩერჩისთან ერთად ძილი აღარ უნდოდა, თუმცა ხანდახან, როცა ტელევიზორს უყურებდა, წინააღმდეგი არ იყო კატა მის კალთაში ჩამჯდარიყო და დაეძინა. *ძირითადად კი* — გაიფიქრა ლუისმა და ეილის ბეტ-ციკლის აწყობა განაგრძო, — *ეილი ჩერჩის ეტყოდა ხოლმე: წადი, ჩერჩი, ყარხარ.* — თუმცა ძველებური სიყვარულით აჭმევდა საჭმელს და შიგადაშიგ გეიჯიც ტრადიციულად ექაჩებოდა კუდზე. არა მტრულად, არამედ... მეგობრულად და თბილად. ლუისი ასე ფიქრობდა. ამ მომენტებში გეიჯი ემსგავსებოდა პატარა მნათეს, რომელიც ზარზე გამობმულ თოკს ექაჩებოდა. მერე ჩერჩი ოდნავ წამოიჩხავლებდა და სადმე რადიატორის ქვეშ შეძვრებოდა, სადაც გეიჯი ვერ მისწვდებოდა.

ალბათ ძაღლი რომ იყოს, უფრო მეტ განსხვავებას შევატყობდით, — გაიფიქრა ლუისმა, — *მაგრამ წყეული კატები დამოუკიდებელი ცხოველები არიან. დამოუკიდებელი და უცნაური. რაღაც განსმდგომები.* ლუისს არ უკვირდა, რატომ ითხოვდნენ ეგვიპტელი დედოფლები და ფარაონები მათთან ერთად მუმიფიცირებული კატების დაკრძალვასაც, რომლებიც მათ შემდეგ ცხოვრებაში გაუძღვებოდნენ. კატები ყოველთვის უცნაურები იყვნენ.

— აბა, ბეტ-ციკლის ამბავი როგორ მიდის, შეფ?

ლუისმა აწყობილი მოტოციკლი მაღლა ასწია. — ტა-დამ!

რეიჩელმა სათამაშოს ყუთზე მიუთითა, რომელშიც პლასტმასის ოთხი დეტალი ეყარა. — ეს რაღაა?

— დამატებითი ნაწილები. — დამნაშავის ღიმილით უპასუხა ლუისმა.

— იმედია, მართლა ეგრეა და ბავშვი კისერს არ მოიტეხს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— არა, ეგ მომავალში მოუწევს, — ირონიულად თქვა ლუისმა, — აი, თორმეტი წლის რომ იქნება და მეგობრებთან სკეიტბორდით იმეტიჩრებს.

რეიჩელი მოიღუშა. — კარგი რა, დოკ, რა უგულო ხარ!

ლუისი წამოდგა, ხელები ზურგზე დაიწყო და მკერდი წინ გამოზნიქა. ხერხემალმა დაიტკაცუნა. — ესეც ასე.

— იმედია, ყველაფერი ავაწყვეთ. შარშანდელი შობა გახსოვს? — ჩაიხითხითა რეიჩელმა და ლუისსაც გაეღიმა. წინა წელს, როგორც აღმოჩნდა, ყველა სათამაშო ასაწყობი იყო და რეიჩელი და ლუისიც დილის ოთხამდე აწყობდნენ. ორივეს ქანცგაწყვეტილს დაეძინა, მეორე დღეს კი ნახეს, რომ ეილის სათამაშოებზე მეტად მათი ყუთები აინტერესებდა.

— ფუფ! — ეილის ხმით წარმოთქვა ლუისმა.

— კარგი, წამოდი, დავწვეთ, საშობაო საჩუქარს ნაადრევად მოგიძღვნი.

— ქალო, — მხრებში ფართოდ გაიმართა ლუისი, — შენ ისედაც მე მეკუთვნი.

— არც კი იოცნებო, — სიცილით უთხრა რეიჩელმა და ამ მომენტში საოცრად დაემსგავსა ეილისაც... და გეიჯსაც.

— ერთი წუთით, — თქვა ლუისმა, — კიდევ რაღაც დარჩა. — შემდეგ ნაჩქარევი ნაბიჯით მივიდა კარადასთან და შიგნიდან ცალი ყელიანი ფეხსაცმელი გამოიღო, ბუხარს მიუახლოვდა და დამცავი მოხსნა.

— რას აკეთებ, ლულ...

— ნახავ.

ცეცხლი მარცხენა მხარეს უკვე ჩამქრალიყო და სქელი რუხი ფერფლი დაეტოვებინა. ლუისმა ყელიანი ფეხსაცმელი შიგნით ჩაყო, ძირი კარგად დაუსვარა და შემდეგ ამავე ძირით ქვის კედელს მიაწვა.

— ესეც ასე, — თქვა და ფეხსაცმელი ისევ კარადაში შეინახა. — მოგწონს?

რეიჩელი ისევ ხითხითებდა. — ეილი გაგიჟდება, ლუის.

ბაღის ბოლო ორი კვირის განმავლობაში ეილიმ სხვადასხვა ჭორი მოისმინა იმის შესახებ, რომ სანტა კლაუსი ნამ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დვილი არ იყო და საჩუქრებს მშობლები ყიდულობდნენ. ეს აზრები გაუმყარა ბანგორ მოლში ნანახმა გამხდარმა სანტამაც, რომელსაც წვერი დაბლა ჩამოსწეოდა და, დახლთან მჯდომი, ჩიზბურგერს შეექცეოდა. ამ შემთხვევაში ეილი უფრო მეტად ჩიზბურგერმა დაამწუხრა, ვიდრე ხელოვნურმა წვერმა. ეს ეჭვები ბოლომდე ვერც რეიჩელმა გაუქრო, რომელმაც სანტასფორმიანი ადამიანების შესახებ უთხრა, რომ ისინი, უბრალოდ, სანტას დამხმარეები იყვნენ და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მას საჩუქრების შეგროვებაში ეხმარებოდნენ. აბა, სანტა ყველა ბავშვის საჩუქარს მარტო ხომ ვერ მოაგროვებდა?

ლუისმა ბუხრის დამცავი თავის ადგილზე დააბრუნა და ოდნავ შორიდან დააკვირდა ორ ნაფეხურს — ერთს ნაცარში, მეორეს კედელზე. ორივე მათგანი ნაძვის ხისკენ იყო მიმართული, თუმცა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სანტა საკვამურიდან ცალ ფეხზე ჩამოხტა და ნაძვის ხისკენ კრიდების ბავშვებისთვის სათამაშოების დასაწყობად დაიძრა. თან ბუხარში დატოვებული ორივე კვალი მარცხენა ფეხს ეკუთვნოდა. თუმცა, ლუისს ეეჭვებოდა, რომ ეილის ეს დეტალები შეემჩნია.

— მე შენ მიყვარხარ, ლუის კრიდ. — უთხრა რეიჩელმა და აკოცა.

— შენ სულით გამარჯვებულს გაჰყევი ცოლად, პატარავ, — გულწრფელად გაუღიმა ლუისმა, — ჩემთან დარჩი და მე შენ ვარსკვლავად გაქცევ.

შემდეგ კიბისკენ დაიძრნენ, თუმცა ლუისი შეჩერდა და რეიჩელს ტელევიზორის წინ მდგარი ჟურნალების მაგიდისკენ მიანიშნა, სადაც ეილის ორცხობილები, ორი ცალი „რინგ-დინგის“ პუდინგი და ერთი ქილა „მიკელობი“ დაეტოვებინა დიდ სანიშნე ფურცელზე მხატვრულად გაკეთებული წარწერით — „ეს შენ, სანტა“.

— აბა, ორცხობილა გინდა თუ „რინგ-დინგი“?

— „რინგ-დინგი“, — უპასუხა რეიჩელმა და პუდინგს ნახევარი მოაჭამა. ლუისმა მაგიდიდან ლუდის ქილა აიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ასეთი გვიანი ლუდის შემდეგ გულძმარვა არ ამცდება, — თქვა ლუისმა.

— ჯანდაბას, — მხიარულად მიუგო რეიჩელმა, — მიდი, დოკ.

ლუისმა ქილა ისევ მაგიდაზე დადგა და შემდეგ უეცრად ხელი ხალათის ჯიბეზე იკრა. თითქოს რაღაც დავიწყებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საღამო ამაზე ფიქრობდა.

— აგერ, ეს შენ. შეგიძლია გახსნა, უკვე შუაღამეს გადასცდა. შობას გილოცავ, პატარავ.

რეიჩელს ხელში ეჭირა პატარა ყუთი, რომელიც ვერცხლისფერ ქაღალდში გაეხვიათ და ფართო ატლასის ლურჯი ლენტით შეეკრათ. — ეს რა არის, ლუის?

ლუისმა მხრები აიჩეჩა. — საპონი. ერთჯერადი შამპუნი. აღარ მახსოვს, დამავიწყდა.

რეიჩელმა ქაღალდი კიბეზე გახსნა და როცა შიგნით „ტიფანის“ ყუთი დაინახა, წამოიკივლა. შიგნიდან ბამბის სახვევი ამოიღო და როცა ისიც გახსნა, გაოცებისგან პირი დააღო.

— აბა? — აღელვებით ჰკითხა ლუისმა. მართლა ძალიან ღელავდა, რადგან ცოლისთვის ნამდვილი ძვირფასეულობა აქამდე არასოდეს უჩუქებია. — მოგწონს?

რეიჩელმა მშვენიერი ოქროს ძეწკვი ამოიღო და თითებს შორის გაშალა. შემდეგ პაწაწინა საფირონის ქვას სინათლეზე გახედა. საოცრად ლამაზი ქვა იყო და ახლა ცივ, მოლურჯო სხივებს ირეკლავდა.

— ოჰ, ლუის, წარმოუდგენლად ლამაზია... — აღელვებისა და გაოცებისაგან რეიჩელი ლამის ტიროდა.

— კარგი, რა, პატარავ, არ გინდა, — უთხრა ლუისმა, — მიდი, გაიკეთე.

— ლუის, ჩვენ ასეთი საჩუქრების ყიდვის უფლება არ გვაქვს...

— ჩშშ, — უთხრა ლუისმა, — ფულს წინა შობის მერე ვაგროვებდი... თან ძალიან ძვირიც არ ღირდა.

— რა ღირდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მაგ კითხვაზე არასოდეს გიპასუხებ, რეიჩელ, — მტკიცედ მიუგო ლუისმა, — თუგინდ ჩინელი მტარვალების არმია დამასიო, ხმას მაინც არ ამოვიღებ. ორი ათასი დოლარი.

— ორი ათასი... — სიტყვა გაუწყდა რეიჩელს და ქმარს ისე მაგრად ჩაეხუტა, რომ ლუისი კინაღამ კიბიდან ჩაგორდა. — გიჟი ხარ, ლუის!

— გაიკეთე. — გაიმეორა ლუისმა.

გაიკეთა და შეკვრაში ლუისი დაეხმარა. შემდეგ რეიჩელი შემობრუნდა და მას შეხედა. — მინდა ზევით ავიდე და სარკეში ჩავიხედო, — თქვა რეიჩელმა, — მინდა გავიპრანჭო.

— მიდი, გაიპრანჭე. მანამდე კატას გარეთ გავიყვან და შუქებს ჩავაქრობ.

— როცა დავიწყებთ, — პირდაპირ თვალებში ჩახედა რეიჩელმა, — მინდა რომ არაფერი მეცვას და მხოლოდ ეს სამკაული მეკეთოს.

— მაშინ დროულად გაიპრანჭე, — უთხრა ლუისმა და რეიჩელს გაეცინა.

ჩერჩი ხელში აიყვანა. ბოლო დღეებში ცოცხს აღარ იყენებდა. როგორც ჩანს, მიუხედავად ყველაფრისა, კატის ამ მდგომარეობას თავადაც ეგუებოდა. შემდეგ გასასვლელისკენ დაიძრა და გზად შუქები ჩააქრო. როცა სამზარეულოდან ავტოფარეხში გასასვლელი კარი შეაღო, კოჭებში ცივმა ჰაერმა დაუბერა.

— შობას გილოცავ, ჩე...

სიტყვა გაუწყდა. ზღურბლთან მკვდარი ყვავი ეგდო. თავი ჰქონდა დაჩეხილი, ცალი ფრთაც მოსწყვეტოდა და იქვე, სხეულიდან მოშორებით, ფურცელივით ეგდო. ჩერჩი დაუყოვნებლივ გადახტა ლუისის ხელებიდან და მადიანად მივარდა გაყინულ გვამს. ლუისი უყურებდა, როგორ გასწია ჩერჩიმ წინ თავი, ყურები უკან გადაეპრიხა და სანამ ლუისი რაიმეს მოიმოქმედებდა, ყვავს რძისფერი, მოელვარე ცალი თვალი ამოუგდო.

ჩერჩი საპასუხო შეტევაზე გადადის, — გაიფიქრა ლუისმა ავადმყოფური ფიქრით და თავი მოაბრუნა. მიუხედავად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმისა, რომ იცოდა, მკვდარი ყვავი მასთან არაფერ შუაში იყო. მას ხომ უარესებიც უნახავს? მაგალითად, პასკოუ. პასკოუ ბევრად უარესი იყო, მაგრამ ყვავი მაინც აწუხებდა. მუცელში მაგრად სჭრიდა, სექსუალური აღელვებით გამოწვეული სითბო ერთიანად გაქრა. *ღმერთო, ეს ჩიტი თითქმის მისი ზომისაა.* ალბათ, უყურადღებოდ მოიქცა. ხო, ძალიან უყურადღებოდ.

ეს ასასუფთავებელი იყო. შობის დილას ასეთი საჩუქარი არავის გაუხარდებოდა და თან ეს მის პასუხისმგებლობას განეკუთვნებოდა, არა? რა თქმა უნდა. მისი და სხვა არავისი. ეს იმ წუთიდანვე გაიაზრა, როცა აეროპორტიდან შინდაბრუნებულმა საბურავებს ძალით წაჰკრა ფეხი, რათა ჩერჩის მიერ მოკლული თაგვი დაემალა.

ის ქვის ზედაპირითაა დაფარული.

ეს ფიქრი იყო ისეთი აშკარა, ისეთი სამგანზომილებიანი, რომ ლუისი ოდნავ შეკრთა. თითქოს ახლა მის მხართან ჯადი იდგა და ხმამაღლა ლაპარაკობდა.

კაცი, რაც შეუძლია, იმას ზრდის და უვლის.

ჩერჩი ისევ მკვდარ ჩიტს ედგა თავზე და ამჯერად შერჩენილ ფრთას უმუშავებდა. ისმოდა საშინელი ტკაცუნის ხმები, ჩერჩი ჩიტის სხეულს კბილებით წეწავდა. ის ვეღარასოდეს აფრინდება, ორვილ. სწორია, უილბურ[1]. ეს წყეული ჩიტი ძაღლის განავალივით მკვდარია და შესაძლოა კატის საკვებადაც გამოდგეს. შესაძლოა... — უეცრად ლუისმა ჩერჩის ფეხი ჰკრა და თან საკმაოდ ძლიერად. კატის ფეხები ჰაერში აიწია და დაბლა დაეშვა. დაშვებისას კი ჩერჩიმ ლუისს თავისი მახინჯი მოყვითალო-მომწვანო თვალებით გამოხედა. — შემჭამე. — კატისებრი ხმით წაიკნავლა ლუისმა.

— ლუის? — მოისმა საძინებლიდან რეიჩელის ოდნავ გასარჩევი ხმა, — აღარ მოდიხარ?

— ახლავე. — გასძახა ლუისმა. *ოღონდ, ჯერ აქაურობა უნდა ავწმინდო, რეიჩელ. კარგი? იმიტომ, რომ აქ საშინე-*

[1] *საუბარია ამერიკელ ავიატორებზე, ძმებ ორვილ და უილბურ რაიტებზე, რომლებმაც პირველი თვითმფრინავი შექმნეს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლება ხდება. შემდეგ ავტოფარეხში შუქი აანთო, სწრაფად მივიდა ნიჟარასთან, ნაგვის მწვანე პაკეტი გამოიღო, ავტოფარეხში დაბრუნდა, ნიჩაბს მიაგნო და შემდეგ ამ ნიჩბით მკვდარი ყვავი მწვანე პაკეტში ჩასვა. პაკეტს თავი მაგრად მოუკრა და ავტოფარეხის შორეულ კედელთან მდგომ სანაგვეში ჩააგდო. როცა ამ ყველაფერს მორჩა, იგრძნო, რომ ფეხები ეკეცებოდა.

ჩერჩი ავტოფარეხის კართან იდგა. ლუისმა ნიჩბით ანიშნა და ჩერჩიც ლანდივით გაუჩინარდა.

რეიჩელი ლოგინში მართლაც, დაპირებისამებრ, მხოლოდ ყელსაბამით იწვა. როცა ლუისი ოთახში შევიდა, ეშმაკურად გაულიმა, — ამდენი ხანი სად ხართ, შეფ?

— ნიჟარის თავზე ნათურა გადაიწვა და გამოვცვალე.

— მოდი აქ, — უთხრა რეიჩელმა და ფაქიზად მიიზიდა თავისკენ, ოღონდ ხელით არა. — მან იცის, რომ გეძინა,[1] — წაიღიღინა ჩუმად და ტუჩის კუთხეებს ღიმილი მისწვდა. — მან იცის, რომ გღვიძავს... ოჰ, ძვირფასო ლუის, ეს რა არის?

— რაღაც, რასაც აშკარად ღვიძავს, — მიუგო ლუისმა და ხალათი გადაიძრო, — იქნებ გავარკვიოთ, სანტას მოსვლამდე მის დაძინებას შევძლებთ თუ არა? რას ფიქრობ?

რეიჩელი ცალ იდაყვზე წამოიმართა. ლუისმა მისი თბილი და ტკბილი სუნთქვა იგრძნო.

— მან იცის, როგორ იქცეოდი... ასე რომ, კარგად მოიქეცი... ღვთის გულისათვის... ლუის, ხომ კარგი ბიჭი ხარ?

— მგონი ჰო, — თქვა ლუისმა მინავლებული ხმით.

— აბა, ვნახოთ, გემოზეც ისეთივე კარგი ხარ, როგორც გამოიყურები თუ არა.

კარგი სექსი ჰქონდათ, მაგრამ ლუისს მაინც არ ეძინებოდა, როგორც ეს ჩვეულებრივ კარგი სექსის შემდეგ ხდებოდა ხოლმე. როცა ერთიანად ავიწყდებოდა საკუთარი თავიც, ცოლიც და მთელი ცხოვრებაც. ახლა, უბრალოდ, შობის ღა-

---

[1] *რეიჩელი ღიღინებს ტექსტს სიმღერიდან „სანტა-კლაუსი ქალაქში მოდის“ (Santa Claus Is Comin' to Town).*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მის სიბნელეში იწვა და რეიჩელის ღრმა, მშვიდ სუნთქვას უსმენდა. ფიქრით კი იმ მკვდარ ჩიტზე ფიქრობდა, რომელიც ჩერჩის მისთვის საშობაო საჩუქრად მოერთმია.

დამიმახსოვრე, დოქტორო კრიდ. მე ვიყავი ცოცხალი, მე ვიყავი მკვდარი და ახლა ისევ ცოცხალი ვარ. მთელი ციკლი გავიარე და ახლა აქ იმისთვის ვარ, რომ გითხრა — როცა იქიდან ბრუნდები, კისერი გწყდება, მაგრამ ნადირობის წყურვილი გიძლიერდება. მე აქ ვარ იმიტომ, რომ გითხრა — კაცი ზრდის იმას, რაც შეუძლია და ყურადღებას აქცევს მას. არ დაგავიწყდეს, დოქტორო კრიდ. მე იმის ნაწილი ვარ, რასაც ახლა შენი გული გაზრდის. იქ არიან შენი ცოლი, შენი გოგონა, შენი ბიჭი და... იქ ვარ მე. საიდუმლო დაიხსომე და შენს ბალს კარგად მოუარე.

ლუისს, როგორც იქნა, ჩაეძინა.

31

ზამთარმა ჩაიარა და ეილისაც სანტა კლაუსის რწმენა დაუბრუნდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ამაში განსაკუთრებით ბუხარში ნაპოვნი ნაფეხურები დაეხმარა. გეიჯმა თავისი საჩუქრები რომ გახსნა, შიგადაშიგ შესაფუთი ჭრელი ქაღალდების გემოთიც დაინტერესდა, შუადღისთვის კი უკვე ორივე ბავშვმა დაადგინა, რომ საჩუქრებზე საინტერესო მათი ყუთები იყო.

ახალ წელს კრენდოლები ეწვივნენ და რეიჩელის ეგნოგი[1] გასინჯეს. ლუისმა შენიშნა, რომ შინაგანად მთელი საღამო აკვირდებოდა ნორმას, რომელიც საოცრად გაფერმკრთალებულიყო. ბებიამისი იტყოდა, რომ ნორმა უკვე „ეშვებოდა“ და ახლა, სავარაუდოდ, სწორედ ასე იყო. მისი ჩამომხმარი, ართრიტიანი ხელები ერთიანად ლაქებით დაფარულიყო. კრენდოლები ათი საათისკენ წავიდნენ. ასე რომ, კრიდები ახალ წელს ტელევიზორთან ორნი შეხვდნენ. იმ დღეს ნორმა მათ სახლს უკანასკნელად სტუმრობდა.

---

[1] *კვერცხისა და ღვინის კოქტეილი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისის არდადეგები უმეტესწილად წვიმიანი და ტალახიანი გამოდგა. ნაადრევმა დათბობამ, რა თქმა უნდა, ხარჯები შეამცირა, მაგრამ სეზონთან შეუსაბამო ამინდი მაინც არასასიამოვნო იყო. ლუისი ძირითადად შინ მუშაობდა. წიგნების და ჭურჭლის თაროებს ცოლისთვის, თავისთვის კი კაბინეტში „პორშეს“ მოდელს აწყობდა. სწავლა ოცდასამ იანვარს განახლდა. ლუისი სამსახურში დაბრუნებით მოხარული იყო.

გრიპის ეპიდემია მაინც გავრცელდა და, ასე თუ ისე, მთელი კამპუსი მოიცვა გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდან ერთ კვირაზე ნაკლებ დროში. ლუისს უამრავი საქმე ჰქონდა და დღეში ათ, ხანდახან კი თორმეტ საათსაც მუშაობდა და შინ გამოფიტული ბრუნდებოდა, თუმცა ეს დიდად არ აწუხებდა.

სიცივეები ოცდაცხრა იანვრიდან დაბრუნდა. ერთი კვირის განმავლობაში ტემპერატურა ნულ გრადუსსაც ჩამოსცდა და საშინელი ყინვები დაიჭირა. ერთ-ერთ ასეთ დღეს ლუისი ამოწმებდა, თუ რა მდგომარეობაში ჰქონდა ერთ ახალგაზრდა კაცს მოტეხილი ხელი და როგორ მიმდინარეობდა პროცესი. ბიჭს გულწრფელად სჯეროდა, რომ გაზაფხულზე ბეისბოლის თამაშს განაახლებდა, მაგრამ ლუისს ამაში ეჭვი ეპარებოდა. ამასობაში ოთახში მედდამ შემოიხედა და ლუისს უთხრა, ტელეფონზე ცოლი გირეკავთო.

ლუისი ტელეფონზე სალაპარაკოდ კაბინეტში გავიდა. რეიჩელი ტიროდა, აშკარად ძალიან შეშფოთებული ჩანდა. *ეილი,* — გაიფიქრა ლუისმა, — *ალბათ, ციგიდან ჩამოვარდა და მხარი იტკინა, ან თავი დაარტყა.* — ლუისს უეცრად ტობოგანიდან გადმოცვენილი ბიჭები გაახსენდა.

— ბავშვებს რამე შეემთხვათ? — იკითხა მან, — რეიჩელ!

— არა, არა, — რეიჩელი კიდევ უფრო ატირდა, — ბავშვებს არაფერი სჭირთ. ეს ნორმა... ლუ. ნორმა კრენდოლი. ამ დილით გარდაიცვალა. როგორც ჯადმა მითხრა, სადღაც რვა საათისკენ, საუზმობიდან მალევე. მაშინვე ჩვენთან მო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიდა, მაგრამ ვუთხარი, რომ ნახევარი საათის წასული იყავი. ის... ოჰ, ლუ, ის ისეთი დაბნეული და განადგურებული... ისეთი დაბერებული იყო. მადლობა ღმერთს, ეილიც წასული იყო და გეიჯი კი ძალიან პატარაა საიმისოდ, რომ რაიმეს მიხვდეს.

ლუისმა წარბები შეკრა. მიუხედავად ამ საშინელი ამბისა, მას უფრო რეიჩელი აშფოთებდა, რომლის გონებაც ახლა სრულებით არეულიყო. ეს ისევ მოხდა. ვერაფერს იზამდი, რადგან ყველაფერი ძალიან ცხადი და მარტივი იყო. სიკვდილი იყო საიდუმლო, ტერორი, რომლის შესახებაც ბავშვებს არაფერი არ უნდა გაეგოთ. ისევე უნდა დაფარულიყო მათგან ეს საიდუმლოება, როგორც ვიქტორიანულ ეპოქაში ბავშვებს სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველანაირ ინფორმაციას უმალავდნენ.

— ღმერთო, — თქვა ლუისმა, — გულით?

— არ ვიცი, — რეიჩელი აღარ ტიროდა, მაგრამ შიგადაშიგ კრუსუნებდა და ქვითინებდა. — შეძლებ, რომ მოხვიდე, ლუის? ის შენი მეგობარია და მგონი, ახლა სჭირდები.

ის შენი მეგობარია.

მართლაც ასეა. — გაიფიქრა ლუისმა ოდნავი გაკვირვებით, — *არასოდეს მეგონა, რომ ოთხმოცი წლის მეგობარი მეყოლებოდა, მაგრამ ასე მოხდა.* — მერე კი დაფიქრდა იმაზე, რომ მათ შორის არსებული საიდუმლოს გათვალისწინებით, ნამდვილად უმჯობესი იყო, მეგობრები ყოფილიყვნენ. თუმცა, ისინი დამეგობრდნენ ბევრად ადრე, სანამ ამას ლუისი მიხვდებოდა. სწორედ ამიტომ დაეხმარა ჯადი მას, როცა ასე ძლიერ სჭირდებოდა. და მიუხედავად მკვდარი ჩიტებისა და თაგვებისა, ლუისი უკვე რწმუნდებოდა, რომ ჯადი სწორად მოიქცა. ან, თუ ცდებოდა, სრული თანაგრძნობით მაინც იყო განმსჭვალული. ამ ყველაფრის გამო ლუისი ახლა თავადაც ყველაფერს გააკეთებდა, რათა მოხუცს, მისი საყვარელი ადამიანის დაღუპვის შემდეგ, რითაც შეეძლო, ყველაფრით დახმარებოდა.

— უკვე მოვდივარ. — თქვა ლუისმა და ყურმილი დაკიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

32

ნორმას სიკვდილის მიზეზი ინსულტი აღმოჩნდა. უეცარი, უმტკივნეულო ინსულტი. როცა შუადღით ლუისმა სტივ მასტერტონს დაურეკა და მომხდარის შესახებ მოუყვა, სტივმა უთხრა, რომ ამგვარ სიკვდილზე არც თავად იტყოდა უარს.

— ღმერთი ნელ-ნელა გვექაჩება და გვაწვალებს, — თქვა სტივმა, — ზოგჯერ კი, უბრალოდ, თითს დაგვადებს და გვეუბნება, რომ ჩვენი დრო ამოიწურა.

რეიჩელს ამაზე საუბარი არ სურდა და ამის უფლებას არც ლუისს აძლევდა. ეილი დიდად დამწუხრებული არ იყო, უფრო მეტად დაკვირვებული და დაინტერესებული ჩანდა. ლუისის აზრით, სწორედ ეს იყო ექვსი წლის ჯანსაღი ბავშვის ადეკვატური მდგომარეობა. ეილის აინტერესებდა, მისის კრენდოლს სიკვდილის მომენტში თვალები ღია ჰქონდა თუ დახუჭული. ლუისმაც ალალად უპასუხა, არ ვიციო.

ჯადს თავი მტკიცედ ეჭირა, იმის გათვალისწინებით, რომ ცოცხალი აღარ იყო ქალი, რომელთან ერთადაც სარეცელს თითქმის სამოცი წლის განმავლობაში იყოფდა. ლუისმა მოხუცი სამზარეულოს მაგიდასთან მჯდომი ნახა. ჯადი მართლაც ძალიან მოხუცებულიყო. იჯდა თავისთვის ეს ოთხმოცდასამი წლის კაცი, „ჩესტერფილდს“ ეწეოდა, ბოთლიდან ლუდს სვამდა და მისაღებ ოთახში გაშტერებული იყურებოდა.

როცა ლუისი მიუახლოვდა, აიხედა. — ესეც ასე. წავიდა, ლუის, — თქვა ჯადმა რაღაც იმგვარი მტკიცე ხმით, რომ, ლუისის აზრით, ის, სავარაუდოდ, მომხდარს ბოლომდე ვერც იაზრებდა. თუმცა, შემდეგ ჯადს ტუჩები აუკანკალდა, თვალებზე ხელი აიფარა და ტირილი დაიწყო. ლუისი მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოხვია და თავადაც ატირდა. კარგი, გასაგებია, ჯადი ცოლის დაღუპვის ფაქტს ბოლომდე აცნობიერებდა.

— არა უშავს, — უთხრა ლუისმა, — არა უშავს, იტირე, ჯად. დარწმუნებული ვარ, მასაც ენდომებოდა, ცოტა რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გეტირა. — ჯადი მაგრად ეხუტებოდა, ლუისი თანაგრძნობას არ იშურებდა.

ათი წუთის განმავლობაში ტიროდა, შემდეგ დამშვიდდა და ლუისს მომხდარის შესახებ უამბო. ლუისი უსმენდა როგორც ექიმი და როგორც მეგობარი. უსმენდა და აკვირდებოდა ჯადის საუბარში შემჩნეულ ნებისმიერ ცვლილებას. აკვირდებოდა მისი საუბრის მანერას — დროისა და სივრცის განსაზღვრებებს. ვინაიდან სივრცობრივად ჯად კრენდოლი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ლადლოუს არ გასცდენია, ახლა მთავარი იყო, მას ნორმას სახელი აწმყო დროში არ მოეხსენიებინა. ლუისმა შენიშნა, რომ ჯადს საუბარი პრაქტიკულად არ გასძნელებია. არადა, კარგად იცოდა უამრავი შემთხვევა, როცა ასაკოვანი ცოლ-ქმარი ხშირად ერთი მეორეს მიჰყვებოდნენ. პირველის სიკვდილიდან ერთ თვეში, ერთ კვირაში ან ერთ დღეშიც კი ბევრჯერ მომკვდარა მეორე. თითქოს იქ ხელიხელჩაკიდებულები მიდიოდნენ და თითქოს ჩქარობდნენ, კვლავაც შეხვედროდნენ ერთმანეთს. ლუისმა იცოდა, რომ ეს ფიქრები ჩერჩის ამბის შემდეგ დაეწყო და აქამდე ყურადღებას არასოდეს აქცევდა. საბოლოოდ კი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ, მართალია, ჯადს ნორმას სიკვდილის გადატანა ძალიან უმძიმდა, მაგრამ მაინც მტკიცედ იდგა. ლუისი ხედავდა, რომ არც ერთი ის გამოსააშკარავებელი ნიშანი, რომელსაც ახალი წლის წინადღეს კრიდების მისაღებში ეგნოგის სმისას ნორმას ამჩნევდა, ჯადს არ ეტყობოდა.

ჯადმა ლუისს მაცივრიდან ლუდი გამოუღო. სახე ტირილისგან შესივებული და შეწითლებული ჰქონდა.

— დღეს ცოტა ადრე გვიწევს დაწყება, — თქვა მან, — მაგრამ მსოფლიოში ბევრგან მზე უკვე ჩასულია და ამ გარემოების გათვალისწინებით...

— საკმარისია, — შეაწყვეტინა ლუისმა და ჯადს გახედა, — ნორმას გაუმარჯოს?

— ჰო, ეგრე იყოს, — თქვა ჯადმა, — ოხ, თექვსმეტი წლის რომ იყო, მაშინ უნდა გენახა, ლუის. შეხსნილი ჟაკეტით ეკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლესიიდან მოდიოდა და... გეფიცები, თვალები გადმოგცვივ-
დებოდა, ისეთი ლამაზი იყო. რომ მოენდომებინა, ეშმაკსაც
კი ააღებინებდა ხელს სასმელზე. კიდევ კარგი, ჩემთვის არა-
სოდეს უთხოვია.

ლუისმა თავი დაუქნია. — ნორმას გაუმარჯოს, — თქვა
და ჯადმა ბოთლი მიუჭახუნა. ისევ ტიროდა, მაგრამ თან
იღიმოდა. ჯადმა თავი დაუქნია. — დაე, მშვიდობა პოვოს და
დაე, იქ წყეულმა ართრიტმა აღარ შეაწუხოს.

— ამინ. — თქვა ლუისმა და ლუდი შესვეს.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ლუისმა ოდნავ
ნასვამი ჯადი იხილა, თუმცა სიმტკიცეს ამ მდგომარეო-
ბაშიც ინარჩუნებდა. იხსენებდა ძველ, თბილ და ფერად
ამბებს, ხანდახან კარგა წარსულშიც ეშვებოდა. ამ ისტო-
რიებს შორის პაუზებში ჯადი აწმყოსთან კავშირს არ კარ-
გავდა. ლუისი კი წარმოიდგენდა, როგორ შეძლებდა საუ-
ბარს, იმ დილით, საუზმის დროს, უეცრად რეიჩელი რომ
მომკვდარიყო და ბურბუშელისა და გრეიპფრუტის მირთ-
მევა ველარ მოესწრო. ალბათ ჯადის ნახევარსაც ვერ მო-
ახერხებდა.

ჯადმა დარეკა ბანგორის დამკრძალავ ბიუროში —
„ბრუკინგს ენდ სმიტი“ და შეათანხმა ყველა დეტალი, რისი
შეთანხმებაც ტელეფონზე იყო შესაძლებელი. დიახ, სურ-
და ბალზამირება, სურდა, რომ მისთვის კაბა ჩაეცმიათ. კა-
ბას თავად მიუტანდა. დიახ, საცვლებსაც თავად შეარჩევდა.
არა, პრიალა ტუფლები არ სჭირდებოდა. — ვინმე გყავთ,
ვინც თმას დაბანს? — იკითხა ჯადმა, რადგან ნორმამ თა-
ვი ბოლოს ორშაბათს ღამით დაიბანა, შესაბამისად, სიკვდი-
ლის მომენტში დასაბანი ექნებოდა. ჯადი უსმენდა, ლუისს
კი ახსენდებოდა ბიძამისი, რომელიც, როგორც ამბობენ,
„ამ საქმის კაცი იყო“. ახლა მეორე მხრიდან ჯადს, ალბათ,
უხსნიდნენ, რომ უკანასკნელი დაბანვა მომსახურების ფას-
ში შედიოდა. ჯადმა თავი დაუქნია და მოსაუბრეს მადლობა
გადაუხადა. შემდეგ ისევ ყური მიუგდო. დიახ, სურდა მაკია-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჟი, ოლონდ სულ ოდნავ. — ის ხომ მკვდარია და ეს ხალხმაც იცის, — თქვა ჯადმა და „ჩესტერფილდს“ მოუკიდა. — მისი გაზიზილპიპილოება რაღა საჭიროა. — სასახლე დაკრძალვის პროცესში დახურული იქნებოდა, თუმცა ღია იქნებოდა პანაშვიდზე, ერთი დღით ადრე, — ასე უთხრა ჯადმა მოსაუბრეს მშვიდი ხმით. ნორმას დაკრძალავდნენ „მაუნტ ჰოუპის“ სასაფლაოზე, სადაც ჯადსა და ნორმას ადგილები 1951 წელს ეყიდათ. ჯადმა ფურცლები მოქექა და დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელს ნორმას ადგილის ნომერი უთხრა H-101. მოგვიანებით კი ლუისს გაანდო, რომ მისი ნომერი H-102 იყო.

ყურმილი დაკიდა, ისევ ლუისს შეხედა და თქვა, — ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი სასაფლაო აქ, ბანგორშია. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც მე ვიცი. მიდი, თუ გინდა, კიდევ ერთი ლუდი აიღე, ლუის. ჯერ კიდევ გაგვიგრძელდება.

ის-ის იყო, ლუისს უარი უნდა ეთქვა, რადგან თავს უკვე შემთვრალად გრძნობდა, რომ უეცრად თვალწინ გამოესახა გროტესკული სცენა: ჯადს ნორმას გვამი მიკმაკების სასაფლაესკენ, შინაური ცხოველების სასაფლაეს მიღმა მიჰყავს.

ლუისი შეკრთა, გეგონება, სილა გააწნესო. უსიტყვოდ წამოდგა და მაცივრიდან მორიგი ლუდი გამოიღო. ჯადმა თავი დაუქნია და ისევ ტელეფონზე დაიწყო რეკვა. იმ შუადღის სამი საათისთვის, როდესაც ლუისი სუპისა და სენდვიჩის საჭმელად შინ დაბრუნდა, ჯადს უკვე მოეხერხებინა მეუღლის დაკრძალვის ყველა საჭირო პროცედურის მოგვარება. ერთი საკითხიდან მეორეზე ისეთი ყურადღებით გადადიოდა, თითქოს სადღესასწაულო სუფრის საქმეებს აგვარებსო. ჩრდილოეთ ლადლოუს მეთოდისტურ ეკლესიაში დარეკა და დაკრძალვის დეტალები შეათანხმა. სასაფლაოს ადმინისტრაციასაც დაუკავშირდა. ამ ორივე ზარს დამკრძალავი ბიუროც განახორციელებდა, მაგრამ ჯადმა თავაზიანობა გამოიჩინა და პირველმა მაინც თავად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დარეკა. ეს იყო ნაბიჯები, რომელთა გადადგმასაც ბევრი ვერ შეძლებდა. სწორედ ამიტომ ლუისი მთელი ამ პროცესის განმავლობაში ჯადს აღფრთოვანებული შეჰყურებდა. ჯადმა დაურეკა ნორმას რამდენიმე შემორჩენილ ნათესავს და თავისებსაც, რომელთა ნომრებსაც ძველ სატელეფონო წიგნში პოულობდა. ყოველი დარეკვის წინ ჯადი ლუდს წრუპავდა და წარსულს იხსენებდა.

ლუისი გრძნობდა დიდ აღტაცებასა და... სიყვარულს?

ნამდვილად. გულმა დაუდასტურა. სიყვარულს.

იმ ღამით ეილიმ, რომელიც მამას პიჟამაში გამოწყობილი შეეგება და აკოცა, იკითხა, მოხვდებოდა თუ არა მისის კრენდოლი სამოთხეში. შეკითხვა ეილიმ თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა. თითქოს სურდა, საუბარი მათ შორის დარჩენილიყო. რეიჩელი სამზარეულოში წიწილის ღვეზელს ამზადებდა. დილით ჯადისთვის უნდა წაეღო.

ქუჩის გადაღმა, კრენდოლების სახლში, ყველა შუქი ანთებულიყო. ჯადის ბორდიურზე და იმის იქითაც, გზის გასწვრივ, უამრავი მანქანა ეყენა. ოფიციალურად პანაშვიდი მეორე დღიდან იწყებოდა, მაგრამ ხალხი უკვე მოდიოდა ჯადის სანუგეშებლად, მასთან ერთად ძველი ამბების გასახსენებლად და მთელ ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც ჯადი ასე უწოდებდა: „ნორმამ გამასწრო“. ამ ორ სახლს შორის კი თებერვლის ცივი ქარი უბერავდა. ქუჩა შავი ყინულით დაფარულიყო. მენის ზამთრის ყველაზე ცივი პერიოდი იწყებოდა.

— სიმართლე გითხრა, ზუსტად არ ვიცი, საყვარელო, — უთხრა ლუისმა და ეილი კალთაში ჩაისვა. ტელევიზორში სროლა იყო გაჩაღებული. კაცი მოიხარა და დაეცა, თუმცა ეს მოძრაობა არც ერთ მათგანს არ შეუმჩნევია. ლუისი შეშფოთებული ფიქრობდა, რომ ეილიმ, ალბათ, ბევრად მეტი იცოდა რონალდ მაკდონალდის, სპაიდერმენისა და ბურგერ კინგის შესახებ, ვიდრე მოსეს, იესოს ან წმინდა პავლეს ცხოვრებაზე. ის იყო ურწმუნო ებრაელისა და მეთოდისტური ეკლესიისგან განდგომილის შვილი და, ალბათ, მისთვის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

spiritus mundi[1] სხვა არაფერი იყო, თუ არა შორეული მითი. არა, მითი კი არა, სიზმარი. არა, სიზმრის სიზმარი. *უკვე ძალიან გვიანია,* — გაიფიქრა ლუისმა, — *ჯერ ხუთი წლის არის, მაგრამ ამისთვის უკვე გვიანია. ღმერთო დიდებულო, რა სწრაფად გვიანდება.*

მაგრამ ეილი ისევ მას უყურებდა და მასაც რაღაც უნდა ეთქვა. — ადამიანები სხვადასხვანაირად ფიქრობენ იმის შესახებ, თუ რა ხდება სიკვდილის შემდეგ, — თქვა ლუისმა, — ზოგს სწამს, რომ სამოთხეში ან ჯოჯოხეთში მოვხვდებით, ზოგს კი ხელახლა პატარა ბავშვებად დაბადების...

— ვიცი, კარნაცია. როგორც ოდრი როუზს[2] დაემართა ტელევიზორში, ხო?

— შენ ეგ ფილმი არ გინახავს! — გაისმა რეიჩელის ხმა და ლუისმა გაიფიქრა, რომ რეიჩელს ნამდვილად გული გაუსკდებოდა, რომ გაეგო, ეილიმ ოდრი როუზი ნახაო.

— არა, ბაღში მერიმ მითხრა, — თქვა ეილიმ. მერი ეილის თვითგამოცხადებული საუკეთესო მეგობარი, გიჟმაჟი და ბინძური პატარა გოგო იყო, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს დღე-დღეზე იმპეტიგო, დერმატომიკოზი ან სურავანდი[3] არ ასცდებოდა. ლუისი და რეიჩელი შვილს მასთან მეგობრობას არ უშლიდნენ. პირიქით, ახალისებდნენ კიდეც, თუმცა ერთხელ, როცა მერი წავიდა, რეიჩელმა ლუისს უთხრა, რომ სურდა ეილი ტილებზე შეემოწმებინა. ლუისს მაგრად გაეცინა და თავი დაუქნია.

— მერის დედა ტელევიზორში ყველაფრის ყურების უფლებას აძლევს, — თქვა ეილიმ და მის ხმაში კრიტიციზმი გაჟღერდა, თუმცა ლუისმა ამას ყურადღება არ მიაქცია.

---

[1] *ლათინური ტერმინი, რომელიც ითარგმნება როგორც სამყაროს სული. ირლანდიელი პოეტის, უილიამ ბატლერ იეიტსის განმარტებით, ეს არის სამყაროს ერთიანი სული, რომელიც ყველა დროის ხსოვნას აერთიანებს. მისივე რწმენით, სწორედ ამ სულისგან მომდინარეობდა ყველა პოეტის მუზა.*

[2] *იგულისხმება 1977 წელს, რობერტ ვაისის მიერ გადაღებული ფსიქოლოგიურ საშინელებათა ჟანრის ფილმი „ოდრი როუზი“.*

[3] *იმპეტიგო, დერმატომიკოზი და სურავანდი კანის დაავადებებია.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჰო, რეინკარნაცია ჰქვია, მაგრამ მგონი აზრს მიხვდი. კათოლიკეებს სწამთ სამოთხისა და ჯოჯოხეთისა. ასევე სწამთ, რომ არსებობს ასეთი ადგილი — ლიმბო. და არის კიდევ განსაწმენდელი. ინდუსებს და ბუდისტებს კი ნირვანისა სწამთ და...

სასადილო ოთახში ჩრდილი ჩამოწვა. კართან რეიჩელი იდგა და მათ უსმენდა.

ლუისი უფრო თავშეკავებული გახდა. — ალბათ, კიდევ ბევრი რამ არსებობს, მაგრამ საბოლოოდ მაინც არავინ არაფერი იცის, ეილი. ხალხი ამბობს, რომ იციან, მაგრამ ისინი, უბრალოდ, გულისხმობენ, რომ მათ ამა თუ იმ მოვლენისა სწამთ. შენ იცი, რას ნიშნავს რწმენა?

— რა ვიცი...

— აი, ახლა ჩემს სკამზე ვსხედვართ, — თქვა ლუისმა, — როგორ ფიქრობ, ეს სკამი ხვალაც აქ იდგება?

— რა თქმა უნდა.

— ანუ, გწამს, რომ ის აქ იქნება. რაღაც-რაღაცების მოხდენის დაჯერებაა რწმენა. მიხვდი?

— კი, — თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ეილიმ.

— მაგრამ დაზუსტებით არც ვიცით, სკამი აქ იდგება თუ არა. შესაძლოა, ვიღაც გარეკილმა სკამების ყაჩაღმა სახლი გაძარცვოს და ისიც ხელს გააყოლოს. ასე არ არის?

ეილიმ ჩაიხითხითა. ლუისს გაეღიმა.

— უბრალოდ, გვწამს, რომ ეს არ მოხდება. რწმენა მაგარი რამეა და ნამდვილად რელიგიურ ადამიანებს სურთ დაგვაჯერონ, რომ რწმენა და ცოდნა ერთი და იგივეა, მაგრამ ამის პირადად მე არ მჯერა. იმიტომ, რომ ამ საკითხზე ბევრი განსხვავებული აზრი არსებობს. რაც დაზუსტებით ვიცით, ეს არის: როცა ვკვდებით, ერთი ან მეორე რამ ხდება — ჩვენი სულები და ფიქრები როგორღაც სიკვდილს ან გადაურჩებიან, ან ვერა. თუ გადაურჩნენ, მაშინ ჩვენ წინ გაიშლება ყველაფერი, რაზეც კი ოდესმე გვიფიქრია. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ეგ იქნება ბახ! დასასრული.

— ეს დაძინებას ჰგავს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი წამით დაფიქრდა და უპასუხა, — ალბათ, უფრო ნარკოზს.

— და შენ რისი გწამს, მამიკო?

კედელზე ჩრდილი გამოძრავდა და ისევ გაჩერდა.

მთელი თავისი ზრდასრული ცხოვრების განმავლობაში — რამდენადაც ლუისს ახსოვდა, კოლეჯის პერიოდიდან — ყოველთვის სჯეროდა, რომ სიკვდილი იყო დასასრული. ბევრჯერ შესწრებია სიკვდილის სცენას, მაგრამ არასოდეს უნახავს თვალწინ ამოფრენილი სული... ან რაღაც ამის მსგავსი. განა ვიქტორ პასკოუს შემთხვევაშიც ასე არ ფიქრობდა? ლუისი ეთანხმებოდა თავის ფსიქოლოგიის მასწავლებელს, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველა სამეცნიერო ჟურნალში ან ყვითელ პრესაში მოყვანილი ცნობები სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობის შესახებ სხვა არაფერი იყო, თუ არა გონების უკანასკნელი ცდა, შესწინააღმდეგებოდა სიკვდილს. ადამიანის უსაზღვრო ფანტაზიის მქონე გონება სიკვდილის წინაც კი მოქმედებს და უკვდავობის ილუზიას ქმნის.

ლუისი, აგრეთვე, ეთანხმებოდა თანაკურსელს, რომელიც მასთან ერთად ჩიკაგოში, საერთო საცხოვრებელში, მეორე კურსის განმავლობაში ცხოვრობდა. მისი თქმით, ბიბლიაში საეჭვოდ ბევრი სასწაული იყო, რომლებიც პრაქტიკულად რაციონალურ საზღვრებს სცდებოდა (თავდაპირველად მან თქვა „საზღვრებს სცდებოდა“, მაგრამ შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან დახევამ მაინც მოუწია დანარჩენი სტუდენტების ზემოქმედებით, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ საკმაოდ ბევრი ზებუნებრივი მოვლენა აშკარად ხდებოდა, რომელთა უარყოფაც არ შეიძლებოდა. მაგალითად კი მოჰყავდათ ტურინის სუდარა, რომელიც მისი მხილების ყველა მცდელობას გადაურჩა). — ანუ, იესომ მკვდრეთით აღადგინა ლაზარე, — ამბობდა ის კურსელი, რომელიც საბოლოოდ მიჩიგანის ქალაქ დირბორნის საკმაოდ წარმატებული მეან-გინეკოლოგი გახდა, — ამაზე არაფერს ვამბობ. ანუ კი ბატონო, დავიჯერებ. იმის დაჯერებაც ხომ მიწევს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ დედის საშვილოსნოში ერთი ტყუპისცალის ემბრიონს, რაღაც ჯერ არდაბადებული კანიბალის მსგავსად, მეორე ემბრიონის შეჭმა შეუძლია, ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ კი მას „დამატებითი“ კბილები აღმოაჩნდება, როგორც მტკიცებულება მისი კაციჭამიობისა. ჰოდა, თუ ამის მჯერა, ალბათ ნებისმიერი რამის დაჯერებას შევძლებ. უბრალოდ, მე გარდაცვალების ცნობაც მჭირდება. ხვდები, რას ვამბობ? ეჭვქვეშ არ ვაყენებ მისი აკლდამიდან წამოდგომის ფაქტს, მაგრამ მისი გარდაცვალების ცნობა ნამდვილად მჭირდება. მე ვგავარ თომას, რომელიც ამბობდა, რომ არ დაიჯერებდა იესოს აღდგომას მანამ, სანამ მის ხელისგულებზე ლურსმნების და ნეკნებში შუბების მიერ დატოვებულ ხვრელებში არ გაიხედავდა. და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იმ შემადგენლობიდან ერთადერთი ნამდვილი ექიმი სწორედ თომა იყო და არა ლუკა.

არა, ლუისს მკვდრეთით აღდგომის არასოდეს სჯეროდა. ყოველ შემთხვევაში, ჩერჩიმდე მაინც.

— მე მჯერა, რომ სიცოცხლე გრძელდება, — უთხრა ლუისმა შვილს დინჯი ხმით, — თუმცა, ზუსტად არ ვიცი, როგორ. შესაძლოა, ყველა ადამიანის შემთხვევაში ეს განსხვავებულად ხდება და ყველას სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ ისე გრძელდება, როგორც ეს მათ სწამთ, მაგრამ ნამდვილად მჯერა, რომ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ არსებობს და რომ მისის კრენდოლიც ახლა სადღაც ისეთ ადგილზეა, სადაც ძალიან ბედნიერია.

— შენ ამის გწამს, — წარმოთქვა ეილიმ. ეს არ იყო შეკითხვა. მის ხმას სიფრთხილე ეტყობოდა.

ლუისს გაეღიმა. ნასიამოვნები და ოდნავ დარცხვენილი იყო. — ჰო, ალბათ ეგრეა. და კიდევ იმის მწამს, რომ უკვე ათი წუთია, შენი ძილის დროს გადასცდა.

ლუისმა ეილის ორჯერ აკოცა — ერთხელ ტუჩებზე და ერთხელ ცხვირზე.

— როგორ ფიქრობ, სიკვდილის შემდეგ ცხოველებიც ცოცხლობენ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— კი, — თქვა ლუისმა დაუფიქრებლად და კინაღამ ინსტინქტურად დაამატა, — *განსაკუთრებით კი კატები.* — თუმცა, ამ სიტყვების გაფიქრებაზე ტუჩები წამიერად აუკანკალდა, კანზე კი სიცივე იგრძნო.

— კარგი, — თქვა ეილიმ და ძირს ჩახტა, — წავალ, დედიკოს ვაკოცებ.

— კარგი აზრია.

ლუისი უყურებდა, როგორ გავიდა ოთახიდან ეილი, რომელიც კართან ერთხელ შეჩერდა და შემობრუნდა. — სულელი ვიყავი მაშინ, ჩერჩის გამო რომ ვიტირე, არა?

— არა, საყვარელო, — უთხრა ლუისმა, — ასე არ ვფიქრობ.

— ახლა რომ მოკვდეს, ალბათ გადავიტან, — თქვა ეილიმ სიტყვები, რომელთა თქმამდეც მათზე კარგა ხანს ეფიქრა. მერე კი საკუთარ თავს დაეთანხმა და დაამატა, — კი, ნამდვილად გადავიტან. — თქვა და რეიჩელის საპოვნელად წავიდა.

მოგვიანებით ლოგინში რეიჩელმა ლუისს უთხრა, გავიგე, რასაც ელაპარაკებოდიო.

— და არ მეთანხმები? — თუ რეიჩელს დაპირისპირება სურდა, ლუისის აზრით, ჯობდა ეს აქედანვე დაეწყო.

— არა, — თქვა რეიჩელმა მისთვის შეუფერებელი ოდნავი თავშეკავებით, — არა, ლუის. საქმე ის კი არ არის. უბრალოდ... მეშინია ხოლმე. და ხომ მიცნობ, როცა მეშინია, თავის დაცვას ვიწყებ.

ლუისი ვერ იხსენებდა შემთხვევას, რეიჩელს საუბარი ასე გასძნელებოდა და უეცრად იგრძნო, რომ სათქმელს ახლა კიდევ უფრო დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა, ვიდრე ცოტა ხნის წინ, შვილთან საუბრისას.

— რისი გეშინია? სიკვდილის?

— ჩემი სიკვდილის არა, — თქვა რეიჩელმა, — ამაზე უკვე აღარც ვფიქრობ. მაგრამ, როცა პატარა ვიყავი, ბევრს ვფიქრობდი. ძილიც კი მიჭირდა. მესიზმრებოდა მონსტრები, რომლებიც ჩემს ლოგინზე ამოდიოდნენ და მჭამდნენ. ეს მონსტრები ძალიან ჰგავდნენ ჩემს დას, ზელდას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰო, — გაიფიქრა ლუისმა. — *აი, ისიც. ქორწინებიდან ამ-დენი წლის შემდეგ პირველად ამაზე საუბრის დროც დადგა.*

— მას ძალიან იშვიათად ახსენებ, — უთხრა ლუისმა.

რეიჩელმა გაიღიმა და სახეზე შეეხო. — ძალიან საყვარე-ლი ხარ, ლუის. მასზე არასოდეს ვლაპარაკობ და ვცდილობ, არც არასოდეს ვიფიქრო.

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საამისო მიზეზები გქონდა.

— ასე იყო. ასეა.

შემდეგ პაუზა აიღო. ფიქრობდა.

— ვიცი, რომ დაიღუპა... სპინალური მენინგიტით...

— სპინალური მენინგიტით, — გაიმეორა რეიჩელმა, — ჩვენს სახლში მისი არც ერთი ფოტო არ ინახება.

— თუმცა, მამაშენის კაბინეტში არის გოგოს...

— ჰო, კაბინეტში მისი ფოტოა. ეგ ერთი დამავიწყდა. და მგონი დედაც ინახავს საფულეში ერთ ფოტოს. ზელდა ჩემ-ზე ორი წლით უფროსი იყო. დაავადების შემდეგ უკანა სა-ძინებელში ჩაკეტეს... უკანა საძინებელში ჩაკეტეს ბინძური საიდუმლოს მსგავსად, ლუის. ის იქ კვდებოდა. ჩემი და, რო-გორც ბინძური საიდუმლო, უკანა საძინებელში კვდებოდა. ის ყოველთვის ჩვენი ბინძური საიდუმლო იყო!

უეცრად რეიჩელმა თვითკონტროლი დაკარგა და ხმამა-ღალი ქვითინი აუვარდა. ლუისმა მის ხმაში ისტერიკის ნიშ-ნები შენიშნა და შეშფოთდა. დასამშვიდებლად მხარზე ხელი მოხვია, მაგრამ რეიჩელმა მისი ხელი მოიშორა. ლუისის თი-თებქვეშ რეიჩელის ღამის ხალათის ქსოვილი გასრიალდა.

— რეიჩელ... პატარავ, არ გინდა...

— ნუ მაჩერებ! — უთხრა რეიჩელმა, — და ნუ ცდილობ ჩემს გაჩუმებას, ლუის. მეტჯერ ამას მაინც ველარასოდეს მოვყვები. ამაღამ კი, ბოლომდე თუ არ მოვყევი, ვერ დავი-ძინებ.

— ყველაფერი ასე საშინლად იყო? — პასუხი ლუისმა ისედაც იცოდა. ახლა ბევრი ისეთი ფაქტის ახსნა ხდებოდა შესაძლებელი, რომლებსაც აქამდე არ ჩასძიებია. მაგალი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თად, რეიჩელი მასთან ერთად არასოდეს დადიოდა გასვენებებში. ის არ დასწრებია არც ალ ლოკის დაკრძალვას. ალი ლუისის სტუდენტობის მეგობარი იყო, რომელსაც, მოტოციკლზე მჯდომს, ავტობუსი დაეჯახა. ალი ხშირად სტუმრობდა კრიდებს და ის რეიჩელსაც მოსწონდა, თუმცა, რამდენადაც ახლა ლუისი იხსენებდა, გასვენების დღეს რეიჩელი გაცივებამ თუ რაღაც ასეთმა შეაწუხა და შინ დარჩა. მეორე დღეს კი უკვე კარგად იყო.

გასვენების მეორე დღეს. — შეუსწორა საკუთარ თავს ლუისმა. ახლა ლუისს ახსენდებოდა — მაშინ გაიფიქრა, რომ რეიჩელის ავადმყოფობა მხოლოდ ფსიქოსომატური ხასიათის უნდა ყოფილიყო.

— კი, ნამდვილად საშინელება იყო. ბევრად უარესი, ვიდრე შეგიძლია წარმოიდგინო, ლუის. ვუყურებდით, როგორ ნადგურდებოდა დღითი დღე და არავის არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მუდმივად ტკივილებს განიცდიდა, სხეული გამოშრობოდა, თითქოს შინაგანად იფიტებოდა. მხრები მაღლა ჰქონდა აწურული, სახე კი ნიღბის მსგავსად ჩამოშვებოდა. ხელები ფრინველის ფეხებს მიუგავდა. ხანდახან ჭმევა მე მიწევდა და ვერ ვიტანდი ამ მომენტს, თუმცა უარი არასოდეს მითქვამს. როცა ტკივილი სრულებით გაუსაძლისი გახდა, ნარკოტიკების მიცემა დაიწყეს. თავიდან მსუბუქის, შემდეგ უკვე იმდენად ძლიერის, რომ თუ გადარჩებოდა, აუცილებლად ნარკომანი გახდებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველამ ვიცოდით, რომ ვერ გადარჩებოდა და ალბათ ამიტომაც იყო ის ჩვენი საიდუმლო. იმიტომ, რომ ჩვენ მისი სიკვდილი გვინდოდა. ჩვენ მის სიკვდილს ვნატრობდით, ლუის. და ეს მხოლოდ მისი ტკივილის დასრულების გამო არ გვსურდა. გვინდოდა ჩვენი ტკივილიც დასრულებულიყო. იმიტომ, რომ ის მონსტრს ემსგავსებოდა, შემდეგ კი უკვე მონსტრად იქცა. ო, ღმერთო... ვიცი, რომ საშინლად ჟღერს, მაგრამ...

რეიჩელმა სახე ხელებში ჩარგო.

ლუისი ნაზად შეეხო. — საშინლად სულაც არ ჟღერს, რეიჩელ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— არა, ასეა! — წამოიყვირა რეიჩელმა, — ასეა!

— უბრალოდ, სიმართლეა, — თქვა ლუისმა, — ადამიანები, რომლებიც ავადმყოფობით დიდხანს იტანჯებიან, ნელ-ნელა ჭირვეულ და უსიამოვნო მონსტრებად იქცევიან. წმინდანისებრი ხანგრძლივი ტანჯვა მხოლოდ დიდი რომანტიკული წარმოსახვის ნაწილია. გოდების პირველი ნაკადის გადავლის შემდეგ, მას მერე, რაც ხანგრძლივი ავადმყოფის თეძოებზე წოლის კვალი გაჩნდება, ისინი მხოლოდ სასოწარკვეთის და მძიმე ტკივილის მიზეზი ხდებიან. თავადაც არ სურთ, რომ ასე მოხდეს, მაგრამ თავს ვერაფრით ერევიან. ეს კი მათ გარშემო მყოფებს არაფრით ეხმარება.

რეიჩელმა გაოცებით... თითქმის იმედიანად შეხედა. შემდეგ სახეზე ისევ უნდობლობამ გადაუარა. — ამ ყველაფერს იგონებ.

ლუისმა მძიმედ გაიღიმა. — გინდა სახელმძღვანელოები განახო? თუ თვითმკვლელობების სტატისტიკა გირჩევნია? იცი, რომ ხანგრძლივი პაციენტების ოჯახებში მათი გარდაცვალებიდან ექვსი თვის პერიოდში თვითმკვლელობების რიცხვი საგრძნობლად იზრდება?

— თვითმკვლელობების?!

— აბებს ყლაპავენ, კვამლით იგუდებიან ან თავში ტყვიას იჭედებენ. ეზიზღებათ... სძულთ საკუთარი თავი... — თქვა ლუისმა, თვალები დახუჭა და მუშტები მაგრად შეკრა. — ისეთი გრძნობა ეუფლებათ, რომ პაციენტის მკვლელობა მათი ჩადენილია. ზოგი მათგანი ამ გრძნობას ვერ უმკლავდება.

რეიჩელის შესივებულ სახეს რაღაც უცნაურმა, ტკივილნარევმა შვებამ გადაუარა. — ჭირვეულობდა... საძაგლად იქცეოდა. ხანდახან ლოგინში სპეციალურად იფსამდა. დედა მთხოვდა, სააბაზანოში გამეყვანა ხოლმე. შემდეგ კი... როცა უკვე ვეღარ დგებოდა... ვეკითხებოდი, ხომ არ სჭირდებოდა ქოთანი. ზელდა მპასუხობდა, რომ არა... მერე ლოგინში იფსამდა და დედა უკვე თეთრეულის გამოცვლას მთხოვდა... ზელდა მეუბნებოდა, შემთხვევით მომდისო, მაგრამ მის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალებში ღიმილს ვამჩნევდი, ლუის. ეს აშკარა იყო. ოთახში კი ყოველთვის შარდის და წამლების სუნი იდგა.

რაღაც წამალი ჰქონდა ფლაკონებში, რომლებსაც „სმიტ ბრაზერსის“[1] ველური ალუბლის სუნი ასდიოდა და ოთახში სულ მისი სუნი იდგა. იცი, ხანდახან... ღამღამობით მელვიძება... და ისევ იმ ველური ალუბლის სუნს ვგრძნობ. მერე კი... ვფიქრობ... და თუ ბოლომდე გამოფხიზლებული არ ვარ, ვფიქრობ... — ზელდა უკვე მოკვდა? მართლა? ვფიქრობ და...

რეიჩელს სუნთქვა შეეკრა. ლუისმა ხელი გამოართვა და მისი თითები ისე ძლიერად მოეჭირა, რომ ტკივილი იგრძნო.

— როცა თეთრეულს ვუცვლიდით, მისი ზურგი ერთიანად იგრიხებოდა და იკლაკნებოდა. იცი, უკვე ბოლოსკენ, ლუის, უკვე ბოლოსკენ... რომ ვუყურებდი, მეჩვენებოდა, რომ საჯდომი თითქმის ზურგის შუამდე ასვლოდა.

ახლა რეიჩელის სველი თვალები იმ ბავშვის შეძრწუნებული მზერით იყო სავსე, რომელსაც საშინელი სიმძაფრის კოშმარი გახსენებოდა.

— და ხანდახან ის მეხებოდა... თავისი საშინელი ხელებით. ფრინველის ფეხებით... და ხანდახან ამ შეხებაზე თითქმის ვკიოდი და ვთხოვდი, გაჩერებულიყო. ერთხელ, როცა სახეზე შემეხო, წამოვიკივლე და მისი წვნიანი გადმოვღვარე. მკლავი დავიწვი და ხმამაღლა ვიტირე. მის სახეზე კი მაშინაც ღიმილს ვამჩნევდი.

— ბოლოს ნარკოტიკებიც აღარ შველოდა. მაშინ უკვე თავად კიოდა. ჩვენ არც ერთს — დედასაც კი — აღარ გვახსოვდა, როგორი იყო ზელდა ძველად. ის უკანა საძინებელში მცხოვრებ ბინძურ, საძაგელ და მკივანა არსებად... ჩვენს ბინძურ საიდუმლოდ ქცეულიყო.

რეიჩელმა ნერწყვი ჩაყლაპა და მისმა ყელმა ტკაცუნის ხმა გამოსცა.

— ჩემი მშობლები შინ არ იყვნენ, როცა საბოლოოდ... როცა ის...

---

[1] *ძმები მორგან და მარვინ სმიტები — ყელის ტკივილის საწუწნი კანფეტების პირველი მწარმოებლები ამერიკაში.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეიჩელმა საშინელი, გაუსაძლისი წვალებით შეძლო წინადადების დასრულება. — როცა ის მოკვდა, ჩემი მშობლები შინ არ იყვნენ. პასექის პერიოდი იყო და მშობლები ცოტა ხნით მეგობრებთან შესახვედრად წასულიყვნენ. მე სამზარეულოში რაღაც ჟურნალს ვკითხულობდი. უფრო სწორად, ვათვალიერებდი და ველოდებოდი, როდის მოვიდოდა ზელდასთვის წამლის მიცემის დრო. გაძლიერებული დოზის მიცემას ვაპირებდი, რადგან კიოდა... მას შემდეგ, რაც მშობლები სახლიდან წავიდნენ, გაბმულად კიოდა. მერე კი... როცა ყველაფერი დასრულდა... ოჰ... ზელდამ კივილი შეწყვიტა. ლუის, მე რვა წლის ვიყავი... ყოველ ღამით ცუდ სიზმარს ვხედავდი... და უკვე ვფიქრობდი, რომ მას ვძულდი იმის გამო, რომ მე სწორი ზურგი მქონდა... გაბმული ტკივილები არ მაწუხებდა და იმიტომ, რომ შემეძლო სიარული... შემეძლო ცხოვრება. უკვე წარმოვიდგენდი, თუ როგორ ფიქრობდა ჩემს მოკვლაზე. ახლაც კი, დღემდე, ლუის, არ ვფიქრობ, რომ ეს ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო. არა მგონია, რომ ვძულდი. არც ის მგონია, რომ მართლა ჩემი მოკვლა უნდოდა, მაგრამ თუ როგორღაც... როგორც ზღაპრებში... ჩემი სხეულის დაპატრონების შესაძლებლობა ექნებოდა, ალბათ ამაზე უარს არ იტყოდა.

მაგრამ კივილი რომ შეწყვიტა, ოთახში შევედი, რათა შემემოწმებინა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. მენახა, გვერდზე ხომ არ გადაბრუნდა, ან ბალიშებიდან ხომ არ ჩამოცურდა. როცა მივედი და შევხედე, მეგონა, საკუთარი ენა გადაეყლაპა და იხრჩობოდა, ლუის. — რეიჩელს ხმა ისევ გაუძლიერდა და ბავშვურად შეშინებული, ტირილნარევი გაუხდა. თითქოს საშინელი გამოცდილებისგან იცლებოდა. — ლუის, არ ვიცოდი, რა მექნა! რვა წლის ვიყავი!

— არა, რა თქმა უნდა, არ იცოდი, — უთხრა ლუისმა და თავისკენ მოაბრუნა, რათა ჩახუტებოდა. რეიჩელმა ხელები შემოხვია და ძალიან მაგრად მოუჭირა ისე, თითქოს დიდ, შუა ტბაში სამაშველო რგოლს ჩასჭიდებოდა. — განა ამის გამო ვინმემ გისაყვედურა, პატარავ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— არა, — თქვა რეიჩელმა, — არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვერც ვინმე დამეხმარებოდა. ამას ვერავინ შეცვლიდა. ვერავინ აიცილებდა თავიდან, ლუის. ენა არ გადაუყლაპავს, უბრალოდ, რაღაც ხმას გამოსცემდა. რაღაც — გაااااა.... — ასეთს.

რეიჩელი სრული სიცხადით იხსენებდა იმ დღეს და ზელდას ხმის, ალბათ იდეალურ, იმიტაციას ახდენდა. ლუისს კი ახსენდებოდა ვიქტორ პასკოუ და მისი უკანასკნელი ბგერები. რეიჩელმა ხელი კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა.

— და დორბლი... ნიკაპზე დორბლი სდიოდა...

— რეიჩელ, გეყოფა, — უთხრა ლუისმა არც ისე მტკიცედ, — მაგ სიმპტომებს კარგად ვიცნობ.

— გიხსნი, — ჯიუტად შეეპასუხა რეიჩელი, — გიხსნი, თუ რატომ ვერ შევძლებ საწყალი ნორმას გასვენებაში წამოსვლას და რატომ გვქონდა ის სულელური ჩხუბი იმ დღეს...

— ჩშშ... მე უკვე დავივიწყე.

— მე არ დამვიწყებია. ყველაფერი კარგად მახსოვს, ლუის. ისევე, როგორც კარგად მახსოვს ზელდა 1965 წლის 14 აპრილს, როცა ის თავის ლოგინში იხრჩობოდა და კვდებოდა.

კარგა ხნის განმავლობაში ოთახს სიჩუმე ავსებდა.

— მუცელზე გადმოვაბრუნე და ზურგზე ხელი დავარტყი, — განაგრძო ბოლოს რეიჩელმა, — მეტი არაფერი ვიცოდი. ტერფები ზევით-ქვევით უხტოდა. მისი დაკლაკნილი ფეხები... და მახსოვს, რომ რაღაც კუილის მსგავსი ხმა გავიგე. ვიფიქრე, ეს ზელდას ხმა იყო... ან, შესაძლოა, ჩემი... ან იქნებ, უბრალოდ, იღლიებთან კოფთა გამეხა... არ ვიცი.

მთელი სხეულით კანკალი დაიწყო და... მე დავინახე, როგორ გადაბრუნდა მისი სახე ბალიშისკენ. იხრჩობოდა... ზელდა იხრჩობოდა და როცა ისინი შინ დაბრუნდებოდნენ, იტყოდნენ, რომ ზელდა მე დავახრჩვე. მეტყოდნენ: — *„შენ ის გძულდა, რეიჩელ,* და ეს სიმართლე იქნებოდა, რადგან როცა ლოგინზე ზევით-ქვევით მოძრაობა დაიწყო, ჩემი პირველი ფიქრი იყო“ — *აი, როგორც იქნა, კვდება.* გესმის,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუის? ო, ღმერთო, საბოლოოდ ხველება შეწყვიტა და მე მისი გაშავებული სახე გადმოვაბრუნე. დაჭიმული კისერი და ამობერილი თვალები ჰქონდა. ზელდა მოკვდა. მე უკან დავიხიე, მინდოდა კარში გავსულიყავი, მაგრამ კედელს დავეჯახე და კედლიდან ნახატი ჩამოვაგდე. ეს იყო ჩარჩოში ჩასმული ნახატი წიგნიდან „ოზის ჯადოქარი", რომელიც ზელდას ავად გახდომამდე ძალიან უყვარდა. ეს იყო დიდებული და საზარელი ოზის სურათი, რომელსაც ზელდა ყოველთვის დიდებულ და საზალელს უწოდებდა, რადგან რ-ს ვერ წარმოთქვამდა. პრაქტიკულად ელმერ ფადივით[1] ლაპარაკობდა. დედამ ეს ნახატი ჩარჩოში ჩასვა, რადგან... რადგან ზელდას ძალიან უყვარდა ის... დიდებული და საზალელი ოზი... სურათი კედლიდან ჩამოვარდა, იატაკზე დაენარცხა და მინა გატყდა. ამ დროს დავიწყე კივილი, რადგან... ალბათ იმიტომ, რომ მეგონა ეს იყო ზელდას მოჩვენება, რომელიც ჩემს შესაპყრობად დაბრუნდა. ვიცოდი, რომ ზელდა მოკვდა. და ვიცოდი, რომ მის მოჩვენებასაც ისევე შევძულდებოდი, როგორც მას ვძულდი, მაგრამ მოჩვენება ლოგინში გამოკეტილი არ იქნებოდა. სწორედ ამიტომ ვკიოდი... ვკიოდი და გავრბოდი, თან ვყვიროდი: ზელდა მოკვდა! ზელდა მოკვდა! ზელდა მოკვდა! — მეზობლები სახლებიდან გამოვიდნენ და მიყურებდნენ. უყურებდნენ ქუჩაში მორბენალ, იღლიებთან კოფთაშემოხეულ გოგოს, რომელიც გაჰკიოდა: *ზელდა მოკვდა!* — ალბათ, ეგონათ, რომ ვტიროდი, ლუის, მაგრამ სინამდვილეში მგონია, რომ... მგონია, რომ ვიცინოდი, ლუის. კი, სწორედ ასე ვიქცეოდი.

— მაგის გამო აუცილებლად შეგაქებდი, — უთხრა ლუისმა.

— ახლა ამას სერიოზულად არ მეუბნები, — უთხრა რეიჩელმა იმ ადამიანის თავდაჯერებით, რომელიც არაერთხელ მიახლოებია ზღვარს და გადაუბიჯებია კიდეც მისთვის. ლუისს ამაზე რეაქცია არ ჰქონია. ახლა რეიჩელი იც-

[1] *„ლუნი ტუნზის" ერთ-ერთი მულტიპლიკაციური პერსონაჟი, მონადირე და ბაგს ბანის დაუძინებელი მტერი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლებოდა საშინელი მოგონებებისგან, რომლებიც მთელი ამ წლების განმავლობაში აჩრდილად სდევდა თან. აქამდე ასე სრულად არასოდეს მოუყოლია ეს ყველაფერი და, მართალია, ლუის კრიდი ფსიქიატრი არ იყო, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ადამიანთა გონებაში ყოველთვის არსებობდა ის დაჟანგული, ნახევრად დამარხული მოგონებები, რომელთა საბოლოოდ მიწიდან ამოღება თითქმის შეუძლებელი იყო. ამაღამ რეიჩელმა მათი უმეტესი ნაწილი მიწიდან ამოიღო. დასწვდა დაჟანგულ ძირს, მაგრად ამოსწია ზევით და თუ ღმერთი მართლა კარგი ვინმე იყო, რეიჩელისთვის ეს მოგონებები მხოლოდ ყველაზე ღრმა სიზმრის ნაწილებადღა შემორჩებოდა. მან ამ ღამით გაფუჭებული, გრძელი ფესვის მქონე კბილი ამოიღო და ეს პროცესი მტკივნეული აღმოჩნდა, თუმცა შედეგს აშკარად მიაღწია. ლუისი ხვდებოდა, რომ ეს რეიჩელის სიმამაცესა და სულის სიმტკიცეზე მეტყველებდა. ამიტომ მისი ამბავი გულწრფელად უხაროდა და გულშემატკივრობდა.

შემდეგ ლუისი წამოჯდა და შუქი აანთო. — ჰო, — თქვა მან, — აუცილებლად შეგაქებდი. მე კი... თუ კიდევ ერთი მიზეზი მჭირდებოდა შენი მშობლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისათვის, ეს მიზეზიც მივიღე. მათ შენს დასთან მარტო არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაეტოვებინე, რეიჩელ, არასოდეს.

რეიჩელმა უპასუხა ბავშვის, იმ რვა წლის ბავშვის ხმით, რომელიც მთელ ამ საშინელებას შეესწრო, — ლუის... პასექის პერიოდი იყო.

— არ მაინტერესებს. თუგინდ მეორედ მოსვლა ყოფილიყო, — ლუისს ხმაში უეცრად მოულოდნელი აგრესია დაეტყო, რის გამოც რეიჩელმა წამით უკან დაიხია. ლუისს გაახსენდა ის ახალგაზრდა ექთანები, რომლებსაც არ გაუმართლათ და პასკოუს სიკვდილის სცენას შეესწრნენ. ერთერთი მათგანი — მამაცი პატარა ქალბატონი — კარლა შეივერსი მეორე დღეს დაბრუნდა და ისეთი გულმოდგინებით დაიწყო მუშაობა, რომ თავად ჩარლტონიც კი მოხიბლა. მე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორე კი იმ დღის შემდეგ აღარ გამოჩენილა. ლუისს ეს არ უკვირდა და გოგოს ამის გამო არც ამტყუნებდა.

და სად იყო ექთანი? ასეთ ავადმყოფებს ყოველთვის უნდა ჰყავდეთ მუდმივი ექთანი. ეს პატივცემულები კი წაბრძანდნენ და მომაკვდავ გოგოსთან მისი რვა წლის და დატოვეს. რატომ? იმიტომ, რომ პასექის პერიოდი იყო, არა? და იმიტომ, რომ დორი გოლდმენი სახლში სიმყრალეს იმ დღეს ველარ აიტანდა და ცოტა ხნით განიავება სჭირდებოდა, არა? ასე რომ, საქმე რეიჩელს ჩაბარდა. ასე არ არის, მეგობრებო და მეზობლებო? რეიჩელს — რვა წლის კიკინებიან, საყელოიან კოფთაში გამოწყობილ რეიჩელს. აბა, სხვა რისთვის დაჰყავდათ ის ყოველ წელს ვერმონტის საზაფხულო ბანაკში ექვსი კვირით, თუ არა იმისთვის, რომ სახლში დარჩენილიყო, თავისი მომაკვდავი და შეშლილი დის მყრალი სუნი აეტანა? ათი ახალი ტანსაცმელი გეიჯისთვის და ექვსი ახალი კაბა ეილისთვის. და მე შენი სამედიცინო კოლეჯის გადასახადს გადავიხდი, ოღონდ ჩემი ქალიშვილისგან თავი შორს დაიჭირე... მაგრამ სად იყო ის ბრწყინვალე ჩეკების წიგნი მაშინ, როცა შენი მეორე გოგო სპინალური მენინგიტით კვდებოდა და მის გვერდით მხოლოდ მისი და იყო, შე ნაბიჭვარო? ან ექთანი სად იყო, ამის დედაც?

ლუისი წამოდგა და ლოგინს მოსცილდა.

— სად მიდიხარ? — შეშფოთებით ჰკითხა რეიჩელმა.

— „ვალიუმის“ მოსატანად.

— ხომ იცი, არ ვსვამ...

— ამაღამ დალევ.

რეიჩელმა აბი დალია და ლუისს ისტორიის დარჩენილ ნაწილს მოუყვა. წყნარი ხმა ჰქონდა. დამამშვიდებელი აშკარად მოქმედებდა.

გვერდითა მეზობელს რვა წლის რეიჩელი ხის უკან ეპოვა, სადაც ის ჩამუხლული ხმამაღლა გაჰკიოდა — ზელდა მოკვდა! — ისევ და ისევ. რეიჩელს ცხვირიდან სისხლი სდიოდა და მთელ სხეულს უსვრიდა. ამავე მეზობელმა გამოიძახა სასწრაფო და შემდეგ მშობლებსაც დაურეკა. მას შემ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დეგ, რაც სისხლდენა შეუწყვიტეს და ორი აბი ასპირინისა და ცხელი ჩაის დახმარებით რეიჩელი ოდნავ დაამშვიდეს, მეზობელმა მისგან მშობლების ადგილსამყოფლის გაგება შეძლო. ისინი სტუმრად იყვნენ მისტერ და მისის კაბრონებთან, რომლებიც ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობდნენ. პიტერ კაბრონი რეიჩელის მამის კომპანიაში ბუღალტრად მუშაობდა.

საღამოსთვის გოლდმენების სახლში ყველაფერი შეიცვალა. ზელდა იქ აღარ იყო. მისი ოთახი დააცარიელეს და დეზინფექცია ჩაუტარეს. მთელი ავეჯი გაიტანეს. დარჩა მხოლოდ ერთი ცარიელი ყუთი. მოგვიანებით, კარგა ხნის შემდეგ, აქაურობა დორი გოლდმენის საკერავ ოთახად იქცა.

პირველი კოშმარი რეიჩელს იმ ღამითვე დაესიზმრა და, როცა ღამის ორ საათზე გაეღვიძა და კივილით დედას უხმო, აღმოაჩინა, რომ საშინლად სტკიოდა მთელი ზურგი და ლოგინიდან ადგომას ვერ ახერხებდა. ზურგი მაშინ ასტკივებოდა, როცა ზელდას გადაბრუნებას ცდილობდა. ძალიან გაუძნელდა, მაგრამ ადრენალინის მოზღვავებამ მაინც თავისი გაიტანა და, როგორც იქნა, ზელდა გადააბრუნა, რა დროსაც კოფთა თითქმის შუაზე გაეხა.

ზურგი მაშინ ეტკინა, როცა ზელდას გადაბრუნებას ცდილობდა. ეს აშკარაა, რეიჩელი ცდილობდა, რომ ზელდა არ დამხრჩვალიყო. ელემენტარულია, ძვირფასო უოტსონ. ელემენტარულია ყველასთვის, თავად რეიჩელის გარდა. რეიჩელი კი დარწმუნებული იყო, რომ ზელდა საფლავის მიღმა არსებული სამყაროდან მასზე შურისძიებას ცდილობდა, რადგან ზელდამ იცოდა, რომ, როცა რეიჩელი გარეთ გავარდა ყვირილით — *ზელდა მოკვდა!* — ის სინამდვილეში იცინოდა. ზელდამ იცოდა, რომ დას მისი სიკვდილი გაუხარდა და სწორედ ამიტომ უგზავნიდა წყევლას. ახლა რეიჩელის ჯერი იყო, დაავადებულიყო სპინალური მენინგიტით და მალე უკვე მას ასტკივდებოდა ზურგი, ველარ ადგებოდა ლოგინიდან, ნელ-ნელა მონსტრს დაემსგავსებოდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელები ბრჭყალებად ექცეოდა. მერე ტკივილისგან ხმამაღლა იყვირებდა, ლოგინში ჩაფსმასაც დაიწყებდა, საბოლოოდ კი საკუთარ ენას გადაყლაპავდა და დაიხრჩობოდა. ეს ზელდას შურისძიება იქნებოდა.

ვერავინ შეძლო რეიჩელის გადარწმუნება — ვერც მამამ, ვერც დედამ და ვერც დოქტორმა მარეიმ, რომელმაც რეიჩელს ზურგის მსუბუქი დაჭიმულობის დიაგნოზი დაუსვა, შემდეგ კი უხეშად (ლუისის აზრით კი აშკარად ბოროტულად) უთხრა, რომ ცუდად მოქცევა შეეწყვიტა, რადგან უნდა ხსომებოდა, რომ მისი და მოკვდა, მშობლები კი საშინელ დღეში იყვნენ და ახლა ბავშვური ჭირვეულობის დრო არ იყო. მხოლოდ მოგვიანებით, ზურგის ტკივილების გავლის შემდეგ, რეიჩელი დარწმუნდა, რომ ამ ყველაფერთან ზელდას ზებუნებრივ შურისძიებას ან უფლის მიერ გამოგზავნილ სასჯელს კავშირი არ ჰქონდა. თვეების (ეს რაც ლუისს უთხრა, სინამდვილეში კი რვა წლის) განმავლობაში რეიჩელს ხშირად აღვიძებდა კოშმარები, სადაც ისევ და ისევ ხედავდა დას, რომელიც კვდებოდა. სიბნელეში კი გამოღვიძებული რეიჩელი ხელებით მაშინვე ზურგს იმოწმებდა. ხშირად ეშინოდა კარადიდან გამოსული ზელდასიც, რომელსაც მთელი სხეული გალურჯებული და ათრთოლებული ექნებოდა და თეთრად მოელვარე გადმოკარკლული თვალებით, ტუჩებს შორის გადმოგდებული შავი ენითა და ბრჭყალებს დამსგავსებული ხელებით გაეშურებოდა იმ მკვლელის მოსაშთობად, რომელსაც ამ მომენტში, პლედში გახვეულს, ორივე ხელი ხერხემალზე მიეკრა.

რეიჩელი არ დასწრებია ზელდას გასვენებას. მას შემდეგ ის არც ერთ გასვენებას არ დასწრებია.

— ეს ყველაფერი რომ აქამდე გეთქვა, — უთხრა ლუისმა, — ბევრი რამ უფრო გასაგები იქნებოდა.

— არ შემეძლო, ლუ, — მარტივად მიუგო რეიჩელმა უკვე ძილმორეული ხმით, — მას შემდეგ... მე... ოდნავი ფობია დამჩემდა.

ჰო, ოდნავი, — გაიფიქრა ლუისმა, — *კარგი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მე ამას ვერ... ვუმკლავდები. გონებაში ვიცი, რომ მართალი ხარ, რომ სიკვდილი სრულებით ბუნებრივი და რაღაც მხრივ კარგი მოვლენაც არის, მაგრამ როცა ამავე გონებას ეს ყველაფერი გამოვლილი აქვს... როცა ეს ყველაფერი ჩემში არსებობს...

— ჰო. — თქვა ლუისმა.

— იმ დღეს, შენ რომ შემოგიტიე, ვიცოდი, რომ ეილი, უბრალოდ, სიკვდილის იდეის გააზრების გამო ტიროდა, მაგრამ... თავს ვერაფრით მოვერიე. მაპატიე, ლუის.

— პატიება საჭირო არ არის, — უთხრა ლუისმა და თმაზე მოეფერა, — მაგრამ, ჯანდაბას, თუ ეს თავს უკეთ გაგრძნობინებს, მივიღებ შენს პატიებას.

რეიჩელს გაეღიმა. — ხომ იცი, რომ ასეა. თავს ახლა აშკარად უკეთ ვგრძნობ. თითქოს ამოვაღებინე რაღაც ძალიან საძაგელი, რაც წლების განმავლობაში სხეულს მიწამლავდა.

— შესაძლოა ასეც არის.

რეიჩელმა თვალები დახუჭა და ნელი მოძრაობით ისევ გაახილა. — და ყველაფერში მამაჩემს ნუ დაადანაშაულებ, ლუის. გთხოვ. მათაც საშინელი პერიოდი გამოიარეს. ზელდას მკურნალობის ხარჯები წარმოუდგენლად მაღალი იყო. მამას ჩაუვარდა გარეუბნებში მაღაზიების ამუშავების გეგმები, დაუნთაუნში მდებარე მაღაზიაც სულს ღაფავდა. დედა კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. მაგრამ ზელდას სიკვდილის შემდეგ ყველაფერი დალაგდა. თითქოს ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ძველებურ, ნორმალურ ცხოვრებას უნდა დავბრუნებოდით. მამამ სესხი აიღო და საქმე ხელახლა ააწყო. მას შემდეგ უკან აღარასოდეს გამოუხედავს, მაგრამ ჩემ მიმართ ყოველთვის ძალიან მზრუნველები იყვნენ. მგონი, ეს მხოლოდ იმის ბრალი არ ყოფილა, რომ მათ ახლა მხოლოდ მე ვყავდი.

— სინდისის ქენჯნაც აწუხებდათ, — უთხრა ლუისმა.

— ჰო, ალბათ. ლუის, ხომ არ გაბრაზდები, ნორმას გასვენების დღეს ცუდად რომ გავხდე?

— არა, საყვარელო. არ გავბრაზდები. — შემდეგ შეყოვნდა და რეიჩელის ხელი აიღო, — შეიძლება ეილი წავიყვანო?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეიჩელს ხელი დაეძაბა. — ოჰ, ლუის, არ ვიცი... ის ისეთი პატარაა...

— მაგრამ მან უკვე იცის, საიდან ჩნდებიან ბავშვები, — კიდევ ერთხელ შეახსენა ლუისმა.

კარგა ხანს რეიჩელი ჩუმად იყო, ჭერს უყურებდა და ტუჩებს იკვნეტდა. — თუ ფიქრობ, რომ ასე ჯობს, — თქვა ბოლოს, — თუ ფიქრობ, რომ ეს მას არ... არ ატკენს...

— მოდი აქ, რეიჩელ, — უთხრა ლუისმა, მოეხვია და ზურგზე მუცლით მიეკრა. მთელი ღამე ლოგინის ლუისის ნაწილზე ასე ეძინათ. შუაღამისას კი, მაშინ, როცა „ვალიუმს“ მოქმედების დრო გაუვიდა და რეიჩელს აკანკალებულს გაეღვიძა, ლუისმა ხელები მოხვია და ყურში მანამ უჩურჩულა — ყველაფერი კარგად იქნებაო — სანამ ქალს ხელმეორედ არ ჩაეძინა.

33

„რამეთუ ყოველი კაცი და ყოველი ქალი მინდვრის ყვავილების მსგავსად დღეს ყვავის, ხვალ კი თონეში მოისვრიან, ადამიანთა ყოფიერების დროც როგორც მოდის, ისევე მიდის. დაე, ვილოცოთ“.

ეილიმ, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის ნაყიდ მუქ ლურჯ კაბაში გამოწყობილიყო, თავი ისე მაგრად დაიქნია, რომ ლუისმა მისი კისრის ძვლების ხმა გაიგონა. ის ეკლესიაში იშვიათად დადიოდა, გასვენებას კი, რა თქმა უნდა, პირველად ესწრებოდა. მთელ ამ პროცესიას მასზე ისეთი გავლენა მოეხდინა, რომ გარინდული იდგა. ლუისისთვის კი ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა თავის გოგონას როგორლაც გარედან აკვირდებოდა. ძირითადად, ეილისა და გეიჯის სიყვარულით დაბრმავებულს, ამგვარი შეფასება უჭირდა ხოლმე, მაგრამ ახლა ხვდებოდა, რომ ეილი აბიჯებდა ადამიანის განვითარების იმ საფეხურზე, რომელზეც ის ყოველივეს დიდი ცნობისმოყვარეობით ეკიდება და ინფორმაციას ისრუტავს. ეილი ჩუმად იყო მაშინაც, როცა ჯადი, შავ პიჯაკსა და თასმიან ფეხსაცმელებში (ლუისს სჯეროდა, რომ ეს იყო პირველი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემთხვევა, როცა ჯადს ფეხსაცმელები ეცვა და არა მწვანე რეზინის ჩექმები ან უთასმო მოკასინები) გამოწყობილი — უცნაურად შესახედავი, მაგრამ ელეგანტური, მისკენ დაიხარა, აკოცა და უთხრა, — მიხარია, რომ მოხვედი, საყვარელო. დარწმუნებული ვარ, ნორმასაც უხარია.

ეილიმ მხოლოდ გაფართოებული თვალებით შეხედა.

ახლა უკვე მეთოდისტი მღვდელმსახური რივერენდ ლაფლინი ლოცვის დასკვნით ნაწილს წარმოთქვამდა და უფალს მშვიდობასა და წყალობას შესთხოვდა. — თუ შეიძლება, სასახლის წამღებები მომიახლოვდით. — თქვა მან.

ლუისმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ეილიმ შეაჩერა და მკლავზე დაჰქაჩა. შეშინებული ჩანდა. — მამიკო! — უთხრა ჩურჩულით, — სად მიდიხარ?

— სასახლე მეც უნდა წავიღო, საყვარელო, — უთხრა ლუისმა და მის გვერდით ჩამოჯდა. მხრებზე ხელი მოხვია და განაგრძო, — ეს ნიშნავს, რომ მე ნორმას უნდა დავეხმარო. სულ ოთხნი ვართ. მე, ჯადის ორი ძმისშვილი და ნორმას ძმა.

— მე სად გიპოვო?

ლუისმა წინ გაიხედა. დანარჩენი სამი წამღები უკვე ჯადთან შეკრებილიყო. ხალხის ნაწილი იშლებოდა, ზოგი ცრემლებს იწმენდდა.

— აი, კიბეზე ადი და ზღურბლთან დამელოდე. კარგი, ეილი?

— კარგი, — უთხრა გოგონამ, — ოღონდ არ დაგავიწყდე.

ლუისი ისევ წამოდგა და ეილიმ ისევ ხელზე დაჰქაჩა.

— მამიკო.

— რაო, პატარა?

— ხელიდან არ გაგივარდეს, — უთხრა ჩურჩულით.

ლუისი დანარჩენებს შეუერთდა და ჯადმა მას გააცნო თავისი ძმისშვილები, რომლებიც სინამდვილეში მეორე თუ მესამე თაობის ბიძაშვილები... ჯადის მამის ძმის შთამომავლები აღმოჩნდნენ. საკმაოდ მაღალი და ჯანიანი, ოც წელს გადაცილებული ბიჭები იყვნენ და ძალიან ჰგავდნენ ერთ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანეთს. ნორმას ძმა კი სადღაც სამოცს მიახლოებული იქნებოდა და, ლუისის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე დიდი ტკივილი აღბეჭდოდა, თავი მაინც ყოჩაღად ეჭირა.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — თქვა ლუისმა. ამ ოჯახურ წრეში თავს, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობდა.

დანარჩენებმა თავი დაუქნიეს.

— ეილი კარგად არის? — ჰკითხა ჯადმა და ბავშვისკენ თავი გააქნია. ეილი ვესტიბიულიდან აკვირდებოდა.

ჰო, უბრალოდ, სურს დარწმუნდეს, რომ კვამლში არ ავორთქლდები, — გაიფიქრა ლუისმა და თითქმის გაიღიმა კიდეც, თუმცა შემდეგ გონებაში ამოუტივტივდა ფრაზა — *ოზი, დიდებული და საზალელი* — და ღიმილიც უმალ გაქრა.

— ჰო, მგონი, არა უშავს, — თქვა ლუისმა და ეილის ხელი აუწია. მანაც ასეთივე ჟესტით უპასუხა და თავის მუქ ლურჯ კაბაში ოდნავ წინ წამოიწია. რამდენიმე წამის განმავლობაში ლუისი აკვირდებოდა და ფიქრობდა, რომ ახლა ეილი საოცრად გაზრდილად ეჩვენებოდა. ეს იყო ერთ-ერთი ისეთი მომენტი, როდესაც ადამიანები ვხვდებით, რა მალე გარბის დრო.

— მზად ხართ, ბიჭებო? — იკითხა ერთ-ერთმა ძმისშვილმა.

ლუისმა თავი დაუქნია. ასევე მოიქცა ნორმას უმცროსი ძმა.

— ფრთხილად მოეპყარით, — თქვა ჯადმა. დამძიმებული ხმა ჰქონდა. შემდეგ შებრუნდა და გასასვლელისკენ დაიძრა.

ლუისი ჯადის მიერ შერჩეული „ამერიკან ეტერნალის“ ფოლადისფერი სასახლის უკანა მარცხენა სახელურს მიუახლოვდა. შემდეგ სასახლე ოთხივემ მაღლა ასწია და გაიტანეს გარეთ, სადაც თებერვლის მზე ანათებდა, მაგრამ მაინც ციოდა. ვიღაცას, ლუისის აზრით, ალბათ ტაძრის ერთ-ერთ მსახურს, თოვლის თხელ ფენაზე ნაცარი მოეყარა. გარეთ უკვე დაქოქილი შავი „კადილაკის“ კატაფალკი იდგა, რომ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლის თეთრი კვამლიც ზამთრის ცივ ჰაერს ერწყმოდა. დამკრძალავი ბიუროს მეპატრონე და მისი ტანადი ბიჭი იქვე იდგნენ, სასახლის მზიდავებს აკვირდებოდნენ და მზად იყვნენ, რომელიმე მათგანისთვის (მაგალითად, ნორმას ძმისთვის), სახელურის ხელიდან გაცურების შემთხვევაში, ხელი შეეშველებინათ.

ჯადი მის წინ დინჯად იდგა და აკვირდებოდა, როგორ შეჰქონდათ სასახლე კატაფალკში. — მშვიდობით, ნორმა, — თქვა და სიგარეტს მოუკიდა, — მალე შევხვდებით, მოხუცო.

ლუისმა ჯადს მხრებზე მკლავი გადახვია, ნორმას ძმაც მეორე მხრიდან მოეხვია. მათ უკან დამკრძალავი ბიუროს მეპატრონე და ჯადის ძმისშვილები (თუ ბიძაშვილები) იდგნენ. მათ სახეზე უკვე დასტყობოდათ გულგრილობა და შორეული ფიქრები. ისინი ხომ ამ ოჯახს ძალიან ცუდად იცნობდნენ და იმ ქალის სახეც, რომლის სასახლეც ცოტა ხნის წინ მიჰქონდათ, მხოლოდ ფოტოებიდან ან ერთი-ორი სავალდებულო სტუმრობიდან ახსოვდათ. მაშინ ალბათ აქ, ვერანდაზე, ნორმას ორცხობილებს ან ჯადის ლუდს შეექცეოდნენ. შესაძლოა, არც ძველი ისტორიების მოსმენაზე ამბობდნენ უარს, მაგრამ ახლა მაინც აშკარა იყო, რომ უკვე ფიქრობდნენ იმ რამდენიმე საქმის შესახებ, რომელთა შესრულებაც თავისუფლად შეეძლოთ, აქ რომ არ ყოფილიყვნენ (მაგალითად, მანქანის გარეცხვა და გაპრიალება, ბოულინგის თამაში ან, უბრალოდ, მეგობრებთან ერთად ტელევიზორთან ჯდომა და კრივის ყურება) და მოხარულებიც იყვნენ, რომ ჯადთან მათი საქმე უკვე დასრულებულიყო.

ოჯახის ჯადისეული ნაწილი მათთვის უკვე დაკარგული იყო. ის დამსგავსებოდა გალაქტიკაში ძირითად მასას მოწყვეტილ ასტეროიდს, რომელიც ახლა მხოლოდ შორეულ ლაქადღა მოჩანდა. წარსული. ფოტოები ალბომში. ძველი ისტორიები ოთახებში, სადაც მათ ალბათ ძალიან სცხელოდათ. ისინი ჯერ ახალგაზრდები იყვნენ. მათ სახსრებს არ აწუხებდა ართრიტი და სისხლი უდუღდათ. წარსული —

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უბრალოდ, წარსულია, ხოლო თუ ადამიანის სხეული მხოლოდ სულის კონვერტია, რომელიც სამყაროში გამოგზავნილ უფლის წერილს ინახავს — როგორც ამას რელიგიათა უმეტესობა ქადაგებს, მაშინ „ამერიკან ეტერნალის“ სასახლე ადამიანის სხეულის კონვერტი გამოდიოდა, ამ ჩასკვნილი ძმისშვილების თუ ბიძაშვილებისთვის კი წარსული სხვა არაფერი იყო, თუ არა არაფრისმთქმელი წერილი, რომელიც უკვე შესაძლებელია, რომ არქივს ჩაბარდეს.

ღმერთო, დალოცე წარსული, — გაიფიქრა ლუისმა და გააჟრჟოლა იმის გაფიქრებაზე, რომ ერთხელაც დადგებოდა ის დღე, როცა ის საკუთარი სისხლისა და ხორცისთვის უცხო იქნებოდა. რომ მას ვერ იცნობდნენ შვილიშვილები — თუკი ეილის ან გეიჯს ბავშვები ეყოლებოდათ და მათ ლუისიც მოესწრებოდა. ფოკუსი ფერმკრთალდებოდა. საოჯახო ხაზი მრუდდებოდა. ძველი ფოტოებიდან ახალგაზრდა სახეები იყურებოდნენ.

ღმერთო, დალოცე წარსული. — ისევ გაიფიქრა ლუისმა და მოხუცს მხრებზე კიდევ უფრო მაგრად მოეხვია.

გამცილებლებმა ყვავილები კატაფალკის საბარგულში ჩააწყვეს, ელექტრონული უკანა შუშაც აიწია და ლუისი ტაძრის კიბისკენ დაიძრა, სადაც ეილი ელოდა. შემდეგ ორივენი ერთად წავიდნენ ფურგონიანი მანქანისკენ. გზად ლუისს კარგად ეჭირა ეილის ხელი, რათა მას თავისი ახალი ტყავისძირიანი ტუფლებით ფეხი არ დასცურებოდა. მანქანებს უკვე ქოქავდნენ.

— ფარებს რატომ ანთებენ, მამიკო? — მცირედი გაოცებით იკითხა ეილიმ, — ახლა ხომ დღეა, ფარები რად უნდათ?

— ასე გარდაცვლილს პატივს მიაგებენ, ეილი, — უთხრა ლუისმა და შენიშნა, რომ ხმა მასაც დამძიმებოდა. შემდეგ მანქანის ის სახელური გამოქაჩა, რომელიც ფარებს ანთებდა და მანქანა ადგილიდან დაძრა. — წავედით.

როცა უკვე დამკრძალავი ცერემონიიდან უკან ბრუნდებოდნენ — ცერემონია „მაუნტ ჰოუპის“ პატარა სამლოცველოში გაიმართა, რადგან ნორმასთვის საფლავს მხოლოდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაზაფხულზე გათხრიდნენ — ეილის უეცრად ცრემლები წასკდა.

ლუისმა გაკვირვებულმა, მაგრამ არც ისე შეშფოთებულმა გადახედა. — რა მოხდა, ეილი?

— ორცხობილები აღარ იქნება, — ამოიქვითინა ეილიმ, — ის მსოფლიოში ყველაზე გემრიელ შვრიის ორცხობილებს აცხობდა, მამიკო. ახლა ველარ გამოაცხობს, რადგან მოკვდა. რატომ კვდებიან ადამიანები?

— მართლა არ ვიცი, — უპასუხა ლუისმა, — ალბათ, სხვა, ახალი ადამიანებისთვის ადგილის გასათავისუფლებლად. ისეთებისთვის, როგორებიც, მაგალითად, შენ და შენი ძმა გეიჯი ხართ.

— მე არასოდეს დავქორწინდები, არც სექსი მექნება და არც ბავშვები მეყოლება! — მტკიცედ წარმოთქვა ეილიმ და კიდევ უფრო ძლიერად ატირდა. — მერე იქნებ აღარ მოვკვდე! აუ, რა საშინელებაა! სა-ა-აშინელება!

— სამაგიეროდ, ეს ტანჯვის დასასრულიც არის ხოლმე, — დინჯად მიუგო ლუისმა, — მე, როგორც ექიმს, უამრავი ტანჯული ადამიანი მინახავს. უნივერსიტეტში სამუშაო ამიტომაც მოვძებნე. აღარ შემეძლო ყოველდღე მათი ყურება. მართალია, ახალგაზრდებსაც სტკივათ ხოლმე რაღაცები... თან ხანდახან ძალიან ძლიერადაც, მაგრამ ეს ნამდვილ ტანჯვასთან ახლოს მაინც ვერ მოვა.

შემდეგ პაუზა აიღო.

— გინდ დამიჯერე, გინდ არა, საყვარელო, მაგრამ მოხუცებს სიკვდილის უკვე აღარ ეშინიათ. აი, შენ კი, წინ ბევრი, ბევრი წელი გაქვს.

ეილი ტირილს განაგრძობდა. შემდეგ ერთი ამოიგმინა და გაჩუმდა. შინ მისვლამდე მამას ჰკითხა, შეეძლო თუ არა რადიოს ჩართვა, თანხმობის შემდეგ კი WACZ-ის ტალღაზე შეიქინ სტივენსის „This Ole House"-ს მიაგნო და ცოტა ხანში მელოდიას აჰყვა კიდეც. შინმისულმა გასვენების ამბები მაშინვე დედას ჩაუკაკლა. რეიჩელის სასახელოდ უნდა ითქ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვას, რომ დინჯად და მშვიდად უსმენდა, თუმცა ლუისმა მაინც შეატყო, რომ სახე გაფერმკრთალებოდა.

შემდეგ ეილიმ ჰკითხა, იცოდა თუ არა რეიჩელმა შვრიის ორცხობილების გამოცხობა და რეიჩელიც უეცრად ისე წამოხტა, თითქოს სწორედ ამ შეკითხვას მოელოდაო. — ვიცი, — თქვა მან,— გინდა, ახლავე გამოვაცხოთ?

— იეი! — წამოიყვირა ეილიმ, — შეგვიძლია, დედიკო?

— შეგვიძლია, თუ ერთი საათით მამაშენი გეიჯს მიხედავს.

— არ არის პრობლემა, — თქვა ლუისმა, — დიდი სიამოვნებით.

ლუისმა საღამო „დუკეინ მედიქალ დაიჯესტის" გრძელი სტატიის კითხვასა და ჩანაწერების კეთებაში გაატარა. ჭრილობასთან დაკავშირებული ძველი კამათი ისევ განახლებულიყო. იმ მცირერიცხოვან სპეციალისტთა წრეში, რომლებიც ჭრილობის გაკერვის თემით ინტერესდებოდნენ, ეს კამათი დღემდე ისევე გაჭიანურებულად მოჩანდა, როგორც ძველი ფსიქოლოგიური დაპირისპირება ადამიანის ბუნებასა და აღზრდას შორის.

ლუისი სტატიაში მოყვანილი მოსაზრებების წინააღმდეგ კრიტიკული წერილის დაწერას ამაღამვე აპირებდა. სურდა, დაემტკიცებინა, რომ სტატიის ავტორის ძირითადი იდეა საფუძველშივე მცდარი იყო და რომ მის მიერ მოყვანილი თითიდან გამოწოვილი მაგალითები მთელ კვლევას ლამის დანაშაულის ნიშნების შემცველ მასალად აქცევდა. მოკლედ, ლუისი ფიქრობდა, რომ სათანადო იუმორის გამოყენებით სტატიის ავტორს კარგა გვარიან ალიყურს აჭმევდა და სწორედ ამ მიზნით ახლა კაბინეტში ტროტმენის „ჭრილობათა მკურნალობას" ეძებდა. უეცრად კიბეზე რეიჩელი გამოჩნდა.

— არ ამოდიხარ, ლუ?

— კი, ცოტა ხანში, — ლუისმა ცოლს გახედა, — ყველაფერი რიგზეა?

— ორივეს უკვე ღრმად სძინავს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა უფრო დაკვირვებით შეხედა. — მათ კი, მაგრამ შენ არა.

— კარგად ვარ. ვკითხულობდი.

— მართლა კარგად ხარ?

— კი, — თქვა რეიჩელმა და გაიღიმა, — მიყვარხარ, ლუ-ის.

— მეც მიყვარხარ, პატარა. — შემდეგ ლუისმა ისევ კარა-დას გახედა, სადაც მაშინვე შენიშნა ტროტმენი ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ყოველთვის იდო.

— ეილი რომ დაწვა, ჩერჩიმ სახლში ვირთხა მოათრია, — თქვა რეიჩელმა და გაღიმება სცადა, — უფ, საძაგლობა იყო.

— ღმერთო, რეიჩელ, მაპატიე, — ლუისს იმედი ჰქონდა, რომ ეს სიტყვები მთლად იმ დოზის დანაშაულის გრძნობით არ წარმოუთქვამს, როგორსაც სინამდვილეში განიცდიდა. — ძალიან შეწუხდი?

რეიჩელი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. ვარდისფერ ფლანელის ღამის ხალათში, უმაკიაჟო სახეში, გაპრიალე-ბულ შუბლსა და უკან გადაწეულ, რეზინით ცხენის კუდად შეკრულ თმაში ის ახლა ბავშვს წააგავდა. — არა, მივხე-დე, — თქვა მან, — მაგრამ, იცი, სანამ მტვერსასრუტით არ ვაიძულე, ის სულელი კატა გარეთ ვერაფრით გავაგდე. ის თითქოს... იცავდა... გვამს იცავდა და მიღრენდა. აქამ-დე ჩერჩის ჩემთვის არასოდეს დაუღრენია. ამ ბოლო დროს შეცვლილი მეჩვენება. როგორ გგონია, რამე ხომ არ სჭირს, ლუის?

— არა, — მშვიდად თქვა ლუისმა, — მაგრამ, თუ გინდა, ვეტერინართან მაინც მივიყვან.

— არა, მგონი, საჭირო არ არის, — თქვა და ლუისს ალმა-ცერად გახედა, — მაგრამ ზემოთ ხომ ამოხვალ? მე... ვიცი, რომ სამუშაო გაქვს, მაგრამ...

— რა თქმა უნდა, — თქვა ლუისმა და ისე წამოდგა, თით-ქოს არაფერ მნიშვნელოვანს არ აკეთებდა. კაცმა რომ თქ-ვას, ასეც იყო. იცოდა, რომ წერილს არც ხვალ დაწერდა, რადგან ხვალ რაღაც სხვა საქმე გამოუჩნდებოდა და მას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზე გადაერთვებოდა. აი, ვირთხა კი მისი მისახედი იყო. ხომ ასეა? ჩერჩის მოთრეული ვირთხა, რომელიც კატამ უეჭველად ნაგლეჯებად აქცია და თავი მოაწყვიტა. კი, ამ ვირთხაზე პასუხისმგებელი ნამდვილად ლუისი იყო. ეს მისი ვირთხა იყო.

— წამოდი, დავწვეთ. — უთხრა რეიჩელს და შუქი ჩააქრო. როცა კიბეზე ერთად ადიოდნენ, ლუისმა ცოლს წელზე ხელი შემოხვია და ცდილობდა ამ ღამით ბოლომდე ჰყვარებოდა, თუმცა... მაშინაც კი, როცა აღგზნებული და ერეგირებული მასში შედიოდა, ყინულის თხელი ფენით დაფარულ ფანჯრებს მიღმა ზამთრის ხმებს უსმენდა და იმაზე ფიქრობდა, რომ ჩერჩი, რომელიც მისი გოგონას კატა იყო, ახლა მის კატად ქცეულიყო. აინტერესებდა, თუ სად იყო ჩერჩი — სად დაძრწოდა, სად ნადირობდა. *კაცის გული ქვის ზედაპირითაა დაფარული,* — გაიფიქრა ლუისმა. ქარი თავის მძიმე და ბნელ სიმღერას მღეროდა, სადღაც არც ისე მრავალი მილის მოშორებით კი ნორმა კრენდოლი — რომელიც ცოტა ხნის წინ ლუისის შვილებისთვის ერთმანეთთან შესაფერის ქუდებს ქსოვდა — „მაუნტ ჰოუპის“ სასაფლაოზე „ამერიკან ეტერნალის“ სასახლეში იწვა და ამ დროისთვის, ალბათ, მისი ლოყების ქვეშ ამოდებული თეთრი ბამბები უკვე გაშავებულიყო.

34

ეილი ექვსი წლის გახდა. იმ დღეს ბაღიდან სახლში თავზე საზეიმო ქაღალდის ქუდით და ხელში მეგობრების მიერ ნაჩუქარი ნახატებით (საუკეთესო მათგანზე ეილი მეგობრული გამომეტყველების მქონე საფრთხობელას წააგავდა) დაბრუნდა და მოჰყვა ამბავს შესვენებაზე, სკოლის ეზოში, ბავშვების ჩხუბის შესახებ. გრიპის ეპიდემია უკვე გამქრალიყო. ლუისმა ბანგორის კლინიკაში ორი სტუდენტი გაგზავნა, სარენდრა ჰარდუმ კი, სავარაუდოდ, მძიმე ავადმყოფის, პირველკურსელი საშინელი გვარის მქონე ბიჭის,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პიტერ ჰამპერტონის[1], სიცოცხლე იხსნა, რომელიც უეცრად კრუნჩხვებში ჩავარდა. ამ პერიოდში რეიჩელი დაინტერესა ბრუერში „ეი ენდ პის“ ქერა შემფუთველმა ბიჭმა, რომელზეც იმ ღამითვე უთხრა ლუისს, რომ ბიჭს საოცრად მოტკეცილი ჯინსის შარვალი ეცვა. — თუმცა, შესაძლოა იქ უბრალოდ ტუალეტის ქაღალდი აქვს ჩაჩურთული, — დაამატა მან. — მერე შენც ერთხელ ხელი წაავლე, — უთხრა ლუისმა, — და თუ წამოიყვირა, ესე იგი, ქაღალდი არ ყოფილა. — ამ სიტყვებზე რეიჩელმა ცრემლებამდე იცინა. თებერვლის სიცივეებმა ჩაიარა და დადგა წვიმიანი, ოდნავ ყინვიანი მარტი. მასთან ერთად მოვიდნენ ღრანტეები ქუჩებზე და ის ნარინჯისფერი გამაფრთხილებელი სადგამები, რომლებიც დიად ღვთაება „გუბურას“ ადიდებდნენ. ჯად კრენდოლის პირადი ტკივილიც ნელ-ნელა ყუჩდებოდა. როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ტკივილთან შეგუების ყველაზე მძიმე პერიოდი საყვარელი ადამიანის სიკვდილიდან სამი დღის გასვლის შემდეგ იწყება და ძირითადად, დაახლოებით ოთხ-ექვს კვირას გრძელდება. ეს ჰგავს პერიოდს, რომელსაც ნიუინგლენდელები „ღრმა ზამთარს“ უწოდებდნენ. თუმცა, ხდება ისეც, რომ ადამიანის გრძნობები ერთი სტადიიდან მეორეში გადაინაცვლებს და ხანდახან ცისარტყელას ემსგავსება. მძიმე ნაღველი მსუბუქი ნაღველით იცვლება, ეს უკანასკნელი კი გლოვის სახეს იღებს. საბოლოოდ გლოვის პერიოდიც გადის და რჩება მხოლოდ მოგონება. მთელი ეს პროცესი, როგორც წესი, ექვსი თვიდან სამ წლამდე გრძელდება და ბუნებრივად მიიჩნევა. იმ დღეს, როცა გეიჯის პირველი თმის შეჭრის დრო დადგა, ლუისმა შენიშნა, რომ ბიჭის თმა აშკარად უფრო გამუქებულიყო. ამაზე ლუისმა თავისთვის იხუმრა და ოდნავ დანაღვლიანდა კიდეც.

გაზაფხული მოვიდა და კარგა ხნითაც დარჩა.

---

[1] *იგულისხმება ყღერადობით მსგავსი დაავადება — hammertoe (ტერფის ჩაქუჩისებრი თითი).*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

35

ლუის კრიდი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი ცხოვრების უკანასკნელი ბედნიერი დღე 1984 წლის 24 მარტი იყო. იმ მოვლენებამდე, რომლებიც მათ მომაკვდინებელი სიმძიმით დაატყდათ თავს, ჯერ კიდევ შვიდი კვირა რჩებოდა, მაგრამ როდესაც ლუისი უკან იხედებოდა, ხვდებოდა, რომ ამ დღეს იმ პერიოდში უკეთესი არაფერი მოჰყოლია. ფიქრობდა, რომ იმ საშინელებათაგან თუნდაც არც ერთი არ მომხდარიყო, ეს დღე მაინც სამუდამოდ ემახსოვრებოდა, რადგან გამორჩეულად კარგი — ყოველმხრივ კარგი იყო, როგორებიც ისედაც ძალიან იშვიათია. ლუისის აზრით, საუკეთესო შემთხვევაში, ასეთი დღეები ადამიანს თვეში ერთხელ თუ აქვს. ღმერთი, როგორც წესი, უბედურების თვალსაზრისით უფრო გულუხვია ხოლმე.

შაბათი დღე იყო და სანამ რეიჩელი და ეილი საყიდლებზე იყვნენ წასული, ლუისი გეიჯს უვლიდა. საყიდლებზე ჯადის ძველისძველი, 59 წლის IH[1]-ის პიკაპით წავიდნენ, თუმცა არა იმიტომ, რომ კრიდების ფურგონიანი მანქანა გაფუჭდა. უბრალოდ, ჯადს ნამდვილად ძალიან სიამოვნებდა მათთან ერთად ყოფნა. რეიჩელმა ლუისს ჰკითხა, შეძლებდა თუ არა ის გეიჯთან დარჩენას და მანაც, რა თქმა უნდა, უპასუხა, რომ შეძლებდა. უხაროდა, რეიჩელი რომ სახლიდან გადიოდა. მას გამოევლო მენის ცივი ზამთარი, რომლის უმეტესი ნაწილიც ლადლოუში გაეტარებინა და, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელაც არ დაუჩივლია, ლუისი ატყობდა, რეიჩელი მომენტებში მოწყენილობისგან ლამის გიჟდებოდა.

გეიჯს შუადღის ძილიდან სადღაც ორი საათისკენ გამოეღვიძა. ახლა უკვე ორი წლის ასაკისთვის დამახასიათებელი ჭირვეული ხასიათი დასჩემებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ლუისმა ათასგვარად სცადა მისი გართობა, ბავშვი ყველაფერზე უარს ამბობდა. ამას დაემატა ისიც, რომ გეიჯმა

---

[1] *ინტერნეიშენალ ჰარვესტერი (International Harvester — ინგლ.) — სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი ტექნიკის მწარმოებელი ამერიკული კომპანია.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაისვარა და როცა ლუისი საფენებს უცვლიდა, მოზრდილ მასაში შენიშნა ეილის ლურჯი შუშის ბურთულა.

შეიძლებოდა ბავშვი დამხრჩვალიყო.

გეიჯს უკვე ის პერიოდი ედგა, როცა ყველაფერს, რასაც პოულობდა, პირში იდებდა. ლუისმა გადაწყვიტა, რომ ეილის ამ ბურთულებს გადაუყრიდა, მაგრამ ჯერ გეიჯის გასართობად უნდა მოეფიქრებინა რაიმე, სანამ დედამისი შინ დაბრუნდებოდა.

ლუისი უსმენდა სახლის ირგვლივ მქროლავ ადრეული გაზაფხულის ქარს და მეზობლად, მისის ვინტონის მინდორზე დაფენილ ჩრდილებს აკვირდებოდა. უეცრად მას გაახსენდა ფრანი, რომელიც ხუთი-ექვსი კვირის წინ უნივერსიტეტიდან სახლისკენ მომავალ გზაზე ეყიდა. თოკიც იყიდა, არა? აბა რა, ღმერთო დიდებულო! ნამდვილად იყიდა!

— გეიჯ! — დაიძახა ლუისმა. გეიჯს სავარძლის ქვეშ „კრაიოლას“ მწვანე ფანქარი ეპოვა და ახლა ეილის ერთ-ერთ საყვარელ წიგნს აფერადებდა. *ესეც დაძმური კონფლიქტის კიდევ ერთი მიზეზი.* — გაიფიქრა ლუისმა და გაეცინა. თუ ეილი ძალიან გაბრაზდებოდა გეიჯის ნაჯღაბნებზე მის წიგნში „სად ბუდობენ ველური არსებები“, ის გოგონას აუცილებლად გაახსენებდა გეიჯის საფენებში ნაპოვნ ლურჯ ბურთს.

— რა! — უეცრად შეეპასუხა გეიჯი. ახლა უკვე საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა.

— გინდა გავისეირნოთ?

— მინდა გავისეირნოთ! — აღტაცებით დაეთანხმა გეიჯი, — მინდა გავისეირნოთ. ჩემი ბოსები სადაა, მამიკო?

ეს წინადადება, თუ ადამიანთა ჩვეულ ენაზე ვთარგმნიდით, ასე ჟღერდა: ჩემი ბოტასები სადაა, მამიკო? ლუისს ძალიან ეცინებოდა გეიჯის საუბარზე. არა იმიტომ, რომ საყვარელი იყო, არამედ იმიტომ, რომ პატარა ბავშვების საუბარი მისთვის ყოველთვის იმ იმიგრანტებისას წააგავდა, რომლებიც უცხო ენას თავისებური ინტონაციითა და გამოთქმით სწავლობენ. პატარა ბავშვის მიერ გამოცემული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბგერები ჰგავდა ფრანგული ენის პირველი კურსის სტუდენტის მიერ წარმოთქმულ ხახისმიერ ბგერებს, ან ავსტრალიელების მიერ გერმანულის სწავლის დროს წარმოთქმულ ხორხისმიერ, მძიმე ბგერებს. დროთა განმავლობაში კი, ინგლისურის სწავლასთან ერთად, ბავშვები ამ მსგავსებას და უნარს კარგავდნენ. სწორედ ამიტომ ახლა ლუისი იმაზე დაფიქრდა (თან არა პირველად), რომ ბავშვობა სინამდვილეში დავიწყების პერიოდი იყო და არა სწავლისა.

როგორც იქნა, გეიჯის ბოტასებს მიაგნეს. ისინიც სავარძელის ქვეშ აღმოჩნდა. ლუისის კიდევ ერთი რწმენის თანახმად, იმ ოჯახებში, სადაც პატარა ბავშვები ცხოვრობდნენ, გარკვეული დროის შემდეგ მისაღები ოთახის სავარძლების ქვედა სივრცე მისტიკური ელექტრომაგნიტური ველით იფარებოდა და ეს ძალა პრაქტიკულად ყველა საგანს — დაწყებული ბოთლებიდან და საფენებიდან, დამთავრებული მწვანე „კრაიოლამდე“ და ფურცლებს შორის საჭმელშემხმარი „სეზამ სტრიტ მეგეზინის“ ძველ ნომრებამდე — თავისკენ ისრუტავდა.

თუმცა, სავარძლის ქვეშ არ აღმოჩნდა გეიჯის ქურთუკი. ის კიბის ქვედა საფეხურებზე ეგდო. „რედ სოქსის“ კეპი კი, რომლის გარეშეც გეიჯი სახლიდან არასოდეს გადიოდა, უფრო ძნელად მოიძებნა, რადგან ის თავის ადგილზე — კარადაში იდო, სადაც ლუისმა, ბუნებრივია, ყველაზე ბოლოს შეიხედა.

— სად მივდივართ, მამიკო? — მეგობრულად ჰკითხა გეიჯმა და ხელი გაუწოდა.

— მისის ვინტონის მინდორზე, — უთხრა ლუისმა, — ფრანი უნდა გავაფრინოთ, ძმაო.

— ფრანიიი? — დაეჭვებით იკითხა გეიჯმა.

— მოგეწონება. ერთი წუთით დაიცადე, ბავშვო.

ახლა უკვე ავტოფარეხში იყვნენ. ლუისმა სახელურს მიაგნო, გასაღებით პატარა სათავსის კარი გააღო და შუქი აანთო. შემდეგ ცოტა იქექა და მიაგნო სვავის ფორმის ფრანს, რომელიც ჯერ ისევ მაღაზიის პაკეტში იყო გახვეუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი. ლუისმა ფრანი შუა თებერვალში იყიდა. მაშინ მისი სულ-ლი იმედებით იყო სავსე.

— ლა? — იკითხა გეიჯმა. ეს იყო გეიჯისეული ფორმა შეკითხვისა: რა გაქვს მანდ, აბა, მაჩვენე, მამა.

— ეს ფრანია, — უთხრა ლუისმა და პაკეტი გახსნა. გეიჯი დაინტერესებული უყურებდა, როგორ ამოიღო მამამისმა სვავის ფორმის ფრანი, რომლის პლასტმასის ფრთებიც სადღაც ხუთ ფუტზე იშლებოდა. მოვარდისფრო შიშველი კისერი პატარა, გამომშრალი თავით ბოლოვდებოდა, საიდანაც გადმოკარკლული, ჩასისხლიანებული თვალები იმზირებოდნენ.

— ციტი! — წამოიყვირა გეიჯმა, — ციტი, მამიკო! ციტი!

— ჰო, ჩიტია, — დაეთანხმა ლუისი, შემდეგ ფრანის ჯოხები ბუდეებში მოათავსა და ფრანი გამოაბა ხუთასფუტიან თოკს, რომელიც ფრანთან ერთად ჰქონდა ნაყიდი. ლუისმა ზურგს უკან გამოიხედა და გეიჯს უთხრა, — აი, ნახავ, როგორ მოგეწონება, დიდო ბიჭო.

გეიჯს მოეწონა.

ფრანი მისის ვინტონის მინდორზე წაიღეს და ლუისმა ის პირველივე ცდაზე ააფრინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ გაეკეთებინა... რამდენი? თორმეტი წელი იყო უკვე. ანუ... ცხრამეტი წლის წინ? ღმერთო, რა საშინელებაა.

მისის ვინტონი თითქმის ჯადის ასაკის, მაგრამ უფრო მოტეხილი ქალი იყო. მინდვრის პირას, აგურებიან სახლში ცხოვრობდა და გარეთ იშვიათად გამოდიოდა. მინდვრის შემდეგ იწყებოდა ტყე, რომელსაც მოჰყვებოდა შინაური ცხოველების სასაფლაო, შემდეგ კი მიკმაკების სამარხი მიწა.

— ფრანი დაფინავს, მამიკო! — წამოიყვირა გეიჯმა.

— ჰო, აი, უყურე! — ლუისმა უკან დაიხია და აღტაცებით გაიცინა. შემდეგ თოკი ისეთი სიჩქარით გაუშვა, რომ მკლავზე დახვეულმა მისმა ნაწილმა გაშვებისას კანი გაუხურა. — ნახე, რას დაფრინავს შენი სვავი, გეიჯ! ყველას დედას უტირებს!

— დედაუტილებს! — შესძახა გეიჯმა და მხიარულად გადაიკისკისა. მუქი რუხი ღრუბლებიდან მზემ გამოანათა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უეცრად ერთიანად ხუთი გრადუსით დათბობის ილუზია შექმნა. იდგნენ მისის ვინტონის მაღალი ხმელი ბალახებით დაფარულ მზით განათებულ მინდორში და შეიგრძნობდნენ გვიანი მარტის სითბოს, რომელიც მალე უკვე აპრილში გადაინაცვლებდა. სვავის ფრანი მაღლა ცაში დაფრინავდა, პლასტმასის ფრთები ფართოდ გაეშალა და ლუისიც ზუსტად ისე მართავდა მას, როგორც ბავშვობაში. ახლა ეჩვენებოდა, რომ თავადაც მაღლა ადიოდა და სამყაროს ისე დაჰყურებდა, როგორც ალბათ კარტოგრაფები დაჰყურებენ დედამიწას თავიანთ სიზმრებში. მისის ვინტონის მინდორი — აბლაბუდასავით თეთრი — ახლა ერთ დიდ, აგურის კედლით შემოსაზღვრულ პარალელოგრამად ქცეულიყო. ლუისი გრძნობდა, როგორ ადიოდა ზევით და როგორ უყურებდა ამ ყველაფერს ჩიტის სიმაღლიდან. ხედავდა მდინარეს — ცივსა და ფოლადისფერს, რომელსაც ჯერ ისევ მიჰქონდა ყინულის ნატეხები. მეორე მხარეს იყო ჰემპდენი, ნიუბერგი, უინტერპორტი და გემების დოკი. ალბათ ბაკსპორტის კვამლით დაფარულ ქაღალდის ქარხანასაც ხედავდა. შესაძლოა, შეემჩნია თვით სანაპირო ზოლიც, რომლის შიშველ კლდეებსაც ახლა ატლანტის ოკეანის ტალღები ეხეთქებოდა.

— შეხედე, გეიჯ! — წამოიყვირა ლუისმა და გაიცინა.

გეიჯი უკან გადახრილიყო, თავი გადაეგდო და ფრანს ისე უყურებდა. ამის შემხედვარე ლუისს შეეშინდა, ბავშვი არ წაქცეულიყო. შემდეგ ლუისმა თოკი დაბლა დასწია და გეიჯს დააჭერინა. გეიჯმა, ისე, რომ ფრანისთვის თვალები არ მოუშორებია, თოკი გამოართვა. ქარი კი ისევ აფრიალებდა ფრანს და მინდორზე მის ჩრდილს ათამაშებდა.

ლუისმა გეიჯს ხელზე თოკი ორჯერ გადაახვია და ბავშვმა ქვევით ახლაღა დაიხედა.

— ლა! — შესძახა გეიჯმა.

— შენ აფრენ, — უთხარ ლუისმა, — მას შენ მართავ, ძმობილო! ეს შენი ფრანია.

— გეიჯი აფლენს? — ჰკითხა დასადასტურებლად გეიჯმა უფრო მეტად საკუთარ თავს, ვიდრე მამას. შემდეგ თოკს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საცდელად მოქაჩა. ფრანი ცაში ათამაშდა. ახლა კიდევ უფრო მაგრად მოქაჩა და მერე ლუისს და მის ბიჭს ორივეს მაგრად გაეცინა. გეიჯმა თავისუფალი ხელი ლუისს გაუწოდა, მანაც ხელი ჩასჭიდა და ორივენი ასე დარჩნენ სვავის ფრანის შემყურეები მისის ვინტონის მინდვრის შუაში.

ეს იყო შვილთან ერთად გატარებული დაუვიწყარი წუთები. ახლა ისიც ბავშვად ქცეულიყო. სიმაღლეში დაპატარავებულიყო, რათა გეიჯის პაწაწინა სხეულში ჩატეულიყო და მისი თვალებით აეხედა ამ უზარმაზარი ნათელი სამყაროსთვის, რომელშიც ახლა მისის ვინტონის მინდორი თითქმის ისეთივე დიდი იყო, როგორიც ბონევილის მარილის ტბა, ზევით ფრანი ტივტივებდა, ხელზე თოკი გქონდა გადახვეული, თმას კი ქარი გიფრიალებდა.

— ფრანი დაფლინავს! — წამოიყვირა გეიჯმა. ლუისმა შვილს მხრებზე ხელი შემოხვია და აკოცა ლოყაზე, რომელიც ქარს ველურ ვარდისფრად აეწითლებინა.

— მიყვარხარ, გეიჯ, — უთხრა ლუისმა. არა უშავდა, ახლა მათ მეტი აქ მაინც არავინ იყო.

და გეიჯმაც, რომელსაც ორ თვეზე ნაკლები სიცოცხლე დარჩენოდა, მხიარულად გადაიკისკისა, — ფრანი დაფლინავს! ფრანი დაფლინავს, მამიკო!

როცა რეიჩელი და ეილი შინ დაბრუნდნენ, ჯერ ისევ ფრანს აფრენდნენ. ლუისსა და გეიჯს სვავი იმ სიმაღლეზე აეშვათ, რომ ახლა ის ცაში მხოლოდ პატარა შავ სილუეტად მოჩანდა.

ლუისი მოხარული იყო მათი დაბრუნებით და მხიარულადაც იცინოდა მაშინ, როცა ეილის თოკი ხელიდან გაუვარდა და მშრალ ბალახზე მის დასაჭერად გაიქცა, თუმცა მათმა მოსვლამ თან მაინც რაღაც უცნაური გრძნობა მოჰგვარა და ამიტომ წინააღმდეგობაც არ გაუწევია, როცა რეიჩელმა თქვა, რომ გეიჯის სახლში შესვლის დრო იყო. ქარის გამო რეიჩელს ეშინოდა, ბავშვი არ გაცივებულიყო. ლუისმა სისხლიანთვალებიანი და შავფრთებიანი სვავი ქვემოთკენ ჩამოსწია, თოკი დაახვია და ფრანთან ერთად ისევ ავტო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფარეხის სათავსში შეინახა. იმ ღამით გეიჯმა ლობიოსა და სოსისების უშველებელი ულუფა ჭამა და სანამ რეიჩელი მას დასაძინებლად დოქტორ დენტონის სამოსს აცმევდა, ლუისმა ეილი ერთი-ერთზე სალაპარაკოდ გვერდით გაიყვანა და უთხრა, რომ შუშის ბურთულები აქეთ-იქით აღარ მიმოებნია. სხვა შემთხვევაში ეილისგან აუცილებლად უკმაყოფილო რეაქციას მოისმენდა, რადგან ის ვერასოდეს იტანდა შენიშვნებს და შეცდომებზე მითითებებს, მაგრამ ახლა მამის ნათქვამი დინჯად მიიღო და ამის მიზეზი ან დიდი დაღლილობა, ან კარგი გუნება იყო. თავის მხრივ, ფრანის გაფრენით ნასიამოვნებ ლუისსაც არ გამოუჩენია დიდი სიმკაცრე. ეილიმ პირობა მისცა, რომ შემდეგში უფრო ყურადღებით მოიქცეოდა. მერე კი პირველ სართულზე ჩავიდა და ცხრის ნახევრამდე ტელევიზორს უყურა. ეს შაბათის უპირატესობა იყო, რომელსაც ეილი სიამოვნებით იყენებდა. *კარგია, ერთი პრობლემა მოგვარდა,* — გაიფიქრა ლუისმა, მაგრამ რა იცოდა, თუ მთავარი პრობლემა იქნებოდა არა ეილის ბურთულები, არამედ „ორინკოს“ დიდი სატვირთო და გზა სახლის პირას... რომლის შესახებაც ჯად კრენდოლი მათ ჯერ კიდევ აგვისტოს პირველ დღეს აფრთხილებდა.

იმ ღამით მეორე სართულზე გეიჯის ოთახში ავიდა დაახლოებით თხუთმეტ წუთში, მას შემდეგ, რაც ის რეიჩელმა დააძინა. ბავშვი გულაღმა იწვა, ბოთლიდან რძის უკანასკნელ წვეთებს სვამდა და მჭევრმეტყველი მზერით ჭერს შეჰყურებდა.

ლუისმა გეიჯს ერთი ტერფი აუწია, აკოცა და ისევ დაბლა დაუშვა. — ძილი ნებისა, გეიჯ, — უთხრა მან.

— ფრანი დაფლინავდა, მამიკო, — თქვა გეიჯმა.

— მართლა დაფრინავდა, არა? — თქვა ლუისმა და სრულიად უმიზეზოდ თვალები ცრემლებით აევსო, — პირდაპირ ცაში დაფრინავდა, ძმობილო.

— ფრანი დაფლინავდა, — გაიმეორა გეიჯმა, — ცაში დაფრინავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ გვერდზე გადაბრუნდა, თვალები დახუჭა და უმალ ჩაეძინა.

ლუისი უკვე დერეფანში გამოდიოდა, როცა უკან გამოიხედა და გეიჯის კარადიდან მომზირალი მოყვითალო-მომწვანო თვალები დაინახა. კარადის კარი ღია იყო... ლუისს გული ყელში მიებჯინა და ყბა აუკანკალდა.

კარადას მიუახლოვდა და ფრთხილად გააღო კარი. თან ფიქრობდა, რომ

(ზელდა. ეს ზელდაა. ტუჩებს შორის გადმოგდებული შავი ენით),

დარწმუნებული არ იყო, მაგრამ განა სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა ჩერჩი. როცა მან ლუისი დაინახა, ზურგი ჰელოუინის ბარათზე გამოსახული კატის მსგავსად მაღლა აპრიხა, წაისისინა და ნემსივით ბასრი კბილები გამოაჩინა.

— აქედან მოშორდი, — ჩურჩულით უთხრა ლუისმა.

ჩერჩიმ ისევ წაისისინა, მაგრამ არ განძრეულა.

— მოშორდი-მეთქი, — ისევ თქვა ლუისმა და ხელი დასტაცა პირველივე ნივთს, რაც თვალში მოხვდა. ეს გეიჯის ჭრელი პლასტმასის მატარებელი აღმოჩნდა, რომელიც ამ ფერმკრთალი ნათების ქვეშ შემხმარი სისხლისფრად მოჩანდა. სათამაშო ჰაერში მოიქნია, მაგრამ ჩერჩი ისევ ერთ ადგილზე იდგა. შემდეგ კი ისე, რომ ამაზე არც დაფიქრებულა, მატარებელი პირდაპირ კატას ესროლა. თან არა ხუმრობით, არამედ სერიოზულად, მრისხანებით, რადგან ეს კატა ლუისის შვილის ჩაბნელებული ოთახის კარადაში ისე უტიფრად იდგა, თითქოს მას აქ ყოფნის სრული უფლება ჰქონოდა.

სათამაშო ცხოველს მკვდარი სხეულის ცენტრში მოხვდა. ჩერჩიმ დაიკნავლა, კარისკენ გაბანცალდა და კინაღამ გზაში წაიქცა.

გეიჯმა შეილვიძა, რაღაც ჩაიბუტბუტა და გვერდი იცვალა. ლუისმა თავი შეუძლოდ იგრძნო. შუბლზე ოფლი წვეთებად სდიოდა.

— ლუის? — ამოსძახა ქვემოდან რეიჩელმა შეშფოთებული ხმით, — გეიჯი ხომ არ გადმოვარდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— არა, კარგად არის, ძვირფასო. უბრალოდ, ჩერჩიმ გეიჯის სათამაშოები გადმოყარა.

— აჰ, კარგი.

უეცრად ლუისმა არარაციონალურად გაიფიქრა, როგორი იქნებოდა, ახლა რომ გეიჯის სხეულზე გველი გადახოხებულიყო, ან მისი ლოგინის ზევით დაკიდებული წიგნების თაროზე მსუქანი ვირთხა გამოჩენილიყო. რა თქმა უნდა, ეს არარაციონალური ფიქრი იყო, მაგრამ ის კარადიდან ისე სისინებდა...

(გგონია, ეს ზელდა იყო, არა? ზელდა, ან ოზი — დიდებული და საზალელი?)

გეიჯის კარადის კარი დაკეტა, სათამაშოები თავიანთ ადგილზე დააბრუნა, კარის საკეტის ტკაცუნს ყური მიუგდო და მცირედი დაყოვნების შემდეგ საკეტი გადაატრიალა. ისევ გეიჯის ლოგინს მიუახლოვდა. გვერდის შეცვლისას ბავშვს პლედი მუხლებამდე ჩასცურებოდა. ლუისმა პლედი გადააფარა, უკან დაიხია და შვილს კიდევ კარგა ხანს დაჰყურებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეოხე ნაწილი

მიკმაკების სამარხი

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იესო მივიდა ბეთანიაში და ნახა, რომ ლაზარე უკვე ოთხი დღის დამარხული იყო. მართამ რომ გაიგო, იესო მოდისო, შეეგება და უთხრა იესოს: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა. მაგრამ ახლაც ვიცი: რასაც შესთხოვ ღმერთს, მოგცემს ღმერთი.

და უთხრა მას იესომ: აღდგება შენი ძმა.

იოანეს სახარება (პერიფრაზი)

— აბა, ჰე, შევუბერეთ!

„რემოუნზი“

36

ალბათ, არასწორია ვიფიქროთ, რომ არსებობს საშინელებათა რაღაც ზღვარი, რომელსაც შეიძლება ადამიანის გონებამ მიაღწიოს. პირიქით, თითქოს წყვდიადის მატებასთან ერთად ექსპონენციალური ეფექტი უფრო და უფრო ძლიერდება, ერთ უბედურებას მეორე ემატება, კოშმარი ახალი საშინელებებით იცვლება და საბოლოოდ თითქოს ყველაფერს წყვდიადი ფარავს. ამის გააზრების შემდეგ კი დაისმის საზარელი შეკითხვა: კიდევ რამდენი საშინელების ატანა შეუძლია ადამიანის გონებას იმგვარად, რომ სიფხიზლე და საღი აზრი შეინარჩუნოს? რა თქმა უნდა, ასეთ მომენტებს თან ახლავს თავისებური რუბგოლდბერგისეული[1] აბსურდულობაც, როდესაც რაღაც ეტაპზე ყველაფერი სასაცილოდ გეჩვენება და, ალბათ, სწორედ ეს არის ის განმაპირობებელი ფაქტორი, რომლითაც ირკვევა, შეინარჩუნებ საღ აზრს თუ არა. გარემოება, რომლის დროსაც იუმორი საკუთარ პოზიციებს იბრუნებს.

შესაძლოა, ამ ყველაფერზე ლუის კრიდსაც ეფიქრა, რაციონალური აზროვნების უნარი ოდნავ მაინც რომ შერჩენოდა თავისი შვილის, გეიჯ უილიამ კრიდის გასვენებაში, რომელიც ჩვიდმეტ მაისს გაიმართა, თუმცა ცნობიერის

[1] *რუბენ გარეტ ლუის გოლდბერგი (1883-1970 წწ.) — ამერიკელი ანიმატორი, სკულპტორი, მწერალი, ინჟინერი და გამომგონებელი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაციონალურმა ნაწილმა — ან მისმა ნარჩენმა — მიატოვა სამგლოვიარო დარბაზში, სადაც სიმამრთან ხელჩართულ ჩხუბს (რაც, თავის მხრივ, უკვე საკმარისად ცუდი ამბავი იყო) ამ მელოდრამის კიდევ უფრო საშინელი საფინალო აკორდი მოჰყვა რეიჩელის მიერ თვითკონტროლის დაკარგვის სახით. იმ დღის ამბები, რომლებიც სრულებით შეესაბამებოდა იაფფასიან საშინელებათა ჟანრის მოთხრობას, დასრულდა მხოლოდ მაშინ, როდესაც აკივლებული რეიჩელი „ბრუკინგს ენდ სმიტის“ დამკრძალავი ბიუროს აღმოსავლეთ დარბაზიდან — სადაც გეიჯი დახურულ სასახლეში ესვენა — ფოიეში ძალით გაიყვანეს და სარენდრა ჰარდუმ დამამშვიდებლის დიდი დოზა გაუკეთა.

ირონიული იყო ის ფაქტი, რომ ფინალურ ეპიზოდს მთელი თავისი ექსტრავაგანტური საშინელებით რეიჩელი საერთოდ ვერ შეესწრებოდა, ლუის კრიდისა და მისტერ ირვინ გოლდმენის ხელჩართული ჩხუბი რომ გამართულიყო არა შუადღის პანაშვიდების (ორიდან ოთხის ნახევრამდე), არამედ დილის პანაშვიდების (ათიდან თორმეტის ნახევრამდე) დროს. დილით რეიჩელი პანაშვიდს არ დასწრებია, რადგან უბრალოდ არ შეეძლო. ის სახლში ჯად კრენდოლთან და სტივ მასტერტონთან ერთად იჯდა. ლუისს წარმოდგენა არ ჰქონდა, რას იზამდა, ბოლო ორმოცდარვა საათის განმავლობაში გვერდით რომ არ ჰყოლოდა ჯადი და სტივი.

სტივი ძალიან დაეხმარა ლუისსაც და ოჯახის დარჩენილ ორ წევრსაც. როგორც კი შესაძლებლობა გაუჩნდა, მაშინვე მათთან გაჩნდა. თავად ლუისიც ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ გადაწყვეტილებების მიღების უნარი დაჰკარგოდა. იმასაც კი ვერ ახერხებდა, ცოლი თუნდაც მცირედით დაემშვიდებინა. ლუისს არც ის შეუმჩნევია, რომ დილით რეიჩელი პანაშვიდზე წასვლას სახლის ღილებშეუკრავ ხალათში გამოწყობილი აპირებდა. თმა დაუვარცხნელი, დაუბანელი და გაწეწილი ჰქონდა, თვალები კი ყავისფერი რკალებით შემოსაზღვრული და ბუდეებში ჩაცვენილი, რითაც ძალიან ემსგავსებოდა თავის ქალას. სახეც ჩამოწელვოდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იჯდა სამზარეულოს მაგიდასთან და კარაქწაუსმელ ტოსტს ლოღნიდა, თან შიგადაშიგ ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფრაზებს ისროდა. ასე, მაგალითად, რაღაც მომენტში უეცრად წამოიძახა, — ყიდვას რომ აპირებდი იმ უინებაგოზე[1], რა გადაწყვიტე, ლუ? — ლუისმა უინებაგოს ყიდვა ბოლოს 1981 წელს ახსენა.

ლუისმა თავი დაუქნია და საუზმე განაგრძო. ერთ ჯამ „კოკოა ბეარზს" ჭამდა. ეს გეიჯის საყვარელი ბურბუშელა იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ამაზრზენი გემო ჰქონდა, შოკოლადის დათუნიებიანი შეჭამანდი ლუისმა ბოლომდე გაათავა. იმ დილით მას პიჯაკი ეცვა — თუმცა, არა შავი, არამედ მუქი რუხი. გაიპარსა, დაიბანა, თმა დაივარცხნა და, მიუხედავად შოკისა, მაინც მშვენივრად გამოიყურებოდა.

ეილის ეცვა ლურჯი ჯინსის შარვალი და ყვითელი კოფთა. სამზარეულოში საუზმეზე იმ „პოლაროიდის" სურათით მოვიდა, რომელიც რეიჩელმა ბავშვებს SX-70[2]-ით გადაუღო, ეს ფოტო კი ეილის ბოლო დაბადების დღეზე აჩუქა. სურათზე ჩანდა მოღიმარი გეიჯი თავის ციგაზე და მის უკან ეილი, რომელიც ციგას აწვებოდა. რეიჩელს დაეჭირა კადრი, როცა ეილი ზურგს უკან იხედებოდა და გეიჯს უღიმოდა. გეიჯიც ღიმილითვე პასუხობდა. ეილი ამ ფოტოს თან დაატარებდა, თუმცა თითქმის არაფერს ლაპარაკობდა. ლუისი ვერ ამჩნევდა ვერც შვილს და ვერც — ცოლს. საუზმეს მორჩა და გონებაში ისევ და ისევ გაუმეორდა იმ ინციდენტის კადრები, თუმცა ამ შემთხვევაში სხვაგვარ დასასრულს ხედავდა. გონების ამ ფილმში ის უფრო სწრაფად გარბოდა, გეიჯს ეწეოდა და კარგადაც მოსდებდა იმისათვის, რომ დაძახებისთანავე არ გაჩერდა.

სტივი იყო ის, ვინც რეიჩელს გამაყუჩებელი გაუკეთა, ეილის კი ერთი ჩაის კოვზი გამჭვირვალე სითხე დაალევი-

---

[1] *ძირითადად ე.წ. სახლი-მანქანის ტიპის ავტომობილების მწარმოებელი, 1958 წელს დაარსებული ამერიკული კომპანია.*

[2] *1972-1981 წლებში „პოლაროიდ კორპორეიშენის" მიერ გამოშვებული ფოტოაპარატი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნა. როგორც წესი, ეილი ყველა სახის წამლის მიღებას აპროტესტებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში წამალი მორჩილად დალია და უკმაყოფილება სახეზეც არ დასტყობია. იმ დილით, ათი საათისთვის, ეილის უკვე თავის ლოგინში ეძინა (ხელში ისევ გეიჯისა და თავისი ფოტო ეჭირა), რეიჩელი კი ტელევიზორის წინ იჯდა და „ილბლიან ბორბალს“ უყურებდა. სტივის კითხვებს გაწელილად პასუხობდა. გაშეშებული იყო, მაგრამ სახეზე სიგიჟის ამსახველი ისეთი ჩაფიქრებული მზერა ასახოდა, რომ ამან ძალიან შეაშფოთა... და შეაშინა სტივი, რომელიც კრიდებთან იმ დილით, რვის ნახევარზე მივიდა.

რა თქმა უნდა, ცერემონიასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს ჯადი აგვარებდა. ის ამჯერადაც ისევე მშვიდად უდგებოდა საქმეს, როგორც სამი თვის წინ, საკუთარი ცოლის დაკრძალვის დროს, თუმცა დილის პანაშვიდზე გასვლის წინ სწორედ სტივ მასტერტონმა გაიყვანა ლუისი გვერდით და უთხრა, — თუ შეძლებს, რეიჩელს შუადღით მოვიყვან.

— კარგი.

— მაგ დროისთვის წამლის მოქმედებაც გაივლის. შენმა მეგობარმა მისტერ კრენდოლმა მითხრა, რომ შუადღის პანაშვიდის დროს ეილისთან ის დარჩება.

— ჰო.

— და „მონოპოლის“ ან რამეს ეთამაშება...

— ა-ჰა.

— მაგრამ...

— სწორია.

სტივი გაჩუმდა. ისინი იდგნენ ავტოფარეხში, ჩერჩის ტერიტორიაზე, სადაც მას ის მკვდარი ჩიტები და ვირთხები მიჰყავდა, რომლებზეც პასუხისმგებელი ლუისი იყო. გარეთ კი მაისის მზე ანათებდა და სადღაც გზის ბოლოდან გულწითელას ისეთი ხმა მოისმოდა, თითქოს რაღაც სერიოზულზე მსჯელობდა. შესაძლოა, ასეც იყო.

— ლუის, — უთხრა სტივმა, — თავი ხელში უნდა აიყვანო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა სტივს თავაზიანი დაინტერესებით გახედა, თუმცა აშკარა იყო, რომ სტივის ნათქვამი კარგად არ გაუგონია. ის ახლაც იმ მცირედზე ფიქრობდა, რაც თავისი შვილის სიცოცხლის ხსნამდე დააკლდა.

— არა მგონია შეგემჩნია, — უთხრა სტივმა, — ეილი ხმას არ იღებს, რეიჩელი კი იმდენად დიდი შოკის ქვეშ არის, რომ დროის ყოველგვარი აღქმა დაკარგული აქვს.

— სწორია! — თქვა ლუისმა უეცრად მოზღვავებული ენერგიით, თუმცა ამის მიზეზს, რა თქმა უნდა, თავადაც ვერ ხვდებოდა.

სტივმა ლუისს მხარზე ხელი დაადო. — ლუ, — უთხრა მან, — ახლა მათ ყველაზე მეტად სჭირდები. გთხოვ, ძმაო... მე შემიძლია შენს ცოლს ნემსი გავუკეთო, მაგრამ... ხომ ხვდები.... ლუის, შენ უნდა... ო, ღმერთო, ლუის, რა საზარელი ამბავი დაგვემართა.

ლუისმა რაღაც განგაშის მსგავსი შეგრძნებით შენიშნა, რომ სტივი ტირილს იწყებდა. — რა თქმა უნდა, — თქვა მან და გონებაში ისევ გაზონზე ქუჩის მიმართულებით გაქცეული გეიჯი წარმოიდგინა. ისინი უყვიროდნენ, დაბრუნებულიყო, მაგრამ გეიჯი არ უსმენდა. ისინი ხომ „გაექეცი დედიკოს და მამიკოს“ თამაშობდნენ. ახლა კი მისდევდნენ გეიჯს და გეიჯი მხიარულად იცინოდა. ის ხომ მამიკოსგან გარბოდა. ეს თამაში იყო. ლუისი უახლოვდებოდა, მაგრამ ნელა. გეიჯი სწრაფად გარბოდა და ლუისი ღმერთს შესთხოვდა, რომ სანამ მე-15 გზამდე მივიდოდა, გეიჯი წაქცეულიყო. ბავშვები ხომ სირბილის დროს ხშირად ეცემიან, რადგან სადღაც შვიდ-რვა წლამდე ადამიანი წონასწორობას სრულად ვერ აკონტროლებს. თუმცა, გეიჯი არ წაქცეულა, ქუჩაზე კი მისი მიმართულებით ახლა ერთ-ერთი ის ათსაბურავიანი სატვირთო მოდიოდა, როგორიც ბაკსპორტში მრავლად დადიოდა „ორინკოს“ ქარხნიდან ბანგორამდე. ლუისმა გეიჯის სახელი წამოიყვირა და წამით დაიჯერა, რომ გეიჯმა გაიგონა და გაჩერდა. თითქოს ისიც მიხვდა, რომ თამაში დასრულდა და რომ მშობლები თამაშის გამო ასე არ იყვი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რებდნენ, თუმცა დამუხრუჭების მცდელობამ ფუჭად ჩაიარა, ლუისი გადახტა, მისი ჩრდილი დაემსგავსა მაშინ, მარტში, მისის ვინტონის გვიანი ზამთრის ბალახით დაფარულ მინდორზე დამჩნეულ ფრანის ჩრდილს და ლუისმა თითქოს თითებიც კი ჩაავლო გეიჯის თხელ ქურთუკს, მაგრამ გეიჯი ინერციით გავარდა გზაზე. იქ კი სატვირთო აღმოჩნდა მეხის გავარდნა, სატვირთო აღმოჩნდა მზის დამაბრმავებელი ნათელი, სატვირთო აღმოჩნდა ხმამაღალი სიგნალის ხმა. და ეს ყველაფერი მოხდა შაბათს, სამი დღის წინ.

— კარგად ვარ, — უთხრა ლუისმა სტივს, — ახლა უნდა წავიდე.

— თუ თავის ხელში აყვანას და მათ დახმარებას შეძლებ, — უთხრა სტივმა და ცრემლები ქურთუკის სახელოთი მოიწმინდა, — ამით საკუთარ თავსაც დაეხმარები. თქვენ სამმა ეს ერთად უნდა გადაიტანოთ, ლუის. სხვა გზა არ არსებობს.

— სწორია, — დაეთანხმა ლუისი და გონებაში ისევ ის ბოლო სცენა გაიხსენა. ამჯერად ორი ფუტით წინ აღმოჩნდა და გეიჯის ქურთუკს უკნიდან ჩაავლო ხელი, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ წარმოდგენები იყო.

იმ დროისთვის, როცა აღმოსავლეთ დარბაზში მთავარი სცენა გათამაშდა, ეილი შინ ჯადთან ერთად „მონოპოლის“ თამაშობდა, ცალი ხელით დაფაზე ქვას უხალისოდ დაატარებდა, მეორით კი ისევ გეიჯის „პოლაროიდით“ გადაღებული ფოტო ეჭირა. სტივ მასტერტონმა გადაწყვიტა, რომ რეიჩელი შუადღის პანაშვიდზე მისვლას შეძლებდა, თუმცა შემდგომ განვითარებული მოვლენების გამო ეს გადაწყვეტილება ბევრჯერ ინანა.

გოლდმენები ბანგორში დილით ჩამოფრინდნენ და სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გაჩერდნენ. რეიჩელის მამამ შუადღემდე ოთხჯერ დარეკა და საკმაოდ გაღიზიანებული სტივი მეოთხე ჯერზე უკვე ძალიან მკაცრად, თითქმის მუქარით ესაუბრა. ბებერი ირვინ გოლდმენი ამბობდა, რომ რეიჩელის ნახვას აპირებდა და ამაში ხელს ჯოჯოხეთის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძაღლებიც კი ვერ შეუშლიდნენ. სტივი კი პასუხობდა, რომ რეიჩელს ახლა ყველაზე მეტად სიმშვიდე და გონზე მოსვლა სჭირდებოდა. ჯოჯოხეთის ძაღლების არაფერი იცოდა, მაგრამ აი, შვედური წარმოშობის ერთ ამერიკელ ექიმს კი იცნობდა, რომელიც გოლდმენს რეიჩელთან მისვლაში ყველანაირად შეუშლიდა ხელს, სანამ რეიჩელი თავად არ იქნებოდა მზად საზოგადოებაში გამოსასვლელად.

გოლდმენმა სტივს იდიშზე[1] შეაგინა და ყურმილი დაკიდა. სტივი მის გამოჩენას ელოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მანაც მოცდა ამჯობინა. შუადღისთვის რეიჩელი მართლაც უკეთ გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში, დროის აღქმის უნარი აშკარად დაჰბრუნებოდა. ის სამზარეულოში გავიდა და დაინტერესდა, იყო თუ არა იქ სენდვიჩი ან რაიმე სხვა საჭმელი. — მერე ხალხი ხომ აქ მოვა? — ჰკითხა მან სტივს.

სტივმა თავი დაუქნია.

მოხარშული ძეხვი ან ცივი როსტბიფი სამზარეულოში არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, რეიჩელმა საყინულეში იპოვა „ბატერბოლის“ ინდაური, რომელიც გამოიღო და გასალღობად საშრობზე დადო. ერთ მომენტში სტივმა შენიშნა, რომ რეიჩელი ნიჟარასთან იდგა და ქვითინებდა.

— რეიჩელ?

მან სტივს გახედა. — გეიჯს ძალიან უყვარდა ინდაური, განსაკუთრებით თეთრი ხორცი. ახლა, უბრალოდ, მივხვდი, რომ ის ინდაურის ხორცს ველარასოდეს შეჭამს.

სტივმა რეიჩელი მეორე სართულზე გაგზავნა და უთხრა, ცერემონიისთვის გამოეცვალა. ეს იქნებოდა მისი ძალისხმევის შემოწმების ბოლო გამოცდა და როცა რეიჩელი უკან სადა შავ კაბაში, წელზე შემოხვეული ქამრითა და პატარა შავი ხელჩანთით (რომელიც წვეულების ჩანთას უფრო ჰგავდა) დაბრუნდა, სტივმა დაასკვნა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ჯადიც დაეთანხმა.

---

[1] *აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენა; წარმოადგენს გერმანული დიალექტების, ებრაული, არამეული და ზოგი სხვა ენის ნარევს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სტივმა რეიჩელი ქალაქამდე მანქანით წაიყვანა. ახლა ის სარენდრა ჰარდუსთან ერთად აღმოსავლეთ დარბაზში იდგა და აკვირდებოდა მოჩვენებას დამსგავსებულ რეიჩელს, რომელიც ყვავილებში ჩაფლული სასახლისკენ მიემართებოდა.

— როგორ არის, სტივ? — ჩუმად ჰკითხა სარენდრამ.

— საძაგლად, — ჩუმი და მკაცრი ხმით უპასუხა სტივმა, — შენ როგორ ფიქრობდი?

— მეც ვფიქრობდი, რომ საძაგლად იქნებოდა, — თქვა სარენდრამ და ამოიხვნეშა. პრობლემები ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა დილის პანაშვიდზე ირვინ გოლდმენმა სიძისთვის ხელის ჩამორთმევაზე უარი თქვა.

ამდენი მეგობრისა და ნათესავის შემყურე ლუისი იძულებული გახდა, შოკიდან ოდნავ გამორკვეულიყო და გარშემო მყოფებისთვის ყურადღება მიექცია. ახლა უკვე იმ ადვილად ჭედადი სტადიისთვის მიეღწია, რომელსაც დამკრძალავი ბიუროების მეპატრონეები ძალიან მომგებიანად იყენებენ ხოლმე. ლუისი თავს გრძნობდა „პარჩიზის“ ფიგურად, რომელსაც ვიღაცის ხელი მართავდა.

აღმოსავლეთ დარბაზის გარეთ პატარა ფოიე იყო, სადაც მოწევა და სავარძლებში მოსვენება იყო შესაძლებელი. ისეთი სავარძლები იყო, იფიქრებდით, რომ ისინი სადღაც, ინგლისელ მამაკაცთა გაუქმებული კლუბის ძველმანების ბაზრობაზე შეეძინათ. კარის წინ, რომელიც პანაშვიდების ოთახისკენ გადიოდა, იდგა პატარა მოლბერტი — ოქროსფრად გაფორმებული შავი მეტალი, რომელზეც გაეკეთებინათ წარწერა — *გეიჯ უილიამ კრიდი*. თუ შემოუვლიდით ამ ფართო თეთრ შენობას, რომელიც, ერთი შეხედვით, მოსახერხებელ ძველ სახლს წააგავდა, თქვენ აღმოჩნდებოდით მსგავს ფოიეში, ამჯერად უკვე დასავლეთ დარბაზის მხარეს, სადაც მოლბერტზე ეწერა — *ალბერტა ბარნჰემ ნედაუ*. შენობის უკანა მხარეს მდებარეობდა მდინარის მხარის დარბაზი. ფოიესა და ამ ოთახს შორის გამავალი კარის მარცხნივ მდგარი მოლბერტი ცარიელი იყო. ამ სამშაბათ დილით მას არ იყენებდნენ. პირველ სართულზე მდებარე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ობდა სასახლეების სადემონსტრაციო დარბაზი. თითოეული მის თავზე დაკიდებული პატარა ნათურით ნათდებოდა. თუ ზევით აიხედავდით — ლუისი სწორედ ასე მოიქცა, რაზეც დამკრძალავი ბიუროს მეპატრონის უხეში მზერა დაიმსახურა — შეამჩნევდით, რომ ნათურები კედელთან მდგარ უცნაურ ცხოველებს წააგავდნენ.

ჯადი გეიჯის სიკვდილის მეორე დღეს, კვირას, ამ დარბაზში ლუისსთან ერთად მოვიდა, თუმცა მანამდე, როცა ჯერ შუქი არ იყო ანთებული, ლუისმა კიბიდან პირდაპირ, თეთრი მოქანავე კარისკენ გაუხვია, რომელიც ძალიან წააგავდა რესტორანში სასადილო და სამზარეულო ოთახების დამაკავშირებელ კარს. — მანდეთ არა! — შესძახეს ერთდროულად ჯადმა და ბიუროს მეპატრონემ. ლუისიც კარს მორჩილად მოსცილდა, თუმცა იცოდა, რა იყო ამ კარის მიღმა. ლუისის ბიძას საკუთარი დამკრძალავი ბიურო ჰქონდა.

აღმოსავლეთ დარბაზში ძვირად ღირებული სკამები იდგა რბილი დასაჯდომებითა და საზურგეებით. წინა მხარეს, რომელიც კათოლიკური ტაძრის სტილში იყო მოწყობილი, გეიჯის სასახლე იდგა. ლუისმა „ამერიკან კესკეტ კომპანის“ ვარდის ხის მოდელი შეარჩია, რომელსაც „სამარადისო სიმშვიდე“ ერქვა. შიგნიდან კი ვარდისფერი აბრეშუმი ამშვენებდა. არჩევანი დამკრძალავი ბიუროს მეპატრონემაც მოუწონა, თან დაამატა, სამწუხაროდ, ცისფერ შიგთავსიანი ეს მოდელი აღარ გვაქვსო, რაზეც ლუისმა უპასუხა, რომ ის და რეიჩელი გოგოს და ბიჭის ფერებს არ განარჩევდნენ. მეპატრონემ თავი დაუქნია. შემდეგ ჰკითხა, როგორ გადაიხდიდა გეიჯის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. თუ ამაზე ჯერ არ ეფიქრა, შეეძლო ეს საკითხი იქვე, მის კაბინეტში გადაეწყვიტა. ამ მომენტში კი უეცრად ლუისის გონებაში გაისმა კომენტატორის მხიარული ხმა: *ჩემი ბავშვის სასახლე უფასოდ დავითრიე, რეილის კუპონების სანაცვლოდ!*

ლუისმა, რომელსაც თავი უკვე სიზმრისეულ არსებად წარმოედგინა, უპასუხა, — ყველაფერს „მასტერქარდით“ გადავიხდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მშვენიერია, — თქვა მეპატრონემ.

სასახლე სიგრძეში ოთხ ფუტს არ სცდებოდა. — *ჯუჯის სასახლე.* მიუხედავად ამისა, მისი ფასი ექვსას დოლარს აჭარბებდა. ლუისის ვარაუდით, ის პლატფორმაზე იყო მოთავსებული, თუმცა ყვავილების გამო ახლა ამის შემჩნევა ძნელი იყო, ახლოს მისვლა კი არ უნდოდა. მთელი ამ ყვავილების სუნი ძალიან აღიზიანებდა.

დარბაზის თავში, იმ ადგილთან, საიდანაც კარი ფოიეში გადიოდა, სადგამზე იდო წიგნი, მის გვერდით კი, ჯაჭვზე, კალამი იყო ჩამოკიდებული. ბიუროს მეპატრონემ ლუისს უთხრა, რომ აქ „მეგობრებსა და ნათესავებს შეეძლოთ მისალმებოდნენ“.

მეგობრები და ნათესავები ამ წიგნში თავიანთ სახელებსა და მისამართებს წერდნენ. ლუისს არასოდეს ოდნავი წარმოდგენაც კი არ ჰქონია იმის შესახებ, თუ რა საჭირო იყო ეს ჩვეულება. ვარაუდობდა, რომ დამკრძალავი ცერემონიის დასრულების შემდეგ ის და რეიჩელი წიგნს შინ წაიღებდნენ. ეს კი სრულ სიგიჟედ მოჩანდა. სახლში ინახავდნენ სკოლისა და კოლეჯის გამოსაშვებ ალბომებს, ასევე, საქორწინო ალბომს ხელოვნურ ტყავზე გაკეთებული ოქროს ფოთლის იმიტაციითა და წარწერით: *ჩემი ქორწილი.* ალბომის პირველ ფოტოზე ჩანდა, როგორ ისწორებდა რეიჩელი დედის დახმარებით სარკის წინ ფატას, ბოლო ფოტოზე კი სასტუმროს დაკეტილი ნომრის წინ დაწყობილი წყვილი ფეხსაცმელი იყო გამოსახული. ინახავდნენ ეილის ბავშვობის ალბომსაც, რომლის შევსებითაც მალევე დაიღალნენ, თუმცა ფოტოები — *ჩემი პირველი თმის შეჭრა* (იქვე დატანებული ბავშვის თმის ღერით) და *უუუპს!* (ტრაკზე დაცემული ბავშვის ფოტო) ძალიან საყვარლად გამოიყურებოდა.

ნეტავ, ამ წიგნს რაღას დავარქმევთ?

ლუისი ამაზე ფიქრობდა, სანამ ერთ ადგილზე გაშეშებული იდგა და ცერემონიის დაწყებას ელოდა. — *ჩემი სიკვდილის წიგნი? სამგლოვიარო ავტოგრაფები? დღე, როცა გეიჯი დავკრძალეთ?* — თუ რაიმე უფრო ჟღერადი ჯობს? — *სიკვდილი ოჯახში?*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა წიგნი გადმოაბრუნა და ყდას დახედა. მასაც, *ჩემი ქორწილის* მსგავსად, ხელოვნური ტყავის ყდა ჰქონდა.

ყდაზე არაფერი ეწერა.

ამასობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი სტუმარი — მისი დანდრიჯი გამოჩნდა. გულკეთილი მისი, რომელიც ამდენჯერ დარჩენილა ეილისთან და გეიჯთან. ახლა ლუისს გაახსენდა, რომ იმ ღამით, როცა ვიქტორ პასკოუ მოკვდა, ბავშვები სწორედ მისიმ დაიტოვა. ეს ის ღამე იყო, როცა მას და რეიჩელს სექსი ჯერ აბაზანაში ჰქონდათ, მერე კი ლოგინში.

მისი ტიროდა და, როგორც კი ლუისის მშვიდი და უემოციო სახე დაინახა, კიდევ უფრო ძლიერ ატირდა, ლუისისკენ გაეშურა და მკლავებს შორის მოიქცია. ლუისი ჩაეხუტა, გაიაზრა, რომ სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო, რადგან ეს იყო რაღაც ადამიანური მუხტი, რომლის დროსაც უმძიმესი დანაკარგით გამოწვეული უხეში მიწის ზედაპირის გახლეჩა მხოლოდ ძლიერ ადამიანურ თანაგრძნობას და სითბოს შეეძლო.

— ძალიან ვწუხვარ, — ამბობდა მისი და გაფერმკრთალებული სახიდან მუქ ქერა თმას უკან იწევდა. — რა საყვარელი პატარა ბიჭი იყო. როგორ მიყვარდა, ლუის. ძალიან ვწუხვარ. ეს საშინელი გზაა. იმედია, იმ სატვირთოს მძღოლს სამუდამოდ ციხეში ჩასვამენ. ასე სწრაფად რატომ მიდიოდა? რატომ? ო, რა საყვარელი, თბილი და ტკბილი ბავშვი იყო გეიჯი. არ ვიცი, ვერასოდეს გავიგებთ, რატომ წაიყვანა უფალმა ის, მაგრამ ძალიან ვწუხვარ. ძალიან...

ლუისმა დაამშვიდა. იხუტებდა და ამშვიდებდა. საყელოზე მისი ცრემლების, მკერდზე კი მკერდის შეხებას გრძნობდა. შემდეგ მისიმ იკითხა, სად იყო რეიჩელი, რაზეც ლუისმა უპასუხა, რეიჩელი ისვენებსო. მისი დაჰპირდა, რომ მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ მისთვის ეილის დატოვება იმდენი ხნით, რამდენითაც დასჭირდებოდათ, რაზეც ლუისმა მადლობა გადაუხადა.

შემდეგ მისიმ უკან დაიხია. ჯერ ისევ ქსუტუნებდა, სახეზე შავ ცხვირსახოცს ისვამდა, თვალები კი საშინლად გას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წითლებოდა. უკვე კუბოს მიმართულებით მიდიოდა, როცა ლუისმა დაუძახა და მოაბრუნა. დამკრძალავი ბიუროს მეპატრონემ, რომლის სახელსაც ლუისი ველარ იხსენებდა, უთხრა, რომ სტუმრებს წიგნში ხელი უნდა მოეწერათ და დიახაც, ლუისი ყველას ხელს მოაწერინებდა.

მისტიკურო სტუმარო, გთხოვთ, ხელი აქ მოაწეროთ, — გაიფიქრა ლუისმა და უეცრად ისტერიკული სიცილის სურვილით აივსო.

თუმცა, სიცილზე უარი მისის დადარდიანებულმა, გულნატკენმა თვალებმა გადააფიქრებინა.

— წიგნში ხელს მოაწერ, მისი? — ჰკითხა და რადგან მიხვდა, რომ რაღაც... რაღაც კიდევ საჭირო იყო, დაამატა, — რეიჩელისთვის.

— რა თქმა უნდა, — თქვა მისიმ, — საწყალი ლუისი და საწყალი რეიჩელი. — და უეცრად ლუისი მიხვდა, რა სიტყვებს იტყოდა მისი შემდეგ და რატომღაც ძალიან შეშინდა, თუმცა იცოდა, რომ ეს სიტყვები მაინც გაიჟღერებდა. ეს იყო დიდკალიბრიანი მკვლელის იარაღიდან გასროლილი ტყვია, რომელიც შემდეგი საათ-ნახევრის განმავლობაში კიდევ არაერთხელ მოხვდებოდა. ეს განმეორდებოდა შუადღითაც — მაშინ, როცა დილანდელი ჭრილობები უკვე შეხორცდებოდა.

— მადლობა ღმერთს, არ უწვალია, ლუის. სწრაფად მაინც მოხდა.

ჰო, სწრაფად, აბა რა. — გაიფიქრა და კინაღამ მისისაც უთხრა ლუისმა, რათა ამ დროს ქალის სახე ცხადად ეხილა. ძალიან უნდოდა ენაზე მომდგარი სიტყვები პირდაპირ სახეში მიეხალა. — *სწრაფად მოხდა — ამაში ეჭვი არ არის. ამიტომაც არის სასახლე დახურული. მის სხეულს ვერაფერს მოვუხერხებდით, თუნდაც მე და რეიჩელი დავთანხმებოდით გარდაცვლილის მაქსიმალურად, მანეკენივით გამოწყობას და სახეზე მაკიაჟის გაკეთებას. კი, სწრაფად მოხდა, ძვირფასო მისი. ერთ მომენტში იქ იდგა — გზის პირას, მეორე წამს კი უკვე რინგერების სახლთან იწვა. სატვირთო*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაეჯახა და მოკლა, თუმცა შემდეგ კიდევ ათრია. ამიტომ, მოდი, დავიჯეროთ, რომ სწრაფად მოხდა. ჯამში სადღაც ასი იარდი იქნებოდა. ფეხბურთის მოედნის მანძილი. მე კი გავრბოდი და ვეძახდი. თითქოს მჯეროდა, რომ ისევ ცოცხალი იქნებოდა. არადა, ექიმი ვარ. მე გავირბინე ათი იარდი და გზაზე მისი კეპი შემხვდა. გავირბინე ოცი იარდი და ამჯერად „სტარ ვორზის" ბოტასი. გავირბინე ორმოცი იარდი და ამ დროისთვის სატვირთომაც გადააყენა რინგერების მინდორზე, მათი ბელლის წინ. ხალხი სახლებიდან გამოდიოდა, მე კი გავრბოდი და მის სახელს ვყვიროდი. ორმოცდაათი იარდის გარბენის შემდეგ ვიპოვე მისი ჯემპრი, რომელიც გადმობრუნებულიყო. აი, სამოცდაათი იარდის შემდეგ კი მეორე ბოტასიც გამოჩნდა და იქვე იწვა გეიჯიც.

უეცრად სამყარო განაცრისფრდა. ხედვის არიდან გაქრა ყოველივე. ლუისი ბუნდოვნად გრძნობდა ხელისგულზე წიგნის სადგამის კუთხის მწარე შეხებას, თუმცა ეს ერთადერთი შეგრძნება იყო.

— ლუის? — მისის ხმა. შორეული. მტრედების მისტიკური ხმა.

— ლუის? — ამჯერად უფრო ახლოდან. შეშფოთებული.

სამყაროს ფოკუსი ნელ-ნელა გასწორდა.

— კარგად ხარ?

ლუისმა გაიღიმა. — კარგად, — თქვა მან, — არა მიშავს, მისი.

ქალმა ამოიხვნეშა. შემდეგ თავისი და ქმრის სახელზე ხელი მოაწერა — მისტერ და მისის დანდრიჯები — მრგვალი პალმერის მეთოდით[1] და მისამართიც დაურთო — საფოსტო ყუთი 67, ბაკსპორტ როუდი. შემდეგ თვალები ისევ ლუისისკენ მიმართა და იმწამსვე მოარიდა. თითქოს კრიდების სახლის გვერდით ცხოვრება უკვე თავისთავად დანაშაული ყოფილიყო.

---

[1] *მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ოსტინ პალმერის მიერ შემუშავებული დამწერლობის ფორმა, რომელიც მხატვრულად და ლამაზად გამოყვანილი ლათინური ასოებით წერას გულისხმობს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გამაგრდი, ლუის, — უთხრა ჩურჩულით.

დევიდ დანდრიჯმა ხელი ჩამოართვა და რაღაც ჩაილაპარაკა. მისი წამოწეული, ოდნავ წაწვეტებული ფორმის ადამის ვაშლი ზევით-ქვევით მოძრაობდა. შემდეგ ცოლს გაჰყვა დარბაზის იმ მხარეს, სადაც იდგა სასახლე, დამზადებული ოჰაიოს შტატის ქალაქ სთორივილში. ქალაქში, სადაც გეიჯი არასოდეს ყოფილა და არც მის შესახებ იცოდა რაიმე.

დანდრიჯებს მოჰყვა ყველა დანარჩენი. არეულ რიგად მოდიოდნენ და ლუისი იღებდა მათ ხელის ჩამორთმევას, მათ ჩახუტებას, მათ ცრემლებს. საყელო და მუქი რუხი პიჯაკის სახელო მალე სულ მთლად დაუსველდა. ყვავილების სუნი ახლა დარბაზის ბოლომდეც კი აღწევდა. მთელი დარბაზი სამგლოვიარო სურნელებით გაჟღენთილიყო, რომელსაც ლუისი ბავშვობიდან კარგად იცნობდა. ყვავილების მოტკბო და მძაფრი სურნელი. მთელი ამ პროცესის განმავლობაში ლუისს ოცდათორმეტჯერ უთხრეს, თუ რა დიდი გულმოწყალება იყო, გეიჯი რომ უტანჯველად მოკვდა. ოცდახუთჯერ გაანდვეს, რომ შეუცნობელ არს გზანი უფლისანი. ხოლო ის ფაქტი, რომ ახლა გეიჯი მაღლა, ანგელოზებთან ერთად იყო — ჯამში თორმეტჯერ.

ნაცვლად იმისა, რომ ამ გამონათქვამებს თანდათან უაზრო ფრაზების მნიშვნელობა შეეძინა (როგორც ეს საკუთარი სახელის მრავალჯერ გამეორების დროს ხდება ხოლმე), მოსმენილი სიტყვები, პირიქით, ლუისის გულის სიღრმეებს აღწევდა და იმ დროისთვის, როცა დარბაზში მისი სიდედრ-სიმამრი შემოვიდა, თავს უკვე ბრძოლისთვის კარგად შემზადებულ მოკრივედ გრძნობდა.

პირველი, რაც გაიფიქრა, იყო ის, რომ რეიჩელი მართალი აღმოჩნდა, ირვინ გოლდმენი მართლა საოცრად დაბერებულიყო. რამდენი წლის გახდა? ორმოცდათვრამეტის? ორმოცდაცხრამეტის? ახლა აშკარად სამოცდაათი წლისას დამსგავსებოდა. ლუისის აზრით, ის თავისი შემელოტებული თავით და კოლის ბოთლის შუშის სათვალეებით საოცრად წააგავდა ისრაელის პრემიერ-მინისტრ მენახემ ბეგინს. რე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იჩელმა მადლიერების დღის შემდეგ დაბრუნებისას ლუისს უთხრა, რომ მამამისი ძალიან დაბერებულიყო, მაგრამ ლუისი ასეთ მდგომარეობას მაინც არ ელოდა. რა თქმა უნდა, მადლიერების დღეს მოხუცს ჯერ შვილიშვილიც არ ჰყავდა დაღუპული. გვერდით დორი მოჰყვებოდა. მთელ სახეს ვუალის ორი, შესაძლოა, სამი შრე უფარავდა. თმა მოდურად, ლურჯად, ამ ასაკის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი ქალბატონებისთვის დამახასიათებელ ფერად შეეღება. ქმრისთვის ხელი ჩაეკიდა, სქელი ვუალის მიღმა კი ლუისი მხოლოდ მისი ცრემლების ბზინვარებას ამჩნევდა.

უეცრად ლუისმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო, წარსული წარსულად დაეტოვებინა და მთელი ეს დავიდარაბა მასსა და გოლდმენებს შორის დაესრულებინა. ამდენი წლის განმავლობაში დაგროვებული ბანალურობის ტვირთს უკვე ვეღარ უმკლავდებოდა. ძალიან დამძიმდა.

— ირვინ. დორი, — ჩაილაპარაკა ლუისმა, — გმადლობთ მოსვლისთვის.

მკლავები გაშალა და ამ ჟესტით თითქოს ერთდროულად რეიჩელის მამისთვის ხელის ჩამორთმევა, დედასთან კი ჩახუტება გადაეწყვიტა. ან იქნებ ორივეს ერთდროულად ჩახუტებოდა. ასეა თუ ისე, ლუისმა ცხადად იგრძნო ცრემლები თვალებზე და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა უეცრად სურვილი გაუჩნდა გულით ეტირა. წამიერად დაიჯერა, რომ გეიჯის სიკვდილი იქცეოდა იმ გარდამტეხ მომენტად, რომელიც მათ შორის შუღლს დაასრულებდა ზუსტად ისე, როგორც ქალბატონებისთვის გათვლილ რომანტიკულ რომანებშია ხოლმე, როცა სიკვდილი დიდი ხნის შუღლის დასრულებას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა, გეიჯის სიკვდილს გამოეწვია რაღაც უფრო სერიოზული, ვიდრე ეს დაუსრულებელი და სულელური კინკლაობები იყო. დორი მისკენ დაიძრა. რაღაც მოძრაობა გააკეთა — სავარაუდოდ, ხელები გაშალა და ჩაილაპარაკა, — ოჰ, ლუის... — კიდევ რაღაც თქვა, მაგრამ ლუისმა ვერ გაიგო და უეცრად გოლდმენმა ცოლი უკან დასწია. წამიერად მთელ დარბაზ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ში ეს სამი ადამიანი იქცა გაქვავებულ არსებებად და ეს წამი ალბათ მხოლოდ აღმოსავლეთ დარბაზის შორეულ კუთხეში მდგარმა დამკრძალავი ბიუროს მეპატრონემ შენიშნა. — *ძია კარლიც შენიშნავდა.* — გაიფიქრა ლუისმა. სცენა კი ასეთი იყო: ნახევრად ხელებგაშლილი ლუისი და მის წინ ოდნავ გადახრილი, საქორწინო ტორტის ფიგურებს დამსგავსებული ირვინ და დორი გოლდმენები.

ლუისმა დაინახა, რომ სიმამრის თვალებს ცრემლი არ ეტყობოდა. პირიქით, მათში ირეკლებოდა აშკარა და ცხადი სიძულვილი (იქნებ *ჰგონია, რომ მის ჯიბრზე გეიჯი მე მოვკალი?* — დაინტერესდა ლუისი). ეს თვალები ლუისს აფასებდა და მასში ხედავდა ისევ იმ პატარა, ყეყეჩ ბიჭს, რომელმაც მისი ქალიშვილი მოიტაცა და ამ ვარამამდე მიიყვანა... გოლდმენი ლუისს დააკვირდა, შემდეგ კი მზერა გეიჯის სასახლისკენ გადაიტანა.

ლუისმა უკანასკნელად კიდევ სცადა, — ირვინ, — თქვა მან, — დორი. გთხოვთ. ახლა ერთად უნდა ვიყოთ.

— ლუის, — ისევ თქვა დორიმ და, ლუისის აზრით, *გულკეთილადაც*, თუმცა ირვინ გოლდმენს ის უკვე მარცხნივ ან მარჯვნივ მიჰყავდა და ლუის კრიდს აშკარად აღარ უყურებდა. ისინი სასახლეს მიახლოებოდნენ, გოლდმენი კი პიჯაკის ჯიბიდან პატარა შავ კიპას იღებდა.

თქვენ წიგნში ხელი არ მოგიწერიათ. — გაიფიქრა ლუისმა და შემდეგ ყელში ისეთი შემაწუხებელი და მწველი გულისრევა მოაწვა, რომ ტკივილი სახეზეც აღებეჭდა.

როგორც იქნა, დილის პანაშვიდი დასრულდა. ლუისმა შინ დარეკა. ჯადმა უპასუხა და ჰკითხა, როგორ ჩაიარა ყველაფერმა. — კარგად, — უპასუხა ლუისმა და სთხოვა, ყურმილი სტივისთვის გადაეცა.

— თუ ჩაცმას მოახერხებს, შუადღით მოვიყვან, — უთხრა სტივმა, — კარგი?

— კარგი. — უპასუხა ლუისმა.

— შენ როგორ ხარ, ლუ? შენებურად ოფოფები არ აუშვა, პირდაპირ მითხარი — როგორ ხარ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— არა მიშავს, — მოკლედ უთხრა ლუისმა, — ვუძლებ. — *ყველა მათგანს წიგნში ხელი მოვაწერინე. ყველას, დორის და ირვინის გარდა. ისინი არც მოაწერენ.*

— გასაგებია. მისმინე, არ გინდა, სადმე ლანჩზე შევხვდეთ?

ლანჩი. ლანჩზე შეხვედრა. ეს ლუისს იმდენად უცხო იდეად ესახებოდა, რომ მაშინვე თინეიჯერობის დროს წაკითხული სამეცნიერო ფანტასტიკური რომანები გაახსენდა. რობერტ ჰაინლაინი, მარეი ლანისტერი, გორდონ დიკსონი. ადგილობრივებს აქ, პლანეტა კუარკზე უჩვეულო ტრადიცია აქვთ: როცა ბავშვი კვდება, ისინი ერთმანეთს ლანჩზე ხვდებიან, ლეიტენანტო აბელსონ. ვიცი, რამდენად გროტესკულად და ბარბაროსულად ჟღერს ეს ყოველივე, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ამ პლანეტის ტერაფორმირება ჯერ არ მომხდარა.

— რა თქმა უნდა, — უთხრა ლუისმა, — იცი რამე კარგი რესტორანი, დილისა და შუადღის პანაშვიდებს შორის დრო რომ მოვკლათ, სტივ?

— არ გინდა, ლუ, — უთხრა სტივმა, თუმცა სიმკაცრის გარეშე. ამ გიჟური სიმშვიდის მდგომარეობაში ლუისი გრძნობდა, რომ ადამიანთა განცდებს ბევრად ცხადად შეიცნობდა, ვიდრე მანამდე. შესაძლოა, ეს მხოლოდ ილუზია იყო, მაგრამ ამ მომენტში ლუისი ფიქრობდა, რომ, სტივის აზრით, ამ მცირედი სარკაზმის მიუხედავად, რომელიც საკმაოდ ნაღვლიანად ჟღერდა, ლუისის მდგომარეობა დილანდელთან შედარებით მაინც საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო.

— არ იდარდო, — უთხრა მან სტივს, — „ბენჟამინზე“ რას იტყვი?

— მშვენიერია, — თქვა სტივმა, — იყოს „ბენჟამინი“.

ტელეფონზე დამკრძალავი ბიუროს მეპატრონის კაბინეტიდან ლაპარაკობდა. უკანა გზაზე ლუისმა აღმოსავლეთ დარბაზში შეიხედა და დაინახა, რომ ის თითქმის დაცარიელებულიყო. თუმცა, წინა რიგებში ჯერ ისევ ისხდნენ ირვი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნი და დორი გოლდმენები და თავები ჩაეხარათ. ლუისის აზრით, მათ ისეთი შესახედაობა ჰქონდათ, თითქოს სამუდმოდ აპირებდნენ აქ ჯდომას.

„ბენჟამინი“ სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა. ბანგორში ლანჩს ადრიანად ჭამდნენ და ამიტომ ახლა დღის პირველი საათისთვის რესტორანი პრაქტიკულად ცარიელი იყო. სტივთან და რეიჩელთან ერთად ჯადიც მოვიდა. ოთხივემ შემწვარი წიწილი შეუკვეთა. შემდეგ რეიჩელი ქალების ტუალეტში გავიდა და იმდენ ხანს არ დაბრუნდა, რომ სტივი ანერვიულდა და ის-ის იყო მიმტანისთვის რეიჩელის შემოწმება უნდა ეთხოვა, რომ ისიც აწითლებული თვალებით მაგიდასთან დაბრუნდა.

ლუისი წიწილს თითქმის არ მიჰკარებია. სამაგიეროდ, ბლომად სვა ლუდი „შლიცი“. მას არც ჯადი ჩამორჩენია. ხმას არავინ იღებდა.

ოთხივეს თითქმის ხელუხლებელი პორცია უკან წაიღეს და ამ მომენტშიც თავისი ზებუნებრივი შეგრძნებით ლუისი მიხვდა, რომ მსუქან, მაგრამ ლამაზი სახის მქონე მიმტან გოგოს ერთი სული ჰქონდა ეკითხა, საჭმელთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, თუმცა რეიჩელის ჩაწითლებული თვალების შემყურემ რაიმეს თქმა გადაიფიქრა. შემდეგ, ყავის სმის დროს, რეიჩელმა ყველასთვის მოულოდნელად და თითქმის შოკისმომგვრელად უეცრად წარმოთქვა სიტყვები, რომლებმაც ლუდისგან რულმორეული ლუისიც გამოაფხიზლა. — მინდა მისი ტანსაცმელი „ხსნის არმიას“ ჩავაბარო.

— მართლა? — ჰკითხა სტივმა რამდენიმე წამის შემდეგ.

— ჰო. ბევრი მათგანის ჩაცმა შეიძლება. მთელი ეს ჯემპრები... ველვეტის შარვლები... მაისურები... ვიღაც სიამოვნებით ჩაიცვამს. საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. იმ ტანსაცმლის გარდა, რომელიც მაშინ ეცვა... ის აღარაფრად ვარგა.

ბოლო სიტყვები მოგუდულ ბგერებად გაისმა. რეიჩელმა ყავის მოსმა სცადა, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე წამში სახეზე ხელებაფარებული ქვითინებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქ კი დადგა უცნაური მომენტი, რომელმაც დაძაბულობის ჯაჭვები ერთმანეთში გადაკვეთა. თითქოს ყველა ლუისზე ახდენდა კონცენტრირებას. ამას ლუისი ისევ იმ ზებუნებრივი შეგრძნებით ხვდებოდა. თითქოს ყველა ელოდა, როდის დაამშვიდებდა ის თავის ცოლს და შინაგანად ლუისიც ცდილობდა ამას, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა. ამაში კი ხელს უშლიდა კატა. დიახ, ასე სრულიად უმიზეზოდ მისი ხელშემშლელი კატა იყო. დედააფეთქებული კატა. ჩერჩი თავისი დაგლეჯილი თაგვებითა და ჩიტებით. როცა ლუისმა ისინი ნახა, ყველაფერი ზედმიწევნით მიასუფთავა და ამის გამო პროტესტი არ გასჩენია, რადგან ეს მისი პასუხისმგებლობა იყო. რაღაც თვალსაზრისით, ის მკვდარი თაგვები და ვირთხები მას მოეტანა, მაგრამ მისი მოტანილი იყო ისიც, რაც ახლა მის წინ ხდებოდა?

ლუისი ხედავდა საკუთარ თითებს. თითებს, რომლებიც მსუბუქად ეხებოდა გეიჯის ქურთუკს. შემდეგ კი ქრებოდა გეიჯის ქურთუკი. ქრებოდა გეიჯი.

თავის ყავას დახედა ისე, რომ ცოლის დამშვიდება არ უფიქრია, რეიჩელი ტირილს განაგრძობდა.

ცოტა ხნის შემდეგ — ეს ცოტა ხანი საათის დროის განსაზღვრებით, თორემ მაშინაც და შემდეგაც ეს პერიოდი ძალიან გრძლად მოჩანდა — სტივმა რეიჩელს მკლავი მოხვია და ოდნავ ჩაეხუტა. ლუისს საყვედურით სავსე, ბრაზიანი თვალებით უმზერდა. ლუისმა მათგან ჯადისკენ გაიხედა, მაგრამ ჯადს, თითქოს სირცხვილის ნიშნად, თვალები დაბლა დაეხარა. შველა არც მისგან ჩანდა.

37

— ვიცოდი, რომ რაღაც ასეთი მოხდებოდა. — თქვა ირვინ გოლდმენმა. ყველაფერი სწორედ აქედან დაიწყო. — ვიცოდი, როცა ცოლად გამოგყვა. — „საშინელი ტანჯვის გადატანა მოგიწევს, რომელსაც ვერ გაუძლებ“ — ვუთხარი მაშინ. ახლა კი შეხედე. შეხედე ამ...

ლუისმა ფრთხილად გახედა სიმამრს, რომელიც მის უკან მტრულად, ყუთიდან ამომხტარი ზამბარიანი სათამაშოს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსგავსად, თავზე დახურული კიპით გამოჩნდა. ლუისმა რეიჩელის საპოვნელად მიმოიხედა, მაგრამ ის უკვე წასულიყო.

შუადღის პანაშვიდზე ნაკლები ხალხი მოვიდა და სადღაც ნახევარი თუ ერთი საათის შემდეგ ლუისი უკვე წინა რიგებში იჯდა (შიგადაშიგ მხოლოდ ყვავილების მძიმე სუნს შეიგრძნობდა) და ცხადად იაზრებდა, რომ ძალიან დაღლილიყო და ეძინებოდა, თუმცა, მისი აზრით, ამაში ლუდი მხოლოდ ნაწილობრივ იყო დამნაშავე. მისი გონება უკვე საბოლოოდ გასათიშად ემზადებოდა. ეს, ალბათ, კარგიც იქნებოდა. იქნებ თორმეტ ან თექვსმეტსაათიანი ძილის შემდეგ რეიჩელის ოდნავ დამშვიდებაც შესძლებოდა.

ლუისს ახლა თავი დაეხარა და მუხლებს შორის ჩამოშვებულ საკუთარ ხელებს აკვირდებოდა. საიდანღაც დამამშვიდებელი ზუზუნი მოისმოდა. როცა აქ ლანჩის შემდეგ დაბრუნდა, შენიშნა, რომ ირვინი და დორი უკვე წასულიყვნენ, თუმცა კი უნდა სცოდნოდა, რომ ეს ზედმეტად კარგი ამბავი იყო საიმისოდ, რომ მართალი ყოფილიყო.

— რეიჩელი სად არის? — იკითხა ახლა ლუისმა.

— დედასთან. იქ, სადაც უნდა იყოს. — გოლდმენს ხმაში იმ კაცის ტრიუმფალური ჟღერადობა დასტყობოდა, რომელმაც ეს-ესაა სერიოზულ გარიგებას მოაწერა ხელი. პირიდან ვისკის სუნი ამოსდიოდა. თან საკმაოდ მძაფრი. ლუისის წინ ისე იდგა, როგორც საოლქო პროკურორი ბრალდებულის წინ. ფეხზე ძლივს იდგა.

— რა უთხარით? — ჰკითხა ლუისმა და ნელ-ნელა განგაშის მატებას გრძნობდა. იცოდა, რომ გოლდმენს რაღაც ჰქონდა ნათქვამი. ეს მას სახეზე ეწერა.

— არაფერი, სიმართლის მეტი. ვუთხარი, რომ ასე ხდება მაშინ, როცა მშობლების სურვილის წინააღმდეგ მიდიხარ. ვუთხარი, რომ...

— მართლა ეგ უთხარი? — ჰკითხა ლუისმა უნდობლად, — მართლა ეგ ხომ არ გითქვამს?

— ეგეც და მეტიც, — თქვა ირვინ გოლდმენმა, — ყოველთვის ვიცოდი, რომ საქმე აქამდე... ან რაღაც ასეთამდე მივი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დოდა. პირველი დანახვისთანავე ვიცოდი, რა ტიპიც იყავი. — წინ გადმოიხარა და ვისკის სურნელი გაძლიერდა. — შენს შიგთავსს ჩავხედე, პატარა ექიმბაშო. ჯერ ჩემი გოგო გაასულელე და ცოლად მოიყვანე, მერე ჭურჭლის მრეცხავად აქციე, ბოლოს კი იმდენიც ვერ შეძელი, რომ შენი შვილი გაგეჩერებინა და ქუჩაზე არ გაგეშვა, თითქოს რაღაც... ციყვი ყოფილიყო.

ეს სიტყვები ლუისმა ცალ ყურში შეუშვა და მეორიდან გამოუშვა. ჯერ ისევ იმაზე ფიქრობდა, თუ რისი თქმა შეეძლო ამ ბებერ ნაძირალას თავისი შვილისთვის. — მართლა ეგ უთხარი? — გაიმეორა ლუისმა, — მართლა?

— იმედია, ჯოჯოხეთში ამოლპები, — თქვა გოლდმენმა და ამ ხმაზე რამდენიმე თავი მათკენ მობრუნდა. ირვინ გოლდმენის ჩასისხლიანებული ყავისფერი თვალებიდან ცრემლები გადმოიღვარა. მელოტი თავი ფლუორესცენციული ნათების ქვეშ აპრიალდა. — ჩემი შესანიშნავი გოგო ჭურჭლის მრეცხავად აქციე... შენ დაანგრიე მისი მომავალი... და შენ გამო მოკვდა ჩემი შვილიშვილი ბინძური სიკვდილით იმ სოფლის გზაზე.

მისი ხმა უკვე კივილში გადაიზრდებოდა.

— სად იყავი? სად ეგდე, როცა ის ქუჩაში თამაშობდა? შენს სულელურ სამედიცინო სტატიებზე ფიქრობდი? ჰა? რას აკეთებდი, ნაგავო? მყრალო ნაგავო! ბავშვების მკვლელო!

ისინი აი, აქ იყვნენ. აღმოსავლეთ დარბაზის წინა ნაწილში. აქ იყვნენ და ლუისი ხედავდა, როგორ აიწია მისი ხელი მაღლა. დაინახა, როგორ ჩამოეწია პიჯაკი, როგორ გამოჩნდა თეთრი პერანგი და პრიალა საკინძე. ეს საკინძეები რეიჩელმა მას ქორწინების სამი წლისთავზე აჩუქა. მაშინ რას წარმოიდგენდა, რომ ამ საკინძეებს მისი ქმარი მათი ჯერ კიდევ არდაბადებული შვილის გასვენებაში გაიკეთებდა.

ხელის ბოლო მუშტით ბოლოვდებოდა და გოლდმენის პირს უახლოვდებოდა. ლუისმა იგრძნო, როგორ შეიკუმშა მოხუცის ტუჩები. რაღაც ბლანტ მასასთან შეხება იგრძნო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალბათ, ასეთი იქნებოდა ლოკოკინასთან შეხება. არანაირი სიამოვნება. სიმამრის ტუჩებქვეშ ლუისმა მჭიდროდ ჩასმული პროთეზის შეხება იგრძნო.

გოლდმენი უკან გადავარდა და ხელები გეიჯის სასახლეს ჩაავლო. იქვე მდგარი ერთ-ერთი ყვავილებიანი ლარნაკი გადმოვარდა და გატყდა. ვიღაცამ წამოიყვირა.

ეს რეიჩელი იყო. იდგა დედამისთან ერთად, რომელიც მას აკავებდა. დარბაზში მყოფი ათი-თხუთმეტი ადამიანი ჩხუბს შერცხვენილები და ერთ ადგილზე გაშეშებულები უყურებდნენ. სტივს ჯადი უკან, ლადლოუში წაეყვანა და ლუისი შინაგანად ამისთვის მისი დიდად მადლიერი იყო, რადგან არ სურდა, ჯადი ამ უკადრისი სცენის მომსწრე გამხდარიყო.

— არ დაარტყა! — დაიყვირა რეიჩელმა, — მამას არ დაარტყა, ლუის!

— მოხუცებს ვურტყამთ, არა? — ცივად წამოიყვირა ბრწყინვალე ჩეკების პატრონმა, ირვინ გოლდმენმა. ჩასისხლიანებული პირით იცინოდა. — მოგწონს არა, მოხუცების ცემა? შენგან არ მიკვირს, ბინძურო ნაბიჭვარო. სულაც არ მიკვირს.

ლუისი მისკენ მიბრუნდა, გოლდმენმა ხელი მოუქნია და კისერში გაარტყა, — მოუხეშავად, თუმცა ლუისისთვის იმდენად მოულოდნელად, რომ ამ დარტყმით გამოწვეული ტკივილის გამო შემდეგი ორი საათი ნერწყვის ჩაყლაპვა უჭირდა. თავი უკან გადაუვარდა და ძირს ცალ მუხლზე დაეცა.

ჯერ ყვავილები, ახლა მე, — გაიფიქრა ლუისმა, — *როგორ ამბობს „რემოუნზი“? — აბა, ჰე, შევუბერეთ!* — გაიფიქრა და გაცინება დააპირა, მაგრამ ყელიდან მხოლოდ მცირედი ხროტინი ამოუშვა.

რეიჩელმა ისევ იკივლა.

როცა ირვინ გოლდმენმა დაინახა, რომ მისი სიძე ჩამუხლულიყო, მიუახლოვდა და ფეხი პირდაპირ თირკმლებში დაუმიზნა, თუმცა თავისი შავი ფეხსაცმელი მარცხენა თეძოში გაარტყა. ლუისი ტკივილისგან წელში მოიხარა და ამჯერად ხალიჩაზე გაიშალა. იატაკზე ნიკაპით დაეცა და ენაზე იკბინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— აი! — წამოიყვირა გოლდმენმა, — როცა პირველად ჩემს სახლში ფეხი შემოდგი, მაშინვე მაგრად უნდა გამელახე, ნაბიჭვარო! — და ამჯერად ლუისს ფეხი მეორე თეძოში ამოარტყა. ის ტიროდა და იცინოდა. ლუისი პირველად ხედავდა გოლდმენის სახეზე წვერს — გლოვის ნიშანს. ამასობაში მათკენ უკვე მორბოდა დამკრძალავი ბიუროს მეპატრონე. რეიჩელიც მისის გოლდმენის მკლავებიდან გათავისუფლებულიყო და კივილით მორბოდა.

ლუისი მძიმედ გადაგორდა ცალ მხარეს და წამოდგა. სიმამრმა ერთხელ კიდევ მოუქნია ფეხი და ამჯერად ლუისმა მისი ფეხსაცმელი ორივე ხელით დაიჭირა. საკმაოდ მოხერხებულად, კარგად დაჭერილი ამერიკული ფეხბურთის ბურთის მსგავსად მოეთავსებინა ფეხსაცმელი ხელისგულებს შორის. ლუისი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაწვა გოლდმენს და ისიც უკან გადავარდა. წონასწორობის შესანარჩუნებლად მკლავები აიქნია, მაგრამ მაინც პირდაპირ გეიჯის სასახლეს — „სამარადისო სიმშვიდეს“ დაეცა, რომელიც ოჰაიოს შტატ ქალაქ სთორივილში დაემზადებინათ და რომელიც საკმაოდ ძვირი ღირდა.

ოზი, დიდებული და საზალელი, ეს-ესაა ჩემი შვილის სასახლეს დაეჯახა. — გაიფიქრა ბუნდოვნად ლუისმა. სასახლე სადგამიდან გადმოვარდა და ხმაურით დაენარცხა იატაკს. ჯერ მარცხენა მხარი დაეცა, მერე მარჯვენა. საკეტი გაიხსნა. მიუხედავად ყვირილისა და კივილისა, მიუხედავად გოლდმენის ღრიალისა, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, ამ საბავშვო წვეულებაში მაინც განტევების ვაცის როლში იყო, ლუისმა აშკარად გაიგო საკეტის გაღების ტკაცუნი.

სასახლე პრაქტიკულად არ გახსნილა და გეიჯის დაზიანებული ნაწილები იატაკზე არ გადმოყრილა, თუმცა ლუისი იაზრებდა, რომ ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ სასახლე დაეცა ძირით და არა ხუფით. თავისუფლად შეიძლებოდა პირიქით მომხდარიყო. ახლა კი ხუფი მხოლოდ ოდნავ გაიხსნა და ისევ დაიხურა, თუმცა დახურვამდე ლუისმა მაინც შენიშნა რუხი ქსოვილი — მათ მიერ საფლავში გეიჯის სხეულთან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთად ჩასასვენებლად ნაყიდი პიჯაკის ნაწილი და კიდევ რაღაც ვარდისფერი... ალბათ, გეიჯის ხელი.

ლუისი იატაკზე იჯდა, სახე ხელებში ჩაერგო და ქვითინებდა. დაეკარგა ინტერესი სიმამრის, MX რაკეტის, პერმანენტული და შეხსნადი ნაკერების დაპირისპირების, სამყაროს სიცხით განადგურების მიმართ. ამ მომენტში ლუის კრიდს სურდა, რომ მომკვდარიყო. უეცრად მის გონებაში უცნაური სცენა გაცოცხლდა:

გეიჯი, რომელსაც მიკი მაუსის ყურები უკეთია, მეინ სტრიტზე „დისნეი უორლდში" ხელს ართმევს დიდფეხება გუფის. ლუისი ამ სცენას სრული სიცხადით უყურებდა.

სასახლის სადგამის ერთ-ერთი ფეხი წაიქცა, მეორე მთვრალი კაცივით დაიხარა და მიეყუდა პატარა შემაღლებულ ფიცარნაგს, სადაც, როგორც წესი, სამგლოვიარო პროცესიის დროს მღვდელი იდგა ხოლმე. ტიროდა ყვავილებში გაშხლართული გოლდმენიც. იღვრებოდა გატეხილი ლარნაკის წყალი, ყვავილების სურნელი კიდევ უფრო მძაფრი და აუტანელი ხდებოდა.

რეიჩელი ისტერიკულად კიოდა.

ლუისი ამ კივილს ვერ პასუხობდა. მიკი მაუსის ყურებიანი გეიჯის სახება ნელ-ნელა ქრებოდა, მაგრამ ჯერ მაინც ესმოდა კომენტატორის შეტყობინება იმის შესახებ, რომ საღამოს ფოიერვერკებს გაუშვებდნენ. ლუისი წამოჯდა, სახე ისევ ხელებში ჰქონდა ჩაფლული. არ სურდა, ვინმეს დაენახა მისი ცრემლებით დაფარული სახე, მისი დანაკარგი, სინდისის ქენჯნა, ტკივილი, სირცხვილი, ყველაზე მეტად კი ლაჩრული სურვილი — აქვე მომკვდარიყო და ამ წყვდიადს განშორებოდა.

დამკრძალავი ბიუროს მეპატრონემ და დორი გოლდმენმა რეიჩელი დარბაზიდან გაიყვანეს ოთახში, საიდანაც ჯერ ისევ ისმოდა რეიჩელის კივილი. მოგვიანებით სხვა ოთახში (ეს ოთახი, ლუისის აზრით, სპეციალურად იმ ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი, რომელთაც ტკივილთან გამკლავება განსაკუთრებით უჭირდათ. *გნებავთ, უწოდეთ მას ის-*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტერიკის ოთახი. — გაიფიქრა ლუისმა) გაყვანილი რეიჩელი უკვე გაჩუმდა. იქ კი, ლუისმა — გაბრუებულმა, მაგრამ მაინც საღ აზრზე მყოფმა — ჯერ ყველა დაარწმუნა, რომ ის და მისი ცოლი მარტო დაეტოვებინათ, შემდეგ კი რეიჩელს ნემსი გაუკეთა.

სახლში მისული ლოგინში ჩააწვინა და ერთი ნემსი კიდევ გაუკეთა. შემდეგ გადასაფარებლები ნიკაპამდე აუწია და მიცვალებულივით ცვილისფერ სახეს დააკვირდა. — ძალიან ვწუხვარ, რეიჩელ, — უთხრა ლუისმა, — ყველაფერს გავიღებდი, მისი უკან დაბრუნება რომ შემეძლოს.

— კარგი, არა უშავს, — უთხრა რეიჩელმა უცნაურად მშრალი ხმით, შემდეგ გვერდზე გადაბრუნდა და ლუისს ზურგი აქცია.

გონებაში ლუისმა გაიგო ძველი და დაღლილი შეკითხვა: *როგორ ხარ?* და ის-ის იყო, ტუჩები შეარხია მის წარმოსათქმელად, რომ მიხვდა — ჭეშმარიტი შეკითხვა სულ სხვა იყო. სინამდვილეში სულ სხვა რამის გაგება სურდა.

— რამდენად ცუდად ხარ? — იკითხა ბოლოს.

— საკმარისად ცუდად, ლუის, — თქვა რეიჩელმა და რაღაც გაურკვეველი, სიცილის მსგავსი ბგერები გამოსცა. — საშინლად ვარ.

ლუისი გრძნობდა, რომ კიდევ რაღაც იყო საჭირო, მაგრამ თავად ამის მიწოდება არ შეეძლო. უეცრად რეიჩელზე გაბრაზდა. გაბრაზდა სტივ მასტერტონზე, მისი დანდრიჯზე და მის წაწვეტებული ადამის ვაშლის მქონე ქმარზეც. ჯანდაბა, საერთოდ, ყველაზე გაბრაზდა. რატომ უნდა დაემშვიდებინა ყველა მას? ეს რა უბედურება იყო?

შუქი ჩააქრო და ოთახიდან გავიდა, თუმცა მიხვდა, რომ გოგონასაც უნდა დალაპარაკებოდა, თუმცა საკმარისი სიტყვები არც მისთვის გააჩნდა.

ეილის დაბინდულ ოთახში შეხედვისას, რაღაც ერთი გიჟური მომენტის განმავლობაში, ლუისს მოეჩვენა, რომ შიგნით გეიჯი იყო. ეს იყო ისეთივე სიზმრისეული სახება, როგორიც მაშინ, ვიქტორ პასკოუს შემთხვევაში, როცა ის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისს ტყეში მიუძღოდა. შემდეგ, ჩრდილების დახმარებით, ლუისმა გაარჩია პორტატული ტელევიზორი, რომელიც ჯადს ეილისთვის დროის გასაყვანად მოეტანა. დიდი... ძალიან დიდი დროის გასაყვანად.

რა თქმა უნდა, ოთახში არა გეიჯი, არამედ ეილი იყო. ამჯერად, ციგაზე მჯდომი გეიჯის ფოტოსთან ერთად, გეიჯის ოთახიდან სკამიც გამოეტანა. ეს იყო რეჟისორის პატარა სკამი ტილოს დასაჯდომითა და ტილოსავე საზურგით, რომელსაც უკნიდან სტენსილით ეწერა — *გეიჯი*. რეიჩელმა საფოსტო შეკვეთით იყიდა ოთხი ასეთი სკამი და, შესაბამისად, ოჯახის თითოეულ წევრს თავისი სახელობის სკამი ჰქონდა.

ეილი გეიჯის სკამისთვის ზედმეტად დიდი იყო. შიგნით ძლივს ეტეოდა. ტილოს დასაჯდომიც ქვევითკენ სახიფათოდ დაქაჩულიყო. „პოლაროიდის“ ფოტო მკერდზე მიებჯინა და უყურებდა ტელევიზორს, სადაც რაღაც ფილმი გადიოდა.

— ეილი, — უთხრა ლუისმა და ტელევიზორი გამორთო. — ძილის დროა.

ეილი სკამიდან წამოდგა და დაკეცა. როგორც ჩანს, სკამის ლოგინში შეტანას აპირებდა. ლუისმა პაუზა აიღო, არც კი იცოდა, როგორ ეთქვა ეილისთვის ამის შესახებ. ბოლოს, როგორც იქნა, ეს ჰკითხა, — გინდა, რომ დაგაწვინო?

— დიახ, გეთაყვა.

— ამაღამ... დედასთან ძილი არ გინდა?

— არა, გმადლობ.

— დარწმუნებული ხარ?

ეილიმ ოდნავ გაიღიმა, — კი, საბანს ყოველთვის თავისკენ ქაჩავს ხოლმე.

პასუხად ლუისმაც გაუღიმა, — კარგი, მაშინ მიდი, გაემზადე.

ბავშვს სკამი საბანქვეშ აღარ შეუტანია, კოხტად მიაყუდა ლოგინის თავთან და უეცრად ლუისის თვალწინ წარმოუდგენელი სურათი გაცოცხლდა — *აგერ, იხილეთ მსოფლიოს ყველაზე პატარა ფსიქიატრის სამუშაო ოთახი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეილიმ გაიხადა, გეიჯის ფოტო ბალიშზე დადო, შემდეგ თავისი თოჯინებიანი პიჟამა ჩაიცვა, ფოტო ისევ აიღო და სააბაზანოში გავიდა. ფოტო თაროზე დადო, თავად კი სახე დაიბანა, თმა დაივარცხნა, კბილები გაიხეხა, ძაფით გაიწმინდა და ყოველდღიური ვიტამინის აბიც დალია. შემდეგ ფოტო ისევ აიღო და ლოგინში მასთან ერთად დაბრუნდა. ლუისი მის გვერდით ჩამოჯდა. — მინდა იცოდე, ეილი, რომ ჩვენ ამ ყველაფერს გადავიტანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთი ისევ ძალიან გვეყვარება. — ყოველ სიტყვას ისე მძიმედ წარმოთქვამდა, თითქოს თივის სველ ძნებს მიაგორებდა. ლუისი თავს საშინლად დაქანცულად გრძნობდა.

— ძალიან მენდომება, — თქვა ეილიმ დინჯად, — და ბევრს ვილოცებ, რომ ღმერთმა გეიჯი დააბრუნოს.

— ეილი...

— თუ მოისურვებს, ღმერთს ეს შეუძლია, — თქვა ეილიმ, — მას, რასაც მოისურვებს, ყველაფრის გაკეთება შეუძლია.

— ეილი, ღმერთი ასე არ იქცევა, — უხერხულად მიუგო ლუისმა, თვალწინ კი წარმოუდგა უნიტაზზე მჯდომი ჩერჩი და მისი ბინძური თვალები, რომლითაც აბაზანაში მწოლიარე ლუისს უყურებდა.

— როგორ არ იქცევა, — თქვა ეილიმ, — საკვირაო სკოლაში მასწავლებელი ვიღაც ლაზარეს შესახებ მოგვიყვა. ის მკვდარი იყო და იესომ გააცოცხლა. მან თქვა — ლაზარე, გამოდი გარეთ — და მასწავლებელმა გვითხრა, რომ, თუ ის იტყოდა, უბრალოდ, — გამოდი — მაშინ ალბათ სასაფლაოზე ყველა გაცოცხლდებოდა, მაგრამ იესოს მხოლოდ ლაზარეს გაცოცხლება უნდოდა.

ლუისს სრული აბსურდი წამოსცდა (თუმცა, ის დღე საკმარისად იყო აბსურდით დატვირთული): ეს დიდი ხნის წინ იყო, ეილი.

— მე ყველაფრისთვის მზად ვარ, — თქვა გოგომ, — ფოტოც მაქვს, მის სკამშიც ვიჯდები და...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ეილი, შენ გეიჯის სკამისთვის ძალიან დიდი ხარ, — უთხრა ლუისმა და ბავშვის გახურებულ ხელს დახედა, — გატეხავ.

— ღმერთი დამეხმარება, რომ არ გავტეხო, — თქვა ეილიმ. მშვიდი ხმა ჰქონდა, თუმცა თვალების გარშემო ყავისფერი რგოლები მოუჩანდა. ლუისს გული სტკიოდა, ველარ უძლებდა, ამიტომ გვერდით გაიხედა. იქნებ გეიჯის სკამის გატეხის შემდეგ ეილი მომხდარს ოდნავ უკეთ მიმხვდარიყო.

— მისი ფოტო თან მექნება და მის სკამზე დავჯდები, — თქვა ეილიმ, — მის საუზმესაც შევჭამ. — გეიჯი და ეილი საუზმეზე ყოველთვის განსხვავებულ ბურბუშელას ჭამდნენ. გეიჯს შოკოლადის დათვები მოსწონდა, ეილის აზრით კი, მათ გამხმარი ცინგლის გემო ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ შინ, „კოკოა ბეარზის“ გარდა, სხვა ბურბუშელა არ იყო, ეილი მოხარშულ კვერცხს ჭამდა, ან... საერთოდ არ საუზმობდა.

— მწვანე ლობიოსაც შევჭამ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვიტან. გეიჯის ნახატებიან წიგნებსაც წავიკითხავ და... მე... იცი... მოვემზადები იმისათვის, როცა...

ახლა ეილი უკვე ტიროდა. ლუისმა დამშვიდების ნაცვლად, უბრალოდ, შუბლიდან თმა გადაუწია. ის, რაზეც ახლა ეილი ლაპარაკობდა, თავისებურ გიჟურ აზრს ატარებდა. ყველაფრის შენარჩუნება. კავშირების შენარჩუნება. გეიჯის აწმყოში შენარჩუნება. წარსულში მისი გადანაცვლების დაუშვებლობა. მუდმივად იმის გახსენება, რას როგორ აკეთებდა გეიჯი... ჰო, ეს დიდებული აზრი იყო... ჩვენი საყვარელი გეიჯი... რა კარგი ბავშვი იყო. ამ ყველაფრის შემდეგ რეალობის გააზრება ისეთი მტკივნეული აღარ იქნებოდა. ლუისი ფიქრობდა, რომ ეილიც, სავარაუდოდ, ხვდებოდა, რაოდენ მარტივი იყო გეიჯის მკვდრად მიჩნევა.

— აღარ იტირო, ეილი, — უთხრა შვილს, — სამუდამოდ ხომ არ იტირებ.

ეილი სამუდამოდ ტიროდა... თხუთმეტი წუთის განმავლობაში. შემდეგ კი ცრემლებშეუმშრალს ჩაეძინა. ამასო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბაში პირველ სართულზე ჩუმი სახლის მყუდროება საათის ხმამ დაარღვია. უკვე ათი საათი იყო.

აცოცხლე, ეილი, თუ გინდა, რომ ასე მოიქცე, აცოცხლე. — გაიფიქრა ლუისმა და აკოცა. ალბათ, ექიმები იტყოდნენ, რომ ეს არაჯანსაღი დამოკიდებულება იყო, მაგრამ ლუისი ბავშვის ამ მიდგომას ემხრობოდა. — *იმიტომ, რომ ვიცი, დადგება დღე — შესაძლოა შემდეგ პარასკევსაც — როცა ფოტოს წაღება დაგავიწყდება და მას ცარიელ ოთახში, ლოგინზე დატოვებ. ამასობაში კი ველოსიპედით ივლი, სახლის უკან, მინდორზე ისეირნებ, ან კეტი მაკგოუნთან ერთად თოჯინებისთვის ტანსაცმელს შეკერავ. გეიჯი შენთან არ იქნება და ის წარსულში გადაინაცვლებს. გეიჯი იქცევა რაღაცად, რაც 1984 წელს მოხდა. ის იქცევა წარსულის მოჩვენებად.*

ლუისი ოთახიდან გამოვიდა, ცოტა ხანს კიბის თავთან იდგა და სერიოზულად ფიქრობდა, ხომ არ იყო დრო, რომ მასაც დაეძინა.

თუმცა, იცოდა, რა სჭირდებოდა და ამისათვის პირველ სართულზე ჩავიდა.

ლუის ალბერტ კრიდი მეთოდურად მიუდგა ამ ღამით გამოთრობის გეგმას. ქვევით, სარდაფში ინახებოდა „შლიცის“ თეთრი ლუდის ხუთი შეკვრა. ლუდს სვამდა ლუისი, ლუდს სვამდა ჯადი, სტივ მასტერტონიც ლუდს სვამდა. სანამ ბავშვებს (ბავშვს — შეუსწორა ლუისმა საკუთარ თავს და სარდაფის კიბეზე დაეშვა) ყურადღებას აქცევდა, ერთი-ორ ბოთლ ლუდს სვამდა მისი დანდრიჯიც. ჩარლტონიც კი, როცა ხანდახან მათ სტუმრობდა, ჭიქა ღვინოს ლუდს — ოღონდ მხოლოდ თეთრს — არჩევდა ხოლმე. სწორედ ამიტომ, ერთ დღესაც რეიჩელმა „ეი ენდ პი“-ში ფასდაკლებებზე თეთრი „შლიცის“ ათი შეკვრა იყიდა და ლუისს უთხრა, ახლა შეგიძლია სტუმრის ყოველ მოსვლაზე ორინგტონში ხულიოსთან არ ირბინოო. თან შეახსენა მის მიერვე ციტირებული რობერტ პარკერის სიტყვებიც, — მაცივარში ნაპოვნი ნებისმიერი ლუდი, მაშინ, როცა მაღაზიები დაკეტილია, სა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უკეთესო ლუდია. *ასე არ არის? ასე რომ, სვი და იფიქრე, რა ეკონომიურად გამოხვედი.* — ეს ყველაფერი წინა ზამთარს ხდებოდა. მაშინ ყველაფერი კარგად იყო. ყველაფერი კარგად. სასაცილოა, რა სწრაფად და მარტივად ავლებს ადამიანი ზღვარს „მაშინ“ და „ახლა“-ს შორის.

ლუისმა ლუდის შეკვრა სარდაფიდან ამოიტანა და ქილები მაცივარში შეაწყო. შემდეგ მაცივრის კარი შეხსნა, ერთი ქილა გამოიღო და კარის ნელი დახურვის ჭრაჭუნა ხმის ფონზე სამზარეულოში ჩერჩიც გამოჩნდა. კატა ახლოს არ მოსულა. როგორც ჩანს, ხშირი გაგდების გამო ლუისს უკვე უფრთხოდა.

— აქ შენთვის არაფერია, — უთხრა ლუისმა კატას, — ერთი ქილა „კალო“ ხომ უკვე ჭამე? თუ არ გეყო, წადი და ჩიტი მოკალი.

ჩერჩი იდგა და უყურებდა. ლუისმა ნახევარი ქილა ლუდი ჩაცალა და მომენტალურად იგრძნო თავში ასული ალკოჰოლი. — ჩიტებს არც კი ჭამ, არა? — ჰკითხა ჩერჩის, — უბრალოდ, კლავ და მორჩა.

ჩერჩი მისაღებში გაბანცალდა. აშკარად მიხვდა, რომ აქ საჭმელს ვერ იშოვიდა. რამდენიმე წამში ლუისიც მას გაჰყვა.

სრულიად შემთხვევით ლუისს კვლავ ეს სიტყვები გაახსენდა — *აბა, ჰე, შევუბერეთ!*

სკამზე დაჯდა და ისევ ჩერჩის გახედა. კატა ტელევიზორის წინ, ხალიჩაზე წამოწოლილიყო და ლუისს ფრთხილად უმზერდა. თითქოს ყოველ წამს ელოდა მისგან აგრესიის გამოვლინებას და ფეხის წარტყმას. თუმცა, ამის ნაცვლად, ლუისმა ლუდის ქილა ასწია და თქვა, — გეიჯს გაუმარჯოს, ჩემს ბიჭს, რომელიც შესაძლოა, ხელოვანი ან ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარიყო. ან იქნებ ამერიკის შეერთებული შტატების დედააფეთქებული პრეზიდენტიც. აბა, რას იტყვი, ნაბიჭვარო?

ჩერჩიმ თავისი ჩაძირული, უცნაური თვალები შეანათა.

ლუისმა ლუდი დიდი ყლუპებით გამოცალა და ყელში მცირედი ტკივილი იგრძნო. შემდეგ მაცივართან მივიდა და მორიგი ქილა გამოიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმ დროისთვის, როდესაც ლუისმა მესამე ქილაც დაცალა, იგრძნო, რომ იმ დღეს პირველად გრძნობდა თავს უკეთ. პირველი ექვსქილიანი შეკვრის დაცლის შემდეგ კი გაიფიქრა, რომ ასე ერთი საათის შემდეგ დაძინებასაც შეძლებდა. მაცივრიდან მერვე თუ მეცხრე (ამ მომენტისთვის თვლა უკვე უჭირდა) ქილის გამოტანისას მისი მზერა მისწვდა ჩერჩის, რომელიც ხალიჩაზე თვლემდა ან, უბრალოდ, თავს იმძინარებდა. მის შემყურე ლუისს თავში მოუვიდა აზრი, რომელიც, წესით, სულ „იქ" უნდა ყოფილიყო, უბრალოდ, გასაქანი მხოლოდ ახლაღა მიეცა.

როდის აპირებ ამის გაკეთებას? როდის დამარხავ გეიჯს შინაური ცხოველების სასაფლაოს დანართზე?

მასთან ერთად შემდეგი ფიქრი:

ლაზარე, გამოდი.

და ეილის ძილნარევი, მოგუდული ხმა:

და მასწავლებელმა გვითხრა, რომ თუ ის იტყოდა, უბრალოდ, — გამოდი — მაშინ ალბათ სასაფლაოზე ყველა გაცოცხლდებოდა, მაგრამ იესოს მხოლოდ ლაზარეს გაცოცხლება უნდოდა.

ამ ფიქრმა ლუისს მთელი სხეული მოულოდნელი სიცივით დაუფარა. უეცრად გაახსენდა ეილის ბაღის პირველი დღე. მაშინ გეიჯს მის კალთაში ჩაეძინა, რეიჩელი კი უსმენდა ეილის ტიტინს „მისტერ მაკდონალდის" და მისის ბერიმენის შესახებ. მაშინ ლუისმა თქვა, რომ გეიჯს დააწვენდა და ეილის მოსმენას ამის შემდეგ განაგრძობდა. სწორედ მაშინ, როცა გეიჯი კიბეზე აჰყავდა, თავი უცნაურად იგრძნო. თითქოს პირველად სწორედ იმწამს გაიაზრა, რომ გეიჯი მალე მოკვდებოდა. მისმა რაღაც შინაგანმა ნაწილმა უკვე იცოდა, რომ ოზი — დიდებული და საზალელი — თავის საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. რა თქმა უნდა, ეს სრული ბოდვა და წარმოუდგენელი მარაზმი იყო, მაგრამ... მაგრამ ეს იყო სიმართლე. ლუისმა იცოდა. პერანგზე ლუდი ჩამოეწვეთა. უეცრად ჩერჩიმაც თავისი დაღლილი თვალებით ახედა იმის შესამოწმებლად, იყო თუ არა ეს ნიშანი იმისა, რომ ამ საღამოს კატების გაყრის ფესტივალი დაიწყებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ ლუისს გაახსენდა მის მიერ ჯადისთვის დასმული შეკითხვა და ჯადის რეაქცია. მან ხელი გაჰკრა მაგიდაზე მდგარ ლუდის ორ ცარიელ ბოთლს. ერთ-ერთი მათგანი გატყდა. — *ასეთი რამ არ გაიმეორო, ლუის!*

მაგრამ სურდა გამეორება და სურდა ამ თემაზე ლაპარაკი. შინაური ცხოველების სასაფლაო. ის ადგილი, სასაფლაოს შემდეგ. იდეა მომაკვდინებლად მიმზიდველი ჩანდა. ის წარმოაჩენდა ლოგიკის იმგვარ ბალანსს, რომლის უარყოფაც შეუძლებელი იყო. ჩერჩი გზაზე მოკვდა. გზაზე მოკვდა გეიჯიც. აგერ ხედავდა ჩერჩის — შეცვლილს, რაღაც მხრივ, საზიზღარსაც — მაგრამ ის აქ იყო. ეილი, გეიჯი, რეიჩელი — ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა. მართალია, ის ჩიტებს ხოცავდა და თაგვებსაც შუაზე ფლეთდა, მაგრამ კატები ხშირად იქცევიან ასე. ჩერჩი რაღაც მონსტრ ფრანკენკატად არ ქცეულა. ბევრი თვალსაზრისით, ის ისევე კარგი იყო, როგორც ძველად.

გამართლებებს ეძებ — გაისმა გონების ხმა. — *არანაირად არ არის ძველებურად კარგი. ის საძაგელია. ყვავი, ლუის... გახსოვს ყვავი?*

— ღმერთო დიდებულო, — თრთოლით აღმოხდა ლუისს შეძახილი, რომელშიც ძლივს შეიცნო საკუთარი ხმა.

ღმერთო, — ჰო, აბა, რა. მისი სახელის ხსენებისთვის ნამდვილად სწორი დრო შეარჩიე. ახლა და აქ არის მისი ადგილი და არა წიგნებში, რომლებშიც მოჩვენებებისა და ვამპირების შესახებ წერენ. ჰოდა, აბა, ღვთის გულისათვის, რაზე ფიქრობდა ლუისი? რაღაც ბნელ მკრეხელობაზე, რომლისაც თავადაც კი არ სჯეროდა. კიდევ უარესი: თავს იტყუებდა. უბრალოდ, გამართლებებს კი არ ეძებდა, პირწმინდად იტყუებოდა.

მაშინ რა არის სიმართლე? ძალიან გაინტერესებს? სიმართლის გაგება გინდა? დავიწყოთ იმით, რომ ჩერჩი უკვე ჩვეულებრივი კატა აღარ იყო. ვიზუალურად და ქცევით კატას ჰგავდა, მაგრამ ახლა მხოლოდ მისი საცოდავი იმიტაცია იყო და მეტი არაფერი. ადამიანები ამ იმიტაციას ცხა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დად ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ გრძნობდნენ. ლუისს გაახსენდა ღამე, როცა მათ ჩარლტონი ეწვიათ. პატარა წინასაშობაო წვეულებასავით მოაწყვეს. აქ ისხდნენ და სუფრასთან საუბრობდნენ. უეცრად ჩერჩი ქალს კალთაზე აახტა. ჩარლტონმა კატა მომენტალურად გააგდო, თან ძალიან სწრაფად და სახეზე აღბეჭდილი ამრეზით. დიდი ამბავი. ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მაგრამ... ის იქ არ იყო. ჩარლტონმა იგრძნო, რომ ჩერჩი კატა არ იყო. ლუისმა ქილა გამოცალა და შემდეგის ასაღებად წამოდგა. ახლა უკვე საკმაოდ მთვრალი იყო. ხვალ უეჭველად საზიზღარ მდგომარეობაში გაეღვიძებოდა. ლუის კრიდის „როგორ დავესწარი ნაბახუსევზე ჩემი შვილის დაკრძალვას". ის გახლავთ აგრეთვე ავტორი სხვა ნაწარმოებებისა, მათ შორის წიგნისა — „როგორ ვერ გადავარჩინე მე ის გადამწყვეტ მომენტში".

მთვრალი. ნამდვილად. ლუისის ვარაუდით, დათვრა იმიტომ, რომ ეს გიჟური იდეა ფხიზელს არ განეხილა.

მიუხედავად ყველაფრისა, ეს იყო მომაკვდინებლად მიმზიდველი, ავადმყოფურად სასურველი და მომხიბვლელი აზრი. დიახ, ყველაფერთან ერთად, მომხიბვლელიც.

მის გონებაში ჯადი საუბრობდა: *ის არ გეშვება. საიდუმლო ადგილია და მუდამ გიბიძგებს, ეს საიდუმლო სხვასაც გაანდო. მხოლოდ მიზეზებს ეძებ... ძირითადად კი იქ ყოველთვის საკუთარი სურვილის დასაკმაყოფილებლად მიდიხარ. ან, უბრალოდ, ასე უნდა მოიქცე და მორჩა.*

ჯადის ხმა — ბოხი და იანკური ინტონაციით გამოკვეთილი. ჯადის ხმა აციებდა, კანზე ბუსუსებს აყრიდა და კეფაზე თმას ყალყზე უყენებდა.

რაც უნდა ბევრი რამ იცოდეს ქალმა, ის მაინც იტყვის, რომ წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება კაცის გულში. ის ქვის ზედაპირითაა დაფარული... როგორც იქ, იმ სასაფლაოზე — და არავინ უწყის, რა ხდება მის სიღრმეში. კაცი, რაც შეუძლია, იმას ზრდის და უვლის... მეტი არაფერი.

ლუისს ახსენდებოდა ჯადის მიერ ნათქვამი სხვა სიტყვებიც, რომლებიც მან ლუისს მიკმაკების მიწის შესახებ უთხრა... ნელ-ნელა თავს უყრიდა ინფორმაციას, აკომპრესებდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ძველად, სერიოზული გამოცდების მომზადების წინ.

ძაღლი. სპოტი.

მის სხეულზე რამდენიმე ადგილას პატარა ნასვრეტებად მავთულხლართის კვალი შევნიშნე, თავის ქალაზე კი, ყურთან, უფრო მოზრდილი ხვრელი უკვე ბეწვით დაფარულიყო.

ხარი. ლუისის გონებაში კიდევ ერთი სახება გამოჩნდა.

იქ ლესტერ მორგანმა მედალოსანი შავი ხარი ჰენრეტი დამარხა... ლესტერმა ათრია, ათრია და... ორ კვირაში იარაღით მიაკლა. თუმცა ეს, რაც მე ვიცი, ერთადერთი ასეთი შემთხვევაა.

ხარი საშინლად გაბოროტებულიყო.

კაცის გული ქვის ზედაპირითაა დაფარული.

ის გაბოროტებულიყო.

ერთადერთი ასეთი შემთხვევა.

ეს შენი ადგილია. საიდუმლო ადგილი, რომელიც შენ გეკუთვნის და შენ მას ეკუთვნი.

ის გაბოროტებულიყო, თუმცა ეს, რაც მე ვიცი, ერთადერთი ასეთი შემთხვევაა.

შემდეგ რისი გაკეთება გინდა, ლუის? მაშინ, როცა ღამით ძლიერი ქარი იქროლებს, ტყის ბილიკებს კი მთვარის შუქი გაანათებს? გინდა, რომ ისევ იმ კიბეზე ახვიდე? იცი, როცა ადამიანები საშინელებათა ჟანრის ფილმებს უყურებენ, სეანსზე დამსწრეთაგან ყველამ იცის, რომ მთავარი გმირი სულელი იქნება, იმ კიბეზე თუ ავა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი სხვაგვარად ხდება. იგივე ადამიანები რეალურ ცხოვრებაში ეწევიან, მანქანას ღვედშეუკრავი ატარებენ, ოჯახებთან ერთად იმ გზის პირას სახლდებიან, რომელზეც დღედაღამ დიდი სატვირთოები დაქრიან. აბა, ლუის, რას იტყვი? მაინც გინდა იმ კიბეზე ასვლა? დაიტოვებ შენს მკვდარ შვილს, თუ გსურს გაიგო, რა ხდება პირველი, მეორე ან მესამე კარის მილმა?

აბა, ჰე, შევუბერეთ!

გაბოროტებულიყო... ერთადერთი... კვალი შევნიშნე... კაცი ზრდის...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა დარჩენილი ლუდიც გამოცალა და უეცრად გულისრევის შეგრძნებამ დაუარა. მთელი ოთახი აშკარად აქეთ-იქით ირხეოდა.

კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

კარგა ხანს ლუისს ეგონა, რომ ეს ჰალუცინაცია იყო. დარწმუნებული გახლდათ, რომ კაკუნი მხოლოდ მის თავში ისმოდა, თუმცა რიტმული ხმა არ ჩერდებოდა. უეცრად ლუისს გაახსენდა მოთხრობა მაიმუნის თათის შესახებ და უსიამოდ გააჟრჟოლა. თითქოს სრულიად აშკარად, ფიზიკურად შეიგრძნობდა მაცივარში შენახული ცივი ხელის შეხებას. ის გაცოცხლებულიყო და ახლა ლუისის მაისურის ქვეშ შედიოდა. სულელური და ბოდვით სავსე სცენა იყო, თუმცა სულელური სულაც არ ჩანდა. არა.

ლუისი კართან მივიდა. ფეხებს ვერ გრძნობდა, საკეტს ათრთოლებული თითებით ხსნიდა. როცა გაიხსნა, გაიფიქრა: *ეს პასკოუა. როგორც ჯიმ მორისონზე ამბობდნენ, მკვდრეთით აღდგა უფრო დიადი, ვიდრე ოდესმეო, პასკოუც ასე იდგება ჩემს კართან თავის შორტში — სახე ერთი თვის დაობებულ პურს რომ მიუგავს, დაჩეჩქვილი თავითა და მორიგი გაფრთხილებით: იქ არ წახვიდე! როგორ ამბობდა „ენიმალზი“? პატარავ, გთხოვ, არ წახვიდე. გთხოვ, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, პატარავ, გთხოვ, არ წახვიდე.*

კარი გაიღო და ზღურბლთან ლუისის შვილის პანაშვიდსა და გასვენებას შორის არსებულ ბნელ ღამეში ჯად კრენდოლი გამოჩნდა. მის თხელ და თეთრ თმას ქარი ცივ ღამეში აქეთ-იქით არხევდა.

ლუისმა გაცინება სცადა. თითქოს დრო თავისთავად უკან დაბრუნებულიყო და ახლა ისევ მადლიერების დღე იდგა. მალე ის და ჯადი ეილის კატას, უინსტონ ჩერჩილს პოლიეთილენის ნაგვის პაკეტში ჩადებდნენ და ტყეში წავიდოდნენ.

ოჰ, ნურაფერს მკითხავ, უბრალოდ, წავიდეთ და ვესტუმროთ[1].

---

[1] *ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ლუისი გულისხმობს ფრაზას ტომას სტერნზ ელიოტის პოემიდან „ალფრედ პრიუფროკის სიყვარულის სიმღერა“.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— შეიძლება შემოვიდე, ლუის? — ჰკითხა ჯადმა. ქურთუკის ჯიბიდან „ჩესტერფილდის“ კოლოფი ამოიღო და ერთი ღერი პირში ჩაიდო.

— როგორ გითხრა, — თქვა ლუისმა, — საკმაოდ გვიანია და ბლომად ლუდიც მაქვს დალეული.

— აიუჰ, მაგას სუნითაც ვხვდები. — თქვა ჯადმა და ასანთის ღერის ანთება სცადა, თუმცა ცეცხლი ქარმა ჩაუქრო. შემდეგ მეორე ღერს აკანკალებული ხელები მოაფარა, მაგრამ ისიც ჩაუქრა. მესამე ღერი რომ ამოიღო, ლუისს შეხედა. — ვერ ვანთებ, — თქვა მან, — არ შემომიშვებ, ლუის?

ლუისმა გვერდზე გაიწია და ჯადი შიგნით შევიდა.

38

სამზარეულოს მაგიდასთან ისხდნენ და ლუდს სვამდნენ. — *ეს პირველი შემთხვევაა, როცა ლუდს აქ ვსვამთ,* — გაიფიქრა ლუისმა. უეცრად ზემოთ ეილიმ ძილში წამოიყვირა. ორივენი გაშეშდნენ და ყური მიუგდეს, თუმცა ხმა აღარ გამეორებულა.

— კარგი, — თქვა ლუისმა, — აბა, მითხარი, რამ მოგიყვანა აქ, ჩემი შვილის დაკრძალვის წინა შუაღამით? ჩემი მეგობარი ხარ, ჯად, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი.

ჯადმა ლუდი მოსვა და პირი მაჯით მოიწმინდა. შემდეგ პირდაპირ ლუისს შეხედა. მის თვალებში იკითხებოდა რაღაც აშკარა და დადებითი. როგორც იქნა, ლუისმაც დაუბრუნა მზერა.

— იცი, რატომაც ვარ აქ, — თქვა ჯადმა, — შენ ისეთ რაღაცაზე ფიქრობ, რაზეც არ უნდა ფიქრობდე, ლუის. კიდევ უარესი: ვვარაუდობ, რომ ამ რაღაცას სრული სერიოზულობით განიხილავ.

— არაფერზე არ ვფიქრობდი, დაძინების გარდა, — თქვა ლუისმა, — ხვალ დაკრძალვაა.

— მე პასუხს ვაგებ შენს გულში დამატებული ტკივილის გამო, — დინჯად თქვა ჯადმა, — და რამდენადაც ვხვდები, შესაძლოა გარკვეულწილად შენი შვილის მკვლელობაზეც ვიყო პასუხისმგებელი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა გაოცებით შეხედა. — რა?.. სიგიჟეს ნუ ამბობ, ჯად!

— მის იქ დაკრძალვაზე ფიქრობ, — უთხრა ჯადმა, — ახლა არ მითხრა, არ მიფიქრიაო, ლუის.

ლუისს პასუხი არ გაუცია.

— რამდენად ღრმად ვრცელდება ზემოქმედება? — ჰკითხა ჯადმა, — შეგიძლია ამაზე პასუხი გამცე? არა. ამ კითხვაზე ვერც მე ვუპასუხებ, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელია, აქ ვცხოვრობ. მე ბევრი რამ ვიცი მიკმაკების შესახებ. იქაურობა მათთვის ყოველთვის რაღაც წმინდა ადგილად მიიჩნეოდა... ოღონდ კარგი გაგებით არა. ეს მე სტენი ბიმ მითხრა. მოგვიანებით მამაჩემმაც იგივე გამიმეორა. მას შემდეგ, რაც სპოტი მეორედ მოკვდა. ამჟამად იმ ტერიტორიის საკუთრების უფლებისათვის ერთმანეთს ედავებიან მიკმაკები, მენის შტატი და სახელმწიფო. ვის ეკუთვნის? დაზუსტებით ეს არავინ იცის, ლუის. უკვე აღარ. პრეტენზიას ამ მიწებზე სხვადასხვა ადამიანი გამოთქვამს. მაგალითად, ენსონ ლადლოუ — ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი დამაარსებლის შთამომავალი. თეთრებიდან ყველაზე მეტი უფლება ალბათ სწორედ მას აქვს, რადგან იოზეფ ლადლოუ უფროსს ამ მიწებზე უფლება ჯერ კიდევ მეფე ჯორჯისგან ჰქონდა მინიჭებული. მაშინ მენი მხოლოდ მასაჩუსეტსის კოლონიის ერთ დიდ პროვინციას წარმოადგენდა. თუმცა, მიუხედავად სასამართლო დავებისა, ლადლოუმ მიწების დასაკუთრება მაინც ვერ მოახერხა. გარდა ამისა, დავაში ჩაერთო ვინმე პიტერ დიმერტიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ ისიც ლადლოუ იყო და ამის დასაბუთებაც შეეძლო, იოზეფ ლადლოუ უფროსი კი ერთი ჩვეულებრივი ღატაკი გახლდათ, რომელსაც მხოლოდ მიწები ჰქონდა და ამ მიწებსაც ყოველი დალევის დროს ვინმეს სასმელში უცვლიდა.

— კი, მაგრამ რაიმე ჩანაწერები არ არსებობს? — იკითხა ლუისმა, თავისდა გასაკვირად, მოულოდნელად დაინტერესებულმა.

— ჩვენს ბაბუებს ჩანაწერების კეთება არ უყვარდათ, — თქვა ჯადმა და ბოლომდე დაყვანილი სიგარეტით ახალს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოუკიდა, — შენი მიწის გადაცემის შესახებ გაკეთებულ პირველ აქტში ასეთი რამ ეწერა, — თქვა ჯადმა და თვალები დახუჭა, — ქუინსბერის ქედზე მდგარი დიდი და ძველი ნეკერჩხლიდან ორინგტონის ნაკადულამდე და მის გაყოლებაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, — ჯადს უემოციოდ ჩაეცინა, — თუმცა, ეგ დიდი და ძველი ნეკერჩხალი 1882 წელს წაიქცა, 1900-ისთვის კი ხავსმა დაალპო. ხოლო ორინგტონის ნაკადული ამოშრა და პირველ მსოფლიო ომსა და საბირჟო კრიზისს შორის არსებულ ათწლიან პერიოდში ჭაობად იქცა. მოკლედ, ყველაფერი აირ-დაირია. ყოველ შემთხვევაში, ბებერმა ენსონმა ვერაფერს მიაღწია. 1921 წელს მას მეხი დაეცა და მოკვდა სწორედ იმ ადგილზე, სამარხი მიწების შორიახლოს.

ლუისმა ჯადს ახედა. ჯადმა ლუდი მოწრუპა.

— ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. ბევრი ადგილი არსებობს, რომელთა მესაკუთრეც ვერ დგინდება, საბოლოოდ კი მხოლოდ იურისტები აკეთებენ ფულს. ჯანდაბა, ამის შესახებ ჯერ კიდევ დიკენსი წერდა. საბოლოოდ მიწა ალბათ ინდიელებს გადაეცემათ და, ვფიქრობ, ასეც უნდა მოხდეს, მაგრამ ახლა მთავარი სხვა რამ არის, ლუის. ამაღამ შენთან იმისთვის მოვედი, რომ ტიმი ბატერმანსა და მამამისზე მოგიყვე.

— ტიმი ბატერმანი ვინ არის?

— ტიმი ბატერმანი იყო ერთ-ერთი იმ დაახლოებით ოცი ბიჭიდან, რომლებიც ლადლოუდან ჰიტლერთან საბრძოლველად გაემგზავრნენ. აქაურობა 1942 წელს დატოვა და უკან 1943 წელს დროშაგადაფარებული სასახლით დაბრუნდა. მამამისი, ბილ ბატერმანი, მთელი ცხოვრება ამ ქალაქში ცხოვრობდა. როცა დეპეშა მიიღო, კინაღამ ჭკუაზე შეიშალა, თუმცა შემდეგ მოულოდნელად დაწყნარდა. მან იცოდა მიკმაკების სამარხი მიწის შესახებ და გადაწყვეტილებაც მიუღია.

სიცივე დაბრუნდა. ლუისი კარგა ხანს აკვირდებოდა მოხუცის თვალებს და ცდილობდა გაერკვია, სიმართლეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამბობდა თუ არა ის. სიცრუისა ვერაფერი შეატყო, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ამას ახლა უმხელდა, მასში უკვე ეჭვს იწვევდა.

— ამის შესახებ იმ ღამით რატომ არ მითხარი? — ჰკითხა ბოლოს, — ჩვენ რომ... კატის ამბავს მოვრჩით? ხომ გკითხე, ვინმეს იქ ადამიანი ხომ არ დაუმარხავს-მეთქი.

— იმიტომ, რომ მაშინ ამის ცოდნა არ გჭირდებოდა, — უპასუხა ჯადმა, — ახლა კი გჭირდება.

ლუისი კარგა ხანს დუმდა. — ეს ერთადერთი შემთხვევა იყო?

— ერთადერთი, რომლის შესახებაც პირადად ვიცი, — მძიმედ თქვა ჯადმა, — მაგრამ, ზოგადად? მეეჭვება, ლუ-ის. ძალიან მეეჭვება. მე უფრო ეკლესიასტეს ვემხრობი, არ მჯერა, რომ დედამიწის ზურგზე რაიმე პირველად ხდება. უფრო სწორად, შესაძლოა გამოვლინების ფორმები შეიც-ვალოს, მაგრამ შინაარსი დიდად არ იცვლება. ის, რაც ახლა ხდება, აუცილებლად მომხდარა მანამდე... კიდევ... და კიდევ უფრო მანამდეც.

ჯადმა დალაქავებულ თითებს დახედა. მისაღებში საათ-მა მსუბუქად შეატყობინათ, რომ პირველის ნახევარი შეს-რულდა.

— მე მგონი, შენი პროფესიის კაცს სიმპტომების დახმა-რებით ავადმყოფობის დადგენა არ უნდა გასჭირვებოდა... და გადავწყვიტე ამის შესახებ პირდაპირ მეთქვა მას შემ-დეგ, რაც დამკრძალავი ბიუროს მეპატრონისგან შევიტყვე, რომ გეიჯისთვის საკეტიანი სასახლე შეგიკვეთავს და არა დაბეჭდილი.

ლუისმა კარგა ხანს უყურა ჯადს. ხმას არ იღებდა... ჯადი კი ძალიან გაწითლებულიყო, მაგრამ თვალს მაინც არ აშო-რებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ლუისმა სიტყვა დაძრა. — მგონი, სხვის საქმეში ზედმეტად ერევი, ჯად. ძალიან ვწუხ-ვარ.

— მე მისთვის არ მიკითხავს, თუ როგორი სასახლე შე-უკვეთე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— შეიძლება ასე პირდაპირ არა, მაგრამ...

მაგრამ, არც ჯადი პასუხობდა. კიდევ უფრო გაწითლებულიყო და ახლა სახეზე მწიფე ქლიავის ფერი დასდებოდა. ლუისს მზერას მაინც არ აშორებდა.

ბოლოს ლუისმა ამოიხვნეშა და თავი საშინლად დაღლილად იგრძნო. — კარგი, ჯანდაბას. შეიძლება მართალი ხარ, მაგრამ მე, უბრალოდ, გეიჯზე ვფიქრობდი და დიდად არც ვაქცევდი ყურადღებას, როგორ სასახლეს ვუკვეთდი.

— ვიცი, რომ გეიჯზე ფიქრობდი, მაგრამ სასახლეებს შორის განსხვავებას შენც ხომ კარგად ხვდები? ბიძაშენს დამკრძალვი ბიურო ჰქონდა.

დიახ, განსხვავებას კარგად ხვდებოდა. დაბეჭდილი სასახლე საკმაო სამუშაოს საჭიროებდა, რადგან მას მრავალი, მრავალი წლისთვის უნდა გაეძლო. მართკუთხა ყალიბში ამოყვანილი მეტალის შვერილები ივსებოდა ცემენტისა და ხრეშის დულაბით, სამგლოვიარო პროცესიის დასრულების შემდეგ კი ამწეკრანი ოდნავ მოხრილ ბეტონისვე ხუფს თავზე ადებდა და სასახლე ილუქებოდა რაღაც იმგვარი ცხელი მასით, როგორსაც საგზაო დეპარტამენტი ორმოების ამოსავსებად იყენებდა ხოლმე. ძია კარლი ლუისს ეუბნებოდა, რომ ამგვარად დაბეჭდილი სასახლე მრავალ წელს უძლებდა. ძია კარლს, ისევე, როგორც ალბათ ყველას (განსაკუთრებით ახლობელ ადამიანებთან, ლუისი კი სწორედ რომ მისი ახლობელი ადამიანი იყო) ძალიან უყვარდა ლაპარაკი და ამ ლაპარაკისას ერთხელაც ლუისს ექსჰუმაციის ამბავი გაანდო. მისი თქმით, საოლქო პროკურორის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი გვამის ექსჰუმაცია გადაწყდა. ეს პროცესი კი რეალურად ძალიან განსხვავდებოდა იმ ფილმებში აღწერილისაგან, რომლებშიც ბორის კარლოფი დოქტორ ფრანკენშტეინის მონსტრის, დუაიტ ფრაი კი იგორის როლს ასრულებდა. დაბეჭდილ სასახლეს ორი კაცი ნიჩბებითა და წერაქვებით კარგა ექვსი კვირის მუშაობის შემდეგ თუ გახსნიდა. ამ შემთხვევაში სასახლის გახსნის საქმე ადვილად წავიდა... თავიდან. მიწა ამოთხარეს, ამწემაც ხუფის აწევა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაიწყო, თუმცა რატომღაც ხუფი სასახლეს არ მოსცილდა, არადა, ამწეს ძალა საკმარისი უნდა ყოფილიყო. ამის სანაცვლოდ, მიწიდან მთელმა სასახლემ დაიწყო ამოსვლა. ძია კარლმა ამწის მძღოლს დაუყვირა, გაჩერებულიყო, თავად კი ბიუროში რაიმე ინსტრუმენტის მოსაძებნად წავიდა, რითაც ხუფის ახდას მოახერხებდა.

ამწის მძღოლმა კი მისი ან ვერ გაიგო, ან, უბრალოდ, სპეციალურად არ გაჩერდა იმ ბავშვის აღტაცებით, რომელიც კაუჭით იაფფასიანი სათამაშოს შუშებიანი კუბიდან ამოღებას ცდილობს. ძია კარლმა თქვა, რომ იმ სულელმა კინაღამ ბოლომდე ამოიღო სათამაშო. სასახლე მიწიდან უკვე სამმეოთხედამდე ამოსულიყო. ძია კარლს და მის ასისტენტს უკვე ესმოდათ სასახლის კედლებიდან მიწის ძირზე დაღვრილი წყლის ხმა (ჩიკაგოლენდში ის კვირა ძალიან წვიმიანი გამოდგა). შემდეგ კი ამწე უეცრად წინ წავიდა, მისი მძღოლი კი მინას შუბლით დაეჯახა და ცხვირი გაიტეხა. მთელი ეს პროცესი საოლქო პროკურატურას საბოლოო ჯამში სამი ათასი დოლარი დაუჯდა — ორი ათას ასი დოლარით უფრო ძვირი, ვიდრე სტანდარტული პროცედურა. თუმცა ძია კარლი ყველაზე მეტად იმ ფაქტმა გაამხიარულა, რომ ექვსი წლის შემდეგ სწორედ ეს მძღოლი აირჩიეს ჩიკაგოში ადგილობრივი პროფკავშირების პრეზიდენტად.

მეორე შემთხვევაში კი სასახლე ბევრად მარტივად მზადდებოდა. სპეციალურად გამოყვანილ ბეტონის ფორმას მიწაში დაკრძალვის დღეს დებდნენ. პროცესიის დასრულების შემდეგ შიგნით უშვებდნენ სასახლეს, თავზე კი ერთ, ძირითადად კი ორ ფილას ადებდნენ, რომელთაგან თითოეული სამოც, შესაძლოა, სამოცდაათ ფუნტს იწონიდა. მაგრამ ოთხმოცს — ნამდვილად არა. ამ შემთხვევაში არანაირი ბეჭედი არ გამოიყენებოდა და ხუფებიც ისეთი სიმძიმისა იყო, რომ მათი გადაწევა ერთ კაცსაც შეეძლო. — ჯადს სწორედ ამის თქმა სურდა.

ერთ კაცს, რომელსაც სურდა, რომ ხუფები გადაეწია და სასახლიდან ამოეღო საკუთარი ბიჭის სხეული, რომელსაც შემდეგ სხვაგან დამარხავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩშშშ.... ჩშშშ... ამაზე ნურაფერს ამბობ. ეს დიდი საიდუმლოა.

— ჰო, ალბათ, მაგ ორ სასახლეს შორის განსხვავების შესახებ მართლა ვიცი, — თქვა ლუისმა, — მაგრამ ამაზე შეკვეთის გაფორმების დროს საერთოდ არ მიფიქრია.

— ლუის...

— გვიანია, — თქვა ლუისმა, — გვიანია, მთვრალი და გულნატკენი ვარ. თუ ფიქრობ, რომ აუცილებლად ამაღამ უნდა მოჰყვე მაგ შენს ისტორიას, მოდი, დროულად მოვამთავროთ. — *ალბათ, ჯობდა მარტინით დამეწყო,* — გაიფიქრა ლუისმა, — *ამ შემთხვევაში მალევე გავითიშებოდი და კაკუნის ხმასაც ვერ გავიგებდი.*

— კარგი, ლუის. გმადლობ.

— უბრალოდ, განაგრძე.

ჯადმა რამდენიმე წამით პაუზა აიღო, დაფიქრდა და განაგრძო.

39

— მაშინ — ანუ ომის დროს, მატარებელი ჯერ ისევ ჩერდებოდა ორინგტონში. ბილი ბატერმანიც იქ კატაფალკით მივიდა, რათა დახვედროდა მატარებელს, რომელსაც მისი შვილის, ტიმის გვამი უნდა ჩამოეტანა. სასახლე მატარებლიდან რკინიგზის ოთხმა თანამშრომელმა გადმოიტანა. მათ შორის ერთ-ერთი მე ვიყავი. სასახლე გადმოგვცა სამხედრო პირმა. ჰო, ომის დროს ეგეთი ტიპებიც ჰყავდათ, ლუის. ომის პერიოდის მესაფლავეები. თუმცა, ის მატარებლიდან არ გადმოდიოდა. იქვე იჯდა მთვრალი, ვაგონში, სადაც კიდევ არაერთი სასახლე იდგა.

— ტიმი კატაფალკში ჩავაწვინეთ. მაშინ ასეთ ვაგონებს „იჩქარე ვაგონებს“ ეძახდნენ. სასახლეები დროულად უნდა ჩასულიყო დანიშნულების ადგილზე, რათა გვამი არ გაფუჭებულიყო. ბილ ბატერმანი კი იდგა რაღაც... არ ვიცი... გაყინული... მშრალი სახით და ცრემლიც კი არ მოსდიოდა. იმ დღეს მემანქანე ჰიუ გერბერი იყო. სწორედ მისგან გავიგეთ, რომ იმ სამხედრო ტიპს საკმაო მანძილი გაევლო. სასახლე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ები თვითმფრინავით პრესკ აილზე ჩაეტანათ, იქიდან კი მატარებლით სამხრეთისკენ გაეგზავნათ — სასახლეებიც და მისი გამცილებელიც.

— ჰოდა, ეს სამხედრო მიდის ჰიუსთან, უნიფორმის ჯიბიდან ჭვავის ვისკს იღებს და მშრალი, სამხრეთული აქცენტით ეუბნება, — აბა, მისტერ მემანქანევ, იცით, რომ დღეს მისტიკურ მატარებელს მართავთ?

ჰიუმ თავი გააქნია.

— კი, ეგრეა. ალაბამაში ასეთ მატარებლებს სამგლოვიარო მატარებლებს ეძახიან, — ამბობს ჰიუ და ჯიბიდან იღებს ფურცელს, რომელზეც წერია, რომ ერთი სასახლე პასადამკიგში უნდა ჩაიტანოს, ორი ბანგორში, ერთი დერიში, ერთი ლადლოუში და ასე შემდეგ. შემდეგ ჰიუს სასმელს სთავაზობს.

— ჰიუმ უარი უთხრა, რადგან ბანგორში და, საერთოდ, ერუსტეკშიც ხალხს ძალიან არ უყვარს ნასვამი მემანქანეები. მისი უარი სამხედრომაც მშვიდად მიიღო და, როგორც ჰიუსგან გავიგეთ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ასე დაშორდნენ.

— ჰოდა, ასე გზადაგზა დაიცალა დროშაგადაფარებულ სასახლეებიანი ვაგონი. ჰიუს თქმით, მატარებელმა ბოსტონამდე ჩააღწია. თან ყველა სადგურზე ნათესავები ვაივიშით ხვდებოდნენ. ერთადერთი გამონაკლისი ლადლოუ იყო... სადაც, ბილ ბატერმანის შემყურე, პირდაპირ გაოცდა. მისი თქმით, ის ჰგავდა შინაგანად მკვდარ ადამიანს, რომელიც წუთი-წუთზე ელოდა სულის ამოსვლას. როცა საქმეს მორჩა და მატარებლიდან ჩამოვიდა, ჰიუმ სამხედრო ტიპი გააღვიძა და მასთან ერთად კარგად გამოთვრა. შემდეგ, ცხოვრებაში პირველად, წავიდა მეძავთან და ბოქვენის ტილი აიკიდა, რის მერეც თქვა, რომ მისტიკურ მატარებელს აღარასოდეს გაუძღვებოდა.

— ტიმის სხეული გრინსპენის დამკრძალავ ბიუროში, ფერნ სტრიტზე მივიტანეთ. ის ბიურო, ახლა რომ ნიუ-ფრანკლინის სამრეცხაოა, მის მოპირდაპირედ მდებარეობდა. ორ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დღეში გვამი „პლეზენტვიუს“ სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს.

— ჰოდა, აგერ, გეუბნები, ლუის: მისის ბატერმანი ამ დროისთვის ათი წლის მკვდარი იყო. ის ბატერმანების მეორე ბავშვის მშობიარობას გადაჰყვა და ვერც ბავშვი გადარჩა. მეორე შვილს შეეძლო მამის ტკივილი შეემსუბუქებინა. მეთანხმები? შეეძლო ბებერი ბილისთვის შეეხსენებინა, რომ სამყაროში კიდევ არსებობენ ადამიანები, რომელთაც ასევე სტკივათ, რომელთათვისაც სიცოცხლე ღირს. ამიტომ, ვფიქრობ, რაღაც მხრივ, შენ უფრო გაგიმართლა. ანუ, მეორე შვილიც გყავს და ასე შემდეგ. შვილი და ცოლი — ცოცხლები და ჯანმრთელები.

— შვილის სიკვდილის შესახებ მიღებული წერილის მიხედვით, ტიმი 1943 წლის თხუთმეტ ივლისს მოკლეს რომის გზაზე. მისი სხეული სახლში ორი დღის შემდეგ გამოგზავნეს, ლაიმსტოუნში კი ცხრამეტში ჩავიდა. მერე ჰიუ გერბერის მისტიკურ მატარებელზე დაასვენეს და მომდევნო დღეს აქეთკენ გამოუშვეს. ევროპაში დაღუპული ამერიკელების უმეტესობა ევროპაშივე დაკრძალეს, მაგრამ მატარებლით ჩამოსვენებული ყველა ბიჭი ომში გამორჩეული იყო. ტიმი ტყვიამფრქვევის ვაზნების შეცვლის მომენტში დაიღუპა და სიკვდილის შემდეგ ვერცხლის ვარსკვლავით დააჯილდოეს.

— ტიმი დავკრძალეთ... ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, მგონი, ოცდაორ ივლისს. სადღაც ოთხი-ხუთი დღის შემდეგ კი, მარჯორი უოშბორნმა, რომელიც მაშინ ფოსტალიონად მუშაობდა, იორკის ფასიანი თავლისკენ მიმავალი ტიმი დაინახა. მერჯი კინაღამ ქუჩაშივე გაითიშა და მიზეზს ალბათ კარგად ხვდები. ის მაშინვე ფოსტის ოფისში დაბრუნდა, თავისი ტყავის ჩანთა მთელი დაურიგებელი გზავნილებით ჯორჯ ანდერსონის მაგიდაზე დააგდო და განუცხადა, შინ მივდივარ, უნდა დავწვეო.

— ავად ხარ, მერჯი? — ეკითხება ჯორჯი, — თოლიის ფრთასავით თეთრი ხარ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შიში გადავიტანე და ამაზე ნურაფერს მკითხავთ, — ამბობს მერჯი უოშბორნი, — ამის შესახებ არც ბრაიანს ვეტყვი რამეს, არც დედაჩემს და არც არავის. როცა ზეცაში ავალ, თუ მკითხავს, შესაძლოა, მხოლოდ იესოს მოვუყვე, თუმცა ესეც ძალიან მეეჭვება. — ამბობს მერჯი და ოფისიდან გადის.

— ყველამ იცოდა, რომ ტიმი მკვდარი იყო. ნეკროლოგი დაიბეჭდა „ბანგორ დეილი ნიუსშიც“ და „ელსვორტ ამერიკანშიც“ ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე, ფოტოებით და მთელი ამბებით. გასვენებაშიც ნახევარი ქალაქი მოვიდა. მერჯი ამბობდა, რომ ტიმი ქუჩაში დაინახა. საბოლოოდ ამის შესახებ ჯორჯ ანდერსონს მაინც მოუყვა, თუმცა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ — მაშინ, როცა უკვე კვდებოდა. ჯორჯმა გვითხრა, რომ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მერჯის ძალიან სურდა სიკვდილის წინ ეს ამბავი მოეშორებინა და ვინმესთვის გაენდო.

— საშინლად ფერმკრთალი იყო, ეცვა ძველი ტილოს შარვალი და გაცრეცილი ფლანელის სანადირო პერანგი, მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს, ალბათ, ჩრდილში ოთხმოცდაათი გრადუსი სიცხე იქნებოდა. — მერჯის თქმით, ტიმის თმა უკან ჰქონდა გადაგლესილი, თვალები კი ცომში ჩაგდებულ ქიშმიშებს მიუგავდა. — იმ დღეს მოჩვენება ვნახე, ჯორჯ. ყველაზე მეტად ამის მეშინია. არასოდეს მეგონა, თუ ასეთი რამ შემემთხვეოდა, მაგრამ შემემთხვა.

— ხმა დაირხა და ძალიან მალე გაირკვა, რომ ქალაქში ტიმი სხვებსაც უნახავთ. მაგალითად, მისის სტრატონს. მისისს ჩვენ ვეძახდით, თორემ ისე ქმარი არასოდეს ჰყოლია. არც ის ვიცოდით, გამომხმარი ქვრივი იყო თუ ქმარს გაშორებული. ასე იყო თუ ისე, პატარა ოროთახიანი სახლი ჰქონდა იქ, სადაც პედერსენ როუდი ჰენკოკ როუდს ხვდება და ჰქონდა ჯაზფირფიტების დიდი კოლექციაც. ხანდახან, თუ ზედმეტი ათდოლარიანი მოგეპოვებოდა, მასთან სტუმრობა და გემრიელად მუსიკის მოსმენაც შეიძლებოდა. გაირკვა, რომ მას ტიმი თავისი გაზონიდან დაუნახავს. ტიმი გზის ქუჩის კიდეს მიახლოებია და გაჩერებულა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— უბრალოდ, იდგა, ხელებჩამოშვებული და თავდახრილი, და ჰგავდა მაგრად ნაბეგვ მოკრივეს, რომელიც ეს-ესაა წაიქცევა. ქალი თავის გაზონზე ერთ ადგილას გაშეშდა, გული გამალებით უცემდა და განძრევისაც კი ეშინოდა. შემდეგ ოდნავ შებრუნდა და შენიშნა, რომ ტიმი დამსგავსებოდა მაგრად გალეშილ კაცს, რომელიც საღი სახის შენარჩუნებას ცდილობს. მისი ცალი ფეხი დაიძრა, შემდეგ მეორე ტერფიც მოსწყდა მიწას და თითქოს, ეს-ესაა, დაეცემაო, პირდაპირ მისის სტრატონს შეხედა. ქალმა თქვა, რომ ამ დროს სხეულში ძალა დაკარგა და სარეცხი ძირს დაუცვივდა.

— თქვა, რომ მისი თვალები... რომ მისი თვალები საშინლად ჩაცვენილი და უსიცოცხლო იყო, ლუის. თუმცა, აშკარად დაინახა... და ის იღიმოდა... და, როგორც გვითხრა, დაელაპარაკა კიდეც. უკითხავს, ისევ გაქვს თუ არა ფირფიტებიო. თუ გაქვს, ამაღამ მოვალ და მომასმენინეო. ამის შემდეგ მისის სტრატონი შინ შევარდა და ერთი კვირა გარეთ აღარ გამოსულა. თუმცა ამ დროისთვის ისედაც უკვე ყველაფერი ჩავლილი იყო.

— ტიმი ბატერმანი ბევრმა ნახა. მათი უმეტესობა — მათ შორის, მისის სტრატონი — ახლა მკვდრები არიან, მაგრამ დავრჩით რამდენიმე ცოცხალი მოხუციც, რომლებიც, თუ თავაზიანად სთხოვ, იმ ამბებს მოგიყვებიან.

— გეუბნები, ლუის, ჩვენ ის ვნახეთ. პედერსენ როუდზე გადი-გამოდიოდა, იქვე, მამამისის სახლიდან ერთი მილით აღმოსავლეთით და ერთი მილით დასავლეთით. წინ და უკან დადიოდა. მთელი დღე და, რამდენადაც სხვებისგან ვიცი, ღამითაც. გახსნილი პერანგით, ფერმკრთალი სახით, აჩეჩილი თმითა და მზერით, რომელიც... ეს მზერა...

ჯადმა სიგარეტის მოსაკიდებლად პაუზა აიღო, ასანთის ღერი ამოიღო და ლუისს ლურჯი ალის მიღმა გახედა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სრულიად გიჟური ისტორია იყო, ჯადის თვალებს სიცრუე არ ეტყობოდა.

— ხომ იცი, ეს წიგნები და ფილმები რომ არის... არ ვიცი, მართალია თუ არა... მაგალითად, ზომბები ჰაიტიში. ფილ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მებში ისინი, უბრალოდ, თავიანთი მკვდარი თვალებითა და გადახრილი თავით, ნელი მოძრაობებით, ტლანქად დადიან. აი, ზუსტად ეგეთი იყო ტიმი ბატერმანი, ლუის. ფილმების ზომბის ჰგავდა, მაგრამ ზომბი არ იყო. მასში იყო რაღაც უფრო მეტი. რაღაც მისი თვალების მიღმა არსებული. ის, რასაც შენც აუცილებლად შენიშნავდი, რომ გენახა, ლუის. არ ვიცი, სწორი იქნება თუ არა, ამას რომ ფიქრი დავარქვა. ჯანდაბა, ეშმაკმა დამწყევლოს, თუ ვიცოდე, რა დავარქვა.

— ის რაღაცას ეშმაკობდა, კი ბატონო. როგორც მისის სტრატონმა თქვა, მას მუსიკის მოსმენა უნდოდა. მაგრამ იყო კიდევ რაღაც, რა... არ ვიცი, ლუის, ეს რადიოსიგნალს ჰგავდა, რომელიც... რომელიც გაფრთხილებდა... და როგორც კი შეხედავდი, ფიქრობდი: „თუ შემეხო, ვიყვირებ“.

— წინ და უკან დადიოდა, ქუჩას აუყვებოდა და ჩამოუყვებოდა. ერთ დღეს კი, სამსახურიდან ვბრუნდები და — მოდი, გეტყვი... მგონი, ოცდაათი ივლისი იყო, — ჰოდა, ჩემი სახლის წინ ვხედავ ჯორჯ ანდერსონს — ფოსტის ხელმძღვანელს, რომელიც ჩემს გაზონზე ზის და ცივ ჩაის სვამს, მის გვერდით კი ჰანიბალ ბენსონს — ქალაქის ჩინოსანს და ალან პარინტონს — სახანძრო სამსახურის უფროსს. მათთან ერთად იჯდა ნორმაც, მაგრამ მას საუბარში მონაწილეობა არ მიუღია.

— ჯორჯი მარჯვენა ფეხის წვივს ისრესდა. მას ფეხი რკინიგზაზე მუშაობისას დაეკარგა და მას მერე ხის პროთეზი ეკეთა. ცხელ დღეებში ფეხი განსაკუთრებით აწუხებდა, მაგრამ ახლა დანარჩენებთან ერთად მაინც მოსულიყო.

— ეს უკვე მეტისმეტია, — მითხრა ჯორჯმა, — მე მყავს ფოსტალიონი ქალი, რომელიც პედერსენ როუდზე ფეხს არ ადგამს — ეს ერთი. მეორე, ხელისუფლებამდე უკვე ხმები მივიდა და ეს უკვე დიდი პრობლემაა.

— რას ნიშნავს „ხმები მივიდა“? — ვიკითხე მე.

— ჰანიბალმა ამიხსნა, რომ მისთვის სამხედრო დეპარტამენტიდან დაერეკა ვინმე ლეიტენანტ კინსმენს, ვისი მოვალეობაც წესრიგის შენარჩუნება და გადამეტებული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოხუნჯობების თავიდან აცილება იყო. — თურმე უკვე ოთხ-მა-ხუთმა ადამიანმა მოიწერა დეპარტამენტში, — ამბობს ჰანიბალი, — და ეს ლეიტენანტი კინსმენი უკვე, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულია. ერთი შემთხვევა რომ ყოფილიყო, გავიცინებდიო, ერთ ტიპს რომ ყველა წერილი დაეწერა, ვიფიქრებდი, ადგილობრივ პოლიციაში დავრეკავდი და შევატყობინებდი, რომ დერის ბარაკებში ვიღაც ფსიქოპათი ჰყავთ, რომელიც ლადლოუში ბატერმანების ოჯახს ემტერებაო, მაგრამ ყველა წერილი აშკარად სხვადასხვა ადამიანს აქვს მოწერილიო. ამას ადასტურებდა ხელწერითა და გამომგზავნის ვინაობითაც, თუმცა ერთი-ორზე ვინაობა საერთოდ არ იყო მითითებული. ყველა წერილი კი ერთი და იმავე შინაარსისა იყო: რომ თუ ტიმოთი ბატერმანი მკვდარია, მაშინ ვინ დადის პედერსენ როუდზე გაყინული სახით?

— კინსმენი ამბობს, რომ თუ სიტუაცია არ დაწყნარდება, საქმის მოსაგვარებლად ვინმე თავისიანს გამოუშვებს, — ასრულებს თხრობას ჰანიბალი, — სურთ გაიგონ, მოკვდა ტიმი თუ დეზერტირია. საერთოდ, რა ხდება ამ საქმის ირგვლივ და თუ ტიმი ჯერ ისევ ცოცხალია, მაშინ ვინ წევს მის სასახლეში.

— ხომ ხვდები, ყველაფერი როგორ ჩაიხლართა, ლუის. გაზონზე დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ვისხედით, ცივ ჩაის ვსვამდით და ვლაპარაკობდით. ნორმამ გვკითხა, სენდვიჩები ხომ არ გინდათო, მაგრამ ყველამ იუარა.

— ვლაპარაკობდით და განვიხილავდით, რა გვექნა. ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბატერმანთან უნდა მივსულიყავით. ის ღამე არასოდეს დამავიწყდება, ლუის. ერთი ამდენი რომ ვიცოცხლო, მაინც გუშინდელივით მემახსოვრება. წასვლა არც ერთს არ გვინდოდა, მაგრამ უნდა წავსულიყავით. ნორმამ როგორღაც მოახერხა შინ ჩემი დამარტოხელება და რაღაც მითხრა, — ამ საქმის გადადება არ დაუშვა, ჯადსონ. ამას დროულად უნდა მიეხედოს. ის საზიზღრობაა.

ჯადმა ლუისს შემფასებლური მზერით გახედა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— სწორედ ასე უწოდა, ლუის. ეს მისი სიტყვა იყო. საზიზღრობა. და ეს ხმა დღემდე ყურებში ჩურჩულად ჩამესმის. — თუ რამე მოხდა, უბრალოდ, გაიქეცი, ჯად. დაივიწყე დანარჩენები. ისინი საკუთარ თავებს თავად მიხედავენ. მე გამიხსენე და როგორც კი რამე მოხდება, სასწრაფოდ იქიდან მოუსვი.

ჩვენ ჰანიბალ ბენსონის მანქანით წავედით. იმ ნაბიჭვარს საწვავის ტალონები გამოულევლად ჰქონდა. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ ახერხებდა. გზაში თითქმის არ ვლაპარაკობდით, სამაგიეროდ, გაბმულად ვეწეოდით. გვეშინოდა, ლუის. ასე არც ერთს არასოდეს შეგვშინებია, მაგრამ ერთადერთი, ვინც ხმა ამოიღო, ალან პარინტონი იყო. ჯორჯს ეუბნება: ჯორჯ, ბილ ბატერმანი იმ წყეულ ტყეში იყო, მეთხუთმეტე გზიდან ჩრდილოეთით. თავს დავდებ, თუ ასე არ იყოს. — ამაზე პასუხი არავის გაუცია, მხოლოდ ჯორჯმა დაუქნია თავი.

— ჰოდა, მივედით. ალანმა კარზე დააკაკუნა, მაგრამ არავინ გვიპასუხა. კარი შევაღეთ. ორივე იქ დაგვხვდა. ბილ ბატერმანი წელში მოხრილი იჯდა და ხელში ქილა ლუდი ეჭირა. ტიმი კი ეზოს ბოლოში იდგა და წითელ, სისხლიან დაისს შეჰყურებდა. მზის შუქზე მთელი სახე განარინჯისფრებოდა. ისეთი შესახედაობის იყო, თითქოს ცოცხლად შეებრაწათ. ბილი კი... ბილის, თითქოს ეშმაკი ჩასახლებოდა და შიგნიდან ჭამდა. ტანსაცმელი უშნოდ ეკიდა სხეულზე. ჩემი აზრით, სადღაც ორმოც ფუნტამდე ექნებოდა დაკლებული. თვალები ბუდეებში ღრმად ჩასცვენოდა თხუნელასავით. პირი კი... მარცხენა მხარეს ტუჩები უცნაურად უთამაშებდა.

ჯადი გაჩუმდა. როგორც ჩანს, რაღაცაზე დაფიქრდა. შემდეგ თავი დარწმუნებით დააქნია. — ლუის, ის განადგურებული იყო.

— ტიმიმ მიმოიხედა და გაიცინა. მისი ერთი შეხედვაც კი ხმამაღალ ყვირილს მანდომებდა. შემდეგ ისევ მზისკენ მიბრუნდა. ბილი კი ამბობს, — თქვენი კაკუნი ვერ გავიგე, ბიჭე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბო. — რაც მტკნარი სიცრუე იყო, რადგან ალანი ისე ძლიერ აბრახუნებდა, რომ... რომ ყრუსაც კი გააღვიძებდა.

— როგორც ჩანს, არავინ არაფრის თქმას აპირებს და ამიტომ, მოდი, მე ვიტყვი, — ვამბობ მე და განვაგრძობ, — ბილ, გავიგე, რომ შენი ბიჭი იტალიაში მოკლეს.

— ეს შეცდომა იყო. — მეუბნება ბილი და პირდაპირ თვალებში მიყურებს.

— ნუთუ?

— აგერ, ვერ ხედავ, აქ რომ დგას? — მეკითხება ბილი.

— მაშ, „პლეზენტვიუს“ სასაფლაოზე ვინ წევს? — ეკითხება ალან პარინტონი.

— წყეულიმც ვიყო, თუ ვიცოდე, — ამბობს ბილი, — და წყეულიმც ვიყო, თუ მაინტერესებდეს.

შემდეგ სიგარეტის ამოღებას ცდილობს და მთელი შეკვრა ძირს უცვივდება. ცდილობს წამოკრიფოს. ორი ღერი შუაზე უტყდება.

— ალბათ ექსჰუმაციას მოითხოვენ, — ამბობს ჰანიბალი, — ამას ხომ შენც ხვდები? იმ წყეული სამხედრო დეპარტამენტიდან უკვე დამირეკეს, ბილ. უნდათ გაარკვიონ, მართლა სხვა წევს თუ არა ტიმის სასახლეში.

— და მერე მე რა? — ხმამაღლა წამოიძახებს ბილი, — ეგ სულ ფეხებზე მკიდია. ჩემი ბიჭი გვერდით მყავს. ტიმი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა შინ. რაღაც კანტუზიის მაგვარი სჭირს და ახლა ცოტა უცნაურადაა, მაგრამ მალე გამოკეთდება.

— კარგი, საკმარისია, ბილ, — ვამბობ და გული მომდის, — თუ... როცა ისინი საფლავს ამოთხრიან, ნახავენ, რომ სასახლე ცარიელია. თუ, რა თქმა უნდა, გვამის ამოღების შემდეგ ის ქვებით არ ამოავსე. არა მგონია, ეს გექნა. ვიცი, რაც მოხდა. ეს ჰანიბალმა, ჯორჯმა და ალანმაც იციან. შენც იცი, რა მოხდა. ტყეში იმდენი იხეტიალე, ბილ, რომ შენს თავსაც და მთელ ქალაქსაც დიდი პრობლემები შეუქმენი.

— მგონი, გასასვლელს თქვენითაც მიაგნებთ, ბიჭებო, — ამბობს ბილი, — ვალდებული არ ვარ, რამე აგიხსნათ ან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქვენ, ან სხვა ვინმეს. როცა დეპეშა მივიღე, ვიგრძენი, როგორ გამომეცალა სიცოცხლე. სრულიად ცხადად ვიგრძენი, როგორ დამტოვა ფეხზე დაღვრილი შარდივით. ახლა კი ჩემი ბიჭი დამიბრუნდა. მათ არ ჰქონდათ მისი წართმევის უფლება. ის მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო. მის მეტი, მისი ძვირფასი დედის შემდეგ, აღარავინ მყავდა. მისი მკვლელობა უსამართლობა იყო, ამის დედაც! მე კი ის დავიბრუნე და აქ არის. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს. ახლა კი აქედან მოუსვით და დაბრუნდით იქ, საიდანაც მოსულხართ.

— ტუჩები ისევ უთამაშებდა, შუბლზე ოფლი სქელ-სქელ წვეთებად სდიოდა და მე დავინახე, როგორ გაცოფდა ბილი. მის ადგილზე მეც გავცოფდებოდი, იმ... იმ რაღაცასთან ერთად რომ მეცხოვრა.

ლუისს მუცელში უსიამოვნო შეგრძნებამ დაუარა. ზედმეტად ბევრი ლუდი ზედმეტად მცირე დროში დაელია. მუცელში გაჩენილი სიმძიმის, გადატვირთულობის შეგრძნება აგრძნობინებდა, რომ მალე ლუდი თავს შეახსენებდა.

— რაღას ვიზამდით. წასასვლელად მოვემზადეთ. ამ დროს კი ჰანიბალი ამბობს: „ღმერთმა გიშველოს, ბილ“.

— ღმერთს ჩემთვის არასოდეს უშველია, — ამბობს ბილი, — მე ყოველთვის ჩემს თავს ვშველოდი.

— და სწორედ ამ მომენტში მოგვიახლოვდა ტიმი. სიარულითაც კი არასწორად დადიოდა, ლუის. ძალიან, ძალიან მოხუცი კაცივით დაბანცალებდა. ფეხს მაღლა სწევდა, აბიჯებდა და მერე წვალებ-წვალებით მეორითაც იმავეს იმეორებდა. იცი, კიბორჩხალის მოძრაობას ჰგავდა. ხელები კი ფეხებთან ჩამოჰკიდებოდა და როცა მოგვიახლოვდა, დავინახეთ მის სახეზე გადაკრული წითელი ნატყვიარები. პატარ-პატარა ვაზნების კვალი. ალბათ, ტყვიამფრქვევმა რომ გადაუარა, თავი კინაღამ წააწყვიტა.

— და საფლავის სუნი ასდიოდა. საზიზღარი, შმორისა და სიდამპლის სუნი. დავინახე, როგორ აიფარა ალან პარინტონმა ხელი ცხვირსა და პირზე. აუტანელ სიმყრალეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვგრძნობდით. ის კი არა, იფიქრებდი, სადაცაა, თმაში მატ-ლები გამოუჩნდებაო...

— საკმარისია, — მტკიცედ წამოიძახა ლუისმა, — მეყო, რაც მოვისმინე.

— ჯერ არა, — უთხრა ჯადმა და მტკიცედ განაგრძო, — ნამდვილად. ჯერ არ მოგისმენია. ვერც კი გადმოვცემ, რა საშინელება იყო ეს ყველაფერი. ტიმი საკუთარი თვალით უნდა გენახა, რომ ამას მიმხვდარიყავი. ის მკვდარი იყო, ლუის. მკვდარი და თან როგორღაც ცოცხალი. და მან... მან... რაღაცები იცოდა.

— რა რაღაცები? — ლუისი სკამზე გასწორდა.

— აიუჰ. ის ჯერ ალანს აკვირდებოდა და როგორღაც იღიმოდა — ყოველ შემთხვევაში, კბილებს აჩენდა — შემ-დეგ კი ჩუმი ხმით წამოიწყო. ძლივს გასაგონად ლაპარაკობ-და. — შენი ცოლი იმ კაცთან ჟიმაობს, რომელთან ერთადაც აფთიაქში მუშაობს, პარინტონ. აბა, ამაზე რას ფიქრობ? როცა ათავებს, ყვირის ხოლმე. აბა, რას ფიქრობ?

— ალანი შეცბა. აშკარა იყო, რომ ტიმის სიტყვებმა მას-ზე იმოქმედა. ახლა ის გარდნერის მოხუცთა თავშესაფარ-შია. ყოველ შემთხვევაში, ბოლოს რომ მოვიკითხე, იქ იყო. ალბათ ოთხმოცდაათს იქნება მიახლოებული. როცა ეს ყვე-ლაფერი მოხდა, ორმოცს წლამდე იყო. მის მეორე ცოლზე ქა-ლაქშიც დადიოდა ხმები. ეს ქალი მისი შორეული ნათესავი, რომელიღაც ბიძის შვილი იყო და ომის პერიოდში ალანთან და მის პირველ ცოლ ლუსისთან ერთად ცხოვრობდა. შემ-დეგ ლუსი მოკვდა და წელიწად-ნახევარში ალანმა ცოლად ეს გოგო მოიყვანა. მას ლორინი ერქვა და ქორწილის დროს ოცდაოთხი წლის იყო. მასზე რაღაც ხმები დადიოდა. ხომ ხვდები, როგორიც. კაცები მას, ასე ვთქვათ, თავისუფალ და ლაღ გოგოს უწოდებდნენ, ქალები კი პირდაპირ ქუჩის ქალს. როგორც ჩანს, ასეთი ეჭვები ალანსაც აწუხებდა, რადგან ტიმის სიტყვებს მაშინვე ბრაზიანად შეეპასუხა, — მოკეტე! მოკეტე, თორემ, ვინც უნდა იყო, ჩემს თავზე პა-სუხს არ ვაგებ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჩშშ, ტიმი, — უთხრა ბილმა და ახლა კიდევ უფრო საძაგელი შესახედაობა მიიღო. თითქოს, სადაცაა ან გული აერევა, ან უსულოდ ძირს დაეცემაო. ან ორივე ერთდროულად. — არ გინდა, ჩშშ, ტიმი.

— მაგრამ ტიმი მის სიტყვებს არ იმჩნევდა. ახლა ჯორჯ ანდერსონს უყურებს და ამბობს, — შენი დიდად ნაქები შვილიშვილი მხოლოდ შენს სიკვდილს ელოდება, მოხუცო. მხოლოდ ის ფული აინტერესებს, რომელიც „ბანგორ ისთერნ ბენქში“ გაქვს შენახული. ზურგს უკან ის და მისი და გულიანად დაგცინიან და ბებრუხანას გეძახიან. კი, ნამდვილად ასეა, — ამბობს ტიმი და მისი ხმა იცვლება, ლუის. ხდება უფრო ბოროტი და ისეთი, როგორიც ალბათ ჯორჯის შვილიშვილს ექნებოდა. ხომ ხვდები, ტიმის ნათქვამი თუ სიმართლე იყო...

— ბებრუხანა ცალფეხა, — ამბობს ტიმი, — არადა, ორივენი მაგრად ჩაისვრიან, როცა გაიგებენ, რომ მთელი ფული 1938-ში წააგე. ნაღდად ჩაისვრიან, არა, ჯორჯ? ჰა?

ჯორჯმა მაშინვე უკან დაიხია, ხის ფეხი ველარ გააკონტროლა, ბილის გაზონზე ზურგით დაეცა და ლუდი დაღვარა. სახეზე კი აი, შენი მაისურივით თეთრი იყო, ლუის. — ბილი როგორღაც ჯორჯს ფეხზე აყენებს და შვილს უყვირის, — ტიმი, შეწყვიტე! შეწყვიტე! — მაგრამ ტიმი არ უსმენს. რაღაც ცუდი ჰანიბალზეც თქვა. მერე ჩემზეც. ის... ვიტყოდი, ბოდავდა. კი, ნამდვილად ბოდავდა და ხმამაღლა ყვიროდა. მერე ჩვენ გავიქეცით და ჯორჯი წავიყვანეთ, რადგან წაქცევის შემდეგ პროთეზს ველარ ასწორებდა და ფეხსაცმელს, უბრალოდ, ბალახზე მოათრევდა.

— უკანასკნელად, როცა ტიმი ბატერმანი დავინახე, ის სარეცხის თოკების უკან, გაზონზე იდგა და მზის ჩასვლის ფონზე სახე სრულიად გასწითლებოდა, თმა კი როგორღაც გიჟურად ასჩეჩოდა. იცინოდა. იცინოდა და გამყინავად ყვიროდა: — ბებრუხანა ცალფეხა! ბებრუხანა ცალფეხა! და რქებდადგმული! და გარყვნილი! კარგად ბრძანდებოდეთ, ჯენტლმენებო! კარგად! კარგად! — მისი სიცილი ყვირილში გადადიოდა. რაღაც ყვიროდა... მისი შიგანიდან... ყვიროდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადი გაჩუმდა. მკერდი ჩქარი მოძრაობით აუდ-ჩაუდიოდა.

— ჯად, — უთხრა ლუისმა, — ის, რაც ტიმი ბატერმანმა გითხრათ... სიმართლე იყო?

— სიმართლე, — ჩაიბუტბუტა ჯადმა, — ღმერთო! სიმართლე იყო, კი. ახალგაზრდობაში ბანგორში ხანდახან სა-როსკიპოში დავდიოდი. მე ხომ პირველი არ ვყოფილვარ? ხანდახან მინდოდა, რაღაც ახალი გამესინჯა, უბრალოდ, მეძავისთვის ფული გადამეხადა იმის სანაცვლოდ, რასაც საკუთარ ცოლს ვერასოდეს შევკადრებდი. ყველა კაცს აქვს რაღაც საიდუმლო, ლუის. საშინელება იყო, მაგრამ როცა ტიმიმ ეს გაიხსენა, იმ დროისთვის უკვე რვა-ცხრა წელი იყო, ეგეთ ადგილზე ნამყოფი აღარ ვიყავი. არც ნორმა დამ-შორდებოდა, ამის შესახებ რომ გაეგო, მაგრამ მასში რაღაც სამუდამოდ მოკვდებოდა. რაღაც ძვირფასი და საყვარელი.

ჯადს ჩაწითლებული თვალები აუწყლიანდა. *მოხუცის ცრემლები ყველაზე საზიზღარია,* — გაიფიქრა ლუისმა, თუმცა როცა ჯადმა მაგიდაზე მისკენ ხელი გამოსწია, ლუ-ისმა მაგრად ჩასჭიდა.

— მხოლოდ ცუდს გვეუბნებოდა, — თქვა ჯადმა ცოტა ხნის შემდეგ, — მხოლოდ ცუდს. ღმერთია მოწმე, ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს ცუდი მომენტები. ასე არ არის? იმ ამბიდან ორი დღის შემდეგ ლორინ პარინტონ-მა ლადლოუ დატოვა და, იმ ხალხის თქმით, რომლებმაც ის უკანასკნელად იხილეს, ქალს თვალებქვეშ ჩალურჯებე-ბი ეტყობოდა, ნესტოები კი ბამბით ჰქონდა გამოტენილი. ალანს მის შესახებ აღარასოდეს ულაპარაკია. ჯორჯი 1950 წელს მოკვდა და, რამდენადაც ვიცი, შვილიშვილებისთვის არაფერი დაუტოვებია. ჰანიბალი სამსახურიდან გააგდეს იმ მიზეზით, რაზეც ტიმი ბატერმანმა დასდო ბრალი, თუმცა ამ საქმის დეტალები შენ ახლა არ გაინტერესებს. ერთს იმას გეტყვი, რომ მისი ბრალდება ქალაქის კუთვნილი ფინანსე-ბის ფლანგვას უკავშირდებოდა და მისთვის სისხლის სამარ-თლის საქმის აღძვრაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ საბოლო-ოდ თავი დაანებეს. ფოსტაში სამუშაოს დაკარგვა მისთვის ისედაც საკმარისი სასჯელი იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მაგრამ ამ ადამიანებში კარგიც ბევრი იყო. მე სწორედ ამის თქმა მინდა. თუმცა, ადამიანებს მხოლოდ ცუდი ახსოვთ. იმას კი აღარავინ იხსენებდა, რომ ჰანიბალმა ზუსტად ომის წინ „ისტერნ ჯენერალ ჰოსპიტალის“ დასაფინანსებელი ფონდი შექმნა. ალან პარინტონი კი ყველაზე ხელგაშლილი ადამიანი იყო, ვისაც კი ვიცნობდი. ბებერ ჯორჯ ანდერსონსაც სხვა არაფრის სურვილი ჰქონდა, გარდა თავისი ფოსტის მუშაობისა.

— მაგრამ მას მხოლოდ ცუდზე უყვარდა საუბარი, რადგან თავად იყო ცუდი... და, ვფიქრობ, ის ჩვენში საფრთხეს ხედავდა. როცა ტიმი ბატერმანი ომში წავიდა, ის ჩვეულებრივი, საყვარელი ბიჭი იყო. შესაძლოა ცოტა სულელი, მაგრამ გულკეთილი. იმ ღამით ნანახი არსება კი... მზის წითელი სხივების ფონზე... ეს იყო მონსტრი. რაღაც ზომბის ან დემონის მსგავსი ქმნილება. არ ვიცი, ალბათ ამას რაღაც თავისებური სახელი აქვს, მაგრამ მე არ ვიცი. შესაძლოა, ეს სახელი მიკმაკებს სცოდნოდათ. ან არც სცოდნოდათ.

— რა? — დაბნეულად ჰკითხა ლუისმა.

— ეს იყო ის, რასაც ვენდიგო შეეხო, — მძიმედ წარმოთქვა ჯადმა. შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა, ცოტა ხანს სუნთქვა შეიკავა, ამოისუნთქა და საათს დახედა.

— ოჰ, ძალიან გვიანია, ლუის. იმაზე ბევრად მეტი ვილაპარაკე, ვიდრე ვაპირებდი.

— მეეჭვება, — თქვა ლუისმა, — საკმაოდ ლაკონიური იყავი. მითხარი, როგორ დასრულდა ყველაფერი.

— ორი ღამის შემდეგ ბატერმანების სახლს ცეცხლი წაეკიდა, — თქვა ჯადმა, — მთლიანად დაიწვა და, როგორც ალან პარინტონი ამბობდა, ცეცხლი განზრახ იქნა წაკიდებული და ვიღაცას მთელი სახლი ნავთით მოესვარა. მისი სუნი ხანძრის შემდეგ კიდევ სამ დღეს იგრძნობოდა.

— ანუ ორივენი შიგნით გამოიწვნენ.

— ოჰ, აიუჰ. გამოიწვნენ, მაგრამ ხანძრამდე დაიხოცნენ. ტიმის ორჯერ ჰქონდა მკერდში ტყვია მოხვედრილი ძველი კოლტიდან, რომელიც ბილ ბატერმანს ეჭირა ხელში. რო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორც ჩანს, მან ჯერ თავისი ბიჭი მოკლა, ლოგინზე დააწვინა, სახლში ნავთი დაღვარა, შემდეგ რადიოსთან სავარძელში ჩაჯდა, ასანთს მოუკიდა და შუბლში კოლტის 45-იანი ტყვია დაიხალა.

— ღმერთო. — ჩაილაპარაკა ლუისმა.

— ორივენი ბოლომდე გამოიწვნენ, თუმცა, როგორც სამედიცინო ექსპერტმა თქვა, ტიმი ბატერმანი ორი-სამი კვირის მკვდარი უნდა ყოფილიყო.

სიჩუმე.

ჯადი წამოდგა. — არ გადამიჭარბებია, როცა ვთქვი, რომ შესაძლოა, შენი ბიჭი მე მოვკალი-მეთქი, ლუის. ან როგორღაც ამაში ხელი მირევია. მიკმაკებმა იმ ადგილის შესახებ იცოდნენ, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ის ადგილი მათ შექმნეს. ისინი აქ კანადიდან, შესაძლოა, რუსეთიდან ან აზიიდან მოვიდნენ და ათასი ან ორი ათასი წელი იცხოვრეს. ამას ზუსტად ვერავინ იტყვის, რადგან მათი კვალი არსად ჩანს. ახლა ისინი გაქრნენ. ისევე, როგორც ჩვენ გავქრებით ოდესმე. თუმცა, ჩვენ ალბათ რაღაც კვალს მაინც დავტოვებთ. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იცხოვრებს აქ, ის ადგილი მაინც დარჩება, ლუის. ის არავის ეკუთვნის და ვერც მის საიდუმლოს წაიღებს ვინმე თან. ეს წყეული, ეშმაკისეული ადგილია და მე თავიდანვე არ უნდა წამეყვანე იქ კატის დასამარხად. ამას ახლა ვხვდები. მას უდიდესი ძალა აქვს და ძნელია მასთან შებრძოლება. უბრალოდ, ნორმას გადარჩენის შემდეგ მსურდა, მეც რაღაც კარგი გამეკეთებინა შენთვის. იმ ადგილმა კი ჩემი კეთილი სურვილი ავი მიზნებისთვის გამოიყენა. მას დიდი ძალა აქვს... და, ვფიქრობ, ეს ძალა რაღაც ფაზებად ვრცელდება... ისე, როგორც მთვარის შემთხვევაში. ადრე ის სავსე იყო ძალით, შემდეგ შესუსტდა და ვშიშობ, რომ ახლა ისევ ივსება. ვფიქრობ, მან შენს შვილამდე მოსაღწევად მე გამომიყენა. ხვდები, სადამდე მივდივარ, ლუის?

— ალბათ ამის თქმა გინდა: იმ ადგილმა იცოდა, რომ გეიჯი მალე მოკვდებოდა, — თქვა ლუისმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— არა, იმის თქმა მინდა, რომ იმ ადგილმა როგორღაც გეიჯის სიკვდილი გამოიწვია, რადგან მის ძალას გაზიარე. იმას ვგულისხმობ, რომ, შესაძლოა, შენი შვილი ჩემი დადებითი განზრახვით მოვკალი.

— შენი არ მჯერა, — უთხრა ლუისმა ხელის კანკალით. არასოდეს მჯეროდა. არასოდეს დავიჯერებ. არ შემიძლია.

შემდეგ ჯადს ხელზე მაგრად მოუჭირა. — ჩვენ ხვალ გეიჯს ვკრძალავთ. ბანგორში. და ის ბანგორში დარჩება. მის შინაური ცხოველების სასაფლაოს მიღმა დაკრძალვას არ ვაპირებ.

— დამპირდი! — მკაცრად უთხრა ჯადმა, — დამპირდი.

— გპირდები. — თქვა ლუისმა.

თუმცა სადღაც გონების სიღრმეში მაინც რჩებოდა ის მცირედი იმედის ნაპერწკალი, რომელიც არაფრისდიდებით არ ქრებოდა.

40

თუმცა, მსგავსი არაფერი მომხდარა.

არაფერი, მათ შორის: „ორინკოს“ სატვირთომდე ვერმისწრება, გეიჯის ქურთუკის ხელიდან გასხლტომა, პანაშვიდზე სახლის ხალათით წასასვლელად გამზადებული რეიჩელი, ეილი — გეიჯის ფოტოთი და ლოგინთან მიყუდებული მისი სკამით, სტივ მასტერტონის ცრემლები, ჩხუბი ირვინ გოლდმენთან, ჯად კრენდოლის საზარელი ისტორია ტიმი ბატერმანის შესახებ — ეს ყველაფერი მხოლოდ ლუის კრიდის გონებაში არსებობდა იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, რაც ის ქუჩისკენ სიცილით გაქცეულ თავის შვილს მისდევდა. რეიჩელმა ისევ დაიყვირა — გეიჯ, უკან დაბრუნდი! არ გაიქცე! — ლუისი საამისოდ სუნთქვას არ კარგავდა. უკვე ძალიან ახლოს იყო. შემდეგ კი ერთ-ერთი იმ ამბავთაგანი მაინც მოხდა: ქუჩაზე გამოჩნდა დიდი სატვირთო, რომელიც უდიდესი სიჩქარით მოიწევდა წინ. სწორედ ამ მომენტში გაახსენდა ლუისს ჯად კრენდოლის მიერ მისთვის ლადლოუში ჩამოსვლის პირველ დღეს ნათქვამი სიტყვები: ოლონდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქუჩას ყურადღება მიაქციეთ, მისუს კრიდ. ამ გზაზე ბევრი საფვირთო დადის.

ახლა გეიჯი ოდნავ დაქანებულ მინდორზე გარბოდა და მეთხუთმეტე გზას უახლოვდებოდა. მისი მკვირცხლი ფეხები გაუჩერებლად გარბოდნენ, არადა, ყოველგვარი კანონზომიერების თანახმად, აქამდე უკვე უნდა წაქცეულიყო.

მანქანის ხმა ახლოვდებოდა. ეს ხმა ლუისს ხშირად ესმოდა სიზმრად, რაღაც შორეული ბგერების სახით. შემდეგ ის დამამშვიდებელ ხმად იქცეოდა ხოლმე, თუმცა ახლა სრულიად აძრწუნებდა.

ო, ღმერთო ჩემო, მომეცი ძალა, რომ დავიჭირო და ქუჩაზე არ გავუშვა!

ლუისმა უკანასკნელად მოუმატა სიჩქარეს, ჰაერში ამერიკული ფეხბურთის მოთამაშის მსგავსად გაფრინდა და როცა მისი ჩრდილი მინდორს გადაეფარა, ლუისმა გაიფიქრა, რომ მისის ვინტონის მინდვრიდან ცაში აფრენილ სვავის ფრანს დაემსგავსა. ნელი მოძრაობით დაინახა კადრი, რომელშიც ქუჩის პირს მიუახლოვდა და თითები... გეიჯის ქურთუკს ჩაავლო.

გეიჯი უკან დაქაჩა და იმწამსვე სახითა და მკლავით მიწას დაენარცხა. ცხვირი გაუტყდა, კვერცხებში საშინელმა ტკივილმა დაუარა. *ოოოჰ... რომ მცოდნოდა ფეხბურთის თამაშს ვაპირებდით, დამცავს წამოვიღებდი.* მიუხედავად აუტანელი ტკივილისა, ლუისი ამ მომენტში გრძნობდა წარმოუდგენლად სასიამოვნო შვებასაც, რომელიც გეიჯის მინდორზე დაცემით გამოწვეული ბავშვური ყვირილით იყო გამოწვეული. მანქანის საყვირის ხმა სადღაც შორს მიიკარგა.

მიუხედავად მტკივანი კვერცხებისა, ლუისმა წამოდგომა შეძლო, შემდეგ ჩაიმუხლა და შვილი აიყვანა. რამდენიმე წამში მათთან რეიჩელი მოვიდა, რომელიც ჯერ ისევ ტიროდა და გეიჯს უყვიროდა, — არასოდეს მიუახლოვდე ქუჩას, გეიჯ! არასოდეს, არასოდეს, არასოდეს! ეს ცუდი ქუჩაა! ცუდი! — გეიჯი კი იმდენად გაოცებულიყო, რომ ტირილისთვის თავი დაენებებინა და დედამისს თვალებში შეჰყურებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ლუის, ცხვირიდან სისხლი მოგდის, — უთხრა რეიჩელმა და შემდეგ ისე ძლიერ ჩაეხუტა, რომ ლუისს სუნთქვა გაუძნელდა.

— ეგ ყველაფერი არ არის, — უთხრა ლუისმა, — მგონი, იმპოტენტი გავხდი. ოჰ, როგორ მტკივა.

ამ სიტყვებზე კი რეიჩელს ისე ისტერიკულად გაეცინა, რომ ლუისი ოდნავ შეშინდა კიდეც. გეიჯი რომ მართლა მომკვდარიყო, ალბათ რეიჩელი ჭკუიდან შეიშლებოდა.

მაგრამ გეიჯი არ მომკვდარა. ეს ყველაფერი ლუისს მხოლოდ მოეჩვენა მაშინ, როდესაც მაისის მზიან შუადღეს მინდორზე გარბოდა და ცდილობდა, თავისი შვილის სიკვდილისთვის გადაესწრო.

გეიჯი სკოლაში შევიდა და შვიდი წლისამ სიარული დაიწყო ბანაკში, სადაც თავი გამოიჩინა ცურვის განსაცვიფრებელი, გამორჩეული უნარებით. მშობლები გააოცა იმითაც, რომ მათთან პრაქტიკულად ერთთვიანი განშორება ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტრავმის გარეშე გადაიტანა. ათი წლისა უკვე რეიმონდში, „აგავამის“ ბანაკში გაუშვეს. თერთმეტი წლისამ წითელი და ლურჯი ლენტები მოიგო იმ შეჯიბრებებში, რომლებშიც ოთხი სხვადასხვა ბანაკის ბავშვები მონაწილეობდნენ და რომლითაც საზაფხულო აქტივობები მთავრდებოდა. მაღალი გაიზარდა, მაგრამ ყოველთვის იმ ძველ საყვარელ გეიჯად რჩებოდა, რომელსაც აოცებდა მისთვის სამყაროს მიერ მიცემული შესაძლებლობები. სამყარო კი მას საკმაოდ დიდ შესაძლებლობებს სთავაზობდა.

მაღალ კლასებში ის ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე და იოანე ნათლისმცემლის სამრევლო სკოლის მოცურავეთა ნაკრების კაპიტანი იყო. ამ სკოლაში სწორედ ცურვის უნარების გამო გადავიდა. ჩვიდმეტი წლის ასაკში კი გეიჯმა გამოაცხადა, რომ სურდა კათოლიკედ მონათლულიყო, რამაც რეიჩელი ძალიან გაანაწყენა, ლუისს კი დიდად არც გაჰკვირვებია. რეიჩელის აზრით, ეს ყველაფერი იმ გოგოს ბრალი იყო, რომელსაც გეიჯი ხვდებოდა. რეიჩელი უკვე წინასწარ ხედავდა, რომ უახლოეს მომავალში გეიჯი დაქორ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წინდებოდა („გპირდები, შენს ტრუსებს შევჭამ, ლუის, თუ ეს ყველაფერი იმ წმინდა კრისტოფერის მედალიონიანი პატარა ბოზის ბრალი არ იყოს"), ბოლო მოეღებოდა მის ოლიმპიურ და შემდგომი განათლების გეგმებს, ორმოცი წლის ასაკში კი მის სახლში ცხრა-ათი პატარა კათოლიკე ირბენდა. თავად გადაიქცეოდა (ყოველ შემთხვევაში, რეიჩელის აზრით) ლუდისგან დამრგვალებული ღიპის მქონე სიგარის მწეველ სატვირთოს მძღოლად, ავე მარიას და მამაო ჩვენოს ფონზე კი ნელ-ნელა ინფარქტს მიუახლოვდებოდა.

ლუისი კი ვარაუდობდა, რომ მის შვილს წმინდა მოტივები გააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ გეიჯი კათოლიკედ მოინათლა (ამ დღეს ლუისმა ირვინ გოლდმენს დამცინავი საფოსტო ბარათი გაუგზავნა წარწერით: „შესაძლოა, თქვენი შვილიშვილი იეზუიტი გახდეს. თქვენი გოი[1] სიძე, ლუისი"), ის საყვარელი გოგო (და არანაირად ბოზი), რომელსაც თითქმის მთელი დამამთავრებელი კლასის განმავლობაში ხვდებოდა, ცოლად არ მოუყვანია.

შემდეგ გეიჯმა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში ჩააბარა, გახდა ოლიმპიური ნაკრების წევრი, ერთ გრძელ, მოსაწყენ და მშობლური სიამაყით სავსე დღეს კი, ზუსტად თექვსმეტი წლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ლუისმა გეიჯის სიცოცხლის გადასარჩენად „ორინკოს" სატვირთოს გადაასწრო, ის და რეიჩელი (ამ დროისთვის უკვე თითქმის ბოლომდე გაჭაღარავებული — თუმცა საღებავით ჭაღარის დაფარვას კი ცდილობდა) ტელევიზორთან ისხდნენ და უყურებდნენ გეიჯის ოქროს მედლით დაჯილდოების ცერემონიას. როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნი გაისმა, „ენ-ბი-სის" კამერამ კი ახლოდან აჩვენა გეიჯი — ოდნავ თავაწეული, დროშაზე კონცენტრირებული, კისერზე წითელი ლენტით, პრიალა მკერდზე კი ოქროს მედლით, ლუისი აქვითინდა. ისიც და რეიჩელიც, ორივენი ტიროდნენ.

— როგორც ჩანს, ბავშვობაში ჩემპიონის კეპი ტყუილუბრალოდ არ უყვარდა. — თქვა ლუისმა და ცოლს გახედა,

[1] *ებრაელების მიერ არაებრაელის აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ რეიჩელის სახე მხოლოდ საშინელებას გამოხატავდა. მის თვალებში თითქოს ავი დროების დღეები, თვეები და წლები არეკლილიყო. შემდეგ მზერა ტელევიზორისკენ დააბრუნა და იქ ახლა გეიჯის ნაცვლად ვიღაც სხვა, შავკანიანი ბიჭი დაინახა, რომელსაც ხვეული თმიდან წყლის წვეთები სდიოდა.

ჩემპიონის კეპი.

მისი კეპი.

ეს კეპი იყო...

ო, ღმერთო, ეს კეპი სისხლით იყო დასვრილი...

ლუისს გამოელვიძა. შვიდი საათი იყო. წვიმდა. ბალიშს ხელებით მაგრად ჩავლებოდა. თავი საშინლად სტკიოდა. ტკივილი შიგადაშიგ ნელდებოდა, შემდეგ ისევ ძლიერდებოდა. გრძნობდა ლუდის საძაგელ სურნელს და სისველეს ბალიშზე. როგორც ჩანს, ძილში ტიროდა. თითქოს, სიზმრად უსმენდა რაღაც სანტიმენტალურ ქანთრის სტილის სიმღერას, რომელიც მსმენელებისგან ცრემლს მოითხოვდა. ლუისი ხვდებოდა, რომ მისი ქვეცნობიერი რეალობას ძილშიც აღიქვამდა და ტირილიც ამის შედეგი იყო.

წამოდგა და წვალებით გავიდა სააბაზანოში. გული გიჟურად უცემდა მკერდში, ნაბახუსევზე სამყაროს ჯერ მხოლოდ ფრაგმენტულად აღიქვამდა. როცა უნიტაზს მიუახლოვდა, ძლივს მოასწრო მუხლებზე დამხობა და წუხანდელი ლუდის ნაწილი, რაც ორგანიზმმა არ მიიღო, უკან ამოაბრუნა.

თვალებდახუჭული ნელ-ნელა წამოიმართა. სარკეს მიუახლოვდა, რათა ენახა, ჰქონდა თუ არა თვალები ჩაწითლებული, მაგრამ ვერაფერი დაინახა. ახლაღა გაახსენდა, რომ რეიჩელმა, რომელიც, როგორც წესი, ძველ ჩვეულებებს არასოდეს იცავდა, შინ ყველა სარკე ნაჭრით დაფარა, შემოსასვლელ კართან კი აუცილებლად იხდიდა ფეხსაცმელს.

არანაირი ოლიმპიური ნაკრები. — გაიფიქრა ლუისმა ბუნდოვნად და ისევ საწოლზე ჩამოჯდა. ლუდის მომწარო გემოს ჯერ ისევ გრძნობდა პირსა და ყელში. ახლაც (არც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირველად და არც უკანასკნელად) საკუთარ თავს შეჰფიცა, რომ ამ საწამლავს აღარასოდეს გაეკარებოდა. არანაირი ოლიმპიური ნაკრები, არანაირი წარმატებები კოლეჯში, არანაირი კათოლიკე შეყვარებული და ნათლობა, არანაირი საზაფხულო ბანაკები, არანაირი არაფერი. მისი ბოტასები დაგლეჯილია, ჯემპრი — გადმობრუნებული, მისი საყვარელი პატარა სხეული კი — დასახიჩრებული, თითქმის დანაწევრებული. მისი კეპი — სისხლით დაფარული.

ახლა, როცა ნაბახუსევზე, გაბრუებული, წვიმის ფონზე ლოგინზე იჯდა, ლუისი კიდევ უფრო ცხადად იაზრებდა საკუთარ დარდს, როგორც განსაწმენდელიდან მოსულ რუხ მოჩვენებას. ის მოვიდა და მოიცვა, მთლიანად დაიპყრო. წაართვა ყოველგვარი თავდაცვითი შესაძლებლობა. ლუისმა სახე ხელებში ჩარგო და ატირდა. ლოგინზე წინ და უკან ირხეოდა და ფიქრობდა, რომ ყველაფერს... ყველაფერს გაიღებდა, ოღონდ ერთხელ კიდევ ეხილა შვილი.

41

გეიჯი იმ დღეს, ორ საათზე დაკრძალეს. ამ დროისთვის წვიმა შეწყდა, თუმცა ცაში მუქი ღრუბლები მაინც დაცურავდნენ და ამიტომ დამსწრეთა უმეტესობას თან ჰქონდა დამკრძალავი ბიუროს მეპატრონის მიერ დარიგებული შავი ქოლგები.

რეიჩელის თხოვნით, ცერემონია შეამოკლეს. ის გაიხსნა სიტყვებით მათეს სახარებიდან: „მოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად“. ლუისი სასახლესთან იდგა და მეორე მხარეს სიმამრს აკვირდებოდა. გოლდმენმა ერთ მომენტში თვალი გაუსწორა, თუმცა მაშინვე აარიდა. ახლა მის თვალებს ბრძოლის სურვილი აღარ ეტყობოდა. თვალებქვეშ დაკიდებული კანი კი ლუისს ფოსტალიონის ჩანთებს ახსენებდა. კიპის ქვეშ შეთხელებული თეთრი თმა ქარში აფრიალებულ აბლაბუდას დამსგავსებოდა. ლოყებზე შეფენილი მორუხო-მოშავო წვერი კი ისე, როგორც არასოდეს, ლოთს ამსგავსებდა. ლუისმა საკუთარ თავში ამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაცის მიმართ მცირედი თანაგრძნობის მოძიება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

გეიჯის პატარა თეთრი სასახლე, რომლისთვისაც საკეტი გამოეცვალათ, ქრომირებულ სადგამებზე იდგა. საფლავის კიდეები ისეთი ხასხასა ხელოვნური მწვანე ბალახით გაეფორმებინათ, რომ მისი ფერი ლუისს თვალს სჭრიდა. ამ ხელოვნურ ბალახზე ყვავილებით სავსე რამდენიმე კალათი იდგა და უცნაურად მხიარულ განწყობას ქმნიდა. ლუისმა ბიუროს მეპატრონის ზურგს უკან გაიხედა. აქ პატარა გორაკი მოჩანდა, რომელიც საფლავებით და საფლავის ქვებით დაფარულიყო. ერთ-ერთ საფლავზე რომანული ტიპის მონუმენტი იდგა წარწერით — *ფიპს*. ფიპსის უკან კი რაღაც ღია მოყვითალო მოჩანდა, რასაც ლუისი ვერაფრით ცნობდა. ისევ ამ უცნაურ საგანს აკვირდებოდა მაშინ, როცა ბიუროს მეპატრონემ წარმოთქვა, — ახლა კი ჩუმი ლოცვის დროს, მოდით, ყველამ თავები დავხაროთ. — ლუისს კიდევ რამდენიმე წამი დასჭირდა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს ყვითელი ბულდოზერი იყო. სწორია, როცა დაკრძალვა დასრულდება, ოზი სამუშაო ჩექმის ქუსლზე სიგარეტს ჩააქრობს, ნამწვს კონტეინერში ჩააგდებს (სასაფლაოს თანამშრომლებს, რომლებიც ნამწვებს ძირს ყრიდნენ, დაუყოვნებლივ ათავისუფლებდნენ. ნამწვი სასაფლაოზე ძალიან ცუდი ტონია — კლიენტების დიდი ნაწილი ხომ ფილტვის კიბოთია მკვდარი), ბულდოზერზე შეხტება, დაქოქავს, შემდეგ ლუისის ბიჭის საფლავს მიწას გადააყრის და მზეს სამუდამოდ დაუბნელებს... ან მეორედ მოსვლამდე მაინც, როცა მიცვალებულები აღდგებიან.

აღდგომა... ისევ ეს ფიქრები...

(არადა, ძალიან კარგად იცი, რომ მსგავსი ფიქრები სასტიკად იკრძალება).

ბიუროს მეპატრონემ თქვა, — ამინ, — და ლუისმა მაშინვე ხელი ჩასჭიდა რეიჩელს, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა და დარჩენას სთხოვდა, თუმცა ლუისმა მაინც გაიყვანა. მარცხენა ხელი ეილის თეთრხელთათმნიანი თითე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბისთვის ჩაევლო. ეილი ახლაც იმ მუქი ლურჯი კაბით იყო, რომელიც ნორმა კრენდოლის გასვენებაში ეცვა. კრიდები მანქანისკენ დაიძრნენ. ლუისმა უკან შენიშნა, როგორ აწვდიდნენ დანარჩენები ბიუროს მეპატრონეს შავ ქოლგებს, ქოლგების სახელურებზე კი დამკრძალავი ბიუროს სახელწოდება იყო გამოსახული. მეპატრონის ასისტენტი ქოლგებს სპეციალურ სადგამში აწყობდა, ეს ყველაფერი კი დასველებული ხელოვნური ბალახის ფონზე საოცრად სიურრეალისტურად მოჩანდა.

როცა ლუისმა თავისი ქალბატონები მანქანაში ჩასვა, მას ჯადი მიუახლოვდა. მოხუცს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავადაც მძიმე ღამე გადაეტანა.

— ნორმალურად ხარ, ლუის?

ლუისმა თავი დაუქნია.

ჯადი დაიხარა და მანქანაში შეიხედა. — როგორ ხარ, რეიჩელ?

— არა მიშავს, ჯად, — ჩურჩულით უპასუხა რეიჩელმა.

ჯადი ნაზად შეეხო მხარზე და ახლა ეილის გახედა. — შენ როგორ ხარ, საყვარელო?

— კარგად, — უპასუხა ეილიმ და ამის დასტურად ყურებამდე გაუღიმა.

— ეს რა ფოტო გიჭირავს?

ლუისს ეგონა, ეილი ფოტოს არ მისცემდა, თუმცა ბავშვმა ოდნავ დარცხვენილი სახით ჯადს ფოტო გადააწოდა. ჯადმა გამოართვა თავისი ზორბა თითებით. ეს თითები აშკარად სარკინიგზო დანადგარების ტრანსმისიასა და ვაგონების გადასაბმელებზე სამუშაოდ იყო შექმნილი. თუმცა განა ეს თითები არ იყო, გეიჯს ნესტარი გამოცდილი ილუზიონისტისა თუ ქირურგის მოხერხებულობით რომ ამოაცალა?

— რა ლამაზი ფოტოა, — თქვა ჯადმა, — ციგით ასეირნებ. დარწმუნებული ვარ, ძალიან მოსწონდა, არა ეილი?

ეილიმ თავი დაუქნია და ტირილი დაიწყო.

რეიჩელმა რაღაცის თქმა დააპირა, თუმცა ლუისმა მხარზე ხელი მოუჭირა და გააჩერა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ციგით ხშირად დამყავდა ხოლმე, — ტირილით თქვა ეილიმ, — და იმდენს იცინოდა... მერე სახლში ვბრუნდებოდით, დედიკო კაკაოს გვიმზადებდა და გვეუბნებოდა, — ჩექმები გარეთ დატოვეთო. — გეიჯი ამ დროს ჩექმებს ხელს ჩაავლებდა და ყვიროდა, — ცექმები! ცექმები! — თან ისე ხმამაღლა, რომ ყურები გვისკდებოდა. გახსოვს, დე? რეიჩელმა თავი დაუქნია.

— ჰო, ნამდვილად კარგი დრო იყო, — თქვა ჯადმა და ბავშვს ფოტო დაუბრუნა, — და, მართალია, ახლა მკვდარია, მაგრამ შენს მოგონებებში ცოცხლობს, ეილი.

— არასოდეს დავივიწყებ, — ქვითინით თქვა ეილიმ და სახე მოიწმინდა, — მე მიყვარდა გეიჯი, მისტერ კრენდოლ.

— ვიცი, რომ ასე იყო, ძვირფასო, — უთხრა ჯადმა, დაიხარა და აკოცა. ხოლო, როცა წამოიმართა, ლუისსა და რეიჩელს რაღაც უცნაური მზერით გახედა. რეიჩელი ამ მზერას შეხვდა და თითქოს მცირედი ტკივილი იგრძნო, თუმცა მისი ვერ გაიგო. ლუისისთვის კი ყველაფერი გასაგები იყო: *აბა, რას უპირებთ?* — ეკითხებოდნენ მათ ჯადის თვალები, — *თქვენი ბიჭი მოკვდა, მაგრამ გოგონა ცოცხალია. მისთვის რის გაკეთებას აპირებთ?*

ლუისმა გვერდზე გაიხედა. ეილისთვის ვერაფერს გააკეთებდა. ჯერჯერობით ვერაფერს. რამდენადაც მოახერხებდა, მას საკუთარ კალაპოტში უნდა ეცურა. ახლა ლუისის ფიქრები ზედმეტად იყო გეიჯით დაკავებული.

42

საღამოსთვის ისევ მოიღრუბლა და დასავლეთის ძლიერმა ქარმაც დაუბერა. ლუისმა თხელი ქურთუკი ჩაიცვა, ელვა შეიკრა და კედლის საკიდიდან „სივიკის“ გასაღები ჩამოიღო.

— სად მიდიხარ, ლუ? — ჰკითხა რეიჩელმა უინტერესოდ. ვახშმის შემდეგ მან კიდევ ერთხელ იტირა და, მიუხედავად იმისა, რომ დინჯად ქვითინებდა, გაჩერება მაინც უჭირდა. ლუისმა „ვალიუმის“ დალევა აიძულა. ახლა მაგიდასთან იჯდა და გაზეთი ახლადდაწყებული კროსვორდის გვერდზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰქონდა გადაშლილი. გვერდზე ოთახში ეილი ჩუმად უყურებდა „პატარა სახლს პრერიზე“[1]. კალთაში გეიჯის ფოტო ედო.

— პიცის ყიდვას ვაპირებ.

— შუადღით არ გეყო?

— მაშინ რაღაც არ მშიოდა, — უპასუხა ლუისმა და მოკლედ დაამატა, — ახლა მშია.

შუადღით, სამიდან ექვსამდე, ლადლოუს სახლში გეიჯის დაკრძალვის ცერემონიის ბოლო ეტაპი, სამგლოვიარო ტრაპეზი გაიმართა. სტივ მასტერტონმა და მისმა ცოლმა ქვაბით ფარშით შეზავებული მაკარონი მოიტანეს. ჩარლტონმა — ქიში. — „თუ ბოლომდე არ შეიჭამა, მისი შენახვაც შეიძლება, — უთხრა მან რეიჩელს, — გამთბარი ქიშიც მშვენიერია“. — დენიკერსებმა — იმავე ქუჩიდან — ღუმელში შებრაწული ლორი მოიტანეს. მოვიდნენ გოლდმენებიც, რომლებიც არათუ არ დალაპარაკებიან ლუისს, არც კი მიახლოებიან, რაც ლუისს დიდად არ აწუხებდა. მათ სხვადასხვა სახის ცივი ხორცეული და ყველი მოიტანეს. ყველი მოიტანა ჯადმაც — ერთი თავი დიდი ოჯახური ყველი, მისი საყვარელი „სავირთხე“. მისი დანდრიჯმა ლაიმის ნამცხვარი მოიტანა, სარენდრა ჰარდუმ ვაშლები. როგორც აღმოჩნდა, სამგლოვიარო ტრაპეზმა რელიგიური განსხვავებები გააქრო.

სამგლოვიარო ტრაპეზი საკმაოდ ჩუმი გამოვიდა, მაგრამ ეს პროცესი სტუმრების ჩვეულებრივი მიღებისგან დიდად არ განსხვავდებოდა. იყო სასმელიც, თუმცა ცოტა. რამდენიმე ქილა ლუდის შემდეგ (მართალია, წინა ღამით ლუისმა საკუთარ თავს შეჰფიცა, რომ ლუდს აღარ დალევდა, მაგრამ ახლა, ამ ცივ შუადღეს, წინა ღამე საოცრად შორეულად ეჩვენებოდა) ლუისმა გაიფიქრა, ხომ არ მოეყოლა სტუმრებისათვის დაკრძალვის პროცედურებთან დაკავშირებული ის რამდენიმე საინტერესო ისტორია, რომელიც მან ძია კარლისგან იცოდა. ასე, მაგალითად, ისტორია იმის შესახებ, რომ სიცილიელი გაუთხოვარი ქალები გასვენების

[1] *1974 წლიდან გამოსული ამერიკული სატელევიზიო სერიალი, ვესტერნული დრამა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დროს მიცვალებულის სუდარას პატარა ნაჭერს აჭრიდ-ნენ და ღამით ბალიშის ქვეშ იდებდნენ, რაც მათთვის სიყ-ვარულში წარმატების საწინდარი უნდა გამხდარიყო; რომ ირლანდიელები გასვენების დროს იმიტირებულ ქორწი-ლებს მართავდნენ, მიცვალებულს კი ფეხის ცერა თითებს უბამდნენ, რათა, უძველესი კელტური რწმენის მიხედვით, მიცვალებულის სულს ცოცხალთა შორის ველარ ევლო. ძია კარლის თქმით, მორგებში არსებული ტრადიცია, რომლის დროსაც გვამებს სანიშნეებს სწორედ ფეხის ცერზე უკე-თებდნენ, ნიუიორკელი ირლანდიელებისა და მათი ჩვეუ-ლებების გაგრძელება უნდა ყოფილიყო. თუმცა მას შემდეგ, რაც ლუისი დამსწრეთა სახეებს დააკვირდა, ამ ყველაფრის მოყოლა გადაიფიქრა. სავარაუდოდ, ცუდად გაუგებდნენ.

რეიჩელმა კონტროლი მხოლოდ ერთ მომენტში დაკარგა, თუმცა მის გვერდით ამ დროს დედა იყო და მისი დამშვიდე-ბა სცადა. რეიჩელი მაგრად ეკვროდა დორი გოლდმენს და ისიც შვილთან ერთად ტიროდა. ლუისი ვარაუდობდა, რომ რეიჩელის ამგვარი მდგომარეობა, შესაძლოა, იმის ბრალი ყოფილიყო, რომ რეიჩელი მას და საკუთარ თავს გეიჯის სიკვდილში დამნაშავეებად თვლიდა, ლუისისგან კი ამ მძი-მე დროს სათანადო ნუგეშს ვერ იღებდა. ასე იყო თუ ისე, ამ მომენტში რეიჩელი სწორედ დედის გვერდით იყო. იქვე იდ-გა ირვინ გოლდმენიც, რომელსაც რეიჩელის მხარზე დაედო ხელი და ლუისს ავადმყოფური ტრიუმფით აღსავსე თვალე-ბით შეჰყურებდა.

ეილის ხელში კბილის ჩხირებზე აცმული პატარა რულე-ტები ეჭირა და ოთახიდან ოთახში დადიოდა, გეიჯის ფოტო კი იღლიაში ამოედო.

ლუისი იღებდა სამძიმარს, თავს უქნევდა სტუმრებს და თანაგრძნობისთვის მადლობას უხდიდა. გულგრილი, ცი-ვი და ოდნავ დაბნეული მზერა ჰქონდა. სტუმრებს ალბათ ეგონათ (თუმცა, სავარაუდოდ, ჯადს — არა), რომ ის ახლა შორეულ ფიქრებში იყო ჩაფლული. ფიქრობდა გეიჯის სა-ზარელი სიკვდილისა და შემდგომში გეიჯის გარეშე ცხოვ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რების შესახებ. სინამდვილეში კი ლუისი გეიჯის საფლავის გაძარცვის სტრატეგიას განიხილავდა... რა თქმა უნდა, მხოლოდ ჰიპოთეტურად. ის არაფერ მსგავსს არ აპირებდა, უბრალოდ, ფიქრებს იყო აყოლილი.

ის არაფერ მსგავსს არ აპირებდა.

ლუისი ორინგტონის ერთ-ერთ მაღაზიასთან შეჩერდა და ორი ექვსქილიანი შეკვრა ცივი ლუდი იყიდა. შემდეგ პიცერია „ნაპოლიში" დარეკა და შეუკვეთა პიცა სოკოთი და პეპერონით.

— თქვენი სახელი, სერ?

ოზი — დიდებული და საზალელი, — გაიფიქრა ლუისმა.

— ლუ კრიდი.

— კარგი, ლუ. ახლა ძალიან დაკავებული ვართ. თქვენი შეკვეთა ორმოც-ორმოცდახუთ წუთში იქნება. გაწყობთ?

— სავსებით. — უპასუხა ლუისმა და ყურმილი დაკიდა. შემდეგ ისევ „სივიკში" დაბრუნდა და მანქანა დაქოქა. უეცრად მიხვდა, რომ ბანგორში არსებული ოცამდე პიცერიიდან მან სწორედ ის აარჩია, რომელიც ყველაზე ახლოს იყო იმ სასაფლაოსთან, სადაც გეიჯი განისვენებდა. *მერე რა?* — გაიფიქრა უხერხულად, — *ისინი კარგ პიცას ამზადებენ. გაუყინავ ცომს იყენებენ და იქვე, შენ თვალწინ ჰაერში ატრიალებენ. ამის შემყურე გეიჯს ყოველთვის ძალიან ეცინებოდა.*

ლუისმა ფიქრებს თავი ანება.

* * *

„ნაპოლის" გასცდა და „პლეზენტვიუსთან" მივიდა. ხვდებოდა, თავიდანვე იცოდა, რომ ასე მოიქცეოდა, მაგრამ მერე რა?

მანქანა სასაფლაოს მეორე მხარეს გააჩერა, გადმოვიდა და მიუახლოვდა რკინის ჭიშკარს, რომელიც დღის უკანასკნელ შუქზე პრიალებდა, თავზე კი ნახევარრკალად ეტყობოდა წარწერა — „პლეზენტვიუ". ხედი, ლუისის აზრით, არც საამო იყო და არც უსიამო. საფლავები ლამაზად განელაგებინათ გორაკებზე. აქა-იქ მოჩანდა რამდენიმე მტირალა ტი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რიფი და ხეთა რიგები (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ დროს ეს ხეთა ჩრდილები, რაღაც დაგუბებული წყლის მსგავსად, ცოტა არ იყოს, არასასიამოვნოდ კი მოჩანდა). ვერ იტყოდი, რომ სიჩუმეს დაესადგურებინა. ახლომდებარე გზატკეცილიდან მანქანების ხმა მოდიოდა, ამას ემატებოდა ცივი ქარიც, დაბინდულ ჰორიზონტთან კი ბანგორის საერთაშორისო აეროპორტის შუქები მოჩანდა.

ლუისმა ჭიშკარს ხელი შეახო და გაიფიქრა, დაკეტილი იქნებაო, თუმცა შეცდა. როგორც ჩანს, ჯერ ადრე იყო. ჭიშკარს მოგვიანებით დაკეტავდნენ, რათა შიგნით ლოთები, ვანდალები და თინეიჯერი წყვილები არ შესულიყვნენ. აი, დიკენსისეული მკვდრეთით აღმდგარი

(ისევ ეს სიტყვა)

კაცების დრო კი უკვე წასულიყო. ლუისი ხელით ჭიშკრის მარჯვენა ფრთას მიაწვა. ფრთა შეიღო და გაისმა კლიტის ტკაცანის ხმა.

შიგნით შეაბიჯა, ადგილზე გაქვავდა და მიმოიხედა.

მშვენიერი ადგილია, — გაიფიქრა ლუისმა, — *მაგრამ ისინი არსად ჩანან. — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? ენდრიუ მარველს? რატომ ინახავს ადამიანის გონება ამდენ გაურკვეველ სისულელეს?*

შემდეგ კი გონებაში ჯადის ხმა მოესმა. შეშფოთებული და — შეშინებული? კი, შეშინებული.

აქ რას აკეთებ, ლუის? რა გინდა იმ გზაზე, რომელზე სიარულიც არ ღირს.

ლუისმა ხმა განაგდო. თუკი ახლა ვინმეს ტანჯავდა, მხოლოდ საკუთარ თავს. ვის რაში აინტერესებდა, სად იყო ის ამ მიმწუხრის ჟამს. ქარიან ბილიკს გაუყვა გეიჯის საფლავისკენ. ხეივანში შევიდა. თავზემოთ ქორფა ფოთლები შრიალებდა. გული ძლიერ უცემდა, ბაგაბუგი ყურებში გადიოდა. საფლავები და მონუმენტები არასიმეტრიულ რიგებად იყო განაწილებული. სადღაც შორიახლოს დამკრძალავი ბიუროს მეპატრონის ოფისიც იქნებოდა, სადაც შესაძლებელი იყო ამ ოცამდე აკრის ტერიტორიის რუკის ნახვა. მასზე მო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნიშნული იყო კვადრატული ნახაზები — დაკავებული საფლავების, თავისუფალი მიწების, გასაყიდი უძრავი ქონების, ოთახების, გასათევი ადგილებისა.

აქაურობა საერთოდ არ ჰგავს შინაური ცხოველების სასაფლაოს. — გაიფიქრა ლუისმა და რაღაც უცნაური გაკვირვება დაეუფლა. არა, ნამდვილად არ ჰგავდა. ქაოსისგან წარმოქმნილი წესრიგი შინაური ცხოველების *სასაფლაოს* განსხვავებულ ატმოსფეროს უქმნიდა. ხვეული რკალები, რომლებიც ცენტრისკენ ერთიანდებოდა, ბავშვების მიერ გაკეთებული წარწერები, ფიცრები... თითქოს ბავშვები ამ ადგილზე თავიანთი ცხოველების დამარხვით კოლექტიურად, გაუაზრებლად ქმნიდნენ რაღაც ნიმუშს. თითქოს...

შინაური ცხოველების სასაფლაო ლუისმა ანაზდად რეკლამასავით აღიქვა... ისე, როგორც კარნავალზე ხდება ხოლმე. თავდაპირველად გაჩვენებენ ცეცხლის მყლაპავ კაცებს უფასოდ, რადგან მეპატრონემ იცის, რომ სტეიკს მანამ არ იყიდი, სანამ ამ სანახაობით არ დატკბები. თუ არ გაოცდები, ფულსაც არ დახარჯავ. ეს საფლავები კი თავიანთი თითქმის დრუიდული წრეებით...

მათი დახმარებით შინაური ცხოველების სასაფლაო უძველეს რელიგიურ სიმბოლოს ემსგავსებოდა. წრიული, სპირალური ფორმები, რომლებიც ცენტრისკენ მიისწრაფვიან. ქაოსიდან წესრიგისაკენ და წესრიგიდან ქაოსისაკენ. ამგვარ სპირალურ სიმბოლოს გამოსახავდნენ ეგვიპტელები ფარაონთა საფლავის ქვებზე, ამასვე იყენებდნენ ფინიკიელები გარდაცვლილ მეფეთა ყორღანებზე, მას ახატავდნენ გამოქვაბულის კედლებს უძველესი მიკენები. სტოუნჰენჯი, რომელიც სამყაროს დროს განსაზღვრავდა, აგრეთვე სპირალური ფორმის იყო. იუდეო-ქრისტიანული ბიბლიის თანახმადაც, ღმერთი იობს ასეთივე ქარიშხლად გამოეცხადა.

სპირალი იყო ძალაუფლების უძველესი სიმბოლო, აღმნიშვნელი ადამიანთა უძველესი ხიდისა, რომელიც არსებულ სამყაროს წყვდიადთან აკავშირებდა.

როგორც იქნა, ლუისმა გეიჯის საფლავამდე მიაღწია. ბულდოზერი უკვე წასულიყო, აეღოთ ხელოვნური ბალა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხიც. როგორც ჩანს, ის სასაფლაოს რომელიღაც მუშამ დაახვია, თან კი ალბათ უსტვენდა და საღამოს მეგობრებთან ერთად „ფერმონ ლაუნჯში“ ლუდის დალევაზე ფიქრობდა. გეიჯი კი აქ იწვა, სამი-ხუთი ფუტი მიწის სიღრმეში.

ლუისმა ჩაიმუხლა. ქარმა სახეზე დაუბერა და თმა აუფრიალა. ცა უკვე თითქმის სრულებით ჩაბნელებულიყო.

ჩემთვის სახეზე ფანრის შუქი არავის მოუნათებია. არავის უკითხავს, აქ რას ვაკეთებ. საფლავებს არავინ იცავდა, ჭიშკარი ღია დახვდა, მკვდრეთით აღმდგარი კაცების დრო კი წასულია. ვინ დამიშლის აქ წერაქვითა და ნიჩბით მოსვლას და მიწის ამოთხრას?

ლუისი ისევ ამ სახიფათო ფიქრებს ეთამაშებოდა. სავარაუდოდ, სასაფლაოს ღამის საათებში იცავდნენ და რა მოხდებოდა, თუკი რომელიღაც მცველი ან თუნდაც მეპატრონე წელამდე მიწაში ჩასულ ლუისს დაინახავდა? მის შესახებ გაზეთებში დაწერდნენ, ან იქნებ არც დაეწერათ. ბრალდებას კი რას წაუყენებდნენ? საფლავების ძარცვას? არა, ალბათ უფრო ვანდალიზმს და გარყვნილებას. ყველა ყველაფერს გაიგებდა, ხალხი ალაპარაკდებოდა. ყველაფერი ზედმეტად საინტერესოდ ჟღერდა საიმისოდ, რომ მისი საიდუმლოდ შენახვა მოეხერხებინათ.

ადგილობრივი ექიმი დაკავებულ იქნა ცოტა ხნის წინ სავალალო ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაღუპული მისი ორი წლის შვილის საფლავის თხრის მომენტში. ლუისი დაკარგავდა სამსახურს და ასეც რომ არ ყოფილიყო, რეიჩელს ეს ამბავი ნამდვილად ჭკუაზე შეშლიდა. ეილის კი ბაღში დაცინვას დაუწყებდნენ და სიცოცხლეს გაუმწარებდნენ. შესაძლოა, ბრალდების თავიდან ასაცილებლად სამარცხვინო ფსიქიატრიული პროცედურების გავლაც დასჭირვებოდა.

მაგრამ მე შემიძლია გეიჯი გავაცოცხლო! გეიჯი ისევ იცოცხლებს!

ნუთუ ამის მართლა სჯეროდა?

საქმე ის იყო, რომ სჯეროდა. საკუთარ თავს გეიჯის სიკვდილამდე და ამის შემდეგაც არაერთხელ გაუმეორა, რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩერჩი არ მომკვდარა, მას უბრალოდ გონება ჰქონდა დაკარგული, შემდეგ კი მან მიწა ამოთხარა და შინ დაბრუნდა. ბავშვური ამბავი მცირედი საშინელების ელემენტებით — რაღაც ვინი პუჰის მსგავსი. პატრონს ჰგონია, რომ ცხოველი მკვდარია, მას ცოცხლად მარხავს, ერთგული ცხოველი კი მიწას თხრის და შინ ბრუნდება. მშვენიერია, მაგრამ ეს ტყუილია. ჩერჩი მოკვდა. მიკმაკების მიწაზე დამარხვამ კი მას სიცოცხლე დაუბრუნა.

ლუისი გეიჯის საფლავთან ჩამოჯდა და გონებაში ამ ბნელი მაგიის ირგვლივ ყველა რაციონალური და ლოგიკური აზრის დალაგება დაიწყო.

ტიმი ბატერმანი. მოდი, მისით დავიწყოთ. სჯეროდა ამ ამბის? და თუ სჯეროდა, რას ცვლიდა ეს?

მიუხედავად აბსურდულობისა, ლუისს ამ ისტორიის მაინც სჯეროდა. ეჭვი არ იყო, რომ ვინაიდან მიკმაკების სამარხი ნამდვილად არსებობდა (ეს აშკარად ასე იყო) და ვინაიდან მის შესახებ რამდენიმე ადამიანმა იცოდა (რამდენიმე მოხუცმა ლადლოუელმა დღემდე იცის), ვიღაც აუცილებლად ცდიდა ადამიანის იქ დამარხვას. ლუისი საკმარისად კარგად იცნობდა ადამიანის ბუნებას საიმისოდ, რომ მიმხვდარიყო — აქაურები მხოლოდ ცხოველებით არ შემოიფარგლებოდნენ.

გასაგებია. მაშინ შემდეგი შეკითხვა დავსვათ: სჯეროდა თუ არა ლუისს იმისა, რომ ტიმი ბატერმანი რაღაც ყოვლისმცოდნე დემონად იქცა?

ეს უფრო რთული და სახიფათო შეკითხვა იყო, რადგან ლუისს თავადვე არ სურდა მასზე დადებითი პასუხის გაეცა.

არა, არ სურდა ტიმი ბატერმანის დემონობის დაჯერება, მაგრამ ვერ... არ დაუშვებდა, რომ სასურველი უტყუარ რეალობად წარმოეჩინა.

ლუისი დაფიქრდა ხარ ჰენრეტიზე, რომელიც, როგორც ჯადმა თქვა, გაბოროტდა. გაბოროტდა ისევე, როგორც ტიმი ბატერმანი. მოგვიანებით ჰენრეტი დააგდო იმავე კაცმა, რომელმაც როგორღაც მოახერხა და ის მიკმაკების სამარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხამდე მხრებით ათრია. ტიმი ბატერმანი კი დააგდო საკუთარმა მამამ.

მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჰენრეტი გაცოფდა, არ გულისხმობს იმას, თითქოს დანარჩენ ცხოველებსაც იგივე ბედი ეწიათ. ასე არ არის? არა, ჰენრეტი გამონაკლისი იყო საერთო წესიდან. გარდა ამისა, არსებობს ჯადის სპოტის მაგალითი. მოხუცი ქალის თუთიყუშისა და თავად ჩერჩისაც. ყველა ეს ცხოველი შეიცვალა — თან ძალიან საგრძნობლადაც, მაგრამ მეტი არაფერი. თავად სპოტის შემთხვევაშიც, ცვლილება იმ დონისაც კი არ ყოფილა, რომ ჯადს უარი ეთქვა... უარი ეთქვა...

(აღდგომაზე)

ჰო, ჩერჩის მკვდრეთით აღდგომაზე. რა თქმა უნდა, მოხუცი ბევრ უცნაურსა და მიკიბულ-მოკიბულს ლაპარაკობდა, რაც ძნელად თუ მიეწერება ფილოსოფიას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა.

როგორ უნდა ეთქვა ლუისს უარი ამ წარმოუდგენელ შანსზე მხოლოდ ტიმი ბატერმანის ამბის გამო? ერთი შემთხვევა ხომ კანონი არ არის.

ყველა მტკიცებულებას იმ დასკვნის სასარგებლოდ იყენებ, სადამდეც გინდა, რომ მიხვიდე. საკუთარ თავთან ის წყეული სიმართლე მაინც აღიარე, რომ ჩერჩი შეიცვალა. თუ გინდა, არაფერი ვთქვათ დასახიჩრებულ თაგვებსა და ჩიტებზე. თავად როგორია? გაძუნგლული... ჰო, ეს ნამდვილად სწორი სიტყვაა. იმ დღეს, ფრანი რომ გაუშვით, გახსოვს, როგორ იცინოდა გეიჯი? როგორი ცოცხალი და მხიარული რეაქციები ჰქონდა? არ გიჯობს, ასეთი დაიმახსოვრო? თუ გინდა, რომ საშინელებათა ფილმების ზომბად იქცეს? ან გონებაჩამორჩენილ პატარა ბიჭად? ბიჭად, რომელიც ხელებით ჭამს და ტელევიზორს გაშტერებული უყურებს? რომელიც ვერასოდეს ისწავლის საკუთარი სახელის სწორად დაწერას? როგორ თქვა ჯადმა ძაღლზე? — თითქოს ხორცს ვრეცხავდიო. — ეგ გინდა? გინდა, რომ მოსიარულე ხორცად აქციო? და თუნდაც შენ ამ ყველაფერზე თა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნახმა იყო, როგორ აუხსნი მომხდარს საკუთარ ცოლს? გოგონას? სტივ მასტერტონს? მსოფლიოს? რა მოხდება, როცა მისი დანდრიჯი პირველად შემოიხედავს თქვენს ეზოში და იქ სამთვლიან ველოსიპედზე მჯდარ გეიჯს დაინახავს? წარმოგიდგენია, როგორ იყვირებს და სახეს როგორ ჩამოიხოკავს? ჟურნალისტებს ან „ნამდვილი ადამიანების“ გადამლებ ჯგუფს რაღას ეტყვი? ისინი ხომ შენს მკვდრეთით აღმდგარ შვილზე აუცილებლად ფილმის გადაღებას მოინდომებენ?

იქნებ ამ ყველაფერს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და ეს მხოლოდ სიმხდალის ხმაა? ნამდვილად სჯეროდა ლუისს, რომ ამ ყველაფერს ვერ გაუმკლავდებოდა, ან რეიჩელს თავისი მკვდარი ბიჭის დანახვისას, სიხარულის ცრემლების გარდა, სხვა რაიმე რეაქციაც ექნებოდა?

დიახ, რა თქმა უნდა, არსებობდა რეალური შესაძლებლობა, რომ გეიჯი დაბრუნებულიყო... ოღონდ... დეგრადირებული. მაგრამ შეცვლიდა კი ეს მისდამი სიყვარულის ხარისხს? მშობლებს ყოველთვის უყვარდათ ბრმა შვილები, სიამის ტყუპები და ყველა სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვი; მშობლები ყოველთვის სასოწარკვეთილები ტიროდნენ სასამართლო პროცესებზე და შეწყალებას ითხოვდნენ თავიანთი შვილებისთვის, რომლებიც მკვლელობაში, გაუპატიურებაში ან უდანაშაულოთა წამებაში ბრალდებულებად იქცნენ.

სჯეროდა კი ლუისს, რომ შეუძლებელი იყო იმ გეიჯის სიყვარული, რომელიც რვა წლამდე საფენებით ივლიდა? რომელიც პირველი კლასის მასალას მხოლოდ თორმეტი წლის ასაკში აითვისებდა? ან საერთოდ თუ აითვისებდა. შეეძლო მასზე ეთქვა უარი ისე, როგორც რაღაც ნაკლოვან ნივთზე, რომლის გამოცვლაც შეიძლებოდა?

მაგრამ, ლუის, ღმერთო ჩემო, კოლბაში ხომ არ ცხოვრობ? ხალხი რას იტყვის... — ეს ფიქრი ლუისმა წამიერად უხეშად და ბრაზით გააქრო. ახლა ყველაზე ნაკლებად ის აინტერესებდა, რას იტყოდა ხალხი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ დაბლა დაიხედა და გეიჯის საფლავზე ხელების ცეცება დაიწყო. ლუისი, ჭუჭყით, საშინელებით მოცული, სრულიად გაუაზრებლად, ახლა სპირალის გამოსახულებას ხატავდა. შემდეგ ნაჩქარევად წაშალა და წამოდგა. უკვე წასვლის დრო იყო, თორემ ვიღაც აუცილებლად შეამჩნევდა.

პიცას ძალიან დაგვიანებით მიაკითხა და, მიუხედავად იმისა, რომ ღუმელის თავზე ედოთ, მაინც გაგრილებული დახვდა. ცხიმი შეხმობოდა და გამომცხვარი წებოს გემო ჰქონდა. ლუისმა მხოლოდ ერთი ნაჭერი შეჭამა და დანარჩენი, თავის ყუთიანად, სახლისკენ მიმავალ გზაზე მანქანის ფანჯრიდან მოისროლა. საზოგადოდ, ასე არასოდეს იქცეოდა, მაგრამ ახლა რომ რეიჩელს ნაგვის ურნაში თითქმის შეუჭმელი პიცა ეპოვა, აუცილებლად მიხვდებოდა, რომ ლუისი ბანგორში სულ სხვა მიზეზით წასულიყო.

ლუისი კი ახლა უკვე დროსა და გარემოებებზე ფიქრობდა.

დრო. დროს შესაძლოა უდიდესი — გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონოდა. ტიმი ბატერმანი კარგა ხნით ადრე მოკვდა, მანამ, სანამ მამამისი მის გვამს მიკმაკების სამარხზე წაიღებდა. *ტიმის ესროლეს ცხრამეტში... ხოლო დაიკრძალა, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მგონი, ოცდაორ ივლისს. სადღაც ოთხი-ხუთი დღის შემდეგ კი მარჯორი უოშბორნმა... გზაზე მოსიარულე ტიმი დაინახა.*

კარგი, ჩავთვალოთ, რომ ბილი ბატერმანმა გააკეთა ის, რაც გააკეთა, ლადლოუში შვილის სხეულის ჩამოტანიდან ოთხ დღეში. ანდაც, თუკი არგუმენტს ბოლომდე ვამყარებთ, ვთქვათ, რომ სამ დღეში. დავუშვათ, ტიმი მკვდრეთით აღდგა ოცდახუთ ივლისს. გამოდის, ბიჭის სიკვდილიდან მის აღდგომამდე ექვსი დღე იყო გასული. ესეც უხეში დათვლით, თორემ შესაძლოა ათი დღეც ყოფილიყო გასული. გეიჯის სიკვდილიდან კი ჯერ მხოლოდ ოთხი დღეა გასული. დრო გარბის, მაგრამ ჯერ ისევ შესაძლოა ბილი ბატერმანის დროის გაუმჯობესება. საამისოდ კი, აუცილებელია გარემოებების გახსენება. იმ გარემოებებისა, რომელთა დროსაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩერჩი დაიმარხა. ასე არ არის? მაშინ, როცა ჩერჩის მანქანამ დაარტყა, ლუისი შინ მარტო იყო, მთელი მისი ოჯახი კი — ჩიკაგოში. ამ ამბავს მხოლოდ ის და ჯადი შეესწრნენ.

მისი ოჯახი ჩიკაგოში იყო.

ლუისისთვის ეს იყო საბოლოო გადაწყვეტა, რომელმაც გონებაში ტკაცუნის ხმა გამოიწვია.

— რა გინდა? — ჰკითხა გაკვირვებულმა რეიჩელმა.

ათს თხუთმეტი წუთი აკლდა. ეილის უკვე ეძინა. რეიჩელს მეორე აბი „ვალიუმი" მიეღო სამგლოვიარო ტრაპეზის (ესეც რა უაზრო სიტყვათშეთანხმება იყო. უაზრო და პარადოქსული. ისეთივე, როგორიც „პანაშვიდი". გლოვასთან ან ტრაპეზი რა შუაშია და ან სიმშვიდე?) შემდეგ და ლუისის ბანგორიდან დაბრუნებისას, ცოტა არ იყოს, მინავლებულიყო, მაგრამ მისმა სიტყვებმა წამსვე გამოაფხიზლა.

— მინდა, ჩიკაგოში, შენს მშობლებთან წახვიდეთ, — მოთმინებით გაუმეორა ლუისმა, — ისინი ხვალ მიფრინავენ და დროულად თუ შეუკვეთა ბილეთებს, შესაძლოა ერთ რეისზეც მოხვდეთ.

— ლუის, სულ გაგიჟდი? შენი და მამას ჩხუბის მერე...

ლუისმა შენიშნა, რომ სრულიად თავისუფლად საუბრობდა, რაც მას არასოდეს ახასიათებდა. რაღაც უსიამოვნო შვებასაც გრძნობდა და თავს წარმოიდგენდა ამერიკული ფეხბურთის იმ მოთამაშედ, რომელმაც სამოცდაათი იარდი თაჩდაუნამდე ირბინა, გზად კი დაიქნია, ასცდა, მოატყუა რამდენიმე მოწინააღმდეგე. კარგი მატყუარა არასოდეს ყოფილა. ნახევრად ტყუილებიც კი არ გამოსდიოდა, მაგრამ ახლა რეიჩელს ისეთი თავდაჯერებით ესაუბრებოდა, რომ საკუთარი თავის მიმართ სიამაყესაც კი გრძნობდა.

— ჩვენი ჩხუბი ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც მინდა, რომ შენ და ეილი ჩიკაგოში წახვიდეთ. დროა, ძველი ჭრილობა შევახორცოთ, რეიჩელ. ეს... ეს იქ ვიგრძენი, სამგლოვიარო დარბაზში. როცა ჩხუბი დაიწყო, მე მასთან შერიგებას ვაპირებდი.

— მაგრამ ახლა გაფრენა... არა მგონია, კარგი იდეა იყოს, ლუის. ჩვენ შენ გვჭირდები. და შენც გჭირდებით ჩვენ. —

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ რეიჩელმა დაეჭვებული თვალებით შეხედა და დაამატა, — ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, ასეა. თან არც ერთი არ ვართ იმ მდგომარეობაში, რომ ახლა...

— რომ ახლა აქ იყოთ, — შეაწყვეტინა ლუისმა, — მოხარული ვარ, რომ გჭირდები და, რა თქმა უნდა, მეც მჭირდებით შენ და ეილი, მაგრამ ახლა ყველაზე ცუდი ამ წყეულ ადგილზე დარჩენა იქნება, ძვირფასო. ამ სახლში გეიჯი ყველგანაა. ყველა კუთხეში. საშინელებაა ჩემთვისაც და შენთვისაც, მაგრამ, ვფიქრობ, კიდევ უფრო უარესია ეილისთვის.

ლუისმა რეიჩელის თვალებში ტკივილი შენიშნა და მიხვდა, რომ მისმა სიტყვებმა იმოქმედა. ამ იაფფასიანი გამარჯვების გამო შინაგანად რცხვენოდა კიდეც, რადგან რაც კი სიკვდილის შესახებ წიგნები წაეკითხა, ყველგან ნათქვამი იყო, რომ ახლობლის სიკვდილის შემდეგ ადამიანის პირველადი ინსტინქტი მასთან დაკავშირებული ადგილიდან მოშორებაა, რაც სავალალოდ მთავრდება. ამ დროს ადამიანის გონება ახალ რეალობასთან შეგუებაზე უარს ამბობს. წიგნების მიხედვით, უმჯობესია ადგილზე დარჩე და ტკივილს პირისპირ შეებრძოლო. თუმცა, ახლა ლუისი ოჯახში ექსპერიმენტების ჩატარებას არ აპირებდა. მას, უბრალოდ, ცოტა ხნით მარტოობა სჭირდებოდა.

— ვიცი, — თქვა რეიჩელმა, — ის აქ ყველგანაა... იცი, სანამ ბანგორში იყავი, მტვერსასრუტი ჩავრთე... ყურადღების გადატანას ვცდილობდი და... დივანი რომ გამოვწიე, იქ გეიჯის ოთხი სათამაშო მანქანა დამხვდა... თითქოს მას ელოდნენ... როდის მოვიდოდა და ითამაშებდა. — რეიჩელს ხმა აუკანკალდა და მალევე ატირდა. — და მეორე „ვალიუმიც“ იმ დროს მივიღე, რადგან ისევ ავტირდი... როგორც ახლა ვტირი... თითქოს რაღაც სულელური საპნის ოპერისთვის მეყურებინოს. ჩამეხუტე, რა, ლუის... ჩამეხუტები?

ლუისი მონდომებით ჩაეხუტა, თუმცა გონებით მაინც სხვაგან იყო და ამ ცრემლების სათავისოდ გამოყენებაზე ფიქრობდა. *აბა, ჰე, შევუბერეთ.*

— რამდენ ხანს გაგრძელდება? — ამოიქვითინა რეიჩელმა, — ოდესმე დასრულდება? მისი დაბრუნება რომ შემეძ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლოს, ლუის, გეფიცები, უფრო ყურადღებით ვიქნებოდი და მსგავს რაიმეს აღარასოდეს დავუშვებდი. იცი... მართალია, სატვირთოს მძღოლი ძალიან სწრაფად მოდიოდა, მაგრამ მეც... ჩვენც დამნაშავეები ვართ, ლუის. ის კიდევ და კიდევ ბრუნდება... თავს არ მანებებს... სიზმრად ვხედავ, როგორ გარბის გეიჯი... ისევ და ისევ... გზისკენ გარბის და მე ვყვირი...

— ჩშშ, — უთხრა ლუისმა, — ჩშშ, რეიჩელ.

რეიჩელმა შესივებული სახით ახედა, — თავად ხომ არც იცოდა, რომ რაიმე შავდებოდა, ლუის. ეს მისთვის მხოლოდ თამაში იყო... სატვირთო, უბრალოდ, უდროო დროს გამოჩნდა... იცი, სანამ ვტიროდი, მისი დანდრიჯმა დარეკა და... და მითხრა, რომ „ელსუორტ ამერიკანში“ წაუკითხავს, იმ მძღოლს თავის მოკვლა უცდიაო.

— რა?

— ავტოფარეხში უცდია თავის ჩამოხრჩობა. ის შოკში და ღრმა დეპრესიაშია. გაზეთში ეწერა, რომ...

— კარგად ვერ უცდია, მაგის დედაც, — მრისხანედ წამოიძახა ლუისმა, თუმცა საკუთარი ხმა სადღაც შორიდან მოესმა და უეცრად მთელ სხეულში გააცია. — *ამ ადგილს აქვს ძალა, ლუის. ადრე ის სავსე იყო ძალით, შემდეგ შესუსტდა და ვშიშობ, რომ ახლა ისევ ივსება* — ჩემი ბიჭი მკვდარია, ეგ ვაჟბატონი კი თავისუფალია, ახლა თურმე დეპრესიაშიც ჩავარდნილა და თვითმკვლელობა უცდია. საბოლოოდ იმდენს იზამს, რომ მოსამართლე მართვის მოწმობას ოთხმოცდაათი დღით ჩამოართმევს და სასაცილო ოდენობის თანხით დააჯარიმებს.

— მისი ამბობს, რომ ცოლს მიუტოვებია. ბავშვები წაუყვანია და წასულა, — მოქუფრულად განაგრძო რეიჩელმა, — ოღონდ ეს გაზეთიდან არ შეუტყვია. ეილსუორტში ვილაცას იცნობს და მან უთხრა. ის არც მთვრალი ყოფილა, არც ნარკოტიკებთან ჰქონია შეხება. აქამდე სერიოზული დარღვევა საერთოდ არ ჰქონია. ამბობს, რომ ლადლოუში შემოსვლისას თითქოს იგრძნო, რომ პედალისთვის ბოლომდე უნდა დაეჭირა ფეხი. თითქოს რაღაცამ უბიძგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაღაცამ უბიძგა.

ამ ადგილს აქვს ძალა.

ლუისმა ეს ფიქრები გაფანტა და ცოლს მკლავზე ნაზად მოჰკიდა ხელი. — შენს მშობლებს დაურეკე. ახლავე. შენ და ეილი აქ აღარ უნდა გაჩერდეთ.

— უშენოდ არ წავალთ, — თქვა რეიჩელმა, — ლუის, მინდა... მინდა რომ ერთად ვიყოთ.

— სამ-ოთხ დღეში მეც ჩამოვალ, — *თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, რეიჩელსა და ეილის აქ ორმოცდარვა საათში შეეძლებათ დაბრუნება.* — ჯერ სამსახურში ჩემი შემცვლელი უნდა ვიპოვო. შვებულებას ავიღებ ან ბიულეტენზე გავალ, მაგრამ არ მინდა სარენდრა საქმესთან მარტო დავტოვო. ჩვენს არყოფნაში სახლს ჯადი მიხედავს, მაგრამ მანამდე ელექტროენერგია უნდა გავთიშო და საჭმელები დანდრიჯების დიდ მაცივარში გადავიტანო.

— ეილის ბაღი...

— ჯანდაბას ბაღი. სამ კვირაში მაინც მთავრდება. თან ყველამ კარგად იცის ჩვენი მდგომარეობა და ეილისთვის ცოტა ადრე ბაღის დამთავრება პრობლემა არ იქნება.

— ლუის!

— რა? — წამიერად გაჩუმდა ლუისი.

— რას მალავ?

— ვმალავ? — უცოდველი სახე მიიღო ლუისმა, — ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობ.

— მართლა?

— ჰო, მართლა.

— კარგი, დაივიწყე. ჩემებს ახლავე დავურეკავ... თუ მართლა ეს გინდა.

— სწორედ ეგ მინდა, — თქვა ლუისმა და ეს სიტყვები მის გონებაში რაღაც რკინისებრ ექოდ გაისმა.

— შესაძლოა მართლა ასე ჯობდეს... ეილისთვის. — შემდეგ ქმარს ჩაწითლებული, „ვალიუმის“ ეფექტდატყობილი თვალებით გახედა და დაამატა, — აღელვებული მეჩვენები, ლუის. თითქოს რაღაც გაქვს ჩაფიქრებული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ ტელეფონთან მივიდა და სანამ ლუისი პასუხს გასცემდა, იმ მოტელში დარეკა, სადაც მისი მშობლები იყვნენ გაჩერებული.

გოლდმენებს ძალიან გაუხარდათ რეიჩელის ნათქვამი. რა თქმა უნდა, ასეთივე რეაქცია არ ჰქონდათ იმაზე, რომ რამდენიმე დღეში ლუისიც ჩიკაგოში ჩაფრინდებოდა, მაგრამ ამაზე სადარდებელი არ ჰქონდათ, რადგან ლუისი ერთი დღითაც არ აპირებდა ჩიკაგოში ჩაფრენას. ის ეჭვობდა, რომ ასე გვიან, სავარაუდოდ, ავიაბილეთებს ვეღარ იყიდდნენ, თუმცა გაუმართლათ და „დელტას" აღმოაჩნდა ორი ბილეთი ბანგორი-ცინცინატის რეისზე, შემდეგ კი ცინცინატი-ჩიკაგოს რეისზე ვილაცის მიერ გაუქმებული ორი ადგილის ყიდვაც გახდა შესაძლებელი. ასე რომ, რეიჩელი და ეილი გოლდმენებთან ერთად მხოლოდ ცინცინატამდე იფრენდნენ, თუმცა, საბოლოოდ, ჩიკაგოში მხოლოდ ერთი საათის დაგვიანებით ჩავიდოდნენ.

ყველაფერი მაგიურად აეწყო, — გაიფიქრა ლუისმა და ყურმილი დაკიდა. გონებაში კი მომენტალურად ჯადის ხმა გაისმა, — *ადრე ის სავსე იყო ძალით, შემდეგ შესუსტდა და ვშიშობ, რომ ახლა ისევ ივსება.*

აუ, მოდი, დაახვიე, რა, — უხეშად განაგდო ლუისმა ჯადის ხმა. — *საკმარისად ბევრი უცნაურობა გამოვიარე ბოლო ათი თვის განმავლობაში, ჩემო მოხუცო მეგობარო, მაგრამ იმას მაინც ვერ დამაჯერებ, რომ რაღაც მიწის ნაკვეთი ავიაბილეთების ყიდვა-არყიდვაზე მოქმედებს. არა მგონია.*

— წავალ, ჩავალაგებ, — თქვა რეიჩელმა, რომელიც ახლა ლუისის მიერ ტელეფონზე საუბრისას გაკეთებულ ჩანაწერებს კითხულობდა.

— მხოლოდ ერთი დიდი ჩემოდანი წაიღე, — უთხრა ლუისმა.

— რა? — გაოცებით და თვალებგაფართოებულმა შეხედა რეიჩელმა, — ორივესთვის მხოლოდ ერთი? ხუმრობ, ლუის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— კარგი, რამდენიმე ჩანთაც დაამატე, მაგრამ ძალიან ნუ დაიტვირთები სამკვირიანი მოგზაურობისთვის, — თქვა ლუისმა და გაიფიქრა, — *მით უმეტეს, შესაძლოა ლადლოუში მალევე დაბრუნდე.* — სადღაც ერთი კვირის, ათი დღის საკმარი ტანსაცმელი წაიღე. თუ რაიმე დაგჭირდა, ჩეკების წიგნიც გაქვს და საკრედიტო ბარათებიც. რაც დაგჭირდება, იყიდი.

— მაგრამ, ჩვენ იმდენი ფული... — დაეჭვებით წამოიწყო რეიჩელმა. ახლა ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. ძალიან დაბნეული ჩანდა და ლუისს უკვე ის შემთხვევა ახსენდებოდა, როცა მან „უინებაგოს“ ყიდვაზე რაღაც სისულელე წაილუღლუღა.

— გვაქვს ფული, — უთხრა ლუისმა.

— ჰმ... თუ დაგვჭირდა, გეიჯის კოლეჯის ფულის ანგარიშიდან შეგვიძლია ავიღოთ თანხა, რასაც ალბათ გადმოსაფორმებლად ერთი-ორი დღე, გასანაღდებლად კი ერთ კვირამდე დასჭირდება...

რეიჩელს სახე ისევ აუთრთოლდა და ლუისმა მაშინვე გულში ჩაიკრა. რეიჩელი მართალი იყო, ეს არასოდეს დასრულდებოდა. მუდამ და მუდამ მასში იქნებოდა. — რეიჩელ, არ გინდა, — უთხრა ლუისმა, — ნუ ტირი.

თუმცა, რა თქმა უნდა, ტიროდა. სხვა გზა არც ჰქონდა.

სანამ რეიჩელი მეორე სართულზე ბარგს ალაგებდა, ტელეფონმა დარეკა. ლუისი სასწრაფოდ მივარდა, თან ფიქრობდა, რომ ალბათ ახლა „დელტადან“ რეკავდნენ იმის სათქმელად, რომ შეეშალათ და სინამდვილეში ბილეთები აღარ იყო, რადგან შეუძლებელია, ყველაფერი ასე მარტივად დალაგებულიყო.

თუმცა „დელტადან“ არ რეკავდნენ. ეს ირვინ გოლდმენი იყო.

— რეიჩელს დავუძახებ, — უთხრა ლუისმა.

— არა. — ცოტა ხნით აღარაფერი გაუგია. სიჩუმე. *როგორც ჩანს, ახლა ყურმილთან მყოფი გოლდმენი იმას ფიქრობს, თუ რომელი სიტყვით გამოგლანძღოს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა გოლდმენი ისევ ალაპარაკდა, საოცრად დაძაბული ხმა ჰქონდა. თითქოს სიტყვებს დიდი გაჭირვებით წარმოთქვამდა. — შენთან ლაპარაკი მინდა. დორის სურდა, რომ დამერეკა და ბოდიში მომეხადა ჩემი... ჩემი საქციელისთვის. იცი... იცი, მეც მინდოდა, რომ ასე მოვქცეულიყავი, ლუის.

ღმერთო, ირვინ! რა პატივია! გაოცებისგან მგონი ჩავისვარე!

— ბოდიშის მოხდა საჭირო არ არის, — უთხრა ლუისმა. მშრალი და მექანიკური ხმა ჰქონდა.

— შეუძლებელია იმის პატიება, რაც მე ჩავიდინე, — თქვა გოლდმენმა. ახლა, უბრალოდ, წარმოთქმა კი არ უჭირდა, თითქოს ხველებ-ხველებით ისროდა თითოეულ სიტყვას. — შენ გითქვამს, რომ რეიჩელი და ეილი ჩვენთან წამოვიდნენ. ძალიან კარგი კაცი ხარ, ლუის. მე კი... ძალიან ცუდად მოვიქეცი.

ამ ხმაში იყო რაღაც ძალიან ნაცნობი, რასაც ლუისი რამდენიმეწამიანი დაფიქრების შემდეგ მიხვდა. მერე კი სახე ისე დაემანჭა, თითქოს მჟავე ლიმონი ჩაეკბიჩოს. სწორედ ასე ლაპარაკობდა რეიჩელი მაშინ, როცა ისტერიკისთვის ბოდიშს უხდიდა ხოლმე. — ბოდიში, ლუის, საშინლად მოვიქეცი. — ეს იყო ხმა, რომელიც ეკუთვნოდა გამარჯვებულს. რეიჩელს იმ ისტერიკით შედეგისთვის უკვე მიეღწია და შემდეგ ბოდიშს იხდიდა. აი, ასეთივე ხმა ჰქონდა ახლა გოლდმენს. და ახლა იგივე ხმა ამბობდა, — მაპატიე, ნაბიჭვარივით მოვიქეცი, ლუის.

მოხუცი იბრუნებდა შვილს და შვილიშვილს. ისინი მენიდან და მამისგან გარბოდნენ. „დელტას“ და „ამერიკან ეარლაინზის“ დახმარებით ბრუნდებოდნენ იმ ადგილზე, სადაც მათი ყოფნა ირვინ გოლდმენს სურდა. ახლა კი შეეძლო სულგრძელი საუბარი, რადგან ირვინმა კარგად იცოდა, რომ გაიმარჯვა.

აბა, მაშინ უკვე შეგვიძლია დავივიწყოთ, როგორ გეჭიდავე შენი შვილის გვამთან, როგორ დაგაგდე და როგორ გადმოვაყირავე სასახლე, რომლის კლიტეც ოდნავ გაიხსნა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და შენ დაინახე — ან გგონია, რომ დაინახე — ბავშვის ხელი. მოდი, დავივიწყოთ ეს ყველაფერი და წარსულში დავტოვოთ.

რამდენადაც საძაგლად უნდა ჟღერდეს, ირვინ, შე ბებერო გაიძვერა, დიდი სიამოვნებით ვისურვებდი შენს წამიერ სიკვდილს, ეს რომ ჩემს გეგმებს ხელს ძალიან არ უშლიდეს.

— კარგი, საკმარისია, მისტერ გოლდმენ, — ცივად უთხრა ლუისმა, — ეს... ჰმ... ყველასთვის ძალიან მძიმე დღე იყო.

— არ არის საკმარისი, — შეეწინააღმდეგა გოლდმენი და ლუისი მიხვდა — მიუხედავად იმისა, რომ არ სურდა — ახლა გოლდმენი არა მხოლოდ გაიძვერულად ლაპარაკობდა, არა მხოლოდ ჩვეულებისამებრ ნაბიჭვარივით იქცეოდა, არამედ თითქმის ქვითინებდა. საშინლად აკანკალებული და ძალადაკარგული ხმით ლაპარაკობდა. — საშინელი დღე იყო და ჩემი დამსახურებით ის კიდევ უარესი გახდა. სულელი, ტვინგამორეცხილი ბებერი ვარ. მე გული დავწყვიტე ჩემს გოგოს მაშინ, როცა მას ყველაზე მეტად ვჭირდებოდი... და ასევე მოგექეცი შენც, რომელსაც, ალბათ ასევე გჭირდებოდი, ლუის. მერე ამას მოჰყვა შენი საქციელი, მერე იმას ჩემი და... სრული ქაოსი მივიღეთ. ყველაფერი ჩემი ბრალია და მგონი, მართალი ვარ, ასე რომ ვფიქრობ.

ოჰ, კარგი, შეწყვიტე, რა. საკმარისია, თორემ ყვირილს დავიწყებ და ყველაფერს კიდევ უფრო ავრევ.

— ალბათ რეიჩელი გეტყოდა — ჩვენ მეორე გოგოც გვყავდა...

— ზელდა, — თქვა ლუისმა, — კი, მითხრა ზელდას შესახებ.

— ძალიან გაგვიჭირდა, — ათრთოლებული ხმით თქვა გოლდმენმა, — ყველას ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ განსაკუთრებით ალბათ რეიჩელს, რომელიც ზელდას სიკვდილის დროს შინ იყო. ცუდ დღეში ვიყავით მე და დორიც. დორის კინაღამ ნერვული აშლილობა დაემართა.

და გგონია, რეიჩელს არ დამართნია? მერე რა, რომ ბავშვი იყო? იმ ამბის შემდეგ ოცი წელი გავიდა და სიკვდილის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხსენებაზე დღემდე ჭკუაზე იშლება. ახლა ამას დაემატა ეს საშინელება. ჩვენი ბავშვი. პატარა სასწაულია, ამ ყველაფრის შემდეგ რეიჩელი წვეთოვანზე მიერთებული საავადმყოფოში რომ არ წევს. ჰოდა, მოდი, შენი და შენი ცოლის დარდზე ნურაფერს მეუბნები, რა, ნაბიჭვარო.

— ზელდას სიკვდილის შემდეგ ჩვენ... როგორც ჩანს, ზედმეტად გადავეფარეთ რეიჩელს... ყოველთვის მის დაცვას ვცდილობდით... ცხოვრების მის სასარგებლოდ წარმართვა გვინდოდა... ალბათ... მთელი ამ წლების განმავლობაში დანაშაულის გამოსწორებას ვცდილობდით, არ გვასვენებდა ფიქრი, რომ მაშინ მის გვერდით არ ვიყავით.

დიახ, ახლა მოხუცი ნამდვილად ტიროდა. რატომ აკეთებდა ამას? ამის გამო ლუისს უჭირდა ზიზღის გამოხატვა. უჭირდა, მაგრამ მაინც ახერხებდა. თვალწინ ისევ ის სცენა ედგა, ირვინ გოლდმენი რომ ჯიბიდან ყოვლისშემძლე ჩეკების წიგნს იღებდა... თუმცა უეცრად მის უკან ფონად ზელდა გოლდმენის მოჩვენებასავით სახება ჩნდებოდა, რომელიც ლოგინში იწვა, სახე ყველს მიუგავდა, სრული აგონიითა და ღვარძლით იყო მოცული, ხელები კი კლანჭებად ჰქცეოდა. გოლდმენების მოჩვენება. *ოზი — დიდებული და საზალელი.*

— გთხოვთ, — უთხრა ლუისმა, — მისტერ გოლდმენ. ირვინ. გთხოვთ, შეწყვიტოთ. საქმეს კიდევ უფრო ნუ გააუარესებთ, კარგი?

— ახლა მჯერა, რომ კარგი კაცი ხარ, მე კი უსამართლოდ გექცეოდი, ლუის. გთხოვ, მომისმინო. კარგად ვიცი, რასაც ფიქრობ. სულელი არ ვარ. არა, ვარ, მაგრამ ასეთი არა. ფიქრობ, ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ჩემსას უკვე მივაღწიე, ჩემი შვილი და შვილიშვილი ჩემთან ბრუნდებიან და ახლა საუბარი მიადვილდება, არა? მაგრამ... მაგრამ, ლუის... გეფიცები...

— საკმარისია, — თავაზიანად მიუგო ლუისმა, — არ შემიძლია... ამ ყველაფერს ხელახლა ველარ გადავიტან, — ახლა მასაც უკანკალებდა ხმა. — კარგი?

— კარგი, — უთხრა გოლდმენმა და ამოიხვნეშა. ლუისმა იგრძნო, რომ ეს შვების ხვნეშა იყო. — მაგრამ ერთი რამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათქმევინე. ჩემი ბოდიში უნდა მიიღო. სწორედ ამისთვის დავრეკე, ლუის. ბოდიშს გიხდი.

— კარგი, — უთხრა ლუისმა და თვალები დახუჭა. თავი საშინლად სტკიოდა, — გმადლობ, ირვინ. შენი ბოდიში მიღებულია.

— გმადლობ, — უთხრა გოლდმენმა, — და გმადლობ... ჩვენთან რომ გამოუშვი. ალბათ ახლა ორივეს სწორედ ეს სჭირდება. ჩვენ მათ აეროპორტში დაველოდებით.

— კარგი, — თქვა ლუისმა და უეცრად ერთი გიჟური, მაგრამ, თავის უცოდველობით, მიმზიდველი აზრი დაებადა. იქნებ უმჯობესი იყო შეშვებოდა გეიჯს და დაეტოვებინა, სადაც იწვა, იმ საფლავში. მისი სასახლის გახსნის ნაცვლად კი მაგრად ჩაეკეტა და გასაღები გადაეგდო. შემდეგ, როგორც ცოლს უთხრა, ლადლოუში საქმეებს მოაგვარებდა და ჩიკაგოში ოჯახთან ჩავიდოდა. იქნებ მთელი ზაფხულიც იქ გაეტარებინათ. ივლიდნენ ზოოპარკებსა და პლანეტარიუმებში, ტბაზე ნავით იცურებდნენ. მერე ეილის სიერზ ტაუერის[1] ბოლო სართულზე აიყვანდა და მდიდრულ და ლამაზ სათამაშო დაფას დამსგავსებულ შუადასავლეთის ხედს აჩვენებდა. სადღაც შუა აგვისტოსკენ უკან დაბრუნდებოდნენ ამ სახლში, რომელიც ახლა ასეთი მოწყენილი და დაბინდული ჩანდა და იქნებ ყველაფრის თავიდან დაწყებაც მოეხერხებინათ. იქნებ ახალი ფურცლის გადაშლაც შესძლებოდათ და სისხლშემხმარი გვერდები უკან მოეტოვებინათ. თუმცა ხომ არ ნიშნავდა ეს შვილის მოკვლას? ხელმეორე მკვლელობას? ღრმა შინაგანი ხმა პასუხობდა, რომ არა, მაგრამ ლუისი არ უსმენდა. ამ ხმას მყისიერად ახშობდა.

— ირვინ, უნდა წავიდე. ვნახო, რეიჩელმა ყველაფერი ჩაალაგა თუ არა და მერე დავაძინო.

— კარგი. ნახვამდის, ლუის. და კიდევ ერთხელ...

თუ ისევ ბოდიშს მომიხდის, მართლა ვუყვირებ.

— ნახვამდის, ირვინ. — უთხრა ლუისმა და ყურმილი დაკიდა.

---

[1] *110-სართულიანი ცათამბჯენი ჩიკაგოში.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზევით ავიდა. რეიჩელს მთელი ოთახი თავდაყირა დაეყენებინა. კოფთები ლოგინებზე გადმოეფინა, ლიფები სკამების საზურგეებზე, შარვლები კარზე მიმაგრებულ საკიდებზე, ფეხსაცმელები ჯარისკაცების მსგავსად ჩამწკრივებულიყვნენ ფანჯრის ქვეშ. რეიჩელი ნელა, მაგრამ მეთოდურად ალაგებდა. ლუისი კი ამჩნევდა, რომ ამ ყველაფერს სამი (შესაძლოა ოთხიც) ჩემოდანი მაინც დასჭირდებოდა, თუმცა ახლა რეიჩელთან შეკამათებას არ აპირებდა. პირიქით, დაეხმარა კიდეც.

— ლუის, — უთხრა რეიჩელმა, როცა ბოლო ჩემოდანიც (რომლის დასაკეტადაც ლუისს ზედ დაჯდომამ მოუწია) შეკრეს, — დარწმუნებული ხარ, რომ ჩემთვის არაფრის თქმა არ გინდა?

— ღვთის გულისათვის, ძვირფასო, რას გულისხმობ?

— არ ვიცი, — დამფრთხალი ხმით უპასუხა რეიჩელმა, — ამიტომაც გეკითხები.

— რა გგონია, რას ვაპირებ? ბორდელებში ვივლი თუ მოხეტიალე ცირკს შევუერთდები? რას ფიქრობ?

— არ ვიცი, მაგრამ ეს ყველაფერი რაღაც არასწორია. თითქოს ჩვენი თავიდან მოშორება გინდა.

— წარმოუდგენელია, რეიჩელ! — წამოიძახა ლუისმა შეშფოთებულმა იმით, რომ ასე მარტივად გამოიჭირეს. ასეთ მძიმე მომენტებშიც კი ამგვარი უსიამოვნო შეგრძნება თავს არ ანებებდა.

რეიჩელმა უხერხულად გაუღიმა. — ტყუილები არასოდეს გამოგდიოდა, ლუ.

ლუისმა ისევ სცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ რეიჩელმა გააწყვეტინა.

— ეილის ესიზმრა, რომ მოკვდი, — უთხრა რეიჩელმა, — გუშინ ღამით ტირილით გაეღვიძა. ორი-სამი საათი მასთან მეძინა და შენთან ამის შემდეგ დავბრუნდი. სიზმარში უნახავს, როგორ იჯექი სამზარეულოს მაგიდასთან და თვალები ღია გქონდა, მაგრამ ის ხვდებოდა, რომ მკვდარი იყავი. კიდევ მითხრა, რომ გაიგონა, როგორ ყვიროდა სტივ მასტერტონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა უნდობლად გახედა. — რეიჩელ, — თქვა ბოლოს, — მისი ძმა ცოტა ხნის წინ მოკვდა. სრულიად ნორმალურია, რომ ესიზმრებოდეს ოჯახის სხვა წევრების სიკვდილი...

— ჰო, მაგას ჩემითაც ვხვდები, მაგრამ ყველაფერი ისეთ დეტალებში აღწერა, რომ... თითქოს ხილვა ჰქონოდეს.

რეიჩელმა შეუმჩნევლად ჩაიცინა. — ან, უბრალოდ, ძალიან მდიდარი ფანტაზია აქვს.

— ჰო, ეგეც შეიძლება, — უთხრა ლუისმა.

თითქოს ხილვა ჰქონოდეს.

— ჩემთან ერთად დაწექი, — უთხრა რეიჩელმა, — „ვალიუმის“ მოქმედებამ გაიარა და მეშინია. არ მინდა ისევ კოშმარები...

— კოშმარებში რას ხედავ?

— ზელდას, — მარტივად უპასუხა რეიჩელმა, — გეიჯის სიკვდილის შემდეგ, ბოლო რამდენიმე დღეა, როგორც კი ვიძინებ, ზელდაც იქვე მხვდება. მეუბნება, შენს წასაყვანად მოვედი და გაემზადეო. მე და გეიჯი წაგიყვანთ, რადგან ჩვენს, ორივეს სიკვდილში გირევია ხელიო.

— რეიჩელ, ეს...

— ვიცი, უბრალოდ, სიზმარია და ეს ნორმალურიცაა, მაგრამ კოშმარები არ მასვენებს და რა ვქნა, ლუის. ამიტომ მინდა, რომ ჩემთან ერთად დაიძინო.

სიბნელეში ერთმანეთს მაგრად მიკრულები, ლუისის მხარეს იწვნენ.

— გღვიძავს, რეიჩელ?

— კი.

— რაღაც მინდა გკითხო.

— მიდი.

ლუისმა პაუზა აიღო, რადგან არ სურდა ამ შეკითხვით რეიჩელისთვის კიდევ უფრო მეტი ტკივილი მიეყენებინა.

— გახსოვს, ცხრა თვისამ ძალიან რომ შეგვაშინა? — ჰკითხა ბოლოს.

— კი, რა თქმა უნდა, მახსოვს. რატომ მეკითხები?

იმ დროს, როდესაც გეიჯს ცხრა თვე შეუსრულდა, ლუისი ძალიან შეაშფოთა მისი თავის განსაკუთრებულად დიდმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზომებმა, რომლებიც ყველა პარამეტრით აღემატებოდა ამ ასაკში ბავშვის თავის ქალისთვის დადგენილ სტანდარტებს. თავდაპირველად ყველაფერი ნორმირებულად მიდიოდა, ოთხი თვიდან კი გეიჯის თავის ქალამ მაქსიმალურ ზღვრულ ზომას მიაღწია და გადააჭარბა კიდეც. თავად გეიჯს არაფერი აწუხებდა — წინააღმდეგ შემთხვევაში, ლუისი ამას მაშინვე მიხვდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ლუისმა ბავშვი მაინც მიიყვანა დოქტორ ჯორჯ ტარდიფთან, რომელიც შუადასავლეთის ალბათ საუკეთესო ნევროლოგი იყო. რეიჩელი დაინტერესდა საქმის ვითარებით, ლუისს კი მისთვის სიმართლე არ დაუმალავს. შიშობდა, რომ გეიჯს ჰიდროცეფალია სჭირდა. რეიჩელს სახე წამიერად გაუფითრდა, მაგრამ სიმშვიდე შეინარჩუნა.

— მე ვერაფერს უჩვეულოს ვერ ვამჩნევ, — თქვა რეიჩელმა.

ლუისმა თავი დაუქნია. — ვერც მე, მაგრამ მაინც მინდა თავი დავიზღვიო, პატარავ.

— არა, მართალი ხარ, — თქვა რეიჩელმა, — უნდა დავიზღვიოთ.

ტარდიფმა გეიჯის თავის ზომები აიღო და მოიღუშა. შემდეგ თვალებთან ორი თითი მიუტანა და გეიჯსაც გაეცინა. ტარდიფმა გაიღიმა. ლუისს ოდნავ გულზე მოეშვა. შემდეგ ექიმმა გეიჯს ბურთი მისცა. გეიჯმა ბურთი დაიჭირა და მალევე ძირს დააგდო. ტარდიფმა ბურთი აიღო და მის ხტუნაობას მოჰყვა. თან გეიჯს თვალებზე აკვირდებოდა. გეიჯი ბურთის მოძრაობას მზერას აყოლებდა.

— ვიტყოდი, რომ ჰიდროცეფალიის არსებობა ორმოცდაათი ორმოცდაათზეა, — თქვა მოგვიანებით ტარდიფმა თავის კაბინეტში, — არა... შესაძლოა შანსი უფრო მეტიც იყოს, მაგრამ თუკი დაავადება არსებობს, მხოლოდ მცირედი ფორმით. ახლებური მეთოდებით ვმკურნალობთ და შუნტირებით ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია.

— შუნტირება — ანუ ტვინის ქირურგიული ოპერაცია, — თქვა ლუისმა.

— ძალიან პატარა ოპერაცია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორც კი გეიჯის თავის ზომებზე შეშფოთდა, ლუისი მაშინვე შეუდგა ამ საკითხის შესწავლას და შუნტირების ოპერაციაც იცოდა, რა იყო. ზედმეტი სითხის ამოღების ოპერაცია კი მას ძალიან პატარად სულაც არ ეჩვენებოდა, თუმცა მაინც მადლიერი იყო, რომ ეს გზა არსებობდა.

— რა თქმა უნდა, — განაგრძო ტარდიფმა, — იმის ალბათობაც დიდია, რომ თქვენს შვილს, უბრალოდ, ასაკთან შეუსაბამოდ დიდი თავი აქვს და ამიტომ, ვფიქრობ, დასაწყისისთვის კომპიუტერული ტომოგრაფია გადავუღოთ. არ მეთანხმებით?

ლუისმა თავი დაუქნია.

გეიჯმა ის ღამე ქველმოქმედთა საავადმყოფოში გაატარა, სადაც ზოგადი ანესთეზია გაუკეთეს, მეორე დღეს კი გიგანტური ტანსაცმლის საშრობის მსგავს დანადგარში შეიყვანეს. რეიჩელი და ლუისი პირველ სართულზე იცდიდნენ, ეილი კი იმ დღეს ბებია-ბაბუასთან იყო და ბაბუის ახალ ვიდეოპლეიერზე მთელი დღე გადაბმულად „სეზამის ქუჩას“ უყურებდა. ლუისისთვის ოპერაციის პერიოდი საშინლად გაიწელა, რა დროსაც წარმოიდგინა მოვლენების ყოველგვარი ნეგატიური განვითარება — სიკვდილი ზოგადი ანესთეზიის ქვეშ, სიკვდილი შუნტირების ოპერაციის დროს, ჰიდროცეფალიით გამოწვეული ჭკუასუსტობა, ამავე მიზეზით გამოწვეული სავალალო ჭკუასუსტობა, ეპილეფსია, სიბრმავე... და კიდევ უამრავი სხვა შესაძლებლობა. *ყველა უბედურების დეტალურად გასაცნობად მიმართეთ ოჯახის ექიმს.* — გაიფიქრა ლუისმა.

ტარდიფი მოსაცდელ ოთახში ხუთი საათისკენ ჩამოვიდა. მას ხელში სამი სიგარა ეჭირა. ერთი ლუისს ჩასჩარა პირში, მეორე რეიჩელს (რეიჩელმა გაოცებისგან წინააღმდეგობის გაწევაც ველარ შეძლო), ერთიც თავად ჩაიდო.

— ბავშვი კარგად არის. ჰიდროცეფალია გამოირიცხა.

— ამ რაღაცაზე მომიკიდეთ, — ერთდროულად სიცილით და ქვითინით თქვა რეიჩელმა, — მანამდე მოვწევ, სანამ გული არ ამერევა.

მოღიმარმა ტარდიფმა სიგარაზე მოუკიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღმერთი მას მეთხუთმეტე გზისთვის ინახავდა. — ფიქრობდა ახლა ლუისი.

— რეიჩელ, მას რომ ჰიდროცეფალია ჰქონოდა და შუნტირებას არ ემოქმედა... მაინც ძველებურად გეყვარებოდა?

— რა უცნაური შეკითხვაა, ლუის!

— გეყვარებოდა?

— რა თქმა უნდა, კი. გეიჯი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მეყვარებოდა.

— თუნდაც ჭკუასუსტი ყოფილიყო?

— კი.

— და მის კლინიკაში გაგზავნას არ მოისურვებდი?

— არა. არა მგონია, — დინჯად თქვა რეიჩელმა, — ალბათ, სათანადო კლინიკით უზრუნველყოფის ფული გვექნებოდა... შენი დღევანდელი შემოსავლით... საკმაოდ კარგ ადგილსაც ვნახავდით, მაგრამ... ვფიქრობ, მაინც არ გავუშვებდი... რატომ მეკითხები, ლუის?

— ალბათ იმიტომ, რომ ისევ შენს დაზე ვფიქრობდი, — თქვა ლუისმა. ლუისს უკვირდა, იმდენად მარტივად საუბრობდა, — ნეტავ გადაიტანდი კიდევ ერთხელ ამ ყველაფერს?

— ეს იგივე არ იქნებოდა, — თქვა რეიჩელმა და თითქმის მხიარული ხმა გაუხდა, — გეიჯი იყო... როგორ გითხრა, გეიჯი იყო გეიჯი. ჩვენი შვილი. დიდი განსხვავებაა. რა თქმა უნდა, გამიჭირდებოდა... ალბათ... მაგრამ... შენ რა, გაუშვებდი, მაგალითად, პაინლენდში?

— მოდი, დავიძინოთ.

— კარგი აზრია.

— მგონი, ახლა ძილს შევძლებ, — თქვა რეიჩელმა, — მინდა ეს დღე უკან მოვიტოვო.

— დაე, ასე იყოს, — თქვა ლუისმა.

მოგვიანებით კი ნამძინარევი ხმით რეიჩელმა თქვა, — მართალი ხარ, ლუის... მხოლოდ სიზმრები და წარმოდგენები...

— რა თქმა უნდა, — თქვა ლუისმა და ცოლს ყურის ბიბილოზე აკოცა, — დაიძინე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითქოს ხილვა ჰქონოდეს.

ლუისი კარგა ხანს ვერ იძინებდა და ფანჯარაში გაშიშვლებულ ძვალს დამსგავსებულ მთვარეს უყურებდა.

43

დღე ღრუბლიანი, მაგრამ ძალიან თბილი გამოდგა. სანამ ლუისი რეიჩელის და ეილის ჩანთებს არეგისტრირებდა და ბილეთებს აბეჭდვინებდა, სულ მთლად გაიოფლა. ხვდებოდა, რომ ახლა სულ მცირედი საქმეც მისთვის დიდი შვების მომტანი იყო, რაც ოჯახის ბოლო ჯერზე ჩიკაგოში მადლიერების დღისთვის გაგზავნის მოგონებით გამოწვეულ ტკივილს მცირედით მაინც უნაზღაურებდა. ეილი დილიდან უცნაურად ჩაფიქრებული ჩანდა. ლუისმა მის სახეზე რამდენჯერმე შენიშნა საოცრად შორეული, ჩაძირული მზერა.

უკვე ყველაფერს კონსპირატორივით აკვირდები, მეგობარო, — უთხრა საკუთარ თავს. ეილის ხმა არ გაუღია, როდესაც დედიკომ უთხრა, შეიძლება მთელი ზაფხული ჩიკაგოში დავრჩეთო. უსიტყვოდ მიირთვა საუზმე („კოკა ბეარზი"), საუზმის შემდეგ კი მეორე სართულზე ავიდა და რეიჩელის მიერ მისთვის გამზადებული კაბა და ფეხსაცმელები ჩაიცვა. აეროპორტში ციგაზე მჯდომი გეიჯის ფოტოთი წავიდა და ახლა, სანამ ლუისი ბილეთების რიგში იდგა, ხოლო აეროპორტის დინამიკებში გაფრენა-ჩამოფრენის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებდნენ, ეილი კვლავაც მდუმარედ იჯდა პლასტმასის პატარა სკამზე.

მისტერ და მისის გოლდმენები აეროპორტში ფრენამდე ორმოცი წუთით ადრე მოვიდნენ. ირვინ გოლდმენი (რომელიც აშკარად არ გაოფლილა) ელეგანტურად გამოიყურებოდა ქიშმირის პალტოში, რომელიც სამოცგრადუსიან ტემპერატურას, ცოტა არ იყოს, არ შეესაბამებოდა. ის „ეივისის" დახლთან მივიდა და მანქანა დააბრუნა. ამასობაში კი დორი გოლდმენი რეიჩელთან და ეილისთან იჯდა.

ლუისი და გოლდმენი დანარჩენებს ერთდროულად შეუერთდნენ. ლუისი შიშობდა, რომ დაიწყებოდა „ჩემო შვილო,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩემო კარგო“ და მსგავსი ტიპის მისალმებები, მაგრამ შეცდა. გოლდმენს თავი მტკიცედ ეჭირა და მხოლოდ მსუბუქი ხელის ჩამორთმევითა და მისალმებით შემოიფარგლა. მის თვალებში წამიერად გამოკრთა დარცხვენილი მზერა, ლუისმა ეს შენიშნა და მიხვდა — *გოლდმენი წინა ღამით მთვრალი უნდა ყოფილიყო.*

მეორე სართულზე ესკალატორით ავიდნენ და ჩასხდომის დარბაზში დასხდნენ. ხმას თითქმის არავინ იღებდა. დორი გოლდმენი ხელში ნერვიულად ატრიალებდა ერიკა იონგის წიგნს, თუმცა არ შლიდა. შიგადაშიგ ნერვიულად, ცალი თვალით ეილის ფოტოს უყურებდა.

ლუისმა შვილს ჰკითხა, ხომ არ სურდა წიგნების მაღაზიაში გავლა და თვითმფრინავში წასაკითხად რაიმეს ყიდვა. ეილიმ ისევ იმ იჭვნეული მზერით გახედა. ლუისს ეს არ მოსწონდა. პირიქით, ძალიან აღელვებდა.

— ბებო და ბაბუ არ გააბრაზო, კარგი? — უთხრა ლუისმა, სანამ მაღაზიისკენ მიდიოდნენ.

— კარგი, — თქვა ეილიმ, — მამიკო, მართალია, რომ პოლიციელი დამიჭერს? ენდი პასიოკა ამბობს, რომ ბავშვებს, რომლებიც ბაღს აცდენენ, სპეციალური პოლიციელი იჭერს.

— მაგაზე არ იდარდო. ბაღში საქმეს მე მოვაგვარებ. შემოდგომაზე უკვე სკოლაში წახვალ.

— იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, — თქვა ეილიმ, — სკოლაში აქამდე არასოდეს ვყოფილვარ. მხოლოდ ბაღში. არც ვიცი, რას აკეთებენ ბავშვები სკოლაში. ალბათ საშინაო დავალებებს წერენ, ხომ?

— ყველაფერი კარგად იქნება.

— ბაბუაზე ისევ აღრენილი ხარ, მამიკო?

ლუისმა გაოცებით შეხედა. — საიდან მოიტანე, რომ ბაბუა... არ მომწონს?

ეილიმ მხრები აიჩეჩა და ისევ იმ მზერით ახედა. — როცა მასზე ლაპარაკობ, თითქოს ყოველთვის აღრენილი ხარ.

— ეგ ცუდი სიტყვაა, ეილი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ბოდიში.

ეილიმ ძალიან უჩვეულო, გულის გამგმირავი მზერით გახედა, შემდეგ კი საბავშვო წიგნებს დაუწყო თვალიერება — გადმოიღო მერსერ მაიერი და მორის სენდაკი, რიჩარდ სკერი და ბეატრის პოტერი. აგრეთვე, საქვეყნოდ ცნობილი დოქტორი ზეუსი. *საიდან ხვდებიან ასეთ რაღაცებს? ან ეილი საიდან მიხვდა? რამდენი რამ იცის? როგორ მოქმედებს ეს ყველაფერი მასზე? რა იმალება შენი ფერმკრთალი სახის მიღმა, ეილი? აღრენილი... ღმერთო!*

— შეიძლება ეს ავიღო? — ეილის დოქტორ ზეუსის გამოცემასთან ერთად ხელში ეჭირა კიდევ ერთი წიგნი, რომელიც ლუისს ბავშვობის შემდეგ აღარ უნახავს. ამბავი პატარა შავი სამბოს შესახებ, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს თავისი ლამაზი სამოსი ვეფხვებს გადასცა. *აღარ მეგონა, თუ კიდევ ბეჭდავდნენ,* — გაუკვირდა ლუისს.

— შეიძლება, — უთხრა ეილის და ორივენი სალაროს მოკლე რიგში ჩადგნენ. — მე და შენს ბაბუას მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს. — თქვა და გაახსენდა დედამისის ნათქვამი იმის შესახებ, რომ თუ ქალს მართლა უნდა ბავშვი, ის აუცილებლად „იპოვის“ მას. შემდეგ კი მოაგონდა სულელური დაპირებები იმის შესახებ, რომ შვილებს არასოდეს მოატყუებდა.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ის საკმაოდ მოხერხებულ მატყუარად იქცა, თუმცა ახლა ამაზე ფიქრი არ სურდა.

— ოჰ. — თქვა ეილიმ და გაჩუმდა.

სიჩუმის დროს ლუისმა თავი ცუდად იგრძნო. სიჩუმის დასარღვევად კი თქვა, — აბა, როგორ გგონია, გაერთობი ჩიკაგოში?

— არა.

— არა? რატომ?

ეილიმ უკვე ნაცნობი უსიამოვნო მზერით ახედა. — მეშინია.

ლუისმა შვილს თავზე ხელი დაადო. — რისი გეშინია, საყვარელო? თვითმფრინავის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— არა, — უპასუხა ეილიმ, — არ ვიცი, რისი მეშინია, მამიკო. წუხელ დამესიზმრა, რომ გეიჯის გასვენებაში ვიყავით, მერე ვიღაც სასაფლაოს კაცმა სასახლეს თავი ახადა და ის ცარიელი იყო. კიდევ დამესიზმრა, როგორ ვუყურებდი გეიჯის ლოგინს და ისიც ცარიელი იყო, თუმცა სულ მთლად დასვრილი.

ლაზარე, გამოდი.

და პირველად ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ლუისს გაახსენდა პასკოუს სიკვდილის შემდეგ ნანახი სიზმარი, როდესაც გამოღვიძებულზე ფეხები ტალახსა და წიწვებში ჰქონდა ამოგანგლული.

ლუისს თმა ყალყზე დაუდგა.

— უბრალოდ, სიზმრებია, — უთხრა ეილის. მისი ხმა, როგორც იქნა, სრულებით ნორმალურად ჟღერდა, — მალე გაივლის.

— ნეტავ ჩვენთან ერთად მოდიოდე. ან ჩვენ ვრჩებოდეთ. არ შეიძლება, რომ დავრჩეთ, მამიკო? გთხოვ, რა! არ მინდა ბებოსთან და ბაბუსთან... უბრალოდ, მინდა დავრჩე და სკოლაში წავიდე. კარგი?

— ცოტა ხნით მიდიხარ, ეილი, — უთხრა ლუისმა, — მე აქ... — ხმა გაუწყდა, — რაღაც საქმეებს მოვაგვარებ და მალე შენთან ვიქნები. მერე კი ერთად მოვიფიქროთ, რას გავაკეთებთ.

ელოდა, რომ ეილი შეეწინააღმდეგებოდა. შესაძლოა, მისი ჩვეული პანიკის მომსწრეც გამხდარიყო. თუმცა ეილის სიჩუმე იყო ძალიან ღრმა და იდუმალი. ლუისს სურდა კიდევ ეკითხა რაიმე, მაგრამ ვერ ბედავდა. თან უკვე გაეგო ბავშვისგან იმაზე მეტი, ვიდრე სურდა.

ის და ეილი ჩასხდომის დარბაზში მალევე დაბრუნდნენ. მათი ფრენა გამოცხადდა და რიგშიც ჩადგნენ. ლუისი ცოლს ჩაეხუტა და მაგრად აკოცა.

რეიჩელი ცოტა ხნით მოეხვია და შემდეგ უკან გაიწია. ლუისი დაიხარა და ეილის ლოყაზე აკოცა.

ეილიმ თავისი პირქუში თვალები შეანათა. — არ მინდა წასვლა, — თქვა, თუმცა ისე ჩუმად, რომ ერთმანეთში მო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბუტბუტე მგზავრების ხმაში ლუისმა ვერაფერი გაიგო. — არც დედიკო მინდა, რომ წავიდეს.

— კარგი რა, ეილი, — უთხრა ლუისმა, — კარგად იქნები.

— მე კი ვიქნები, მაგრამ შენ? შენ როგორ იქნები, მამიკო?

რიგი დაიძრა, ხალხი უკვე „ბოინგ 727“-ზე ადიოდა. რეიჩელმა ეილის ხელი მოჰკიდა, მაგრამ ბავშვმა წინააღმდეგობა გაუწია. ადგილიდან არ იძვროდა და მამამისს თვალს არ აშორებდა. ლუისმა გაიხსენა ბოლო შემთხვევა, როცა ეილი ასე გაჯიუტდა და ამას საშინელი ტირილი მოჰყვა.

— მამიკო!

— მიდი, ეილი, გთხოვ.

რეიჩელმა ეილის შეხედა და პირველად შენიშნა მისი მოქუფრული, ბნელი მზერა. — ეილი? — თქვა გაოცებულმა და, ლუისის აზრით, შეშინებულმა, — რიგს აყოვნებ, საყვარელო.

ეილის ტუჩები აუთრთოლდა და გაუთეთრდა. შემდეგ რიგის მიმართულებით დაიძრა, ხოლო როცა ლუისს გამოხედა, სახეზე ენით აღუწერელი საშინელება გამოსახოდა. ლუისმა ყალბი მხიარულებით დაუქნია ხელი, მაგრამ ეილის არ უპასუხია.

44

ლუისმა ბანგორის საერთაშორისო აეროპორტი ცივი გონებით დატოვა. საკუთარ განზრახვაში უკვე საბოლოოდ იყო დარწმუნებული. ამაში ეხმარებოდა ის მახვილი გონება, რომლის წყალობითაც სამედიცინო კოლეჯი ძირითადად სტიპენდიებით დაამთავრა და არა ცოლის მიერ კაფეში (კვირაში ექვსი დღე, ხუთიდან თერთმეტ საათამდე) გამომუშავებული ხელფასით. ლუისს ჰქონდა დეტალების კვლევის შესანიშნავი ნიჭი და ახლაც ისევე ემზადებოდა, როგორც კოლეჯის გამოცდების წინ. ამჟამად ცხოვრების ყველაზე დიდი გამოცდა უნდა ჩაებარებინა და თან უეჭველად ფრიადზე.

ლუისი ჩავიდა პატარა ქალაქ ბრუერში, რომელიც პინებსკოტის მეორე ნაპირზე მდებარეობდა. ჩავიდა და ავტომან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქანა „უოტსონის სამეურნეო მაღაზიის“ მოპირდაპირე მხარეს დააყენა.

— რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— ფანარი მინდა, — თქვა ლუისმა, — უმჯობესია კუთხოვანი, ოლონდ ზედ რაიმე ხუფი რომ ჰქონდეს.

გამყიდველი პატარა გამხდარი კაცი იყო მაღალი შუბლითა და წვრილი თვალებით. ახლა იღიმოდა, მაგრამ ამ ღიმილს სასიამოვნო არ ეთქმოდა. — ბრაკონიერობას ვაპირებთ, მეგობარო?

— უკაცრავად?

— ამ ღამით ირმებზე ბრაკონიერობას აპირებთ-მეთქი?

— სულაც არა, — უემოციოდ უპასუხა ლუისმა, — სამაგისო ლიცენზია არ მაქვს.

გამყიდველი შეცბა, მაგრამ გადაწყვიტა, გაეცინა.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემს საქმეს მივხედო, არა? მაშ, კარგი. მოკლედ, ხუფიანი მხოლოდ აი, ის დიდი ფანრები გვაქვს, მაგრამ შეგიძლიათ ფეტრის ნაჭერი იყიდოთ და ფანრისთვის ხვრელი გაუკეთოთ. ეგეც თქვენი ხუფი.

— მგონი, ეგრე ვიზამ, — თქვა ლუისმა, — გმადლობთ.

— არაფერს. კიდევ რაიმეს ხომ ინებებთ?

— კი, ნამდვილად. მჭირდება ნიჩაბი, წერაქვი და ბარი. ნიჩაბი მოკლე ტარით, ბარი გრძელით. ასევე, რვა ფუტის თოკი, სამუშაო ხელთათმანები და ბრეზენტის ნაჭერი ზომებით — რვა რვაზე.

— ყველაფერი მაქვს, — უთხრა გამყიდველმა.

— კანალიზაციისთვის ორმო მაქვს ამოსათხრელი, — თქვა ლუისმა, — და, როგორც ჩანს, ზონურ ხაზებს ვარღვევ. ჩემი მეზობლები კი ბევრს ლაპარაკობენ. არა მგონია, ფანრის დამალვამ მიშველოს, მაგრამ მაინც ვცდი-მეთქი. ალბათ ჯარიმა არ ამცდება.

— ოჰოჰ, — თქვა გამყიდველმა, — ისეთ საქმეში ჩაბმულხართ, მგონი, ცხვირისთვის ერთი სარჭიც არ გაწყენდათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა სავალდებულოდ გაიცინა, შენაძენებში, საერთო ჯამში, ნაღდი ფულით ორმოცდათვრამეტი დოლარი და სამოცი ცენტი გადაიხადა.

საწვავის ფასის მატებასთან ერთად კრიდები თავიანთ ფურგონიან მანქანას უფრო და უფრო იშვიათად იყენებდნენ. თან საბურავებიც გამოსაცვლელი ჰქონდა, მაგრამ ლუისი ხელოსანთან მისასვლელად მუდამ დროს წელავდა. გარდა იმისა, რომ ორასი დოლარის დახარჯვა არ სურდა, თან ყოველთვის ეზარებოდა. ახლა კი ხვდებოდა, რომ ამ ყველაფრის „სივიკით“ წაღება დიდი პრობლემა იყო. ჯად კრენდოლს მახვილი თვალი ჰქონდა და როცა ბარს, წერაქვს, ბრეზენტსა და ნიჩაბს დაინახავდა, მაშინვე ყველაფერს მიხვდებოდა. თუმცა, ლადლოუში დაბრუნების აუცილებლობა არც იყო. ამიტომ ლუისმა კიდევ ერთხელ გადაკვეთა ჩემბერლენის ხიდი და ოდლინ როუდზე სასტუმრო „ჰოვარდ ჯონსონში“ ნომერი აიღო. ამჯერადაც აეროპორტთან და ამჯერადაც „პლეზენტვიუს“ სასაფლაოსთან ახლოს, სადაც მისი შვილი იყო დაკრძალული. ლუისი სასტუმროში დი დი რემოუნის[1] სახელით დარეგისტრირდა და თანხა ნაღდი ფულით გადაიხადა.

დაძინება სცადა. მომავალი ღამის წინ დასვენება სჭირდებოდა. ვიქტორიანული რომანების ენაზე რომ ვთქვათ — *წინ ელოდა მძიმე და საბედისწერო ღამე.*

მაგრამ გონება არ ითიშებოდა. ვერც ძილს ახერხებდა.

იწვა ამოუცნობი მოტელის ამოუცნობ ლოგინზე და უყურებდა ჭერში გაკრულ ამოუცნობ ფერწერულ ნავებს, რომლებიც ფერწერულ ტილოზე ფერწერულ დოკთან, ძველ ფერწერულ ნავმისადგომთან, ნიუ-ინგლენდის პორტში იდგნენ. ფეხსაცმელების გარდა, არაფერი გაიხადა. საფულე, ხურდები და გასაღები ლოგინის გვერდით, ტუმბოზე დააწყო. ხელები თავქვეშ ამოიდო. სიცივე მთელ სხეულში უვლიდა. თავს სამყაროსგან სრულიად მოწყვეტილად გრძნობ-

[1] *სავარაუდოდ, იგულისხმება ჯგუფ „რემოუნზის“ ერთ-ერთი წევრი, დუგლას გლენ კოლვინი, იგივე დი დი რემოუნი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი „ჰოვარდ ჯონსონი“ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში — სან დიეგოში, დულუტში, ბანგკოკში ან შარლოტ-ემელიში. ის არსად იყო და ახლა წარმოუდგენელი უცნაურობით ებადებოდა ახალი აზრი: სანამ ხელახლა იხილავდა ნაცნობ ადგილებსა და სახეებს, მანამ იხილავდა საკუთარ ბიჭს.

გონებაში კიდევ ერთხელ იმეორებდა მოქმედების გეგმას. ყველა კუთხიდან აკვირდებოდა, სინჯავდა და ჩხვლეტდა, ხვრელებს და სუსტ ადგილებს ეძებდა. სინამდვილეში კი სიგიჟის ძალიან ვიწრო ბილიკს მიუყვებოდა. ირგვლივ სიგიჟე იყო გამეფებული. ის შრიალებდა, როგორც ოქროსფერთვალება მოწადირე ბუს ფრთები ღამით. ლუისი ამ სიგიჟეს უახლოვდებოდა.

მის გონებაში, სიზმრისეულად, ტომ რაშის[1] ხმა ისმოდა: *ო, სიკვდილო, რა ცივი ხელები გაქვს... მათ შეხებას მუხლებზე ვგრძნობ... შენ მოხვედი და დედა წამართვი... ახლა ჩემს წასაყვანადაც დაბრუნდები?*

სიგიჟე. სრული სიგიჟე. უფრო და უფრო ახლოს.

ლუისი რაციონალურობის დამაბალანსებელ ბილიკზე მიდიოდა და გეგმას კიდევ უფრო აკვირდებოდა.

ამ საღამოს, შვიდი საათისთვის, გეიჯის საფლავს ამოთხრიდა, სხეულს სასახლიდან გადმოიღებდა, ბრეზენტში გაახვევდა და „სივიკის“ საბარგულში ჩადებდა. შემდეგ სასახლეს თავის ადგილზე დააბრუნებდა და საფლავს მიწით დაფარავდა. ლადლოუში ჩავიდოდა, გეიჯის სხეულს საბარგულიდან გადმოიღებდა... და ისეირნებდა. დიახ, სასეირნოდ წავიდოდა.

თუ გეიჯი დაბრუნდებოდა, მთავარი გზა ორად იყოფოდა. ერთი მიდიოდა დაბრუნებული გეიჯისკენ — რომელიც ისევ გეიჯი იქნებოდა, თუმცა ოდნავ ნელი, შესაძლოა ჭკუასუსტი (ლუისი ცნობიერების მხოლოდ უღრმეს წერტილებში უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ გეიჯი ძველებურ

[1] *1941 წელს დაბადებული ამერიკელი ფოლკ და ბლუზ ჟანრის მომღერალი და კომპოზიტორი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მდგომარეობაში იქნებოდა. გასაგებია, რომ ეს ძნელი დასაშვები იყო, მაგრამ არა გამოსარიცხი. ასე არ არის?), თუმცა მაინც გეიჯი — მისი და რეიჩელის შვილი. ეილის ძმა.

მეორე გზაზე კი ლუისი ხედავდა სახლის უკან, ტყიდან გამოსულ მონსტრისებრ ქმნილებას. ბოლო პერიოდის მოვლენების შემდეგ ის უკვე აღარ გამორიცხავდა მონსტრების, დემონებისა და სხვა ეშმაკისეული არსებების რეალურობას, რომლებიც სულისგან დაცლილი ბავშვის სხეულს დაეპატრონებოდნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში ის და მისი ბიჭი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდებოდნენ.

და მე დავსვამ დიაგნოზს.

დიახ. სწორედ ასე მოიქცეოდა.

მე დავუსვამ დიაგნოზს არა მარტო მის სხეულს, არამედ სულსაც. გავითვალისწინებ მის მიერ გადატანილ უბედურ შემთხვევასაც, რომელიც თავად შესაძლოა აღარც ახსოვდეს. ჩერჩის მაგალითზე, მისი ჭკუასუსტობისთვის მზად ვარ — როგორც მსუბუქ, ისე ძლიერ ფორმებში. შემდეგ კი, იმის მიხედვით, თუ რას გამოავლენს ოცდაოთხიდან სამოცდათორმეტ საათამდე პერიოდში, მის ოჯახში ინტეგრაციის საკითხს გადავწყვეტ.

ხოლო თუ პრაქტიკულად ცოცხალმკვდრად იქცა — ან ტიმი ბატერმანის მსგავსი შემთხვევა განმეორდა და ისიც გაბოროტდა — მოვკლავ.

როგორც ექიმი, ლუისი ხვდებოდა, საჭიროების შემთხვევაში — თუ გეიჯი რაღაც საშინელების გარეგან ფიტულად იქცეოდა — მისი მოკვლაც შეეძლო. მოკლავდა ისევე მარტივად, როგორც ბუბონური ჭირის გადამტან ვირთხას. აქ ზედმეტი დრამის ადგილი არ იყო. ერთი-ორი ან სამი აბი პრობლემას გააქრობდა. აუცილებლობის შემთხვევაში, ნემსის გაკეთებაც შეიძლებოდა. ლუისს ჩანთაში „მორფინი“ ჰქონდა. შემდეგ დღეს კი უსიცოცხლო გვამს „პლეზენტვიუზე“ დააბრუნებდა და, უბრალოდ, იმედოვნებდა, რომ სასაფლაოზე ამჯერადაც გაუმართლებდა (ჯერ *ისიც არ იცი, პირველად*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაგიმართლებს თუ არა, — შეახსენა საკუთარ თავს). მეორე — შედარებით უსაფრთხო და მარტივ ალტერნატივად შინაური ცხოველების სასაფლაო ესახებოდა, მაგრამ შვილის იქ დაკრძალვის იდეაც არ მოსწონდა, რადგან შეიძლებოდა სადღაც ხუთი, ათი ან ოცი წლის შემდეგ იმ ადგილზე რომელიმე ბავშვს თავისი შინაური ცხოველის დასამარხად მიწა ამოეთხარა და გეიჯის ნარჩენებს წასწყდომოდა. თუმცა, მეორე, უფრო მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ შინაური ცხოველების სასაფლაო... ძალიან ახლოს მდებარეობდა.

დაკრძალვის შემდეგ გაფრინდებოდა ჩიკაგოში და ოჯახს შეუერთდებოდა. რეიჩელი და ეილი კი ამ ჩაგდებული ექსპერიმენტის შესახებ ვერაფერს გაიგებდნენ. ამის არანაირი საჭიროება არ არსებობდა.

ახლა ლუისმა ისევ მეორე გზისკენ გაიხედა, რომელსაც შვილისადმი სიყვარულით დაბრმავებული უფრო ცხადად ხედავდა. ამ შემთხვევაში ის და გეიჯი იმ ღამითვე ჩუმად გაიპარებოდნენ ქალაქიდან და ლადლოუში აღარასოდეს დაბრუნდებოდნენ. მერე დარჩებოდნენ რომელიმე მოტელში — შესაძლოა აქაც. მეორე დილას კი ფულს ყველა ანგარიშიდან მოხსნიდა და „ამერიკან ექსპრესის“ სამგზავრო ჩეკებად (მკვდრეთით *აღმდგარ შვილთან ერთად მგზავრობის შემთხვევაში თან აუცილებლად იქონიეთ სამგზავრო ჩეკები,* — გაიფიქრა ლუისმა) და ცოტა ნაღდ ფულად აქცევდა. ის და გეიჯი რომელიმე მიმართულებით გაფრინდებოდნენ — სავარაუდოდ, ფლორიდაში. იქიდან კი რეიჩელს დაურეკავდა და ეტყოდა, რომ ეილისთან ერთად, ისე, რომ მშობლებისთვის არაფერი ეთქვა, მასთან ჩაფრენილიყო. ლუისს სჯეროდა, რომ რეიჩელის დარწმუნებას მოახერხებდა. — არანაირი შეკითხვები, რეიჩელ. უბრალოდ, მოდი. ახლავე გამოდი. ეტყოდა, სად რჩებოდა ის (ისინი). რომელ მოტელში. რეიჩელი და ეილი მოტელამდე ნაქირავები მანქანით მოვიდოდნენ, შემდეგ კი ლუისი გეიჯს კართან დააყენებდა. ამ დროს, შესაძლოა გეიჯს საცურაო შორტი სცმოდა. შემდეგ კი — ოჰ, აი, აქ კი ფიქრები წყდებოდა და ლუისი ისევ თავის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გეგმას უბრუნდებოდა. ვარაუდობდა, რომ თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდოდა, მათ სახელების შეცვლა და ახალი სიცოცხლის დაწყება მოუწევდათ, რათა ირვინ გოლდმენს მათ საპოვნელად თავისი გენიალური ჩეკების წიგნი ვერ გამოეყენებინა. ასეც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ლუისს ბუნდოვნად გაახსენდა ლადლოუს სახლში მოსვლის პირველი დღე. მაშინ, დაღლილმა და ოდნავ შეშინებულმა წარმოიდგინა, როგორ მიდიოდა ორლანდოში და ექიმად „დისნეი უორლდში“ იწყებდა მუშაობას. ახლა ეს წარმოდგენა უკვე საკმაოდ რეალური ჩანდა.

ლუისმა წარმოიდგინა, როგორ ეცვა თეთრი ხალათი, მის წინ კი გონებადაკარგული ორსული ქალი იწვა, რომელიც სულელურად მოქცეულა და ჯადოსნური მთის ატრაქციონზე დამჯდარა. *უკან დაიხიეთ, უკან დაიხიეთ, ჰაერი მიეცით.* — ესმოდა ლუისს საკუთარი ხმა. შემდეგ ქალმა თვალები გაახილა და მადლიერად გაუღიმა.

ლუისს ამ ფიქრებში ჩაეძინა. მას ეძინა მაშინ, როდესაც მის გოგონას სადღაც ნიაგარის ჩანჩქერის თავზე კოშმარიდან ყვირილით გამოეღვიძა და ხელების უაზრო ქნევას მოჰყვა. ეძინა მაშინაც, როდესაც გამცილებელი მისკენ გარბოდა, რათა გაეგო, რა ხდებოდა და ეძინა მაშინაც, როდესაც რეიჩელი — თავადაც ზღვარზე მყოფი — ეილის დამშვიდებას ცდილობდა. ლუისს ეძინა, როდესაც ეილი გაუჩერებლად ტიროდა და გაიძახოდა, — ეს გეიჯია! დედიკო! გეიჯია! გეიჯი ცოცხალია! მან მამიკოს ჩანთიდან დანა აიღო! არ მოუშვა ჩემამდე! არ მიუშვა მამიკომდე!

ეძინა, როდესაც ეილიმ, დედის მკერდზე მიხუტებულმა, საბოლოოდ დამშვიდება შეძლო. მას გაფართოებული და მშრალი თვალები ჰქონდა, დორი გოლდმენი კი ფიქრობდა, რომ ის ძალიან წააგავდა რეიჩელს ზელდას სიკვდილის შემდეგ.

ეძინა და საბოლოოდ ექვსის თხუთმეტ წუთზე გაეღვიძა, როდესაც შუადღის ნათელი ილეოდა და ადგილს ღამეს უთმობდა.

საბედისწერო ღამე. — გაუაზრებლად გაიფიქრა ლუისმა და ფეხზე წამოდგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

45

იმ დროისთვის, როცა „იუნაითიდ ეარლაინზის“ რეისი 419 ჩიკაგოში, ო'ჰარას აეროპორტში დაეშვა, უკვე სამის ათი წუთი იყო. ეილი კრიდი კი მსუბუქი ისტერიის მდგომარეობაში ჩავარდა და რეიჩელი ძალიან შეაშინა.

თუკი ეილის ოდნავ მხარზე შეეხებოდით, ის უეცრად შეხტებოდა და გაფართოებული თვალებით შემოგხედავდათ. მთელი სხეულით თრთოლას იწყებდა და ვეღარ ჩერდებოდა. თითქოს ელექტრულად დამუხტულიყო. თვითმფრინავში ნანახი კოშმარი უკვე საკმარისი საშინელება იყო, ახლა კი ეს... ემატებოდა და რეიჩელმა, უბრალოდ, არ იცოდა, როგორ გაეძლო ამ ყველაფრისთვის. ტერმინალში რომ შედიოდნენ, ეილიმ უეცრად ფეხი ფეხს წამოსდო და ხალიჩაზე დაეცა. წამოდგომა არც კი უცდია. უბრალოდ, იწვა და ხალხი გვერდს უვლიდა (ან ზემოდან მცირედი თანაგრძნობით, თუმცა დაუკვირვებლად დაჰყურებდნენ მგზავრები, რომლებიც შემდეგ რეისზე გადასაჯდომად ან სხვა პირად საქმეებზე მიიჩქაროდნენ). რეიჩელმა მკლავებქვეშ ხელები მოჰკიდა და წამოაყენა.

— რა გჭირს, ეილი? — ჰკითხა რეიჩელმა.

მაგრამ ეილი არ პასუხობდა. დერეფანს ბარგის გაცემის დარბაზისკენ მიუყვებოდნენ, სადაც მათ უკვე ელოდნენ რეიჩელის მშობლები. რეიჩელმა მათ თავისუფალი ხელი დაუქნია და ისინიც შესახვედრად გამოეშურნენ.

— გვითხრეს, რომ აქ დაგლოდებოდით, — თქვა დორიმ, — ვიფიქრეთ... რეიჩელ, ეილინი როგორაა?

— ცუდად.

— აქ ტუალეტი არ არის, დედიკო? გული მერევა.

— ო, ღმერთო, — წამოიძახა სასოწარკვეთილმა რეიჩელმა და ეილის ხელი ჩაავლო. ტუალეტი დერეფნის მეორე ბოლოში იყო და ახლა მას ბავშვი ამ მიმართულებით მიჰყავდა.

— გამოგყვე, რეიჩელ? — გასძახა დორიმ.

— არა, თქვენ ჩანთები აიღეთ. ჩვენებსაც იცნობთ. მალე დავბრუნდებით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საბედნიეროდ, ქალების ტუალეტში არავინ იყო. რეიჩელმა ეილი ერთ-ერთ კაბინასთან მიიყვანა და ჩანთაში ათცენტიანს დაუწყო ძებნა, თუმცა შემდეგ დაინახა, რომ — მადლობა ღმერთს — სამი კაბინის საკეტი გატეხილიყო. ერთ-ერთ მათგანზე კი ვიღაცას ფანქრით მიეწერა:

სერ ჯონ კრეპერი[1] *სექსისტი ღორი იყო!*

რეიჩელმა სასწრაფოდ შეაღო კარი. ეილის უკვე აზიდებდა და მუცელზე ხელს იჭერდა. ორჯერ ღებინების ხმაც გამოსცა, მაგრამ უშედეგოდ. ეს მხოლოდ ნერვული სპაზმებით გამოწვეული შეგრძნება იყო.

როცა თქვა, თავს ცოტა უკეთ ვგრძნობო, რეიჩელმა ის პირსაბან ნიჟარასთან მიიყვანა და სახე ჩამოჰბანა. ბავშვს სახე გასთეთრებოდა და თვალებქვეშ რგოლები გასჩენოდა.

— რა გაწუხებს, ეილი? შეგიძლია მითხრა?

— არ ვიცი, რა მაწუხებს, მაგრამ ვიცი, რომ მას მერე, რაც მამიკომ აქ წამოსვლის შესახებ მითხრა, მივხვდი, რომ რაღაც ვერ იყო. მას რაღაც უჭირს, დედიკო.

რას მალავ, ლუის? აშკარად რაღაცას მალავ. ვხვდები. ეილიც კი ხვდება.

ახლა რეიჩელი ხვდებოდა, რომ თავადაც მთელი დღე ნერვიულობდა. დამფრთხალი და შეშინებული ყოველ წამს საიდანღაც შემოტევას ელოდა. ასე ემართებოდა ხოლმე მენსტრუალური ციკლის დაწყებამდე ორი-სამი დღით ადრეც, როცა სრულიად უმიზეზოდ ისტერიკული სიცილი ან ტირილი უნდებოდა, ან თავი სტკივდებოდა. თუმცა ეს შეგრძნებები წამიერად ჩნდებოდა და დაახლოებით სამ საათში ქრებოდა. — რა? — ჰკითხა ეილის ანარეკლს სარკეში, — მამიკოს რა უნდა უჭირდეს?

— არ ვიცი, — თქვა ეილიმ, — სიზმარი ვნახე. გეიჯი. ან ჩერჩი. მახსოვს. არ ვიცი.

— რა დაგესიზმრა, ეილი?

---

[1] *ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, იგულისხმება ტომას კრეპერი (1836-1910 წწ.) ინგლისელი სანტექნიკოსი და „ტომას კრეპერ ენდ კომპანის“ დამაარსებელი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მესიზმრა, რომ შინაური ცხოველების სასაფლაოზე ვიყავი, — თქვა ეილიმ, — იქ პაკსკოუმ წამიყვანა და მითხრა, რომ მამიკოც იქ მოვიდოდა და რაღაც საშინელება მოხდებოდა.

— პაკსკოუ? — რეიჩელმა ბასრი ტერორის შეხება იგრძნო. საიდან ეცნობოდა ეს გვარი? თითქოს უკვე გაეგო ეს... ან მისი მსგავსი... თუმცა ვერ იხსენებდა, როდის და სად. — დაგესიზმრა ვილაც პაკსკოუ, რომელმაც შინაური ცხოველების სასაფლაოზე წაგიყვანა?

— ხო. ეგრე იყო. მერე... — უეცრად ეილის თვალები გაუფართოვდა.

— კიდევ რამე გახსოვს?

— მერე მითხრა, რომ ის გასაფრთხილებლად გამოგზავნეს, მაგრამ თავად ვერ ჩაერეოდა. მითხრა, რომ ის... არ ვიცი... რომ ის მამიკოსთან ერთად იყო მაშინ, როცა მისი სული გან... გან... არ მახსოვს! — ქვითინით წამოიძახა ეილიმ.

— საყვარელო, — უთხრა რეიჩელმა, — მგონი, შინაური ცხოველების სასაფლაო იმიტომ დაგესიზმრა, რომ ისევ გეიჯზე ფიქრობდი. მამიკო კი, დარწმუნებული ვარ, კარგად არის. აბა, უკეთ ხარ?

— არა, — ჩურჩულით თქვა ეილიმ, — მეშინია, დედიკო. შენ რა, არ გეშინია?

— უჰ, — ამოიხვნეშა რეიჩელმა, თავი ოდნავ გადააქნია და გაილიმა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეშინოდა. ეს გვარი კი — პაკს-კოუ, საშინლად ახლობლურად ჟღერდა და აშკარად რაღაც საზარელ მოვლენას უკავშირდებოდა, რომელიც რამდენიმე თვის, ან თუნდაც ერთი წლის წინ მომხდარიყო.

იგრძნო, რომ შინაგანად რაღაც იზრდებოდა, ელოდებოდა, როდის გასკდებოდა რაღაც ძალიან საშინელი, მაგრამ ჯერაც ამოუცნობი.

— დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად არის, — უთხრა ეილის, — აბა, ბებოსთან და ბაბუსთან წავიდეთ?

— ალბათ ჰო, — დაბნეულად თქვა ეილიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტუალეტში პუერტორიკოელი ქალი შემოვიდა, რომელსაც ხელში პატარა ბიჭი აეყვანა და ეჩხუბებოდა. ბავშვს შორტზე დიდი სველი ლაქა ეტყობოდა. მის შემხედვარე რეიჩელს ისევ გეიჯი გაახსენდა და ამ წამიერმა, გულისტკივილის გამომწვევმა გრძნობამ მაშინვე გონს მოიყვანა.

— წამოდი, — თქვა რეიჩელმა, — მამიკოს ბაბუს სახლიდან დავურეკავთ.

— შორტი ეცვა. — უეცრად თქვა ეილიმ და პატარა ბიჭს გახედა.

— ვის, საყვარელო?

— პაკსკოუს, — თქვა ეილიმ, — ჩემს სიზმარში მას წითელი შორტი ეცვა.

ამ მომენტში რეიჩელს უკვე სრული სიცხადით გაახსენდა ეს გვარი და მუხლები აუკანკალდა. შემდეგ ეს გრძნობაც გაქრა.

ჩანთების ესკალატორთან ახლოს ვერ მივიდნენ, თუმცა რეიჩელმა შორიდან შენიშნა მამამისის ბუმბულიანი ქუდი. მის გვერდით კი დორი გოლდმენი, რომელიც კედელთან სკამზე იჯდა, ორ ადგილს იკავებდა და რეიჩელს და ეილის ხელს უქნევდა.

— უკეთ ხარ, ძვირფასო? — ჰკითხა ეილის დორიმ.

— ცოტათი, — უპასუხა ეილიმ, — დედიკო...

რეიჩელისკენ მიბრუნდა და სიტყვა გაუწყდა. რეიჩელი, გაშეშებული და გაფითრებული, პირზე ხელაფარებული იჯდა. თითქოს დიდი დარტყმა გადაეტანოს. რა თქმა უნდა, გაახსენდა, ვის გულისხმობდა ეილი. რა თქმა უნდა.

— დედიკო?

რეიჩელი შვილისკენ ნელა შემობრუნდა და ეილიმ მისი კისრის ტკაცუნი გაიგონა. რეიჩელმა პირიდან ხელი ჩამოიღო. — სიზმარში მას სახელი არ უთქვამს, ეილინ?

— დედა, კარგად ხა...

— იმ კაცს შენს სიზმარში თავისი სახელი არ უთქვამს?

დორი შვილს და შვილიშვილს ისეთი თვალებით უყურებდა, თითქოს ორივე ჭკუაზე შეშლილიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— კი, მაგრამ არ მახსოვს... მტკეეეეენ, დეე...

რეიჩელმა ქვევით დაიხედა და შენიშნა, რომ თავისუფალი ხელით ეილის მაჯაზე ხელბორკილივით უჭერდა.

— ვიქტორი ერქვა?

ეილიმ უეცრად ამოიხვნეშა. — კი, ვიქტორი! მითხრა, ვიქტორი მქვიაო! შენც დაგესიზმრა?

— პაკსკოუ კი არა, — თქვა რეიჩელმა, — პასკოუ.

— მეც ეგ ვთქვი. პაკსკოუ.

— რა ხდება, რეიჩელ? — ჰკითხა დორიმ და ხელი მოჰკიდა, — რა სჭირს ეილინს?

— ეილინს არაფერი, — თქვა რეიჩელმა, — მგონი, ლუისს უჭირს. ან მალე გაუჭირდება. ეილისთან დარჩი, დედა. მე შინ უნდა დავრეკო.

ფეხზე წამოდგა, ტელეფონებთან მივიდა და ჯიბიდან ოცდახუთცენტიანი ამოიღო. დარეკა, მაგრამ გაბმული ზარის მეტი არაფერი ისმოდა.

— მოგვიანებით ეცდებით დარეკვას? — ჰკითხა ოპერატორმა.

— დიახ, — უპასუხა რეიჩელმა და ყურმილი დაკიდა.

იდგა და ტელეფონს უყურებდა.

მითხრა, რომ გასაფრთხილებლად გამოგ ზავნეს, მაგრამ თავად ვერ ჩაერეოდა. მითხრა, რომ ის... არ ვიცი... რომ ის მამიკოსთან ერთად იყო მაშინ, როცა მისი სული გან... გან... არ მახსოვს!

— განცალკევდა სხეულისგან, — ჩურჩულით თქვა რეიჩელმა და თითები ჩანთაში ღრმად ჩაყო. — ო, ღმერთო, ნუთუ ამას ამბობდა?

შეეცადა ფიქრებში გარკვეულიყო და ყველაფერი ლოგიკურად დაელაგებინა. გეიჯის სიკვდილთან დაკავშირებული ბუნებრივი პრობლემების გარდა, აშკარად კიდევ რაღაც ხდებოდა და ეს ვიქტორ პასკოუს უკავშირდებოდა. როგორ გაიგო ეილიმ იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც ლუისის პირველ სამუშაო დღეს მოხდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გონებაში პასუხს ვერ პოულობდა, თუმცა ცდილობდა იმ აზრს ჩაბღაუჭებოდა, რომ თავადვე წარმოუდგენელი მონდომებით ცდილობდა, ეილი სიკვდილის იდეისგან ყოველმხრივ განეშორებინა. განა ის სულელური კამათიც ჩერჩის სიკვდილის დაშვებას არ მოჰყვა? ასე არ არის, რეიჩელ? იმ ბიჭს ხომ ნამდვილად ვიქტორ პასკოუ ერქვა? ნეტავ რამდენად მძიმეა მდგომარეობა? ღვთის გულისათვის, საერთოდ რა ხდება? ხელები ისე უკანკალებდა, რომ მონეტის ჩასაგდებად რამდენიმე ცდა დასჭირდა. ამჯერად უნივერსიტეტში, ჩარლტონთან დარეკა. ჩარლტონმა საუბრის ტარიფის გადახდაზე თანხმობა განაცხადა და რეიჩელს დაუკავშირდა. მისი თქმით, ლუისი დღეს სამსახურში არ მოსულა და ძალიან გაუკვირდებოდა, რომ მოსულიყო. შემდეგ რეიჩელს კიდევ ერთხელ გამოუცხადა სამძიმარი. რეიჩელმა მადლობა გადაუხადა და სთხოვა ლუისისთვის გადაეცა, რომ, როგორც კი შეძლებდა, მისი მშობლების სახლში დაერეკა. დიახ, ნომერიც იცოდა — დაუყოვნებლივ უპასუხა რეიჩელმა ჩარლტონს, რომელსაც დიდად არც სურდა იმაზე საუბარი (თუმცა, ალბათ ისედაც იცოდა, რადგან, რეიჩელის აზრით, ჩარლტონი ყველაფერს ხვდებოდა), რომ მისი მშობლები ქვეყნის მეორე ბოლოში ცხოვრობდნენ.

რეიჩელმა ყურმილი დაკიდა. შინაგანად ხურდა და თრთოდა.

იქნებ პასკოუს სახელი სადმე სხვაგან გაიგონა? ღმერთო, რეიჩელ, შენი შვილი აკვარიუმში ხომ არ ცხოვრობს. რადიოში მოისმენდა, ან... ან ვიღაც ბავშვისგან გაიგებდა ბაღში. მერე კი მისმა გონებამ ეს სახელი შემოინახა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მნიშვნელობა არც იცოდა. მერე რა? ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ადამიანის გონება ინფორმაციას ბუზების დამჭერი წებოვანი ლენტივით იკრავს.

რეიჩელს გაახსენდა კოლეჯის ფსიქოლოგიის ლექტორის სიტყვები იმის შესახებ, რომ ადამიანი იმახსოვრებს ცხოვრებაში ნაჭამ ყველა საჭმელს, ყოველი დღის შესაბა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მის ამინდს და ამ ინფორმაციას კომპიუტერის პროცესორივით ამუშავებს, თუმცა, განსხვავებით პროცესორისგან, ადამიანს ბევრად დიდი მეხსიერება აქვს, ვიდრე თექვსმეტი, ოცდათორმეტი ან სამოცდაოთხი მეგაბაიტია. შესაძლოა, რიცხვობრივად ერთ მილიარდ მეგაბაიტსაც აღწევდეს. შესაბამისად, მისი თქმით, მოცულობის გამოთავისუფლების მიზნით არანაირი მონაცემი არ იშლება. შედეგად, მთელი ეს ინფორმაცია ინახება და მათი ნაწილი პერიოდულად ჩრდილში ექცევა. ასე რომ არ იყოს და მეხსიერებაში მთელ „ბრიტანიკას" ვინახავდეთ, დაგვავიწყდებოდა, თუ სად ვინახავთ წინდებს.

ამ სიტყვებმა აუდიტორიაში სავალდებულო სიცილი გამოიწვია.

მაგრამ ახლა არ იმყოფებოდა კოლეჯში, სადაც იყო ფლუორესცენციული განათება და მახვილგონიერი ლექტორი, რომელსაც შიგადაშიგ ხუმრობა უყვარდა. რაღაც აშკარად ვერ იყო რიგზე და რეიჩელმა არ იცოდა, რა კავშირი ჰქონდა მას პასკოუსთან, გეიჯთან ან ჩერჩისთან, მაგრამ იცოდა, რომ როგორღაც ლუისს უკავშირდებოდა. რა?

უეცრად რეიჩელს თავში ახალი აზრი მოუვიდა, ტელეფონი აიღო და დარეკვა სცადა. ლუისი თვითმკვლელობას ხომ არ ცდილობდა? იქნებ სწორედ ამიტომ თითქმის ძალით გამოყარა ის და ეილი სახლიდან? და ეილიმაც ეს როგორღაც იგრძნო. იქნებ... ოჰ, ჯანდაბას ფსიქოლოგია! იქნებ მის შვილს რაღაც ექსტრასენსული უნარები ჰქონდა? ამ ფიქრებში რეიჩელმა ჯად კრენდოლს დაურეკა. როდესაც ოპერატორი ხუთი-ექვსი ზარის შემდეგ ჯადს დაუკავშირდა, მისი ხმა გაიგო, — უჰუ.

— ჯად! ჯად, მე...

— ერთი წამით, ქალბატონო, — შეაწყვეტინა ოპერატორმა, — თანახმა ხართ თუ არა, რომ მისის ლუის კრიდისგან შემომავალი ზარის თანხა გადაიხადოთ?

— აიუჰ, — თქვა ჯადმა.

— უკაცრავად, სერ, ეს კის ნიშნავს თუ არას?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მგონი კის, — თქვა ჯადმა.

ამას მოჰყვა პაუზა ოპერატორის მხრიდან, რომელმაც, როგორც იქნა, ჯადის იანკური ენა ჩვეულებრივ ამერიკულზე გადათარგმნა და თქვა, — გმადლობთ. განაგრძეთ, მემ.

— დღეს ლუისი არ გინახავს, ჯად?

— დღეს? არა, რეიჩელ. თან დღეს ბანგორში პროდუქტების საყიდლად ვიყავი წასული, მერე კი მთელი შუადღე ბაღში გავატარე. რატომ მეკითხები?

— უჰ, ალბათ არაფერია, მაგრამ იცი, ეილის თვითმფრინავში ცუდი სიზმარი ესიზმრა და ვიფიქრე, გულს დავიმშვიდებ-მეთქი.

— თვითმფრინავში? — ჯადს ხმაში უეცარი გაოცება დაეტყო. — სად ხარ, რეიჩელ?

— ჩიკაგოში, — უპასუხა რეიჩელმა, — ცოტა ხნით ჩემს მშობლებთან ჩამოვედით.

— ლუისი არ გამოგყოლია?

— არა, ის კვირის ბოლოს ჩამოფრინდება, — უპასუხა რეიჩელმა და ძალიან გაუჭირდა, რომ სიმტკიცე შეენარჩუნებინა. ჯადის ხმაში გრძნობდა რაღაცას, რაც ძალიან არ მოსწონდა.

— შენი მანდ წასვლა ლუისის იდეა იყო?

— ჰო. რა ხდება, ჯად? რაღაც ხდება, ხომ? და ეს შენც იცი.

— მგონი, უმჯობესია ბავშვის სიზმარს მომიყვე, — უთხრა ჯადმა დიდი პაუზის შემდეგ, — ძალიან მინდა ამის გაგება.

46

რეიჩელთან საუბრის შემდეგ ჯადმა თხელი ქურთუკი ჩაიცვა — ეს დღე ღრუბლიანი გამოდგა და უკვე ქარიც უბერავდა — ლუისის სახლისკენ გზა გადაკვეთა, მაგრამ მანამდე ყურადღებით გაიხედა ორივე მხარეს, რათა ეს წყეული სატვირთოები შეემოწმებინა.

ყველაფერი მათი ბრალი იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოლონდ არა ამჯერად.

უკვე გრძნობდა, როგორ იზიდავდა შინაური ცხოველების სასაფლაო და ის რაღაც, მის მიღმა. ეს მიზიდულობა თავდაპირველად სიზმარში ჩაძირვისწინა იავნანად ესმოდა, ახლა კი მას უფრო ნელი და მომნუსხველი — საფრთხის შემცველი ჟღერადობა ჰქონდა. *არ გაეკარო. არ გინდა.*

თუმცა, ჯადი უნდა ჩარეულიყო. მას დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული.

დაინახა, რომ ავტოფარეხში ლუისის „ჰონდა სივიკი" არ ჩანდა და იდგა მხოლოდ „ფორდის" ფურგონი — ხელშეუხებელი და მტვრიანი. შემდეგ მიუახლოვდა სახლისკენ გამავალ კარს, რომელიც ღია დახვდა.

— ლუის? — გასძახა და პასუხად მძიმე სიჩუმე მიიღო, თუმცა თავადვე კარგად იცოდა, რომ ლუისი სახლში არ იქნებოდა. ჯადი წინ მიიწევდა და სიბერის თანმხლებ ტკივილებს გრძნობდა — უკანალში, სახსრებში, კუნთებში. არადა, ბაღში მხოლოდ ორი საათი იმუშავა. ახლა კი ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მისთვის მარცხენა თეძოში ხრახნიანი ბურღი ჩაედგათ.

სახლის დათვალიერებას მეთოდურად მიჰყვა. ცდილობდა ნიშნებისთვის მიეგნო. *სამყაროს ყველაზე მოხუცი მძარცველი* — გაიფიქრა ჯადმა იუმორის გარეშე და ძებნა განაგრძო, თუმცა ვერაფერი იპოვა, რაც გულს დასწყვეტდა. აქა-იქ მიყრილი სათამაშოების ყუთები, რომლებიც ხსნის არმიისთვის არ ჩაებარებინათ, პატარა ბიჭის ტანსაცმელი კარს უკან, კომოდში, ლოგინის ქვეშ. ყველაზე უარესი კი — გეიჯის ცარიელი ლოგინი. ჯადი ვერანაირ ნიშანს ვერ ხედავდა, მაგრამ, საერთო ჯამში, მაინც უსიამოვნო შეგრძნება ეუფლებოდა. თითქოს ეს ყოველივე ელოდებოდა, როდის აივსებოდა რაღაც... რაღაცით.

ალბათ, „პლეზენტვიუს" სასაფლაოზე უნდა შევიარო და ვნახო, რა ხდება. იქნებ სადმე ლუის კრიდსაც წავაწყდე და სადილზე დავპატიჟო ან რაღაც ასეთი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა საფრთხეს შეიცავდა არა „პლეზენტვიუს“ სასაფლაო ბანგორში, არამედ ეს სახლი და ის, რაც ამ სახლის მიღმა მდებარეობდა.

ჯადი სახლიდან გამოვიდა და შინ დაბრუნდა. სამზარეულოს მაცივრიდან ექვსქილიანი ლუდის შეკვრა გამოიღო და მისაღებში გაიტანა. შემდეგ ფანჯარასთან დაჯდა და კრიდების სახლს გახედა. ლუდი გახსნა, სიგარეტს მოუკიდა და ეს შუადღეც ისევე დაიწყო, როგორც მრავალი სხვა შუადღე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ახლა რომ ჯადს რეიჩელ კრიდის ფიქრები სცოდნოდა, აუცილებლად ეტყოდა, რომ მისი ფსიქოლოგიის ლექტორი მართალი იყო, თუმცა ერთს დაამატებდა: ასაკის მატებასთან ერთად მეხსიერების შემაკავებელი ფუნქცია — ისევე, როგორც ადამიანის მთელი ორგანიზმი, სუსტდება და შედეგად უფრო და უფრო ცხადად იხსენებს წარსულში ნანახ ადგილებსა და სახეებს. სეპიას ტონალობა უფრო ნათელი ხდება, ფერები ბრუნდება და ხმები, რომლებსაც დროთა განმავლობაში თავიანთი მცირედი ექო დაეკარგათ, ისევ ჟღერადი ხდება. ჯადისთვის ეს ყოველივე რაიმე განსაკუთრებულთან არ ასოცირდებოდა, მისთვის ეს დაბერების ერთ-ერთი ნიშანი იყო.

გონებაში ახლა ისევ ლესტერ მორგანის ხარი, ჰენრეტი ამოუტივტივდა. მისი სისხლიანი თვალები და გავეშებული მოძრაობები. ის ასკდებოდა ხეებს, გლეჯდა ფოთლებს და სანამ პატრონი მოკლავდა, არემარეში თითქმის ყველა ხეს თავისი კვალი დააჩნია. მას ჰქონდა მოხრილი რქები და სისხლიანი თავი. ხოლო, როცა ლესტერმა ის მოკლა, თავად ლესტერიც ისეთივე წყრომით იყო სავსე, როგორითაც ახლა ჯადი.

ლუდს სვამდა და ეწეოდა. დღის შუქი იწურებოდა. შუქს არ ანთებდა. პერიოდულად ბინდში მისი სიგარეტის წითელი ნათება ჩნდებოდა და ქრებოდა. ლუდს სვამდა და ლუის კრიდის სახლს გაჰყურებდა. სჯეროდა, რომ სადაც უნდა ყოფილიყო ახლა, ლუისი აუცილებლად დაბრუნდებოდა შინ და ჯადი მასთან დალაპარაკებას შეძლებდა. დაარწმუნებდა, რომ უარი ეთქვა იმაზე, რაც არასოდეს არ უნდა ჩაედინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და კვლავაც გრძნობდა იმ ავადმყოფური ძალის ძახილს. იმ ეშმაკეული ადგილის მიზიდულობას, მისი დამპალი ქვებისა და პირამიდების ხმას.

არ ჩაერიო. არ ჩაერიო, თორემ ძალიან, ძალიან ინანებ.

რამდენადაც შეეძლო, ჯადი ამ ხმას ყურადღებას არ აქცევდა. იჯდა, ეწეოდა და ლუდს წრუპავდა.

და ელოდა.

47

სანამ ჯად კრენდოლი ძველებურ სარწეველა სკამში იჯდა და ფანჯრიდან იყურებოდა, ლუისი „ჰოვარდ ჯონსონის" რესტორანში გვარიან, თუმცა უგემურ ვახშამს მიირთმევდა.

საჭმელი ნამდვილად ბევრი იყო და ლუისსაც ახლა სწორედ ეს სჭირდებოდა. ბნელდებოდა და ქუჩაზე მიმავალი მანქანების შუქები ამ სიბნელეს გრძელ თითებად ეხვეოდა, ლუისი საჭმელს მიუბრუნდა. სტეიკს, გამომცხვარ კარტოფილს, არაბუნებრივად ღია მწვანე ფერის მქონე მუხუდოსა და ვაშლის ნამცხვარს ზედ დადებული ნაყინით, რომელიც ნელ-ნელა დნებოდა. კუთხის მაგიდასთან იჯდა და შემომსვლელ-გამსვლელებს აკვირდებოდა. თან შიშობდა, ვინმე ნაცნობი არ შემოსულიყო, თუმცა იმასაც ფიქრობდა, რომ ეს ალბათ უკეთესიც იქნებოდა, რადგან ისინი შემდეგ რეიჩელზე დაუწყებდნენ საუბარს, ჰკითხავდნენ, რა ხდებოდა და ალბათ ამ კითხვებით საბოლოოდ გაურკვევლობამდე მიიყვანდნენ. გაურკვევლობა კი იქნებ ახლა სწორედ ის იყო, რაც ლუისს სჭირდებოდა. გამოსავალი.

თუმცა, სიმართლე ითქვას, ვიღაც ნაცნობები ლუისმა მაინც შენიშნა. ის-ის იყო, თავის ნამცხვარს და მეორე ფინჯან ყავას ამთავრებდა, რომ რესტორანში რობ გრინელი — ბანგორელი ექიმი და მისი მშვენიერი ცოლი ბარბარა შემოვიდნენ. კუთხეში მჯდარი ლუისი ელოდა, როდის მიესალმებოდნენ, მაგრამ მიმტანმა ისინი ცალკე კუპისკენ წაიყვანა და ლუისმაც გრინელის ნაადრევად გაჭაღარავებული თმის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კვალი დაკარგა. ლუისს ანგარიში მოუტანეს, მან ქვითარზე ხელი მოაწერა, ოთახის ნომერი მიუთითა და წინა კარიდან გავიდა.

გარეთ კი ქარი ძალებს იკრებდა. გარემოს ერთფეროვნება დასტყობოდა. ელექტროგადამცემი სადენები უცნაურად ზუზუნებდნენ. ლუისი ხედავდა ვარსკვლავებს, რომლებსაც მაღალი სიჩქარით ფარავდნენ ღრუბლები. ცოტა ხნით ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ქარისკენ სახემიშვერილი ქუჩის პირას იდგა. შემდეგ შებრუნდა, ოთახში ავიდა და ტელევიზორი ჩართო. ჯერ რაიმე სერიოზულის დასაწყებად ძალიან ადრე იყო და ეს ღამეული ქარიც უამრავი შესაძლებლობით იყო სავსე, რაც ლუისს ძალიან აღელვებდა.

ტელევიზორს ოთხი საათის განმავლობაში უყურა. ზედიზედ ნახა კომედიური სერიალის რვა ნახევარსაათიანი სერია. გაიაზრა, რომ ამდენ ხანს გაბმულად ტელევიზორისთვის კარგა ხანია არ ეყურებინა. შემდეგ დააკვირდა იმასაც, რომ სერიალის ყველა ქალი პერსონაჟი საკმაოდ წარმოსადეგი იყო. სწორედ ისეთი, როგორსაც სტუდენტობის დროს ის და მისი მეგობრები „ამყენებლებს“ უწოდებდნენ.

ჩიკაგოში დორი გოლდმენი ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა, — უკან გაფრინდე? უკან რა გინდა, საყვარელო? ეს-ესაა ჩამოხვედით.

ლადლოუში ჯად კრენდოლი ფანჯარასთან იჯდა, ლუდს სვამდა, ეწეოდა და გონებაში უემოციოდ ათვალიერებდა წარსულის ალბომებს. თან ლუისის მოსვლას ელოდა. ადრე თუ გვიან, ის აუცილებლად დაბრუნდებოდა, სწორედ ისე, როგორც ძაღლი ლესი იმ ძველ ფილმში. შინაური ცხოველების სასაფლაოსა და მის მიღმა არსებული მიწებისკენ მისასვლელი სხვა გზებიც არსებობდა, მაგრამ ლუისმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. თუ იქ მისვლა სურდა, ეს გზა აუცილებლად საკუთარი სახლის ბილიკიდან უნდა დაეწყო.

ისე, რომ არაფერი იცოდა ამ ამბების შესახებ, რომელთა მძიმედ მოძრავი სამიზნეებიც მიმართული იყო არა იმ ადგილისკენ, სადაც ახლა იჯდა, არამედ — ბალისტიკის ტრა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიციების სრული დაცვით — სადაც ლუისი მოგვიანებით აღმოჩნდებოდა, ის, უბრალოდ, ტელევიზორის წინ იჯდა და სერიებიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ესმოდა სიტყვები: შავი ოჯახი, თეთრი ოჯახი, პატარა ბავშვი, რომელიც მასთან მცხოვრებ მდიდარ უფროსებზე ჭკვიანი იყო, მარტოხელა ქალი, დაოჯახებული ქალი, ქმარს გაშორებული ქალი. უყურებდა „ჰოჯოს“ სავარძლიდან ტელევიზორს და შიგადაშიგ გარეთ, სიბნელეში მანათობელ შუქებს აკვირდებოდა.

როცა თერთმეტსაათიანი ახალი ამბები დაიწყო, ლუისმა ტელევიზორი გამორთო და იმ გეგმის აღსასრულებლად მოემზადა, რომელიც თავში, სავარაუდოდ, იმ მომენტშივე მოუვიდა, როცა ქუჩაზე გეიჯის სისხლით დასვრილი კეპი დაინახა. ისევ დაბრუნდა სიცივე და ლუისი კიდევ უფრო გაძლიერდა. თუმცა, ამ სიცივის მიღმა იყო კიდევ რაღაც — მონდომება, ვნება, ან იქნებ — ლტოლვა. არ აქვს მნიშვნელობა. ეს რაღაც შინაგანად ათბობდა და თავდაჯერებულობას მატებდა. როცა „ჰონდას“ ძრავას ქოქავდა, ფიქრობდა, რომ ალბათ ჯადი მართალი იყო, როცა იმ ადგილის მომეტებულ ძალაზე საუბრობდა. ლუისი აშკარად გრძნობდა ახლა ამ ძალას, რომელიც იზიდავდა და ლუისი ფიქრობდა:

შევძლებ გაჩერებას? თუნდაც მოვინდომო, შევძლებ?

48

— რა გინდა? — ჰკითხა ისევ დორიმ, — რეიჩელ... საღად ვერ აზროვნებ... გამოძინება გჭირდება.

რეიჩელმა მხოლოდ თავი გააქნია. ვერაფრით უხსნიდა დედას, თუ რატომ სურდა უკან დაბრუნება. წინათგრძნობა ქარის მსგავსად მატულობდა. თავდაპირველად მცირე ნიავით იწყებოდა, ბალახს აშრიალებდა და ძნელად შეიმჩნეოდა. შემდეგ ხდებოდა უფრო სწრაფი და ძლიერი. სიმშვიდე აღარსად ჩანდა.

ბოლოს იმდენად ძლიერდებოდა, რომ სახურავს აზანზარებდა, მალე კი მთელი სახლი იწყებდა რხევას. ამ დროს უკვე ხვდებოდი, რომ რაღაც ქარბორბალას მსგავსი უახ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლოვდებოდა და თუ არ ჩადგებოდა, ყველაფერს დაანგრევდა.

ახლა ჩიკაგოში ექვსი საათი იყო. ლუისი ბანგორში მძიმე და უგემურ საჭმელს შეექცეოდა. რეიჩელი და ეილი თავიანთ ვახშამს არც კი გაჰკარებიან. რეიჩელი თეფშს თვალს არიდებდა და შიგადაშიგ თავისი გოგონას პირქუშ მზერას ხვდებოდა. მან იცოდა, რომ მამიკო ცუდ დღეში იყო და სურდა გაეგო, რის გაკეთებას აპირებდა რეიჩელი.

ის კი ელოდა ტელეფონის ზარს. ჯადის ზარს, რომელიც ეტყოდა, რომ ლუისი შინ დაბრუნდა. სწორედ ამიტომ, როცა ტელეფონმა დარეკა, რეიჩელი ადგილზე შეხტა და ეილის ჭიქა რძე კინაღამ ზედ გადააქცია, თუმცა ახლა დორის „ბრიჯის" კლუბის ერთ-ერთი წევრი რეკავდა, რათა შეემოწმებინა, ხომ მშვიდობიანად დაბრუნდნენ გოლდმენები.

ყავას სვამდნენ, როდესაც რეიჩელმა მოულოდნელად ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო და თქვა, — მამა... დედა... ვწუხვარ, მაგრამ შინ უნდა დავბრუნდე. ბილეთი თუ ვიშოვე, ამაღამვე წავალ.

დედამაც და მამამაც გაოცებით შეხედეს, მაგრამ ეილიმ თვალები დახუჭა და ზრდასრული ადამიანის შვების გამომეტყველება მიიღო, რაც საკმაოდ სასაცილო სანახავი იქნებოდა, რომ არა მისი ცვილისფერი, მოთეთრო კანი.

მშობლები ვერაფერს ხვდებოდნენ და მეტს ვერც რეიჩელი ახსნიდა. ვერაფრით ახსნიდა იმ ნიავს, რომელიც თავიდან მხოლოდ ბალახს აშრიალებდა, შემდეგ კი უშველებელ ქარბორბალად იქცა, რომელიც გზად ყველაფერს ანადგურებდა. რეიჩელს არ სჯეროდა, რომ ეილიმ ვიქტორ პასკოუს შესახებ ამბავი ტელევიზორში მოისმინა, შემდეგ კი ეს ცოდნა მის ქვეცნობიერში აღიბეჭდა.

— რეიჩელ, ძვირფასო, — მამამისს დინჯი, კეთილშობილური ხმა ჰქონდა. ზუსტად ისეთი, როგორიც აქვთ ხოლმე დროებითი, თუმცა სახიფათო ისტერიის მქონე ადამიანთან საუბრისას. — ეს, უბრალოდ, შენი შვილის სიკვდილის შემდგომი რეაქციაა. შენც და ეილისაც ძნელად გადაგაქვთ ეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამბავი და გასაკვირი არცაა, მაგრამ სრულებით განადგურდები, თუ ახლა...

რეიჩელს მისთვის არაფერი უთქვამს, ახლა ტელეფონთან მისული ყვითელ ფურცლებში ავიაკომპანიების გვერდზე „დელტას“ ნომერს ნახულობდა. დორი მასთან ახლოს იდგა და სთხოვდა, დაფიქრებულიყო, რას აკეთებდა. იქნებ უმჯობესი იყო ამაზე ერთად ელაპარაკათ... ჩამოეწერათ სია... მის გვერდით კი იდგა ჩაბნელებული სახის მქონე ეილი, რომელიც როგორღაც რეიჩელს გამბედაობას მატებდა.

— „დელტა ეარლაინზი“, — გაისმა ყურმილის მეორე ბოლოდან მხიარული ხმა, — კიმი გისმენთ. რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— იმედი მაქვს, — უთხრა რეიჩელმა, — სასწრაფოდ მჭირდება ჩიკაგოდან ბანგორში ამ ღამითვე გაფრენა. ეს... გადაუდებელი შემთხვევაა. ძალიან ვშიშობ. შეგიძლიათ ფრენები შეამოწმოთ?

დაეჭვებული ხმა: — დიახ, მე-ემ, მაგრამ ვშიშობ, დრო აღარ გვეყოფა.

— გთხოვთ, შეამოწმოთ, — უთხრა რეიჩელმა ოდნავ გაბზარული ხმით, — დაგელოდებით.

— კარგი, მე-ემ. გთხოვთ, დამელოდოთ, — სიჩუმემ დაისადგურა.

რეიჩელმა თვალები დახუჭა და უეცრად მკლავზე ცივი ხელის შეხება იგრძნო. თვალები გაახილა და დაინახა, რომ ეილი მოახლოებოდა. ირვინი და დორი ერთად იდგნენ, ჩუმად ლაპარაკობდნენ და მათ უყურებდნენ. *ისე გვიყურებენ, როგორც ორ შეშლილს.* — გაიფიქრა რეიჩელმა და ეილის გაულიმა.

— ნება არ მისცე, შეგაჩერონ, დედიკო, — უთხრა ეილიმ ჩუმი ხმით, — გთხოვ.

— შანსი არ არის, უფროსო, — უთხრა რეიჩელმა და თვალი ჩაუკრა. ამ მეტსახელს ის და ლუისი რეიჩელს გეიჯის დაბადების შემდეგ ეძახდნენ, თუმცა ახლა ეილი უკვე აღარავისთან შედარებით აღარ იყო უფროსი. ასე არ არის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გმადლობ, — უთხრა ეილიმ.

— ძალიან მნიშვნელოვანი რამ ხდება, არა?

ეილიმ თავი დაუქნია.

— საყვარელო, მჯერა, რომ ასეა, მაგრამ ყველაფერი უფრო გამიადვილდებოდა, შენი სიზმრიდან მეტი რამ რომ ვიცოდე. ეს, უბრალოდ, სიზმარი იყო?

— არა, — თქვა ეილიმ, — ეს... ახლა ეს ყველაფერია. მთლიანად ჩემშია. დედიკო, შენ ვერ გრძნობ? რაღაც...

— რაღაც ქარის მსგავსია.

ათრთოლებულმა ეილიმ ამოიხვნეშა.

— მაგრამ არ იცი, რა არის? სიზმრიდან მეტი არაფერი გახსოვს?

ეილიმ გონება დაძაბა და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. — მამიკო. ჩერჩი. და გეიჯი. მეტი არაფერი მახსოვს. მაგრამ მახსოვს, რომ ისინი ერთად მიდიოდნენ, დედიკო!

რეიჩელმა მაგრად ჩაიხუტა. — ყველაფერი კარგად იქნება, — უთხრა, მაგრამ გულიდან სიმძიმე არ მოშორებია.

— უკაცრავად, მე-ემ. — გაისმა ოპერატორის ხმა.

— დიახ? — რეიჩელმა ეილის ხელი გაუშვა და ყურმილს მიუბრუნდა.

— ვფიქრობ, თქვენს ბანგორში გამგზავრებას შევძლებ, მე-ემ, მაგრამ ჩასვლა ძალიან დაგიგვიანდებათ.

— არა უშავს, — უთხრა რეიჩელმა.

— კალამი გაქვთ? ჯობს ჩაიწეროთ.

— დიახ, ახლავე, — უთხრა რეიჩელმა და დახლიდან თლისგან დაპატარავებული ფანქარი აიღო. საწერად კი იქვე ნანახი კონვერტი გამოიყენა.

რეიჩელი ყურადღებით უსმენდა და ყველაფერს იწერდა. როდესაც ავიაკომპანიის ოპერატორი გაჩუმდა, რეიჩელმა გაიღიმა და ეილის ცერით და საჩვენებელი თითით წრე შეუკრა, რითაც აგრძნობინა, რომ ყველაფერი გამოვიდოდა. რამდენიმე გადაჯდომა საკმაოდ რთული ჩანდა... განსაკუთრებით ბოსტონში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— თუ შეიძლება, ყველა ბილეთი დამიჯავშნეთ, — თქვა რეიჩელმა, — და დიდი მადლობა.

კიმმა რეიჩელის სახელი და საკრედიტო ბარათის ნომერი ჩაიწერა. საბოლოოდ რეიჩელმა ყურმილი დაკიდა და შვება იგრძნო. შემდეგ მამას გახედა. — აეროპორტამდე წამიყვან, მა?

— ალბათ უნდა გიპასუხო — არა, — თქვა გოლდმენმა, — ალბათ, სწორედ ჩემზეა ამ სიგიჟისთვის წერტილის დასმის პასუხისმგებლობა.

— არ გაბედო! — გამყინავი ხმით შეჰყვირა ეილიმ, — სიგიჟე არ არის! არა! — გოლდმენი შეკრთა, უკან დაიხია და ოდნავ შეცბუნებულმა ამოიგმინა.

— წაიყვანე, ირვინ, — უთხრა ჩუმად დორიმ და სიჩუმე გაფანტა, — მეც ავნერვიულდი. მირჩევნია დავრწმუნდე, რომ ლუისი კარგად არის.

გოლდმენი ცოლს აკვირდებოდა. შემდეგ რეიჩელისკენ მიბრუნდა. — წაგიყვან, თუ სწორედ ეს გინდა, — თქვა მან, — მე... თუ გინდა, მეც შენთან ერთად წამოვალ, რეიჩელ.

რეიჩელმა თავი გააქნია. — გმადლობ, მამა, მაგრამ ყველა დარჩენილი ბილეთი მე ვიყიდე. თითქოს ისინი ჩემთვის ღმერთს გადაენახა.

ირვინ გოლდმენმა ამოიხვნეშა. ამ მომენტში ის ძალიან დაბერებული ჩანდა და უეცრად რეიჩელს მოეჩვენა, რომ მამამისი ჯად კრენდოლს წააგავდა.

— თუ გინდა, ჩანთის ჩალაგების დროც გაქვს, — თქვა მან, — მანქანას იმ სიჩქარით თუ წავიყვან, როგორც ჩემი და დედაშენის ქორწინების პირველ წელს დამყავდა, აეროპორტში ორმოც წუთში ვიქნებით. შენი ჩანთა მიეცი, დორი.

— დედიკო, — თქვა ეილიმ და რეიჩელი მისკენ მიბრუნდა. ეილის სახე ოფლის თხელი ფენით დაჰფარვოდა.

— რაო, საყვარელო?

— ფრთხილად იყავი, დედიკო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

49

შორიახლოს მდებარე აეროპორტის შუქებით განათებული ღრუბლიანი ცის ფონზე ხეები მხოლოდ მოძრავ სილუეტებად მოჩანდა. ლუისმა „ჰონდა“ მეისონ სტრიტზე დააყენა. მეისონი „პლეზენტვიუს“ სამხრეთით ესაზღვრებოდა. ქარი იმდენად ძლიერად უბერავდა, რომ მანქანიდან გადმოსვლისას ლუისმა კარის დაკეტვა ძლივს მოახერხა. შემდეგ კი, სანამ საბარგულიდან ინსტრუმენტებს ალაგებდა, ქარი ქურთუკს აფრასავით უფრიალებდა.

იდგა სიბნელეში, ქუჩის ორ ლამპიონს შორის და ხელში ეჭირა ინსტრუმენტები, რომლებიც ბრეზენტში ჰქონდა გახვეული. ფრთხილად იყურებოდა აქეთ-იქით და ცდილობდა, თვალში არ მოხვედროდა რიგით გამვლელსაც კი, რომელიც მხოლოდ თვალს შეავლებდა და წამსვე დაივიწყებდა. ღმერთო, როგორ ეშინოდა. ეს უკვე ჩვეულებრივი სიგიჟე იყო.

მანქანები არ მოძრაობდა. მეისონ სტრიტზე მხოლოდ ლამპიონების მიერ შექმნილი იდეალურად თეთრი რგოლები მოჩანდა. აქ დღის განმავლობაში, ალბათ, ფეირმონტის სკოლის ბიჭები დადიოდნენ ველოსიპედებით, გოგონები კი კლასობანას ან რეზინობანას თამაშობდნენ და ვერც ერთი ბავშვი ვერ ამჩნევდა სასაფლაოს. გამონაკლისი უთუოდ ჰელოუინის დღესასწაული იქნებოდა, როდესაც ეს ადგილი თავისებურ დამატებით ხიბლს იძენდა. მაშინ, სავარაუდოდ, სასაფლაოს რკინის რიკულებზე ბავშვები ქაღალდის ჩონჩხებს კიდებდნენ და ძველ ხუმრობებზე ხითხითებდნენ: — აბა, რა არის? იქ მისვლა არავის ეჩქარება, თუმცა მისვლას ყველა ასწრებს? — რატომ არის სასაფლაოზე სიჩუმე? — იმიტომ, რომ ყველას მკვდარივით სძინავს.

— გეიჯ, — ჩაილაპარაკა ლუისმა. გეიჯსაც აქ ეძინა. ამ რკინისრიკულებიანი ღობის მიღმა. მუქი მიწის ფენის ქვეშ იწვა და ეს არ იყო ხუმრობა. *მე შენ გამოგიხსნი, გეიჯ,* — გაიფიქრა ლუისმა. თუნდაც სიცოცხლის ფასად დამიჯდეს, გამოგიხსნი, დიდო ბიჭო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა თავისი მძიმე ტვირთით ქუჩა გადაკვეთა, ისევ ყურადღებით გაიხედა ორივე მხარეს და ბორდიურთან გაჩერდა. ბრეზენტი ფრთხილად გადადო ღობეზე და ნელი მოძრაობით დაუშვა. თავისი ჭკუით ადგილი მონიშნა. რომ დაკარგულიყო, შეეძლო ღობეს გამოჰყოლოდა და ინსტრუმენტებისთვის „სივიკის“ მოპირდაპირე მხარეს მიეგნო.

მაგრამ ასეთ დროს სასაფლაო ღია იქნება?

მეისონ სტრიტს გაუყვა „სტოპ“ ნიშნამდე. ქარი ზურგიდან უბერავდა და აჩქარებდა. გზის პირას ჩრდილები ირხეოდნენ და ცეკვავდნენ.

პლეზენტ სტრიტის კუთხეშიც შეუხვია და ისევ ღობეს გაუყვა. ქუჩიდან მანქანის ფარების შუქი გამოჩნდა. ლუისი ფრთხილად ამოეფარა თელის ხეს. ეს პოლიციის მანქანა არ ყოფილა. ლუისმა დაინახა, რომ ჩვეულებრივი ფურგონი იყო, რომელიც ჰემონ სტრიტისკენ მიდიოდა და ალბათ გზატკეცილზე გასვლას აპირებდა. მანქანამ რომ ჩაიარა, ლუისმა სიარული განაგრძო.

რა თქმა უნდა, ღია იქნება. ასე უნდა იყოს.

მიუახლოვდა სასაფლაოს ჭიშკარს, რომელსაც რაღაც გოტიკური ფორმების რკინის რიკულები ამშვენებდა და ახლა ლამპიონების შუქზე ქარი აქეთ-იქით არხევდა. ხელით მიაწვა.

ჩაკეტილია.

შე სულელო, რა თქმა უნდა, ჩაკეტილია. ვინ დატოვებდა სასაფლაოს ჭიშკარს ღიად თერთმეტი საათის შემდეგ? თან შუა ქალაქში. არა, ძმაო, ეგრე აღარავის ენდობიან. აბა, ახლა რას იზამ?

ახლა ღობეზე გადაძრომა მოუწევს იმ იმედით, რომ კარსონის შოუს ყურებას არავინ მოცდება და ფანჯარაში არ გამოიხედავს, თორემ მაშინვე ღობეზე წვალებით მფოფხავ მსოფლიოს ყველაზე ნელ და ყველაზე ბებერ ბავშვს დაინახავს.

— ალო, პოლიციაა? ახლა მე მსოფლიოს ყველაზე ნელ და ყველაზე ბებერ ბავშვს ვუყურებ, რომელიც ცდილობს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„პლეზენტვიუს“ სასაფლაოს ღობეზე გადაძვრეს. როგორც ჩანს, უსიკვდილოდ იქ უნდა მოხვედრა. არა, რა დროს ხუმრობაა, სრულიად სერიოზულად გეუბნებით. იქნებ მოხვიდეთ და გაარკვიოთ, რა ხდება.

ლუისი პლეზენტ სტრიტს გაუყვა და გზაჯვარედინზე მარჯვნივ შეუხვია. გვერდით ულმობლად აღმართულიყო მაღალი რკინის ღობე. ქარი სახეზე ჩამოღვრილ ოფლის წვეთებს უშრობდა, მისი ჩრდილი კი ხან აშკარად მოჩანდა ქუჩაზე, ხანაც იმალებოდა. ლუისი ყოველ ჯერზე ხან ცალ თვალს შეავლებდა ღობეს, ხანაც მიუახლოვდებოდა და აკვირდებოდა. გამოსავლის პოვნას ცდილობდა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა.

მართლა გინდა აცოცდე, პატარავ? ნუ მაცინებ, რა.

ლუის კრიდი საკმაოდ მაღალი კაცი გახლდათ. ის ექვს ფუტს და ორ დუიმს აღწევდა, მაგრამ ეს ღობეც, თავის მხრივ, თავისუფლად იქნებოდა ცხრა ფუტი სიმაღლისა. თან ყოველი რკინის რიკული დეკორატიული წაწვეტებული ისრით ბოლოვდებოდა. *ჰო, დეკორატიული იქნება, ზედ გადასვლისას საზარდულით რომ ჩამოეგები და დეკორატიული ისარი ნაწლავებში შეგერჭობა. და ასე ეკიდები, როგორც შამფურგაყრილი ღორი, მანამ, სანამ ვინმე პოლიციაში არ დარეკავს და საავადმყოფოში არ წაგიყვანენ.*

ოფლდენა მატულობდა. ლუისს პერანგი ზურგზე ეკვროდა. სიჩუმე იდგა, რასაც მხოლოდ შორიდან, ჰემონ სტრიტიდან მოსული ტრანსპორტის ხმა არღვევდა.

რაღაც გამოსავალი უნდა არსებობდეს.

უნდა არსებობდეს.

მიდი, ლუის, სიმართლეს თვალებში ჩახედე. შესაძლოა გიჟი იყო, მაგრამ ასეთი გიჟიც არ ხარ. რა თქმა უნდა, რეალურია ამ ღობეზე გადაძრომაც, მაგრამ საამისოდ კარგად გაწვრთნილი ტანმოვარჯიშე უნდა იყო, რათა ამ ისრებს გადაურჩე. თან, თუნდაც სასწაულებრივად შიგნით აღმოჩნდე, გეიჯის სხეულით უკან როგორღა დაბრუნდები?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი სიარულს განაგრძობდა და ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ ახლა, გამოსავლის ძიებაში, სასაფლაოს, უბრალოდ, წრეს არტყამდა.

კარგი, არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი. ამაღამ ლადლოუში ვბრუნდები, ხვალ ნაშუადღევს, სადღაც ოთხი საათისთვის ისევ მოვდივარ, შევდივარ სასაფლაოზე და შუაღამემდე სადმე ვიმალები. ასე და ამგვარად, ხვალისთვის გადავდებ საქმეს, რომლის გასაკეთებლად დღეს მოხერხება არ მეყო.

შესანიშნავი იდეაა, ო, დიდებულო ლუის... და, ამავდროულად, უშველებელ ბრეზენტში გახვეული ინსტრუმენტები, ღობიდან რომ გადაყარე, ყველასთვის შეუმჩნევლად, თავისთვის ეყრება მიწაზე, არა? წერაქვი, ნიჩაბი, ფანარი... თავისუფლად შეგიძლია ზედ წარწერაც გაუკეთო — *აღჭურვილობა საფლავის მძარცველისათვის.*

ინსტრუმენტები ბუჩქებშია, ვინ ეშმაკმა უნდა შეამჩნიოს?

თითქოს ეს ყოველივე ლოგიკასთან უფრო ახლოს იყო, მაგრამ ლუისს გული მაინც უჩქარდებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძლოა, ხვალ დაბრუნება ველარ მოეხერხებინა. არა, ნამდვილად ასე იქნებოდა. ამგვარ სიგიჟეზე ხელმეორედ ველარ წავიდოდა. ახლა იდგა ის ერთადერთი მომენტი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

ქუჩის ამ მხარეს ცოტა სახლი იდგა, შემთხვევით რომელიღაც ფანჯრიდან გამოსული შავ-თეთრი ტელევიზორის ნათების ფონზე ლუისმა შენიშნა, რომ აქ საფლავებიც უფრო ძველი იყო. განსხვავებული ფორმა ჰქონდა საფლავის ქვებსაც, ზოგი მათგანი კი მრავალი წლის შემდეგ ოდნავ წინ ან უკან გადახრილიყო. ლუისის წინ აქ კიდევ ერთი „სტოპ“ ნიშანი იდგა და თუ ახლა მარჯვნივ გაუხვევდა, მეისონ სტრიტის პარალელურ ქუჩაზე აღმოჩნდებოდა. ანუ იქ, საიდანაც სვლა დაიწყო. რა მოხდებოდა შემდეგ? ორას დოლარს მიიღებდა და მეორე წრეზე წავიდოდა? თუ დამარცხებას აღიარებდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქუჩის მეორე ბოლოდან მანქანის ფარების შუქი გამოჩნდა. ლუისმა უკან დაიხია. მორიგ ხეს ამოეფარა და დაელოდა მანქანის გავლას. ამჯერად მანქანა ნელა მოძრაობდა, რამდენიმე წამის შემდეგ კი მისი მგზავრის სავარძლის მხრიდან ფართო თეთრმა შუქმა გამოანათა. ლუისს მკერდში გული მტკივნეულად შეუქანდა. ეს პოლიციის მანქანა იყო და ისინი სასაფლაოს ამოწმებდნენ.

რაც შეეძლო, ახლოს მიეკრა ხეს და ლოყა მის უხეშ ზედაპირს მიაჭირა. იმედი ჰქონდა, რომ ხის სისქე მის დასამალად საკმარისი იქნებოდა. ლუისმა თავისი ფერმკრთალი სახე მიწისკენ დახარა. ამასობაში შუქმა ხემდეც მოაღწია, შემდეგ წამით ჩაქრა და ისევ აინთო. ლუისმა ოდნავ მოძრაობით გვერდზე ჩაიჩოჩა. მანქანა უკვე გასცდენოდა, მაგრამ ლუისი წამი-წამზე ელოდა, როდის აენთებოდა სამუხრუჭე წითელი ფარები, მანქანიდან პოლიციელი გადმოვიდოდა, მისკენ დაიძვრებოდა და ფანრის შუქს დიდი თეთრი თითივით მიაბჯენდა. — ჰეი, შენ! მაგ ხის უკან! გამოდი, დაგინახო! და ხელებში არაფერი გეჭიროს! ახლავე გამოდი!

პოლიციის მანქანა არ ჩერდებოდა. საბოლოოდ ქუჩის კუთხემდე მიაღწია, ტრადიციული სიგნალი მისცა და მარცხნივ გაუხვია. ლუისი ისევ ხეს იყო აკრული, მძიმედ სუნთქავდა და გამომშრალ პირში სიმჟავეს გრძნობდა. ფიქრობდა, რომ ახლა ისინი მის „ჰონდას“ ჩაუვლიდნენ, მაგრამ არა უშავდა, საღამოს ექვსიდან დილის შვიდამდე მეისონ სტრიტზე მანქანის გაჩერება შეიძლებოდა, თან აქ, ლუისის გარდა, სხვების, სავარაუდოდ, ქუჩის მეორე მხარეს მდებარე სახლებში მცხოვრებლების, მანქანებიც ეყენა.

ლუისმა შენიშნა, რომ თავი აეწია და ზემოთ იყურებოდა.

ზუსტად მის თავზე ხის ტოტი იხრებოდა და ისე, რომ ზედმეტი აღარ უფიქრია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ამ ტოტს ხელები ჩაავლო, ბოტასები მერქანს მიაჭირა და მცირედი შეძახილით მაღლა აიწია. რამდენიმე წამში უკვე თელის ხის ტოტზე მყარად იდგა. ახლა რომ პოლიციის მანქანა დაბრუნებულიყო, ხეზე შუქის მინათების შემთხვევაში მას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზე აუცილებლად შენიშნავდნენ უცნაურ ჩიტს. ლუისს სწრაფად უნდა ემოქმედა.

შემდეგ უფრო მაღალ ტოტზე ავიდა, რომელიც პირდაპირ ღობეს გადაჰყურებდა და თავი უეცრად თორმეტი წლის ბავშვად იგრძნო. ხე საკმარისად მსხვილი არ იყო და ქარის გამო ადვილად ირხეოდა. მისი ფოთლები შრიალებდნენ და ჩურჩულებდნენ. ლუისი ფრთხილად აფასებდა სიტუაციას. ზედა ტოტი, რომელზეც ახლა ხელი ჩაევლო, ზრდასრული კაცის მკლავზე ოდნავ მსხვილი იქნებოდა. მისი ბოტასები კი ახლა ქუჩიდან დაახლოებით რვა ფუტის სიმაღლეზე იმყოფებოდა. ლუისი ღობისკენ დაიძრა, ცივი ქარი უბერავდა და მოძრაობაში ხელს უშლიდა, ოფლი სდიოდა და ხელებიც უსველდებოდა. ფეხებქვეშ ტოტი ირწეოდა. ლუისს ნელ-ნელა დაღლა შეეპარა.

ღობემდე მიაღწია. ახლა ბოტასებსა და წვეტიან ისრებს შორის მხოლოდ ერთი ფუტიღა რჩებოდა. ახლოდან ყველა ისარი ძალიან ბასრი ჩანდა და ლუისი მიხვდა, რომ საფრთხის ქვეშ მხოლოდ მისი საზარდული როდი იყო. ამ ისრებზე დაცემის შემთხვევაში, მისი მასა, ალბათ, საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ ერთ-ერთ ისარს ფილტვებამდე შეეღწია. უკანდაბრუნებული პოლიციელები კი „პლეზენტვიუს“ ღობეზე უკვე ჰელოუინის საოცრად რეალისტურ დეკორაციას იხილავდნენ.

მძიმე სუნთქვის ფონზე, ლუისმა ზედა ტოტს ოდნავ წინ კიდევ უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი და ფეხი ისარზე გადადგა. რამდენიმე წამს შეისვენა, მეორე ფეხი ჰაერში წინ და უკან აათამაშა და უეცრად ისევ შუქს მოჰკრა თვალი.

ო, ღმერთო. ეს მანქანაა. ბრუნდებიან!..

ლუისმა ხელების წინ წაწევა სცადა, მაგრამ გაოფლილი თითები არ დაემორჩილა. ამჯერად ეს პოლიციის მანქანა არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, მან მაღალი სიჩქარით გაიარა გზაჯვარედინი და მალევე გაუჩინარდა. ლუისი კი ცალი ფეხით ჰაერში იყო და უკვე ისე დაღლილიყო, რომ მეტის გაძლება აღარ შეეძლო. ამიტომ ფეხი ერთხელ უიმედოდ დაიქ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნია, გაისმა ტოტის ტკაცუნი, ნაჭრის გახევის ხმა და ლუისმა გაიფიქრა, — *რა დიდებული სანახაობაა ჰაერში დაკიდებული კაცი.* — შემდეგ ხელები რიგრიგობით ქურთუკზე შეიმშრალა და იმ იმედით, რომ მიწაზე მშვიდობიანად დაეშვებოდა, წინ გადაქანდა.

მიწაზე დაშვება მშვიდობიანი არ გამოდგა, ერთი მუხლი რომელიღაც საფლავის ქვას ჩამოარტყა და საშინელმა ტკივილმა მთელი ფეხი მოიცვა. ლუისი ბალახზე გადაგორდა, მუხლს ხელით ისრესდა და კბილებს ერთმანეთს მაგრად აჭერდა. ახლა იმის იმედადღა იყო, რომ იქნებ კვირისტავი არ ჰქონდა გატეხილი. ტკივილი რომ გაუნელდა, ფეხი აამოძრავა და მიხვდა, რომ საქმე არც ისე სავალალოდ იყო. შესაძლოა, დაჭიმულობის მეტი, პრობლემა არც ჰქონოდა.

შემდეგ მეისონ სტრიტისა და ინსტრუმენტებისკენ დაიძრა. თავიდან მუხლი სიარულს ძალიან უშლიდა, მაგრამ ნელ-ნელა ტკივილი თითქმის ბოლომდე გაქრა. თან ახსოვდა, რომ „ჰონდას“ სააფთიაქო ნაკრებში „ასპირინიც“ ჰქონდა, რომელიც, კარგი იქნებოდა, თან წამოეღო, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი გვიანღა იყო. ლუისი ისევ ქუჩას აკვირდებოდა, რომელზეც მეისონ სტრიტის მხრიდან უფრო იყო მოსალოდნელი როგორც მანქანების, ისე ქვეითების გამოჩენა. უეცრად, როცა უკვე „სივიკის“ მოპირდაპირე ღობესთან აღმოჩნდა, ხმები შემოესმა, ვიღაც ხმადაბლა იცინოდა, ქალი ლაპარაკობდა, ამას ნაბიჯების ხმაც მოჰყვა და მაშინვე ერთ-ერთი საფლავის დიდ ქვას ამოეფარა. ჩაცუცქვის დროს მუხლმა ისევ საშინლად შეახსენა თავი, ქუჩაში გამოჩენილმა ახალგაზრდა წყვილმა კი ძველი სატელევიზიო გადაცემა მოაგონა. დიახ, რა თქმა უნდა, ამ გადაცემას ერქვა „ჯიმი დურანტეს საათი“. ლუისმა წარმოიდგინა, როგორი იქნებოდა, ახლა რომ ღობესთან მისულიყო და ამ მკვდრების ქალაქიდან პირდაპირ ახალგაზრდა წყვილის წინ გამოჭიმულიყო სიტყვებით: *ღამე მშვიდობისა, მისის კალაბაშ, სადაც არ უნდა ბრძანდებოდეთ ახლა!*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წყვილი ლუისის მანქანასთან, ლამპიონის ნათების ქვეშ შეჩერდა და ერთმანეთს ჩაეხუტნენ. ლუისი უყურებდა მათ და თავის თავზე ფიქრობდა, რაღაც იაფფასიანი კომიქსის ნახევრად ჰუმანოიდურ არსებას რომ დამსგავსებოდა, რომელიც ჩუმად აკვირდებოდა საყვარლებს. *განა ასეთი თხელი იყო ის ზღვარი? ასე მარტივად შეგეძლო მისთვის ფეხის გადაბიჯება? ხეზე აცოცება, ტოტზე გასვლა, სასაფლაოზე ჩახტომა, საყვარლების თვალთვალი, ორმოების თხრა. ასეთი მარტივი იყო? ეს იყო ჭკუაზე შეშლა? რვა წელი ვისწავლე, რათა ექიმი გავმხდარიყავი, შემდეგ კი ერთი უბრალო ნაბიჯის გადადგმით საფლავების მძარცველად ვიქეცი.*

ლუისმა მუშტი პირზე მიიბჯინა, რათა უსიამოვნო შინაგანი სიცივით გამოწვეული ხმა ჩაეხშო. ეს სიცივე აქვე იყო და ლუისი მას ერწყმოდა.

წყვილმა გზა განაგრძო. ლუისი მათ მოუთმენლად აკვირდებოდა. კიდევ ცოტა ხანს იარეს, შემდეგ კი კაცმა გასაღები ამოიღო, მანქანა გააღო და ორივენი შიგნით გაუჩინარდნენ. ქუჩაში ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ლუისის თავზემოთ კვლავ გაისმა ქარში აშრიალებული ფოთლების ხმა და ოფლიანი თმაც აუფრიალდა.

ლუისმა ღობესთან მიირბინა, დაიხარა და ბრეზენტს დაუწყო ძებნა. აი, აქ იყო. თითებქვეშ უხეში შეხება იგრძნო. ინსტრუმენტები აიღო, ღობეს მოსცილდა და უკან დაიხია. ჯერ ისევ ღობესთან ახლოს მიდიოდა, თუმცა საკმარის მანძილს იჭერდა ხეებქვეშ დასამალად საიმისოდ, თუ უეცრად სასაფლაოზე მართლაც აღმოჩნდებოდა დარაჯი. არავინ ჩანდა. ლუისი მარტო იყო და ახლა გეიჯის საფლავისკენ მიდიოდა, თუმცა უეცრად, სრულიად მოულოდნელად, ლუისი მიხვდა, რომ აღარ ახსოვდა, როგორ გამოიყურებოდა მისი ბიჭი. იხსენებდა მხოლოდ ცალკეულ დეტალებს — მის ქერა თმას, ნათელ და ბავშვურ თვალებს, მის პატარა, თეთრ კბილებს და იარას მაჯაზე, რომელიც ჩიკაგოში, მათი სახლის კიბიდან დაგორებისას დაეტყო. ლუისი ვერ ახერხებდა მთლიანობაში მის აღქმას. ხედავდა მხოლოდ ქუჩისკენ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ორინკოს“ სატვირთოსკენ, გაქცეულ გეიჯს, მაგრამ მისი სახე თვალისგან დაფარული იყო.

ცდილობდა გაეხსენებინა, როგორ იწვა გეიჯი ლოგინში იმ ღამით, როცა ფრანი გაუშვეს, მაგრამ მის გონებას თითქოს ნისლი გადაფარვოდა.

სად ხარ, გეიჯ?

იმაზე არ დაფიქრებულხარ, ლუის, რომ იქნებ მისთვის ამ გზით კარგს არაფერს აკეთებ? იქნებ ბედნიერია, სადაც არის... იქნებ სულაც არ არის სისულელე ეს ყოველივე და ახლა გეიჯი ანგელოზებთანაა? ან იქნებ, უბრალოდ, სძინავს და თუ სძინავს, დარწმუნებული ხარ და იცი, რას გააღვიძებ?

ოჰ, გეიჯ, სად ხარ? უკან, შინ უნდა დაგაბრუნო.

მაგრამ აკონტროლებდა კი ლუისი საკუთარ მოქმედებებს? რატომ ვერ იხსენებდა გეიჯის სახეს და რატომ არ აქცევდა ყურადღებას გაფრთხილებებს? ჯადს, პასკოუს, თავის საცოდავ გულს?

ლუისს გაახსენდა შინაური ცხოველების სასაფლაოს საფლავები და უხეში წრეები, რომლებიც მისტიკურ სპირალს ქმნიდნენ და ისევ სიცივემ დაუარა. შემდეგ კი მიხვდა, რომ სულაც არ სჭირდებოდა გეიჯის სახის გახსენება.

რადგან ცოტა ხანში მას იხილავდა.

საფლავზე უკვე დაედგათ ქვა და მარტივად წაეწერათ — *გეიჯ უილიამ კრიდი.* მის ქვევით კი — ორი თარიღი. ვიღაც დღეს უკვე მოსულიყო საფლავზე და ყვავილები დაეტოვებინა.

ნეტავ ვინ? მისი დანდრიჯი?

გული მძიმედ, მაგრამ რიტმულად უცემდა. დრო იყო. თუ ამის გაკეთებას მართლა აპირებდა, უკვე უნდა დაეწყო. მის განკარგულებაში მხოლოდ ერთი ღამე იყო, შემდეგ ისევ გათენდებოდა.

ლუისმა კვლავ ჩაიხედა საკუთარ გულში და დიახ, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ დაწყებულს აუცილებლად ბოლომდე მიიყვანდა. შემდეგ თავი მტკიცედ დააქნია და ჯიბის დანა ამოიღო. ბრეზენტი ადგილ-ადგილ სკოჩით გადაეკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რა. ლუისმა სკოჩი დანით გადაჭრა და მეთოდურად დაიწყო ბრეზენტზე ინსტრუმენტების დალაგება ზუსტად ისე, როგორც საოპერაციოში, მარტივი ქირურგიული ოპერაციის ჩატარების წინ.

აგერ ჰქონდა ფანარი — გამყიდველის რჩევისამებრ თავზე დამაგრებული ფეტრის ნაჭრით, რომელიც ასევე სკოჩით შემოეხვია, ნახვრეტი კი სკალპელით ამოეჭრა. აქვე იყო მოკლეტარიანი წერაქვი, რომელიც, სავარაუდოდ, არ დასჭირდებოდა, რადგან ახალდაყრილ მიწაში ქვები არ უნდა ყოფილიყო. ჰქონდა ნიჩაბიც, ბარიც, საკმარისი სიგრძის თოკიც და სამუშაო ხელთათმანებიც. ლუისმა ხელთათმანები გაიკეთა, ბარს ხელი ჩასჭიდა და დაიწყო.

მსუბუქი, ადვილად საჭრელი მიწა იყო და ამოღებული მასაც მარტივად იყრებოდა გვერდით. ლუისი კი ავტომატურად ისევ იმ უხეშ და ქვიან მიწაზე ფიქრობდა, რომლის თხრაც მიკმაკების სასაფლაოზე მოუწია. ბოლო-ბოლო, ეს ხომ ის ადგილი იყო, სადაც მის ბიჭს ამ ღამითვე ხელახლა დაკრძალავდა. აი, იქ კი დასჭირდებოდა წერაქვი. ამ ფიქრებში გართულმა ლუისმა გადაწყვიტა, საერთოდ აღარ ეფიქრა. ყველაფერი თავისთავად მოხდებოდა.

საფლავიდან ამოღებულ მიწას მარცხნივ ყრიდა, ორმოს სიღრმის მატებასთან ერთად კი გულის მშვიდი რიტმის შენარჩუნება უფრო და უფრო უჭირდა. ორმოში ჩააბიჯა და ახალი მიწის სურნელი შეიგრძნო. ეს იყო სუნი, რომელიც ძია კარლთან ერთად გატარებულ ზაფხულებს აგონებდა.

მიწის მთხრელი. — გაიფიქრა ლუისმა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ძია კარლი ეუბნებოდა, რომ ამერიკაში სასაფლაოს ყველა დარაჯს სწორედ ამ მეტსახელით მოიხსენიებდნენ. მისი მეგობრებიც მიწის მთხრელს უწოდებდნენ.

ლუისი თხრას განაგრძობდა.

მხოლოდ ერთხელ შეჩერდა და საათს დახედა. პირველის ოცი წუთი იყო. ლუისი გრძნობდა, რომ დრო ხელებიდან რაღაც ცხიმიანის მსგავსად იოლად უსხლტებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორმოცი წუთის შემდეგ ნიჩაბი მკვრივ საგანს მოხვდა და ლუისმა ქვედა ტუჩზე ისე იკბინა, რომ სისხლი წამოუვიდა. შემდეგ ფანარი აიღო და ჩაანათა. მიწაში დიაგონალური, მონაცრისფრო-მოვერცხლისფრო ზოლი გამოჩნდა. საფლავის ხუფი უნდა ყოფილიყო. მიწა მოაშორა, თან ძალიან ფრთხილობდა, ცდილობდა სიჩუმე არ დაერღვია, თორემ განა რა არის იმაზე ხმაურიანი, ვიდრე უკაცრიელ სასაფლაოზე ბეტონის ზედაპირთან ნიჩბის შეხების ხმა.

ხუფის გასუფთავებას მორჩა და საფლავიდან ამოვიდა. თოკი აიღო. ისევ ჩავიდა, თოკი ხუფის ერთ-ერთ სახელურს კარგად გამოაბა. ამოვიდა, ბრეზენტი გაშალა, ზედ დაწვა და თოკის მეორე ბოლო დაიჭირა.

ლუის, კარგად დაფიქრდი. ეს შენი ბოლო შანსია.

სწორია. ბოლო შანსია და აუცილებლად გამოვიყენებ.

ლუისმა თოკი ხელზე დაიხვია და მაგრად დაქაჩა. ბეტონის ხუფი მარტივად დაიძრა. როცა ოდნავ ზემოთაც აქაჩა, ჰორიზონტალური ხუფი ვერტიკალურ საფლავის ქვას დაემსგავსა. დანარჩენი უკვე მარტივი იყო. ბოლომდე თოკით ქაჩვა არ სჭირდებოდა, შეეძლო ხუფი ხელითაც გადაეძრო.

ისევ საფლავში ჩავიდა და ფრთხილი მოძრაობით ნელ-ნელა დაქაჩა საკმაოდ თხელი ბეტონის ხუფი. სასახლეს კენჭები და ცოტა მიწაც დაეყარა. ლუისმა კი თითებს შორის რაღაც ცივის შეხება იგრძნო. როცა ფეხზე წამოდგა, დაიხედა და მსუქანი მატლი დაინახა. ზიზღისგან წამოიყვირა, ხელი დაიქნია და მატლი შვილის სასახლის კედელს მიანარცხა.

შემდეგ ფანარს ხელი მოჰკიდა და ქვევითკენ ჩაანათა.

აი, სასახლე, რომელიც ბოლოს გასვენების დღეს იხილა. მაშინ ის ხელოვნური ბალახით იყო გაფორმებული. ეს გახლდათ შესანახი სეიფი, რომელსაც, წესით, მისი ბიჭის ყველა იმედი უნდა დაემარხა. სეიფი, რომელსაც ვერ გახსნი. ლუისი ახლებურმა სიმხურვალემ აავსო. *იდიოტო! არა! რას ბოდავ!*

შემდეგ ხელი ბარს ჩასჭიდა და სასახლის საკეტს დასცხო. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. თან სახეზე ზიზღით სავსე გრიმასა გამოსახოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღამ შორიდანვე ესროლა. სანამ სკანერიდან ჩანთის გამოსვლას ელოდა, მოუსვენრად ისრესდა ხელებს. ჩანთას ხელი დაავლო, მოსაცდელ დარბაზში გავარდა და მაღლა მონიტორზე წაიკითხა:

რეისი ნომერი 104 — პორტლენდის მიმართულებით, 11:25, კარიბჭე ნომერი 31, მიმდინარეობს ჩასხდომა.

ოცდამეთერთმეტე კარიბჭე დერეფნის ბოლოში მდებარეობდა. ხოლო სანამ რეიჩელი მისკენ გარბოდა, მონიტორზე სიტყვები „მიმდინარეობს ჩასხდომა“ შეიცვალა სიტყვით „აფრენა“. რეიჩელს იმედგაცრუების კივილი აღმოხდა და ბოლო სიჩქარით მივარდა კარიბჭეს, რომლის წინაც თანამშრომელი ბიჭი უკვე აშორებდა წარწერას — ფრენა ნომერი 104, ბოსტონი — პორტლენდი, 11:25.

— გაფრინდა? — უიმედოდ ჰკითხა რეიჩელმა, — მართლა გაფრინდა?

ბიჭმა თანაგრძნობით გახედა. — ასაფრენ ბილიკზე თერთმეტ საათსა და ოც წუთზე გავიდა. ვწუხვარ, მე-ემ. თუ ეს დაგამშვიდებთ, გეტყვით, რომ რაც შეგეძლოთ, ყველაფერი გააკეთეთ, — შემდეგ ბიჭმა რეიჩელს ფანჯრისკენ მიანიშნა, საიდანაც კარგად მოჩანდა „დელტას“ ლოგოიანი „ბოინგ 727“, რომელიც აციმციმებული შუქებით უკვე აფრენას იწყებდა.

— ღმერთო, არავინ გითხრათ, რომ მოვდიოდი?! — წამოიყვირა რეიჩელმა.

— როცა დამირეკეს, ეს მეოთხე უკვე ბილიკზე იყო გასული და მე რომ ისინი გამეჩერებინა, მთელ ოცდამეათე ბილიკს ჩაკეტავდნენ. პილოტი კი ტყავს გამაძრობდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ბორტზე მყოფ ასამდე მგზავრზე. ძალიან ვწუხვარ. ოთხი წუთით ადრე მაინც რომ მოსულიყავით...

რეიჩელი გაეცალა. მისი აღარ ესმოდა. ნელი ნაბიჯით, მოქუფრული და განადგურებული ბრუნდებოდა კონტროლის განყოფილებისკენ, მაგრამ უეცრად საშინელი სისუსტე იგრძნო. მალე ალბათ გონებასაც დაკარგავდა. ამიტომ იქვე ჩამოჯდა, მოსაცდელი დარბაზის ერთ-ერთ სკამზე და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფეხსაცმელები ჩაიცვა. ჩაცმისას ერთ-ერთი კოლჰოტიდან ქუსლზე აკრული სიგარეტის ნამწვი მოიშორა. *ფეხები გამიჭუჭყიანდა და ვითომც არაფერი.* — გაიფიქრა ბუნდოვნად.

ისევ ტერმინალისკენ დაიძრა.

კონტროლის ოთახში ერთ-ერთმა მცველმა თანაგრძნობით გახედა და ჰკითხა, — ვერ მიუსწარით?

— ჰო, ვერა.

— საით მიდიოდით?

— პორტლენდში, მერე ბანგორში.

— მაშინ მანქანა რომ იქირაოთ? ასეთ დროს, როგორც წესი, მგზავრებს სასტუმროში დარჩენას ვურჩევ ხოლმე, მაგრამ თქვენ რომ გიყურებთ, მეეჭვება, ღამის აქ გატარება გსურდეთ.

— დიახ, სწორედ ასეა, — თქვა რეიჩელმა და ოდნავ გონს მოვიდა. — მგონი, მანქანის ქირაობა ცუდი აზრი არ უნდა იყოს, მაგრამ იქნება ახლა რომელიმე მანქანა თავისუფალი?

მცველს გაეცინა. — უჰ, რა თქმა უნდა. მაგათ მანქანები მარტო მაშინ არ ჰყავთ, როცა აქ დიდი ნისლია. ეგ კი საკმაოდ ხშირად ხდება.

რეიჩელს ბოლომდე არ ესმოდა მისი სიტყვები. გონებაში უკვე გამოთვლებს აწარმოებდა.

გზატკეცილზე ტყვიის სიჩქარითაც რომ ევლო, რეიჩელი პორტლენდში ბანგორის თვითმფრინავს მაინც ვერ მიუსწრებდა. შესაბამისად, რჩებოდა ერთადერთი გზა — სახლამდე მანქანით ჩასვლა. რა დრო დასჭირდებოდა საამისოდ? ეს დამოკიდებული იყო მანძილზე. ორას ორმოცდაათი მილი, — საიდანღაც ეს ციფრი ამოუტივტივდა. შესაძლოა, ოდესღაც ჯადსაც ეთქვა. თუ აეროპორტიდან მალევე გავიდოდა, პირველის ნახევრისკენ უკვე გზატკეცილზე იქნებოდა. ვინაიდან ჩქაროსნულ გზატკეცილზე ივლიდა, აღარც სიჩქარის გადაჭარბების ჯარიმის შიში ექნებოდა და შეეძლო მთელი გზა სამოცდახუთი მილი-საათში სიჩქარით ევლო. რეიჩელმა გონებაში გადაიანგარიშა, ორას ორმოცდაათი სამოცდახუთზე გაყო და სრული ოთხი საათიც არ გამოვი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. რა უშავს... იყოს ოთხი. გზად, ალბათ, ერთხელ შეჩერდებოდა ტუალეტში და, მიუხედავად იმისა, რომ ძილი საოცრად შორეულ პერსპექტივად ეჩვენებოდა, საკუთარ თავს კარგად იცნობდა და ამიტომ ერთხელ ძლიერი ყავისთვის გაჩერებაც მოუწევდა. ლადლოუში გამთენიისას მაინც ჩავიდოდა. რეიჩელი ესკალატორისკენ გაეშურა, რადგან მანქანების გამქირავებელი სააგენტოები ქვედა სართულზე მუშაობდნენ.

— წარმატებებს გისურვებ, საყვარელო, — გასძახა დაცვამ, — აბა, შენ იცი.

— გმადლობ. — უპასუხა რეიჩელმა, რომელიც გრძნობდა, რომ ცოტა წარმატება ნამდვილად დაიმსახურა.

51

თავდაპირველად მძაღე სუნი დაეტაკა. საფლავის კიდეს დაეყრდნო და მძიმედ დაიწყო სუნთქვა, თუმცა სწორედ მაშინ, როცა ეგონა, რომ თავს უკეთ გრძნობდა, უეცრად მთელი თავისი მსუყე ვახშამი ზედ სასახლეზე აღებინა. შემდეგ კბილები მაგრად დააჭირა ერთმანეთს, იღლიიდან ფანარი გამოიღო და სასახლეს დაანათა.

მთელი მისი სხეული ღრმა საშინელებით აივსო. დაემართა ზუსტად ის, რაც ადამიანებს იმ საზარელი კოშმარის ხილვის დროს ემართებათ ხოლმე, რომელსაც გაღვიძებისას ველარ იხსენებენ.

არსად ჩანდა გეიჯის თავი.

ლუისს ხელები უკანკალებდა და ფანარს ძლივს იჭერდა. ისე ცდილობდა მის თითებს შორის მოქცევას, როგორც პოლიციელი იარაღისას, რომელიც სამიზნისკენ უნდა მიმართოს. კიდევ ცოტა ხანს აქეთ-იქით იქნია ფანარი და შემდეგ სხივი კვლავ სასახლისკენ მიმართა.

შეუძლებელია, — უთხრა საკუთარ თავს, — *გახსოვდეს, რომ, რაც დაინახე, შეუძლებელია რეალური იყოს.*

ლუისმა ფანრის წვრილი სხივი ნელ-ნელა ააყოლა გეიჯის ახალ ფეხსაცმელებს, შარვალსა და პიჯაკს *(ო, ღმერთო,*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორ შეიძლება, ორი წლის ბავშვებს შარვალ-პიჯაკს რომ აცმევენ), შემდეგ შეხსნილ საყელოს და... ლუისს სუნთქვა შეეკრა და გეიჯის სიკვდილით გამოწვეული სიმძიმე კვლავ ხელახალი შემოტევით იგრძნო და მან ჩაუხშო ყოველგვარი შიში. მათ შორის, შიში რაღაც ზებუნებრივის, პარანორმალურისა და იმის შიშიც, რომ უკვე ჭკუაზე შეშლამდე აღარაფერი უკლდა.

ლუისმა ხელი უკანა ჯიბეში ჩაიყო და ცხვირსახოცი ამოიღო. მეორე ხელით ფანარი ეჭირა, ისევ საფლავს აკვირდებოდა და თავის საიმედოდ შემაგრებას ცდილობდა. ახლა რომ სასახლის ერთ-ერთი კიდე ჩატეხილიყო, გეიჯს კისერს მოსტეხდა. შემდეგ ფრთხილად დაიხარა და ცხვირსახოცით ნელა დაუწყო გეიჯის კანზე ხავსის თხელ ფენას წმენდა. ხავსი იმდენად მუქი იყო, რომ ცოტა ხნის წინ ლუისს მოეჩვენა, თითქოს გეიჯს თავი აღარ ჰქონდა.

ხავსი მუქი იყო, მაგრამ ქაფივით შორდებოდა. ეს მოსალოდნელიც იყო. იწვიმა და თან სასახლე წყალგაუმტარი არ იყო. ლუისმა ფანრით მიმოანათა და შენიშნა, რომ სასახლე პატარა გუბეში იდგა. შუქს მიღმა კი მისი ბიჭი მოჩანდა. როგორც ჩანს, დამკრძალავ ბიუროში, ვინაიდან გვამი საშინელ მდგომარეობაში იყო, არც კი ვარაუდობდნენ, რომ ვინმე საფლავის გახსნას დააპირებდა, თუმცა მებალზამეებს, როგორც ყოველთვის, ცდა არ დაუკლიათ. მიუხედავად ამისა, გეიჯი მაინც ცუდად შეკერილ თოჯინას ჰგავდა. თვალები ღრმად ჰქონდა ჩაცვენილი, პირიდან კი ალბინოსის ენის მსგავსად რაღაც თეთრი მოუჩანდა. ლუისმა თავდაპირველად იფიქრა, რომ ეს ზედმეტად ბევრი ბალზამის ბრალი იყო, რადგან ბალზამის სათანადო დოზის გამოთვლა ზრდასრულებისთვისაც კი ძნელი იყო და, მით უმეტეს, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ბავშვების შემთხვევაში. შემდეგ ლუისი მიხვდა, რომ, უბრალოდ, ბამბას უყურებდა. გეიჯს პირიდან ბამბა მოაშორა და გვერდზე მოისროლა. ბნელ საფლავში თეთრი ბამბა რაღაც საძაგელ შესახედაობას იღებდა. ახლა გეიჯის ერთი ლოყა მოხუცისას დამსგავსებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გეიჯ, — ჩაიჩურჩულა ლუისმა, — ახლავე წაგიყვან, კარგი?

ლოცულობდა, რომ არავინ მოსულიყო. შესაძლოა, პირველის ნახევარზე მაინც გახსენებოდა სასაფლაოს დარაჯს ამ ადგილის შემოწმება და მაშინ ლუისი იძულებული იქნებოდა იმ ადამიანისთვის, რომელიც საფლავში ფანარს ჩამოანათებდა, ნიჩაბი პირდაპირ სახეში ჩაერტყა.

გეიჯს ხელები ამოსდო, სხეული მიიხუტა და უეცრად საოცარი სიცხადით გაიფიქრა, რომ შესაძლოა ამ მომენტში გეიჯის სხეული ნაწილებად დაშლილიყო. და დარჩებოდა სასახლის კიდეებზე მდგომი, ფეხებთან დაყრილი შვილის ნაწილებით და ხმამაღალი ყვირილით. აი, სწორედ ამ დროს იპოვიდნენ.

მიდი, მხდალო! მიდი, იმოქმედე!

მიხუტებული და სველი გეიჯი ნელ-ნელა საფლავიდან ამოიყვანა. გეიჯს თავი უკან გადავარდნოდა, ლუისი კი მის კისერთან თავის მხრებზე მისამაგრებლად გაკეთებულ ნაკერებს ამჩნევდა.

როგორღაც, მიუხედავად საძაგელი სუნისა და შვილის დაკარგვით ხელახლა აღძრული სასოწარკვეთისა, ლუისმა გეიჯთან ერთად მიწაზე ასვლა დაიწყო. მას საზარლად ბრაზიანი სახე, თვალების ნაცვლად შავი ხვრელები, შემაძრწუნებლად ჩაძირული ტუჩები, ვაებითა და სიბრალულით სავსე სახე ჰქონდა.

— გეიჯ, — თქვა ლუისმა და სხეული ოდნავ შეაქანა. გეიჯის თმა — უსიცოცხლო თოკები — მკლავზე შეეხო. — გეიჯ, ყველაფერი კარგად იქნება. გეფიცები, გეიჯ. ეს მალე დასრულდება. ეს მხოლოდ კოშმარია. გთხოვ, გეიჯ. მე შენ მიყვარხარ... მამიკოს უყვარხარ.

ლუისმა შვილი კიდევ ერთხელ შეაქანა.

ორის თხუთმეტი წუთისთვის ლუისი სასაფლაოს დასატოვებლად მზად იყო. მთელი ამ პროცესის ყველაზე რთული ნაწილი მაინც გვამის მიწიდან ამოღება აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს ჩაეშვა მისი შინაგანი ასტრონავტი, მისი გო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნება, სიცარიელის სიღრმეებში და ახლაც, როცა ისვენებდა, გრძნობდა, როგორ სტკიოდა ზურგი და როგორ უთრთოდა კუნთები. შემდეგ გეიჯის სხეული ბრეზენტში გაახვია, სკოჩი გრძლად გადააკრა და თოკით ბოლოები კოხტად შეუკრა. შორიდან დახვეულ ხალიჩას წააგავდა. ლუისმა სასახლე დახურა, შემდეგ ისევ გააღო და შიგნით დაბლაგვებული ბარი ჩააგდო. დაე, ეს სუვენირი „პლეზენტვიუს“ სასაფლაოს დარჩენოდა. ბიჭს კი ვერ დაუთმობდა. ლუისმა სასახლე დახურა და შემდეგ ბეტონის ხუფის ნახევარიც გადააფარა. ახლა უნდა მოეფიქრებინა, როგორ გადმოეწია მეორე ნახევარი. რამდენიმეწამიანი ფიქრის შემდეგ ქამარი მოიხსნა, ბეტონის ხუფის რკინის რგოლში გაუყარა, მეორე მხრიდან დაქაჩა და სასახლეს ფრთხილად გადაახურა. შემდეგ ნიჩბის დახმარებით საფლავს მიწა დააყარა, თუმცა მიწა არ ეყო. ამას ვინმე აუცილებლად შენიშნავდა. ან არ შენიშნავდა. ან შენიშნავდა და ყურადღებას არ მიაქცევდა. ლუისმა ეს ფიქრები განაგდო, რადგან წინ ჯერ კიდევ ბევრი საქმე ჰქონდა. ამაღამ კიდევ ერთი გიჟური სამუშაო უნდა ჩაეტარებინა. არადა, უკვე ძალიან იყო დაღლილი.

აბა, ჰე, შევუბერეთ!

— დიახაც, — ჩაილაპარაკა ლუისმა.

ქარმა იმატა, ხეები ააშრიალა და უსიამოვნო შესახედაობა მისცა. ლუისმა დააწყო ნიჩაბი, წერაქვი და სამუშაო ხელთათმანები, მათ გვერდით დადო ფანარიც. რა თქმა უნდა, ფანრის წაღების ცდუნება დიდი იყო, მაგრამ გაუმკლავდა. ინსტრუმენტები და სხეული საფლავთან დატოვა და იმ მაღალი რკინის ღობისკენ დაიძრა, სადაც ხუთი წუთის წინ იყო. ამ ღობის მეორე მხარეს, ქუჩის კიდესთან „სივიკი“ იდგა. ასე ახლოს და თან ასე შორს.

ლუისმა მანქანას ცოტა ხანს უყურა და შემდეგ სხვა მიმართულებით დაიძრა.

ამჯერად ჭიშკართან არ მისულა, უბრალოდ, შორიახლოს მიუყვებოდა ღობეს, რომელიც მალე მეისონ სტრიტისკენ შეუხვევდა. აქ სადრენაჟო არხი იყო გაყვანილი, რომელ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ში ჩახედვისთანავეც ლუისს კანკალი აუვარდა. არხი დამპალი ყვავილებით იყო სავსე. ყვავილების მრავალი ფენით, რომლებიც აქ სეზონურ წვიმასა და თოვლს ჩაერეცხა.

ღმერთო ჩემო.

არა, ღმერთო ჩემო, არა. ეს ნარჩენები სხვა, უფრო ძველი, ქრისტემდე არსებული ღმერთის პატივსაცემად ყრია აქ. ადამიანები მას სხვადასხვა სახელს უძებნიდნენ, მაგრამ ყველაზე შესაფერისი სახელი მაინც რეიჩელის დამ უწოდა: *ოზი — დიდებული და საზალელი.* ეს იყო სასაფლაოში მწოლიარე მკვდრების ღმერთი. სადრენაჟო არხებში ჩარეცხილი ყვავილების ღმერთი. მისტიკის ღმერთი.

ლუისი მონუსხულივით დაჰყურებდა არხს, შემდეგ კი უეცრად რაღაც ხმა მოესმა და ტრანსიდან გამოფხიზლდა. ისევ სვლა განაგრძო, თუმცა ბევრი არ უვლია. როგორც ჩანს, მის გონებას გასვენების დღიდან შემოენახა აქაურობის რუკა. ახლა მის წინ სასაფლაოს კრიპტე[1] იდგა.

როგორც წესი, ამ საცავში ზამთრობით სასახლეებს ინახავდნენ ხოლმე. მაშინ, როცა ისე ციოდა, რომ მიწას ბულდოზერიც კი ვერ თხრიდა. გამოიყენებოდა ისეთ შემთხვევებშიც, როცა ძალიან ეჩქარებოდათ.

დაჩქარება კი პერიოდულად უწევდათ „ცივი პერიოდის“ დროს. ლუისმა იცოდა, რომ ნებისმიერი ტიპის მოსახლეობაში არსებობდა პერიოდი, როცა უცნაურად ბევრი ადამიანი იხოცებოდა.

— ყველაფერი ბალანსდება, — ამბობდა ძია კარლი, — თუ, მაგალითად, მაისში ორი კვირა ისე გადაება, რომ არავინ მოკვდა, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ სადღაც ნოემბრის ორკვირიან პერიოდში ზედიზედ ათი დაკრძალვის ჩატარება მოგიწევს. თუმცა, ნოემბერში ასეთი რამ იშვიათად ხდება. შობის პერიოდში კი საერთოდ არავინ კვდება. არადა, ხალხს ჰგონია, პირიქითაა. ეს საშობაო დეპრესიაც სრული

[1] *შუა საუკუნეებში ასე უწოდებდნენ მიწისქვეშა სამლოცველოებს ან საცავებს. სასაფლაოებზე, როგორც წესი, შემნახველი საცავის სახით იყენებენ.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდვაა. შეგიძლია ნებისმიერი დამკრძალავი ბიუროს მეპატრონეს ჰკითხო. ადამიანთა უმეტესობა შობის პერიოდში ბედნიერია და სიცოცხლე სურთ. ჰოდა, ცოცხლობენ კიდეც. აი, დიდი დატვირთვა კი თებერვალზე მოდის. მოხუცები გაცივების შემდეგ იხოცებიან, არის პნევმონიის ხშირი შემთხვევაც და, გარდა ამისა, მაგალითად, ადამიანი, რომელიც წელიწად-ნახევარია კიბოს ებრძვის, ბრძოლას, როგორც წესი, სწორედ თებერვალში აგებს. ოცდათერთმეტ იანვარს ისინი მხნედ გრძნობენ თავს, დგება ოცდაოთხი თებერვალი და უკვე ოთხ კაცს ჰყავს ხელში აყვანილი. თებერვალში ხშირია ინსულტები, ინფარქტები და თირკმლის უკმარისობები. თებერვალი ცუდი თვეა. ადამიანები თებერვალში იღლებიან. ჩვენც მიჩვეულები ვართ ამას, ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობაა. თუმცა, ყოვლად აუხსნელი მიზეზებით, ასეთივე მდგომარეობაა ივნისსა და ოქტომბერშიც. მაგრამ არასოდეს — აგვისტოში. აგვისტო მშვიდი თვეა. თუ, რა თქმა უნდა, სადმე გაზის მილი არ აფეთქდა, ან ავტობუსი ხიდიდან არ გადავარდა. აგვისტოში კრიპტეს ვერასოდეს გამოავსებ. აი, თებერვალში კი სასახლეები შიგნით სამ რიგად გვეწყო და ვოცნებობდით, მალე დამთბარიყო, რათა მათი ნაწილის დაკრძალვა მაინც მოგვეხერხებინა და დამატებითი ფართობის იჯარით აღება არ დაგვჭირვებოდა.

ძია კარლს ეცინებოდა და ლუისიც თავს მხიარულად გრძნობდა იმ სახის ინფორმაციის მიღებით, როგორსაც სამედიცინო კოლეჯში არავინ ასწავლიდა. ისიც იცინოდა.

კრიპტეს ორმაგი კარი ამოზრდილიყო მომცრო ბორცვზე, რომელიც ფორმით ქალის მკერდს წააგავდა. ეს ბორცვაკი (რომელიც, ლუისის აზრით, სულაც არ უნდა ყოფილიყო ბუნებრივი) ერთი-ორი ფუტით დაშორებულიყო ღობის დეკორატიული ისრებიდან.

ლუისმა მიმოიხედა და აღმართს აუყვა. ბორცვაკის მეორე მხარეს სადღაც ორი აკრის ფართობის ცარიელი მიწის მასივი მოჩანდა. თუმცა, არა... მთლად ცარიელი არა. რაღაც ეული შენობა განცალკევებული ფარდულის მსგავსად იდგა. ალბათ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისიც სასაფლაოს ეკუთვნის, — გაიფიქრა ლუისმა. *შესაძლოა, აქ რალაც ინსტრუმენტებს ინახავენ.* ძველ თელებსა და ნეკერჩხლებს შორის მეისონ სტრიტის ლამპიონების სინათლე აღწევდა. ქარი კი ხეებს უსიამოვნოდ აშრიალებდა, თუმცა ეს იყო ერთადერთი მოძრაობა, რომელსაც ლუისი ამჩნევდა.

ლუისი საჯდომზე დაეშვა. ეშინოდა, დაღმართიდან ჩასვლისას მუხლის ტკივილს თავი არ შეეხსენებინა. ბიჭის საფლავთან დაბრუნდა და ფეხი კინაღამ გადახვეულ ბრეზენტს წამოჰკრა. ხვდებოდა, რომ ერთი გზის ორჯერ გავლა მოუწევდა. ერთხელ სხეულისა და მეორედ ინსტრუმენტების წასაღებად. ლუისი დაიხარა, ზურგის ტკივილის გამო სახე დაღრიჯა და გეიჯს ხელები ამოსდო. იგრძნო, როგორ გამოძრავდა გეიჯის სხეული მის ხელებში და ყურადღება არ მიაქცია გონების ცნობიერების იმ ხმას, რომელიც ჩურჩულით აუწყებდა, რომ გაგიჟდა.

სხეული „პლეზენტვიუს“ კრიპტეს ბორცვაკამდე მიიტანა და ახედა კარიბჭეს, რომელიც ძალიან წააგავდა ორი მანქანისთვის განკუთვნილი ავტოფარეხის კარს. ლუისი დაფიქრდა, თუ როგორ უნდა მოეხერხებინა ამ ორმოცფუნტიანი სხეულის ღობეზე გადატანა, რადგან თოკი უკვე აღარ ჰქონდა. შემდეგ უკან დაიხია და აჩქარებით აუყვა ბორცვაკს. ბალახს სისველე მოსდებოდა და სიარულში ხელს უშლიდა, თუმცა ბოლომდე ასვლა მაინც მოახერხა და რამდენადაც შეეძლო, გეიჯის სხეულიც წინ გადააგდო, რათა უკან არ ჩამოგორებულიყო. შემდეგ ცოტა ხნით ჩამოჯდა და მოისვენა. მიმოიხედა, ისევ არავინ ჩანდა, არც შიგნით და არც ღობის მეორე მხარეს. შემდეგ კი უკან, ინსტრუმენტების წამოსაღებად დაბრუნდა.

როდესაც ისევ ბორცვაკის თავზე აღმოჩნდა, სამუშაო ხელთათმანები გაიკეთა და ფანარი, წერაქვი და ნიჩაბი ბრეზენტის გვერდით დააწყო. შემდეგ ჩამოჯდა, ზურგი ღობის რიკულებს მიაყუდა და დაასვენა. ხელები მუხლებზე დაიწყო. მისი ახალი ციფრული საათი, რომელიც რეიჩელმა საშობაოდ აჩუქა, ატყობინებდა დროს — 02:01.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კიდევ ხუთი წუთით დაისვენა, შემდეგ ნიჩაბი აიღო, ღობის იქით გადააგდო და მისი ბალახზე დაგდების ხმა გაიგო. შემდეგ სცადა, ფანარი ჯიბეში ჩაედო, მაგრამ არ ჩაეტია. იძულებული გახდა, ორ რიკულს შორის ბორცვის კიდეზე ჩაეცურებინა და იმის იმედი ჰქონოდა, რომ ფანარი ქვას არ დაეცემოდა და არ გატყდებოდა. ლუისმა ინანა, ზურგჩანთა რომ არ წამოიღო.

შემდეგ ქურთუკის ჯიბიდან სკოჩი ამოიღო და წერაქვი ბრეზენტს მიაკრა. იქამდე ახვია სკოჩი, სანამ ბოლომდე არ დაიცალა და ბოლოს ცარიელი მუყაო ისევ ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ ეს ყველაფერი მაღლა ასწია (მიუხედავად ზურგის პროტესტისა, რომელიც, სავარაუდოდ, მთელი მომდევნო კვირის განმავლობაში შეაწუხებდა) და ღობის იქით გადააგდო. გაისმა მსუბუქი რაჩხუნი.

ცალი ფეხით ღობეზე გადააბიჯა, რიკულსა და რიკულს შორის მოათავსა, ხელებით კი ფრთხილად დაეყრდნო დეკორატიულ ისრებს. შებრუნდა, ფეხები ნელ-ნელა დაბლა დაუშვა და მიწაზე ჩახტა.

დაბლა ჩასულმა ბალახებში ნიჩაბი მალევე იპოვა, რადგან მას პირდაპირ ლამპიონის შუქი დაჰნათოდა. სამაგიეროდ, ძალიან გაუძნელდა ფანრის მიგნება. დაოთხილმა კარგა ხანს აფათურა ხელი ბალახებში და დაჯერებაც კი გაუჭირდა, იმდენად შორს მიაგნო მას. გამალებულ გულისცემას ლუისი ყურებში გრძნობდა.

ფანარს ხელი დაავლო, წამოიმართა და აანთო. დარწმუნებულმა, რომ არ გატეხილა, გამორთო და შემდეგ ჯიბის დანის დახმარებით წერაქვი ბრეზენტს მოაცილა. მეისონ სტრიტი ყოველმხრივ ცარიელი იყო, მხოლოდ ერთ-ერთი სახლის ზედა სართულზე ხედავდა კვადრატულ ნათებას. როგორც ჩანს, იქ ვიღაც უძილობით შეპყრობილი ან ინვალიდი ცხოვრობდა.

სწრაფი მოძრაობით, მაგრამ არა სირბილით, ლუისმა ქუჩა გადაკვეთა. სასაფლაოს სიბნელის შემდეგ ქუჩის განათება თვალს სჭრიდა. აი, იდგა ბანგორის სიდიდით მეორე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძვალთსაცავიდან გამოსული, იღლიაში ამოდებული წერაქვით, ნიჩბითა და ფანრით. ახლა რომ ის ვინმეს დაენახა, ყველაფერი აშკარა იქნებოდა.

„სივიკამდე“ სწრაფი ნაბიჯით მივიდა. აქამდე მხოლოდ ორმოცდაათი იარდი გამოევლო, თუმცა ლუისს ეს ხუთ მილად ეჩვენებოდა. ხვითქი გადასდიოდა, დამფრთხალი ელოდა მანქანის ან ფეხის ნაბიჯის ხმას.

„ჰონდასთან“ მისულმა წერაქვი და ნიჩაბი გვერდით გადადო და გასაღებს დაუწყო ძებნა, თუმცა ჯიბეში ვერ მიაგნო. სახე ახალმა ოფლმა დაუსველა. გული ისევ აუჩქარდა და კბილებიც პანიკური შემოტევის ფონზე მაგრად დააჭირა ერთმანეთს.

დაკარგა. როგორც ჩანს, ტოტიდან ჩამოხტომისას, როცა მუხლი იტკინა, მაშინ, სადღაც ბალახებში ჩაუვარდა. პოვნით კი, ჯერ ფანარი რა გაჭირვებით იპოვა და გასაღებს რალას მიაგნებდა? ესეც ასე. ერთი შეცდომა და ყველაფერი დასრულდა.

ახლა კი იდექი და ელოდე, ამის დედაც. მოიცა, კიდევ მოიქექე ჯიბეები. ხურდები ხომ ისევ მანდ არის... ისინი თუ არ გადმოცვივდა, არც გასაღები გადმოვარდებოდა.

ამჯერად ჯიბეები უფრო ფრთხილად შეამოწმა. ხურდები ამოალაგა, ჯიბეებიც ამოიტრიალა.

მაგრამ გასაღები არსად იყო.

ლუისი მანქანასთან დაიხარა და დაფიქრდა, რა გაეკეთებინა შემდეგ. ალბათ, ისევ უკან უნდა აცოცებულიყო, შვილი აქ დაეტოვებინა, თან ფანარი წაელო და მთელი დარჩენილი ღამე უაზრო ძებნაში გაეტარებინა. თუმცა, უეცრად გონება გაუნათდა და „სივიკის“ ფანჯარაში შეიხედა. გასაღები მანქანის დასაქოქ კლიტეში იყო გარჭობილი. სასიამოვნო შვება იგრძნო, მაშინვე კარი გამოაღო, მგზავრის სავარძელზე დაჯდა, გასაღები აიღო, შემდეგ უკნიდან შემოუარა, გონებაში კი უეცრად კარტოფილის ცხვირიანი და ძველისძველ შლაპიანი კარლ მალდენის სიტყვები გაიგონა: *ჩაკეტე კარი, აიღე გასაღები, არ გააფუჭო კარგი ბიჭი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„სივიკის“ საბარგული გააღო და წერაქვი, ნიჩაბი და ფანარი შიგნით ჩადო. კარი დაკეტა, ქუჩა ოცი-ოცდაათი ფუტის მანძილზე გადაკვეთა და ისევ გასაღები გაახსენდა. ამჯერად ის საბარგულის კლიტეში დაეტოვებინა.

სულელო! — გულში შესძახა საკუთარ თავს, — *ასე სულელურად თუ უნდა მოიქცე, ჯობს, ყველაფერი ახლავე დაივიწყო!*

უკან დაბრუნდა და გასაღები აიღო.

ხელებით უკვე გეიჯი აეყვანა და მეისონ სტრიტს კვეთდა, როცა საიდანღაც ძაღლის ყეფის ხმა შემოესმა. არა, უბრალოდ ყეფა კი არა, ყმუილი. მისი მრისხანე ხმა მთელ ქუჩას ავსებდა. — ავუუუუუუ! ავუუუუუუ!

ერთ-ერთი ხის უკან იდგა და ფიქრობდა, რა მოხდებოდა შემდეგ, რა გაეკეთებინა შემდეგ. იდგა და ელოდა, როდის განათდებოდა მთელი ქუჩა.

თუმცა, შუქი მხოლოდ ერთგან აინთო — ჩრდილებში მდგარი ლუისის მოპირდაპირე მხარეს. რამდენიმე წამის შემდეგ კი მკაცრი ყვირილი გაისმა. — მოკეტე, ფრედ!

— ავუუუ! — შეეპასუხა ფრედი.

— ენა ჩააგდებინე, სკენლონ, თორემ პოლიციაში დავრეკავ! — დაიძახა ვილაცამ ამჯერად უკვე ლუისის მხრიდან. ლუისი შეხტა და გაიაზრა აქამდე არსებული სიჩუმის სრული უაზრობა. აქ ყველგან ხალხი იყო. ათასი თვალი. ეს ძაღლი კი მათ ძილს — ლუისის ერთადერთ მეგობარს — აფრთხობდა. *კარგი, რა, ფრედ,* — გაიფიქრა ლუისმა, — *მართლა კარგი, რა.*

ფრედმა მორიგი არია წამოიწყო. „ავუუუ“ წარმატებით შეასრულა, მაგრამ სანამ „უუუუ“ გადავიდოდა, გაისმა ხმამაღალი დარტყმის ხმა, რასაც ჩუმი ყეფა და წკავწკავი მოჰყვა. კარის მოჯახუნების ხმის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოწვა, ფრედის სახლის მხარეს კი შუქი მალევე ჩაქრა.

ლუისს გამიზნული ჰქონდა, კიდევ ცოტა ხანს ჩრდილში დარჩენილიყო და დაეცადა, სანამ ყველაფერი დამშვიდდებოდა. რა თქმა უნდა, ასე აჯობებდა, მაგრამ დრო არ ითმენ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. ამიტომ სხეულით ხელში ქუჩა გადაკვეთა, „სივიკთან“ მივიდა და გასაღებით საბარგული გახსნა. ფრედი ხმას აღარ იღებდა.

საბარგულში კი გეიჯი არ ეტეოდა.

ლუისმა ჯერ ვერტიკალურად, შემდეგ ჰორიზონტალურად და დიაგონალურად სცადა, მაგრამ მაინც ვერ მოათავსა. შეეძლო წელში მოეხარა და ისე ჩაედო — გეიჯისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა — მაგრამ ლუისს ამის გაკეთება მაინც არ შეეძლო.

მიდი, მიდი, მიდი, დროზე მოვუსვათ აქედან, ნულარ აყოვნებ.

მაგრამ ამ ბრეზენტის შიგნით მისი შვილი იყო და ასე უბრალოდ ვერ მოექცეოდა. ლუისმა მოახლოებული მანქანის ხმა გაიგონა და დაუფიქრებლად გააღო წინა კარი, გეიჯი კი მგზავრის სავარძელზე დასვა, შემდეგ მანქანის უკანა მხარესთან მიირბინა და საბარგულის კარი დაკეტა. უცნობმა მანქანამ გზაჯვარედინი შეუჩერებლად გაიარა. ლუისს ნამთვრალევი ხმები შემოესმა. შემდეგ „სივიკის“ მძღოლის სავარძელზე დაჯდა, მანქანა დაქოქა და გზაჯვარედინთან მისულიც არ იყო, რომ უეცრად თავში საზარელმა შეკითხვამ დაჰკრა. იქნებ გეიჯი სავარძელში უკულმა იჯდა და ახლა სახით უკან იყურებოდა?

რა მნიშვნელობა აქვს, — შეეპასუხა საკუთარი გონება დაღლილი ხმით, — *ოდესმე შეიგნებ? ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.*

ლუისმა გვერდით გადაიწია და ფრთხილად დაუწყო ბრეზენტს შეხება. ისე დაატარებდა თითებს, როგორც უსინათლო, რომელსაც სურს გაიგოს, რა საგანს ეხება. შემდეგ, როგორც იქნა, თითები რაღაც ნაცნობ ფორმას ჩაავლო — ეს გეიჯის ცხვირი უნდა ყოფილიყო.

ძალიან კარგი, სწორად იჯდა.

მხოლოდ ამის შემდეგ დაძრა მანქანა. ლადლოუმდე სულ რაღაც ოცდახუთი წუთის სავალი იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

52

იმ ღამით, პირველ საათზე, ჯად კრენდოლის ტელეფონმა დარეკა და ცარიელი სახლი აახმიანა. ჯადსაც ნელ-ნელა გამოეღვიძა თვლემა-თვლემაში ნანახი სიზმრიდან. სიზმარში ოცდასამი წლის იყო, რკინიგზის ფარდულში ჯორჯ ჩეპინთან და რენე მიშუსთან ერთად იჯდა. ერთმანეთს „ჯორჯია ჩარჯერის“ ვისკის ბოთლს აწვდიდნენ და გარეთ მქროლავი ქარის ხმას უსმენდნენ. ხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ რკინიგზის ხმაურსაც ახშობდა. ისინი კი ისხდნენ მთვრალები ღუმლის წინ და ათასგვარ ისტორიას ჰყვებოდნენ. ისტორიებს, რომლებსაც კაცი ისევე ინახავს წლების განმავლობაში, როგორც პატარა ბიჭი თავის ნაყარნუყარ განძეულობას ლოგინის ქვეშ. ისტორიებს, რომლებიც მხოლოდ ასეთ ღამეებში მოიყოლება. ეს იყო ბნელი ისტორიები, რომელთა ცენტრშიც წითელი ალი ანათებდა, ქარი კი არ ჩერდებოდა. მაშინ ჯადი ოცდასამი წლის იყო, ნორმაც საკმაოდ ჯანსაღად (თუმცა, ახლა ალბათ უკვე ეძინებოდა, რადგან ასეთ ამინდში ჯადის შინ დაბრუნებას ვერ იფიქრებდა) გამოიყურებოდა და ახლა, როცა ტელეფონმა დარეკა, ჯადი რენე მიშუს ისტორიას ისმენდა ბაკსპორტელი ებრაელი ვაჭრის შესახებ.

ჯადი სკამზე შეხტა, წამოდგა და იგრძნო რაღაც ქვასავით სიმძიმე. სიმძიმე, რომელმაც აგრძნობინა იმ ოცდასამ წლამდე არსებული სიშორე. ამ ფიქრების კენწეროში კი მოქცეულიყო სიტყვები: *ჩაგეძინა, ბიჭიკო. ამ რკინიგზას ველარაფრით აამუშავებ... ამაღამ ვერა.*

ფეხზე მდგარი ჯადი მხრებში გაჭირვებით გაიშალა და ტელეფონთან მივიდა.

რეიჩელი რეკავდა.

— ჯად? არ დაბრუნებულა?

— არა, — უთხრა ჯადმა, — სად ხარ, რეიჩელ? თითქოს ახლოს ხარ.

— კი, ახლოს ვარ, — უპასუხა რეიჩელმა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხმა თითქოს ახლოდან ისმოდა, მას ფონად სდევდა გაბმული ზუზუნი, რომელიც იმ ადგილის ქარს ეკუთვნოდა, სადაც ახლა რეიჩელი იმყოფებოდა. ამ ღამით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველგან საშინელი ქარი ქროდა. ასეთი ქარის ხმას ჯადი ყოველთვის გარდაცვლილთა გუნდის ხმას ადარებდა. — ახლა ბიდფორდში ვარ, მენის მთავარ გზატკეცილზე.

— ბიდფორდში!

— ჩიკაგოში დარჩენა არ შემეძლო. მეც და ეილიც ვგრძნობთ, რომ რაღაც ცუდი ხდება. შენი ხმით მივხვდი, რომ შენც ასე ფიქრობდი.

— აიუჰ. — ჯადმა „ჩესტერფილდის“ ერთი ღერი ამოიღო და ტუჩების კუთხეებს შორის მოიქცია. შემდეგ ასანთს მოუკიდა და დააკვირდა აკანკალებულ ალს. ხელი არასოდეს აჰკანკალებია... ამ კოშმარული ამბების დაწყებამდე. გარეთ კი პირქუში ქარის ხმა არ წყდებოდა. სახლს საკუთარი ხელებით ეჭიდებოდა და აზანზარებდა.

ადრე ის სავსე იყო ძალით, შემდეგ შესუსტდა და ვშიშობ, რომ ახლა ისევ ივსება.

გამყინავმა შეგრძნებამ მოიცვა მისი შუშასავით მყიფე ძვლები.

— გთხოვ, მითხარი, რა ხდება, ჯად!

ჯადი ფიქრობდა, რომ რეიჩელს უფლება ჰქონდა სცოდნოდა, რა ხდებოდა. ალბათ, მთელ ისტორიასაც მოუყვებოდა. გააცნობდა ამ ჯაჭვის ყოველ რგოლს. ნორმას გულის შეტევას, კატის სიკვდილს, ლუისის შეკითხვას იმის შესახებ, დაემარხათ თუ არა იმ მიწაზე ოდესმე ადამიანი, გეიჯის სიკვდილს... და ღმერთმა იცის, კიდევ რას, რაზეც ახლა ლუისი ფიქრობდა. აუცილებლად მოუყვებოდა ამ ყველაფერს, მაგრამ არა ტელეფონში.

— რეიჩელ, როგორ მოხდა, რომ გზატკეცილზე ხარ და არა თვითმფრინავში?

რეიჩელმა აუხსნა, თუ რატომ ვერ მოახერხა ბოსტონში თვითმფრინავზე გადაჯდომა. — „ეივისის“ მანქანა ვიქირავე, მაგრამ გზა უფრო გამიგრძელდა, ვიდრე ვფიქრობდი. „ლოგენიდან“ მენის გზატკეცილამდე გზის ძებნაში დრო დავკარგე და ალბათ გათენებამდე ვერც ჩამოვალ, მაგრამ, ჯად... გთხოვ. გთხოვ, მითხარი, რა ხდება. ძალიან მეშინია და არ ვიცი, რატომ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— მომისმინე, რეიჩელ, — უთხრა ჯადმა, — ახლა შენ პორტლენდში ჩახვალ და იქ მოტელში დარჩები. მოტელში კარგად...

— არ შემიძლია, ჯად, მე...

— კარგად გამოიძინებ და მოყოჩაღდები. შესაძლოა ამაღამ აქ რაღაც მოხდეს, რეიჩელ, და ამ შემთხვევაში შენი აქ ყოფნა არაფრით არ შეიძლება. ვფიქრობ, ყველაფერს თავად მივხედავ, რადგან ყველაფერი ჩემი ბრალია. და თუ არაფერი მოხდა, შენ აქ შუადღისთვის ჩამოხვალ და ყველაფერი კარგად იქნება. დარწმუნებული ვარ, ლუისს შენი ნახვა ძალიან გაახარებს.

— ამაღამ ვერ დავიძინებ, ჯად.

— დაიძინებ, — უთხრა ჯადმა და მიხვდა, რომ თავადაც რეიჩელის აზრზე იყო. ჯანდაბა, ალბათ არც პეტრეს ეძინა იმ ღამით, როცა იესო შეიპყრეს.

სადარაჯოზე ძილი.

— დიახ, დაიძინებ. წარმოიდგინე, საჭესთან რომ ჩათვლიმო და დაილუპო, მაშინ რაღას იზამს ლუისი? ან ეილი?

— მითხარი, რა ხდება! თუ მეტყვი, იქნებ დაგიჯერო, ჯად. მაგრამ უნდა ვიცოდე!

— როცა ლადლოუში ჩამოხვალ, პირდაპირ ჩემთან მოდი, — უთხრა ჯადმა, — სახლშიც არ შეიარო. პირველად აქ მოდი. რაც ვიცი, ყველაფერს მოგიყვები, რეიჩელ. ლუისსაც მე მივხედავ.

— მითხარი.

— არა, მე-ემ. ვერ მოგიყვები, არ შემიძლია, რეიჩელ. ჩადი პორტლენდში და დაიძინე. — მის სიტყვებს გრძელი, ჩაფიქრებული პაუზა მოჰყვა.

— კარგი, — თქვა ბოლოს რეიჩელმა, — ალბათ მართალი ხარ. ოღონდ, ეს მითხარი, ჯად, საქმე ძალიან ცუდად არის?

— გავუმკლავდები, — დინჯად თქვა ჯადმა, — საქმე იმდენად ცუდადაა, რამდენადაც შეიძლება რომ იყოს.

გარეთ მანქანის შუქი გამოჩნდა. მანქანა ნელა მოძრაობდა. ჯადი წამოდგა, დააკვირდა, შემდეგ კი ისევ სკამს დაუბრუნდა. მანქანამ კრიდების სახლს წინ ჩაუარა და გაუჩინარდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— კარგი, — თქვა რეიჩელმა, — შევეცდები დავისვენო. მთელი ეს გზა მძიმე ლოდად დამაწვა.

— ჰოდა, მოიშორე ეგ ლოდი, ძვირფასო, — უთხრა ჯადმა, — გთხოვ, თავი ხვალინდელისთვის შემოინახე. ყველაფერი კარგად იქნება.

— მპირდები, რომ ყველაფერს მომიყვები?

— კი, თითო ლუდთან ერთად ყველაფერს მოგიყვები.

— კარგი, მაშინ ნახვამდის, — უთხრა რეიჩელმა, — დროებით.

— დროებით, — უთხრა ჯადმა, — ხვალ შევხვდებით, რეიჩელ.

და სანამ რეიჩელი კიდევ რაიმეს თქმას მოასწრებდა, ჯადმა ყურმილი დაკიდა.

ჯადს ახსოვდა, რომ სამედიცინო უჯრაში კოფეინის აბები ჰქონდა, მაგრამ ვერ იპოვა. დაულეველი ლუდი კი დაუნანებლად შედგა მაცივარში და მაგარი ყავა დაისხა. შემდეგ ისევ სავარძელში დაბრუნდა და ფანჯრიდან გაიხედა.

ყავამ და რეიჩელთან საუბარმა ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში სიფხიზლე შეუნარჩუნა, მაგრამ მერე ისევ თვლემა დაეწყო.

საგუშაგოზე ნუ იძინებ, ბებერო. თავი ხელში აიყვანე. შენ რალაც შეიძინე და ახლა საფასურის გადახდის დროა. ასე რომ, საგუშაგოზე ძილი არ დავინახო.

ჯადმა სიგარეტს მოუკიდა, ღრმად მოქაჩა და მძიმედ ჩაახველა. შემდეგ სიგარეტი საფერფლის კიდეზე დადო და თვალები ორივე ხელით მოისრისა. გარეთ ათბორბლიანმა სატვირთომ ჩაიარა და უსიამოვნო ქარიანი ღამე თავისი ფარებით გაანათა.

ჯადი მიხვდა, რომ ისევ ეძინებოდა, მაშინვე სკამზე შესწორდა და სახეში შემოილაწუნა. ტკივილი ყურებში წუილად აირეკლა. ახლა მისი გული ახალმა ზაფრამ მოიცვა — ფარულმა სტუმარმა, რომელიც ამ საიდუმლო ადგილზე შეპარულიყო.

ის მე მაძინებს... ჰიპნოზს მიკეთებს... ის რალაც... მას არ უნდა, რომ ფხიზლად ვიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმიტომ, რომ ლუისი მალე დაბრუნდება. ჰო, ამას ვგრძნობ. და სურს, რომ გზიდან მომიშოროს.

— არა, — კუშტად თქვა ჯადმა, — ვერ შეძლებ. ჩემი გესმის? მე ამას წერტილს დავუსვამ. უკვე საკმაოდ ღრმად შევტოპეთ.

ქარი საწვიმარ ღარებს აზანზარებდა, გზის მეორე მხარეს ხეები აქეთ-იქით ირხეოდნენ და ფოთლებს მისტიკურად აშრიალებდნენ. გონებით ჯადი ისევ იმ ფარდულში იყო, რომლის ადგილზეც დღეს ბრუერში ავეჯის მაღაზია დგას. მათ დილამდე ილაპარაკეს — მან, ჯორჯმა და რენე მიშუმ. ახლა კი მათგან მხოლოდ ჯადი იყო დარჩენილი. რენე 1939 წლის მარტში ორ ვაგონ შორის მოყვა, ჯორჯ ჩაპინი კი წინა წელს გულის შეტევით გარდაიცვალა. მთელი ბანდიდან ცოცხალი მხოლოდ ის დარჩა, მოხუცი სულელი. სისულელე ზოგჯერ კეთილშობილების, ზოგჯერ კი სიამაყის ნიღაბს ირგებს და ძველი საიდუმლოებების გამჟღავნებას გაიძულებს. სურს, რომ დაიცალო და მათი ცოდნა სხვას გადასცე.

— ჰოდა, მოდის ეს ებრაელი ვაჭარი და ამბობს, — ისითი რიღაც მაქვს, რაც არასოდეს გინიხივთ. აი, შეხედეთ ამ საფოსტო ბირითებს — ზედ ვითომ ჩვეულიბრივი ქალია ბიკინიში, მაგრამ, აბა, სვილი ტილო გადაუსვი...

ჯადს თავი დაეხარა, ნიკაპი დინჯად დააყრდნო მკერდზე.

— მიშინვე დედიშუბილად იქცივა! მაგრამ როცა გააშრიბ, ისევ ჩაიცვამს...

რენე ამ ისტორიას ფარდულში წინ დახრილი და მოღიმარი ჰყვებოდა. ამ მომენტში ბოთლი ჯადს ეჭირა. ჯადი ახლაც გრძნობდა ბოთლის შეხებას და უჩინარ მინას თითებს უჭერდა.

საფერფლეში სიგარეტი იწვოდა და ფერფლი მატულობდა. ბოლოს ფერფლი სიგარეტს მოსწყდა, საფერფლეში ჩაიშალა და რაღაც უცნაური რუნას ფორმა მიიღო.

ჯადს ჩაეძინა.

და როცა ორმოც წუთში გზის პირას ლუისის „ჰონდა სივიკის“ ფარებმა გამოანათა, ჯადს მანქანის ხმა არ გაუგია. ლუისმა მანქანა ავტოფარეხში შეაყენა, ჯადს კი ეძინა. ეძინა ისე, როგორც პეტრეს იმ ღამით, როდესაც რომაელმა ჯარისკაცებმა ვილაც მაწანწალა, სახელად იესო, შეიპყრეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

53

ლუისმა სამზარეულოს უჯრებში სკოჩის ახალი შეკვრა იპოვა. ავტოფარეხის კუთხეშიც, წინა წლის ზამთრის საბურავების გვერდით თოკის შეკვრას მიაგნო. შემდეგ სკოჩის დახმარებით წერაქვი და ნიჩაბი ერთად შეკრა, თოკით კი მხარზე გადასაკიდი გაუკეთა. ინსტრუმენტები მხარზე, გეიჯი ხელებში.

ინსტრუმენტები ზურგზე გადაიკიდა, „სივიკის“ კარი მგზავრის სავარძლის მხრიდან გახსნა და გეიჯი გადმოიყვანა. ის გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ჩერჩი. ალბათ მიკმაკების სამარხამდე ბოლო გზის გავლა ფოფხვით მოუწევდა, მერე კი ის საშინლად ქვიანი მიწა ჰქონდა ამოსათხრელი.

არა უშავს, ყველაფერს შეძლებდა. როგორღაც.

ლუის კრიდმა ავტოფარეხიდან გამოაბიჯა და ერთი წამით შეჩერდა. ჩამრთველს ხელი ჩამოჰკრა და შუქი ჩააქრო. ახლა პირდაპირ ხედავდა საზღვარს ასფალტსა და მიწის გრუნტს შორის, საიდანაც შინაური ცხოველების სასაფლაოსკენ მიმავალი ბილიკი იწყებოდა. მიუხედავად სიბნელისა, ეს ბილიკი როგორღაც თავისთავად ანათებდა.

ქარი ისევ უბერავდა და ყველაფერს თავისი თითებით ეჭიდებოდა. რაღაც მომენტში ლუისს სიბნელის ძველი, ბავშვური შიში მოერია და უეცრად თავი ძალიან სუსტად, პატარად და მიუსაფრად იგრძნო. ნუთუ მართლა აპირებდა ტყეში გვამთან ერთად წასვლას? მერე გამხმარი ხეების გროვაზე ამ ქარში გადაბიჯებას. სიბნელიდან სიბნელეში? და ამჯერად მარტო?

ბევრს ნუ ფიქრობ. წადი, საქმე გელოდება.

ლუისი წავიდა.

ოცი წუთის შემდეგ, იმ დროისთვის, როცა შინაური ცხოველების სასაფლაOმდე მიაღწია, მკლავები და ფეხები დაღლილობისგან უთრთოდა. მაშინვე მიწაზე დაეცა და გადახვეული ბრეზენტი მუხლებზე დაიდო. ოცი წუთი ასე ისვენებდა. თვალები ეხუჭებოდა, თუმცა შიშს აღარ გრძნობდა. დაღლილობას შიში თითქოს სადღაც გაექრო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამოდგა, თუმცა ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ გამხმარი ხეების გროვაზე გადასვლას შეძლებდა. უეცრად ისევ თავისი სიზმარი გაახსენდა. არა, კი არ გაახსენდა, ხელახლა აღმოჩნდა მასში. როცა ფეხები ხის ტოტებს დააბიჯა, უეცრად შინაგანად უდიდესი სიხარული იგრძნო. თითქოს ყველაფერი მეორეხარისხოვნად იქცა.

უბრალოდ, მომყევი, მომყევი და დაბლა არ დაიხედო. არ გაჩერდე და დაბლა არ დაიხედო. გზა კარგად ვიცი, ოღონდ ყველაფერი მალე უნდა დასრულდეს.

ჰო, მალე, — გაიფიქრა ლუისმა, — *მალე და მოხერხებულად, სწორედ ისე, როგორც ჯადმა ამოიღო მაშინ ნესტარი.*

გზა კარგად ვიცი.

მაგრამ არსებობდა მხოლოდ ერთი გზა, — ფიქრობდა ლუისი. ან გაუყვებოდი მას, ან არა. პირველ ჯერზე, როცა ხმელ გორაზე გადასვლა სცადა, მარტოს ძალიან გაუჭირდა, ამჯერად კი მარტივად და სწრაფად გადაიარა, ისევე, როგორც იმ ღამით, ჯადმა რომ აქ მოიყვანა.

მაღლა და მაღლა მიიწევდა. დაბლა არ იყურებოდა. აკანკალებული ხელებით შვილის სხეული მიჰქონდა. ივლიდა მანამ, სანამ ქარი თმას არ აუშრიალებდა და საიდუმლო გასასვლელებს არ უჩვენებდა.

ლუისი გროვის თავზე გაჩერდა, შემდეგ ჩქარი ნაბიჯით დაეშვა — თითქოს კიბეზე ჩადიოდა და ზურგზე სამუშაო იარაღების უხეში შეხება იგრძნო. წუთზე ნაკლებ დროში ის უკვე წიწვებით დაფარულ მიწაზე იდგა. მის უკან კი წაქცეული ხეების და მათთან ერთად დახვავებული ხმელი ტოტები დარჩენილიყო. მათი საერთო სიმაღლე უფრო დიდი იყო, ვიდრე ცოტა ხნის წინ ნანახი სასაფლაოს ღობისა.

ლუისმა შვილთან ერთად გზა განაგრძო. ხეებს შორის ქარის ზმუილის ხმა ესმოდა, თუმცა ეს ხმა აღარ აფრთხობდა. ღამის საქმე უკვე თითქმის დასრულებულიყო.

54

რეიჩელ კრიდი გასცდა წარწერას — გასასვლელი მერვე გზაზე, პორტლენდ უესბრუკის მიმართულებით იარეთ მარჯვნივ. ნაქირავები მანქანა მარჯვენა ზოლში ჩააყენა და წინ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ჰოლიდეი ინის“ მწვანე აბრა შენიშნა. ლოგინი. ძილი. დასრულდებოდა ეს გაბმული ტანჯვა-წამება. დასრულდებოდა — თუნდაც ცოტა ხნით — იმ ბავშვის არყოფნით გამოწვეული სიცარიელის საზარელი შეგრძნება, რომელიც უკვე ცოცხალი აღარ იყო.

რეიჩელი გრძნობდა, რომ მთელი ეს პროცესი ძალიან ჰგავდა კბილის ამოღებას. თავდაპირველად გრძნობ დაბუჟებას, თუმცა დაბუჟების პარალელურად გრძნობ ტკივილსაც. ჩასაფრებულ ტკივილს, რომელიც თავის გამომჟღავნების დროს ელის. და როცა ტკივილგამაყუჩებლის მოქმედება გადის, ო, აი, მაშინ კი ცუდი დღე გელის.

ის გასაფრთხილებლად გამოგზავნეს, მაგრამ თავად ვერ ჩაერეოდა. ის მამიკოსთან ერთად იყო მაშინ, როცა მისი სული სხეულს გაეყარა.

ჯადმა იცის, მაგრამ არ მეუბნება. რაღაც ხდება. რაღაც. მაგრამ რა?

თვითმკვლელობა? თვითმკვლელობას აპირებს? არა, ლუისზე ამას ვერ დავიჯერებ. მაგრამ აშკარად რაღაცას მატყუებდა. ამას მის თვალებში ვკითხულობდი... ჯანდაბა, სახეზე ეწერა, რომ იტყუებოდა და სურდა მე ეს ტყუილი ამომეცნო, რადგან... რადგან შინაგანად ძალიან, ძალიან ეშინოდა.

ეშინოდა? ლუისს არასოდეს არაფრის შეშინებია.

უეცრად „შევეტის“ საჭე მარცხნივ გადასწია, მანქანამ მკვეთრი მოძრაობის გამო საბურავების წუილის ხმა გამოსცა და რამდენიმე წამში რეიჩელი ისევ ჩრდილოეთით, მერვე გზის მიმართულებით მიმავალ გზაზე აღმოჩნდა. „ჰოლიდეი ინის“ აბრა უკან მოიტოვა, წინ კი ახალი აბრა გამოჩნდა.

შემდეგი გადასასვლელი — მეთორმეტე გზა, კამბერლენდი, კამბერლენდის ცენტრი, ჯერუსალემს ლოტი, ფელმუტი, ფელმუტ ფორსაიდი.

ჯერუსალემს ლოტი, — გაიფიქრა უეცრად რეიჩელმა. — *რა უცნაური სახელია. და რაღაც მიზეზით სულაც არ*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არის სასიამოვნო... მობრძანდით და დაიძინეთ იერუსალიმში.[1]

მაგრამ ამალამ არ იძინებდა. მართალია, ჯადმა საპირისპირო ურჩია და გააფრთხილა, მაგრამ ჯადი უკვე ოთხმოცს კარგა ხნის გადაცილებული იყო, სამი თვის წინ ცოლი დაეღუპა და რეიჩელი საქმეს მას ნამდვილად ვერ ანდობდა. საკუთარ თავს იმასაც ძლივს პატიობდა, ლუისის სიტყვებს რომ დაჰყვა და ჩიკაგოში გაფრინდა. უბრალოდ, მთელი ეს სიტუაცია, გეიჯის სიკვდილი, ეილი თავისი ფოტოსურათით, ისე მძლავრად დასტეხოდა თავს, რომ საღად აზროვნება ძალიან უჭირდა. ბოლო პერიოდში, რა თქმა უნდა, ბევრჯერ გაბრაზებულა ლუისზე, ის რომ სათანადო ყურადღებას არ იჩენდა, როცა რეიჩელს ეს განსაკუთრებით სჭირდებოდა, მაგრამ მაინც ძალიან უყვარდა და ახლაც ცხადად ახსოვდა ბოლოს ნანახი მისი ფერმკრთალი... დამფრთხალი სახე.

„შევეტის“ სპიდომეტრი სამოცი მილის ნიშნულისკენ გადაიხარა. წუთში ერთი მილი. იქნებ ამ სვლით ლადლოუში ორ საათსა და თხუთმეტ წუთში, ჯერ კიდევ გათენებამდე ჩასულიყო. რეიჩელმა რადიო ჩართო, პორტლენდის როკ-ენროლ სადგურს მიაგნო და სიფხიზლე რომ შეენარჩუნებინა, სიმღერას აჰყვა. გზადაგზა ტალღამ სიხშირე დაკარგა და ახლა აუგუსტას სადგურზე გადაერთო. შემდეგ ფანჯარა ჩამოსწია და მანქანაში ღამის ქარი შემოუშვა.

ნეტავ ეს ღამე ოდესმე დასრულდება?

55

ლუისს ხელახლა ახსენდებოდა სიზმარი და ამით გამოწვეული დაძაბულობა. ყოველ წამს დაბლა იხედებოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ხელებით მართლა ბრეზენტში გახ-

---

[1] *ჯერუსალემს ლოტი (იერუსალიმის ხვედრი — ინგლ.) იგივე სეილემს-ლოტი სტივენ კინგის შემოქმედებაში ერთ-ერთი ფიქციური ქალაქია. სტივენ კინგმა 1975 წელს გამოსცა რომანი სახელწოდებით „სეილემს-ლოტი“. ეს რომანიც ეფუძნება კინგის მიერ მანამდე გამოქვეყნებულ მოთხრობას — „ჯერუსალემს ლოტი“. თავის მხრივ, ამერიკაში რეალურად არსებობს როგორც სეილემი, ისე არაერთი იერუსალიმი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვეული გვამი მიჰქონდა და არა ნაგვის მწვანე პაკეტი. გაახსენდა, როგორ გაელვიძა იმ ღამის შემდეგ, როდესაც ჯადმა ჩერჩის დასამარხად აქ მოიყვანა და როგორ დაავიწყდა დილით ყველაფერი. ახლა კი ყველა დეტალი ცხადად ახსენდებოდა. ყველა გრძნობა, ხის ტოტებთან ყოველი შეხება. თითქოს საკუთარ თავთან ტელეპათიურ კავშირს ამყარებდა. ბილიკს ზევით და ქვევით მიუყვებოდა, ხელახლა აღმოაჩენდა უკვე ნანახ ადგილებს. ბილიკის ნაწილი, მეთხუთმეტე გზის მსგავსად, ფართო იყო, ადგილ-ადგილ კი ვიწროვდებოდა და ბოლოს გადაზრდილ ბუჩქნარში შედიოდა, სადაც ბილიკს ხეთა თაღოვანი წყობა მიუყვებოდა. ლუისი გრძნობდა დაჭიმული რეზინის სუნს და აქა-იქ ფეხებქვეშ უცნაური ჭახაჭუხი ესმოდა. თუმცა, ეს უფრო მეტად შეგრძნება იყო, ვიდრე ხმა.

ბოლოს ბილიკი მკვეთრად დაბლა დაეშვა, ცოტა ხანში კი ლუისი აღმოჩნდა ჭაობიან ადგილზე. ეს ალბათ ის მიწა იყო, რომელსაც ჯადი მცოცავ ქვიშებს უწოდებდა და რომელშიც ლუისს წამოზრდილ ლერწმებსა და დაბალ, მახინჯ ბუჩქებზე ფეხის დაბიჯებით უნდა გაეგნო გზა. ახსოვდა, რომ ეს ადგილი მაშინაც როგორღაც განათებული ეჩვენა. თითქოს აქაური ჰაერი რაღაც ელექტრობას შეიცავდა.

ახლაც, როგორც ხმელი ხეების გორასთან, მტკიცედ და მშვიდად უნდა იარო. გამომყევი და დაბლა არ დაიხედო.

აჰა, გასაგებია... მაგრამ, მაინც, გინახავს სადმე მენის ტერიტორიაზე ასეთი მცენარეები? მენში ან გინდაც სხვაგან. ღვთის გულისთვის, დაფიქრდი, რას ხედავ ირგვლივ? არა, დაივიწყე, ლუის. შეეშვი... უბრალოდ, იარე.

სიარული განაგრძო, შემდეგ სველ ზედაპირზე ბურცობი მონახა და ფეხი დააბიჯა. წინ მიიწევდა და ახსენდებოდა ფრაზა, რომელიც არ მოუსმენია არც სამედიცინო კოლეჯში და არც თეოლოგიის ან ფილოსოფიის ლექციაზე. ეს ფრაზა მისმა ფიზიკის მასწავლებელმა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას უთხრა და ლუისს ის არასოდეს დავიწყებია: *რწმენა — ეს არის მდგომარეობა, როდესაც გრავიტაციას აქსიომად მიიჩნევ.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰოდა, ლუისიც აქსიომად მიიჩნევდა მიკმაკების სამარხის მკვდრეთით აღდგომის ძალას. მთავარი იყო, დაბლა არ დაეხედა და ყველაფერი კარგად იქნებოდა. შიგადაშიგ ჩიტების რაღაც ძალიან უცხო ხმა მოისმოდა, რამდენჯერმე ბაყაყმაც დაიყიყინა მოგუდული ხმით, ერთხელ კი ლუისის თავზე მუქმა არსებამ ჩაიფრინა — *ალბათ ღამურა იყო.*

მიწას ნელ-ნელა ნისლი მოედო, გასქელდა და საბოლოოდ ლუისი თეთრ კაფსულაში აღმოჩნდა. ეჩვენებოდა, რომ აქ ნათება კიდევ უფრო მაღალი იყო. პულსირებადი სიკაშკაშე რაღაც უცნაურ გულის რიტმში ფეთქავდა. ბუნებასთან სიახლოვე ასე ძლიერ არასოდეს უგრძნია. ეს ჭაობი იყო ცოცხალი, თუმცა არა ხმოვანების გამო. რომ გეკითხათ, ზუსტად აღწერეო, ლუისი ვერაფრით გეტყოდათ, რით გამოიხატებოდა ბუნების სიცხოველე და სიახლოვე. უბრალოდ, ვერ შეძლებდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს შეგრძნება შესაძლებლობებითა და ძალით იყო აღსავსე და ამ ყოველივესთან შედარებით თავს საოცრად პაწაწინად და მოკვდავად გრძნობდა.

შემდეგ ხმა შემოესმა. ეს ხმაც ახსოვდა. მაღალი, მჭექარე ხმა, რომელიც ძალიან ჰგავდა სიცილს. მერე ყველაფერი დადუმდა და ისევ ეს ხმა გაისმა. ავადმყოფური კივილი, რომელიც ლუისს სისხლს უყინავდა. ნისლი მისტიკურად გაიშალა მის ირგვლივ და სიცილიც მინელდა. ლუისმა თითქოს ქარის სიახლოვე იგრძნო, მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ ქარი არ უბერავდა. ამ შემთხვევაში ის აუცილებლად გაფანტავდა ნისლს, ლუისს კი სულაც არ სურდა ეხილა, რას მალავდა ნისლი.

შეიძლება ასევე გაიგო რაღაც ხმები, მაგრამ იცოდე, რომ ეს ხმები გადამფრენ ღორიხვებს ეკუთვნის. სასაცილო ხმები აქვთ.

— ღორიხვები. — ხმამაღლა წარმოთქვა ლუისმა და საკუთარი ხმა ძლივს იცნო. საოცარია, თითქოს მხიარული ხმა ჰქონდა.

წამით შეჩერდა და შემდეგ ისევ განაგრძო სიარული. თითქოს რაღაც ექაჩებოდა, გაჩერებას უშლიდა და შემდეგ ბურცობამდე ხელს ჰკრავდა. ლუისმა ცალი ფეხსაცმელი ჭაობის წებოვან წყალში დაკარგა, შემდეგ კი ისევ განმეორ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ის უცნაური ხმა. ამჯერად მარცხნიდან. ცოტა ხანში კი მის წინ... ზუსტად მის წინ აღიმართა რაღაც სახის მსგავსი სისხლიანი სილუეტი, რომელიც ფუტზე ნაკლები მანძილიდან უყურებდა, თვალებით ანათებდა და კბილებს აღრჭიალებდა... ლუისი არ გაჩერებულა. პირდაპირ იყურებოდა და სვლას განაგრძობდა.

უეცრად ნისლმა ნათება დაკარგა და ლუისმა ცხადად დაინახა მის წინ დაკიდებული სახე, რომელიც ალმაცერად უმზერდა და ანთებული თვალები კლასიკურ ჩინურ ნახატებზე ნანახ თვალებს მიუგავდა. ის იყო ჭრელი, მოყვითალო-მონაცრისფრო, და ძალიან კაშკაშა. პირი კი თითქოს ნაძალადევად გაეღო, ქვედა ტუჩი ამობრუნებოდა, მოყავისფრო-მოშავო და თითქმის ბოლომდე გაფუჭებული კბილები ჰქონდა, თუმცა ყველაზე მეტად ლუისის ყურადღებას მაინც მისი ყურები იქცევდა, რომლებიც ყურებზე მეტად რქებს წაგავდა, ოღონდ... არა ეშმაკის რქებს, არამედ ვერძისას.

ეს რაღაც მოტივტივე სხეული თითქოს ელაპარაკებოდა, დასცინოდა. პირს აღებდა, მაგრამ ქვედა ტუჩი ბუნებრივად არ მოძრაობდა. სახეზე კი ვენების პულსირება და სუნთქვის კვალი ეტყობოდა.

როცა ლუისი მიუახლოვდა, ჰაერში მოტივტივე თავმა ენა გადმოაგდო. გრძელი, წვეტიანი, ბინძური და ყვითელი ფერის ენა იყო. ხორკლებით იყო დაფარული და სანამ ლუისი აკვირდებოდა, ერთ-ერთი ხორკლი ხუფის მსგავსად აიწია, ქვემოდან კი ნელი მოძრაობით ამოძვრა მატლი. უცნობის ენა გრძლად იყო გადმოგდებული იმ ადგილამდე, სადაც, წესით, ადამის ვაშლი უნდა ყოფილიყო და ის... იცინოდა.

გეიჯი მაგრად მიიხუტა. თითქოს მისი დაცვა სურდა. ფეხებით ბურცობზე მაგრად დადგა და ისევ ჯადის სიტყვები გაახსენდა.

აქ შეიძლება იხილო წმინდა ელმის ცეცხლიც, რომელსაც მეზღვაურები მოჩვენებების ცეცხლს უწოდებენ. უცნაურ ფორმებს იღებს, მაგრამ არ შეგაწუხებს.

ჯადის ხმა მხნეობას მატებდა. ლუისმა მტკიცედ განაგრძო სიარული. თავიდან თითქოს შეტორტმანდა, მაგრამ მა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლევე დაიცვა წონასწორობა. შემდეგ შენიშნა რომ სახე — თუ ეს მართლა სახე იყო და არა, უბრალოდ, მისი წარმოსახვის ნაყოფი — თითქოს მასთან ერთად მოძრაობდა და მისგან მუდმივად თანაბარი მანძილით იყო დაშორებული. მალიმალ ნისლში უჩინარდებოდა.

ეს წმინდა ელმის ცეცხლი არ ყოფილა.

არა, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. ეს ადგილი სულებით იყო სავსე. აქ უამრავი სული ბუდობდა. უბრალოდ, არ უნდა ეფიქრა ამაზე. არ სჭირდებოდა ამაზე ფიქრი.

რაღაც უახლოვდებოდა.

ლუისი გაშეშდა, ოდნავ ხმასაც კი არ გამოსცემდა. უსმენდა ამ ხმას... ამ საზარელ, მოახლოების მაუწყებელ ხმას და პირი დაეღო. ყბის მოძრაობას უკვე ვეღარ აკონტროლებდა.

ასეთი რამ თავის დღეში არ გაუგონია. ესმოდა ძალიან ცოცხალი, ძლიერი ხმები, რომლებიც სადღაც ახლოდან, ტოტების მსხვრევის ხმასთან ერთად მოისმოდა. თითქოს ამ ტოტებს დიდი ფეხი ამტვრევდა, ლუისის ფეხქვეშ კი მიწა ჟელეს ემსგავსებოდა. ირგვლივ ყველაფერი მომაკვდინებელი ვიბრაციით ივსებოდა. ლუისი მიხვდა, რომ ოდნავ კვნესოდა

(ო, ღმერთო, ო, ღმერთო, ეს რა მოდის ნისლში?)

და გეიჯს მკერდზე კიდევ უფრო მაგრად იკრავდა. გაჩუმებულიყვნენ ვასაკები და ბაყაყებიც. ნესტიან ჭაობს კი გაფუჭებული ღორის ხორცის მძაღე და მხურვალე სუნი ასდიოდა.

რაც უნდა ყოფილიყო, ის უზარმაზარი იყო.

ლუისს თავი უკან გადაეწია და სახეზე იმ კაცის გაოცება გამოსახოდა, რომელიც რაკეტის გაშვებას აკვირდება. ის რაღაც მისკენ მოიწევდა. გაისმა მტვრევის — ოღონდ ამჯერად არა ტოტების, არამედ მთლიანი ხის მტვრევის ხმა.

ლუისმა რაღაც დაინახა.

ერთ მომენტში ნისლი ოდნავ გაიფანტა და სამოც ფუტამდე სიმაღლის სილუეტი გამოაჩინა. მოჩვენებისმიერი, არარეალური ფორმები ჰქონდა, ის მოძრაობდა და მძიმე, გრუხუნის ხმებს გამოსცემდა.

ლუისს წამით ისიც მოეჩვენა, რომ მაღლა ორი მანათობელი, მოყვითალო-მონარინჯისფრო თვალიც შენიშნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ ხმა ნელ-ნელა მიწყდა. ის წავიდა და უეცრად ვასაკა ისევ ახმიანდა. ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, ამ საუბარს მესამეც შეუერთდა და ბოლოს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე — ვასაკების მთელი გუნდი აყაყანდა. იმ არსების ნაბიჯის ხმა (რაც ყველაზე საშინელი იყო, ამ ხმას ძალიან რეალური, ბუნებრივი ჟღერადობა ჰქონდა) უფრო და უფრო ძნელად გასარჩევი გახდა. მერე კიდევ უფრო მისუსტდა... და გაქრა.

საბოლოოდ ლუისმა ისევ შეძლო გზის გაგრძელება. ზურგი და მხრები საშინლად სტკიოდა, კისერი და მუხლები ოფლით დაფარვოდა. სეზონის პირველმა კოლომ კი მის სხეულზე გვიან ვახშამს მიაგნო და მაშინვე ზედ დააცხრა.

ვენდიგო, ღმერთო დიდებულო, ეს ვენდიგო იყო. — არსება, რომელიც ჩრდილოეთის მხარეში ცხოვრობს და როცა შეგეხება, კანიბალად გაქცევს. ის იყო. ცოტა ხნის წინ ჩემგან სამოცი იარდის მოშორებით ვენდიგომ ჩაიარა.

ლუისმა თავს უბრძანა, ზედშეტი არ ეფიქრა და ჯადისთვის მიებაძა: დაეჯერებინა, რომ ხედავდა წმინდა ელმის ცეცხლს და ღორიხვების ხმა ესმოდა. ლუისი მზად იყო, ყველაფერი დაეჯერებინა, თუნდაც ის, რომ აქ „ნიუ-იორკ იანკის“ მთელი გუნდი ბუდობდა... ოღონდ არ შეხვედროდა რომელიმე სხვა სამყაროს მკვიდრ საშინელებას.

ლუისი შვილთან ერთად მოძრაობდა და ნელ-ნელა ფეხებში ძალის მატებას გრძნობდა. მალე მიუახლოვდა წაქცეულ ხეს, რომლის ვარჯიც გიგანტური დიასახლისის მიერ დაგდებულ მწვანე მტვრის საწმენდს წააგავდა.

ხეს ტოტები დატეხილი ჰქონდა და თან ნედლ ტოტებს აშკარად ეტყობოდა, რომ ეს ყველაფერი ცოტა ხნის წინ მომხდარიყო. ლუისმა თითქოს ხის სიმხურვალეც იგრძნო, როცა მას გადააბიჯა. მის მიღმა კი ცხადად დაინახა მიწასთან გართხმული ბუჩქები, კიდევ უფრო მეტი დატეხილი ტოტი და ძალიან შეეცადა საკუთარი თავი დაეჯერებინა, რომ ეს ფეხის ნაკვალევი არ იყო. გული აუფრიალდა, პირი გამოუშრა, კანი ცივი ფენით დაეფარა.

მალე ტალახის ნაცვლად ლუისის ფეხქვეშ კვლავ წვრილი ტოტები და ფიჭვის წიწვები აშრიალდა. ხოლო როცა, ქვიანზე შეაბიჯა, მიხვდა, უკვე ბოლოში გასულიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვაკიდან მალე მკვეთრ აღმართს შეუდგა. მძიმედ ადგამდა ნაბიჯებს. ეს უკვე აღარ იყო ჩვეულებრივი გზა. ცალი იდაყვი ოდნავ წინ გასწია და ადგილი მოსინჯა.

აქ საფეხურებია. ქვაში გამოყვანილი საფეხურები. წამოდი, ბოლომდე ავივლით და ეგ არის.

ლუისმა კიბეზე ასვლა დაიწყო. ისევ შეიგრძნო სისუსტე, ზურგი სასტიკად ასტკივდა... კიდევ კარგი, ცოტაღა რჩებოდა. საფეხურებს ავტომატურად მიუყვებოდა, მის გონებას კი ცივი ქარი დაჰპატრონებოდა, რომელიც ახლა უფრო ძლიერდებოდა, ტანსაცმელს მაგრად უფრიალებდა და გეიჯზე შემოხვეულ ბრეზენტს ისე ატკაცუნებდა, გაბმული სროლის ხმა გეგონებოდა.

ლუისმა თავი უკან გადასწია და ცაზე ვარსკვლავებს ახედა. რომელიღაც თანავარსკვლავედი აშკარად იცნო, მაგრამ ისევ წინ გაიხედა, სადაც ქვის კედელი აღმართულიყო, ოღონდ არა პრიალა, არამედ უხეში, ადგილ-ადგილ ამოტკეჩილი ზედაპირით, რომელიც თითქოს ნავს, თითქოს მაჩვს, რაღაც მომენტში კი თითქოს თვალბედით კაპიუშონიან კაცს წააგავდა. მხოლოდ ქვაში გამოყვანილი საფეხურები პრიალებდა.

ლუისი ბოლომდე ავიდა და ცოტა ხნით შეჩერდა. აქეთ-იქით ირხეოდა, სულის მოთქმას ცდილობდა. ფილტვები ისე სტკიოდა, თითქოს მათრახები ერტყათ, თეძოში კი ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უზარმაზარი ხიჭვი შერჭობოდა. ქარი თმას უწეწავდა და ყურებში გველეშაპის ხმაზე უწიოდა.

ამაღამ მეტი განათება იყო. წინა ჯერზე ცა ღრუბლებით იყო დაფარული? თუ, უბრალოდ, არ შეუმჩნევია? რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა ხომ ყველაფერს ამჩნევდა, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ მთელ სხეულში ჟრუანტელს დაევლო.

აქაურობა ისევე იყო მოწყობილი, როგორც შინაური ცხოველების სასაფლაო.

რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის იცოდი, — უთხრა ჩურჩულით საკუთარმა გონებამ, როცა ლუისი წრიულად დაწყობილ ქვებს დააკვირდა. ყველაფერი იცოდი. იცოდი, რომ აქ წრიულად განლაგებული ქვები სპირალურ ფორმას იღებდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიახ. აქ, ამ გორის თავზე, გიგანტური ქვის სპირალი იყო გამოსახული, რომელიც, როგორც ძველი დროის ხალხი ამბობდა, აქ უცხო ხელებს გაენაწილებინა. თუმცა ლუისი ხვდებოდა იმასაც, რომ თითოეული ქვის ქვეშ ბუდობდა რაღაც ისეთი, რაც სიცოცხლეს დაჰბრუნებოდა. ისინი იყვნენ ამ სპირალური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილები.

ნეტავ ვინმეს აქაურობა ზემოდან დაუნახავს? — გაიფიქრა ლუისმა და გაუაზრებლად დაფიქრდა იმ უდაბნოს ნახატებზე, რომლებსაც სამხრეთ ამერიკაში ამა თუ იმ ტომის ინდიელები გამოსახავდნენ. — *და თუ დაუნახავს, რა უფიქრია?*

ჩაიმუხლა, გეიჯის სხეული მიწაზე დადო და შვებით ამოიგმინა.

როგორც იქნა, ცნობიერიც დაუბრუნდა. შემდეგ ჯიბის დანით ინსტრუმენტები შეხსნა და მიწაზე ჭახანით დაყარა. ცოტა ხნით ლუისი მიწაზე დაწვა, ფეხები გაშალა და ცას დააკვირდა.

ის რა იყო, ტყეში, ლუის? მართლა გგონია, რომ ამ კულმინაციურ მომენტში ასეთ ადგილზე რაღაც კარგი შეიძლება გამოჩნდეს?

მაგრამ ახლა უკან დასახევად უკვე ძალიან გვიანი იყო და ეს ლუისმაც კარგად იცოდა.

თან, ჯერაც შეიძლება ყველაფერი კარგად დასრულდეს. შედეგს რისკის გარეშე ვერ მიიღებდი, რისკზე კი, ალბათ, სიყვარულის გარეშე ვერ წახვიდოდი. მე ჯერ ისევ მაქვს ჩანთა, ოლონდ, კაბინეტში რომ მაქვს, ის კი არა, აბაზანაში, ზედა თაროზე რომ დევს, რისთვისაც ჯადი გავგზავნე იმ ღამით, როცა ნორმას გულის შეტევა დაემართა. შპრიცებიც თან მაქვს და თუ რამე მოხდა... რამე ცუდი... ამის შესახებ ჩემს მეტი ვერავინ გაიგებს.

მისი ფიქრები, ბუტბუტნარევ, ძნელად გასარჩევ ლოცვაში გადაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტში ხელები წერაქვისთვის ჩაეჭიდა... ჯერ ისევ მუხლებზე იდგა, როდესაც მიწის თხრა დაიწყო. ყოველ ჯერზე ლუისი წერაქვს ისე იქნევდა, როგორც ძველი რომაელი ხმალს და ნელ-ნელა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორმო სილრმეში მატულობდა. ლუისმა ნამსხვრევი ქვები ორმოდან ამოიღო და გვერდზე გადაყარა, თუმცა ზოგი მათგანი ცალკე გადაინახა...

ქვის პირამიდისთვის.

56

რეიჩელმა სახეში მანამ ირტყა ხელები, სანამ ყურებში წუილი არ გაიგონა, თუმცა მაინც თვლემდა. როცა საბოლოოდ გამოფხიზლდა (ამ დროისთვის პიტსფილდში იყო და გზატკეცილს ეულად მიუყვებოდა), მოეჩვენა, რომ უამრავი ვერცხლისფერი, შეუბრალებელი თვალი აკვირდებოდა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ სინამდვილეში საგზაო განათების შუქებს უყურებდა, რომელთა შორისაც „შევეტი" მაღალი სიჩქარით მიქროდა.

ისევ მარცხნივ მოუხვია, გაისმა საბურავების წუილი და ტკაცანიც. რეიჩელს ეგონა, რომ ბამპერი დამცავ ბარიერს გაჰკრა და ამ მომენტში გულმა ისე ძლიერად დაუწყო ფეთქვა, თითქოს თვალებიდან ნაპერწკლები გასცვივდა. სადღაც რადიოში კი რობერტ გორდონი „Red Hot"-ს მღეროდა.

რეიჩელს თავში გიჟური, პარანოიდული აზრი მოუვიდა. — ჰო, ნამდვილად პარანოიდული, — ჩაილაპარაკა თავისთვის როკ-ენ-როლის ფონზე და გაცინება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. იმიტომ, რომ ამ შუაღამეს თავს წარმოიდგენდა მუყაოს ფიგურად, რომელსაც გიგანტური შურდულის რეზინით წელავდნენ. *საწყალო, უფრო და უფრო გიჭირს მოძრაობა, არა? მანამ, სანამ შენს დინამიკურ ენერგიას რეზინის პოტენციური ენერგია არ გაუტოლდება, შემდეგ კი... უკვე ინერცია მოქმედებს.*

რა?... ელემენტარული ფიზიკაა... ვიღაც შენს გაჩერებას ცდილობს... სურს განგარიდოს... სხეულიც ხომ მანამ არის მშვიდად, სანამ მასზე ვინმე არ იმოქმედებს... *გეიჯის სხეული,* მაგალითად. თორემ როგორც კი იმოქმედებ...

ამჯერად საბურავების წუილი უფრო ხმამაღალი გამოდგა და რეიჩელიც უფრო წინ გადაიხარა. მანქანა დამცავი ბარიერების ბაგირებს გაეხახუნა, შემდეგ რაღაც მეტალი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სებრს შეეჯახა, რეიჩელმა საჭეზე კონტროლიც დაკარგა და მხოლოდ რამდენიმე წამში შეძლო დამუხრუჭება. მას შუა გზაში ჩაეძინა. განა უბრალოდ ჩასთვლიმა, სამოცი მილი — საათით მოსიარულე მანქანის საჭესთან ჩაეძინა. აქ რომ ბარიერები არ ყოფილიყო... ან ბაგირებს არ დაეჭირა...

გვერდზე გადაუხვია, მანქანა სადგომზე გააჩერა, სახე ხელებში ჩარგო და აქვითინდა. გაცოფებული და შეშინებული იყო.

რაღაც არ მიშვებს ლუისამდე.

როცა იგრძნო, რომ თავს ისევ აკონტროლებდა, ძრავა დაქოქა და იმაზე დაფიქრდა, რომ, მართალია, ავტომანქანა ისევ დადიოდა, მაგრამ „ეივისის“ თანამშრომლებს მის მდგომარეობასთან დაკავშირებით შეკითხვები მაინც გაუჩნდებოდათ.

არა უშავს. ჯერ მაგაზე ფიქრის დრო არ არის. ახლა მთავარია ყავა დავლიო.

პიტსფილდიდან რომ გავიდა, რეიჩელმა დაახლოებით ერთ მილში მოყვითალო შუქებით განათებული ავტოგასამართი სადგური შენიშნა. მიუახლოვდა, სადგურთან მანქანა გააჩერა (ვიღაცას მაგრად გაუხახუნებია, — თქვა ერთ-ერთმა თანამშრომელმა თითქმის აღტაცებული ხმით) და სასადილოში შევიდა, სადაც ცხელი ზეთის, გათქვეფილი კვერცხისა და... ღვთის წყალობით, კარგი მაგარი ყავის სუნი იდგა.

რეიჩელმა შეუსვენებლად, წამალივით გადაკრა სამი ფინჯანი ძლიერი და კარგად დაშაქრული ყავა. დახლთან სატვირთოს რამდენიმე მძღოლი იდგა და მიმტანებს ეღლაბუცებოდნენ, რომლებიც, ფლუორესცენციული განათების ქვეშ, დაღლილ მედდებს წააგავდნენ.

რეიჩელმა გადაიხადა და მანქანაში დაბრუნდა, თუმცა „შევეტი“ ვერაფრით დაქოქა. გასაღების გადატრიალების შემდეგ მიმქრალი, სუსტი ხმა ისმოდა და მეტი არაფერი. საჭეს მუშტები დაუშინა. რაღაც აშკარად ხელს უშლიდა. შეუძლებელია, ასე უმიზეზოდ თითქმის ახალი, ორმოცდაათი ათასზე ნაკლები გარბენის მქონე მანქანა შუა გზაზე გაჩერებულიყო. თუმცა, ფაქტი ჯიუტი იყო. რეიჩელი სახლიდან თითქმის ორმოცდაათ მილში, პიტსფილდთან გაჭედილიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იჯდა და სატვირთოების გრუხუნსა და ღმუილს უსმენდა. უეცრად საზარელი ფიქრი ეწვია: ვინ იცის, იქნებ ამ სატვირთოებიდან ერთ-ერთი მისი შვილის მკვლელიც ყოფილიყო.

თავი ჩაქინდრა და ტირილი დაიწყო.

57

ლუისმა ფეხი რაღაცას წამოჰკრა და მიწაზე გაიშხლართა. ეგონა, წამოდგომას ველარ შეძლებდა და ასე გაწოლილი დარჩებოდა. მთელ სხეულში ტკივილი და წვა უვლიდა. დარჩებოდა და იწვებოდა, სანამ არ დაეძინებოდა, ან სანამ არ მოკვდებოდა. ალბათ ეს ბოლო ვარიანტი უფრო მოსალოდნელი იყო.

ახსოვდა, როგორ ჩააგდო წაგრაგნილი სხეული ორმოში, როგორ დააყარა ზემოდან მიწის უმეტესი ნაწილი შიშველი ხელებით და ისიც ახსოვდა, ზემოდან პატარა ქვის პირამიდა რომ დააშენა.

ამის შემდეგ კი ძალიან ცოტა რამ ახსენდებოდა. ბუნდოვნად წარმოედგინა კიბეზე ჩამოსვლა, შემდეგ კი... ახლა სად იყო? ირგვლივ რომ მიმოიხედა, დიდი ნაცნობი ფიჭვები შენიშნა. ხმელი ხეების გროვაც აქვე იქნებოდა. ნუთუ ეს გზა ისე გამოიარა, რომ არაფერი გაუგია? თუმცა ლუისს სჯეროდა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო.

ეს უკვე მეტისმეტია. მართლა აქ დავიძინებ.

თუმცა არსებობდა კიდევ ერთი, საკმაოდ საშიში რამ, რის გამოც ღირდა მაშინვე ფეხზე წამომხტარიყო და გაქცეულიყო. აქ რომ დარჩენილიყო, ის არსებაც მიაგნებდა... ის, რომელიც ტყეში ბუდობდა და ახლა ალბათ მას დაეძებდა.

ათ წუთში ხმელი ხეების გროვა გამოჩნდა. ლუისი ზედ გადაცოცდა და არც ამჯერად წაქცეულა. შემდეგ ფეხებზე დაიხედა (დაბლა არ დაიხედო, — ეუბნებოდა ჯადი) და უეცრად კიდევ ერთი ტოტი ჩატყდა. ლუისი ისევ ძირს დაეცა.

რა ჯანდაბა მჭირს, სასაფლაოზე ამაღამ უკვე მეორედ ვეცემი... ეს უკვე საკმარისია.

ლუისმა ისევ წერაქვსა და ბარს დაუწყო ძებნა. როგორც იქნა, მიაგნო და ცოტა ხნით ვარსკვლავების შუქქვეშ ირგვ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლივ მიმოიხედა. *აქ სადღაც სმაკი მარხია — დამჯერი კატა იყო,* — გაიფიქრა ლუისმა ბუნდოვნად. — *და ტრიქსი — მოკლული გზატკეცილზე.*

ქარი ძლიერად უბერავდა და ლუისს მეტალისებრი დინგ-დინგ-დინგ ესმოდა. ალბათ, ეს სადმე დაგდებული „დელ მონტეს“ ძველი ქილის ხმა იყო, რომლის პატრონმაც დიდი წვალებით გახვრიტა ქილის სახურავი მამის დანის დახმარებით და შემდეგ საფლავზე დამაგრებულ ჯოხზე ჩამოაცვა. ამ ფიქრებზე ლუისს კვლავ შიშმა დაუარა, მაგრამ შეგრძნებებისთვის აღარ ეცალა, უკვე ძალიან იყო დაღლილი. ეს დინგ-დინგ კი არ ჩერდებოდა. შინაური ცხოველების სასაფლაოს გაუყვა, ჩაუარა მარტას — ჩვენს კურდღელს, რომელიც 1965 წლის მარტში დაიღუპა, ჩაუარა გენერალ პატონს, გადააბიჯა გროვას, რომელიც პოლინეზიას უკანასკნელ განსასვენებელზე მიანიშნებდა. მეტალის ხმა კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ვარსკვლავების შუქზე ლუისმა ახლა წაიკითხა წარწერა — *რინგო — ჩვენი ზაზუნა, 1964-1965.* მეტალის ხმას კი, როგორც აღმოჩნდა, სასაფლაოს შემოსასვლელი თაღის აბრაზე დაკიდებული თუნუქის ქილა გამოსცემდა. ლუისი დაიხარა, რათა ქილა ფიცარზე უკეთ დაემაგრებინა და ამ მომენტში გაქვავდა, თმა ყალყზე დაუდგა.

იქ რაღაც მოძრაობდა. გამხმარი ხეების გროვის მეორე მხარეს რაღაც მოძრაობდა.

აშკარად რაღაც ხმა გაიგონა — ალბათ უფრო ნაძვის წიწვების შრიალი და მშრალი, ბუჩქებში მოსიარულე ნაბიჯის ხმა, რომელიც ძლიერ ქარში ფიჭვებს შორის თითქმის არ ისმოდა.

— გეიჯ? — შეშფოთებით გასძახა ლუისმა.

თავად იმ ფაქტის გააზრებამ, რომ ახლა აქ მდგომი ლუისი სიბნელეში გარდაცვლილ შვილს ეძახდა, თავს კიდევ უფრო შეშლილად აგრძნობინებდა. ლუისი აკანკალდა და თავი ისე საშინლად იგრძნო, როგორც ძლიერი გაცივებისას.

— გეიჯ?

ხმა მიწყდა.

ჯერ არა. ჯერ ადრეა. არ მკითხო, საიდან ვხვდები, მაგრამ ვიცი, რომ ასეა. ეს გეიჯი არ რის. ეს... რაღაც სხვაა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უეცრად გაახსენდა ეილი და მისი სიტყვები, — მან თქვა — ლაზარე, გამოდი გარეთ — და მასწავლებელმა გვითხრა, რომ თუ ის იტყოდა, უბრალოდ, — გამოდი — მაშინ, ალბათ, სასაფლაოზე ყველა გაცოცხლდებოდა, მაგრამ იესოს მხოლოდ ლაზარეს გაცოცხლება უნდოდა.

ხის მეორე მხარეს ხმა ისევ დაბრუნდა. ბარიერს მიღმა მოძრაობდა. ძალიან ჩუმი, მაგრამ მაინც გასარჩევი ხმა ჰქონდა. თითქოს ვიღაც ბრმად მიჰყვებოდა საკუთარ ძველისძველ ინსტინქტებს. ლუისის ავადმყოფურად გადატვირთულმა ტვინმა საზარელი სურათები წარმოიდგინა: გიგანტური მატლი, ბუჩქებს შორის მობაჯბაჯე უშველებელი ღამურა.

ლუისმა შინაური ცხოველების სასაფლაოდან უკან დაიხია და გამხმარი ხეების გროვისკენ აღარ გაუხედავს. ფრთხილად სცილდებოდა სიბნელის ამ კაშკაშა იარას და მხოლოდ დაბლა ჩასულმა აუჩქარა ნაბიჯს. გაიარა მილის მეოთხედი, გასცდა ტყეს და თავადაც გაკვირვებული, რომ ამის ძალა შერჩენოდა — შინ სირბილით შევარდა.

ბარი და წერაქვი ავტომატურად ავტოფარეხში შეინახა. ცოტა ხანს გაშტერებული იდგა გზის პირას და ჯერ გამოვლილი გზისკენ, შემდეგ კი ზეცისკენ იყურებოდა. უკვე ოთხის თხუთმეტი წუთი იყო და ალბათ მალე გათენდებოდა. ატლანტის ოკეანის სამ-მეოთხედზე მზე უკვე ამოსული იქნებოდა, მაგრამ ლადლოუმდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. აქ ჯერ ისევ ღამეს ჰქონდა პოზიციები გამაგრებული. ძლიერი ქარი კი ქროლას არ წყვეტდა.

ლუისი ავტოფარეხიდან შევიდა და უკანა კარი ზურგს უკან ჩაკეტა. შემდეგ სამზარეულოში გავიდა და ისე, რომ შუქი არ აუნთია, შეაბიჯა პატარა სააბაზანოში, რომელიც სამზარეულოსა და სასადილო ოთახს შორის მდებარეობდა. როცა შუქი აანთო, პირველი, რაც დაინახა, იყო ჩერჩი. კატა უნიტაზზე იჯდა და ლუისს თავისი ბინძური მოყვითალო-მომწვანო თვალებით შეჰყურებდა.

— ჩერჩ, — თქვა ლუისმა, — მეგონა, ვიღაცამ გარეთ გაგიშვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩერჩიმ უემოციოდ გახედა უნიტაზიდან. დიახ, გაუშვა. ლუისს ახსოვდა, რომ ჩერჩი თავადვე გასვა გარეთ. შემდეგ გაახსენდა სარდაფის ფანჯრის შეკეთების ამბავიც. მაშ, სხვა საიდან უნდა შემოსულიყო? თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ვის ატყუებდა? თუ ჩერჩის სახლში შემოსვლა უნდოდა, ის ყოველთვის შემოდიოდა, რადგან ის ახლა სხვანაირი იყო.

ამას ახლა მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ლუისი ისეთი გამოფიტული და განადგურებული იყო, რომ ასეთ რამეზე ვეღარ ფიქრობდა. თავს ადამიანადაც აღარ გრძნობდა, უფრო მეტად ჯორჯ რომეროს სულელურ ზომბის ან ელიოტის პოემის გამოფიტულ კაცს დამსგავსებოდა. *მე უნდა ვიქცე დაგლეჯილი ბრჭყალების წყვილად, ამ მივიწყებულ ჭაობს ჩავებღაუჭო და მიკმაკების სამარხ მიწამდე ავიდე,* — გაიფიქრა ლუისმა და ჩაიხითხითა.[1]

— თივით გამოტენილი თავი, ჩერჩი, — კრიახა ხმით წარმოთქვა ლუისმა. ახლა ის პერანგზე ღილებს იხსნიდა. — ეს მე ვარ. გიჯობს დამიჯერო.

მარცხენა მხარე, ნეკნებთან, საკმაოდ ჰქონდა დაჟეჟილი. ხოლო, როცა შარვალი გაიხადა, დაინახა, რომ მუხლი, რომელიც საფლავის ქვას დაარტყა, ბუშტივით შესივებოდა. უკვე მოიისფრო-მოშავო ფერი მიეღო და ლუისი ვარაუდობდა, რომ თუ ფეხს არ აამოძრავებდა, სახსარი საერთოდ დაკარგავდა ფუნქციას და დაცემენტებულივით გამაგრდებოდა. ნატკენი წვიმიან ამინდებში სიცოცხლის ბოლომდე თავს შეახსენებდა.

ლუისმა ჩერჩის მოსაფერებლად ხელი გაუწოდა. სურდა, მცირედი სითბო მაინც ეგრძნო, მაგრამ კატა უნიტაზიდან მაშინვე გადმოხტა და თავისი ახლებური, მთვარეული და უცნაური სიარულის მანერით სადღაც სხვაგან გაეშურა. წასვლამდე ლუისს თავისი ყვითელი მზერით მხოლოდ ერთხელ გამოხედა.

---

[1] *ლუისი ამ შემთხვევაშიც იხსენებს ნაწყვეტს ტომას სტერნზ ელიოტის პოემიდან „ალფრედ პრიუფროკის სიყვარულის სიმღერა“.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამედიცინო უჯრაში ლუისმა „ბენ-გეის“ მიაგნო, უნიტაზის დასაჯდომი ჩამოსწია, დაჯდა და მალამო მუხლზე წაისვა, ცოტაც ზურგზე შეიზილა.

ტუალეტიდან გამოვიდა და მისაღებში გავიდა. შუქი აანთო და სანამ კიბეზე ავიდოდა, იქაურობას სულელურად დააკვირდა. ყველაფერი როგორი უცნაური ჩანდა! აი, იქ იდგა შობის წინაღამეს, როცა რეიჩელს საფირონი აჩუქა. ყელსაბამი ხალათის ჯიბეში ედო. აი, სავარძელი, რომელშიც იჯდა მაშინ, როცა ეილის ნორმა კრენდოლის ფატალური გულის შეტევის შემდეგ სიკვდილის შესახებ ისეთ რამეებს ეუბნებოდა, რისაც თავადაც არ სჯეროდა. იმ კუთხეში საშობაო ნაძვის ხე იდგა, იქვე, ფანჯარაზე კი ეილიმ თვითნაკეთი ინდაური სკოჩით მიამაგრა, ლუისს კი ეს ინდაური რაღაც ფუტურისტულ ყვავს აგონებდა. უფრო მოგვიანებით ამ ოთახში ყუთების მეტი არაფერი იყო. ეს „იუნაითედ ვენ ლაინზის“ ყუთები მაშინ ლუისს მათთვის უცნობი და ცივი გარე სამყაროსგან დამცავ ბარიერად ეჩვენებოდა. ეს ყველაფერი კი, რაც ახლა სახლში ჰქონდათ, მაშინ, ყუთებში, საოცრად უმნიშვნელოდ ეჩვენებოდათ.

ყველაფერი როგორი უცნაური ჩანდა... და როგორ მინდა, რომ არასოდეს გამეგო რაიმე მენის უნივერსიტეტის ან ლადლოუს შესახებ. არასოდეს გამეცნო ჯად და ნორმა კრენდოლები.

მეორე სართულზე ტრუსის ამარა ავიდა. საძინებელში შევიდა, დაბალი სკამი გამოაცურა, სამედიცინო თაროს ქვეშ დადგა, ზედ შედგა და ბოლო თაროდან შავი ჩანთა ჩამოიღო, რომელიც შემდეგ ლოგინზე გახსნა და შპრიცებს ჩახედა. კი, ბატონო, ყველა საჭირო შპრიცი აქ ჰქონდა. იქვე, ქირურგიული ხვეულისა და სამედიცინო ქირურგიული მაკრატლის გვერდით კი, ქირურგიული რეზინის ქაღალდებში, მომაკვდინებელი სითხის რამდენიმე ამპულა გაეხვია.

თუ ამის საჭიროება დადგებოდა.

ლუისმა ჩანთა დაკეტა და ლოგინთან დადო. შემდეგ შუქი გამორთო, წამოწვა და თავქვეშ ხელები ამოიწყო. სასიამოვნო იყო ასე წოლა და დაღლილობისგან დაცლა. ლუისი ფიქრებით ისევ „დისნეი უორლდში“ წავიდა. ხედავდა საკუთარ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავს თეთრ უნიფორმაში, მიკი მაუსის ყურებიანი ლოგოს მქონე სატვირთოს საჭესთან, სადაც არავის გადარჩენის საჭიროება არ დადგებოდა.

მის გვერდით ძალიან გარუჯული კანის მქონე გეიჯი იჯდა. ანთებული, სიცოცხლით სავსე თვალები ჰქონდა. ლუისისგან მარცხნივ კი გუფი პატარა ბიჭს ხელს ართმევდა და ბიჭი გაოცებისგან ტრანსში ჩავარდნილს დამსგავსებოდა. იქვე ვინი პუჰი ორ მოღიმარ ბებოსთან ერთად პოზირებდა მესამე მოღიმარი ბებოსთვის, რომელიც ფოტოს გადაღებას ცდილობდა. აქვე, თავის საუკეთესო კაბაში გამოწყობილი პატარა გოგონა ხმამაღლა ყვიროდა: მე შენ მიყვარხარ, ტიგერ! მე შენ მიყვარხარ, ტიგერ!

ის და მისი ბიჭი აქ პატრულირებდნენ. ისინი ამ მაგიური ტერიტორიის დარაჯები იყვნენ და უსასრულოდ აპირებდნენ თეთრი სატვირთოთი სიარულს. არც პრობლემებს ეძებდნენ, მაგრამ მათი არსებობის შემთხვევაში, მზად იყვნენ, სათანადოდ დახვედროდნენ. პრობლემა კი ასეთ უცოდველი სიამოვნებისთვის განკუთვნილ ადგილზეც ბევრი იყო. რატომაც არა, შესაძლოა მეინ სტრიტზე ვიღაც მოღიმარ კაცს უცებ ხელი მკერდზე ეტაცა და იქვე გულის შეტევით მომკვდარიყო. ან ატრაქციონისკენ მიმავალ ორსულ ქალს ნაადრევი მშობიარობა დასწყებოდა, ლამაზ ახალგაზრდა გოგონას კი — ისეთს, როგორებიც ნორმან როკველის ნამუშევრებზეა გამოსახული — უეცრად ეპილეფსიური შეტევა დასწყებოდა და ასფალტზე ფეხების ფართხალი დაეწყო.

არსებობდა მზის დარტყმები, გულის შეტევები და ტვინში სისხლჩაქცევები. ორლანდოს თაკარა შუადღის შემდეგ ყოფილა მეხის შემთხვევებიც. აქ იმყოფება თავად ოზი — დიდებული და საზალელი. შესაძლოა, სადღაც აქვე, ჯადოსნური სამეფოს მონორელსთან დახეტიალებს, ან მფრინავი დამბოს რომელიმე ატრაქციონზე ზის თავისი სულელური მზერით. აქ ის ლუისისა და გეიჯისთვის ისეთივე კოსტიუმირებული გმირია, როგორიც გუფი, მიკი, ტიგერი ან თუნდაც პატივცემული მისტერ დონალდ დაკი. თუმცა ის იყო ერთადერთი, რომელთანაც არავის სურდა, რომ მის ბიჭს ან გოგოს ფოტო გადაე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლო. არავის სურდა მისი გაცნობა. ლუისი და გეიჯი კი იცნობ-დნენ. ნიუ-ინგლენდში ცოტა ხნის წინ ერთი-ერთზე შეხვდნენ. ის ცდილობდა, ბურთულით დაეხრჩვე, სამრეცხაოს პაკეტით გაეგუდე, ერთი ელექტრული დარტყმით წამში უსასრულო-ბაში გაეგზავნე. ის გელოდა უახლოესი როზეტების და ნათუ-რის ცარიელი ბუდეების სახით. სიკვდილი იმალებოდა მიწის თხილის კარაქში, სტეიკის ნაჭერში, სიგარეტის მორიგ შეკვ-რაში. მუდამ ახლოს იყო და მუდამ აკვირდებოდა ცოცხალსა და უსასრულო სამყაროს შორის არსებულ კარიბჭეებს. ბინ-ძური ნემსები, შხამიანი ხოჭოები, გაწყვეტილი სადენები, ტყის ხანძრები. სკეიტბორდით ქუჩაზე უყურადღებოდ გაშვებული ბავშვები. როცა სააბაზანოში შხაპის მისაღებად შედიოდი, ოზიც მაშინვე იქ გხვდებოდა და შხაპს შენთან ერთად იღებდა. როცა თვითმფრინავზე ადიოდი, ის შენს ბილეთს ამოწმებდა. ის იყო წყალში, რომელსაც სვამდი და საჭმელში, რომელსაც ჭამდი. აქ ვინ არის? კითხულობდი სიბნელეში, როცა მარტო იყავი და გეშინოდა. იქაც ოზი იყო. ის გპასუხობდა: არ შეშინ-დე, მეგობარო, ეს მე ვარ. აბა, როგორ ხარ? იცი, შენ ნაწლავის კიბო გაქვს! რა დასანანია, იცი, როგორი ბუთქუნაა. სეპტიცე-მია! ლეიკემია! ათეროსკლეროზი! კორონარული თრომბოზი! ენცეფალიტი! ოსტეომიელიტი! აბა, ჰე, შევუბერეთ! კარს უკან მდგარი დანიანი მაწანწალა. შუაღამის სატელეფონო ზარი. სა-დღაც ჩრდილოეთ კაროლინის გზატკეცილზე აკუმულატორს შერეული სისხლის წვეთები. დიდი ოდენობით აბები. შეგერ-გოს! ასფიქსიის შემდგომი გალურჯებული თითის ფრჩხილები — უკანასკნელი ცდის დროს ტვინი ჟანგბადს ექაჩება ცოცხა-ლი უჯრედებით, მათ შორის, ფრჩხილებს ქვეშიდან. ჰეი, ხალ-ხო, ეს მე ვარ, ოზი — დიდებული და საზალელი, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, უბრალოდ, ოზი დამიძახოთ. ბოლო-ბოლო, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ. მხოლოდ ორი წუთით შემოგირ-ბინეთ, თქვენთვის მცირედი გულის უკმარისობის, კორონა-ლური თრომბოზის ან რაღაც მსგავსის მოსაწოდებლად. მაგ-რამ დიდხანს ვერ გავჩერდები, ერთი ქალი უნდა ვნახო ნაყო-ფის ჯდომითი წინამდებარეობით და მერე ომაჰაში კვამლით მოწამვლის საქმეც მოვაგვარო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და მერე ეს ხმა ისევ გაჰყვირის, — მე შენ მიყვარხარ, ტიგერ! მე შენ მიყვარხარ! მე მჯერა შენი, ტიგერ! ყოველთვის მეყვარები და ჩემს გულში იქნები და მე დავრჩები ახალგაზრდა, ოზ, და ერთადერთი, ვინც სამუდამოდ ჩემს გულში იცხოვრებს, ის სანდომიანი ყალთაბანდი იქნება ნებრასკიდან! მე შენ მიყვარხარ...

ჩვენ ვპატრულირებთ... მე და ჩემი ბიჭი... იმიტომ, რომ ცხოვრებაში მთავარი არც ომია და არც სექსი. მთავარია ავადმყოფური, კეთილშობილი და უიმედო ბრძოლა ოზის — დიდებულის და საზალელის წინააღმდეგ. გეიჯი და მე ჩვენი თეთრი სატვირთოთი ვმოძრაობთ ფლორიდის ამ ნათელი ცის ქვეშ და ჩვენს მანქანას თავზე ჩამქრალი ციმციმა ადგას, თუმცა საჭიროების შემთხვევაში აენთება... და ამის შესახებ სხვამ არავინ უნდა იცოდეს, მიწა კაცის გულში კიდევ უფრო მკვრივია... კაცი, რაც შეუძლია, იმას ზრდის და უვლის.

ამ ნახევრად სიზმარეულ ფიქრებში ლუის კრიდს ნელ-ნელა ჩაეძინა და რეალურ სამყაროსთან დამაკავშირებელი ყოველგვარი ძაფი გაწყვიტა. შემდეგ კი გამოფიტული ადამიანის ყველა გაურკვეველი ფიქრი შავ უსიზმრო ძილში გადაიზარდა.

აისის ცად სხივმიმფენი ნათლის გამოჩენამდე სულ ცოტა ხნით ადრე კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა. ეს იყო ნელი და მძიმე, მაგრამ გამიზნული ნაბიჯები. მისი ჩრდილი მოძრაობდა, ლუისამდე კი სუნი აღწევდა. სუნი იმდენად მძაღე იყო, რომ ლუისმა ძილში გვერდი იცვალა და უსიამოვნოდ რაღაც წაიბუტბუტა.

ჩრდილი კიდევ ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა საძინებლის კართან. შემდეგ შიგნით შევიდა. ლუისს სახე ბალიშში ჩაერგო. თეთრი ხელები წინ წამოსწია და ლოგინთან დადებული ექიმის შავი ჩანთა ტკაცუნით გაიღო.

ფრთხილი და ჩუმი მოძრაობით ჩანთის შიგთავსი მოათვალიერა.

ხელებმა გამოიკვლიეს წამლები, ამპულები და შპრიცები, რომლებიც ოდნავადაც არ აინტერესებდათ, შემდეგ კი მაინც მიაგნეს იმას, რასაც ელოდნენ და მაღლა ასწიეს. დილის პირველი სხივის ფონზე რაღაც ვერცხლისფრად გაბრჭყვიალდა.

ჩრდილისებრი არსება ოთახიდან გავიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მესამე ნაწილი

ოზი — დიდებული და საზარელი

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხოლო იესო, კვლავ სულით შეძრული, საფლავთან მივიდა; ეს იყო მღვიმე, რომლისთვისაც ლოდი მიედოთ. იესომ თქვა: მოაშორეთ ლოდი.

ხოლო მართამ, მიცვალებულის დამ, უთხრა: უფალო, უკვე ყარს, ვინაიდან ოთხი დღის წინ დავასაფლავეთ.

და როცა ლოცვა წარმოთქვა, იესომ ხმა აიმაღლა და ხმამაღლა დაიძახა: ლაზარე, გამოდი გარეთ!

და გამოვიდა მიცვალებული, სახვევით ხელფეხშეკრული და სახეშესუდრული. უთხრა მათ იესომ: გახსენით და გაუშვით, წავიდეს.

იოანეს სახარება (პერიფრაზი)

— მხოლოდ ახლაღა გამახსენდა, — ისტერიკულად წამოიყვირა ქალმა, — აქამდე რატომ არ დავფიქრდი? ან შენ რატომ არ დაფიქრდი?

— რაზე? — ჰკითხა კაცმა.

— კიდევ ორ სურვილზე, — მაშინვე უპასუხა ქალმა, — ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ.

— კი, მაგრამ ერთი არ გეყო? — მკაცრად ჰკითხა კაცმა.

— არა, — პათეტიკურად წამოიყვირა ქალმა და დაამატა, — კიდევ ერთი სურვილი უნდა ჩავუთქვათ. მიდი, სწრაფად მოაბრუნე და ისურვე, რომ ჩვენი ბიჭი გააცოცხლოს.

უ.უ. ჯეიკობსი — „მაიმუნის თათი“

58

ჯად კრენდოლს უეცრად გამოეღვიძა და ისე შეხტა, რომ კინალამ სკამიდან გადმოვარდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენ ხანს ეძინა. შესაძლოა თხუთმეტი წუთი, ან სამი საათი. საათს რომ დახედა, ხუთის თხუთმეტი წუთი იყო და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ოთახში ყველაფერს ადგილმდებარეობა შეეცვალა. სკამზე ჯდომისგან ზურგშიც საკმაო ტკივილს გრძნობდა.

ო, შე სულელო კაცო, ნახე, რა ჩაიდინე!

თუმცა, თავადაც იცოდა, რომ ეს მხოლოდ მისი ბრალი არ იყო და საგუშაგოზე არ ჩასძინებია. უბრალოდ, დააძინეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ ფიქრმა ძალიან შეაშინა, მაგრამ კიდევ უფრო აშინებდა ერთი შეკითხვა: *რამ გააღვიძა?* ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს — რაღაც ხმამ. ჯადმა სუნთქვა შეიკრა და გულისცემის ფონზე სმენა დაძაბა.

დიახ, ისმოდა ხმა. არა ის, რომელმაც გააღვიძა, არამედ რაღაც ახალი. ანჯამების ოდნავი ჭრაჭუნი.

ჯადი საკუთარი სახლის ყველა ხმას ცნობდა. ზუსტად იცოდა, რა ხმას გამოსცემდნენ იატაკის ფიცრები, ან საწვიმარი მილები, ისეთი ძლიერი ქარის დროს, როგორიც ამაღამ იყო. ჭრაჭუნი შემოსასვლელ კარს გაუდიოდა, რომლითაც ვერანდიდან სახლში შემოდიოდით. ჯადი აქვე მიხვდა, რომ ის პირველი ხმა, რომელმაც გააღვიძა, იმ კარის უნდა ყოფილიყო, რომელიც ვერანდას და ეზოს ერთმანეთთან აკავშირებდა.

— ლუის? — გასძახა ჯადმა უიმედოდ. იცოდა, რომ ეს ლუისი არ იქნებოდა. რაც უნდა ყოფილიყო, ის ახლა მოხუცის დასასჯელად მოდიოდა — მისი სიამაყისა და ამპარტავნების გამო. ნაბიჯები ნელ-ნელა მისაღებ ოთახს უახლოვდებოდა.

— ლუის? — კიდევ ერთხელ დაიძახა ჯადმა და ამჯერად ბოლო ბგერებზე ხმა ოდნავ ჩაეხლიჩა. ახლა უკვე საძაგელ, ბინძურ სუნსაც გრძნობდა, რომელიც ჭაობის სუნს აგონებდა.

სიბნელეში ჯადმა სილუეტების აღქმა შეძლო — ნორმას გარდერობი, ჭურჭლის კომოდი, უჯრებიანი გარდერობი, მაგრამ დეტალებს ვერ ამჩნევდა. ნელ-ნელა ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ მიხვდა, რომ უკვე ძალიან უჭირდა. ძალა აღარ ჰქონდა იმისათვის, რომ მას კიდევ ერთხელ შეხვედროდა. ტიმი ბატერმანის შემთხვევაც გაახსენდა, თუმცა იმ საშინელების დროს გაცილებით ახალგაზრდა იყო.

მისაღების კარი გაიღო და ოთახში ჩრდილები გამოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი გაცილებით მკვეთრი იყო, ვიდრე მეორე.

ღმერთო დიდებულო, როგორ ყარს.

სიბნელეში მოძრავი ფრთხილი ნაბიჯები.

— გეიჯ? — როგორც იქნა, საბოლოოდ წამოდგა ჯადი, თვალის კუთხით კი „ჯიმ ბიმის“ საფერფლეში ჩაფერფლილ სიგარეტს გახედა. — გეიჯ, ეს შენ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა რაღაც საძაგელი, კნავილისებრი ხმა გაისმა და წამით ჯადის ძვლები ყინულად იქცა. ეს საფლავიდან დაბრუნებული ლუისის შვილი კი არა, რაღაც სხვა, შემზარავი მონსტრი იყო.

არა, არც ის ყოფილა.

ეს იყო ჩერჩი, რომელიც ფრთხილად იდგა კართან და ამ ხმასაც ის გამოსცემდა. კატის თვალები ბინძურ წერტილებად ანთებულიყო. შემდეგ მისი მზერა გადავიდა იმ რაღაცაზე, რაც სახლში მასთან ერთად შემოსულიყო.

ჯადმა უკან დახევა დაიწყო. თან ცდილობდა, გონს მოსულიყო და ამ საძაგელი სუნისთვის გაეძლო. უკვე აშკარად ციოდა. ამ რაღაცას თან სიცივეც შემოეტანა.

ჯადი ოდნავ შეტორტმანდა. მის ფეხებთან კატამ გაიარა და მაშინვე თრთოლა მოჰგვარა. ოდნავ კრუტუნებდა. ჯადმა ფეხი გაჰკრა და გააგდო. კატამ კბილები გააშიშვლა და წაუსისინა. *იფიქრე! იფიქრე, სულელო მოხუცო! იქნებ ჯერ ძალიან გვიანი არ არის. იქნებ ჯერ კიდევ მოასწრო რაიმე... იქნებ ხელახლა მოკლა... ოღონდ... ოღონდ უნდა მოიფიქრო...*

ჯადმა სამზარეულოსკენ დაიხია და უეცრად გაახსენდა, რომ ნიჟარასთან, ერთ-ერთ უჯრაში, ხორცის საჭრელ ნაჯახს ინახავდა.

მისი თხელი წვივები სამზარეულოს მოქანავე კარს მიაწვა და გააღო. სახლში შემოსული არსება ჯერ ისევ ბუნდოვნად მოჩანდა, მაგრამ ჯადს მისი სუნთქვის ხმა ესმოდა. ხედავდა, როგორ ირხეოდა წინ და უკან თეთრი სილუეტი, რომელსაც ხელში რაღაც ეჭირა. სამზარეულოს კარი დაიკეტა, ჯადი შიგნით შევიდა და, როგორც იქნა, შემობრუნდა. შემდეგ ხელები უჯრაში მოაფათურა და გაცრეცილი ხისტარიანი ნაჯახი იპოვა. ამოიღო და ისევ კარისკენ შებრუნდა. რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა. მცირედი გამბედაობა დაჰბრუნებოდა.

გახსოვდეს, ის ბავშვი არ არის. შესაძლოა ატირდეს, როცა მიხვდება, რომ გამოიჭირე, მაგრამ არ წამოეგო. ის შენს გაცურებას ეცდება. შენ კი უკვე საკმარისად ბევრჯერ გაგაცურეს, მოხუცო. ეს შენი უკანასკნელი შანსია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამზარეულოს კარი ისევ გაიღო, მაგრამ შიგნით ჯერ კატა შემოვიდა. ჯადმა მზერა მისკენ მიმართა და მერე ისევ მაღლა აიხედა.

სამზარეულო აღმოსავლეთის მხარეს იყო და სხივები უკვე რძისფრად ანათებდა. მცირედი, მაგრამ საკმარისი ნათელი იდგა.

სამზარეულოში შემოვიდა გეიჯ კრიდი, რომელსაც დაკრძალვის დროს ჩაცმული პიჯაკი ეცვა. პიჯაკის მხრები და საყელო ხავსით დაფარვოდა. ხავსი ეცხო თეთრ პერანგზეც. ღია თეთრი თმა ტალახში ამოსვროდა, ცალი თვალი კედლისკენ გაეშტერებინა, მეორით კი, საზარელი კონცენტრაციით, ჯადს შეჰყურებდა.

გეიჯი უღიმოდა.

— გამარჯობა, ჯად, — წარმოთქვა ბავშვური, მაგრამ იდეალურად გასაგები ხმით, — შენი დამპალი, სუნიანი სულის პირდაპირ ჯოჯოხეთში გასაგზავნად მოვედი. ერთხელ უკვე დამიძვერი. გეგონა, ადრე თუ გვიან არ დავბრუნდებოდი და არ გაგანადგურებდი?

ჯადმა ნაჯახი მაღლა ასწია. — მოდი და წაიღე, რაც გინდა. ვნახავთ, ვინ ვის გაანადგურებს.

— ნორმა მკვდარია და აღარავინ გიგლოვებს, — თქვა გეიჯმა, — ო, რა იაფფასიანი კახპა იყო. შენს ყველა მეგობართან იჟიმავა, ჯად. ტრაკსაც აძლევდა მათ და თან ყველაზე მეტად ასე მოსწონდა. ახლა ჯოჯოხეთში იწვის და ართრიტით იტანჯება. მე ის ვნახე, ჯად. იქ ვნახე.

ჯადს ორი ნაბიჯით მიუახლოვდა და გაცრეცილ ლინოლეუმზე ჭუჭყიანი კვალი დატოვა. ცალი ხელი წინ გამოეწია — თითქოს ჯადისთვის ჩამორთმევა სურდა, მეორე კი ზურგს უკან დაემალა.

— მისმინე, ჯად, — თქვა ჩურჩულით, პირი ფართოდ დაალო, პატარა, რძისფერი კბილები გამოაჩინა და, მიუხედავად იმისა, რომ ტუჩებს არ ამოძრავებდა, ნორმას ხმით ალაპარაკდა.

— მე შენ დაგცინოდი! ჩვენ ყველანი დაგცინოდით! ოოოოოოო, როგორ დაგცინოდიიიიით!..

— შეწყვიტე! — ჯადს ხელში ნაჯახი აუკანკალდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ამას ჩვენს ლოგინში ვაკეთებდით. ვიწექი ჰერკთან და ვიწექი ჯორჯთან. ყველა მათგანთან ვიწექი. მე ვიცოდი შენი ბოზების შესახებ, მაგრამ შენ არასოდეს გაგიგია, რომ მთავარი ბოზი ცოლად გყავდა მოყვანილი. ო, როგორ დაგცინოდით, ჯად! ერთად ვჟიმაობდით და დაგცინოდიიიიიიით...

— შეწყვიტე! — წამოიყვირა ჯადმა. სიბნელეში მდგარი ბინძური, სასახლისთვის ჩაცმულ პიჯაკში გამოწყობილი პატარა სილუეტისკენ დაიძრა და სწორედ ამ მომენტში წამოსდო ფეხი ჩერჩის, რომელიც მათ შორის ჩადგა. კატამ წაისისინა, გვერდზე გაიწია და ჯადი იატაკზე დაეცა. ნაჯახი ხელიდან გაუვარდა და ტკაცანით მაცივრის ქვეშ შეცურდა.

ჯადი მიხვდა, რომ კიდევ ერთხელ გააცურეს და ერთადერთი, რაც ამშვიდებდა, იყო ის ფაქტი, რომ ეს მოხდა უკანასკნელად. კატა მის ფეხებზე დააბიჯებდა. პირი დაეღო, თვალები ანთებოდა და ჩაიდანივით სისინებდა. შემდეგ ჯადს გეიჯი მიუახლოვდა. სახეზე შავი ღიმილი გამოსახოდა, მთვარის ფორმის თვალებს კი სიწითლე შერეოდა. გეიჯი უკნიდან მიუახლოვდა და ჯადმა ახლა დაინახა, რა ეჭირა მას ზურგს უკან დამალულ ხელში. ეს იყო ლუისის შავი ჩანთიდან ამოღებული სკალპელი.

— ო, ღმერთო ჩემო, — წარმოთქვა ჯადმა და როგორღაც სახის დასაფარად მარჯვენა ხელის მაღლა აწევა მოახერხა. ახლა, ოპტიკური ილუზიის წყალობით, ჯადს ეჩვენებოდა, რომ ბავშვს ორივე ხელში სკალპელი ეჭირა. შემდეგ სახეზე რაღაც თბილის შეხება იგრძნო და ყველაფერს მიხვდა.

— გაგანადგურებ, ბებერო! — წამოიხრიალა გეიჯ-არსებამ და ჯადს სახეში შეასუნთქა. — გაგანადგურებ! გაგანადგურებ!

ჯადმა ხელი მოიქნია და გეიჯს მაჯა დაუჭირა. ხელში პერგამენტის მსგავსი კანის შეხება იგრძნო.

სკალპელმა მის ხელისგულზე ვერტიკალური ჭრილობა დატოვა.

— გა...გა...ნად...გურებ!

სკალპელი ისევ ქვევით დაეშვა.

და ისევ.

და ისევ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— აბა, ახლა სცადეთ, მე-ემ, — უთხრა სატვირთოს მძღოლმა. ის რეიჩელის ნაქირავები მანქანის ძრავას აკვირდებოდა.

რეიჩელმა გასაღები გადაატრიალა და „შევეტის“ ძრავას ცოცხალი ღმუილი აღმოხდა. სატვირთოს მძღოლმა კაპოტი დახურა და ფანჯარასთან მოვიდა, თან ხელებს დიდ ლურჯ ცხვირსახოცზე იწმენდდა. სასიამოვნო, ნათელი სახე ჰქონდა და უკან შეტრიალებული კეპი ეხურა.

— დიდი მადლობა, — უთხრა რეიჩელმა თითქმის ტირილით, — უბრალოდ, არ ვიცოდი, რა უნდა მექნა.

— უფ, ამას ბავშვიც შეაკეთებდა, — უთხრა მძღოლმა, — თუმცა, უცნაურია. არასოდეს მინახავს თითქმის ახალ მანქანაზე ასეთი რამ.

— რა? რა სჭირდა?

— აკუმულატორის ერთ-ერთი სადენი იყო გამომძვრალი. ვინმე სპეციალურად ხომ არ იზამდა?

— არა, — უპასუხა რეიჩელმა და თავი ისევ სამყაროს ყველაზე დიდ შურდულში ჩადებულ მუყაოდ წარმოიდგინა.

— ალბათ, სიარულის დროს გამოსძვრა. არა უშავს, კარგად დავამაგრე და პრობლემა აღარ გექნებათ.

— რამდენი მოგართვათ? — გაუბედავად ჰკითხა რეიჩელმა.

სატვირთოს მძღოლს სიცილი წასკდა. — რას ამბობთ, ქალბატონო, — თქვა მან, — ჩვენ ხომ ასფალტის რაინდები ვართ, დაგავიწყდათ?

რეიჩელმა გაუღიმა. — მაშ... გმადლობთ.

— არაფრის. — კაცმა ალალად გაუღიმა და ამ დილის პირველ სხივებში სახე თავადაც გაუნათდა.

პასუხად რეიჩელმაც გაუღიმა და ავტოსადგომიდან ნელი მოძრაობით წავიდა გზის მიმართულებით. ორივე მხარეს ყურადღებით გაიხედა, გზაზე გავიდა და ხუთ წუთში ისევ გზატკეცილზე აღმოჩნდა. ჩრდილოეთით მიდიოდა, ყავას კი, როგორც ჩანს, მოსალოდნელზე უკეთესი შედეგი გამოელო. საერთოდ აღარ ეძინებოდა, მაგრამ ის უცნაური

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეგრძნება, რომ ვილაც მართავდა, მაინც არ ტოვებდა. თვალები ფართოდ გაეხილა, ფხიზლად მართავდა მანქანას და აკუმულატორის სადენზე ფიქრობდა.

ამ გზით დაგაყოვნეს.

რეიჩელს ნერვიულად გაეცინა. დააყოვნეს, რათა არ მიესწრო... რისთვის?

რაღაც გარდაუვალი საშინელებისთვის.

რა სისულელეა. ნამდვილი სისულელე. თუმცა, რეიჩელმა პატარა მანქანის სიჩქარეს მაინც გაუაზრებლად მოუმატა.

ხუთ საათზე, როდესაც ჯადი მისი კარგი მეგობრის, დოქტორი ლუის კრიდის შავი ჩანთიდან მოპარული სკალპელის აცილებას ცდილობდა და როცა ლუისის შვილს კოშმარიდან ყვირილით გამოელვიძა (კიდევ კარგი, არაფერი ახსოვდა), რეიჩელმა გზატკეცილიდან გადაუხვია და გაუყვა ჰემონდ სტრიტს, რომელიც ახლოს მიუყვება სწორედ იმ სასაფლაოს, სადაც მისი შვილის საფლავში ჩამარხულ სასახლეში მხოლოდღა დაბლაგვებული ბარი განისვენებდა. შემდეგ ბანგორ-ბრუერის ხიდიც გადაკვეთა, ხუთის თხუთმეტი წუთისთვის უკვე მეთხუთმეტე გზაზე აღმოჩნდა და სვლა ლადლოუსკენ განაგრძო.

გადაწყვიტა, რომ, პირველ რიგში, ჯადთან მისულიყო და მისთვის მიცემული პირობა ასე მაინც დაეცვა. გზის პირას „სივიკი" არ იდგა და, მართალია, შესაძლოა ლუისს ის ავტოფარეხში დაეყენებინა, მაგრამ მათი სახლი მაინც რაღაც მიტოვებულად და ჩაძინებულად მოჩანდა. არანაირი ინტუიცია რეიჩელს არ უკარნახებდა, რომ ლუისი შეიძლებოდა შინ ყოფილიყო.

რეიჩელმა მანქანა ჯადის პიკაპის უკან დააყენა და გზაზე გადმოვიდა. აქეთ-იქით ფრთხილად იყურებოდა. დილის სხივების ქვეშ სქელ ბალახს ნამი დასტყობოდა. სადღაც მოშორებით ჩიტმა წაიჭიკჭიკა და გაჩუმდა. პერიოდულად, როცა ბავშვობის წლებში რეიჩელს ძალიან ადრე ეღვიძებოდა, მას მარტოობის, მაგრამ, ამავდროულად, სიახლისა და სიცოცხლის პარადოქსული შეგრძნება ეუფლებოდა. ახლა კი გრძნობდა მხოლოდ შიშს და სიფრთხილეს, რომელიც ვერაფრით გადაეფარა ბოლოს განვლილ საძაგელ ოცდაოთხ საათს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეიჩელი ვერანდისკენ კიბეს აუყვა და ვერანდის კარს მიუახლოვდა. სურდა სახლში შესვლამდე ზარი დაერეკა. ეს იყო შესასვლელ კართან დაკიდებული ძველებური ზარი, რომელიც აქ ლუისთან ერთად პირველად მოსვლის დღეს შენიშნა. მას საათის ისრის მიმართულებით ატრიალებდით და გამოსცემდა ძველებურ და სასიამოვნო, საოცრად მუსიკალურ ხმას.

მისკენ ხელი წაიღო, მაგრამ ანაზდად გაზონს გახედა და მოიღუშა. ბალახზე ტალახიანი ნაფეხურები დაინახა, რომლებიც კარამდე მოდიოდა. ძალიან პატარა, ბავშვის ნაფეხურები. თუმცა, რეიჩელს კარგად ახსოვდა, რომ მთელი გზის განმავლობაში არსად უწვიმია. ქარი იყო, მაგრამ წვიმა არა.

კარგა ხანს უყურებდა ნაფეხურებს და უეცრად აღმოაჩინა, რომ ზარს ველარ ეხებოდა. თითქოს სცადა დარეკვა, მაგრამ... ხელი ისევ დაბლა ჩამოუშვა.

უბრალოდ, ვუფრთხი, ეს არის და ეს. ვუფრთხი ასეთ დროს ზარის დარეკვას. იქნებ ჯადს ჩაეძინა, ზარის ხმა კი აუცილებლად გააღვიძებდა.

მაგრამ რეიჩელს სინამდვილეში ამის არ ეშინოდა. აღელვებდა და ანერვიულებდა რაღაც ახალი აზრი... თითქმის ისეთივე, როგორმაც შეაწუხა მაშინ, როცა მიხვდა, რომ საჭესთან ეძინებოდა. როცა ძალიან დაღლილი და შენელებული იყო.

ეს ნაფეხურები ძალიან ჰგავს...

კარგი, შეწყვიტე! უბრალოდ, შეწყვიტე!

რეიჩელმა ხელი გასწია და ზარი დარეკა.

გეიჯისას...

საკმარისია!

რეიჩელს არასოდეს ახსოვდა, ამ ზარს ასეთი მაღალი ხმა ჰქონოდა, თუმცა ამჯერად მუსიკალურად აღარ ჟღერდა. თითქოს სრულ სიჩუმეში კივილი გაისმა. რეიჩელი ოდნავ შეხტა, უკან დაიხია და ჯადის ნაბიჯების ხმას დაელოდა, თუმცა არაფერი გაუგონია. ისევ სიჩუმე იდგა. კიდევ უფრო დიდი სიჩუმე. მეტალის პეპლის ფორმის ზარის კიდევ ერთხელ გადატრიალებას აპირებდა, როცა შიგნიდან ყველაზე მოულოდნელი ხმა მოესმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიიიუ... მიიიუ... მიიიუ!

— ჩერჩი? — დაბნეულმა და გაოცებულმა იკითხა რეიჩელმა. ოდნავ წინ გადაიხარა, მაგრამ, რა თქმა უნდა, შიგნით ვერაფერს დაინახავდა. კარის შუშის პანელები კოხტა თეთრი ფარდებით დაეფარათ. *ნორმას ნამოქმედარი.* — შენ ხარ, ჩერჩი?

მიიიუ!

რეიჩელმა სახელურს ხელი მოჰკიდა. ღია იყო. შიგნით კი ჩერჩი იდგა და ფეხებზე კუდი შემოეხვია. ბეწვზე რაღაც მუქი მოსცხებოდა. *ტალახი,* — გაიფიქრა რეიჩელმა და დაინახა, რომ ჩერჩის ულვაშებზე წითელი სითხეც ეტყობოდა.

ჩერჩიმ ცალი თათი ასწია და ლოკვა დაუწყო. თან რეიჩელს თვალს არ აშორებდა.

— ჯად? — დაიძახა ახლა უკვე შეშფოთებულმა რეიჩელმა და სახლში შეაბიჯა. პასუხად არაფერი გაუგონია. მხოლოდ სიჩუმე.

რეიჩელმა დაფიქრება სცადა, მაგრამ გონებაში მხოლოდ თავისი დის, ზელდას სახებას ხედავდა. თვალწინ წარმოუდგა, როგორ იგრიხებოდა მისი ხელები და როგორ ურტყამდა თავს კედელს, როცა ბრაზდებოდა. იმ ადგილზე შპალერი სულ მთლად გაცრეცილიყო. თუმცა ახლა ზელდაზე ფიქრის დრო არ იყო. ახლა, როცა შესაძლოა, ჯადს უჭირდა.

იქნებ დაეცა? ის ხომ მოხუცია.

ამაზე იფიქრე და არა შენს ბავშვობის სიზმრებზე, კარადის კარის გამოღებისას შიგნით ნანახ ზელდაზე, მის გაშავებულ კანზე, მოღიმარ სახეზე. არც იმ სიზმრებზე, რომლებშიც სააბაზანოში შედიოდი, სადინარში კი ზელდას ანთებულ თვალებს უყურებდი, ან ზელდაზე, რომელიც სარდაფში, ღუმლის უკან იმალებოდა. სიზმრებზე...

ჩერჩიმ კიდევ ერთხელ გააღო პირი, ბასრი კბილები გამოაჩინა და წაიკნავლა, — მიუ!

ლუისი მართალი იყო, კასტრირება არ უნდა გაეკეთებინათ. მას შემდეგ ჩერჩი ნამდვილად შეიცვალა. თუმცა ლუისი ერთ რამეში შეცდა. თქვა, რომ ოპერაციის შემდეგ ჩერჩი აგრესიულ ინსტინქტებს დაკარგავდა, ის კი კვლავ ნადირობდა. ის... — მიუ! — წამოიკნავლა ჩერჩიმ და კიბეს აუყვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ჯად? — ისევ დაიძახა რეიჩელმა, — მანდ ხართ?

მიუ! — კიბის ბოლოდან ჩამოსძახა ჩერჩიმ, შემდეგ კი დერეფანში გაუჩინარდა.

შიგნით როგორ შემოვიდა? ჯადმა შემოუშვა? რატომ?

რეიჩელი ერთ ადგილს ტკეპნიდა და ფიქრობდა, რა გაეკეთებინა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ეს ყველაფერი... ძალიან ჰგავდა დადგმულს. თითქოს ვიღაცას სურდა, რომ ის ახლა აქ ყოფილიყო და... ზემოდან ხმამაღალი ბრახუნი მოისმა. ნელი და ტკივილით სავსე მოძრაობის ხმა იყო, რომელიც ნამდვილად ჯადს ეკუთვნოდა. ალბათ, აბაზანაში წაიქცა და ფეხი მოიტეხა, ან თეძოს კუნთი დაეჭიმა. მოხუცებს ხომ დასუსტებული სხეული აქვთ. *მაშინ, ღვთის გულისათვის, რაღას ფიქრობ, გოგონა? დგახარ აქ ერთ ადგილზე. არადა, ჩერჩისაც ეცხო სისხლი. ეს ჯადის სისხლია. გაინძერი! რა გჭირს?*

— ჯად! — დაიღრიალა რეიჩელმა და კიბეზე აირბინა.

ამ სახლში მეორე სართულზე არასოდეს ყოფილა და რადგანაც დერეფნის ერთადერთი ფანჯარა დასავლეთისკენ იყურებოდა, ახლა აქ ბნელოდა. ფართო და გრძელი დერეფანი სახლის უკანა ნაწილამდე გრძელდებოდა, კიბის ხის მოაჯირები კი სასიამოვნოდ პრიალებდა. კედელზე აკროპოლისის ნახატი ეკიდა.

(მთელი ეს წლები ზელდა უკან მოგყვებოდა, ახლა კი მისი ჯერია. შენ გააღებ სათანადო კარს და ის იქ დაგხვდება. წელში მოხრილი და ხერხემალგამრუდებული. შარდისა და სიკვდილის სუნით გაჯერებული. მთელი ეს დრო ზელდა უკან მოგდევდა და აი, დადგა შენი დროც).

ამასობაში ისევ გაისმა ბრახუნი. ამჯერად უფრო ჩუმი, დერეფანში არსებული მარჯვნიდან მეორე კარს უკნიდან.

რეიჩელი კარისკენ დაიძრა. მის ქუსლებქვეშ ფიცარი ჭრიალებდა. ეჩვენებოდა, რომ რაღაც დროის ან სივრცის კი არა, ზომის ბილიკს მიუყვებოდა და თითქოს პატარავდებოდა. უფრო და უფრო შორეული მოჩანდა აკროპოლისი და რეიჩელი ფიქრობდა, რომ მალე სახელური მისი თვალების სიმაღლეზე აღმოჩნდებოდა. რეიჩელმა ხელი წაიღო, რათა სახელურს შეხებოდა... და სანამ შეეხებოდა, კარი თავისით გაიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იქ ზელდა იდგა.

ხერხემალში მოხრილი და ისე საშინლად დეფორმირებული იყო, რომ მართლა ჯუჯასავით დადაბლებულიყო. რატომღაც ის პიჯაკი ეცვა, რომელშიც გეიჯი დაკრძალეს, თუმცაღა, მას ნამდვილად ზელდას გიჟურად ანთებული თვალები ჰქონდა. სწორედ ზელდა ყვიროდა ახლა, — აი, როგორც იქნა, მოვედი შენამდე, რეიჩელ! ახლა შენს ხერხემალს მოვხრი, ჩემსას დავამსგავსებ და ვეღარასოდეს ადგები ლოგინიდან! ვეღარასოდეს! ვეღარასოდეს...

მას ცალ მხარზე ჩერჩი ეჯდა. შემდეგ კი ზელდას სახე როგორღაც შეიცვალა და რეიჩელს ავადმყოფურმა საშინელებამ დაუარა — კი მაგრამ, ასეთი სულელური შეცდომა როგორ მოუვიდა? რა თქმა უნდა, ეს გეიჯი იყო. სახე შავი კი არ ჰქონდა, ტალახსა და სისხლში იყო ამოსვრილი. ისეთი შესივებული შესახედაობა ჰქონდა, თითქოს ნაწილებად დაეშალათ, შემდეგ კი სახელდახელოდ აეწყოთ.

რეიჩელმა მისი სახელი წამოიყვირა და გეიჯი რეიჩელისკენ გაიქცა. ცალი ხელი გაეშალა, მეორე კი ზურგს უკან ჰქონდა დამალული, როგორც უცნობის ბაღში დაკრეფილი ყვავილების თაიგული.

— მე შენ რაღაც მოგიტანე, დედიკო! — წამოიყვირა მან, — მე შენ რაღაც მოგიტანე, დედიკო! რაღაც მოგიტანე! რაღაც მოგიტანე!

60

ლუის კრიდს მზის სხივებმა თვალები მოსჭრა და გააღვიძა. წამოდგომა სცადა, მაგრამ მაშინვე ზურგის ტკივილმა შეახსენა თავი. ისევ ბალიშზე დაეცა და თვალები ფართოდ გაახილა. ტანსაცმლიანს ჩასძინებოდა. *ღმერთო ჩემო.*

ცოტა ხნით კიდევ იწვა, შემდეგ სხეულის ყოველი კუნთი დაძაბა და წამოჯდა.

— უხ, შენი, — წაიჩურჩულა ლუისმა. რამდენიმე წამით მთელი ოთახი ნელა, მაგრამ შესამჩნევად ირხეოდა. ზურგის ტკივილი კბილის ტკივილს აგონებდა, შემდეგ თავი გაამოძრავა და მოეჩვენა, რომ კისრის მყესები მისთვის ჟანგია-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნი დეტალებით შეეცვალათ. კიდევ უარეს მდგომარეობაში ჰქონდა მუხლი, რომლისთვისაც მალამოს ვერაფერი ეშველა და ისევ ბუშტივით ჰქონდა გაბერილი.

— ცუდადაა საქმე, — ჩაილაპარაკა ლუისმა, — უხ, ამის, ძალიან ცუდად.

ოდნავ წელში მოიხარა და ლოგინის კიდეზე წამოჯდომა მოახერხა. ტუჩები ისე მაგრად დაეჭირა ერთმანეთზე, რომ გასთეთრებოდა. იჯდა და ფიქრობდა, ყველაფერი მართლა ისე ცუდად იყო, როგორც ეგონა, თუ...

გეიჯი! გეიჯი დაბრუნდა?

ამის გაფიქრებაზე ლუისი, მიუხედავად ტკივილისა, მაშინვე ფეხზე წამოხტა, კარს ეცა და გავარდა გეიჯის ოთახში, რომელიც ცარიელი დახვდა. შემდეგ ეილის ოთახი შეამოწმა. ისიც ცარიელი იყო. თუმცა...

გარეთ, ქუჩის მეორე მხარეს, უცხო მანქანა მოჩანდა. ჯადის პიკაპის უკან იდგა.

მერე რა?

მერე ის, რომ უცხო მანქანა ნიშნავდა პრობლემას. აი, რა.

ლუისმა ფარდა გვერდზე გადასწია და მანქანას ყურადღებით დააკვირდა. ეს პატარა ლურჯი „შევროლე შევეტი“ იყო. მის სახურავზე კი ჩერჩის ეძინა.

მანქანას კარგა ხანს აკვირდებოდა. *ნუთუ ჯადს სტუმრები ჰყავს?* — მერე რა? თან, ალბათ, გეიჯის დასაბრუნებლად ჯერ ძალიან ადრე იყო. ჩერჩიმაც ხომ მაშინ თითქმის პირველ საათამდე დაიგვიანა? ახლა კი ჯერ ცხრა იყო. თან, სხვათა შორის, მშვენიერი მაისის დილა იდგა. ახლა ლუისი დაბლა ჩავიდოდა, ყავას მოიდუღებდა, ელექტრონულად თბობად პლედს მუხლზე დაიდებდა და...

და რას აკეთებდა ამ მანქანის სახურავზე ჩერჩი?

— ო, კარგი რა, — ხმამაღლა წარმოთქვა ლუისმა და დერეფანს გაუყვა. *კატებს ხან სად სძინავთ და ხან სად. ეს მათი ბუნებრივი მდგომარეობაა.*

ოღონდ, ჩერჩი რომ ქუჩაზე აღარ გადადის, დაგავიწყდა?

— დაივიწყე, — ჩაიდუდღუნა და კიბის (რომელზეც ძალიან მძიმედ, მოაჯირზე ხელჩაკიდებული ჩადიოდა) შუაში შეჩერდა. საკუთარ თავთან ლაპარაკი უკვე აღარ ვარგოდა. ეს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოიცა, რა მოხდა წუხელ ტყეში?

ეს ფიქრი ლუისს თავისთავად ეწვია და ტუჩების ერთმანეთზე მაგრად დაჭერა აიძულა, მუხლის ტკივილი გაახსენა და თვალწინ ხელახლა წარმოუდგინა წუხანდელი სიზმარი. ისევ ტყეში იყო, „დისნეი უორლდის" სცენა თავისთავად ამ სიზმარში გადაზრდილიყო. დაესიზმრა, რომ ის რაღაც შეეხო და ამ შეხებამ მანამდე ნანახი ყველა კარგი სიზმარი და განზრახვა გადაფარა. ეს ვენდიგო იყო და მან ლუისი, უბრალოდ, კანიბალად კი არა, კანიბალთა მამად აქცია. ლუისი სიზმარში შინაური ცხოველების სასაფლაოზე იდგა, თუმცა არა მარტო. მის გვერდით იდგნენ ბილი და ტიმი ბატერმანები. იქვე იყო ჯადიც, რომელიც რაღაც მოჩვენებას, მკვდარ სხეულს დამსგავსებოდა. ხელში სარეცხის გასაფენ თოკზე გამობმული სპოტი ეჭირა. აქვე იყო ლესტერ მორგანიც თავისი ჰენრეტით, რომელსაც კისერზე საბუქსირე ჯაჭვი ჰქონდა გამობმული, მიწაზე წამოწოლილიყო და აქეთ-იქით სულელური, მაგრამ მრისხანე თვალებით იყურებოდა. რატომღაც მათ გვერდით იყო რეიჩელიც, რომელსაც კაბა რაღაც წითლით დასვროდა. თითქოს ზედ კეტჩუპი ან მოცვის ჟელე გადასხმოდა.

და შემდეგ, ხმელი ხეების გროვის მეორე მხრიდან ტიტანურ სიმაღლეზე აღიმართა რეპტილიისებრ მოყვითალო კანის და ნისლის საწინააღმდეგო ფარების მსგავსად ანთებული თვალების მქონე ვენდიგო, რომელსაც ყურების ნაცვლად რქები ედგა და წააგავდა ქალის მიერ გაჩენილ ხვლიკს. მან თავისი გრძელფრჩხილიანი, წვეტიანი თითი მათკენ მიმართა, ისინი კი, უბრალოდ, იდგნენ და თავაწეულები შეჰყურებდნენ.

— შეწყვიტე. — წაიჩურჩულა ლუისმა და საკუთარი ხმის ტემბრმა გააკვირვა. მორჩა, გადაწყვიტა, ახლა წავა სამზარეულოში და კარგ, მარტოხელა კაცის ქოლესტერინით გაჯერებულ საუზმეს მოიმზადებს: სენდვიჩებს შემწვარი კვერცხით, ზედ მოსხმული მაიონეზით და თითო ნაჭერი წითელი ხახვით. მართალია, ოფლის და ჭუჭყის სუნად ყარდა, მაგრამ ახლა ტანსაცმლის გამოცვლაზე გაფიქრებაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი ტკივილს ჰგვრიდა. ლუისი ხვდებოდა, რომ შარვლის გასაჭრელად და შესივებული მუხლის გასაშიშვლებლად, სავარაუდოდ, თავისი შავი ჩანთიდან სკალპელის გამოყენება დასჭირდებოდა და, მართალია, კარგ ინსტრუმენტებს ასე არასათანადოდ არავინ იყენებს, მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა. ჯინსის ქსოვილს ვერც სამზარეულოს დანები მოერეოდნენ და ვერც რეიჩელის საკერავი მაკრატელი.

მაგრამ, ჯერ საუზმე.

მისაღები ოთახი გაიარა და სანამ სამზარეულოში შევიდოდა, ერთხელ კიდევ გახედა გარეთ, ჯადის სახლის წინ მდგარ ლურჯ მანქანას, რომელიც, როგორც ჩანს, აქ კარგა ხანს იდგა, რადგან ზედ ცვარი დასტყობოდა. ჩერჩი კი ისევ მის სახურავზე იჯდა, მაგრამ აღარ ეძინა და თავისი მოყვითალო-მომწვანო თვალებით ახლა პირდაპირ ლუისს შეჰყურებდა.

ლუისმა, თითქოს მისთვის შიშველი ქალის ყურებისას შეესწროთ, ნაჩქარევად უკან დაიხია.

სამზარეულოში შევიდა, გაზქურაზე ტაფა დადგა და მაცივრიდან კვერცხები გამოიღო. სამზარეულო სისუფთავისგან ელავდა. ლუისმა სტვენა სცადა, რათა ამ გზით კიდევ ერთხელ დაედასტურებინა, რომ ეს ჩვეულებრივი დილა იყო და არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, თუმცა ასე არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, სახლი მაინც მომაკვდინებლად ცარიელი ჩანდა, წუხანდელი ღამე კი ლუისს კვლავ მძიმე ლოდად აწვა. ბევრი რამ არ იყო რიგზე და ლუისი გრძნობდა, რომ აშკარად ეშინოდა.

შემდეგ სააბაზანოში გავიდა და ორ აბ ასპირინს ერთი ჭიქა ფორთოხლის წვენი დააყოლა. უკვე გაზქურისკენ ბრუნდებოდა, როდესაც ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

მაშინვე არ უპასუხია. ტელეფონისკენ ნელი, სულელური ნაბიჯებით მიიწევდა და იმაზე ფიქრობდა, რომ საერთოდ არ ეპასუხა, რადგან ეს ზარი ცუდი ამბის მაუწყებელი იქნებოდა. ეს იყო ბოლო იმ თოკისა, რომელსაც წყვდიადში მიჰყვებოდა და ლუისს ნამდვილად არ სურდა ენახა, რა ხდებოდა მის მიღმა. *არა მგონია, ყურმილის აღება გინდოდეს, ლუის. მოდი, არ გირჩევნია, ადგე და გაიქცე? მანქანა ავტოფა-*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეხშია. ჩაჯექი და მოუსვი აქედან, ოღონდ ტელეფონს არ უპასუხო. — ლუისმა ოთახი გადაკვეთა და ყურმილი აიღო. ახლაც, ისევე, როგორც ყოველთვის, როცა სამზარეულოში ტელეფონზე ლაპარაკობდა, ცალი ხელი საშრობზე ჩამოედო. რეკავდა ირვინ გოლდმენი, თუმცა მანამ, სანამ ის ლუისს მიესალმებოდა, ლუისმა იატაკზე პატარა, ტალახიანი ნაფეხურები შენიშნა. წამიერად გაშეშდა, გული თითქოს მკერდში გაეყინა და მოეჩვენა, რომ თვალები შუბლზე აუვიდა. ფიქრობდა, როგორი შესახედი იქნებოდა ახლა გარედან. ალბათ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახატზე გამოსახულ, საგიჟეთის პაციენტს ჰგავდა. ეს აშკარად გეიჯის ნაფეხურები იყო. *წუხელ ის შინ დაბრუნდა, მაგრამ სად არის ახლა?*

— ირვინი ვარ, ლუის... ლუის? მანდ ხარ? ალო!

— გამარჯობა, ირვინ, — უთხრა ლუისმა და უკვე იცოდა, რას ეტყოდა ის. მიხვდა ლურჯი მანქანის ამბავს და წყვდიადში გაბმულ თოკსაც უფრო სწრაფად გაუყვა. ხელებს ჩქარ-ჩქარა ცვლიდა და აი, ბოლოც გამოჩნდა! თუმცა ეს მისი თოკი იყო. თვითონ იყიდა.

— მეგონა კავშირი გაწყდა. — თქვა გოლდმენმა.

— არა, უბრალოდ, ყურმილი ხელიდან გამივარდა, — უთხრა ლუისმა მშვიდი ხმით.

— რეიჩელი წუხელ მოვიდა?

— აჰ, კი, — უპასუხა ლუისმა და ისევ ლურჯ მანქანაზე დაფიქრდა. ჩერჩი მის სახურავზე იჯდა. ლუისი კი იატაკზე დარჩენილ ნაფეხურებს თვალს ვერ აშორებდა.

— მასთან დალაპარაკება მინდოდა, — უთხრა გოლდმენმა, — ახლავე. საქმე ეილინს ეხება.

— ეილი? რა სჭირს ეილის?

— ვფიქრობ, რეიჩელმა...

— რეიჩელი ახლა აქ არ არის, — მტკიცედ მიახალა ლუისმა, — მაღაზიაში წავიდა პურისა და რძის საყიდლად. მითხარით, რა ხდება, ირვინ! რა სჭირს ეილის?

— იძულებულები გავხდით საავადმყოფოში დაგვეწვინა, — დაღონებით უპასუხა გოლდმენმა, — ზედიზედ ხედავდა კოშმარებს და ბოლოს ისტერიული შეტევა დაეწყო. ის...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— დაამშვიდეს?

— ჰა?

— დამამშვიდებელი დაალევინეს? — მოუთმენლად ჰკითხა ლუისმა.

— აჰ, კი, კი. რაღაც აბი დაალევინეს და მალე ჩაეძინა.

— რამე თქვა? განსაკუთრებით რაიმესი ხომ არ ეშინოდა? — ლუისი ყურმილს ისე უჭერდა ხელს, რომ თითები ეწვოდა.

ირვინ გოლდმენის მხრიდან ამ სიტყვებს გრძელი სიჩუმე მოჰყვა. ამჯერად ლუისმა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა დროს ასე მოიქცეოდა, სიტყვა არ ჩაუგდო.

— დორი ყველაზე მეტად ამან შეაშინა, — თქვა ბოლოს ირვინმა, — იმდენი რამ იბუტბუტა, თან... თან ტიროდა და ბევრს ვერაფერს ვაგებდით. თავად დორიც კინაღამ... ხომ ხვდები.

— რა თქვა ეილიმ?

— თქვა, რომ ოზიმ — დიდებულმა და საზარელმა — დედამისი მოკლა. ოლონდ ასე არ უთქვამს. მან თქვა... „ოზი — დიდებული და საზალელი“, სწორედ ასე ეძახდა მას ჩვენი გარდაცვლილი გოგონა — ზელდა. ლუის, დამიჯერე, მერჩივნა ეს რეიჩელისთვის მეკითხა, მაგრამ ახლა შენ გკითხავ. ეილინს ზელდას და მისი სიკვდილის შესახებ რას მოუყევით?

ლუისმა თვალები დახუჭა. სამყარო თითქოს მის ფეხქვეშ ირხეოდა. გოლდმენის ხმასაც ყოველგვარი ძალა დაჰკარგოდა.

შესაძლოა, გაიგონა ხმები. რაღაც ხმები, მაგრამ იცოდე, რომ ეს ხმები გადამფრენ ღორიხვებს ეკუთვნის. სასაცილო ხმები აქვთ.

— მანდ ხარ, ლუის?

— კარგად იქნება? — შორეული ხმით ჰკითხა ლუისმა, — ეილი კარგად იქნება? ექიმები რას ამბობენ?

— ძმის გარდაცვალების შემდგომი შოკი აქვს, — თქვა გოლდმენმა, — ჩემი პირადი ექიმი მოვიდა. ლეტროპი. კარგი კაცია. თქვა, რომ ეილის მაღალი სიცხე ჰქონდა და როცა გაიღვიძებს, შესაძლოა, არც არაფერი ახსოვდეს. მაინც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მგონია, რომ რეიჩელი უნდა დაბრუნდეს. მეშინია. ვფიქრობ, შენც უნდა ჩამოხვიდე.

ლუისს პასუხი არ გაუცია. *უფალი უყურებს ბელურას — თქვა მეფე ჯეიმსმა.*[1] თუმცა, არც ლუისი იყო ღმერთი და თან ახლა მხოლოდ ნაფეხურებს უყურებდა.

— ლუის, გეიჯი მკვდარია, — უთხრა გოლდმენმა, — ვიცი, ამასთან შეგუება ძნელია, შენთვისაც და რეიჩელისთვისაც, მაგრამ თქვენი მეორე შვილი ცოცხალია და სჭირდებით.

ჰო, მართალია. შესაძლოა სულელი ნაგავი იყო, მაგრამ იმ კოშმარმა, რომელიც შენმა გოგოებმა 1965 წლის აპრილში გამოაირეს, როგორც ჩანს, გრძნობების შესახებ რაღაც გასწავლეს.

მე მას ვჭირდები, მე კი ვერ მივდივარ, რადგან მეშინია... საშინლად მეშინია, რომ დედამისის სისხლში მაქვს ხელები გასვრილი.

ლუისი დააკვირდა ხელებს და ფრჩხილებქვეშ დარჩენილ ჭუჭყს, რომელიც ძალიან ჰგავდა მის წინ იატაკზე დარჩენილი ნაფეხურების ჭუჭყს.

— კარგი, — თქვა მან, — გასაგებია. როგორც კი მოვახერხებთ, ჩამოვალთ, ირვინ. შესაძლოა ამაღამვე ჩამოვიდეთ. გმადლობ.

— რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, — თქვა გოლდმენმა, — შესაძლოა ძალიან დავბერდით. შესაძლოა ყოველთვის ასეთები ვიყავით, ლუის.

— სხვა ხომ არაფერი უთქვამს? — ჰკითხა ლუისმა.

გოლდმენის პასუხი ჰგავდა სამგლოვიარო ზარს, რომელიც ლუისის გულის კედელზე შემოჰკრეს. — ბევრი რამ, მაგრამ ეს სიტყვები ვერაფრით გავიგე: „პაკსკოუ ამბობს, რომ ძალიან გვიანია“.

---

[1] *ფრაზა აღებულია მათეს სახარების მოტივებზე შექმნილი სადიდებლიდან, რომლის მუსიკის ავტორიც ჩარლზ გაბრიელი, ტექსტის ავტორი კი სივილია დ. მარტინია. მეფე ჯეიმსში იგულისხმება ბიბლიის პირველი ოფიციალური ინგლისურენოვანი თარგმანი, აგრეთვე, ცნობილი, როგორც მეფე ჯეიმსის ბიბლია, რომლის თარგმნის პროცესიც 1604-1611 წლებში მიმდინარეობდა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისმა ყურმილი დაკიდა და გაშტერებული მიუახლოვდა გაზქურას. თითქოს საუზმის მომზადების გაგრძელებას აპირებდა, თითქოს აღარც აპირებდა, მთელი გონება დამატყვევებელი ტალღებით ჰქონდა მოცული და ნელ-ნელა რაღაც ნაცრისფერში იძირებოდა. შემდეგ იატაკისკენ დაეშვა და გული წაუვიდა. ფიქრების ღრუბელმა მოიცვა და თითქოს ისევ და ისევ თვალწინ თვითმფრინავების მიერ გამოშვებული კვამლით შესრულებულ ფიგურებს ხედავდა. ლუისი იძირებოდა, შემდეგ კი უეცრად აღმოაჩინა, რომ იატაკს ნატკენი მუხლით დაეცა და ტვინამდე მიღწეულმა, აგონიურმა ტკივილმა აიძულა წამოეკივლა. ცოტა ხნით მხოლოდ წელში მოხრილიყო და თვალები ცრემლებით ჰქონდა ავსებული.

საბოლოოდ, როგორც იქნა, წამოდგა. ბარბაცებდა, მაგრამ გონება ნათელი ჰქონდა. ეს იყო რაღაც... რას ეძახდნენ?

ისევ მოერია დიდი სურვილი, გაქცეულიყო აქედან და ეს სურვილი იყო ყველაზე ძლიერი. როცა ჯიბეში მანქანის გასაღები მოსინჯა, სიამოვნება იგრძნო. შეეძლო ჩიკაგოში „სივიკით“ ჩასულიყო, იქიდან წამოიყვანდა ეილის ისე, რომ გოლდმენი ვერაფერს გაიგებდა... თუ საჭირო გახდებოდა, მოიტაცებდა.

გასაღებს ხელი მაგრად მოუჭირა და მიხვდა, რომ ის, რაც ამ სურვილს უკლავდა, იყო არა შეუძლებლობა, არც სინდისის ქენჯნა ან უიმედობა, არამედ ცხადი გააზრება იმისა, რომ ეს ბინძური ნაფეხურები, რომლებსაც ახლა სამზარეულოს იატაკზე ხედავდა, ყველგან გაჰყვებოდა. პირველ რიგში, ილინოისამდე, შემდეგ ფლორიდამდე და, თუ საჭირო გახდებოდა, მთელი მსოფლიოს გარშემოც. *რაც შენ იყიდე, შენია და რაც შენია, აუცილებლად დაგიბრუნდება.*

იცოდა, რომ აუცილებლად დადგებოდა დღე, როდესაც გააღებდა კარს და იქ დაგხვდებოდა გეიჯის დასახიჩრებული პაროდია. მისი ყოფილი სახე, ჩაძირული ღიმილი, სულელურად მომზირალი, ერთ დროს ლურჯი, გაყვითლებული თვალები. ან ეილი გააღებდა დილით შხაპის მისაღებად სააბაზანოს კარს, იქ კი დახვდებოდა გეიჯი — იმ ფატალური

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემთხვევის აღმბეჭდავი ფერწასული იარებით დაფარული სხეულით.

ო, დიახ, ეს დღე ნამდვილად დადგებოდა. ლუისს ამაში ეჭვი ოდნავადაც არ ეპარებოდა.

— ასეთი სულელი როგორ ვიყავი? — უთხრა ცარიელ ოთახს. ახლა საკუთარ თავთან ლაპარაკი აღარ ანაღვლებდა, — როგორ?

ეს სისულელე არ არის, ლუის. ეს დარდია. მათ შორის მცირედი... მაგრამ საგრძნობი სხვაობაა. მცირედი, მაგრამ მნიშვნელოვანი. მიკმაკების სამარხი მიწის სიმძლავრე მატულობს. რა თქმა უნდა, ჯადი მართალი იყო. — და შენც ამ ძალის ნაწილი ხარ. ის შენი დარდით გამოიკვება... და გაორმაგდა... არა, გაათმაგდა მისი ძალები. თან, მხოლოდ დარდით არ იკვებება. ის იკვებება ცნობიერებით, რომელიც დაკარგე... მან შვილთან ერთად დაგაკარგვინა ცოლი და, დიდი ალბათობით, საუკეთესო მეგობარიც. ნამდვილად ასეა. ჩვენი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ახლობლების დაკარგვას ვერაფრით ვეგუებით. ასე ხდება, როდესაც საკმარისად კარგად არ ჩაუთქვამ, რომ ის რაღაც, რაც შუაღამისას შენს კარზე აკაკუნებს, წამიერად გაქრეს. ამ ყოველივეს კი მარტივი დასასრული აქვს: სრული წყვდიადი.

ახლა თავს მოვიკლავ, — გაიფიქრა ლუისმა, — *და ალბათ სწორედ ასეც უნდა მოვიქცე, არა? ჩანთაში საამისოდ ყველაფერი მაქვს. ის... ის სამარხი მიწა, თუ ვენდიგო, თუ რაც არის, ამ ყველაფრისთვის წინასწარ მოემზადა. მან აიძულა კატა, ქუჩაზე გადასულიყო, ალბათ გეიჯსაც ასე მოექცა. მან შეაყოვნა რეიჩელი, რომ აქ დროულად ვერ ჩამოესწრო და ახლა ჩემი მკვლელობის ჯერია.*

ოლონდ ჯერ ერთი საქმეა დასამთავრებელი, არა?

დიახ, ნამდვილად.

გეიჯი ჯერ ისევ მისახედი იყო. ის სადღაც აქ დააბიჯებდა. სადღაც.

ლუისი ნაფეხურებს გაჰყვა, გაიარა სასადილო და მისაღები ოთახები, აუყვა კიბეს და საძინებელში შევიდა. აქ ნაფეხურები გაქექილი იყო, რადგან როცა ზემოდან ჩამოვიდა, მათ ზედ გადაუარა. ნაფეხურები საძინებლისკენ მიუძღოდა და ლუისი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფიქრობდა, რომ *ის იქ იყო*. საძინებელში შესულმა კი მომენტალურად შენიშნა სამედიცინო ჩანთა, რომელიც ღია იყო.

ჩანთაში ყველაფერს ზედმიწევნით კოხტად აწყობდა ხოლმე, ახლა კი ის ვიღაცას აერ-დაერია და, მიუხედავად უწესრიგობისა, ლუისმა მაშინვე შენიშნა, რომ სკალპელი იქ აღარ იდო. სახე ხელებში ჩარგო, ცოტა ხანს ასე იდგა და ყელში მოზღვავებულ სასოწარკვეთილ ხმას ებრძოდა.

ბოლოს ისევ ჩანთაში ჩაიხედა და მოქექა.

არა, ისევ ქვევით.

საკუჭნაოს კარის გაღების ხმა. სამზარეულოს უჯრების გამოღების ხმა. შემდეგ მიჯახუნების ხმა. უჯრიდან ამოღებული კონსერვის გასახსნელი. ავტოფარეხის კარის უკანასკნელად გაღების და დაკეტვის ხმა. ცოტა ხანში კი ამ მაისის ნათელ დღეს სახლი დარჩა ისევე მარტო და მიტოვებულად, როგორც ერთი წლის წინ, აგვისტოში, როცა კრიდები აქ პირველად მოვიდნენ. ალბათ... მათ შემდეგაც მოვლენ სხვები. შესაძლოა, ისიც ახალგაზრდა ოჯახი, მათ არ ეყოლებათ შვილები, მაგრამ ექნებათ გეგმები და იმედები. ეყვარებათ ღვინო „მონდავი“ და ლუდი „ლოვენბრაუ“. კაცი „ნორსისტ ბანკის“ საკრედიტო განყოფილებაში იმუშავებს, ცოლს კი, ალბათ, სტომატოლოგ-ჰიგიენისტის დიპლომი ან იქნებ, ოპტომეტრისტის თანაშემწის სამწლიანი გამოცდილება ექნება. კაცი ბუხრისთვის შეშას დაჩეხს, ქალს კი მაღალწელიანი ველვეტის შარვალი ეცმევა და მისის ვინტონის მინდორზე ნოემბრის გამხმარ ბალახებს მოაგროვებს სასადილო მაგიდის გასაფორმებლად. მას თმა ცხენის კუდად ექნება შეკრული, ის იქნება ყველაზე ნათელი წერტილი რუხი ცის ქვეშ და წარმოდგენა არ ექნება, რომ მის თავზე უხილავი სვავის ფრანი იფრენს. მიუხედავად სახლის ისტორიისა, ისინი კმაყოფილი იქნებიან აქ გადმოსვლით და მეგობრებს მოუყვებიან, თუ რა იაფად იყიდეს სახლი. შემდეგ კი მის სხვენში მცხოვრებ მოჩვენებებზე იხუმრებენ. ამას გააკეთებენ „მონდავის“ ან „ლოვენბრაუს“ მორიგი ჭიქის თანხლებით, შემდეგ კი ნარდს ან „მაილ ბორნს“ ითამაშებენ.

შესაძლოა, მათ ძაღლიც ჰყავდეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

61

ლუისი ქუჩის პირას შეჩერდა და ქიმიური ნარჩენებით დატვირთული „ორინკოს“ სატვირთო გაატარა. შემდეგ ქუჩა ჯადის სახლის მიმართულებით გადაკვეთა. ხელში კატის გახსნილი კონსერვი ეჭირა.

ჩერჩიმ დაინახა და ფხიზელი თვალებით გახედა.

— ჰეი, ჩერჩი, — უთხრა ლუისმა და ჩუმ სახლს დააკვირდა, — არ გინდა ჭამო?

კონსერვი მანქანის საბარგულზე დადგა. ჩერჩიც მაშინვე მსუბუქი მოძრაობით ჩამოხტა და ჭამა დაიწყო. ლუისმა ხელი ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო. ჩერჩიმ მაშინვე შეხედა. თითქოს ლუისის აზრებს კითხულობსო. ლუისმა გაუღიმა და მანქანას ერთი ნაბიჯით მოშორდა. ჩერჩიმ ჭამა განაგრძო, ლუისმა კი ჯიბიდან ამპულა და შპრიცი ამოიღო, შპრიცში 75-მილიგრამიანი მორფი შეუშვა და ცარიელი ამპულა ისევ ჯიბეში ჩაიდო. ჩერჩიმ კვლავ დაკვირვებით შემოხედა, ლუისმა გაუღიმა და მიუახლოვდა, — მიდი, ჭამე, ჩერჩი. აბა ჰე, შევუბერეთ, არა? — შემდეგ კატას ზურგზე დაუწყო ფერება და როცა ის საჭმელს მიუბრუნდა, ლუისმა შპრიცი ბარძაყში ღრმად ჩაარჭო.

ჩერჩი შეფართხალდა, დაიწყო ხნავილი და ბრჭყალების ქნევა, მაგრამ ლუისს მაგრად ეჭირა, სანამ „მორფს“ ბოლომდე შეუშვებდა, შემდეგ კი ხელი გაუშვა და კატაც საბარგულიდან გადახტა. ჩაიდანივით წაისისინა და მოყვითალო-მომწვანო თვალებზე მომაკვდავი გამომეტყველება დაედო. რამდენიმე ნაბიჯი ქუჩისკენ გადადგა, შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდაო, უკან მობრუნდა, ეზოს გაუყვა და ბარბაცით დაიძრა კიბისკენ. პირველ საფეხურზე ავიდა, შემდეგ გადმოვარდა და მიწაზე დაეცა. ცალ მხარეს იწვა, თათები დაძაბვოდა და სუსტად სუნთქავდა.

ლუისმა „შევეტს“ გახედა და შიგნით თავისი ვარაუდებისა და გულზე დაწოლილი ლოდის დასტური დაინახა: რეიჩელის საფულე, ყელსახვევი და „დელტას“ ლოგოიანი საქაღალდიდან გადმოყრილი ავიაბილეთები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა კვლავ სახლისკენ შებრუნდა, ჩერჩი უკვე აღარ მოძრაობდა. ის მოკვდა. ისევ.

ლუისი სახლისკენ დაიძრა და კიბეს აუყვა.

— გეიჯ?

შესასვლელში ციოდა. ბნელოდა და ციოდა. ეს ერთი სიტყვა კი ღრმა ჭაში ჩაგდებულ ქვას ჰგავდა. ლუისმა კიდევ ერთხელ სცადა. ამჯერად უფრო ხმამაღლა.

— გეიჯ?

არაფერი. საათის წიკწიკის ხმაც კი არ ისმოდა. ამ დილით ის არავის დაუქოქია.

თუმცა იატაკს ეტყობოდა ნაფეხურების კვალი.

ლუისი მისაღებში შევიდა. იგრძნო სიგარეტისა და დიდი ხნის წინ ჩამწვარი ფერფლის სუნი. ფანჯარასთან ჯადის სავარძელი დაინახა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ჯადი ეს-ესაა, უეცრად ამდგარიყო. საფერფლეში, თაროსთან, ფერფლი ეყარა.

აქ იჯდა ჯადი და მელოდებოდა. რა თქმა უნდა, მე მელოდებოდა. თუმცა ვერ შემამჩნია. როგორლაც ვერ შემამჩნია.

ლუისმა კოხტად დალაგებულ ლუდის ოთხ ქილას გახედა. მოხუცის დასაძინებლად ეს არასაკმარისი რაოდენობა იყო, მაგრამ შესაძლოა სააბაზანოში წასულიყო. არა, შემთხვევითობის დასაჯერებლად ზედმეტად ბევრი რამ ემთხვეოდა ერთმანეთს.

ტალახიანი კვალი ფანჯარასთან მდგარ სკამს უახლოვდებოდა. ადამიანის ნაფეხურებთან ერთად ძნელად გასარჩევად შეიმჩნეოდა პატარა ცხოველის ფეხის კვალიც. თითქოს გეიჯის პატარა, მიცვალებულის ფეხსაცმლის მიერ დატოვებულ კვალში გეიჯს გაეარ-გამოეარა. სკამის შემდეგ კვალი სამზარეულოს მოქანავე კარს უახლოვდებოდა.

გამალებული გულისცემით ლუისი კვალს გაჰყვა.

კარი გააღო და ფეხებთან ძველ მწვანე სამუშაო კომბინეზონსა და ფლანელის პერანგში გამოწყობილი მწოლიარე ჯადი დაინახა. ჯადი შემხმარი სისხლის გუბეში იწვა.

ლუისმა სახეზე ხელები აიფარა. თითქოს რაღაცას მისთვის თვალი მოეჭრა. თუმცა, აშკარად ხედავდა მოხუცის ღია

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალებს, რომლებიც შეჰყურებდნენ და ადანაშაულებდნენ. შესაძლოა, ისინი ადანაშაულებდნენ თავად ჯადსაც, რომელმაც ეს ყველაფერი წამოიწყო.

მაგრამ, იყო კი ასე? — ფიქრობდა ლუისი, — *მართლა ჯადმა დაიწყო?*

მას ხომ ყველაფერი სტენი ბიმ უთხრა. სტენი ბის კი მამამისმა. სტენი ბის მამას კიდევ მამამისმა — ინდიელებთან მოვაჭრე უკანასკნელმა ფრანგმა, რომელიც ჩრდილოეთის მიწებზე ჯერ კიდევ მაშინ დადიოდა, როდესაც პრეზიდენტად ფრანკლინ პირსი გახლდათ.

— ოჰ, ჯად, როგორ ვწუხვარ, — თქვა ჩურჩულით.

ჯადი ცარიელი თვალებით შეჰყურებდა.

— ძალიან ვწუხვარ, — გაიმეორა ლუისმა.

მისი ფეხები თითქოს ავტომატურად მოძრაობდა და უეცრად ლუისს უკანასკნელი მადლიერების დღე გაახსენდა, ოღონდ არა ის ღამე, როცა ჯადმა და მან კატა შინაური ცხოველების სასაფლაოზე წაიღეს. გაახსენდა ნორმას მიერ მაგიდაზე დადგმული შემწვარი ინდაური. ყველანი იცინოდნენ და ლაპარაკობდნენ. ის და ჯადი ლუდს სვამდნენ, ნორმას კი ჭიქაში თეთრი ღვინო დაესხა. მაშინ ნორმამ ქვედა უჯრიდან თეთრი ტილო გამოიღო, მაგიდას გადააფარა და ზედ კოხტა სასანთლეები დადგა. ახლა ლუისმაც ეს ტილო გამოიღო და პარაშუტივით დაუშვა ჯადის მკვდარ სახეზე. ტილოს მალევე დაეტყო სისხლის წითელი ლაქები.

— ვწუხვარ, — მესამედ გაიმეორა ლუისმა, — ძალიან ვწუ...

ზემოდან რაღაც ხმა გაისმა. ლუისი სამზარეულოს მაგიდას მიუახლოვდა და ჯიბეში ხელი ჩაიყო. კიდევ სამი „ბეკტონ-დიკსონის“ შპრიცი ამოიღო და დამცავი ქაღალდები შემოახია. შემდეგ სამივე აკურატულად დააწყო მაგიდაზე, ამოიღო სამი ამპულა და შპრიცები „მორფინით“ აავსო. ამ რაოდენობის „მორფინი“ საკმარისი იქნებოდა ცხენის — ან გნებავთ, ხარი ჰენრეტის მოსაკლავად. ლუისმა ყველაფერი ჯიბეში ჩააბრუნა.

სამზარეულოდან გამოვიდა, მისაღები ოთახი გადაკვეთა და კიბესთან დადგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— გეიჯ?

ცივი და უგულო სიცილის ხმამ ლუისს კანი ეკლებით დაუფარა.

კიბეს აუყვა.

სანამ ბოლომდე ავიდოდა, გავიდა ძალიან დიდი და, ამავდროულად, საშინლად ცოტა დრო. ალბათ სწორედ ასე გრძნობდნენ თავს ზურგზე ხელებდაწყობილი სიკვდილმისჯილები, რომლებმაც იცოდნენ, რომ ცოტა ხანში საერთოდ დაკარგავდნენ სიარულის უნარს.

როგორც იქნა, ბოლო საფეხურზეც ავიდა. ცალი ხელი ჯიბეში ედო, თვალებით კი მხოლოდ კედელს აკვირდებოდა. რამდენ ხანს იდგა ასე? არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ საღი აზრი ნელ-ნელა ტოვებდა. ეს იყო ნამდვილი, შეუცდომელი შეგრძნება. და იყო საინტერესო. ლუისის წარმოდგენით, სწორედ ასეთი გრძნობა ეუფლებოდა გაყინულ ხეს, რომელსაც ძლიერი გრიგალი არხევდა. თუ, რა თქმა უნდა, ხეებს ამგვარი გრძნობები ჰქონდათ. საინტერესო იყო... და ოდნავ მხიარული.

— გინდა, ფლორიდაში წავიდეთ, გეიჯ?

ისევ ხითხითის ხმა.

ლუისი შემობრუნდა და დაინახა ცოლი, რომლისთვისაც თავის დროზე კბილებით ვარდი მიეტანა, ის კი ახლა დერეფანში მკვდარი იწვა. ფეხები მასაც ისე გაეშალა, როგორც ჯადს. კისერი და ზურგი მოეხარა. კედელთან ახლოს იწვა. ისეთი პოზა მიეღო, როგორიც ქალს, რომელიც ლოგინში წიგნს კითხულობს. ლუისი რეიჩელს მიუახლოვდა.

გამარჯობა, საყვარელო, — გაიფიქრა ლუისმა, — *აი, შენც შინ დაბრუნდი.*

კედელს სისხლი გაურკვეველ ფორმებად მიშხეფებოდა. მის სხეულს კი ათამდე... იქნებ ოცამდე ჭრილობა დასტყობოდა. სკალპელს თავისი საქმე გაეკეთებინა.

უეცრად ლუისმა დაინახა, ნამდვილად დაინახა რეიჩელი. და ყვირილი დაიწყო.

ყვირილი გაიბნა ექოდ და ცივი ხმით გააზანზარა სახლი, რომელშიც ახლა მხოლოდ სიკვდილი ცხოვრობდა. თვალები — გადმოცვენილი, სახე — შეშლილი, თმა — ყალყზე. და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუისი ყვიროდა. გამომშრალი ყელიდან ეს ხმა ჯოჯოხეთის ზარების ხმად გაიბნეოდა. ეს იყო საზარელი ხრიალი, რომელიც მოასწავებდა არა მხოლოდ სიყვარულის, არამედ საღი აზრის აღსასრულსაც. უეცრად ლუისის გონებაში ერთდროულად გათავისუფლდა უამრავი ხატება: ვიქტორ პასკოუ ლაზარეთის ხალიჩაზე კვდება, ჩერჩი ულვაშებზე მწვანე პოლიეთილენის ნაგლეჯებით ბრუნდება, გეიჯის კეპი ქუჩაზე გდია, სულ მთლად სისხლითაა მოსვრილი, თუმცა ყველაზე ცხადად — ის, რამაც ბოლო ძაფი გაწყვიტა — მოჩანდა ცივი ჭაობის ყვითელთვალება ბინადარი. ვენდიგო. ჩრდილოეთის ურჩხული, მკვდარი არსება, რომლის შეხებაც ენით უთქმელ მადას აღძრავს.

რეიჩელი უბრალოდ არ მოუკლავთ.

მას რაღაც... რაღაც საშინლად მოეპყრა.

(ტკაც!)

ეს ხმა მის გონებაში გაისმა და ეს იყო მაყუჩის, პირდაპირ დაცემული მეხის, კარის გაღების ხმა.

ლუისმა გაშტერებით აიხედა. პირიდან ჯერ ისევ ყვირილი ამოსდიოდა, პირდაპირ კი, როგორც იქნა, ხედავდა გეიჯს. მას პირი სისხლით ჰქონდა მოსვრილი და ნიკაპიდან ეწვეთებოდა. ტუჩები ჯოჯოხეთური ღიმილით მობრეცოდა. ცალ ხელში ლუისის სკალპელი ეჭირა.

ლუისი ჯერ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. ანაზდად ხელი მოუქნია. მან გვერდზე გაიწია. *ისეთივე მოუქნელია, როგორც ჩერჩი,* — გაიფიქრა და გეიჯს ფეხი ამოარტყა. გეიჯი უხერხულად დაეცა, ლუისი ზემოდან მოექცა, წამოდგომის შესაძლებლობა წაართვა, ცალი მუხლი კი იმ ხელზე დააჭირა, რომლითაც სკალპელი ეჭირა.

— არა, — წამოიძახა არსებამ და ფართხალი დაიწყო. მწერისებრი თვალები ღვარძლით, გიჟური სიძულვილით ავსებოდა. — არა, არა, არა...

ლუისმა შპრიცი ამოიღო. სწრაფად უნდა ემოქმედა. ეს რაღაც თევზივით ფართხალებდა და, მიუხედავად იმისა, რომ მაჯაზე ფეხს მაგრად აჭერდა, სკალპელს ხელიდან მაინც არ უშვებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახე კი, სანამ ლუისი აკვირდებოდა, წამებში იცვლებოდა. ჯერ მიიღო ჯადის სახე — მკვდარი და თვალებგაყინული, შემდეგ ავადმყოფურად ამოტრიალებული თვალების მქონე ვიქტორ პასკოუ გამოჩნდა, რასაც მოჰყვა ლუისის ზუსტი ასლი, ოღონდ უფრო შეშლილი და ფერმკრთალი სახით. საბოლოოდ კი მან მიიღო ტყეში ნანახი იმ ურჩხულის სახე — მკვდარი ყვითელი თვალებით, გრძელი ენით, სისინითა და ფართოდ დაღებული პირით.

— არა, არა, არა-არა-არა...

ისევ აფართხალდა, ლუისს შპრიცი ხელიდან გაუვარდა, მაშინვე მეორეს დასწვდა, შემდეგ კი ზედმეტი ფიქრის გარეშე შპრიცი გეიჯს ბეჭში დაუშვა.

მან ხმამაღლა წამოიყვირა, სხეული დაეძაბა და კიდურები ისე დაიქნია, რომ ლუისი კინაღამ უკან გადმოაგდო. ლუისმა მესამე შპრიციც ამოიღო და ის ამჯერად გეიჯს მკლავში ჩაარჭო, ძალა დაატანა და ბოლომდე შეუშვა წამალი, შემდეგ კი უკან გადმოხტა და დააკვირდა, როგორ წამოიმართა გეიჯი, როგორ გაუყვა ნელი ნაბიჯით დერეფანს და ხუთი ნაბიჯის შემდეგ სკალპელი ხელიდან გაუვარდა. იატაკს ჯერ ბასრი პირი დაეცა, შემდეგ ტარი და სკალპელი იატაკზე ათამაშდა. ათი ნაბიჯის შემდეგ კი იმ უცნაურმა ყვითელმა თვალებმა ჩაქრობა დაიწყო. დამძიმებული გეიჯი მუხლებზე დაემხო. ახლა ისევ მას უყურებდა და ლუისს წამით მოეჩვენა, რომ მასში თავისი ბიჭიც დაინახა — ნამდვილი ბიჭი — უბედური, ტკივილით სავსე თვალებით.

— მამიკო! — წამოიყვირა უკანასკნელად და იატაკისკენ სახით დაეშვა.

ლუისი ცოტა ხანს უბრალოდ იდგა და უყურებდა, შემდეგ ფრთხილად მიუახლოვდა. ჯერ ისევ რაღაც ოინს ელოდა, დაიხარა და ხელები კისერზე მიაბჯინა, მიაგნო პულსს და დააკვირდა. ახლა ის სიცოცხლეში უკანასკნელად იყო ექიმი. პულსს სინჯავდა და მანამ არ აუშვა ხელი, სანამ ის საბოლოოდ არ გაჩერდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა ყველაფერი დასრულდა, ლუისი წამოდგა და დერეფნის შორეული კუთხისკენ დაიძრა. იატაკზე დაეშვა, წელში მაგრად მოიხარა და, როგორც კი მიხვდა, რომ ბავშვს ამ გზით უფრო დაემსგავსებოდა, პირში ცერი ჩაიდო.

ასე ორ საათზე მეტხანს იწვა... და შემდეგ, ნელ-ნელა მის გონებას ბნელი, მაგრამ მოსალოდნელი იდეა მისწვდა. პირიდან ცერი გამოიღო, მცირედი დგაფუნის ხმა გამოსცა და ისევ

(აბა ჰე, შევუბერეთ!)

წავიდა.

ოთახში, სადაც გეიჯი იმალებოდა, ლუისმა ლოგინიდან ზეწარი აიღო და დერეფანში დაბრუნდა. შემდეგ ფრთხილად, სიყვარულით გაახვია ცოლის გვამი ზეწარში. თან ღიღინებდა, მაგრამ თავად ამას ვერ ხვდებოდა.

ბენზინს ჯადის ავტოფარეხში მიაგნო. გაზონის საჭრელი მანქანის გვერდით ხუთგალონიანი წითელი თუნუქის კანისტრა იდგა. ლუისმა დაიწყო სამზარეულოთი, სადაც ჯადი ჯერ ისევ მადლიერების დღის ტილოს ქვეშ იწვა. კარგად დაღვარა, შემდეგ მისაღებში გავიდა და ბენზინი მოღვარა ხალიჩაზე, სავარძელსა და ჟურნალების მაგიდაზე, ბოლოს კი გაუყვა დერეფანს და უკანა საძინებელშიც შევიდა. ბენზინს ძალიან მძიმე სუნი ჰქონდა.

ჯადის ასანთის კოლოფი იდო იქვე, სიგარეტის კოლოფზე, სკამთან, რომელშიც ჯადი იჯდა და გუშაგობდა. ლუისი ძირითადი კარიდან გამოვიდა, ასანთის ღერს ცეცხლი მოუკიდა და მხარს უკან გადააგდო. მხურვალების ნაკადი წამიერი და ძლიერი აღმოჩნდა და ლუისმა მისი ოდნავი შეხება კეფაზეც იგრძნო. შემდეგ საიმედოდ დაკეტა კარი, სახლის წინ კი სულ ცოტა ხნით იდგა და ნარინჯისფერ მოციმციმე ნათებას აკვირდებოდა, რომელიც ნორმას ფარდებს მიღმა მოჩანდა. შემდეგ ეზოდან გავიდა, წამით შეჩერდა, გაახსენდა მილიონი წლის წინ ჯადთან ერთად ლუდის სმაში გატარებული დრო, ყური მიუგდო სახლში მოგუგუნე ცეცხლის ჯერჯერობით მცირედ ზუზუნს და ეზოს კარიდანაც გავიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სტივ მასტერტონმა, როგორც კი გზაზე შემოუხვია, ლუისის სახლთან მაშინვე კვამლი დაინახა, თუმცა ეს კვამლი ამოდიოდა არა ლუისის, არამედ მის წინ, ქუჩის მეორე მხარეს მდგარი სახლიდან.

ლადლოუსკენ ამ დილით გამოემგზავრა, რადგან ლუისზე ძალიან დარდობდა. ამას ემატებოდა ჩარლტონის ნათქვამიც წინა დღით რეიჩელის ზარის შესახებ და სტივიც უკვე შეშფოთებულიყო, არ იცოდა, სად იყო ახლა ლუისი... რას აკეთებდა.

ეს იყო უცნაური შფოთვა. თითქოს, სანამ თვითონ არ შეამოწმებდა, მანამ ვერ დარწმუნდებოდა, რომ ყველაფერი კარგად იყო.

გაზაფხულის თბილი ამინდების გამო უნივერსიტეტის კლინიკა თითქმის დაცარიელებულიყო და ამიტომ სარენდრამ სტივს უთხრა, რომ შეეძლო წასულიყო, საქმეებს კი თავად მიხედავდა. ასე რომ, მოაჯდა სტივი თავის „ჰონდას“, რომელიც ავტოფარეხიდან მხოლოდ წინა უქმეებზე გამოეგორებინა და ლადლოუსკენ გაემგზავრა.

შესაძლოა, საჭიროზე ჩქარაც მიდიოდა, მაგრამ შფოთვას ვერაფერს უხერხებდა, ის გვერდით ჰყავდა და იღრინებოდა. თან არ სცილდებოდა აბსურდული შეგრძნება იმისა, რომ უკვე ძალიან დააგვიანა. რა თქმა უნდა, ეს სულელური ფიქრი იყო, მაგრამ სტივი მაინც აშკარად გრძნობდა, რომ მუცელი ახლა სწორედ ისევე უსიამოვნოდ სჭრიდა, როგორც მაშინ, პასკოუს სიკვდილის დღეს და საოცარი უიმედობა და სასოწარკვეთილება ეუფლებოდა. სტივი არასოდეს ყოფილა მორწმუნე (კოლეჯში სულაც ორი სემესტრის განმავლობაში ათეისტური კლუბის წევრი იყო, თუმცა შემდეგ სამეცნიერო ხელმძღვანელმა საიდუმლოდ გაანდო, რომ ეს მომავალში სტიპენდიის მოპოვებაში ხელს შეუშლიდა და სტივმაც კლუბი დატოვა), მაგრამ ვერსად გაექცეოდა ბიოლოგიურ და ბიორითმულ გარემოებებს, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი გამუდმებით განიცდის და ხშირად წინათგრძნობაში გამოიხატება. პასკოუს სიკვდილმა კი თითქოს მთელ წელს დაღი დაასვა. ნამდვილად საშინელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წელი გამოდგა. ჯერ სარენდრას ორი ნათესავი მის სამშობლოში რაღაც პოლიტიკური ამბების გამო დაიჭირეს და სარენდრამ, რომელიც სასოწარკვეთილი მოთქვამდა, სტივს უთხრა, რომ შესაძლოა ერთ-ერთი მათგანი, მისი ბიძა, ახლა ცოცხალიც აღარ ყოფილიყო. ინდიელის ცრემლები სტივს ძალიან აშინებდა. ამას მოჰყვა ჩარლტონის დედისთვის რადიკალური მასტექტომიის გაკეთება, რის შემდეგაც ამ ოპტიმისტ ექიმს ოდნავი ილუზიაც კი აღარ ჰქონდა, რომ დედამისი ხუთ წელზე მეტს იცოცხლებდა. თავად სტივი კი პასკოუს სიკვდილის შემდეგ ოთხ გასვენებას დაესწრო: ცოლის დის — რომელიც ავტოავარიაში დაიღუპა, ბიძაშვილის — რომელიც სულელური შემთხვევის გამო მოკვდა (დენმა დაარტყა, როცა იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ელექტროგაყვანილობის ბოძზე ბოლომდე ასვლას შეძლებდა), საკუთარი ბაბუის და, რა თქმა უნდა, ლუისის პატარა ბიჭის.

ლუისი ძალიან უყვარდა და სურდა, რომ მეგობარი კარგად ჰყოლოდა. მან ხომ ბოლო დროს ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარა.

ახლაც, როდესაც სტივმა კვამლი დაინახა, პირველად ის გაიფიქრა, რომ ეს ვიქტორ პასკოუს სიკვდილისშემდგომი მორიგი უბედურება იყო. პასკოუს სიკვდილს თითქოს წაეშალა ზღვარი ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებასა და ექსტრაორდინარულ უიღბლობებს შორის. თუმცა, ესეც სულელური ფიქრი იყო. აი, ლუისის სახლი ხომ იდგა მშვიდად. თეთრად. ნიუინგლენდური არქიტექტურის მკაფიო გამოხატულება შუადღის მზის ქვეშ.

ხალხი მოხუცის სახლისკენ გარბოდა. სტივმა მოტოციკლი გზის პირას გააჩერა და ლუისის სახლისკენ დაიძრა. დაინახა, რომ ვიღაც კაცი ცეცხლმოკიდებული სახლის ვერანდაზე ავიდა და შესასვლელი კარისკენ ხელი გასწია, თუმცა მაშინვე უკან დაიხია და კიდევ კარგი, ასე მოიქცა, თორემ კარის გაღების შემთხვევაში, ცეცხლის ნაკადი უეჭველად მაშინვე ერთიანად, ცოცხლად, ლობსტერივით შეხრუკავდა.

სტივს ლუისი გადაავიწყდა. ახლა მთელი გონებით ამ მისტიკური ხანძრით იყო მოცული. სახლის წინ ხუთი-ექვსი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაცი შეკრებილიყო. იმ თითქმის-გმირის გარდა, რომელიც ახლა გაზონთან იდგა. დანარჩენები სახლს ცოტა უფრო შორიდან აკვირდებოდნენ. ვერანდის ფანჯრები იწვოდა და ჰაერში შუშის ნამსხვრევები ცვიოდა. თითქმის-გმირი შემობრუნდა და გარეთ გამოიქცა. ცეცხლის ენები ღონივრად შემოეჭდო ვერანდის შიდა სივრცეს და სტივმა დაინახა, როგორ გაუჩინარდა ვერანდაზე მდგარი სკამები წითელ ალში.

ხმამაღალი ტკაცუნის ფონზე სტივმა გაიგონა თითქმის-გმირის სიტყვები, რომლებშიც ზაფრა და აბსურდული ოპტიმიზმი იგრძნობოდა: აღარაფერი ეშველება! აღარაფერი! ჯადი თუ შიგნითაა, არაფერს აზრი აღარ აქვს! ათასჯერ მითქვამს, სახლში კრეოზოტი არ გააჩერო-მეთქი!

სტივმა ხალხს გახედა, რათა გადაეძახა, სახანძროში დარეკეთო, მაგრამ სწორედ ამ დროს შემოესმა მოახლოებული სირენების ხმა. ბევრი სახანძრო მანქანა მოდიოდა, თუმცა თითქმის-გმირი მართალი იყო, აწი არაფერს აზრი არ ჰქონდა. სახლი ბოლომდე დაიწვებოდა. ცეცხლი უკვე თითქმის ყველა ფანჯრიდან გამოდიოდა, ღია მწვანე ფერის ყავარი შთაენთქა, სახურავის წინა მხარე კი ნახევრად გამჭვირვალე ფენად ქცეულიყო.

სტივი შემობრუნდა, ლუისი გაახსენდა, მაგრამ ლუისი რომ აქ ყოფილიყო, განა ქუჩის მეორე მხარეს არ გადმოვიდოდა?

შემდეგ კი ძალიან შორს რაღაცას მოჰკრა თვალი.

ლუისის სახლის უკან დიდი მინდორი გაშლილიყო, რომელიც გორაზე ადიოდა, მერე კი, ალბათ, ტყეს ერწყმოდა. სტივს მოეჩვენა, თითქოს ახლა იქ, ტყისკენ მიმავალ ბილიკზე, სადღაც, ჰორიზონტთან ახლოს, რაღაც თეთრი საგანი მოძრაობდა. თავადაც ვერ ხვდებოდა, როგორ წარმოიდგინა ეს სახება, მაგრამ თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ხედავდა კაცს, რომელსაც თეთრ ქსოვილში გახვეული რაღაც მიჰქონდა.

ეს ლუისია, — უეცარი ალოგიკური მტკიცებით უკარნახა გონებამ, — *ეს ლუისია და ჯობს, დროულად შეაჩერო, სანამ რაღაც მორიგი უბედურება დატრიალებულა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სტივი დაბნეული იდგა გზის პირას, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ცმუკავდა.

რაო, სტივ, ისე გეშინია, ლამის გაგეპაროს, არა?

კი. ძალიან ეშინოდა. თან ვერ ხვდებოდა ასეთი შიშის მიზეზს. თუმცა ცხადი იყო მისდამი აშკარა... აშკარა

(მიზიდულობა)

ჰო. აშკარა მიზიდულობა, რომელიც იმ ბილიკისკენ ექაჩებოდა. ბილიკი ხომ ტყეში შედიოდა? და თუ არსებობდა ბილიკი, აუცილებლად იარსებებდა ადგილი, სადამდეც ის მიდიოდა. ყველა ბილიკი სადღაც მიდის.

ლუისი. ლუისი არ დაგავიწყდეს, ყეყეჩო! აქ ლუისის სანახავად მოხვედი, გახსოვს? ლუისის სანახავად და არა ლადლოუს წყეული ტყეების გამოსაკვლევად.

— მანდ რა გაქვს, რენდი? — წამოიყვირა თითქმის-გმირმა. გამყინავ ხმაში მცირედი ოპტიმიზმის ნიშნები ეტყობოდა.

რენდიმ მაშინვე უპასუხა, თუმცა ეს პასუხი სახანძრო სირენების ხმით იფარებოდა. — მკვდარი კატა.

— დამწვარია?

— არა, დამწვარი არ ჩანს, — უპასუხა რენდიმ, — უბრალოდ, მკვდარია.

და სტივი უცებ მიხვდა, რომ ეს ერთმანეთში გაცვლილი რეპლიკები, რომლებსაც ახლა ისმენდა, როგორღაც დაკავშირებული იყო იმასთან, რაც ცოტა ხნის წინ დაინახა, ან ეგონა, რომ დაინახა. არა, ის ნამდვილად ლუისი იყო.

ამ ფიქრით სტივი ტყისკენ მიმავალი ბილიკისკენ დაიძრა და ხანძარი უკან მოიტოვა. ტყისპირს მიადგა. გაოფლილს ტყის სიგრილე ძალიან ესიამოვნა. იგრძნობოდა ფიჭვისა და ნაძვის სასიამოვნო არომატი.

ტყეში უკვე სირბილზე გადავიდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რატომ გარბოდა, ან რატომ უცემდა გული ორჯერ უფრო სწრაფად. მძიმედ სუნთქავდა, მიუყვებოდა ბილიკს, რომელიც ჯერ დაბლა დაეშვა, შემდეგ რაღაც ვაკეზე გავიდა და სტივი აღმოჩნდა შინაური ცხოველების სასაფლაოს შესასვლელთან. სირბილის ძალა უკვე აღარ ჰქონდა. იღლიასთან, ოდნავ ქვევით, მწვავე ტკივილი იგრძნო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მზერა მოავლო საფლავების წრეებს, ცარიელ ქილებს, შიფერისა და ფიცრის ნაგლეჯებს. წინ ვიღაც შენიშნა. ეს ლუისი იყო. წაქცეული ხეებით და ხმელი ტოტებით შექმნილ გორაზე გადასვლას ცდილობდა. როგორც ჩანდა, ლუისს სიარული არ უჭირდა. ფეხებს მტკიცედ აბიჯებდა, მთლიანობაში კი მთვარეულს ან დაჰიპნოზებულ კაცს წააგავდა. მას ხელში ეჭირა ის თეთრი რაღაც, რაც სტივს მანამდე შეემჩნია, ახლა კი ახლოდან ცხადად ხვდებოდა, რომ ეს თეთრ ზეწარში გახვეული ადამიანის სხეული იყო. ზეწრიდან ცალი ფეხი და ქუსლიანი შავი ფეხსაცმელი მოჩანდა. სტივს თავზარი დასცა იმან, რასაც ხედავდა — ლუისს რეიჩელის სხეული მიჰქონდა.

ლუისს თმა სრულიად გასთეთრებოდა.

— ლუის! — წამოიყვირა სტივმა.

ლუისი არ შეჩერებულა. ხმელი ხეების გროვის უმაღლეს წერტილს მიაღწია და ახლა ქვევით იწყებდა დაშვებას.

დაეცემა, — გაიფიქრა სტივმა, — *აქამდე ძალიან გაუმართლა, ფეხქვეშ რომელიმე ხმელი ტოტი რომ არ ჩაუტყდა, მაგრამ ახლა ველარ გადარჩება.* თუმცა, ლუისი მშვიდად ეშვებოდა გროვის მეორე მხარეს და სტივი მას უკვე ველარც ხედავდა. როცა ქვევით ჩასულმა ლუისმა კვლავ სვლა განაგრძო, სტივმა ისევ შენიშნა და კიდევ ერთხელ გასძახა, — ლუის!

ამჯერად ლუისი გაჩერდა და შემობრუნდა.

სტივს ელდა ეცა. თმის გათეთრებას ვინღა ჩიოდა, ლუისს სახე დაჰბერებოდა. ბერიკაცს ჰგავდა.

თავდაპირველად ისე იყურებოდა, თითქოს ლუისი ვერ სცნობდა სტივს. ნელ-ნელა მის გამოხედვას სიცხადე დაეტყო. გეგონება, ვიღაცამ მის ტვინზე რეოსტატით იმოქმედაო, პირის გამოძრავება სცადა. სტივი მიხვდა, ლუისი გაღიმებას ცდილობდა.

— სტივ, — თქვა ხრინწიანი, ეჭვნარევი ხმით, — გამარჯობა, სტივ. მე მის დაკრძალვას ვაპირებ. ალბათ ამის გაკეთება შიშველი ხელებით მომიწევს. შესაძლოა დაღამებამდე ვერც მოვრჩე. იქ მიწა ძალიან ქვიანია. ხომ არ დამეხმარები?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სტივმა პირი გააღო, მაგრამ სიტყვა ვერ წარმოთქვა. მიუხედავად გაოცებისა, მიუხედავად საშინელებისა, მაინც სურდა ლუისს დახმარებოდა. აქ, ამ ტყეში, ეს როგორღაც ძალიან სწორად... ძალიან ბუნებრივად ეჩვენებოდა.

— ლუის, — ძლივს წარმოთქვა მშრალი ხმით, — რა მოხდა? ღვთის გულისათვის, რა მოხდა? ის... ის ცეცხლში დაიწვა?

— გეიჯის შემთხვევაში დიდხანს ვიცადე, — თქვა ლუისმა, — რაღაც დაემართა, რადგან დიდხანს ვიცადე. თუმცა, რეიჩელთან სხვაგვარად იქნება, სტივ. ვიცი, ასე იქნება.

სტივი ოდნავ დაფრთხა, მიხვდა, რომ ლუისი უკვე ჭკუაზე შეშლილიყო. ეს აშკარად ჩანდა. ლუისი შეშლილი და წარმოუდგენლად დაღლილი იყო, თუმცა სტივისთვის რატომღაც თითქოს მხოლოდ ამ უკანასკნელს ჰქონდა მნიშვნელობა.

— დახმარება არ მაწყენდა. — თქვა ლუისმა.

— ლუის, რომც მინდოდეს დახმარება, ამ წაქცეული ხეებისა და ტოტების გროვას ვერაფრით გადმოვივლი.

— არა, არა, — თქვა ლუისმა, — შეძლებ. მთავარია თავდაჯერებულმა იარო და დაბლა არ დაიხედო. საიდუმლო ამაშია, სტივ.

ლუისი შებრუნდა და, მართალია, სტივმა დაუძახა, მაგრამ ის უკვე ტყეში შედიოდა. კიდევ ცოტა ხანს ხედავდა სტივი ტყეში მოძრავ თეთრ სილუეტს, რომელიც მალე გაუჩინარდა.

ხმელი გროვისკენ გაიქცა და დაუფიქრებლად დაიწყო ასვლა. ფეხებს მტკიცედ აბიჯებდა და რაღაც წარმოუდგენლად გიჟურ ენერგიას გრძნობდა. თითქოს ეს-ესაა, სუფთა ჟანგბადი ჩაესუნთქა და თავადაც სჯეროდა, რომ ამ გზის გავლას შეძლებდა. მაღლა ასული წამით შეჩერდა, წინ ბილიკზე მიმავალი ლუისი დაინახა და დაბლა დაშვება დაიწყო. ლუისი შემობრუნდა და სტივს გამოხედა. ხელში სისხლიან ზეწარში გახვეული ცოლის სხეული ეჭირა.

— შეიძლება მოგესმას ხმები, — უთხრა ლუისმა, — რაღაც ხმები, მაგრამ იცოდე, რომ ეს ხმები გადამფრენ ღორიხვებს ეკუთვნის. სასაცილო ხმები აქვთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— ლუის...

მაგრამ ლუისი უკვე შებრუნებულიყო.

რაღაც მომენტში სტივიც კინაღამ გაჰყვა. ძალიან, ძალიან ცოტა დააკლდა.

შემიძლია დავეხმარო... დიახ, მინდა, რომ დავეხმარო. სინამდვილეში აქ რაღაც ხდება, რასაც მე ვერ ვამჩნევ. თითქოს... რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. დიდი საიდუმლო. იდუმალება.

შემდეგ სტივის ფეხქვეშ ტოტი გადატყდა და მისმა მშრალმა ხმამ ფიქრებიდან გამოარკვია. გაახსენა, სად იდგა და რას აკეთებდა. ზაფრამ მთელ სხეულში ტალღებად დაუარა. წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელები გაშალა, პირში და ენაზე შიშით გამოწვეული ზეთოვანი შეგრძნება გაუჩნდა, სახეზე კი გამოსახოდა გრიმასა მთვარეულისა, რომელსაც ეს-ესაა გამოეღვიძა და აღმოაჩინა, რომ ცათამბჯენის სახურავზე დგას.

რეიჩელი მკვდარია და, ვფიქრობ, ის ლუისმა მოკლა. ლუისი გაგიჟდა, სრულებით გაგიჟდა, მაგრამ... აქ კიდევ რაღაც სიგიჟეზე უარესი არსებობდა. თითქოს მაგნიტი იზიდავდა ტყეში და მის ტვინში რაღაცას ექაჩებოდა იმ ადგილისკენ, საითკენაც ლუისს რეიჩელი მიჰყავდა.

მიდი, გაუყევი ბილიკს... გაუყევი და ნახე, სად მიდის. იქ სანახავი ბევრია, სტივერინო. ისეთ რამეს იხილავ, რის შესახებაც ლეიკ ფორესტში შენი ათეისტების შეკრებებზე არაფერს გეტყვიან.

და შემდეგ, ალბათ იმ მიზეზით, რომ ეს ადგილი იმ დღეს ერთხელ უკვე გამოიკვება და სტივის მიმართ ინტერესი დაკარგა, სტივმა ორი ნაბიჯი ბანცალით გადადგა უკან, ოდნავ შეტორტმანდა და უეცრად მარცხენა ფეხით ტოტების გროვა ჩატეხა. ტოტების ნატეხებმა ბოტასი გაუხია და ფეხში შეერჭო. სტივი შინაური ცხოველების სასაფლაოსკენ გადავარდა და სულ ოდნავ ასცდა ფორთოხლისფერი ყუთის ნატეხს, რომელიც უთუოდ მუცელში შეესობოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფეხზე წამოდგა, გავეშებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა და იმის გარკვევას შეეცადა, თუ რა მოხდა... თითქოს მის თავს რაღაც მოხდა, მაგრამ ეს უკვე სიზმრად ეჩვენებოდა.

შემდეგ დაბურული ტყის სიღრმიდან, სადაც მზის სხივი მომწვანოდ მოჩანდა და ამ დღენათელში ბინდი ჩამოწოლილიყო, სტივს სიცილის ხმა მოესმა. ძალიან მაღალი ხმა იყო და ვერ მიხვდა, რა არსებას შეეძლო ასეთი ხმის გამოცემა.

თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა. ცალი ფეხსაცმელი გასძვრა. ცდილობდა, წამოებღავლა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ლუისის სახლისკენ გარბოდა და ისევ ყვირილს ცდილობდა. როგორც იქნა, მოტოციკლამდე მიაღწია, დაჯდა, დაქოქა და მეთხუთმეტე გზაზე გააქროლა. კინაღამ შეეჯახა ბრუერიდან წამოსულ სახანძრო მანქანას. ჩაფხუტიდან გამოჩრილ თმას ქარი უფრიალებდა.

ორონოში ჩასული ლადლოუში ყოფნას თითქმის ველარ იხსენებდა. სამსახურში გამოაცხადა, რომ ავად იყო, წამალი დალია და ლოგინში ჩაწვა.

სტივ მასტერტონს მართლაც არ ახსოვდა ეს დღე... ახსენდებოდა მხოლოდ კოშმარებში, ღრმა ძილის დროს. ამ კოშმარებში რაღაც უზარმაზარი და საშიში უახლოვდებოდა... მასთან შეხებას ცდილობდა... მაგრამ ბოლო წამს თავისი არაადამიანური ხელი უკან მიჰქონდა.

ამ რაღაცას დიდი ყვითელი თვალები ჰქონდა, რომლებიც ნისლის საწინააღმდეგო ფარებივით ანათებდნენ.

ხანდახან სტივს სიზმრიდან კანკალით თვალებგაფართოებულს ეღვიძებოდა და ფიქრობდა: *გგონია, რომ ყვირი, მაგრამ ეს უბრალოდ ღორიხვების ხმაა. ეს ხმები გადამფრენ ღორიხვებს ეკუთვნის. სასაცილო ხმები აქვთ.*

მაგრამ არ იცოდა... ვერ იხსენებდა, რას ნიშნავდა ეს ყოველივე. შემდეგ წელს სტივმა ქვეყნის მეორე ბოლოში, სენტ ლუისში ახალი სამსახური იშოვა.

მას შემდეგ, რაც ლუის კრიდს უკანასკნელად შეხვდა და შუადასავლეთისკენ გაემგზავრა, სტივი ლადლოუში აღარასოდეს დაბრუნებულა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პოლიცია მოგვიანებით, იმავე შუადღით მოვიდა. შეკითხვები დასვეს, თუმცა საეჭვოდ არაფერი მოსჩვენებიათ. ცხელი ფერფლი ჯერ არავის გაეტანა. ლუისმა ყველა შეკითხვას უპასუხა. პოლიციელები კმაყოფილი ჩანდნენ. ძალიან კარგი. ლუისს ქუდი ეხურა და პოლიციელებს მისი ჭაღარა თმა არ შეუმჩნევიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტ შეკითხვას დასვამდნენ. ეს კი უკვე ცუდი იქნებოდა. ლუისს მებალის ხელთათმანებიც ეკეთა და სისხლში ამოსვრილ ხელებს მალავდა.

იმ ღამით ლუისი გვიანობამდე პასეანსს შლიდა.

როდესაც უკანა კარზე დააკაკუნეს, კარტის ახალ რიგს აწყობდა. *რასაც ყიდულობ, შენია და, ადრე თუ გვიან, რაც შენია, შენთან დაბრუნდება,* — გაიფიქრა ლუის კრიდმა.

არ შემობრუნებულა. კარტებს დაჰყურებდა. ნელი ნაბიჯები ჭრიალით უახლოვდებოდა.

ლუისმა ყვავის დედოფალი ამოატრიალა და ხელი დააფარა. ნაბიჯების ხმა მის უკან მიწყდა.

სიჩუმე.

ლუისს მხარზე ცივი ხელი შეეხო. რეიჩელს მიწისმიერი, ხრინწიანი ხმა ჰქონდა.

— ძვირფასო. — თქვა *მან.*

1979 წლის თებერვალი — 1982 წლის დეკემბერი.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სარჩევი

შესავალი.....5

პირველი ნაწილი

შინაური ცხოველების სასაფლაო..... 11

მეორე ნაწილი

მიკმაკების სამარხი..... 273

მესამე ნაწილი

ოზი — დიდებული და საზალელი..... 445

ეპილოგი 482

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/